

780  
2006

63



საქართველოს  
საქართველოს

# საქართველო

---

5-6

2006

# საუნჯე

(132)

სამთავარი

დუბლი

ქართული  
ბიბლიოთეკა



მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობითი  
ქუჩნალი

დაფუძნებლები: საქართველოს მფარველთა  
კავშირი და ქუჩნალ „საუნჯის“ რედაქცია

2006, 5—6

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ხულიო კორტასარი. ორი მოთხრობა. თარგმნა მედეა ზუბადალაშვილმა	3
დადაისტი კოეტები. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაყამ	20
მილორად კავინი. ხაზარული სიტყვისკონა. გაგრძელება. თარგმნა	
გურამ გოგიაშვილმა	31
რაინერ მარია რილკე. დუინური ელეგიაები. გერმანულიდან თარგმნა	
ლულუ დადიანმა	90
გიორგი ვიკი. თევზი ბაღში. ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიციანიძემ	117
კოსტა ხეთაბურავი. ლექსები. თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა	140
ეჟი ხარასიმოვიჩი. ლექსები. პოლონურიდან თარგმნა რენე კალანდიამ	146
დაი სიუი. ბალზაქი და ჩინელი მქარავი გოგონა. რომანი. ფრანგულიდან	
თარგმნა ღალი იაშვილმა	149
გაბრატ შინკუბა. გავრილი ძვა. თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ	206

## წერილები

### რილკეს წელიწადი

რალფ ფრიდმანი. ერთსა და იმავე დროს ყოფნა-არყოფნა. გერმანულიდან	
თარგმნა ლულუ დადიანმა	226

### ნოვალის პრემიის ლაურეატები

ნანა გოგოლაშვილი. ელფრიდა იელინეჰი	243
შვედეთის აკადემიის მუდმივი მდივნის, ნოვალის კომიტეტის წევრის, კროფესორ ჰ. ენგდალის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ელფრიდა	
იელინეჰის შემოქმედების შესახებ. ინგლისურიდან თარგმნა	
ილია გასვიანმა	244
გზის ბაღაღმა. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა	247
ელფრიდა იელინეჰი კასუსობს მარსელ კრუსტის ანკეიტას. ფრანგულიდან	
თარგმნა ილია გასვიანმა	259
სერ ვილიამარ სუკაჰკრასად ნაიკოლი. კრასისთვის გაკეთებული შვე- დეთის აკადემიის განცხადება. თარგმნა ილია გასვიანმა	262
ორი სამყარო. თარგმნა ილია გასვიანმა	264
გაბრიელ ბარსია მარკესი. ლათინური ამერიკის მარტოობა. ესპანურიდან	
თარგმნა ნინო მესტვირიშვილმა	279
ნინო მესტვირიშვილი. კამილო სოსე სელას „ტრამენდიზმი“ და „ადა- მიანური ნატურის ნაიარავი“ სამოქალაქო ომის შემდგომ ლი- ტერატურაში	284
ამბროსი ბრიშიკაშვილი. რიშარდ კაკუშცინსკი — რეპორტაჟების მფუძ რიშარდ კაკუშცინსკი. ადამიანი ასფალტის გორაკზე. ნაწყვეტი რომანიდან. ინტერვიუ. პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა	298 302



ქართული  
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი  
ნანა ღარჩია-გოლჭვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელვა ახვლედიანი  
მანანა აპისულაშვილი

ნანა ახობაძე

ჯემალ აჯიაშვილი

ნანა ბართაია

გურამ გოგიაშვილი

ნანა გოგოლაშვილი

თამარ პრისტავი

რუსუდან ქეზულაძე

დალი ფანჯიკიძე

ეთერ ყურაშვილი

გივი შაკნაჯარი

ქეთევან ჩიჯავაძე

ვაჟა ჩორღელი

პ/მგ მღივნანი

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41,  
33-46-80, 60-23-40.

ხელმოწერილია დასაბუჭდად 2.12.2006 წ., ქალაქის ზომა 70X1081/16, სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა.  
ტირაჟი 300. შეკვ. 300.

შ. ბ. ს. „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.

თბილისი, მ. კოსტავას 14.

## სულიო კორტასარი



ქართული  
ლიტერატურა

### ორი მოთხრობა

თარგმანი მარია ზუბარაძის მიერ

#### „მანტეკილის“\* მზის ჩასვენების ჟამს

ასეთი რამ მხოლოდ ჩვენს პერალტს შეიძლება მოუვიდეს აზრად. ნამდვილი ჭკუის კოლოფია! როგორც ყოველთვის, წვრილმანებზე არც ახლა შეჩერებულა, თუმცა ამჯერად ჩვეულებრივზე უფრო გულახდილი იყო და თქვა, ეს მოპარული წერილის ანეკდოტს\*\* ჰგავსო. ესტევესმა თავიდან ვერაფერი გაუგო და მომლოდინედ მიაშტერდა, მერე რაღაო? პერალტმა მხრები აიჩეჩა, თითქოს პასუხს თავი აარიდაო და კრივზე დასასწრებად ბილეთი შეაჩეჩა. ესტევესმა ყვითელ ბილეთზე მსხვილად გამოსახული წითელი ციფრი 3 დაინახა, მაგრამ უპირველესად რასაც მისი მზერა მისწვდა, რაღა თქმა უნდა, მკაფიო ასოებით წარწერილი მონსონი-ნაპოლესი\*\*\* იყო. მეორე ბილეთს ვალტერს მისცემენ, უთხრა პერალტმა, შენ დაწყებამდე მიხვალ, (პერალტი ერთსა და იმავეს ორჯერ არასოდეს იმეორებდა და ესტევესიც ცდილობდა, ყოველი სიტყვა დაემახსოვრებინა). ვალტერი წინასწარ გამართულ ბრძოლებშია მოვა. მისი ადგილი შენ გვერდითაა, შენგან მარჯვნივ. ფხიზლად იყავი: ბოლო წუთებში ფაციფუცი იწყება ხოლმე, ყველა ცდილობს, ახლოს დაჯდეს, დასარწმუნებლად ესპანურად ჰკითხე რამე. მას თან ექნება ნაჭრის ჩანთა, რომელსაც თქვენ სკამებშია ან იატაკზე დადებს. ელაპარაკე მხოლოდ კრივზე, თან თვალყური ფხიზლად გეჭიროს — გარშემო, უეჭველია, მექსიკელები და არგენტინელებიც იქნებიან, სანამ პაკეტს ჩანთაში ჩაუდებ, მიმოიხედე. ვალტერმა თუ იცის, ჩანთა წინასწარ რომ უნდა გახსნას? — ჰკითხა ესტევესმა. იცის, — უპასუხა პერალტმა, თან განზე იყურებოდა, თითქოს პიჯაკის კალთიდან ბუხს იშორებდესო, — ოღონდ არ აჩქარდე, პაკეტს სულ ბოლოს, მაშინ ჩაუდებ, როცა ყველას თვალი რინგისკენ იქნება მიჯაჭვული. რინგზე მონსონი როცაა, მარტო მონსონს უყურებენ, — უთხრა

24643

\* „მანტეკილი“ — კუბელი მოკრივის ხოსე ნაპოლესის მეტსახელი, მსოფლიო ჩემპიონი 1969, 1971 წწ.

\*\* აქ იგულისხმება ედგარ პოს ნოველის „მოპარული წერილის“ სიუჟეტი, სადაც ის, რასაც ეძებენ, ყველას თვალწინაა, მაგრამ ვერავინ ხედავს.

\*\*\* კარლოს მონსონი — არგენტინელი მოკრივე ქვეყნის ჩემპიონი 1966-71 წწ. მსოფლიო ჩემპიონი 1970 წ.

საქართველო  
პარლამენტის  
მრეწველი

ესტევესმა. მანტეკილი რინგზე რომ არის მაშინაც, — თქვა პერალტ-  
მა, — დაიმახსოვრე, არავითარი დელვა. ვალტერი პირველი წავა, შენ  
კი, ხალხი რომ იკლებს, მეორე გასასვლელიდან გახვალ.

ესტევესი მეტროში ჩავიდა და სანამ „დეფანსის“ სადგურამდე მი-  
ვიდოდა, ყველაფერი გონებაში ხელახლა აწონ-დაწონდა. აწონდა ჩანდა,  
მთელი ვაგონი კრივზე მიდიოდა, განსაკუთრებით მსამუკაცესი, კორ-ორ-  
ნი, სამ-სამნი, უმეტესად ფრანგები, რომლებიც, ცოტა არ იყოს, შეე-  
ფიქრიანებიან თავიანთი კერპის ბუტიეს\* სამარცხვინო დამარცხებას,  
რომელიც ორჯერ ეცემა მონსონს და ახლა თითქოს რევანშის იმედი  
ჰქონდათ; თუმცა დამარცხებას გუნებაში შეიძლება შეგუებულებიც იყ-  
ვნენ. არა, პერალტი ნამდვილი გენიოსია, რაღა თქმა უნდა, სერიოზუ-  
ლი საქმეა, რაკი თვითონ პერალტმა დაავალა, სამაგიეროდ, მატჩზე  
მოგხვდები, რომელზე დასწრებაც მარტო მილიონერებს თუ შეუძლიათ.  
ესტევესი ბოლოს და ბოლოს, ჩასწვდა მოპარული წერილის ქარაგმას —  
ვის მოუვა აზრად, რომ ის და ვალტერი ერთმანეთს კრივზე შეხვდები-  
ან, თანაც მთავარი თავად შეხვედრა კი არ არის, შეხვედრა პარიზის  
რომელ კუთხეშიც გინდა იქ შეიძლება მოეწყოს, საქმე ის არის, რომ  
პერალტმა ყველაფერი საგულდაგულოდ აწონ-დაწონა და მოიფიქრა.  
ისინი, ვისაც ამათი გამოჭერა შეეძლო, შეხვედრის ყველაზე ჩვეულ  
ადგილებად კაფეს, კინოს ან კერძო სახლებს მიიჩნევდნენ, მაგრამ თუკი  
ისინი აქ ალენ დელონის\*\* მიერ მოწყობილ შაპიტოში მაინც შემოე-  
ხეტებიან, ნურას უკაცრავად, ნომერი არ გაუვათო: მატჩი მსოფლიო  
პირველობის წოდებაზე სახუმარო საქმე როდია. მას ყველა ფულიანი  
მარტო პრესტიჟის გულისათვის დაესწრება. შესვლა მხოლოდ ამ ყვი-  
თელი ბილეთებით იქნება, ბილეთები კი, როგორც გაზეთები წერენ,  
წინა კვირას სულ გაყიდულა. თანაც — ამაზეც მადლობა პერალტს —  
კუდი რომც მოჰყვეს მას ან ვალტერს, ვერც შესასვლელში და ვერც  
გასასვლელში ერთად ვერ ნახავენ, წარმოიდგინეთ ორი ჩვეულებრივი  
გულშემატკივარი ზღვა ხალხში, მეტროდან და ავტობუსებიდან გუნდ-  
გუნდად რომ გამოდიან, ამასთან, რაც უფრო ახლოვდება შეხვედრა,  
მით უფრო მატულობს ხალხის ნაკადი და ყველა ერთი მიმართულე-  
ბით — შაპიტოსკენ ეშურება.

გაქნილია ეს ალენ დელონი. უზარმაზარი შაპიტო დგას უკაცრიელ  
ადგილზე; შაპიტომდე მისასვლელად წანწალები გაედოთ და ფიცარ-  
ნაგი დაეგოთ; ღამით აქ ეწვიმა და ხალხი ფრთხილად მოდიოდა, ტალა-  
ხში რომ არ ჩაცვივნულიყვნენ; ყველგან კი, მეტროდან მოკიდებული,  
ვეება ფერად-ფერად წარწერებიანი მაჩვენებელი ისრები მიეკრათ:  
მონსონი — ნაპოლესი. აჰ, რა მარჯვე ვინმეა ეს ალენ დელონი, ის-  
რები მეტროს მიუდგომელ კედლებზეც კი მიუკრავს, აქაოდა, გადაი-  
ხადე და კარგად ბრძანდებოდეთ! ესტევესს არ მოსწონდა ეს მეტიჩა-  
რა — დახე ერთი, ყოვლისშემძლეს, საკუთარ ანგარიშზე მოაწყო მატ-  
ჩი მსოფლიო ჩემპიონისა წოდებაზე, წამოჭიმა ბრეზენტის ეს ვებერ-

\* ჟან კლოდ ბუტიე — ფრანგი მოკრივე, ევროპის ჩემპიონი  
1971 წ.

\*\* ალენ დელონი — ფრანგი კინომსახიობი და ბიზნესმენი.

თელა შაპიტო და, მიდი ახლა და გაიგე, რამხელა თანხა მოტეხა განაცხადის შენატანით. მაგრამ მაინც ყოჩაღ! მონსონი და ნაპოლესი — მაგარი რამეა. ფერად-ფერადი მაჩვენებლები, თანაც ზედ მეტროზე, პო, კეთილშობილური ეესტია, ვითომცდა, ნახეთ, როგორ ვხვდები გულშემატკივრებსო. თორემ ზედახორა მოეწყობოდა გამსახსნელისგან თუ წვიმით აფუებულ ამ თიხნარიან მივარდნილ ადგილზე.

ესტევესი ზუსტად დროზე მივიდა: დარბაზი ის-ის იყო ივსებოდა. წუთით კართან შეჩერებულმა თვალი მოავლო იქაურობას: ფურგონები და გარედან განათებული ვეება, ბრეზენტგადახურული, ფანჯრებდატანებული ტრეილერები მჭიდროდ მიეყენებინათ პირდაპირ შაპიტოსკენ მიმავალი გადახურული შესასვლელისკენ. იქ, ალბათ, მოკრივეები არიან, გაიფიქრა ესტევესმა, ამ ახალთახალ თეთრ ტრეილერში, უეჭველია, ჩვენი კარლიტოსი იქნება, ღირსიც არის ამისი, ნაპოლესის ტრეილერი კი, ალბათ, მეორე მხარესაა. ყველაფერი სახელდახელოდ, მაგრამ თადარიგიანად გაუკეთებიათ; დიახაც, ვეება ბრეზენტის მანქანა ამ მიყრუებულ ცარიელ ადგილზე. აი, როგორ აკეთებენ ფულს, ნაღვლიანად ამოიოხრა ესტევესმა, მთავარია ტვინი და ფხის გამოჩენა, ჩე.

ზაგირით გადალობილი რინგიდან მეხუთე რიგში იჯდა — ჩვეულებრივ სკამებზე ვეება ნომრები წაეწერათ. ეტყობა, დელონის გულითადობა რინგის ზონას აღარ გასცდა, დანარჩენი ყველაფერი როგორც ცუდ ცირკში, ისე იყო. თუმცა ახალგაზრდა მინიკაბიანი მებილეთები უცებ გავიწყებდნენ რაიმე უწესრიგობას. ესტევესმა უმალ დაინახა, საითაც უნდა წასულიყო, მაგრამ ღიმილით სახეგაბრწყინებულმა გოგონამ ისე მიაცილა ადგილამდე, თითქოს ესტევესს თავის დღეში არ ესწავლოს არითმეტიკა. ადგილზე დაჯდა და გაიფიქრა, ვალტერი მარჯვნივ დაჯდება, ფულის პაკეტები და ქალაღები პიჯაკის მარცხენა ჯიბეში მაქვს, საჭირო დროს მარჯვენა ხელით ამოვიღებ, ხელს უცებ მუხლებთან დავიდებ და იქვე მდებარე გაღებულ ჩანთაში ჩავაგდებო.

დრო იწელებოდა და ესტევესმა მარისაზე და თავის პატარაზე დაიწყო ფიქრი. ალბათ, ვახშამს ამთავრებენ, ბიჭს ძილი მოერეოდა, მარისა კი ტელევიზორს იქნება მიშტერებული. ამ შეხვედრას უჩვენებენ და ისიც, ალბათ, სწორედ ამას უყურებს. თვითონ, რაღა თქმა უნდა, ჯერ არ ეტყვის ამ ამბავს, მერე კი, როცა ყველაფერი კეთილად დასრულდება, გაუმხელს. ესტევესი უგულისყუროდ ფურცლავდა გაზეთს (მარისამ ბოლომდე თუ უყურა შეხვედრას და დაიწყო მონსონისა და ნაპოლესის განსჯა, აბა, სცადე მერე მისი გაჩერება) და სანამ ვიეტნამის ამბებს და პოლიციურ ქრონიკას ათვალთვლებდა, დარბაზი თითქმის გაივსო. უკან ვილაც ფრანგები აზარტულად კამათობდნენ ნაპოლესის წარმატების შანსებზე, მარცხნივ მიუჯდა უცნაური, კოხტაპრუწა კაცი, ის კარგა დიდხანს, აშკარა შეძრწუნებით ათვალთვლებდა სკამს, თითქოს ეშინოდა, არ გაეთხუნა თავისი წუნდაუდებელი ლურჯი შარვალი. წინ მოთავსდნენ წყვილები, ეტყობა, ამხანაგების წრე იყო. სამნი ესპანურად რახრახებდნენ, ალბათ, მექსიკურ კილოზე; ესტევესს, მართალია, ბევრი არაფერი გაეგებოდა აქცენტებისა, მაგრამ მექსი-

კელი გულშემატკივრებით სავსე იყო მთელი დარბაზი: აბა როგორ, მათი ნაპოლესი თვით მონსონს ეცილება გვირგვინს. ესტევესს მარჯვნივ რამდენიმე სკამი ჯერ კიდევ ცარიელი იყო, თუმცა შემოსასვლელს ხალხი მოსწყდომოდა და მარჯვე მებილეთეები რალაც სასწაულით ამყარებდნენ წესრიგს. ესტევესს მოეჩვენა, რომ რინგი მსაფურთხად იყო განათებული, ამასთან, ზომაზე მეტი იყო პოპმუსიკა, მაგრამ ხალხი, ეტყობა, ვერაფერს ამჩნევდა. ახლა ყველა ინტერესით ადევნებდა თვალს, პირველ, საკმაოდ სუსტ წინასწარ ბრძოლას. იმ წუთში, როცა მის გვერდით ვალტერი დაჯდა, ესტევესი იმაზე ფიქრობდა, რომ მთელ დარბაზში, ყოველ შემთხვევაში, მის გარშემო მაინც, არავინ იყო კრივის ნამდვილი მცოდნე, ყველა პროფანი და სნობი იყო, მათ ოღონდ მონსონი და ნაპოლესი უჩვენე და მათი გულისთვის ვილას არ უყურებენ.

— ბოდიში, — თქვა ვალტერმა და ძლივძლივობით ჩაეკვება ესტევესსა და დონდროსა ქალს შუა, ლამის მუხლებზე რომ დაეწვინა თავის აგრეთვე კარგად ჩასუქებულ ქმარს, რომელიც ნამდვილ მცოდნესავეთ შეჰყურებდა მოკრივეებს. — მოხერხებულად მოეწყვეთ, — უთხრა ესტევესმა, — პო, სწორია, არა ტყუიან ფრანგები, მარტო გამხდრებს რომ აგდებენ სათვალავში.

ვალტერს ჩაეცინა, ესტევესი კი ფრთხილად გაიწია მარცხნივ, ღმერთმა დამიფაროს ლურჯმარვლიანი ტიპი რამეზე ამიხირდესო. ბოლოს და ბოლოს, მასსა და ვალტერს შორის გაჩნდა ადგილი და ვალტერმა ლურჯი ჩანთა მუხლებიდან სკამზე გადაანაცვლა. რინგზე მიმდინარეობდა მეორე წინასწარი ბრძოლა — ესეც ხანმოკლე და უვარგისი. უცუბ დარბაზში გამოჩნდა მექსიკელების დიდი ჯგუფი. ყველას გლახური შლაპა-ჩაროები ეხურა, თანაც სულ ახლებში იყვნენ გამოწყობილები; რატომაც არა, ამისთანა მდიდრებს არაფრად უღირთ თვითმფრინავის დაქირავება, ისინიც ადგნენ და ჩამოფრინდნენ მექსიკიდან თავიანთი კერპის, „მანტეკილის“ სანახავად. ყველა მათგანი იყო ჯმუხი, ჩასკვნილი, უუკანალონი, სახით კი პანჩო ვილიას\* მინამგვანები. მექსიკელები ისე ყვიროდნენ და კამათობდნენ, ჩაროებს ისე ისროდნენ მალლა, თითქოს მათი ნაპოლესი უკვე რინგზე იდგა. ალენ დელონმა, დასე, ამ მელას, ყველაფერი გაითვალისწინა და დინამიკუბიდან მაშინვე გაისმა რალაც მექსიკურ კორიდოს მინამგვანი, თუმცა მექსიკელებმა ვერ იცნეს მშობლიური მუსიკა. ესტევესმა და ვალტერმა დაცინვით გადახედეს ერთმანეთს. ამ დროს მოპირდაპირე შემოსასვლელიდან ძახილით — „არგენტინა, არგენტინა“! შემთიჭრა მთელი ბრბო, წინ სუთი თუ ექვსი თეთრსვიტერიანი ქალი მოდიოდა, მათ უკან აფრიალდა ვეება ეროვნული დროშა. მთელმა ჯგრომ მებილეთეები განზე მიაყენა, დაბლა ჩაცვივდნენ და ზედ რინგს მიაწყდნენ, ეტყობა, არც თუ თავიანთ ადგილებს. ბოლოს ყვირილ-ყვირილით მაინც დამწყრივდნენ, მინიკაბიანმა დიდებულმა გოგოებმა კი მომლიმარი ვაჟბატონ-გორილების დახმარებით, ცარიელი სკამებისკენ წაიყვანეს, თან

\* პანჩო ვილია (ფრანსისკო ვილია 1877-1923) — გლახთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელი 1910-1917 წ.

გზაში რალაცას უხსნიდნენ. ერთ არგენტინელს ზურგზე მსხვილი შავი ასოებით ეწერა: მონსონი. ყოველივე ამან ძალზე გაართო მასურებელი. უმრავლესობისთვის სულერთი იყო, რა ეროვნების იყვნენ მოკრივენი, რაკი ისინი ფრანგები არ იყვნენ. მოკრივეების მესამე წყვილი უფრო მტკიცედ და ჯიუტად იბრძოდა, თუმცა ალენ დელსიზმს წინააღმდეგობისთვის როდი გარჯილიყო, ეგ სულ არ ანაღვლებდა, მტკიცეობაში გამოსვლას უცდიდა ორი ნამდვილი ზვიგენი, ჭეშმარიტად ვის სანახავადაც მოსულიყო მთელი ეს ხალხი.

ესტევესის სულში ერთბაშად რალაც მოხდა და ყელში ბურთი გაეჩხირა; დინამიკებიდან გაისმა ტანგო. უკრავდა, შესაძლოა, თავად ოსვალდო პუგლიესეს\* ორკესტრი. ვალტერმა მას დაჟინებით და სიმპათიით შეხედა, ესტევესი შეკრთა: იქნებ თანამემამულეცაა. მათ მაინც არაფერი უთქვამთ, მოკრივეებზე ერთი-ორი შენიშვნის გარდა, არა, შეიძლება ურუგვაელია ან ჩილეელი, მაგრამ არაფერი უკითხავს, პერალტმა ნათლად აუხსნა: ისხდებით გვერდი-გვერდ, — ერთი, ორივე — რა დამთხვევაა — ილაპარაკებთ ესპანურად — ორი, და აუტი, მორჩა და გათავდა.

— ახლა დაიწყება, რაც დაიწყება, — თქვა ესტევესმა.

აღშფოთებული ყვირილისა და სტვენის მიუხედავად, ყველა ადგილიდან წამოცვივდა, მარცხნივ ბლავილი და ტაშის გრიალია, ჩაროები ჰაერში ფრინავენ. „მანტეკილი“ შემორბის რინგზე და პროექტორების შუქმაც თითქოს იმატა, მაგრამ, აი, თავს ყველა მარჯვნივ აბრუნებს, სადაც ჯერჯერობით არაფერი ხდება, ოვაციებს მომლოდინე ბუზბუნი შეენაცვლა; ვალტერი და ესტევესი ვერ ხედავდნენ რინგის მეორე კუთხის გასასვლელს, ჩამოვარდნილ სიჩუმეს ერთბაშად ყვირილი მოჰყვა. ჰო, ახლა ზედ ბავირთან ორივე ხედავდა თეთრ ხალათს. მათგან ზურგით მდგარი მონსონი თავისიანებს ელაპარაკებოდა. ნაპოლესი მისკენ მიემართება და თავის დაკვრით ესაღმება. მსაჯი იცდის, როდის გამორთავენ მიკროფონს. მასურებლები თანდათან ადგილებს იკაფებენ. მარტო ერთი შლაპა-ჩარო დაფრინავს და ვილაც გასართობად მას უკანვე ისვრის, მაგრამ დაგვიანებული ბუმერანგი უყურადღებოდ რჩება, რადგან დაიწყო ჟორჟ კარპანტიეს,\*\* ნინო ბენვენუტის\*\*\* და ფრანგი ჩემპიონის ჟან კლოდ ბუტიეს მისაღმებები, გაისმა აპლოდისმენტები, აჩხაკუნდნენ ფოტოაპარატები. სულ მალე რინგი ცარიელდება. საზეიმოდ აჟღერდა მექსიკის ჰიმნი. ქუდებს კვლავ ჰაერში ისვრიან. ცოტა ხანში არგენტინის ჰიმნიც აჟღერდა და აფრიალდა ვებერთელა ლურჯ-თეთრი დროშაც. ესტევესი და ვალტერი გაუნძრევლად სხედან, მაგრამ ესტევესს გული საგულეში აღარ უდგება, არა, მას არა აქვს უფლება, ეს წინდაუხედაობა და უსარგებლო რისკი იქნებოდა, იცოდეს მაინც, რომ ახლომანლო არგენტინელები არ სხედან, დროშასთან კი

\* ოსვალდო პუგლიესე — არგენტინელი კომპოზიტორი, პიანისტი და ტანგოს ორკესტრის ხელმძღვანელი.

\*\* ჟორჟ კარპანტიე — ფრანგი მოკრივე.

\*\*\* ნინო ბენვენუტი — იტალიელი მოკრივე, ევროპის (1965 წ.) და მსოფლიო ჩემპიონი (1967 წ.).



პიმნის ბოლო სტრიქონს მღერიან, ლურჯ-თეთრი ტილო ისე ძლიერად ირხევა, რომ შეშფოთებული ვაჟბატონი-გორილებიც მისკენ ეშურებიან. აცხადებენ გვარებს და წონით კატეგორიებს, მსაჯიც რინგზეა.

— როგორ ფიქრობ, ვინ გაიმარჯვებს? — კითხულობს ესტევესი. ის ბავშვურმა ღელვამ შეიპყრო. ნერვიულობამ აიტანა იმ ქუთუმი, როცა მოკრივეების ხელთათმანები ერთმანეთს შეეხო. მონსონი უცხელად დადგა, მაშასადამე, თავდასაცავად არა, ხელები გამხდარი და მათრახივით გრძელი აქვს, თვითონაც ამ დაბალი და ჩასკვნილი „მანტეკილის“ გვერდით ლამის უსუსური და სუსტი ჩანს. აი, უკვე გააკეთა სასინჯი დარტყმა.

— მიყვარს ასეთი შეუპოვრები, ჩემპიონსაც რომ არ ეპუებიან, — თქვა ვალტერმა. უკან კი ერთი ფრანგი ვილაცას ცხარედ უმტკიცებდა: უპირატესობა მონსონის მხარესაა სიმალლის გამო... ისევ სასინჯი დარტყმები. აჰა, მაშასადამე, მას შეუპოვრები მოსწონს, არგენტინელი რომ იყოს, ასე არ იტყოდა, გამოთქმაზე ეტყობა, ურუგვაელი უნდა იყოს, პერალტს ვკითხავ, თუმცა მაინც არ მეტყვის. ერთი რამ ნათელია — ვალტერი საფრანგეთში დიდი ხნის ჩამოსული არ უნდა იყოს; ცოლს ჩახვეულმა სქელმა ფრანგმა ვალტერს რალაც ჰკითხა, მან კი ისე გაუგებრად უპასუხა, რომ განაწყენებულმა ფრანგმა შუბლი შეიჭმუნა და წინ მჯდომს გაუბა საუბარი. ნაპოლესს ზუსტი და მაგარი დარტყმები აქვს, შიშით გაიფიქრა ესტევესმა, მონსონმა ორჯერ დაიხია უკან და საპასუხო დარტყმა ოდნავ დააგვიანა. ეტყობა, „მანტეკილი“ მინვდა, რომ მისი ერთადერთი შანსი დარტყმები იყო, რომ მონსონთან არ გამოადგებოდა „ფარიკაობა“, რაც მონსონის კოზირად ითვლებოდა. მონსონი მკვირცხლი და სწრაფია, და ნაპოლესს სიძლიერით განთქმული მუშტი ყოველთვის ჰაერში რჩებოდა. მონსონმა ორჯერ შედიზედ მოარტყა მუშტი მოწინააღმდეგეს, ფრანგი კი უკან უკვე გაცხარებით ყვიროდა: ხედავთ, ხედავთ, როგორ შევლის ხელები! მეორე რაუნდი ნაპოლესის სასარგებლოდ დამთავრდა, დარბაზი გაიყურსა, აქა-იქ უადგილო წამოძახილები გაისმოდა. მესამე რაუნდში „მანტეკილი“ უფრო გააქტიურდა, კეთილი, გაიფიქრა ესტევესმა, გაჩვენებს ახლა ჩვენი კარლიტოსი, მონსონი კი ბაგირებს მოწყვეტილი, მოქნილი ტირიფის წნელი, მიქრის წინ, ურტყამს მარჯვენით თუ მარცხენით, გამალებით შედის კლინჩში, რათა ბაგირებს მოწყდნენ, და რაუნდის დამთავრებამდე ორივე ერთმანეთს ძლიერ დარტყმებს აყენებს. მექსიკელები ყველანი ფეხზე დგანან, იმათ უკან კი ყვირილი და სტვენაა, ყველა ადგილებიდან წამოცვივდა — დავინახოთ, არაფერი გამოგვრჩესო.

— ლამაზი ბრძოლაა, ჩე! ისეთი, როგორიც უნდა! — თქვა ესტევესმა.

— აჰა!

ორივემ ერთდროულად ამოიღო სიგარეტი და ღიმილით გაუწოდეს ერთმანეთს.

გაიჩხაკუნა ვალტერის სანთებელამ და ესტევესმა ჰაპიროსს მოუკიდა, თან მისი პროფილი შეათვალიერა, მერე თვალი თვალში გაუყარა, არაფითარი განსაკუთრებული: ჭაღარაშერეული თმა, თუმცა ახა-

ღვაზრდაა, ჯინსებში და ყავისფერ სპორტულ პერანგშია გამოწყობილი. ნეტავ სტუდენტია თუ ინჟინერი? ალბათ, ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, ვინც თავი დააღწია იქაურობას, მაგრამ იარაღი არ დაუტოვა, უეჭველია, მონტევიდეოში ან ბუენოს-აირესში მეგობრები დაეხმოს, შეიძლება, სანტიაგოშიც, შეკითხოვოდა მაინც პერალტს, თუ შეუძლებელია ისინი ერთმანეთს აღარ შეხვდებიან, ყველას თავისი გზა აქვს, ერთი ეგ არის, ოდესღაც გაიხსენებენ „მანტეკილს“ და ამ საღამოს — ამასობაში მექსიკელი მეხუთე რაუნდში ვა-ბანკზე მიდიოდა. ყველა ფეხზე იდგა, ვაშმაგებით ღრიალებდნენ, არგენტინელების და მექსიკელების ყვირილი უკვე ფრანგებს დაეფარათ. მათთვის მთავარი კრივი იყო და არა მოკრივეები: ისინი გაწაფული თვალით იჭერდნენ მოკრივეთა სულ მცირე მოძრაობას, ფეხების ცეკვას, ესტევესი უცებ მიხვდა, რომ მაყურებელთა უმრავლესობა ორთაბრძოლას საქმის ნამდვილი ცოდნით ადევნებდა თვალს, თუ არად მიიჩნევდა რამდენიმე რეგვენს, რომლებიც ალტაცე-ბაში მოჰყავდა ლამაზ, ეფექტურ, მაგრამ უსარგებლო დარტყმებს, და არაფერი გაეგებოდათ, ვერ მიმხვდარიყვნენ რა ხდებოდა რინგზე, სადაც კვლავინდებურად ბრძოლა სხვადასხვა დისტანციაზე მონსონს მიჰყავდა. იგი თანდათან უმატებდა ტემპს, რასაც ამკარად ვერ აპყობოდა „მანტეკილი“. ის დამძიმდა, დარეტიანდა, და უკვე ჯიქურ ბრძოლაზე გადავიდა, პასუხად კი მონსონის მოქნილი, გრძელი ხელები კვლავ ექაჩება მოწინააღმდეგეს ბაგირებიდან და ზუსტსა და მკვეთრ დარტყმებს სეტყვასავით აყრის შემოდან თუ ქვემოდან. გონგის ხმაზე ესტევესმა ისევ ვალტერს შეხედა, რომელიც სიგარეტს იღებდა.

— რას იზამ, ასე ეწერა, — თქვა ვალტერმა და სიგარეტი გაუწოდა, — როცა არ შეგიძლია, არ შეგიძლია.

ასეთ ღრიალში საუბარი უაზრო იყო. მაყურებელი მიხვდა, რომ მომდევნო რაუნდი გადამწყვეტი იქნებოდა. გულშემატკივრები ისე ამხნევებენ ნაპოლესს, გეგონება სამუდამოდ ეთხოვებიანო, — გულწრფელი თანაგრძნობით გაიფიქრა ესტევესმა. ახლა მონსონი უკვე ღიად ესხმოდა თავს მოწინააღმდეგეს. გრძელდებოდა ოცი დაუსრულებელი წუთი, მონსონი პირდაპირ სახეში თუ კორპუსზე უცხუნებდა და უცხუნებდა, მოწინააღმდეგე კი კლინჩში შესვლას ლამობდა, თან თვალს ისე ხუჭავდა, გეგონება, წყალში უნდა გადახტესო. მორჩა, ველარ გაუძლებს, გაიფიქრა ესტევესმა, თვალი რინგს მოაცილა და ცერად გახედა ჩანთას: ჩაუდგე ახლავე, სანამ ხალხი დასხდებოდეს, თორემ მერე წამოცვივდებიან და ჩანთა ისევ ობლად დარჩება სკამზე მიგდებული. ორი დარტყმა ნაპოლესს პირდაპირ სახეში მოხვდა, ის კვლავ ცდილობდა კლინჩში შესვლას, მაგრამ მკვირცხლი მონსონი წამში იცვლის დისტანციას, გაექანება და სახეში რამდენჯერმე დაარტყამს, ახლა ფეხებს უყურე, მთავარი ფეხებია, ამაში ერკვევა ესტევესი. „მანტეკილი“ დამძიმდა, ის ბაგირებს შორდება, მაგრამ სადაა სახელგანთქმული მისი ზუსტი დარტყმა. მონსონი კი ცეკვავს, გარს უვლის რინგს, ხან გვერდულად, ხან უკან-უკან, მშვენიერი რიტმია, და უცებ მარჯვენათი გადამწყვეტი დარტყმა. პირდაპირ მზის წნულია! გულშემატკივრავ ღრიალში ცოტა ვინმემ თუ გაიგონა გონგის ხმა. ესტევესი კი ვალტერს უყურებს, ვალტერი დაჯდა, ჩანთა გაასწორა, ესტევესმა შიგ

დაუყოვნებლივ ჩადო პაკეტი, ხელი სწრაფად ამოიღო და გაცხარებით დაიწყო ქნევა ზედ ლურჯშარვლიანი ფრანტის ცხვირწინ, რომელსაც, ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა რინგზე.

— ეგეც შენი ჩემპიონი! — წყნარად თქვა ესტევესმა, რაკი იცოდა, რომ ასეთ სმაურში მაინც ვერაფერს გააგონებდა, *მარტოქისი შინაგანობა*  
ყველას კიბოა.

მერე ვალტერს შეხედა, ის მშვიდად ეწეოდა სიგარეტს, — რა გაეწყობა, ასე ეწერა და ეგაა. მეშვიდე რაუნდის დასაწყისში, გონგის მოლოდინში, ყველა ფეხზე ადგა და უცებ დაძაბულ სიჩუმეს მოჰყვა გაბმული კივილი: რინგზე შემოაგდეს პირსახოცი. ნაპოლესი თავის კუთხეში გაქვავებული დგას, მონსონი კი შუა რინგზე გამორბის და გამარჯვების ნიშნად ხელთათმანიან ხელებს თავზემით სწევს — აი, ფინაა ჩემპიონი, ის ესალმება ხალხს და უმაღლ მომლოცველ ბრბოს შუაგულში ექცევა, ფინალი არც თუ ისე ლამაზი, მაგრამ უდავო იყო. „მანტეკილი“ დანებდა და სწორედაც მოიქცა, რატომ უნდა ქცეულიყო მონსონის საბოქსიორე მსხლად, დიას, სრული მარცხია, მზის ჩასვენებაა „მანტეკილისა“, ის მიდის გამარჯვებულთან და, თითქოს მოფერებით, ხელთათმანიანი ხელი მონსონის სახესთან მიაქვს, მონსონი კი ხელთათმანიან ხელს მხარზე ადებს და ერთმანეთს სცილდებიან, ალბათ, სამუდამოდ, რინგზე ისინი აღარ შეხვდებიან, ფიქრობს ესტევესი.

— დიდებული ბრძოლა იყო, — უთხრა მან ვალტერს, რომელსაც ჩანთა მხარზე გადაეკიდა და ისე ქანაობდა, თითქოს ფეხები გაშეშებიაო.

— ძალზე იჩქარეს, უეჭველია, სეკუნდანტებმა აღარ გამოუშვეს ნაპოლესი.

— რაღა აზრი ჰქონდა? სომ ნახე რა დღეში ჩააგდო. ნაპოლესი ჭკვიანი მოკრივეა, ჩე, თვითონვე მიხვდა.

— ჰო, მაგრამ, ისეთები, როგორიც ეგაა, ბოლომდე უნდა იბრძოდნენ, რა იცი უცებ რა ხდება!

— მონსონისათვის „უცებ რა ხდება“ არ არსებობს, — თქვა ესტევესმა და გაახსენდა თუ არა პერალტის დარიგება, გულითადად გაუწოდა ხელი: — მოხარული ვიყავი...

— მეც. ბედნიერად...

— ჩაო!

მან თვალი გააყოლა ვალტერს, რომელიც უკან მისდევდა ცოლთან რაღაცაზე ხმამაღლა მოკამათე მსუქან ფრანგს. თვითონ კი აუჩქარებლად მიმავალ ლურჯშარვლიან ტიპს გაჰყვა. ბოლოს და ბოლოს, ხალხის ნაკადმა მარცხენა გასასვლელთან მიიყვანა. მის გვერდით ვიღაც კამათობდა მოკრივეების ტექნიკურობაზე, მაგრამ ესტევესმა თვალი ვერ მოსწყვიტა ქალს — ის ეხვეოდა ქმარსა თუ მეგობარს, რაღაცას უყვებოდა ზედ ყურის ძირთან, ეხვეოდა, ტუჩებში კოცნიდა. ეს კაცი სრული იდიოტი თუ არ არის, უნდა ხვდებოდეს, რომ ქალი მას კი არა, მონსონს კოცნის, — თავისთვის ჩაეცინა ესტევესს. პიჯაკის ჯიბეს პაკეტი უკვე აღარ უმძიმებდა, შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა, ირგვლივ მიმოიხედა, აგერ, როგორ აკვრია თანამგზავრს ახალგაზრდა.

გოგო, აგერ, მექსიკელებიც, მათი შლაპები ახლა არც თუ ისე დიდებიღა ეჩვენება, არგენტინის დროშა სანახევროდ აუხვევიათ, მაგრამ თავზე-მთ შუჭირავთ, ორმა ჩასკვნილმა იტალიელმა ერთმანეთს გაკვებით გადახედეს, ერთ-ერთი ზეიმურად აცხადებს: „Cliei à messo in culo“, \* მეორე კი სავსებით ეთანხმება ასეთ ზუსტ რეზიუმეს. კარგებში უკიდვარაა: ხალხი სიცოვესა და სიბნელეში მძიმედ მიაბიჯებს ფიტნისგანსაკონს-ლავს, მძიმე ნაბიჯებისაგან წანწალა იზნიქება, ბოლოში კი სახელდა-ხელოდ გამართულ მოაჯირთან გაშეშებულივით დგანან და სიგარეტს ეწევიან პერალტი და ჩავესი, დარწმუნებულები იმაში რომ ესტევესი მათ დანახვაზე გაკვირვებას არ გამოხატავდა, უბრალოდ მივიდოდა მათ-თან, როგორც მივიდა კიდევ, თან ვზადაგზა სიგარეტს იღებდა.

— გადავეცი, — თქვა ესტევესმა.

— ვიცი, დავინახე, — უპასუხა პერალტმა.

ესტევესმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ პერალტი და ჩავესი შე-ტრიალდნენ და საკმაოდ შეთხლებულ ხალხს შეერივნენ, ესტევესი მიხვდა, მათ უკან უნდა მიჰყოლოდა, ის ხედავდა, როგორ გადაჭრეს მეტროსკენ მიმავალი გზატკეცილი და შეუხვიეს ცუდად განათებული ქუჩისკენ. ჩავესმა ერთადერთხელ მოიხედა — ხომ მოგვდევს ესტე-ვესიო, მერე პირდაპირ მანქანისკენ გაეშურნენ და უმალ, მაგრამ აუ-ჩქარებლად ჩასხდნენ. ესტევესი უკან, პერალტის გვერდით დაჯდა. მანქანა ადგილიდან მოწყდა და ქალაქის სამხრეთისკენ გაეარდა.

— ჩანს, შენც იყავი, არ მეგონა, რომ კრივი გიყვარდა, — უთხრა ესტევესმა.

— კრივი წყალსაც წაუღია! თუმცა მონსონი ყველა სიკეთის ღი-რსია. მე ყოველ შემთხვევისთვის, რამე რომ არ მომხდარიყო, შენ ვასაუვნებლად მოვედი.

— ალბათ შენც ყველაფერი ნახე, საწყალი ვალტერი კი ნაპოლესს გულშემატკივრობდა.

— ის ვალტერი არ იყო.

მანქანა ისევ სამხრეთისკენ მიდიოდა. ესტევესს რაღაც მეშვიდე გრძნობამ უკარნახა, რომ ბასტილიის მოედნისკენ არ მიდიოდნენ, მაგრამ ამან ფარულად, სადღაც შიგნით გაუელვა, რადგან ანაზღად გეგონება რაღაც აფეთქებამ დააბრმავაო, თითქოსდა მონსონმა „მან-ტეკილს“ კი არა, პირდაპირ სახეში მას სთხლიშა. ძალა არ ყოფნიდა, რამე ეკითხა და მდუმარედ უყურებდა პერალტს და იცდიდა.

— ვერ შევძელი შენი გაფრთხილება, — თქვა პერალტმა, — შენ თითქოს ჯიბრზე, ძალიან ადრე წახვედი, და როცა დაგირეკე, მა-რისამ გვითხრა, შინ არ არის და არ ვიცი როდის დაბრუნდებაო.

— მინდოდა ცოტა ფეხით გამევილო, — თქვა ესტევესმა, — მაგრამ ამიხსენი...

— ყველაფერი ჩაიშალა, — თქვა პერალტმა, — ვალტერმა დი-ლით, ჩამოფრინდა თუ არა, პირდაპირ ორლიდან დაგვირეკა, ჩვენ ავუხსენით რა უნდა გაეკეთებინა, დაგვიდასტურა, რომ კრივზე ბილეთი

\* უკანალში ფრთა გაურჭო.

ჰქონდა. მოკლედ, საქმე გაჩარხული იყო. მოვილაპარაკეთ, გასვლის წინ ლუჩოსგან დაერეკა, გახდა რვის ნახევარი და არაფითარი ზარი, ვრეკავთ შენევივითან, შენევიევი ლუჩოსთან რეკავს და გვატყუობინებს, რომ ვალტერს ლუჩოსთან არც კი შეუვლიაო.

— ვალტერისთვის აეროპორტის გამოსასვლელში სიტყვებით ხელი, — ამოიღო ხმა ჩავესმა.

— მაშ აბა ვინ... — დაიწყო ესტევესმა და სიტყვა პირზე შეაშრა. უცებ ყველაფერს მიხვდა და ცივმა ოფლმა დაასხა, კუჭში უცნაური წვა იგრძნო.

— შვიდი საათისათვის ყველაფერი დააფქვევინეს, — თქვა პერალტმა, — დამამტკიცებელი საბუთი სახეზეა — ამ ტიპმა ზუსტად იცოდა, რანაირად უნდა მოქცეულიყო. წარმოიდგინე, როგორ მუშაობენ, რომ ვალტერმაც კი ვერ გაუძლო.

— ხვალ იქნება თუ ზევ ვალტერს სადმე მიყრუებულ ადგილას ნახავენ, — დაღლილი ხმით თქვა ჩავესმა.

— ახლა მაგას რაღა აზრი აქვს, — თქვა პერალტმა, — შაპიტოში მისვლამდე ყველას გაფრთხილება მოვასწარი გუდა-ნაბადი რომ აეკრათ. მე იმედის ნაპერწკალი მაინც მქონდა, როცა ამ სამგზის წყეულ ცირკში მოვიჩქაროდი, მაგრამ ის ტიპი უკვე შენ გვერდით იჯდა და რაღა უნდა მექნა.

— მერე, როცა ფული წაიღო? — იკითხა ესტევესმა.

— მე ხომ აშკარად მითვალთვალებდნენ! — მიუგო პერალტმა.

— თუკი ადრე იცოდი...

— რა უნდა მექნა, — ჩაიდუდუნა პერალტმა, — ის რომ ჩავარდნილიყო, გათავებული იყო საქმე. ისეთი ამბავი დატრიალდებოდა, ყველას გვიპოვნიდნენ, შენც კარგად იცი, ვინ მეურვეობს მათ.

— მერე?

— გარეთ სამნი უცდიდნენ, ერთ-ერთს რაღაცა მოწმობა ჰქონდა, მოკლედ, აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ პოლიციელებით გარშემორტყმულ დელონისა და მდიდრებისათვის შემოლობილ მანქანების სადგომზე თავიანთ მანქანაში ჩასხდნენ. რაღა უნდა მექნა, უკან დავბრუნდი, სადაც ჩავესი მიცდიდა. ესაა სულ. მანქანის ნომერი კი დავიმახსოვრე, მაგრამ რაღა ჯანდაბად მინდა?

— ქალაქგარეთ მივდივართ? — იკითხა ესტევესმა.

— ჰო, ერთ მყუდრო ადგილზე. ახლა, მე მგონი, შენთვისაც ნათელია, რომ ნომერ პირველი პრობლემა შენა ხარ.

— მე რატომ?

— იმიტომ, რომ ის ვაჟბატონი სახეზე გცნობს და ისინი შენ მოსამძებნად ყველაფერს იღონებენ, ჩვენ კი ვალტერს რაც მოუვიდა, იმის მერე მფარველი აღარავინ გვყავს.

— გამოდის, რომ აქედან უნდა გავემგზავრო? — იკითხა ესტევესმა. და ანაზღად გაოგნდა: მარისას და ბიჭს რაღა ეშველებათ, თან როგორ წავიყვანო, ან აქ როგორ დავტოვო. აზრები აებურდა, თავი ისე უბრუოდა, თითქოს ბრბო ისევ ღრიალებდა „მონსონი, მონსონი“, სანამ გაცბუნებულები ღრიალს არ შეწყვეტდნენ, სანამ „მანტეკილის“ მზის ჩასვენების ნიშნად შუა რინგზე პირსახოცი არ დაეცემოდა. საბ-

რალ მოხუცი. ის ტიპი კი ხელმოცარულ „მანტეკილს“ გულშემატ-  
კივრობდა, მას სწორედაც რომ მონსონისათვის უნდა ეგულშემატკივრა,  
ვინც, როგორც თვითონ, მთელი ფული მოხვეტა და წავიდა... ამან კი  
ხელი გაუწოდა, „ძალზე მოხარული ვიყავი“... მანქანა ხეებს შორის  
დამუხრუჭდა და ჩაეესმა ძრავა გამორთო. სიბნელე სიგარეტის ააზანა-  
თა — პერალტმა მოუკიდა.

— ჰო, გამგზავრება მომიწევს, — გაიმეორა ესტევესმა, — ალ-  
ბათ, ბელგიაში, ხომ იცი, ვინ არის იქ...

— თუ გააღწევ, იგულისხმე, რომ გადარჩენილი ხარ, — თქვა  
პერალტმა, — მაგრამ ხომ ხედავ, რა დაემართა ვალტერს, იმათ ყველ-  
გან ჰყავთ ხალხი, თანაც როგორი გაწვრთნილები!

— მე ვერ დამიჭერენ.

— ვალტერი ხომ დაიჭირეს? ვინ იფიქრებდა, რომ მას დაიჭერ-  
დნენ და გამოტეხდნენ. შენ კი ვალტერზე უფრო მეტი იცი, აი, რა  
არის ცუდი.

— მე ვერ დამიჭერენ, — გაიმეორა ესტევესმა, — გამიგე, მა-  
რისაზე და ბიჭზე უნდა ვიზრუნო, რაკი ასე წავიდა საქმე, მათი აქ  
დარჩენა არ შეიძლება, მარისას შურისძიების გამო მოკლავენ, ერთ  
დღეში ყველაფერს მოვახერხებ და ორივეს თან წავიყვან, მერე მოვი-  
ფიქრებ, საით უნდა გავწიო.

— ერთი დღე ძალიან ბევრია, — თქვა ჩავესმა და მისკენ შემობ-  
რუნდა. სიბნელეს შეჩვეულმა ესტევესმა დაინახა მისი სილუეტი და  
პერალტის სახე, როცა სიგარეტისთვის ჯიბისკენ ხელი წაიღო.

— კარგი, როგორც კი შევძლებ, მაშინვე წავალ, — თქვა ესტე-  
ვესმა.

— ახლავე წახვალ, — თქვა პერალტმა და პისტოლეტი ამოიღო.

### სოლენტინამის აპოკალიფსი

„ტიკო“, ისინი სწორედაც რომ „ტიკოები“ არიან, გარეგნულად  
მშვიდნი, მაგრამ ყოველთვის მოულოდნელობით აღსავესენი; დაფრინ-  
დები მათ კოსტა-ტიკო-რიკის დედაქალაქ სან-ხოსეში და იქ დაგხვდე-  
ბიან კარმენ ნარანხო, სამუელ როვინსკი და სერხიო რამირესი\* (სერხიო  
ნიკარაგუელია და „ტიკო“ არ არის, თუმცა, არსებითად, ღმერთმანი,  
განსხვავება არ არის, ჩემსა, არგენტინელსა, რომელმაც შეიძლება  
„ტინა“ დავირქვა, და ყველა „ტიკოსა“ და „ნიკას“ შორის). პაპანაქე-  
ბა სიცხე იყო, მაგრამ ეს არაფერი, საჰაერო ხომალდიდან პირდაპირ  
წვეულებაზე მოვხვდი — პრესკონფერენცია ძველი შაბლონის მიხედ-

\* კარმენ ნარანხო — კოსტარიკელი პროზაიკოსი.

სამუელ როვინსკი — კოსტარიკელი მწერალი.

სერხიო რამირესი — ნიკარაგუელი პროზაიკოსი, საზოგადო და  
პოლიტიკური მოღვაწე.

ვით წარიმართა: რატომ არ ცხოვრობ სამშობლოშიო, როგორ მოხდა, რომ ანტონიონისეული „Blow up“\* — ასე განსხვავდება შენი მოთხრობისგანო, მიგაჩნია თუ არა, რომ მწერალი უსათუოდ ანგაჟირებული იყოსო? დიდი ხანია დარწმუნებული ვარ, რომ ბოლო ინტერვიუს ჯოჯოხეთის კართან ჩამომართმევენ და შეკითხვებიც მსუსტად ასეთი იქნება, თუნდაც ინტერვიორი თვით წმინდა პეტრე ბუციაძის მსგავსი იქნება, რომ იქ, დაბლა, ხალხისთვის ძალზე გაუგებრად წერდით?

შემდეგ იყო სასტუმრო „ევროპა“ და შხაპი, ყოველი მოგზაურობა ასე საამურად რომ გვირგვინდება საპნისა და სიჩუმის წყნარი დიალოგით. ექვს საათზე კი, როცა ქალაქში გასეირნების დრო დადგა, რათა დავრწმუნებულიყავი, როგორც მიყვებოდნენ, მართლა ისეთი უბრალო და შინაურული იყო თუ არა, ვილაცამ პიჯაკზე მომქაჩა, მოვიხედე და ერნესტო კარდენალი\*\* შემრჩა, მოდი მოგეხვიო, მეგობარო პოეტო, სასიამოვნოა, რომ რომაული შეხვედრისა და მთელი ამ წლების მანძილზე ქალაქზე შეხვედრების შემდეგ აქა გხედავო! მუდამ მიხარია, მუდამ ვღელავ ხოლმე, როცა ვინმე ერნესტოსნაირები მოსანასულებლად მეძებენ, და თუ ვინმე იტყვის, ცრუ თავმდაბლობისგან ვდნები, მათ ასე ვუპასუხებ: ძალიან ყვეფს და ქარავანი მიდის-მეთქი, არა, ეტყობა, ბედმა მარგუნა, ძალღად დავრჩე, რომელიც მაღლიერი თვალუბით ჭამს ყველას, ვისაც იგი უყვარს. ეს აღმატება ჩემს მიხვედრილობას. ასე რომ, წერტილი და აბზაცი.

რაც შეეხება აბზაცს, ერნესტომ იცოდა, რომ კოსტა-რიკაში უნდა ჩამოვსულიყავ — ისიც ადგა და ჩამოფრინდა თვითმფრინავით თავის კუნძულ სელენტინამედან: ჩიტმა, რომელსაც მისთვის ახალი ამბები მიჰქონდა, შეატყობინა, „ტიკო“ კუნძულზე ჩემს მოგზაურობას რომ ამზადებდა, მას კი არ შეეძლო უარი ეთქვა სურვილზე, წინასწარ მოვეძებნე — ასე რომ, ორი დღის შემდეგ ჩვენ — სერხიო, ოსკარი, ერნესტო და მე დატვირთულები ჩავსხედით ისედაც ნორმაზე გადატვირთულ პატარა თვითმფრინავში, რომელიც კომპანია „პიპერ აცტეკს“ ეკუთვნოდა, და ეს სახელწოდება ჩემთვის სამუდამოდ გამოცანად დარჩება. ის სლოკინ-სლოკინითა და ავისმომასწავებელი გრუხუნით მაინც მიფრინავდა თეთრგვრემანი პილოტის ნებართვით, რომელიც რადიოთი იჭერდა კალიფსოს ჭირვეულ რიტმებს და, ეტყობა, სულაც არ ანაღვლებდა, რომ „აცტეკი“ პირდაპირ მსხვერპლმეწირვის პირამიდისკენ მიდიოდა. რასაკვირველია, ყველაფერი კეთილად დასრულდა და ჩვენ დავფრინდით ლოს-ჩილესში, საიდანაც ჯიპმა ხტუნუა-ხტუნვით მიგვიყვანა პოეტ ხოსე კორონელი\*\*\* ურჩეტოს ქალაქგარეთა სახლში, ხოსე იმსახურებს, რათა გაცილებით მეტნი კითხულობდნენ მას. კარგად დავისვენეთ, ვსაუბრობდით მრავალ ჩვენს მეგობარ პოეტზე როკე დალ-

\* იგულისხმება იტალიელი რეჟისორის მიქელანჯელო ანტონიონის ფილმი „მსხვილი პლანით“, რომელიც გადაღებულია კორტასარის მოთხრობის „ეშმაკის დორბლის“ მიხედვით.

\*\* ერნესტო კარდენალი — ნიკარაგუელი პოეტი და კულტურის მოღვაწე.

\*\*\* ხოსე კორონელი — ნიკარაგუელი პოეტი.

ტონზე, პერტრუდა სტაინზე, კარლოს მარტინეს რივასზე<sup>1</sup>, შემდეგ ლუის კორნელიც მოვიდა და მისი სწრაფი ჯიპით და არანაკლებ სწრაფი ჟარგონის თანხლებით ნიკარაგუაში გავემგზავრეთ. მაგრამ მანამდე სამახსოვროდ სურათი გადავიღეთ უახლესი კამერით, რომელიც მორიდებით გვაწვდის მოცისფრო ქალაქს, სადაც თანდათან დაიწყო გაუგებარია, რა სასწაულებრივი და პოლაროიდული ხერხები იქნება ზანტი სახეების მატერიალიზება. პირველად ეკტოპლაზმის მღელვარე სულის სახით, მერე კი თანდათანობით გამოჩნდება ერნესტოს ცხვირი, ხუჭუჭა თმა, ღიმილი და მისი ნაზარეთული თავსაკრავი, შემდეგ ვერანდასთან ერთად ამოცურდება დონა მარია და დონ იოსები.

მათთვის ეს ჩვეულებრივი რამ გახლდათ, ისინი მიჩვეულნი იყვნენ ასეთი კამერით გადაღებას, ჩემთვის კი ეს სიახლე იყო. არაფრისაგან, კვადრატული არარსებულისგან, სახისა და გამოსათხოვარი ღიმილის გამოჩენამ განმაცვიფრა, და ამაში მათ კიდევ გამოვუტყდი — მახსოვს, ოსკარს შევეკითხე, რა იქნებოდა, რომ ამ ოჯახური ფოტოგრაფიის შემდეგ ცარიელი კვადრატული სიციხისაგან ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონი გამოჩენილიყო-მეთქი. დონ ხოსე კორონელმა, ჩვეულებისამებრ, გადაიხარხარა, მერე იქვე ჩავსხედით ჯიპში და ტბისკენ გავეშურეთ.

სოლენტიანამეზე ღამით ჩავედით. დაგვხვდნენ ტერესა, ვილიამი, ერთი პოეტი შეერთებული შტატებიდან და კომუნის ბავშვები. თითქმის მაშინვე წავედით დასაძინებლად, მაგრამ დაძინებამდე თვალში მომხვდა ერთი სურათი — ერნესტო თავისიანებს ესაუბრებოდა, ტომრიდან ალაგებდა პროდუქტსა და სან-ხოხედან ჩამოტანილ საჩუქრებს. ვილაცას ჰამაკში ეძინა, მე კი სურათები დავინახე და მათ დათვალიერებას შევუდექი. რომელიღაცამ, აღარ მახსოვს ვინ, ამიხსნა, ეს აქაური გლეხების ნამუშევრებიაო. ერთს ვისენტე დაუხატავს, ეს კი რამონია, ზოგიერთი სურათი ხელმოწერილი იყო, ზოგი — ხელმოუწერილი, მაგრამ ყველა საოცრად კარგი — სამყაროს რაღაც პირველად მოჩენა, მიაპიტური შეხედულება ადამიანისა, რომელიც ყველაფერს უმღერის, რაც მის გარშემოა: ეს იქნება ყაყაჩოს მდელიზე შეფენილი მომცრო ტანის ძროხები, ქოხი, საიდანაც ჭიანჭველებივით გამოდიან ადამიანები, შაქრის ლერწმის ფონზე მწვანეთვალემა ცხენი თუ პერსპექტივას მოკლებული — ნათლობა ეკლესიაში. აქ იყო ტბა, ფეხსაცმლისნაირი ნაგებობა, უკანა პლანზე კი ვებერთელა თევზი, რომელსაც ფირუზისფერი პირი გაუღო და იღიმებოდა. ერნესტომ ამიხსნა, გაყიდული სურათები გლეხებს საქმეების წინსვლაში ესმარებაო, ხვალ გაჩვენებთ ხეზე და ქვაზე ნამუშევრებსაც, გლეხების მიერ გაკეთებულ ქანდაკებებსაცო. ყველა დასაძინებლად დაწვა, მე კი მაინც სურათებს —

1 როკე დალტონი — სალვადორელი პოეტი და პროზაიკოსი. პერტრუდა სტაინი — ამერიკელი მწერალი ქალი. კარლოს მარტინეს რივასი — ნიკარაგუელი პოეტი.



კუთხეში მიყრილ ჭრელაჭრულა ნაჭრების გროვას — ვათვალთვლებდი, აქ იყო ძროხებიცა და ყვავილებიც, თეთრებსა და წითლებში გამოწყობილი ორი ბავშვის გვერდით მუხლებზე მდგარი დედა, მათ დაპყურებდა ვარსკვლავებით მოჭედული ცა, ერთადერთი ღრუბელი კი შეშინებულივით მიკუნჭულიყო ნახატის კუთხეში.

მეორე დღეს კვირა იყო და, მაშასადამე, დილით საათზე დაიწყებოდა მესა. წმინდა სოლენტინამეური მესა, რომლის დროსაც გლეხები, ერნესტოსა და სტუმრებთან ერთად, სახარების შემდგომ თავს განიხილავდნენ. ამ დღის თემა იყო იესოს შეპყრობა გეთსიმანის ბაღში — სოლენტინამეს მკვიდრნი ამაზე ისე საუბრობდნენ, თითქოს ეს ყველაფერი მათ ეხებოდათ, საუბრობდნენ მარადიულ, ყოველდღიურ მოსალოდნელ ხიფათზე, ცხოვრების მუდმივ გაურკვევლობაზე, რაც ხდებოდა მთელ ნიკარაგუაში, და არა მარტო მთელ ნიკარაგუაში, არამედ მთელ ლათინურ ამერიკაში — საუბრობდნენ მუდმივი სიკვდილის შიშის ქვეშ ცხოვრებაზე, გვატემალასა თუ სალვადორში ცხოვრებაზე, არგენტინაში, ბოლივიაში, ჩილესა და სანტო-დომინგოში ცხოვრებაზე, ბრაზილიასა და კოლუმბიაში ცხოვრებაზე.

მერე დაბრუნებაზეც უნდა გვეფიქრა, და მე კვლავ გამახსენდა სურათები; შევედი კომუნის დარბაზში და შევუდექი შუადღის კაშკაშა სინათლით გამძაფრებული ზეთიანი და აკრილის საღებავების თვალთერებას, განზავებული რომ იყო ცხენებსა და მზესუმზირებში, მდელოზე გასეირნებასა თუ სიმეტრიულად ტანაყრილ პალმებში. გამახსენდა ჩემი კამერა დატენილი იყო დიაპოზიტური ფირით და ილლიაში ამოჩრილი სურათებით ვერანდაზე გავედი, შემოსწრებული სერსიო დამეხმარა ტილოების მზეზე განლაგებაში, მერე კი დავიწყე მათი რიგრიგობით გადაღება, თან ვცდილობდი, თითოეული სურათი სამიზნებლის მთელ სივრცეში მომექცია, ბედის წყალობა იყო, ალბათ, რომ ფირი ყველა სურათისათვის მეყო, არც ერთი არ გამომიტოვებია, და როცა ერნესტომ ამბავი მოიტანა, დრანდულეტი უკვე მზადააო, ვუთხარ, ყველა სურათი გადავიღე-მეთქი. მან სიცილი დამაყარა — ეს სურათების გატაცება და სხვათა სახეების ქურდბაცაცობააო. იცინე, ვუთხარი მე, — ყველას წავიღებ და სახლში ეკრანზე ამ სურათებზე გაცილებით დიდები და თვალწარმტაცნი იქნებიან-მეთქი.

მივბრუნდი სან-ხოსეში, შემდეგ ვიყავი ჰავანაში, სადაც რაღაც საქმეები მქონდა, და ბოლოს, დაღლილი და ნაღვლიანი დავბრუნდი პარიზში. ჩემი ძვირფასი, მშვიდი კლოდინი ორლში დამხვდა. ცხოვრება კვლავ მაჯის საათივით ახშიანდა: „მერსი, მუსიე“, „ბონჟურ, მადამ“, კომიტეტები, კინო, წითელი ღვინო და კლოდინი. ჩემოდნებსა და სხვა საგნებთან ერთად საწოლსა და ხალიჩაზე მიყრილ-მოყრილი იყო ჟურნალები, გაზეთის ამონაჭრები, თავსაფრები, ცენტრალური ამერიკის პოეტთა წიგნები და ნაცრისფერი პლასტიკის ბუდე ფოტოფირებით, რასაც უსასრულო ორი თვის მანძილზე ვიღებდი — ლენინის სახელობის სკოლა ჰავანაში, ტრინიდადის ქუჩები, ორასის ვულკანის პროფილი და მწვანედ მოზუყბუყე მისი წყლით სავსე როფი, სადაც სამუელი, მე და სარიტა გოგირდის ორთქლის ღრუბლებში მოცურავე მოხარშულ იხვებს დავემსგავსეთ. კლოდინმა საღამო ხანს, ლათინურ კვარტალში

გავლისას, გასამჟღავნებლად წაიღო ფირები, ეს მომაგონდა თუ არა, რაკი ქვითარი მე მქონდა, ფირები გამოვიტანე — რვა ყუთი მზა სლაიდებით — და მაშინვე თვალწინ სოლენტიინამეური კადრები დამიდგა; შინ მისვლისთანავე გავხსენი ყუთები და თითოეული სერიის პირველი დიაპოზიტივების თვალთვლება დავიწყე: გამახსენდა, რომ სანამ ნახატების გადაღებას დავიწყებდი, რამდენიმე კადრი უკვე გამოვიყენებდი მქონდა, როცა გადავიღე ერნესტოს მესა, პალმებს შორის მოთამაშე ბავშვები, გადავიღე ზუსტად ისეთივე პალმები და ძროხები, თვალისმომჭრელი ცისფერი ცისა და მომწვანო ტბის ფონზე, როგორც სურათებზე იყო. პროექტორის ბარაბანში ჩავდე ბავშვებისა და მესას სლაიდი, რადგან ვიცოდი, რომ მას სერიის ბოლომდე უმაღლ მოჰყვებოდა სურათები.

შებინდდა, მარტო ვიყავი. კლოდინი სამუშაოდან კონცერტზე წავიდოდა. ეკრანი გავმართე და ყინულიანი ერთი ჭიქა რომი მოვიდგი, პროექტორს შევუერთე ლილაკიანი დისტანციური სამართი, ფარდების გადაწევა საჭირო არ იყო: დაუზარელი მწუხრი ოთახში უკვე ჩამოდგა, სასიამოვნო იყო მოლოდინი იმისა, რომ სადაც არის ყველაფერი ხელახლა უნდა გამოჩენილიყო — სოლენტიინამეურ სურათების შემდეგ კუბის სლაიდებს ვნახავ — მაგრამ რატომ. პირველად სურათები, რატომ პირველად ხელოსნების მიერ დამახინჯებული ცხოვრება? რატომაც არა! უპასუხებს პირველი და გრძელდება მუდმივი ჯიუტი დიალოგი, ერთმანეთის მეგობრული და ღვარძლიანი ლანძღვა, რატომ არ უნდა ვუყუროთ ჯერ სოლენტიინამეურ სურათებს, ესეც ხომ ცხოვრებაა, მაშასადამე, რა განსხვავებაა? ჩათავდა მესას სლაიდი, რომელიც საკმაოდ უხეირო გამოდგა ექსპოზიციაში დამვებული შეცდომის გამო, ბავშვები კი, პირიქით, მშვენიერი განათების ფონზე, ძალზე გამოკვეთილად თამაშობდნენ, უჩანდათ თეთრზე თეთრი კბილები. ლილაკზე თითის დაჭერას ყოველთვის ვაყოფნებდი, მზად ვიყავ უსასრულოდ მეცქირა ამ ფოტოებისთვის, ახლა უკვე მოგონებებისაგან განუყოფელნი რომ გამხდარიყვნენ — სოლენტიინამეს პატარა, უღონო სამყარო — გარემოცული წყლითა და მაძებრებით, როგორადაც თავად ეს ბიჭი იყო გარემოცული, ვუყურებდი მას და ვერაფერი გამეგო — ლილაკს თითი დავაჭირე და ბიჭი მეორე პლანზე ცოცხალივით გამოჩნდა: ფართე სახეზე უკიდურესი გაოცება აღბეჭდვოდა, მთელი სხეულით წინ გადახრილი სადაცაა ძირს დავარდებოდა, შუბლზე კი აშკარად აჩნდა ნახვრეტი — ოფიცრის რევოლვერის მიხედვით ჯერ კიდევ შეიძლებოდა სროლის მიმართულებისათვის თვალის მიდევნება; მის გვერდით კი სახლებისა და ხეების გაურკვეველ ფონზე ავტომატიანებიც ჩანდნენ.

პირველად ნაჩქარევი ფიქრები მოდის ხოლმე და წინ უსწრებს მოყოყმანე აზრს. ვიფიქრე: იდიოტები ყოფილან ამ ლაბორატორიაში — სხვა კლიენტის სლაიდები მოუციათ-მეთქი, მაგრამ ეს როგორ გავიგო? აბა, მესა და მდელიოზე მოთამაშე ბავშვები საიდან გაჩნდნენ? თითები არ მემორჩილებოდნენ, მაგრამ ლილაკს თითი მაინც დავაჭირე და დავინახე უკიდევანო გვარჯილის ვაკე; სადაც იდგა დაჟანგული თუნუქით გადახურული რამდენიმე ნაგებობა. შუადღეა, მარცხნივ ხალხი შეჯგუ-

ფებულა, ისინი უყურებენ ღია ცის ქვეშ გულაღმა მწოლიარე აქეთ-იქით ხელებგადაყრილ სხეულს — კარგად უნდა დაკვირვებოდი, რომ ფიგურათა სიღრმეში დაგენახა სამხედრო ფორმიანიები, რომლებიც გორაკზე მდგარი ჯიპისკენ მიდიოდნენ.

მახსოვს, განვაგრძე ყურება: ერთადერთი, რაც დაქრჩხვამ-დაუჯერებელ სიტუაციაში, რომელიც არაფრით არ ჯდება დასტოვებაში, იყო ის, რომ კვლავ დამეჭირა თითი ღილაკისთვის და მენახა — კორიენტესის და სან მარტინის ქუჩის კუთხეში როგორ გაჩერდა შავი ავტომობილი, რომელშიც იჯდა ოთხი ტიპი, მათ თოფები დამიზნებული ჰქონდა მესერის მხარეს, სადაც მოჩანდა თეთრპერანგიანი, სანდლებიანი ფიგურა, მენახა — ორი ქალი როგორ ცდილობდა ამოფარებოდა სატვირთო მანქანას, შემდეგ ერთმა კამერისკენ შემოაბრუნა სახე, რომელზეც დაბნეულობა და საშინელება აღბეჭდვოდა, ხელი ნიკაპთან ისე მიეტანა, თითქოს უნდოდა, შეხებით დარწმუნებულიყო, რომ ისევ ცოცხალი იყო. მერე ანაზდად გამოჩნდა რაღაც ნახევრად ბნელი ოთახი, ჭუჭყიანი სინათლე, რომელიც ჭერში დატანებული გისოსებიანი ფანჯრიდან ეცემოდა, დგას მაგიდა და ზედ დედისობილა გოგონა წევს, სახე ჭერისთვის მიუპყრია, თმა ლამის იატაკს სწვდება, ჩემგან ზურგით მდგარი მოჩვენება კი გაფარჩხულ ფეხებშია ელექტრონულ სადენს სჩრის. სახით ჩემკენ მდგომი ორი ტიპი ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკება, — ლურჯი პალსტუხი და მწვანე სვიტერი. არ ვიცი, ღილაკს კიდევ დავაჭირე თუ არა თითი, მაგრამ მხოლოდ ტუის ველობი გამოჩნდა, ჩალის სახურავები და ხეებიც დავინახე. პირველ პლანზე, უახლოეს ხის ძროსთან, იდგა გამხდარი ყმაწვილი და იყურებოდა მარცხნივ, ძნელად გასარჩევ ადამიანთა ჯგუფისკენ — ხუთი თუ ექვსი კაცი ერთმანეთის მხარდამხარ იდგა, და შამხანებიდან და პისტოლეტებიდან მას უმიზნებდნენ, ყმაწვილს სახე ჩამოგრძელებოდა, თმის კულულა შავგვრემან შუბლზე ჩამოვარდნოდა, ბიჭი უყურებდა მათ, ერთი ხელი ოდნავ მაღლა აეწია, მეორე კი, ალბათ, შარვლის ჯიბეში ედო. ეტყობოდა აუჩქარებლად და უხალისოდ რაღაცას ეუბნებოდა მათ. და თუმცა ფოტო არ ვარგოდა, მე ვიგრძენი და დავრწმუნდი, რომ ეს ყმაწვილი რილცე დალტონი იყო, მაშინ კი დავაჭირე თითი ღილაკს, თითქოსდა ამით შემეძლო მეხსნა იგი სიკვდილის სირცხვილისაგან, და უმალ დავინახე ქალაქის ცენტრში ჰაერში ნაწილ-ნაწილ ატყორცნილი ავტომობილი, ეს ან ბუენოს-აირესი ან სანპაულო უნდა ყოფილიყო: ისევ და ისევ ვაჭერდი თითს ღილაკს, პირს ვიბრუნებდი გასისხლიანებული სახეების კორიანტელისგან, ადამიანთა ხორცის ნაგლეჯებისგან და ლავად მოვარდნილი ქალებისა და ბავშვებისაგან ბოლივიისა თუ გვატემალის ფერდობებზე რომ მორბოდნენ — მოულოდნელად ეკრანზე გაჩნდა ვერცხლისწყლისდარი ციმციმი, სიცარიელე და კლოდინის პროფილი; კლოდინი ჩუმად შემოსულიყო და ეკრანზე მისი ჩრდილი მანამდე დაეცა, სანამ დაიხრებოდა, თმაზე მაკოცებდა და მკითხავდა: კარგი გამოვიდა სლაიდები, კმაყოფილი ხარ თუ არა და მეც ხომ მაჩვენებო.

მე ბარაბანი გავსსენი და ნულოვან ნიშნულზე დავაყენე — ხანდა-ხან იღუმალების ზღვარს რომ აბიჯებ, არ გაგეგება შენი მოქმედების მოტივები და მიზეზები. კლოდინისთვის არ შემიხედავს, რადგან ის რალაცას მიმიხვდებოდა ან უბრალოდ შეაშინებდა ჩემი გამომეტყველება, არაფერი მიპასუხნია, რადგან მთელი სხეული ყელიდან დაწყებული ტუჩების თითებამდე, თითქოს გამშეშებოდა, წამოვდექი, კლოდინი მშვიდად დავსვი თავის სავარძელში და რალაც ამის მსგავსი ჩავიბურტყუნე, წავალ, რაიმე დასალევს მოგიმზადებ, მანამდე შეგიძლა უყურო, დიას, უყურო-მეთქი. აბაზანაში არ ვიცი ძალებინებდა თუ, უბრალოდ, ვტიროდი, მერე კი, მგონი, მართლა ძალებინა, თუ არც ეს იყო, და მე ვიჯექი აბაზანის კიდეზე და ვიცდიდი, როდის შევძლებდი სამზარეულოში გასვლას და კლოდინის საყვარელი სასმელის მომზადებას. ჭიქაში ჩავაგდე მოზრდილი ყინული და ვისმენდი სიჩუმეს, მივხვდი, კლოდინი არ ყვიროდა და არ გამორბოდა ჩემკენ შეკითხვებისთვის — იდგა სიჩუმე და მეზობლიდან ჩუმად ისმობდა ბოლეროს ტკბილი ხმები. არ ვიცი, რამდენ ხანს მოვუნდი დერეფნის გავლას სამზარეულოდან ოთახამდე. ეკრანიდან მივხვდი, რომ კლოდინს ბოლომდე ჩაეთავებინა ფირი. ოთახი გაანათა წუთიერი ციმციმის ანარეკლმა, მერე ბინდი ჩამოდგა, კლოდინმა პროექტორი გამორთო და სავარძელში გადაწვა, რათა ჩემთვის ჭიქა გამოერთვა. ის ჩუმად იღიმებოდა, სიამოვნებისა და სიმშვიდის განცდისაგან ფისოსავით თვალებს ნაბავდა.

— შესანიშნავად ვადაგვილია ყველაფერი, განსაკუთრებით თევზი რომ იცინის, დედა ორ შვილთან ერთად და მინდვრად მობალახე ძროხა. ეკლესიაში ნათლობა ვისი ნახატია? წარწერა არა ჩანს.

ვიჯექი იატაკზე და მას არ ვუცქერდი, ჩემი ჭიქა ავიღე და ერთბაშად გამოვცალე. არაფერი მიპასუხნია, ან რა უნდა მეთქვა, მახსოვს ჩემთვის ზანტად მართო ის გავიფიქრე: რა იქნება ახლა ეს იდიოტური შეკითხვა რომ დავუსვა: რალაც მომენტში ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონი ხომ არ გამოჩენილა-მეთქი, მაგრამ ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ მიკითხავს.

სან-ხოსე — ჰავანა, აპრილი, 1967 წ.



ლ ე ქ ს მ ბ ბ



გ ე რ მ ა ნ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა ნატო თხიდავაძე

მაინც რა არის ღაღა?

ხელოვნებაა? ფილოსოფიაა? პოლიტიკაა?  
სულაც სახანძრო სომ არ არის?  
ეგებ სახელმწიფო რელიგიაა?  
ან ჭეშმარიტი ენერგიაა?  
თუ სულ არაფერი, ან ყველაფერი?

„ღაღა“, № 2, ბერლინი, 1919 წ.

მაინც რას უნდა ნიშნავდეს სახელი ღაღა? — იქნებ ყველაფერს ან სულ არაფერს. ასეა თუ ისე, მას რითმი და უღერადობა გააჩნია და ბავშვის ღულუნს, სულაც შეშლილთა ღულლულს, ან პრიმიტივთა ენასაც კი გვაგონებს.

როცა პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ავანგარდის დადაისტური დაჯგუფების მესვეურები ნეიტრალურ შევიცარიაში თავყრილობებს აწყობდნენ, რათა ხელოვნებაში გადატრიალება მოესდინათ. დადაისტებს სურდათ არტიკულაციის იმგვარი ფორმების გამოძებნა, რითაც „გაუხეშებულ“ სამყაროში ადამიანის როლსა და ადგილს დააფიქსირებდნენ.

1916 წელს ჰანს არპის, ჰუგო ბალის, რიჰარდ შტელზენბეკის თაოსნობით გაიხსნა კაბარე — Cabaret Voltaire, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი სამხატვრო გალერეაც.

სწორედ იმხანად ციურიჰში, კაბარეს მახლობლად, შპიგელგასეს 6 ნომერში, ულიანოვ-ლენინი ცხოვრობდა. მას ყოველ საღამოს ნებსით თუ უნებლიედ დადაისტების მუსიკისა და ტირადების მოსმენა უხდებოდა. ძნელი სათქმელია, იყო ეს მისთვის სიამოვნების მომგვრელი ან თუნდაც სასარგებლო.

ჰუგო ბალი 1917 წლის 7 ივნისის დღიურში ჩაიწერს: „იქნებ დადაიზმი სწორედ ბოლშევიზმთან დაპირისპირებული თამაშის უესტია და ნიშანი. იქნებ დადაიზმი სწორედ ბოლშევიკურ დესტრუქციასა და საყოველთაო ანგარიშსწორებას სავსებით დონკიხოტური, ერთი შეხედვით უაზრო და ბოლომდე შეუმეცნებელი სამყაროსეული თვალსაწიერით აღუდგა წინ...“

ერთი რამ ცხადია, ღაღა ფერებისა და ბგერების კოლაჟად აღიქვამდა სამყაროს და ქმნიდა კიდევ „ვიზუალურ“ და „აკუსტიკურ“ პოეზიას.

ღაღა თავსმოხვეულ ყველანაირ იძულებას გაურბოდა. მას უაზრობის სენსაციური, მოკის მომგვრელი დემონსტრირება ერჩია, რითაც

ე. წ. ანტიხელოვნებას უწევდა პროპაგანდას. დადაისტები წარმოთქმულ სიტყვას ანიჭებდნენ უდიდეს მნიშვნელობას და საკუთარი პროდუქციის რეჩიტაციისას პლაკატებს, ნახატებს, მოხსენებებს იშველებდნენ ხოლმე. ამრიგად, დადაიზმი ხელოვნების დარგებს შუა მკვეთრ ზღვარს არ ავლებდა. მათ ჩამოაყალიბეს ლექსის ახალი ტექნოლოგიური გვარი — *Simultan Gedicht*.

ზინზლირთეკა

50-იანი წლებიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას იწყებენ ნეოდადაისტები: პ. ც. არტმანი, რაინერ მ. გერჰარდტი, პეტერ ჰერტლინგი, ერნსტ იანდლი, კურტ ლეონჰარდტი და სხვ.

საგულისხმოა, რომ პაისენზიუტელი თავის პირველ ლექსებს — კომბინაციებს, ფრანც მონი კი ტოპოგრაფიებს უწოდებს.

1953 წელს გომრინგენი ბერნში თავის კონსტელაციებს — *Konstellationen constelations constelationes* ბეჭდავს, რაც ლირიკის ახალ განმტოებას — კონკრეტულ პოეზიას ჩაუყრის საფუძველს.

დადას მრწამსს ასე გვამცნობდა ჰანს არპი: „საჭიროების შემთხვევაში პოეტი უნდა ბილწსიტყვაობდეს კიდეც, ოხრავდეს, ენა ებმოდეს, ზოგჯერ კი ბულბულის რაკრაკივით მოისმოდეს მისი მღერა. ლექსი უნდა ჰგავდეს ბუნებას; იგი სიცილს უნდა იწვევდეს ჩვენში და ზოგჯერ თავიც კი უნდა მოგვაბეზროს. დასაშვებია უსიამოვნო სურნელიც კი ასდიოდეს ლექსს ისე ვით ბუნებას. პოეტი ადამიანის მიერ უბადრუკობად გააზრებულ არარაობებს ამალღებულ კრიტორიკად უნდა აღიარებდეს. ბუნების ყოველი კუთხე-კუნჭული განა თანაბრად მშვენიერი და მნიშვნელოვანი არ არის ისე ვით ვარსკვლავი?!“

მთარგმნელისაგან

ჰანს არპი

მშვედრებელი

არფაზე დამკვრელნი  
ხოჭოსებრ უმეტყველო სახისანი  
ძალუმად გამოჰკრავენ ხელებს  
სიმებს.  
უსულგულო ბავშვები  
სულშთაბერილი ბუმტებით  
თამაშობენ.  
ბუნტის ამტეხნი  
ათასგზის საზრიანნი  
თავიანთი ბრაზიანი  
ათასი ჯურის ბრიყვული საქმით  
გართულნი  
მოელიან დროს

როდესაც  
ტანსაცმლის კარადებში წამოვა  
თოვლი.  
ვიღაც აბეზარი  
ეი, ჰეის გაიძახის.  
ფრთაშოკვეცილი ხე  
ნათესავობას გვიმტკიცებს.  
ჩვენ კი მვედრებელნი  
მოთხოვნის წერილს მოუთმენლად  
ავმართავთ ზემოთ  
და ვიმედლოვნებთ რომ  
თეთრი ლუქის ბეჭდისა წვეთი  
ჩამოვარდება ცის შავი თალიდან  
და დალუქავს მას.

რიკარდ კუელზენბეკი

კუკჯონიღები



1.

მივუყვებოდი გუშინ ქუჩას ნავსადგურისკენ,  
 სადაც ტალღები უდაბურ ქუჩებს გარს ევლებიან, ვნახე  
 გემები, ნაცრისფერში დაყვინთული ნაჭუჭები, მიჯაჭვული  
 ნავჭურჭლები, რომლებიც ოდესღაც სივრცეს ელტვოდნენ, მაგრამ  
 ახლა სივიწროვეს შეთვისებიათ.  
 გემების ლუკებზე თვლემენ შტურმანები,  
 მოქანცულნი საჭის ტრიალით. რა ბედენაა მართვა,  
 დასაბამიდან უმართავისა.

ძაღლებივით არიან დაბმულნი გემები, მათ  
 კერია ფსკერზე მოიწყვეს, რაზომაც ფსკერი  
 ეყოთ. სადღაც, გარეთ და შიგნით რული მოსდებიანთ მამაკაცებს.  
 მოწყვეტილთ გარეგანსა თუ შინაგანს, მათ ძილი ჰფარავთ.  
 უეცრად საბნებიდან, გაზინზლულთაგან, მოკოტრიალობს  
 კაპიტანი კუკჯონი.

ერთი კაპიტან კუკჯონს დამისხედეთ, ლოგინის კიდეში  
 ფეხი როგორ მოურთხამს, დახედეთ კუკჯონს ერთ ფეხზე და  
 მეორეზედაც,  
 ო რა მხნედ უმკლავდება იგი ცდუნებას.  
 ეგეოსის ზღვისგანაა კუკჯონი ცდუნებული.  
 ხოლო ღამით კი მას მეძავი აცდუნებდა დიდი შორეთისა.

გაოფლილ ლოგინებში ეძლეოდა ძილს კაპიტანი  
 კუკჯონი, უმეცარი. რა სცოდნია მას  
 მომავლისა, რაც თვალსა და ხელს შუა ქრება? რა სცოდნია მას  
 თევზის მონატრებისა...?

ეს ის დიდრონი თევზებია, გულზე რომ გვეხატება.  
 ეს დიდრონი თევზები დაცურავენ ალმა და დაღმა.  
 თან კუდებს წამოსწევენ, მოხერხებულად,  
 რათა სიგნალს მიაყურადონ,  
 მომსკდარს სიღრმიდან.

ასეთი არის ცხოვრება კაპიტან კუკჯონისა.  
 მაგრამ ეს ხელის მოცარვის ჟამია.  
 ეს სიმბოლოთაგან დაცლილი ჟამია.  
 ეს ის ჟამია, როდესაც დედაკაცები შიშველ იატაკებზე იძინებენ,  
 ხოლო სახება ღვთისმშობლისა განერიდება მათ.

2.

იმ ქუჩაში, ნავსადგურს რომ მიუყვება, ვნახე თევზები,  
სანუკვარი სამშობლოს დატოვებისას, გზას შემდგარნი ურთსულოვნად.  
ვნახე თევზები, შორეთისაკენ გზას შემდგარნი,  
მაგრამ ბოლოს მაინც ნავსადგურთან მობრუნებულნი.



როგორც დროს იხელთებ, კუკჯონზე იფიქრე.  
სამყარო ვიდრე ტრიალებს, ჩაუფიქრდი საკუთარ თავსაც.  
საკუთარ თავზე ჩაფიქრებით თუ მოიქანცები, კუკჯონზე იფიქრე.

თქვენს წინაშეა გმირი, ვის შესახებაც გაზეთები ყურს გვიჭედავენ.  
ქვეყნად არის კუკჯონი კვლავ და იქნება კიდევ,  
რამდენ ხანსაც მას მხარს აუბამენ.

იმ ქუჩაზე, ნავსადგურს რომ მიუყვება, კარუსელები დაუდგამთ,  
მაგრამ მწყობრიდან არიან გამოსულნი და მუსიკაც მიმწყდარა.  
ყვავებივით ცივად დამდგარან თვითმფრინავები, შებურულნი  
დღის სინათლეში.  
სიღრმიდანვეა მუსიკა მიმწყდარი და თვითმფრინავები მას  
აღარ აჟღერებენ.

ვეება შუქს სადაც კაშკაში გაჰქონდა, იქიდან ტეხილი სანაპიროლა  
შემორჩა.  
სადაც ფრინველნი დაგოგმანობდნენ, იქ ახლა ბაყაყილა ხტუნავს.  
თქვენს წინაშეა კაპიტანი კუკჯონი, რომელმაც აურაცხელი ზღვა  
დალაშქრა.

იგი ლაშქრავდა მათ ხელით, იგი ლაშქრავდა მათ ფეხით.  
რაკი ბრალი ფეხებს ედებათ, ისმინეთ კეთილი რჩევისა.  
რაკი ბრალი თვალებს ედებათ, გაიიოლებთ ხედვას.  
ახლა ღვინოც ფსკერამდეა დაყვანილი და ტრაქტირიც  
ხელიდან გამოგვცლია.

ჰოდა, მოდი კაპიტან კუკჯონს მივდიოთ მხარდამხარ,  
ვიდრე ახლიდან წარმოიქმნება ყოველი.

კურტ ლეონკარდტი

თანამედროვენი

1.

თვითობა საზომი გამხდარა  
ძალაუფლებისა იმფიათადაა მასა  
ოაზისი დაო ქაოტური  
უდაბნოები დალხენანი და  
მზაკვრობანი

ქვიშობი სიტყვისა საძიებელი  
ქვეყანა მოსაგონებელი ძნელადლა  
მოხვეჭილი და დანაწევრებული  
ნათათბირევი და გაუგვანოებული  
მყოფობა წმინდა აროდეს არსაით



არც შენი და არც ჩემი  
ოსტატთა სულები სახლობენ  
მასლაათებში სახსოვნელ  
აღრეულ წესრიგს  
შემოინახავენ და  
უხილავ ფორმებს  
შეამკობენ  
ახირებულ მორჩილებას კი  
მეფედ დასვამენ  
ზეგარდმო ამისა  
სიმულაციას ვეძლევი  
რათა მოგვეცეს სტიმული

2.

მსხვერპლნი ანდა ჯალათები  
ქრისტიანები ანდა წარმართები  
ვირი ან მხედარი  
და ასე შემდეგ  
და უმაღლეს არის  
თუმცა მოაზროვნე  
ბუტბუტებს თავის სიტყვას  
ცხოვრება მოლხენაა  
ცხოვრება მკვლელობაა  
ყოველგან მსგავსადვე  
ნურას ინანებ  
ყველა არს ერთი  
ნურვინ გეძულება  
შენა ხარ ყოველი  
შეიცადე  
შეისვენე  
აღივსე პირთამდი  
ბედს მიენდე  
დასვი საკითხი

თითქოსდა გვცოდნოდეს რაიმე  
ანიდან ჰაემდე ქაოტურის  
ზოგან კრიტიკულის ზოგან  
ნარკოტიკულის  
აქ გულს ვიტყვით  
ვიფრთხილდებით  
აქ გავისხენებთ იქ ვივიწყებდით  
სულს მოვითქვამთ გვედება ჟანგი  
და ალვიჭურვებით  
ჩვენი დალხენანი და მზაკვრობანი  
აი სულ ეს არის  
სკამებს და წისქვილებს შუა კი  
დაო და მაო განცდები  
ჩვენ სოფისტები და  
სოლიპსისტები

გარისკე  
ცხოვრება მკვლელობაა  
და ასე შემდეგ  
და უმაღლეს არის  
გარეშე მღვდლის ოინისა  
ნუ წამოეგები  
ნულარც უღიმღამო  
დრო-ჟამის ბორდელს  
იოლად მაცდუნებლის  
მატერიალისტებისა  
იდეალისტებისა  
აქტივისტებისა  
ქუეტიისტებისა  
და ასე შემდეგ  
და უმაღლეს არის  
ცხოვრება სალხინო  
წმინდანის სვეტზე  
ან სულაც ეკვილიბრისტის  
კიბეზე თუ არის

## ჰანს კარლ არტმანი

## უცქერდა ნორჩი მარტორქა



უცქერდა  
 ნორჩი  
 მარტორქა  
 Ade: აღმოხდა  
 და აფრიალდა  
 პაწია ალაში  
 უყვარდა ასევე  
 მამულიც  
 ტურფა  
 მხევლებთან  
 ერთად ლაღობდა  
 სარკმელთან დახტოდა  
 გაღმა და გამოღმა  
 სიყვარული  
 ქორწილი  
 თუნდ არა თანასწორი  
 მან ლოგინიდან  
 სანდლებში ისკუპა  
 და იმდენი ითვალა  
 რეკვა ზანზალაკის  
 რომ აზრად ჩემი ბედაურის  
 აღკაზმვა მოუვიდა  
 რათა გაჭენებულიყო  
 უცხო მხარეში  
 ძილს ეძლეოდა ფარშევანგის  
 და ბულბულის გარემოში  
 თავს ლაღად ვგრძნობდი  
 რიჟრაჟის სიოში  
 მარჯვნივ და მარცხნივ  
 ჩანჩქერთა წინაშე.  
 სურნელი მუხისა და  
 ია ჯადოსნური  
 ქნარი და მახვილი  
 კარაქი და პური  
 მდიდრული ზარდახშეები  
 ზანდუკებიანად  
 თერთმეტს რომ თერთმეტი  
 არის ოცდასამი  
 კვლავ ტურფა ბაღნარი  
 პეპლებიანი

ლერწი მელნის ხისქოვნული  
 თესლი წიწაკის ზიზღიოთქა  
 ლერწი ბალზამის  
 მარცვალი ფეტვისა  
 კვლავ ხელთ გვიპყრია  
 პოლონეთი  
 ძველი სიყვარული  
 ნაადრევ საფლავში  
 მომმადლე გეთაყვა  
 ერთი გროში  
 ტყე მაცხოვრებელი  
 სამარხი ქათმისა  
 რომი ნაგებია  
 ქვითა და ფეხითა  
 სიგრილე მოჟონავს  
 ეკლესიებიდან  
 ტოროლა  
 შაშვი და  
 ყორღანი  
 სულთმოფენობა  
 და გულ-ღვიძლით სავსე ქოთანი

მიმწუხრის ზეცა წითელი  
 ვახშამი  
 რიჟრაჟი წითელი  
 თავშესაფარი  
 ნუ მიმაბარებთ  
 არ მეპიტნაფება  
 ეგ ჯადო სახლი

აი იღვიძებს  
 ავი ნიკრისი  
 თამამად წარმოთქვი:  
 ერთი ორი  
 რობინზონი  
 ოი შენ დეპეშავ  
 ყველა დღე ცისმარი  
 „ამსტელდამი“  
 ეტიკეტზეა  
 ჰანსი და გრეტელი  
 ბაბილონი  
 არ წაგცდეს  
 მაქეთკენ

ხელი  
 ფუტკარი ფუტკარი  
 მაცნეს საჩუქარი  
 ფრინტა ტკბილი  
 ქალი  
 ის ტყუის  
 ვაღმა ფანჯრისა  
 ჩემს კაიზერს  
 ჯარისკაცები დასჭირდა  
 თამაში კარტისა  
 ჩრჩილი კაბისა  
 მარტორქა  
 ორცხობილიანი  
 რა ვუთხრათ  
 ბალახი მწვანეა  
 მთვარუნა სავსეა  
 ძეხვი იცრემლება  
 ქალი-ძეხვისთვის  
 დაახლოებით ასეა აქეთკენ

ღრმად პატივცემულ  
 გერმანთა ქვეყანავ  
 ო შენ ლუდვიგ  
 აი გაშენდა  
 აურაცხელი  
 მტირალა ტირის  
 წყარო თვისსავე  
 წყლითაა ნატიფი  
 ხეებთან  
 იუდა კრთის  
 სიტყვაა თამამი  
 კეთილად ნათქვამი  
 ეჰ ძმაო  
 ეჰ დაო  
 და ჩემო ერთგულო ახალი წლის  
 ღამევე  
 შენთვის მომინდვია  
 მხარე ტიროლი



კალმუტ კაინანვიუტალი

კო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი

1.

აღარასოდეს ამ ცხოვრებაში.  
 შემოდგომა 42-ისა ანდა ზაფხული 50-ის.  
 დაგზავნა დაუგზავნელი წერილებისა.  
 სახელი დამავიწყდა.

2.

თოლიები გუნდებად მიფარფატებენ ჰორიზონტისკენ.  
 გრაფიტის სფეროა მთვარე ნამგლისებური წახნაგებით.  
 მწვანე ცის შუაგულში ნარინჯოვანი სარკმლები  
 დაკიდებულან.

3.

თოვლის ბურუსში დაბანგულა ჩემი სევდიანი პრინცესა.  
 მან სიზმარში ცრემლი ღვარა.  
 სახე გამომიჩინა ჩემმა სევდიანმა პრინცესამ.  
 ზღაპრის არსებაა ჩემი სევდიანი პრინცესა.

4.

ისრები წყვდიადის ნათლიდან ხელ-ფეხს მიბორკავენ.  
 ხელიდან მისხლტებიან ისრები ლანდისა.  
 პწკარები დახვავებული ლექსებისა.  
 მოგონება განუმეორებლისა.



5.

მე არ ვფიქრობ ამას ან მერე ან როდის.  
 გუშინდელზე არც ზეგინდელზე მე არ ვფიქრობ.  
 მოგონება საკუთარ თავზე გადამავიწყდა.

6.

მოგონება განუმეორებლისა  
 თქმა სათქმელისა  
 განცდა განცდადისა  
 გადაჭრა გადასაწყვეტლისა  
 მიღწევა მიღწევადისა  
 განმეორება განმეორებადისა  
 დასრულება დასრულებადისა

თუ რამ არ სათქმელია  
 თუ რამ არ განცდადია  
 თუ რამ არ გადასაწყვეტელია  
 თუ რამ არ მიღწევადია  
 თუ რამ არ განმეორებადია  
 თუ რამ არ დასრულებადია

არ დასრულდება აროდეს

### ოიპან ბოპრინგარი

სიტყვები არსებობენ ლანდებად  
 ლანდები გარდაისახებიან სიტყვებად

სიტყვები არსებობენ თამაშობებად  
 თამაშობები გარდაისახებიან სიტყვებად

არსებობენ ლანდები სიტყვებად  
 გარდაისახებიან სიტყვები თამაშობებად

არსებობენ თამაშობები სიტყვებად  
გარდაისახებიან სიტყვები ლანდებად

არსებობენ სიტყვები ლანდებად  
გარდაისახებიან თამაშობები სიტყვებად

არსებობენ სიტყვები თამაშობებად  
გარდაისახებიან ლანდები სიტყვებად



ერნსტ იანდლი



რამდენი შვილი გყავთ  
სინამდვილეში? — შვიდი  
ორი პირველი ცოლისაგან  
ორი მეორე ცოლისაგან  
ორი მესამე ცოლისაგან  
და ერთიც  
სულ პატარა —  
ჩემი ქმნილება

ფრანც პონი

კორიზონტალური პროექცია

იყო თვალსაჩინო  
არის სავსებით თვალსაჩინო  
უფრო და უფრო თვალსაჩინო შეიქნა ახლა

ყველაფერი თვალსაჩინოა  
სიფრიფანაფრთიანები  
მოგვიანებით მოსარკლული რეფლექსიები

წნული თმისა  
პაწაწკინტელა მინის ბურთულა მეთევზე ნადავლს  
ამოზიდავს მდინარიდან მეტისმეტად ნორჩს სასიკვდილოდ  
წყლის გლუვ ზედაპირზე  
ფშვინვა  
ჰორელიეფი

ჰელიოტროპი  
ღვთის შვილებისგან შობდნენ ასულნი  
ადამის მოდგმას  
შიშვლად და ნატიფად

მალღებოდნენ ორთავენი თანაბარ ტალღებზე  
 წამოსწევდნენ თავებს დროდადრო  
 აკვირდებოდნენ ერთმანეთს კვლავ  
 ჰორიზონტალური პროექცია და

ჩამორთმეული ჩხრეკისას  
 დედაარსი  
 უბის წიგნაკისა



„რაოდენ მძიმედ ისჯება კაცი  
 ეჭვმიტანილი დანაშაულში საეჭვოდ“

წელში მოკაკვულან  
 გიმიზნებენ რათა მოგარტყან მანდ  
 (ზურგის მოვლით მზერა წინისკენ)  
 მხეცი გამოსხლტა ბაგეთაგან ორისთვის  
 სამისთვის შენ მკვდარი ხარ

იგი მკვდარია  
 უკვე აქ არის ყველა ფრინველი  
 ყველა ფრინველი  
 ყველა.

რაინარ მ. გერკარდტი

ხ მ ა

სინაზვე შენ უტყვო  
 თუ ახლოვდება მთიდან რეკვა ზარების  
 მე ვმღერი  
 ღამე ჩემი ეული  
 ძალმომრეობას მოკლებული ჩემი ხმა  
 წყალს დაუფარავს მარჯვენა ჩემი  
 ენა აჯვარებს  
 ჰაერთან სითბოს  
 იასამანი მალრიბული  
 მეტალი არა  
 არც ოცნებები  
 სიწითლე წყლისა სისხლით წითელი  
 და ანგელოზისებრ პირმშვენიერი ყრმა  
 წამახულ სახურავზე  
 ჭენებით  
 აღლუმი მზისა  
 გააცილებენ ძალღები  
 აღლუმს მიწისა  
 გამძვინვარებული გრიგალი.

იოჰანეს პოეთენი

დილა

დილა იფრქვევა ღამის თავიდან  
ვარსკვლავს სრესს ხელში  
ხე იბანგება სისხლში.

თვის ვერაგობას ყველას ზურგს უკან  
განავრცობს შუქი.

დღეს ტერფები გადასერია  
ხოლო ღრუბელი თავს იმარხავს საკუთარ შუბლში.

კვლავ გადაჰყივის მამალი ბორცვაკს წითლად.

პეტერ პერტლინი

ისევ მოელის

(მინაწერი ბავშვის ნახატზე)

მთვარე უტერფოდ დაიარება  
და იძირება,  
რადგან ღრუბლები  
ქედებს გადაღმა აღრევენ ფერებს.

ატმის ხეები  
დარბაისულ მოსასხამებში სევდიანობენ  
მოსვლამდე წვიმის.

ისევ მოელის  
მთვარე ტოტებში  
ატმის გულიდან ამომსკდარ მღერას.



## საზარული სიტყვისკონა



თარგმნა გურამ გოგიაშვიდმა

### ისლამური წყაროები საზართა საკითხის შესახებ

**ალ-ბექრი სვანიარლი** (XI საუკუნე) — საზარული პოლემიკის მთავარი არაბი ქრონისტი, რომლის ტექსტიც მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა (Kunik and Rosen, 44), ის არაბულიდან თარგმნა Marquart-მა (Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903, 3-8). ალ-ბექრის ტექსტის გარდა საზარულ პოლემიკაზედ, ესე იგი საზართაგან სხვა სარწმუნოების აღსარებაზედ, შემორჩენილია კიდევ ორი ცნობა, თუმცადა ორივე არასრულია და ყოველთვის ნათლად არ ჩანს, ეხება თუ არა რომელიმე საზართა მიერ იუდაიზმის, ქრისტიანობის ანდა ისლამის აღიარებას. ერთი ეს ცნობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იშთაქ-ხარის ტექსტს, რომელსაც ამჟამად სწორედ ის ნაწილი აკლია, საზარულ პოლემიკას რომ ეხება, მასუდი უფროსისეულია, თხზულება „ოქროს მდელითა“ ავტორისეული, რომელსაც უცილოდ მიაჩნია, რომ საზართ თავიანთ რჯულზედ უარი თქვეს ჰარუნ ალ-რაშიდის (786-809) მმართველობის უამს, ოდეს საზართა სახელმწიფოში თავი მოიყარა ბიზანტიიდან და ხალიფატიდან გამოდევნილმა უამრავმა ებრაელმა, რომელთაც გულგაშლილად შეხვედრიან. პოლემიკის მეორე ქრონისტი იყო იბნ ალათირი, ოღონდ ამის მოწმობა დედნისეულად არ შემონახულა, ჩვენთვის ის დიმასკის ვადმოცემით არის ცნობილი. ერთი სიტყვით, ყველაზედ უფრო საიმედო და ამომწურავი წყაროა საზარული პოლემიკის ქრონისტი ალ-ბექრი, რომელიც უეჭველყოფს, რომ საზართ 731 წლის წინ და ხალიფებთან ომების შემდგომ არაბთაგან მშვიდობასთან ერთად ისლამიც მიიღეს. მართლაც, არაბი ქრონისტები იბნ რუსტე და იბნ ფადლანი საზართა სამეფოში ისლამის აღმსარებელ მრავალ პირს ახსენებენ. ისინი ლაპარაკობენ აგრეთვე „ორმაგ საბრძანისზედ“, რაც, ალბათ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ განსაზღვრულ დროს ისლამს საზართა სახელმწიფოში ისეთივე უფლებები ჰქონდა, როგორც რომელიღაც სხვა სარწმუნოებას, — კერძოდ, ხაკანს, შეეძლო მუჰამედის რჯულის აღიარება, ხოლო საზართა მეფეს იუდაიზმის აღსარება. ალ-ბექრის მოწმობით, საზარნი მერმე გაქრისტიანდნენ, პოლემიკის შემდგომ კი, რომელიც ხაკან სავრიელოვადის უამს გაიმართა, 763 წელს, საზართ იუდაიზმი აღიარეს. ამასთან ისლამის წარმომადგენელი ისტორიულ დავაში არ მონაწილეობდა იმის გამო, რომ საზარებისკენ მიმავალი გზაში მოწამლეს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“, № 3-4 2006.



ალ-ბექრის აზრით (როგორც დაუბმანუსი ვარაუდობს), ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ის დრო იყო, როცა ხაზართ პირველად გამოიცვალეს რჯული და ისლამი აღიარეს. **ღვთაებრივი წიგნი** მრავალფენოვანიაო, წერდა იგი, და ამას მოწმობსო პირველი იმამი, როცა უბნობს: „ანგელოზთა ხელით გამოგზავნილ ამ წიგნის არც ერთი სიტყვა ცით ისე არ გარდმოსულა, რომ პირდაპირ ვთქვათა ჩემსა არ გამობმოდეს, და არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც რომ წინათვე ხმამაღლა არ წარმომეთქვას. სუყოველი სიტყვა მან რვაგზის განმიმარტა: ზუსტი მნიშვნელობა და სულიერი აზრი; წინა სტრიქონის აზრის შემცველი სტრიქონის აზრი და მომდევნო სტრიქონის აზრის შემცველი სტრიქონის აზრი; აზრი შემოკლებული და სულიერი; კერძო და საზოგადო“. ექიმ ზაქარია რაზის ზოგი რამ მიმანიშნებლის გათვალისწინებით, ალ-ბექრის შესაძლებლად მიაჩნდა სამი რჯულის — ისლამის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის — გაგება **ღვთაებრივი წიგნის** სამ დონედ. ყოველი ხალხი **ღვთაებრივ წიგნს** აღიქვამს თავისებურად, იმ წესითა და რიგით, რაც ყველაზედ უფრო მეტად ესადაგება და ამასთანავე თავის სიღრმისეულ ბუნებას ავლენინებს. მნიშვნელობათა პირველ ფენას ის არც კი განიხილავდა, რადგამ ეს ზუსტი, სიტყვასიტყვითი ფენაა, „ავამად“ წოდებული, და, სარწმუნოებისდა მიუხედავად, სუყოველი კაციისთვის ხელმისაწვდომია. მეორე ფენა ალუზიათა, ანუ არაპირდაპირ მნიშვნელობათა ფენაა, რომელსაც „კავასი“ ეწოდება. და რომელსაც რჩეულნი იგებენ, წარმოადგენს ქრისტიანულ ეკლესიას და წიგნის აწმყო დროსა და ბგერას (ხმას) ფარავს. მესამე ფენას „ავლია“ ეწოდება და ოკულტურ მნიშვნელობებს მოიცავს, **ღვთაებრივი წიგნის** ებრაულ დონეს წარმოადგენს, ეს მისტიკურ სიღრმეთა და რიცხვთა ფენაა, წიგნის წერილობითი ნიშნების ფენა. ხოლო მეოთხე, „ანაბია“, წინასწარმეტყველური სინათლისა და მომავლის ფენაა, ისლამურ მოძღვრებას მთელი თავისი არსობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს, ეს წიგნის სულია, ანუ სიღრმის მეშვიდე სიღრმე. ამრიგად, ხაზართ თავდაპირველად **ღვთაებრივი წიგნის** ყოვლის უმაღლესი დონე („ანაბია“) მიიღეს და მხოლოდ შემდეგ დანარჩენი ფენები, თანაც არა თანმიმდევრობით, რითაც ცხადყვეს, რომ ყოვლის უფრო მეტად მუჰამადის მოძღვრება შეჰფეროდათ. ასე რომ, არსებითად, ისინი მერმე არცროდის ჩამოშორებიან ისლამს, თუმცა გარკვეულ დროს ქრისტიანობიდან იუდაიზმში კი გადავიდნენ.

ეს იმ ფაქტის დამადასტურებელია, რომ მანამ, სანამ ხაზართა სამეფო დაიღუპებოდა, უკანასკნელმა ხაკანმა კვლავ აღიარა თავდაპირველად არჩეული რჯული, ანუ ისლამი, რასაც არაორაზროვნად მოწმობს იბნ ალ-ათირის ჩანაწერი.

სპანიარდ ალ-ბექრის თხზულება დაწერილია დახვეწილი არაბული ენით, როგორი ენითაც თავად ანგელოზნი მეტყველებდნენ, თუმცა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ღრმად სიბერეში, სტილმა, ცოტა არ იყოს, უმტყუნა. ეს მაშინ მოხდა, როცა მან თავისი სამოცდამეშვიდე წელიწადის დაპურება დაიწყო. უკვე მელოტს, მარცხენა ხელისა და მარჯვენა ფეხის მხმარებელს, ერთადერთი, რაც წარსულისგან შემორჩენოდა, წყვილი ლამაზი დიდრონი თვალი იყო, ორი პატარა ცისფერი

თევზის მსგავსი. ერთხელ ღამით ალ-ბექრის ესიზმრა, რომ ვიღაც ქალი კარს უკაკუნებდა. კარში მთვარის შუქისთვის დატანებული ჭუჭყურტანიდან ის ცხადად ხედავდა იმ ქალის სახეს, თევზის ფქვილით ცხაურდრულს, როგორც ეს ქალწულთ სჩვეოდათ. როცა ის კართან ქალის შინ შემოსაშვებად მივიდა, დაინახა, რომ იგი ფეხზედ დგომელაქმურად მიწაზედ მჯდომარე აკაკუნებდა, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში — "ჩემი" სწესაზედ მდგარი ალ-ბექრის სიმაღლისა იყო, ხოლო როს მან წამოდგომა დაიწყო, ეს ისე დიდხანს გრძელდებოდა და თავით ისე მაღლა-მაღლა მიიწევდა, ალ-ბექრი შეშინდა და გამოეღვიძა, ოღონდ არა თავის ლოგინში, სადაც აღწერილი სიზმარი ნახა, არამედ წყალზედ დაკიდებულ რაღაც გალიაში.

ოცი წლის ბიჭი იყო, მარცხენა ფეხის მხმარებელი, გრძელი ტალღიანი თმა და წვერი ჰქონდა, რომელი წვერიც ისეთ რასმე შეახსენებდა, რაც, დარწმუნებული იყო, არცროდის გადახდენოდა, — ვითომც იმ წვერს ღვინოში ავლებდა და იმით ვიღაც გოგოს ძუძუ-მკერდსა ბანდა. არაბული მან წამლადაც არ იცოდა, ციხის ზედამხედველს კი, რომელიც ბუზთ აბურნუთებდა და იმითი უცხოობდა პურს, თავისუფლად ელაპარაკებოდა რომელიღაც ენაზედ, იმას რომ ესმოდა, თვითონ კი გაგებაშიც არ იყო. ამგვარად, მან მეტი არც ერთი ენა არ იცოდა, და ეს იყო ერთადერთი რამ, ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდა იმისაგან, რაც გამოფხიზლებამდე იყო. გალია წყლის თავზედ ეკიდა და ყოველი მოქცევისას ტალღებზედ ალ-ბექრის მარტო თავიღა უჩანდა, ხოლო მიქცევისას, ხელს თუ ჩაყოფდა, ძირს, თავის ქვემოთ, კიბორჩხალის ან კუს დაჭერა შეეძლო. მაშინ ზღვის წყალი მიიქცეოდა, და მდინარის წყალი შემოვიდოდა, და ისიც მარილს მტკნარი წყლით ირეცხავდა კანიდან. გალიაში მჯდომარე უსტართ წერდა — კბილებით ღრღნიდა ასოებს კიბორჩხალებისა თუ კუთა კეცტყავ-ბაკნებზედ, ოღონდ დაწერილის წაკითხვა არ ძალედვა და ისე უშვებდა ცხოველთ წყალში, არ იცოდა, რას ატყობინებდა ქვეყნიერებას თავის უსტარ-წერილებში. ხან ისეც ხდებოდა, რომ მიქცევის უამს რამდენიმე კუ ამოჰყავდა, რომელთაც ზურგზედ რაღაც-რაღაცები ჰქონდათ გამოსახული, წაკითხვით იმ ყველაფერს კითხულობდა, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ ესმოდა. სული რომ ამოსდიოდა, ის ნერწყვისა და კბილის ტკივილის საწებელში ჩასვენებულ მარილიან ქალის ძუძუ-მკერდზე ოცნებობდა და კვლავ — **ღვთაებრივი წიგნის** ენას სწავლობდა იმ ხისაგან, რომელზედაც იყო ჩამოკიდებული.

**აბეჰი** (IX საუკუნის დასაწყისი) — ისლამური გადმოცემით, ხაზართა ხაკანის კარზედ ცხოვრობდა სილამაზით განთქმული იმისი ნათესავი ქალი, რომლის განსასვენებელთა წინარე ვებერთელა ვერცხლისბალნიანი ნაგაზები იდგნენ დარაჯად და კუდებს თვალებში იპარტყუნებდნენ. ისინი ისე იყვნენ გაწვრთნილნი, გაშეშებულებსაგით ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ, და ხან ჩანდა, შეუძრავად მდგარნი როგორ იფსამდნენ წინა თათებზედ. გულბოყვის ძირზედ ყველას ქვები-

ვით უგორავდნენ თანხმოვანი ბგერები, ხოლო სანამ დასაძინებლად და-  
 ეყრებოდნენ, თავიანთ გრძელ კუდებს, ვითარცა სომალდის ბაგირთ,  
 ზღვის უბე-ყურეებად ახვევდნენ. ატეპს ვერცხლის თვალელები ჰქონდა,  
 და ღილების მაგივრად ეყვნებს იყენებდა, ასე რომ სრა-სასახლეში სე-  
 ფექალი იცვამდა თუ საძილედ ემზადებოდა და ეტანებოდა, ოლ-  
 ღონდ იმ ეყვანთა ხმა არცროდის ისმოდა. სეფექალი — დასჯამებული  
 იყო არა მარტო გამორჩეული ჰკუით, არამედ გამორჩეული სიზნანტი-  
 თაც. ჰაერს ის უფრო იშვიათად ისუნთქავდა, ვიდრე სხვანი ცხვირს  
 აცემინებენ, და ისე იყო შეგუებული თავის მოდუნებულობას, რომ სა-  
 შინლად ვერ იტანდა ვერაფერსა და ვერავის, რასაც ან ვისაც შეეძლო  
 რამე საქმეში იმისი აჩქარება, თუნდაც ის საქმე თავისი გუნებისად  
 ჰქონოდა წამოწყებული. როცა ლაპარაკობდა, ამ მოდუნებულობის კა-  
 ბის სარჩული სხვა თავისებურებიდან უჩანდა — ერთ საგანზედ დიდ-  
 ხანს არცროდის შეჩერდებოდა, ვისთანმე ურთიერთობის დროს სა-  
 უბარში ტოტიდან ტოტზედ ხტოდა. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ ის  
 კვლავ ანაზღეულად უბრუნდებოდა დაწყებულ საუბარს და, სთხოვდ-  
 ნენ თუ არა სთხოვდნენ, განაგრძეო, სულერთია, თავისი მოფრუნალი  
 აზრებით გატაცებული ის მაინც განაგრძობდა ადრე შუაზედ გაწყვე-  
 ტილ სიტყვას. ლაპარაკში მნიშვნელოვან საგანთა უმნიშვნელოთაგან  
 გარჩევის ეს სრული უსურვილობა თუ უუნარობა და რაგინდარა თე-  
 მის მიმართ ასევე სრული გულგრილობა იმ უბედურებით უნდა ავსხნათ,  
 სეფექალს ხაზარული პოლემიკის უამს რომ შეემთხვევა. თვინიერ ამი-  
 სა, ატეპი ლექსებს წერდა, მაგრამ დანამდვილებით ცნობილია მხო-  
 ლოდ ერთი გამონათქვამი იმისი, რომელიც აგრე ჟღერს: „განსხვავება  
 ორ „ჰო“-ს შორის იქნებ უფრო დიდიც არის, ვიდრე „ჰო“-სა და  
 „არა“-ს შორის“. ყოველივე დანარჩენს მიაწერენ.

ზოგი ფიქრობს, რომ არაბულ თარგმანებში შემონახულია ბევრი  
 იმისი ლექსი, აგრეთვე იმისი მონაწილეობით შექმნილი ტექსტები.  
 ვინც ხაზართაგან ახალ რელიგიაზედ მოქცევის ხანას იკვლევს, იმ  
 მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება ხაზარული პოლემიკისადმი  
 მიძღვნილმა ლექსებმა მიიპყრეს. ზოგიერთი შეფასებით, ეს სატრფია-  
 ლო ლექსები იყო, რომლებიც მოგვიანებით როგორც საბუთები, ისე გა-  
 მოიყენეს შემოსხენებულ დავაში და რომლებიც იმათგან არის ჩაწერი-  
 ლი, ვინც იმ დროის მოვლენებს აღწუსხავდა. ასე იყო თუ ისე, ატეპი  
 უცილოდ მგზნებარედ და გატაცებით მონაწილეობდა ხაზარულ პოლე-  
 მიკაში და, როგორც ჩანს, პირში ჩალა გამოავლო ებრაელ მონაწილე-  
 საც და ქრისტიან მონაწილესაც, რითაც დიდი დახმარება გაუწია ისლამის  
 მოციქულს, ფარაბი იბ ქორას, და თავის მბრძანებელთან, ხაზართა  
 ხაკანთან ერთად, ისლამი აღიარა. პოლემიკაში მონაწილე ბერძენმა, იგ-  
 რძნო რა, ვაგებო, ებრაელთა მოციქულთან გაერთიანდა, და ორივემ  
 მოილაპარაკა, რომ სეფექალი ატეპი ორი ჯოჯოხეთის მბრძანებელთა-  
 თვის გადაეცათ — ებრაელი ველიალისტვის და ქრისტიანი სატანისტ-  
 ვის. რათა ასეთი დასასრულისთვის თავი დაეღწია, ატეპმა მესამე, ის-  
 ლამურ ჯოჯოხეთში ნებაყოფლობით გამგზავრება და იქ იბლისის ხე-

ლში ჩავარდნა არჩია. ვინაიდან იბლისს არ ხელეწიფებოდა ველიალისა და სატანის განჩინების სრულად შეცვლა, მან ატეჰს სქესი წაჭრთვა, განსაჯა და მიიმე მსჯავრი დასდო: სეფექალს უნდა დაეფიქვებინა სუყველა თავისი ლექსი და თავისი ენა, გამონაკლისად დაუტოვა ერთი სიტყვა — „ქუ“, ამასთანავე მარადიული სიცოცხლე შესძღვნა.

იბლისმა ატეჰს ბოროტი სული, სახელად იბნ ჰადრამი — მისი სიყვარულა, რომელიც მსჯავრდადებულს სირაქლემად წარუდგა და სამართლის დასკვნა აღასრულა. აგრე დარჩა სეფექალი ატეჰი მარადიულად ცოცხალი, და აწ უკვე საშუალება ჰქონდა, როცა უნდოდა, მაშინ დაბრუნებოდა, თუნდაც ბევრეულგზის, თავის რაგინდარა სიტყვასა თუ რაგინდარა აზრს, მე შენ გეტყვი, სადმე ეჩქარებოდა, რამეთუ მარადიულობამ სულ მთლად დაუბლაგვა იმის შეგრძნება, თუ რა ხდება დროში ადრე და გვიან, ოღონდ სიყვარული მხოლოდ სიზმარში თუ ეწვევოდა ხოლმე. ამრიგად, სეფექალმა ატეჰმა სრულად შესძღვნა თავისი თავი სიზმრების მეზადურთა, ანუ ხაზარ მღვდელმსახურთა სექტას, რომელი მღვდელმსახურნიც სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე თავისებური მიწიერი ვერსია შეექმნათ იმ ზეციური იერარქიისა, **საღმრთო წერილში** რომ მოიხსენიება. ატეჰსა და იმისი სექტის წევრთ ძალაც შესწევდათ და უნარიც, რომ სხვათა სიზმრებში გაეგზავნათ წიგნ-უსტარნი, თავიანთი თუ უცხოთა აზრები და საგნებიც კი. სეფექალი ატეჰისთვის არცრა სიძნელეს წარმოადგენდა იმ ადამიანის სიზმარში შესვლა, ვინც, სულ ცოტა, ათასი წლით ეუმცროსებოდა, და არც კიდევ ის ეძნელებოდა, თუ ვისმეს, ვინც იმას სიზმარში ხედავდა, ნივთს რასმე გაუგზავნიდა, თანაც ისევე საიმედოდ, როგორ რომ ღვინოდალევიანებულ ცხენზედ ამხედრებული შიკრიკი წაიღებდა. ოღონდ ბევრად უფრო, ბევრად უფრო სწრაფად... აღწერილია ერთი ასეთი ამბავი, რომელიც სეფექალ ატეჰს შეემთხვა. ერთხელ მან თავისი განსასვენებლის გასაღები ჩაიდო პირში და დაელოდა, სანამ მუსიკისა და ყმაწვილქალის სუსტი ხმა არ მოესმა, რომელმა ყმაწვილქალმაც შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

— საქციელი ადამიანის ცხოვრებაში საჭმელსა ჰგავს, ხოლო აზრები და გრძნობები — საკაზმ-სანელლებელს. ვაი იმისი ბრალი, ვინც ბაღს მარილს დააყრის ანდა ნამცხვარს ძმარს დაასხამს...

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სეფექალს პირში გასაღები გაუქრა, და მან, როგორც ამბობენ, იცოდა, რომ ასეთნაირად მოხდა შეცვლა. გასაღები იმას ჩაუვარდა ხელში, ვისთვისაც სიტყვები იყო განკუთვნილი, ხოლო სიტყვები გასაღების სანაცვლოდ ატეჰს ერგო.

დაუბმანუსი ამტკიცებს, ჩემს დროს სეფექალი ატეჰი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ერთი მეზარბითე, XVII საუკუნეში, ანატოლიელი თურქი, სახელად მასუდი, შეხვდა კიდევაც იმას და ესაუბრა კიდევაცო. როგორც ჩანს, ეს მეზარბითე გაწაფული იყო სიზმრების მეზადურობაში და ხელთ ჰქონდა ხაზარული ენციკლოპედიისა თუ სიტყვისკონის ერთ-ერთი არაბული ვერსიის ასლი, ოღონდ იმ დროისთვის, სეფექალ ატეჰს რომ შეხვდა, ჯერეთ არ წაეკითხა სიტყვისკონის ყველა სიტყვასტატია და ამიტომ ვერ იცნო „ქუ“, როცა სეფექალმა ატეჰმა ის წარ-

მოთქვა. ეს ხაზარული სიტყვისკონის სიტყვაა, რომელიც ნაყოფს აღნიშნავს, და უკეთეს მასუდი ამას იაზრებდა, მაშინ იმასაც მიხვდებოდა, წინ ვინ ედგა, და ამდაგვარად თავს დააღწევდა სუფოველ შემდგომ ცდასა და ძალისხმევას სანუკვარი დაოსტატების დაუფლების გზაზე: ბედდამწვარ სეფექალს იმისთვის სიზმართა მეზადურობაზე სწავლება ბევრად უკეთ შეეძლო, ვიდრე რომელსამე სიტყვისკონის მსგავსად მან სვერ იცნო სეფექალი და ხელიდან გაუშვა თავისი ყოვლის უფრორე მთავარი ნადავლი, რომლის ჭეშმარიტი ფასი ვერ გაიგო. ამიტომ, როგორც ერთ-ერთი ლეგენდა გადმოგვცემს, საკუთარმა აქლემმა მასუდის შიგ თვალებში მიადუქა.

**აქშანი იაზირ იზნი (XVII საუკუნე)** — ანატოლიელ მეზარბითეთა აზრით, ერთხანს ეს სახელი შაიტანს ერქვა და ამ სახელით მოველინა იგი XVII საუკუნის ერთ-ერთ ცნობილ მესაკრავეს — იუსუფ მასუდის. იზნი აქშანი თავადაც ფრიად გაწაფული მემუსიკე იყო. შემორჩენილია ერთი პანგის აქშანისეული ჩანაწერი, რომლის მიხედვით ამკარაა, რომ დაკვრისას ის ათზედ მეტ თითს იყენებდა. ბრვე, ორთოდენა კაცი იყო იზნი აქშანი, ოღონდ ჩრდილს არ აყენებდა, და ისეთი წვრილი თვალები ჰქონდა, რაღა ისინი და რაღა ორი ნახევრად დამშრალი გუბურა. სიკვდილის თავისეულ გაგებაზედ არცვისთან სურდა საუბარი, მაგრამ ადამიანს ისეთ ამბებს მოუყვებოდა, ისე ურჩევდა, როგორ უნდა აესსნა სიზმრები ანდა სიზმრების მეზადურთა წყალობით როგორ უნდა მისულიყო სიკვდილის გაგებამდე, რომ თავისი თვალსაზრისის თაობაზედ არაპირდაპირ აგდებდა გულისხმაში. თქმით ალბათ, ბევრი რამ უთქვამს, ორ ნათქვამს კი ნამდვილად მიაწერენ: 1) სიკვდილი ძილის მოგვარეა, ოღონდ ეს გვარი არ ვიცით; 2) ძილი ყოველდღიური კვდომაა, მცირე რამ ვარჯიშია სულისა და ხორცის გაყრაში, რომელი გაყრაც ძილის დააო, მაგრამ ყოველი ძმა ერთნაირად ახლო როდია თავის დასთანო. ერთხელ მან გადაწყვიტა, რომ სინამდვილეში დაენახვებინა ყველასთვის, როგორ მოქმედებს სიკვდილი, რის დასტურადაც ერთი ქრისტიანი მხედართმთავრის მაგალითი მოიყვანა, რომლის სახელ-გვარიც — აბრამ ბრანკოვიჩი — ჩვენამდეა მოღწეული, და რომელიც ვლახეთში იბრძოდა, სადაც, როგორც შაიტანი ამტკიცებდა, ყოველი კაცი პოეტად იზადება, ქურდად ცხოვრობს და ვამპირად კვდება. იაზირ იზნი აქშანი ერთხანს სულთან მურატის მავზოლეუმის ზედამხედველი იყო, და სწორედ მაშინ ჩაუწერია უცნობ დამთვალეირებელს ზოგი რამ იმის ნათქვამთაგან.

„დარაჯი მავზოლეუმს კეტავდა, — ნათქვამია უცნობის ჩანაწერში, — და კლიტის მძიმე ხმა ისე ეცემოდა იქ დასადგურებულ წყვდიადში, თითქოს საკლიტურის სახელი ეცემაო. ჩემსავით გულნაკლული, იგი გვერდით, ქვაზედ ჩამოჯდა და თვალები მილულა. იმ დროს, როცა მე მეგონა, თავისი ჩრდილის ნაწილში უკვე ჩაეძინა-მეთქი, დარაჯმა ხელი ასწია და ჩრჩილი დამანახვა, რომელიც მავზოლეუმის ტალანში, არ ვიცი, ჩვენი ტანსაცმლიდან, არ ვიცი, შიგნით დაფენილი ხალიჩებიდან შემოფრენილიყო.

— აგე, — მითხრა მან გულგრილად, — ბეწვის განმრყენელი ჭუა მალლა, ტალანის თეთრ ჭერქვეშ დაფორიალებს, და მხოლოდ იმითომ ჩანს, რაკი მოძრაობს. აქედან რომ უყურებ, ერთი ფიქრით კაცს იხსნებ ისიც კი გეფიქრა, ჩიტია, მალლა ცაში მონავარდეთ, უკეთუ ჭერს ცად მივიჩნევდით. ეგ ჩრჩილი მაგ ჭერს, ალბათ, ეგრეც აღიქვამს და მართო ჩვენ ვიცით, რომ ცდება. მაგამ არც ის უწყის, რომ ჩვენს უმცირეს კაც ჩვენი არსებობა იცის. აბა, თუ ბიჭი ხარ, მიდი და რამე ურთიერთობა დაამყარე მაგასთან. ვითომ შეგიძლია მაგისთვის რამის თქმა, სულერთია, რისა, ოღონდ ისე თქმა, რომ ვაგიგოს და შენც დარწმუნდე, რომ მიგიხვდა?

— ვერ გეტყვი, — მივუგე მე, — შენ რა, შეგიძლია?

— შემიძლია, — მითხრა ბერიკაცმა მშვიდად, ნები ნებსა სცა, მოკლა ჩრჩილი და ხელისგულზედ გატყულებული მიჩვენა. — როგორა ფიქრობ, ვითომ ვერ ვაიგო, რა ვთქვი?

— ეგრე იქნებ სანთელსაც დაუმტკიცო შენი არსებობა, ორი თითით რომ ჩააქრობ და მოჟღერა, — ვუთხარი.

— რასაკვირველია, თუ სანთელს სიკვდილი შეუძლია... ახლა წარმოიდგინე, — განაგრძობდა იგი, — რომ არის ვილაცა, ვინც ჩვენზედ ის ყველაფერი იცის, რაც ჩვენ ჩრჩილზედ ვიცით. ვილაცა, ვისთვისაც ცნობილია რაგვარად, რით და რატომ არის შემოსაზღვრული ჩვენი სივრცე, ანუ რაც ცად მიგვაჩნია და აღვიქვამთ როგორც საზღვარდაუღებელ რასმე. ვილაცა, ვისაც ჩვენთან მოახლოება არ ძალუძს და მხოლოდ ერთადერთი ხერხით — ჩვენი მოკვლით — გვაგდებას გულისხმაში, რომ ვარსებობთ. ვილაცა, ვისი ტანისამოსითაც ვიკვებებით, ვილაცა, ვისაც ჩვენი სიკვდილი ხელით ისე დააქვს, როგორც ენა, როგორც ჩვენთან ურთიერთობის რამ საშუალება. ჩვენ გვხოცავს რა, ეს უცნობი თავისი თავის ამბავს გვამცნობს და ჩვენ ჩვენი სიკვდილიდან, რაც იქნებ სხვა არცრა არის რა, თუ არა უბრალოდ გაკვეთილი მკვლელის გვერდით მჯდომარე მავანი ყარბისთვის, ჩვენ, ვიმეორებ, ჩვენი სიკვდილიდან, როგორც ოდნავ შეღებული კარიდან, უკანასკნელ ჟამს მოვიხილავთ რაღაც-რაღაცა ახალ სივრცეებს და რაღაც-რაღაცა სხვა საზღვრებს. სიკვდილის შიშის (რაზედაც არცრა მოგონებებია) ამ მეექვსე, უმაღლეს ხარისხს ვუჭერივართ ყველანი ჩვენ ერთად, ერთი თამაშის წრეში, რომლის ერთმანეთისთვის უცნობ მონაწილეთაც უკლებლივ გვაკავშირებს ერთურთს. არსებითად, სიკვდილის იერარქია ის ერთადერთი რამ არის, რაც შესაძლებელს ხდის სინამდვილის სხვადასხვა დონეთა შორის კავშირურთიერთობის წესრიგს დაუსაბამო სივრცეში, სადაც სიკვდილი, როგორც გამოძახილთა გამოძახილი, უსასრულოდ მეორდება...

სანამ დარაჯი უბნობდა, მე გულში ვლაპარაკობდი: ეგ რასაც აქა მყვება, უკეთუ სიბრძნის, გამოცდილების ანდა ნაკითხობის ნაყოფია, მაშინ ყურადღებას არ იმსახურებს-მეთქი. მაგრამ რა ვიფიქრო, თუ უნებლივ ეგ უეცრად აღმოჩნდა ამწუთას ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც დღეს უკეთესი ხედი და სულ სხვა ცისპირი გადაშლია თვალწინ,

ვიდრე დანარჩენით და თავად ამასვე გადაშლოდა ერთი დღის წინათ?..“  
 იაბირ იბნ აქშანი ერთხნობით ყარიბობდა. თეთრი კუს კაცტყავის-  
 სგან დამზადებული თავისი საკრავითურთ მოდებული იყო მცირე აზი-  
 ის სოფლებს, უკრავდა და ცაში ასროლილი ისრებით მარჩიელობდა,  
 ქურდობდა და კვირაში ორ საცერ ფქვილს მათხოვრობდა. დაიღუპა  
 იგი ისას წელთაღრიცხვით 1699 წელს უცნაური რაშ სიკვდილით. იმხა-  
 ნად ხან რომელი ხუთშაბათობის სტუმარი იყო, ხან რომლისა (სადაც კი  
 ხუთშაბათობით ბაზრობა იმართებოდა) და ყველგან როგორც კი დროს  
 მოიხელთებდა, ვიღაცას აუცილებლად აზნევედა. ზოგს ჩიბუხში ჩაუფუ-  
 რთებდა, ზოგს ფორნის თვლებს ერთმანეთზედ გადაუბამდა, ზოგსაც  
 ისე გაუკვანძავდა ჩალმას, სხვის დაუხმარებლად ველარ გამოხსნიდა და,  
 საერთოდ, იმის მაკვარანცხობას ბოლო არ უჩანდა. ხოლო როცა ამე-  
 ლელ-ჩამვლელთ იმდენად შეალონებდა, რომ ისინი ცემა-ტყეპას დაუ-  
 წყებდნენ ხოლმე, ქურდისა და ბნელი ღამისა არ იყოს, არეულ-დარე-  
 ულობას უმალ გამოიყენებდა და ჯიბეგაუფატრავს არცვის გაუშვებდა.  
 სულ მარჯვე შემთხვევის ცდაში იყო. ერთხელ, როგორც კი დაატყო,  
 სწორედაც მარჯვე შემთხვევააო, ერთ გლესს გადაეკიდა, უფულოდ არ  
 მინდა, გინდა თუ არა, შენი თაფლა ძროხა ამა და ამ დროს აქა და აქ  
 მომიყვანეო. ის ადგილი, სადაც მან გლესს ძროხის მიყვანა დაუთქვა,  
 მთელი ერთი წლის გაუკაცრიელებული, უდაბური ადგილი იყო. გლესი  
 თანახმა გაუხდა, ძროხამ მიყვანისთანავე ეგრევე რქებზე წამომაგო იბნ  
 აქშანი და ძირს სულთმობრძავი დააკვეთა. წვალეებით საცოდავს აღარ  
 უწვალთა, ისე დაღია სული, თითქოს ჩაეძინაო, და იმწუთას ქვეშ ჩრდი-  
 ლი გაუწვა, როგორც ჩანს, ყარიბის უსულო სხეულის შესაგებებლად  
 გაჩენილი. და დარჩა უპატრონოდ თეთრი კუს კაცტყავის ბარბითი,  
 რომელიც იმავე დღეს კუდ გადაიქცა, გაცოცხლდა და შავ ზღვაში შე-  
 ცურდა. მეზარბითენი სარწმუნოდ მიიჩნევენ, რომ იაბირ იბნ აქშანი  
 სააქაოში კვლავ დაბრუნდება, ის თავისი კუც ისევ გაუსაკრავდება და  
 აწ გაჩენილ ჩრდილს შეუცვლის.

დასაფლავებულია იგი ტრნოვოში, ნერეტვის სიახლოვეს, ზედ იმ  
 ადგილას, რომელსაც ამჟამად შაიტნის საფლავს ეძახიან. იმის დასაფ-  
 ლავებიდან ერთი წლის თავზედ მავანი ნერეტველი ქრისტიანი, რო-  
 მელიც კარგად სცნობდა აქშანის, რაღაც საქმეზედ სალონიკის გზას გა-  
 უდგა. იქ ის დუქანში ორკბილა ყეჯლის, ანუ ჩანგლის, საყიდლად შე-  
 ვიდა — ორკბილა ყეჯალს იმისთვის იყენებენ, რომ ღორისა და ძრო-  
 ხის ხორცი ერთბაშად გაიქანონ პირში. მედუქნემ რომ გამოაკითხა, რა-  
 თა მომსახურებოდა, ამ ნერეტველმა კაცმა მედუქნეში უმალ აქშანი  
 შეიცნო და დაეკითხა, აქ როგორღა გაჩნდი, როცა ერთი წლის წინათ  
 ტრნოვოში დაგასაფლავესო.

— ყონალო, — მიუგო აქშანიმ, — მე მოვკვდი, ალაჰმა განმიკი-  
 თხა უკუნითი უკუნისამდე, და, როგორც ხედავ, ახლა აქა ვვაჭრობ.  
 არცრა მაკლია, ქიციცა მაქვს და ქიცმაცურიც. ოღონდ სასწორს ნუ მო-  
 მთხოვ, რამეთუ აწონა აღარ შემიძლია. ამიტომ არის, რომ ხმლებს, და-  
 ნებს, ყეჯალ-ჩანგლებსა და სხვადასხვა იარაღს ვყიდი, რაც ცალობით  
 გადის, რასაც აწონა არ უნდა. მე მუდამ აქა ვარ, ოღონდ ყოველი წლის

მეთერთმეტე პარასკევს სამარეში უნდა ვიწვე. რამდენიც გინდა, ვალად იმდენ საქონელს გაგატან, შენ მარტო ქალაღდი დამიწერე, რომ ვალს დამიბრუნებ, პირს არ მიტეხ...

ნერეტველი დაჰყაბულდა. თუმცა იმ დღეს სუყველა ჩიბუხი მსიოდა, არც ერთი არა ჩაღდებოდა. ბევრი აღარ უჩინჩიათ, მესტეხნეს ქალაღდი, ვაღად მეთერთმეტე პარასკევის გასვლა დათქვენ, რაც რებიულ-ეველის თვეზედ მოდიოდა; ნერეტველმა დუქანს თვალი მიავლ-მოავლო და შინ წავიღა, თან იმდენი საქონელი წაიღო, რამდენიც მოენება. გზაში ზედ ნერეტვის გვერდით თავს გავეშებული ტახი დაესხა, რომელიც კეტით ძლივს მოიგერია. თუმცა მხეცმა მაინც მოასწრო და ცისფერი სარტყლის ბოლო წააგლიჯა. რები-ულ-ეველის თვე რომ დადგა, ნერეტველმა მეთერთმეტე პარასკევის წინადღეს ფიშტო და ის სალონიკის დუქანში ნაყიდი ყეჯალი წაიღო, შაიტნის საფლავე გათხარა და იქ ორნი მოიხიღა. ერთი ზურგზე იწვა და ყალიონს აბოღებდა, ხოლო მეორე, მოშორებით, დუმდა. ნერეტველმა საფლავეში მწოლიარეთ ფიშტო რომ დაუმიზნა, ყალიონის მწეველმა სახეში შეაფუტა და უთხრა: — მე სევასტ ნიკონი მქვია, და ჩემთან არცრა გესაქმება, რადგან მე დუნაიზედ ვასაფლავეივარ. — ამის თქმისთანავე ის გაქრა და საფლავეში მხოლოდ ყალიონი დარჩა, მაშინ მეორეც გაინძრა და ნერეტველმა აქშანი იცნო, რომელმაც საყვედურით უთხრა:

— ე-ე, ყონაღო, თუ მოვინდომებდი, სალონიკი ოხრად დაგრჩებოდა, მაგრამ არ ვისურვე და, ის კი არა, შეგეწიე კიდეც. ვინა ხარ, რა რჯულისა ხარ, რომ სიკეთეს ეგრე მიხდი... — ამას რომ ამბობდა, აქშანიმ გაიცინა, და ნერეტველმა პირში თავისი სარტყლის ნაგლეჯი დაუნახა. ამ ამბავმა ნერეტველს გაბედუღება შემატა, მან ფიშტო თავდაყირა დაიჭირა და აქშანის დაახალა. აქშანიმ ერთი ცდა სცაღა, რომ ნერეტველს წასწვდენოღა, მაგრამ მარტო ფრჩხილის გამოკვერაღა შეძლო — უკვე გვიან იყო: სროლის ხმა გაისმა, და ტყვია მიზანს მოხვდა.

შინ რომ მივიღა, ნერეტველმა იარაღი დაღო და თავის ორკბიღა ყეჯალს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერსად მიაგნო. სანამ ის აქშანის ესროღა, იმას ყეჯალა აეწაპნა...

სხვა თქმუღებით, იაბირ იბნ აქშანი საერთოდ არ მომკვღარა. ერთხელ დიღით 1699 წელს ცარგრაღში მან წყღით სავსე ვარცღში დაფნის ფოთოღი ჩააგღო და თავი ჩაყო შიგ, რათა ქოჩორი ჩაებანა. თავი სულ რამდენიმე წამს ჰქონღა წყალში. როგორც კი ამოიღო, ჰაერი ჩაისუნთქა და წელში გასწორღა, ირგვლივ აღარც ცარგრაღი იყო და აღარც ის სამეფო, საღაც ქოჩორს იბანღა. იბნ აქშანი სტამბოღის უმაღლესი კატეგორიის ოტელ „ინგსტონში“ ბრძანდებოღა. იღგა ისას წელთაღრიცხვით 1982 წელი, აქშანის ჰყავღა ცოღი, ბავშვი და ჰქონღა ბელგის მოქალაქის პასპორტი, ლაპარაკით ფრანგულად ლაპარაკობღა, და ოღენ დაფნის სვეღი ფოთოღი ეგღო F. Primavesi & Son, Corella, Cardiff მარკის ბაკანში.



**ბასრული ნაწყვეტი** — ამ სახელწოდებით შემონახულია XVIII საუკუნეში გადაწერილი არაბული ტექსტი. სავარაუდოა რომ ეს არის იოანეს დაუბმანუსის ლექსიკოგრაფიული გამოცემის ნაწილი. ხ ა ზ ა რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს კ ო ნ ა დ სახელდებული ეს გამოცემა პრუსიაში 1691 წელს გამოქვეყნდა და უმაღლესადგურევეს ე. წ. კურთმეხემორე ხსენებული ვარაუდის შემოწმება შეუძლებელია, ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ არც ის ადგილია ზუსტად ცნობილი, რა ადგილის დაჭერაც სიტყვისკონაში ამ ნაწყვეტს შეეძლო. ნაწყვეტის შინაარსი ასეთია:

ვით თქვენს სულს ძირ-ფსკერზედ უჭირავს სხეული, ეგრევე ადამ რუჰანისაც, მესამე ანგელოზს, თავისი სულის ძირ-ფსკერზედ უჭირავს სამყარო. ამჟამად, ისას წელთაღრიცხვით 1689 წელს, ადამ რუჰანი დაღმავალ ორბიტაზეა და უახლოვდება მთვარისა და მზის ორბიტათა, ანუ ჭირანოსა და კოჭიმელის გადაკვეთას, აპრიმანის ჯოჯოხეთს, ამიტომაც არცრა კვალში გიდგევართ და არცა გდევნით, სიზმართა მებადურნო და ოცნებათა ოცობოდო წარმთქმელნო, ვინც მიწყვი თანა სდევთ იამს და იმის სხეულის წიგნად შეთხზვა-შედგენას ცდილობთ, თუმცაღა, ოდეს ისას წელთაღრიცხვით XX საუკუნის ბოლოს ის თავისი უგზო-უკვლოდ ხეტიალის აღმავალ ორბიტა-სასრბოლეზედ აღმოჩნდება, იმისი სიზმართა ქვეყანა-საბრძანებელი დამბადებელს მიუახლოვდება, და მაშინ მოგვიწევს დიახაც თქვენი ნადგურცემა, ვინც მიწისდამბადებელს მიუახლოვდება, და მაშინ მოგვიწევს დიახაც თქვენი ნადგურცემა, ვინც მიწისშვილთა სიზმრებში მისხალ-მისხალ არკვევთ და აგროვებთ ადამის ასო-ნაწილთ, რათა დედამიწაზედ იმისი სხეულის წიგნმა დედამიწაზედ შეისხას ხორცი. ოღონდ რომც იფიქრებთ, რომ ოდენ ჩვენ, სულ რამდენიმე ცალმოგვი შაიტანი ვართ ადამ რუჰანის მოსარჩლე და ქობაგი. ხელი თუ მოგემართათ, დიდი-დიდი იმისი თითის წვერის ანდა ბარძაყზედ ხალის შეთხზვა შეიძლოთ. ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ ხელი შევუშალოთ ამ თითის წვერისა თუ ბარძაყზედ ხალის გაჩენას. დანარჩენი შაიტნები სხვა კაცთ უტრიალებენ, იმისი სხვა ასონასხამთ რომ თხზავენ. ოღონდ არ შეცდეთ. თქვენგან, კაცთაგან, თითიც კი არცროდის შეხებია იმისი უშველებელი სხეულის უმეტეს ნაწილს. ადამ რუჰანის შესადგენად ეს-ეს არის დაიწყო გარჯაარუდუნება. წიგნი, რომელმაც დედამიწაზედ ხორცი უნდა შეასხას იმის სხეულს, ჯერეთ, კიდევ კაცხორციელთა სიზმრებშია. და იმ წიგნის გარკვეული ნაწილი გარდაცვლილ კაცთა სიზმრებში სუფევს, საიდანაც, ვით დამშრალ ჭათაგან, არაფრის ამოღება არ შეიძლება.

**თითებწყობა** — სიტყვა, რომელიც მუსიკა-სახიობაში აღნიშნავს გარკვეულ ჰანგთა შესრულებისას თითების ყოვლის უფრო მარჯვე განლაგებასა და ხმარების თანამიმდევრობას. მცირეაზიელ მებარბითეთა შორის XVII საუკუნეში უსაკუთრესად აფასებდნენ იუსუფ მასუდისეულ სუყველა თითებწყობას. გამოთქმა „შაიტნის თითებწყობა“ ძალზედ რთული ადგილის აღმნიშვნელია. არის „შაიტნის თითებწყობის“ ესპანური ვერსია, რომლითაც მავრნი სარგებლობდნენ. ეს ვერსია შემორჩენილია მხოლოდ გადამუშავებული სახით გიტარისათვის, და ამ-

კარას ხდის, რომ ათი თითის გარდა იყენებდნენ მეთერთმეტესაც, ანუ, ლეგენდის თანახმად, აქ შაიტანი კუდს იშველიებდა.

გამოთქმა შაიტნის თითებწყობა“, ზოგიერთის აზრით, პირველ-  
 უამად სრულიად სხვას რასმე აღნიშნავდა — ოქროს ღვინოსუბისას  
 მოქმედებათა განსაზღვრულ თანამიმდევრობას ანდა იქნებ სულაც იმ  
 წესსა და რიგს, თუ როგორ უნდა გაშენდეს ბაღი, რათა გაზაფხულიდან  
 შემოდგომამდე მუდამ იყოს ახალი ხილი. მოგვიანებით, როცა „შაიტ-  
 ნის თითებწყობის“ გამოყენება მუსიკა-სახიობაშიც სცადეს, ის საკუთ-  
 რივ თითებწყობად იქცა, ასე რომ ერთმა სიბრძნემ სხენებულ გამოთქ-  
 მაში დაასამარა და დაჩრდილა სხვა ბევრად ძველი რამდენიმე სიბრძნე.  
 ამრიგად, ამ გამოთქმის საიდუმლოების გადატანა ადამიანის გრძნობა-  
 თა ერთი ენიდან სხვა ენაზედ ისეა შესაძლებელი, რომ ამასთანავე თა-  
 ვისი ზემოქმედების ნატამალიც არ დაკარგოს.

**იბნ (აბუ) ჰადრაში** — შაიტანი, რომელმაც სეფექალ ატექს სქე-  
 სი წაართვა. ბინადრობდა ჯოჯოხეთში, სადაც ერთმანეთს კვეთენ მთვა-  
 რის ცა, ანუ ჭირანო, და მზის ცა, ანუ ჭიმჭიმელი. ჰადრაში მგოსანი იყო  
 და თავის თავზედ დაწერილი აქვს შემდეგი ლექსი:

„აბსისინიელთ შიში იპყრობს, როს იმათ ცოლთ ვუახლოვდები,  
 და ნაკლებ დღეში არც ბერძენნი, თურქნი, გუთნი და სლავნი  
 არიან...“

იბნ ჰადრაშის ლექსთ თავი მოუყარა კაცმა სახელად ალ-მაზრუ-  
 ბანმა, რომელიც დაგულისყურებული იყო დემონთა პოეზიით და XII  
 საუკუნეში იმათი ლექსების კრებულებს შეადგინა (შეადარეთ აჰმად აბუ  
 ალ-ალი, ალ-მაარის არაბულ კრებულს, სადაც აღნიშნულია ეს ფაქტი).

იბნ ჰადრაში ისეთი განიერი ნაბიჯით დააჭენებდა თავის თოხარკ  
 ცხენს, რომ მოაქჟამამდე ყოველდღიურად ისმის იმის ჩორთს აყოლე-  
 ბული ფლოქვის თითო დარტყმის ხმა.

**მასუდი იუსუფი (XVII საუკუნის შუა წლები — 25. IX. 1689)**  
 — სახელგანსმენილი დამკვრელ-მეზარბითე, ამ წიგნის ერთ-ერთი შე-  
 მოქმედი.

**წყაროები:** ზოგიერთი ფაქტი, მასუდის რომ ეხება, თავის გამო-  
 ცემაში დაუბმანუსმა შეკრიბა, მან იინი XVII საუკუნის მუსიკალური  
 ხელნაწერებიდან შეაგროვა. როგორც ეს წყაროები იუწყებიან, მასუ-  
 დის სამჯერ გადავარდნია გულიდან თავისი სახელი და სამჯერ გამო-  
 უცვლია ხელობა, მაგრამ იმისი ხსოვნა სწორედ იმათ შემოინახეს, ვი-  
 საც უწინარესი განუდგა, — ანატოლიელმა მესაკრავეებმა. იზმირისა  
 და ყულის მეზარბითეთა სკოლებმა XVIII საუკუნეში მასუდიზედ უამ-  
 რავი ლეგენდა წარმოშვეს, და ეს ლეგენდები, იმის განთქმულ „თითებ-  
 წყობასთან“ ერთად, ერთი მესაკრავიდან მეორეს გადაეცემოდა. მასუ-

დის ხელთ ჰქონდა ხაზარული სიტყვისკონის ერთ-ერთი გადაწერილი ვერსია, რომელსაც თავად ავსებდა, თავისი ხელით, ეთიოპურ მელანში ჩაწებულ კალამმომარჯვებული. ლაპარაკით ძლივს ლაპარაკობდა, თითქოს ახალმომჯობინებული პირველად გადის შარდხედო.

ერეკნული

მასუდი წარმოშობით ანატოლიიდან იყო. სუყველნი იმ მესხრისაა, რომ ბარბითის დაკვრა ცოლმა შეასწავლა, თანაც ის ქალი ცაცია ყოფილა და საკრავის სიმეზხედ თითებს თურმე პირუკუ ათამაშებდა. თუმცა დამტკიცებულია, რომ დაკვრის ის მანერა, რომელიც XVII და XVIII საუკუნეებში გავრცელებული იყო ანატოლიელ მეზარბითეთა შორის, სწორედ მასუდიმ დანერგა. ლეგენდები მოწმობენ, რომ მასუდის საკრავის განსაცვიფრებელი გრძნობა ჰქონდა, რაც ხელს უწყობდა ბარბითის მანამდე შეფასებაში, სანამ იმის ხმას გაიგონებდა. თუ სადმე აუწყობელ ბარბითს გადააწყდებოდა, მაშინვე იგრძნობდა, რომ მოუმართავი იყო და მოუსვენრობა ეწყებოდა, ხან გულიც კი ერეოდა. თავის საკრავს ის ვარსკვლავთა მიხედვით აწყობდა. მან იცოდა, რომ მესაკრავის მარცხენა დროთა განმავლობაში იქნებ დავიწყებოდა თავისი ხელობა, მარჯვენას კი — არცროდის. მუსიკას მან ძალიან ადრე მიიჩნეოდა თავი. და ამის გამო ერთი თქმულებაა შემორჩენილი.

სამი ღამე ზედიზედ ხედავდა ის სიზმარში, როგორ ეხოცებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით ახლობელნი ჯერეთ მამა, მერმე ცოლი, მერმე ძმა. ხოლო მეოთხე ღამეს ესიზმრა, რომ მეორე ცოლიც მოუკვდა, რომლის თვალები სიცივეში ყვავილებსავით იცვლიდნენ ფერს. სანამ დახუჭავდა, იმ ქალის თვალები ორ დამკრახულ მწიფე ბიბილს, ანუ ყურძნის მარცვალთ ჰგავდნენ, რომელთა შიგნი შიგან ხუნწკალთ დაინახავდი. ქალი ჭიპში სანთელჩადგმული იწვა, ნიკაპი თმით ჰქონდა აკრული, რა არი არ გასცინებოდა. მასუდის გამოელვინა და სიცოცხლეში მეტად არც ერთი სიზმარი აღარ უნახავს. გიჟად იყო. მეორე ცოლი არცროდის ჰყოლია. უმალ დერვიშს მიადგა და ჰკითხა, ესეგვარი სიზმარი რას უნდა ნიშნავდესო. მან წიგნი გადაუშალა და წაუკითხა: „ო, შვილო ჩემო ძვირფასო! ნურცრას ეტყვი სიზმრისა შენისა შესახებ ძმათა შენთა! რამეთუ ადგებიან და პირს შეკრავენ შენს წინააღმდეგ!“

ამგვარი პასუხით უკმაყოფილო მასუდი სიზმრის მნიშვნელობის თაობაზედ თავის ერთადერთ ცოლს დაეკითხა, და მან მიუგო: — არცვის უთხრა მაგ შენი სიზმრის ამბავი! იმიტომ რომ, ვისაც გაენდობი, იმას აუხდება შენი სიზმარი და არა შენ!

მაშინ მასუდიმ სიზმართა მეზადურის მოძიება იზრახა, ვინც თავის გამოცდილებაზედ დაფუძნებულ პასუხს გასცემდა. მიდგა-მოდგა და ყველგან ერთი და იგივე უთხრეს, სიზმართა მეზადურნი ახლა იშვიათადღა თუ გვხვდებიანო, უფრორე იშვიათად, ვიდრე ადრეო, იმათი ნახვა ვისაც უნდა, დასავლეთით კი არა, აღმოსავლეთით უნდა წავიდეს, რადგან იმათი ხელოვნების ფესვებსა და თავად იმათ წარმოშობას ხაზართა ტომთან მივყავართო, რომელი ტომიც ოდესღაც კავკასიონის იმ ქედებს იყო მოფენილი, სადაც შავი ბალახი იზრდებაო.

მასუდომ ბარბითი აიღო და ზღვის პირის გასწვრივ გზას აღმოსავლეთისკენ გაუყვა. გზად ერთი ფიქრი აეკვირბა: „ადამიანი მანამ უნდა მოატყუო, სანამ მშვიდობის დილას გისურვებდეს, მერე უკვე გვიანია“. და სიზმართა მეზადურებზედ ნადირობა გადაწყვიტა. ერთხელ შუალამისას ვილაცამ გააღვიძა. მასუდომ თავის წინარე მაფანი ბურჯუყაყაყა მჩინილხილა, რომლის წვერიც მხოლოდ წვერში იყო შეჭალარაგეჭულში, მაგორაც ზღარბის ზურგზედ ეკალნი. ბერიკაცმა მასუდომს ჰკითხა, შენს სიზმრებში ქალი ვინმე ხომ არ გინახავს, თეთრი ღვინისფერი თვალები შიგნი შიგან მარჩხი რომ ჰქონდაო.

— ისინი სიცივეში ფერს ყვავილებსავით იცვლიან! — დასძინა უცნობმა.

მასუდომ ჰოობა უთხრა, ვნახეო.

— მერე რა მოუვიდა?

— მოკვდა.

— შენ რა იცი?

— ჩემს სიზმარში მოკვდა, ჩემ თვალწინ, სიზმარში ჩემი მეორე ცოლი იყო. ჭიპში სანთელჩადგმული იწვა, თმით ნიკაპაკრული.

მაშინ ბერიკაცი აქვითინდა და ძლივს წაილულლულა:

— მომკვდარა! მე კი თვით ბასრიდან მოვდევი აქ წამოსულს. მაგის აჩრდილი სიზმრიდან სიზმარში გადადის, და მე უკან ვდევი, იმათ კვალსა ვარ აღევნებული, ვისაც ეგ ესიზმრება აგერ უკვე სამი წელიწადია.

ამის თქმა იყო, და მასუდი მიხვდა, რომ წინ ის კაცი ედგა, რომელსაც ეძებდა.

— თქვენ, ალბათ, სიზმართა მეზადური ხართ, რახან მაგდენი გზა გამოგივლიათ ამ ქალის გადამკიდეს?

— სიზმართა მეზადურიო? — გაიკვირვა ბერიკაცმა, — მერედა თქვენ ამბობთ მაგას? სიზმართა მეზადური თავად ხართ, მე კი ერთი ჩვეულებრივი მოყვარული ვარ თქვენს უჩვეულო ხელოვნებაში. სიზმრიდან სიზმარში მოარული სახებანი მხოლოდ იმის სიზმარში იხოცებებიან, ვინც სიზმართა მეზადურად დაბადებულა, ჩვენ კი არა, სიზმართა მეზადურნიც თქვენა ხართ და სამაროვან-საძვალენიც. მან იმიტომ გამოიარა ეგ ზომ გრძელი გზა, რათა თქვენს სიზმარში მომკვდარიყო. მაგრამ მეტად სიზმრების ნახვა აღარ გიწერიათ. აწ ერთადერთი, რის ძალაც შეგწევთ, ის არის, რომ თქვენს ნადირობას მიჰყოთ ხელი. ოღონდ არა თეთრღვინისფერთვალებიან ქალზედ. ის უკვე თქვენთვისაც მკვდარია და სხვათათვისაც. სხვა რამ ნადირი უნდა გაიგდოთ.

აგრე მიიღო მასუდომ ბერიკაცისგან პირველი ცნობები თავისი ახალი საქმიანობის შესახებ და ყოველივე შეიტყო, რის შეტყობაც კი შეიძლება სიზმართა მეზადურებზედ. უკეთუ კაცს ხელთა აქვს საიმედო წყაროები, დანუსხვილი თუ ზეპირი, ამბობდა ბერიკაცი, მაშინ საკმაოდ კარგად შეუძლია ამ ხელოვნების ათვისებაო. ეს ისევე ხდება, როგორც რომ „სუფი“ ვინმე, რომელმაც „ტაუბუ“ შეასრულა, მოინანიებს და შეიძენს თავის „მაკამას“ ყველა წესის დაცვითო. ეს ამბავი ყველა-სათვის ხელმისაწვდომიაო; მაგრამ ჭეშმარიტად მხოლოდ ის წარმატება, ვინც ამ ხელოვნებისთვის დაბადებულა, ვისაც თავად ღმერთი

შეეწევა და ციურ გაბრწყინებას, ანუ „პალს“ მოუვლენსო. ყოვლის უფრორე უკეთესი სიზმართა მეზადურნი ხაზარნი იყვნენ, მაგრამ ხაზარნი რახანია აღარ არიანო. შემორჩენილია ოდენ იმათი ხელოვნება და ნაწილობრივ იმათი სიტყვისკონა, რომელიც ამ ხელოვნებაზედ მოგვითხრობსო. იმათ შეუძლოთ სხვათა სიზმრებშიც გამოტყუნილ სახებათათვის თვალის დევნება, იმ სახებათა ნადირივით აღფრთხილებითი ძეხორციელიდან მეორემდე და, ის კი არა, ცხოველთა თუ დემონთა სიზმრებშიაცო...

— მერედა რარიგად უნდა მიაღწიოს მაგას კაცმა? — დაეკითხა მასუდი.

— თქვენ, რასაკვირველია, შენიშნავდით, რომ დაძინებამდე, ბურანში მყოფი ადამიანი სავსებით თავისებურად აწესრიგებს თავის დამოკიდებულებას დედამიწის მიზიდულობის ძალის მიმართ. ბურანში მყოფის აზრები მაშინ თავს აღწევენ დედამიწის მიმზიდველობას იმ ძალაზედ პირდაპირი დამოკიდებულებით, რა ძალითაც მიწიერი მიზიდულობა მოქმედებს ძილ-ღვიძილში წასულის სხეულზედ. ასეთ დროს აზრებსა და ქვეყნიერებას შუა ძვიდე-ტიხარი სვრეტიანდება და ადამიანის აზრებს ისე ატარებს გარეთ, როგორც სამტკიცში გაგეტარებინოს. ან ხანმოკლე უამს, როს სიცივე სულ ადვილად ატანს სხეულში, ადამიანის აზრები მყის ამომჩქეფარდებიან იქიდან, და ძალზედ იოლი წასაკითხია თითოეული ის აზრი. ვინც ძილმორეულ კაცს თვალყურს გაადევნებს, საგანგებო რამ გავარჯიშება არ უნდა, ისედაც კარგად მიხვდება, რასაც ის ფიქრობს და ვისკენაც ქრიან იმისი აზრები. ხოლო თუ გამუდმებული წვრთნა-ვარჯიშით დაეუფლე ადამიანის სულის იმ დროს დაკვირვების ხელოვნებას, როცა ის ყოვლადწრფელია, მაშინ დაკვირვების გახანგრძლივებასაც შეძლებ, თავად სიზმარშიც უფრორე ღრმად შეღწევასაც და მიგ, როგორც წყალქვეშ, თვალეზახელილი ნადირობასაც. აგრე ხდებიან სიზმართა მეზადურებად.

ეს მძინარეთა მოძღვარნი, ვითარცა იმათ ხაზარნი ეძახდნენ, თითქოს მზისა და ვარსკვლავთა მიხედვით ბედ-იღბლის მკითხველი ასტრონომნი ანდა ასტროლოგნი არიანო, ისე გულდასმით იწერდნენ თავიანთ დაკვირვებებს. სიზმრების მეზადურთა მფარველის, სეფექალ ატეპის ბრძანებით, ყველაფერი, რაც კი რამ დაკავშირებული იყო ამ ხელოვნებასთან, ყოვლის უფროთ თავჩენილ მეზადურთა ცხოვრების აღწერასთან და შეპყრობილი ნადავლის ცხოვრება-მოქალაქეობასთან ერთად, შეგროვდა და შეიკრა ერთ მთლიანად, თავისებურ ხაზარულ ენციკლოპედიად, ანუ სიტყვისკონად. ამ ხაზარულ სიტყვისკონას სიზმართა მეზადურნი თაობიდან თაობას გადასცემდნენ, და თითოეულს თავის მხრივ უცილოდ უნდა შეევესო იგი. ამ მიზნით რამდენიმე საუკუნის წინათ ბასრაში დაფუძნდა საგანგებო რამ სკოლა, ანუ გულწმინდა კაცთა სამმო თუ ერთგულების სათანადო მოყვასთა სექტა, რომელმაც საიდუმლოდ შეინახა თავის წევრთა სახელები, მაგრამ გამოსცა ფილოსოფოსთა კალენდარი და ხაზარული სიტყვისკონა. თუმცა, ეს ორივე წიგნი ხალიფა მოსტანჯის ბრძანებით ცეცხლს მისცეს ხსენებული სკოლის ისლამური განყოფილების წიგნებთან და ავიცენას აღნაქეს-

ქმნილებებთან ერთად. ამგვარად სეფექალ ატეპის დროს შექმნილი საზარული კონის თავდაპირველი ვერსია არ შემონახულა, სიტყვისკონის ის ტექსტი, რომელიც მე მაქვს, მხოლოდ არაბული თარგმანია, და ეს ერთადერთია, რის მოცემაც მე შემიძლია. ასე რომ გამოძარცვი, ოღონდ იცოდე, რაც რამ შიგ სიტყვა-სტატიაა, უკლებლად სუყველა კარგად უნდა შეისწავლო, არადა უკეთუ შენი ხელობის სიტყვისკონა წყალივით არ გეცოდინება, ვინ იცის, იქნებ ყოვლის უფრო მთავარი ნადავლი გაგისხლტეს ხელიდან. მაშ, დაიხსომე: როს კაცი სიზმრებზედ ნადირობს, საზარული სიტყვისკონის სიტყვები იგივეა, რაც ჩვეულებრივი მონადირის თვალწინ ქვიშაზედ ლომის ნაკვალევი.

ეგრე უბნობდა ბერიკაცი და დასასრულ სიტყვისკონასთან ერთად მასუდის ერთი რჩევაც შესძღვნა:

— სიმ-ძალთა ჩხაკუნი ყველას შეუძლია, სიზმართა მეზადური კი მხოლოდ ის რჩეული ხდება, ვისაც ეს საქმე ცით მოჰმადლებია. გაანებე თავი მაგ შენს საკრავს! სხვა არა იყოს რა, ბარბითი ვილაც ებრაელის მოგონილია, სახელად ლამკო ერქვა თუ რაღაც სხვა. ადექი და სულაც გადააგდე და სანადიროდ წადი! უკეთუ შენი ნადავლი სხვის სიზმარში არ მოკვდა, როგორც ეს ჩემსას დაემართა, აუცილებლად მიზანთან მიგიყვანს!

— მერედა რარიგია სიზმრებზედ ნადირობის მიზანი? — დაეკითხა მასუდი.

— რარიგია და, უნდა გაიგო, რომ სუყოველი გამოღვიძება ოდენ ერთი საფეხურია სიზმართაგან განთავისუფლების საქმეში. ვინც გაიგებს, ჩემი დღე არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ სხვისი ლამეაო, ჩემი ორი თვალი იგივეა, რაც ვილაცის ერთი თვალიო, ის უსიკვდილოდ ნამდვილი დღისკენ გაესწრაფება, დღისკენ, რომელიც საკუთარი სინამდვილიდან ჭეშმარიტ გამოღვიძებას მოუტანს, რომ ყოველივე ბევრად უფრო ცხადი გახდება, ვიდრე ცხადია. და მაშინ ადამის შვილი ბოლოსა და ბოლოს დაინახავს, რომ ცალთვალია იმ სხვებთან შედარებით, ვისაც ორი თვალი აქვს, და ბრმაა თვალხილულებთან შედარებით...

და მაშინ ბერიკაცმა მასუდის გაანდო.

### სამბავი ადამ რუჰანისა

უკეთუ კაცობრიობის სუყველა სიზმარს შევაერთებდით, მოვიხილავდით უზარმაზარ კაცხორციელს, ზომით კონტინენტისოდენ არსებას, რომლის სახელ-გვარია ადამ რუჰანი და რომელიც ზეციური ადამია, ადამიანის ანგელოზი წინაპარი, იმამთაგან მრავალგზის ხსენებული. ეს ადამი ადამამდე ქვეყნიერების მესამე გონი იყო დასაბამით, თუმცა თავის თავში იმდენად დაინთქა, რომ ჟამკარი აერია, ხოლო გონს რომ მოეგო, სტაცა ხელი თანამყოლთ — თბილისსა და აპრიმანს და ეგრევე ჯოჯოხეთში გადაუძახა, მერე ადგა და კვალად ცას მიუბრუნდა, სადაც აწ მესამედ კი არა, მეათე გონად ყოფნა ხვდა, რამეთუ

ამ დროის მანძილზედ შვიდ ზეციურ ადამ-წინამორბედი: კიბის შვიდი საფეხური საკუთარი თავისგან ადამის ჩამორჩენის ხარისხია, და აგრერიგად გაჩნდა დრო-ჟამი. იმიტომ რომ დრო, ანუ ჟამი, მარადიულობის მხოლოდ ის ნაწილია, რომელიც აგვიანებს. ეს ანგელოზი ადამი, ანუ წინაადამი, რომელიც მამაკაციც იყო და დედსაც მამაც ერთჟამიერად, ეს მესამე ანგელოზი, რომელიც მეათე ანგელოზის გვსება, მიწყვიც საკუთარი თავის მიღწევის ცდაშია, და ხანდახან ასერხებს კიდევ ამას, მაგრამ მუდმივად კვლავ ისე ეცემა, რომ დღესაქამომდე გონის მეათე და მეორე საფეხურებს შუა ყიალებს.

ამრიგად, ადამიანის სიზმრები ადამიანისავე ბუნების ის ნაწილია, რომლის სათავეც ადამწინამორბედში, ზეციურ ანგელოზშია, რადგან იგი ისევე ფიქრობდა, როგორც ჩვენ სიზმრებს ვხედავთ. ის ისეთივე მალაია, როგორი მალიც ჩვენა ვართ მხოლოდ სიზმარში, ხოლო უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ჩვენი სიზმრები შექმნილია დიახაც იმისი ანგელოზური სიმაღლიდან. და ლაპარაკითაც იგი ისეთნაირად ლაპარაკობდა, როგორც ჩვენ სიზმარში ვლაპარაკობთ, აწმყო და წარსული დროის გამოუყენებლად, მხოლოდ და მხოლოდ მომავალში გადასულნი. ჩვენი არ იყოს, სიზმარში არც იმას შეეძლო ვინმეს მოკვლა ან განაყოფიერება. ამიტომ არის, რომ სიზმართა მებადურნი დაყიალებენ სხვის სიზმრებში და იმათგან ნაჭერ-ნაჭერ ამოაქვთ ადამ-წინამორბედის არსება, მერმე დგანან და იმ ნაჭერთაგან კრავენ ეგრეთ წოდებულ ხაზარულ სიტყვისკონებს იმის გულისათვის, რა არი ყველა ამ ერთად შედგენილმა წიგნმა ხორცი შეასხას დედამიწაზედ ადამ რუჰანის უზარმაზარ სხეულს. უკეთუ ჩვენს ანგელოზ წინაპარს იმ დროს ვადევნებთ თვალს, ოდეს ის ზეციურ კიბეს მიუყვება, მაშინ ჩვენ თვითონაც ვუახლოვდებით ღმერთს, ხოლო, ჩვენდა სავალალოდ, თუ მაშინ ვახლავართ თან, ოდეს ის ეცემა, სულ უფრო მეტად ვშორდებით ღმერთს, ოღონდ არც მიახლოებისა და არც დაშორების შეცნობა ჩვენ არ გვიწერია. ჩვენ იღბალსა ვართ დანდობილი და მუდამ ვიმედოვნებთ, რომ იმას სწორედ იმ დროს ავედევნებთ, ოდეს იგი გონის კიბის მეორე საფეხურისკენ მიმავალ გზას გაუდგება და, მაშასადამე, ჩვენც ხელს შეგვაშველებს ზევით, ჭეშმარიტებასთან ახლოს ასვლაში.



ასე რომ ჩვენს ხელობას, ანუ სიზმართა მებადურობას, არნახული იღბალიც ახლავს და თავზარდამცემი უიღბლობაც. მაგრამ ეს ჩვენზედ არ არის დამოკიდებული. ჩვენი საქმე ცდაა, საცადისი, დანარჩენი ოსტატობის ამბავია.

და დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. სხვის სიზმრებზედ გამავალი გზები ჟამისად იმისთანა ნიშანთ გვიქარავებენ, რომელთა მიხედვითაც ადვილი მისახვედრია, ადამ-წინამორბედი თავისი სავალის აღმართს მიუყვება, თუ ძირს მოგორავს. ხსენებული ნიშნები კი ის ადამიანები არიან, ერთმანეთს სიზმრად რომ ხედავენ. ამიტომ თითოეული სიზმართა მებადურის საბოლოო მიზანი ის არის, რომ ასეთ წყვილამდე მივიდეს და რაც შეიძლება ახლოს გაეცნოს. საქმე ის არის, რომ

ორი ასეთი ადამიანი, ერთმანეთს სიზმარში რომ ხედავს, ადამის სხეულის იმ ნაწილაკთ წარმოადგენს, რომელი ნაწილაკებიც სხვადასხვაგვარ ფაზაშია და, მაშასადამე, გონის კიბის სხვადასხვა საფეხურზეა. გარდა, რასაკვირველია, უმაღლესი საფეხურისა, სადაც ღმერთმა ადამს პირში ჩააფურთხა და ენა ოთხნაირი ნერწყვით ალუჭურვა. ამ ნერწყვთაგან ერთი კი იპოვი ორს ვისმე, რომლებიც ერთმანეთს სიზმარში ხედავენ, ეცოდნენ — მიზანთან ხარ! და ნუ დაგავიწყდება, რომ მერმე ყოველივე, რაც კი რამ ხაზარული სიტყვისკონის შესავსებად მოიპოვე, იქ დატოვო, სადაც ამ საქმისათვის მონაგრებულს ტოვებენ ილბლიანი სიზმართა მეზადურნი — ბასრაში, გულთამხილველი რაბიასთვის შეძენილ მეჩეთში...

აგრე ეძრახებოდა მასუდის ბერიკაცი. და აგრე დაუტევა მასუდი-მაც სახიობა-დამკვრელობა და სიზმართა მეზადური გახდა.



დაწყებით კი მან იმით დაიწყო, რომ წასაკითხად ჩაუჯდა იმ ხელნაწერთ, ხაზართ რომ ეხებოდა და სიტყვისკონის სახით საჩუქრად მიიღო. წიგნის პირველ ფურცელზედ ეწერა:

„როგორაც ყველა სხვა სახლში, ერთნაირი სიხარულით არც აქ, ამ სახლში, ხვდებიან. და არც ყველას თანაბრად მიაგებენ პატივს. მავანსა და მავანს სუფრის ზემოთავეში დააბრძანებენ, ყოვლის უფრო მაზა-მაზა კერძთ მიართმევენ, ის პირველი მოიხილავს, რასაც ტაბლას შემოუმატებენ, და სხვათა უწინარეს აირჩევს თავის გუნებისად. მავანი კიდევ ჭამად ორპირ ქარში იჯდება, სადაც სუყოველ ლუკმას, სულ ცოტა, ორი სუნი და გემო აქვს. მესამეს ჩვეულებრივი ადგილი შეხვდება, სადაც ყველა ლუკმა და ყველა პირი ერთნაირია. იქნებიან ისეთებიც, ვისთვისაც ადგილს კარებთან დატოვებენ, სადაც მხოლოდ შეჭამანდი რამ მოაქვთ, ვახშმად კი იქ იმდენსავეს ღებულობენ, რასაც მთხრობელი თავის ამბავთათვის ღებულობს, ანუ — არც არაფერს“.



შემდეგ ხაზარულ სიტყვისკონაში, არაბული ანბანის შესატყვისად, ჩამოწიკწიკებული იყო ხაზართა და სხვა პირთა ბიოგრაფიები, უმთავრესად იმათი, ვინც ხელი შეუწყო ხაზართა ტომის ისლამზედ მოქცევას. ცენტრალური ფიგურა, ამ მოქცევაში რომ მონაწილეობდა, იყო დერვიში და ბრძენი სააელად ფარაბი იბნ ქორა, და იმაზედ სიტყვისკონაში ძალიან ბევრი ეწერა. ოლონდ სიტყვისკონის სხვა სიტყვა-სტატიებში აშკარა ხარვეზებიც იყო. კერძოდ, ხაზართა ხაკანმა, რომელმაც თავის კარზედ სამი მღვდელი — არაბი, ებრაელი და ქრისტიანი — მიიწვია, სამთავეს თავისი ერთი სიზმრის წართქმა მოსთხოვა. თუმცა ისლამურ წყაროებსა და ხაზარულ სიტყვისკონის არაბულ თარგმანში ხაზარული პოლემიკის ყველა მონაწილე თანაბრად არ იყო წარმოდგენილი. კაცს უმაღლესში ეცემოდა, რომ აქ ვერც ქრისტიანი სიზმართა მეზადურის სახელს ამოიკითხავდი



და ვერც ებრაელი სიზმართა მებადურის სახელს, რომლებიც ხსენებულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ. და საერთოდაც, ქრისტიანი და ებრაელი იმის მუასედადაც არ ჩანდნენ, რამდენადაც არაბი, რომელიც ისლამის სასარგებლოდ ირჯებოდა, ლაპარაკია იბნ ქორაზედ. სანამ მასუდი ხაზარულ სიტყვისკონას ჩაპკირკიტებდა (კამფსუჟი დიდი დრო არ წაურთმევია), ამასობაში კითხვა გაუჩნდა: კიდევ მოწინააღმდეგე ვინ იყო ნეტავი? ეგება, ქრისტიანთა შორის არის ისეთი ვინმე, ვინც იცის ის სიზმართა წარმოქმელი და ბერძნული სარწმუნოების აღმსარებელი, ხაზართა კარზედ ოთხმხრივ მოლაპარაკებას რომ ესწრებოდა? შემორჩენილი კია იმის სახელი? ანდა ებრაელ რაბინთაგან თუ იცის ვინმემ რამე კიდევ ერთ მონაწილეზედ, თავის თვისტომსა და ერთმორწმუნეზედ? ნუთუ ბერძენთა თუ ებრაელთა შორის არავინ იყო ისეთი, ვინც ჩაიწერა დისკუსიის დამსწრე ქრისტიანი ან ებრაელი ბრძენკაცის ამბავი, როგორც ეს მასუდის წინამორბედებმა ჩაიწერეს ისლამის აღმსარებელზედ? ამ არამუსლიმ უცხოქვეყნელთა ცნობები — აღნიშნა და შემდგომ ჩაიწერა მაუდიმ — ისეთი ძლიერი არ ჩანს, როგორც ფარაბი იბნ ქორას საბუთებია. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ იბნ ქორას საბუთები მართლაც უფრო დამარწმუნებელი და ყოვლისმომცველი იყო? თუ ხაზართა შესახებ დაწერილ ებრაულ და ქრისტიანულ წიგნებში, თუკი ასეთი წიგნები დაწერილია, ავტორთა მიერ მომარჯვებული საბუთიანობა ძალავს ყოველივე იმას, რაც იბნ ქორამ იუბნა? იქნებ ის შემქმნელ-შემოქმედნი ბევრს რასმე ჩვენ შესახებ ისევე ჩქმაღავენ, როგორც ჩვენ ვჩქმაღავთ იმათ შესახებ? იქნებ ხაზართა საკითხზედ ერთი, საერთო ენციკლოპედიისა თუ სიტყვისკონის შედგენა იმის შემდეგ მოხერხდეს, სამი სიზმართა მებადურის სამსავე ამბავს ერთად რომ შევკრებთ, და ჭეშმარიტებაც მაშინ გამოჩინდეს? მაშინ ამნაირ ხაზარულ სიტყვისკონაში შესაძლებელი გახდებოდა ხაზარული პოლემიკის ქრისტიან და ებრაელ მონაწილეთა გვარ-სახელიანი სიტყვა-სტატიების განსაზღვრული წესით დალაგება. იქ აგრეთვე შესაძლებელი იქნებოდა ამ პოლემიკის ბერძნული და ებრაული წრის წარმომადგენელ ქრონისტთა შესახებ ზოგი რამ ინფორმაციის შეტანა. არადა, როგორ გინდა ადამ რუჰანის შექმნა, უკეთუ ამ უზარმაზარი არსების სხეულს ზოგიერთი ნაწილი აკლია.

როს მასუდი ამგვარ შესაძლებლობებს წარმოიდგენდა ხოლმე, ელეთ-მელეთი მოსდიოდა, ტანში შიშის ქარი უვლიდა ღია განჯინებისა და ზანდუკების დანახვაზედ, საიდანაც თავისი ამოწეწილი ტანსაცმელი ეჩხირებოდა თვალში, და სანამ სიტყვისკონას ჩაუჯდებოდა, ჯერ იმ განჯინებსა და ზანდუკებს ხურავდა. ამ სიტყვისკონის გადამკიდემ, მან ხაზარებთან დაკავშირებული ებრაული და ბერძნული ხელნაწერების მოძიება დაიწყო და დოლბანდის ნაკვეთებში კაცი ღვთაებრივი წიგნის სიტყვას კი ამოუკითხავდა, მაგრამ იგი ურჯულოებთან შეხვედრას ესწრაფოდა. ვხად სადმე ბერძენთ და ებრაელთ თუ გადაეყრებოდა, უმაღლ საერთოს რასმე პოულობდა, იდგა და ორსავე ენას ეწაფებოდა,

ბერძნულსაც და ებრაულსაც, რომელი ენებიც ისეთ სარკვეებად ერვენებოდა, სინათლეს სულ სხვაგვარად რომ ირეკლავდნენ, და ამ სარკვეებში საკუთარი თავის დანახვას სწავლობდა. ხაზარული კარტოთეკა დროით დღე ეზრდებოდა, და მასუდი იმედოვნებდა, რომ დადგებოდა დღე, როცა ამ კარტოთეკას შეავსებდა თავისი ნადავლის ცხოვრებით, ყველაფერი ღიანი გაწეული სამუშაოს ამბით, ადამ რუჰანის უზარმაზარ სხეულს თავისი მცირე ნაჭრით. მაგრამ როგორც სუყველა ნამდვილმა მონადირემ, წინასწარ არც მან იცოდა, რა ნადავლს მოიგდებდა ხელთ. ხოლო როს დადგა რაბი-ალ-აქირის თვე და მესამე ჯუმა ამ თვეში, მასუდიმ პირველად შეიხედა სხვის სიზმრებში. მან ღამე იმ კაცის გვერდით გაათია, რომელსაც სახე არ უჩანდა, ოღონდ ისმოდა, როგორ დამღერდა რალაც ჰანგს. მასუდი პირველ ხანს ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მაგრამ სმენა აზრებზედ ბევრად მალი ჰქონდა. წინ ედო დიაცის ღერძღრუ საკლიტური, რომელიც მოსარგებად მამრის ღერძღრულ კლიტეს ეძებდა. და მასუდიმ მყის იპოვა ის კლიტე. კაცი, გვერდით რომ ეწვა, სიბნელეში, სულაც არ მღეროდა, მღეროდა ვიღაც სხვა ამ კაცში, ვისაც ეს კაცი სიზმარში ხედავდა... ირგვლივ იმისთანა სიჩუმე ჩამომდგარიყო, მიყურაღებაც არ გინდოდა, ისე გაიგონებდი, როგორ ეზრდებოდა თმა მასუდის გვერდით სიბნელეში მწოლიარე მომღერალს. და მაშინ სულ ადვილად, ვითარცა სარკეში, შევიდა მასუდი უზარმაზარ ქვიშამოყრილ სიზმარში, რომელიც არც წვიმისგან იყო დაცული, არც ქარისგან და სადაც ოდენ გარეული ძაღლები და წყალზედ მეოცნებე აქლემები ჩანდნენ. მასუდიმ იმწამსვე იგრძნო რომ ან დახეიბრება ემუქრებოდა, ან ზურგში ლახერის ჩაცემა. თუმცა, მაინც გაუყვა ქვიშნარს, რომელიც მძინარის სუნთქვისდა კვალობაზედ დაბლა-მაღლა ადი-ჩადიოდა. სიზმრის ერთ-ერთ კუთხეში კაცი ვინმე მიმჯდარიყო და ბარბითს ახელკეთილებდა იმ ხის ჩამონაჭრისგან, რომელი ხეც მანამდე ფშა-ნაკადულში ეგდო შესართავისკენ ფესვებმიქცეული. აწ მერქანი მშრალი იყო, და მასუდი მიხვდა, ეს კაცი საკერავს ჯერეთ კიდევ სამასი წლის წინათ ცნობილი ხერხით აკეთებსო. მაშასადამე, სიზმარი უფრო ძველი იყო, ვიდრე ის კაცი, ვინც ამ სიზმარს ხედავდა. ჟამითი ჟამად სიზმრისეული კაცი მუშაობას წყვეტდა და ერთ მუჭა ფლავს იყრიდა პირში, ყოველ ფლავის შეყრაზედ კი, სულ ცოტა, ერთი ასი ნაბიჯით მაინც შორდებოდა მასუდის. ამ ამბის წყალობით მასუდიმ ძირისძირობამდე მოიხილა სიზმარი: იქ, ძირში, სინათლე ბჟუტავდა და თანაც საშინლად ყარდა, სიღრმეში რალაც სამაროვანი ჩანდა, სადაც ორი კაცი ცხენსა მარხავდა.

ერთ-ერთი ის იყო, ვინც მღეროდა. ოღონდ ახლა მასუდის არა მარტო სიმღერა ესმოდა, არამედ უეცრად მომღერალიც მოიხილა. გვერდით მძინარე კაცის სიზმარში ვიღაც ცალულვამჭალარა ჭაბუკი გაჩნდა. მასუდიმ იცოდა, რომ სერბული ძაღლები ჯერ იკბინებიან და მერე იყეფებიან, ვლახურნი მედუმლენი არიან, ჩუმად იკბინებიან, თურქულნი კი კბენის წინ ყეფენ. სიზმრისეული კაცი არც ერთ ამ ჯიმს არ ეკუთვნოდა. მასუდიმ სიმღერა დაუმახსოვრა ამ სიზმრისეულს, და ახლა უკ-

ვე იმის დაჭერა მოუწევდა, ვისაც ძილში სტუმრობდა თავად ის ულვაშჭალარა ჭაბუკი. მასუდომ ერთბაშად მოიფიქრა, რაც უნდა მოელონისძიებინა. მიდგა, მოდგა და რამდენსამე შებარბითესა და მომღერალს მოუყარა თავი, უფრო სწორად, მარეკნი შეკრიბა, დააყენა და სიმღერაც ასწავლა, დაკვრაც თავისავე ლოტბარობით. მასუდის თრეზუნდ ნაირ-ნაირი ფერის ბეჭდები ესხა, და თითოეული ფერი შეესატყვისებოდა ბგერათა ათსაფეხურიან კიბეს, რომელსაც ის აყენებდა. იგი მომღერალთ ხან ერთ თითს უჩვენებდა, ხან მეორეს, და ბეჭდის ფერისდა მიხედვით, რაც ისევე მოითხოვდა თავის ტონს, როგორაც თითოეული ჯიშის ნადირი არჩევს მარტოდენ თავის შესაფერ სამუცლავს, ისინიც, ის მომღერალნი, ზუსტად ირჩევდნენ ტონს და არცროდის ეშლებოდათ, თუმცალა პანგს სულაც არ იცნობდნენ. ისინი იდგნენ და ისეთ ადგილებში მღეროდნენ, სადაც ხალხი იკრიბებოდა — მეჩეთების წინ, — ფორე-მოედნებზედ, ჭეზის ახლომახლო, — და პანგი ცოცხალი სატყუარა ხდებოდა გამვლელ-გამომვლელთათვის, რომელთაც ღამ-ღამ ხელში უვარდებოდათ მასუდის საძებარი ნადავლი. ასეთნი ადგილზედვე შემდებოდნენ, თითქოს მზით მომდინარე მთვარის შუქი მოიხილესო, და მოჯადოებულებსავით უგდებდნენ ყურს.

თავისი ნადავლის კვალის ძებნა-ძებნაში მასუდი შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ქალაქიდან ქალაქში დადიოდა. ყველგან, უკლებლივ, თვალში ხვდებოდა იმ ადამიანთა თავისებურებანი, ვისაც სიზმრის ნახვა მიზნად გადაქცეოდა. სადაც ჭალარაულვაშიანი ჭაბუკის სიზმარში მნახველთა რიცხვი მატულობდა, მასუდი საკვირველ რასმე ამჩნევდა: ზმნები შეტყვევებაში ბევრად მნიშვნელოვან როლს იძენდნენ, ვიდრე არსებითი სახელები, რომლებიც სულ მცირე შესაძლებლობისთანავე საერთოდ ამოცვივდებოდნენ ხოლმე. ჟამისად ჭაბუკი კარგა ბლომად ადამიანების სიზმრებში ჩნდებოდა. სომეხმა ვაჭრებმა იგი შიშთვილ-სახრჩობელის ქვეშ მდგარი ნახეს, რომელი შიშთვილ-სახრჩობელაც ხარებშებმულ ურემზედ გაემართათ. მერე ის ჯარისკაცებმაც ნახეს, ზღვის თავზედ ფარსაგად მოვლილ სასაფლაოზედ ცხენებსა მარხავდა, ნახეს მავან ქალთან ერთადაც, რომლის სახის გარჩევაც სიზმარში შეუძლებელი იყო, ლოყაზედ ხორბლის მარცვლისოდენა მარტო ის ადგილები მოუჩანდა, სადაც ჭალარაულვაშიანს კოცნის კვალი დაეტოვებინა... მერე კი ნადავლი ანაზღად გაქრა, გაუჩინარდა, და მასუდომ ყოველგვარი გეში დაკარგა. ერთადერთი, რის ქმნაც იმას შეეძლო, ის იყო, რომ თავის საზარულ სიტყვისკონაში უკლებლივ შეეტანა ყველაფერი, რაც რამ ამ მოგზაურობის დროს შეემჩნია, და ანბანის რიგზედ გაწყობილ ყველა თავის ჩანაწერს, ძველთაც და ახალთაც, თავისთან ერთად ახეტიალებდა მწვანე ბულაგ-ტომრითურთ, რომელიც თანდათან სულ უფრო მძიმდებოდა და მძიმდებოდა. თუმცა მასუდის ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ წამიერთ ხელიდან უსხლტებოდნენ სიზმრები, რომელთაც იქვე გვერდით ვილაცა ნახულობდა, რომ ის ვერ ასწრებდა იმათ მოხელთებას და განსაზღვრას, ვისი სიზმრები იყვნენ ისინი. სიზმრების რიცხვი ბევრად დიდი იყო, ვიდრე მძინარეთა სათვალავი. მაშინ მა-

სუდიმ მთელი გულისყური თავის აქლემს მიაპყრო. პირუტყვის სიზმარში ჩაყურყუმელავებულმა, მან შუბლკოპებიანი ჭაბუკი მოეხილა, რომელსაც, თითქოს სასჯელად, უჩვეულოდ ფერადოვანი ულვაში ჰქონდა. ჭაბუკს თავზედ თანავარსკვლავედი დაჰნათობდა, ზღვაში არცოდის არეკლილი. იგი ფანჯარასთან იდგა და ძირს, თავის ფეხებთან დაგდებულ წიგნს კითხულობდა. წიგნს Liber Cosri უწოდებდა. სუდიმ, სანამ აქლემის სიზმარს თვალეზღვრული უმზერდა, არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს ორი სიტყვა. ამასობაში მდევარმა ის ყოფილ ხაზარულ საზღვართან მიიყვანა. მინდვრად შავი ბალახი ამობიბინებულყო...

მასუდი სულ უფრო ბევრ ისეთ ადამიანს ხვდებოდა, ვინც ღამის გასათევად თავისი სიზმრის კარს უღებდა იმ ჭაბუკს, ხელთ წიგნი Liber Cosri რომ ეჭირა. და იგი მიხვდა, რომ უამისად მთელი თაობები თუ საზოგადოების ფენებიც კი ერთსა და იმავე სიზმრებსა ნახულობდნენ და ადამიანებსაც ერთსა და იმავეთ ხედავდნენ იმ სიზმრებში. ოღონდ ის იმასაც მიხვდა, რომ ასეთი სიზმრები თანდათანობით გვარდებოდნენ, ქრებოდნენ და უფრო ხშირადრე წარსულში გვხვდებოდნენ. ამ სიზმართაგან ხალხი ხანში შედიოდა, ხუცდებოდა. თუმცაღა, აქ, საზღვარზედ, თავის მდევარში მასუდი სრულიად ახალ რასმე გადაეყარა. სახელდობრ კი: მან წინათვე შეამჩნია, რომ ჭადარაულვაშიანი ჭაბუკი ვისთანაც სიზმარში დადიოდა, ყველას წვრილ ვერცხლის ფულს აძლევდა სესხად. თანაც ძალზედ ხელსაყრელი პირობით, წელიწადში სულ რაღაც ერთ ნამთავნად, თავის სარგებლად, და სიზმარში გასესხებულ ამ ფულს აქ, მცირე აზიის ამ დასაკარგავში, ხშირადრე თამასუქის ანდა სათავდებო წერილის ძალა ჰქონდა, რამეთუ ჰგონებდნენ, რომ ერთ მზმანებელს არ შეეძლო მეორე მზმანებლის გაცურება, სანამ ორსავეს ცხოვრებაში ის იდგა, ვისაც ისინი სიზმარში ხედავდნენ და ვისაც ხელთ ეჭირა ყველა ვალისა და ანგარიშსწორების დაფთარი. ამრიგად, იყო რაღაც კარგად დაყენებული ბუღალტერიის მაგვარი რამ, რომელიც მოიცავდა და აერთიანებდა ცხადისა და სიზმრის კაპიტალს და გარიგების მონაწილეთა საერთო უსიტყვო თანხმობას ეფუძნებოდა...

ერთ-ერთ დაბა ადგილას, მასუდისთვის უსახელო დაბა ადგილად რომ დარჩა, მან კარავში შეყო თავი, სადაც მავანი წარმოდგენას მართავდა. იქ იმდენ ხალხს მოეყარა თავი, შიგ ერთ ვაშლსაც ვერ ჩააგდებდი, შუა ადგილას ერთმანეთზედ დათაკრული ხალიჩების ზვინზედ მათალი დაედგათ, და მალე მაყურებელთა წინაშე დედიშობილა გოგო გამოჩნდა. იგი ხმადაბლა წრიპინებდა, ხელთ კი ორი სკვინჩა ჩიტი ეჭირა, რომელთაგან ერთს, მარცხენა ხელში რომ ჰყავდა მომწყვდეული, ხან გაუშვებდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი ჩიტი გასაფრენად შეფრთხილდებოდა, გოგო უმაღლ იჭერდა უჩვეულოდ სწრაფი მოძრაობით. ამ გოგო-გოგუცანას ერთი უცნაური რამ სატკივარი სჭირდა: მარცხენა ხელი ბევრად უფრო მალი ჰქონდა, ვიდრე მარჯვენა. და ჩიოდა, ეს ჩემი მარცხენა ხელი იმზომ მალია, ჩემზედ ადრე მოკვდებაო. „მე ჩემს მარცხენა ხელთან დამარხვა არ მიწერია, — მოსთქვამდა დედიშობილა კუპაჭია, — წინ-წინვე ვხედავ, როგორ განისვენებს მარტო, უჩემოდ, პა-

ტარა სასახლეში, ზედ ძეგლდაუდგმელად, უსახელოდ, როგორც რომელიღაც კიჩოგამოგლეჯილ ხომალდში...“

ამ სიტყვების თქმა იყო, და სპარსელმა ხალხს სთხოვა, ამაღამ ეს საცოდავი გოგო ყველამ იძილისშორისეთ, ისიზმრეთ, რათა გამოკეთდესო, და სულ წვლილად აღწერა, როგორი უნდა ყოფილიყო სიზმარი. ხალხი დაიშალა, მასუდი პირველი წავიდა, და ისეთი გრძნობა დაეუფლა, ვითომც ენაში ძვალი რამ გაუჩნდა, რაც ცხელ აბისინიურ ყავაში ჩაწებული კალმით ჩაწერა კიდევ თავის ხაზარულ დავთარში და ჩახვდა, რომ აქ არცრა ესაქმებოდა. სპარსელი უცილოდ თავის სიტყვისკონას წერდა. ისიც აგრევე სიზმართა მეზადური იყო. მაშასადამე, ადამ რუჰანის სამსახური სულ სხვადასხვა ხერხით შეიძლებოდა. ვითომ სწორი ხერხი კი აირჩია მასუდიმ?..

და აი დადგა ჯუმადა-ალ-აბალის თვე და მეორე ჯუმა ამ თვეში. მდინარის ნისლის საფარველქვეშ ნაპირზედ ქვიშაში იწვა ახალი ქალაქი, შიშველი და თბილი. წყალზედ ჩამოწოლილი ჯანლისა გამო ქალაქი არც კი ჩანდა, მაგრამ წყალში ჯანლქვეშ თითოეული იქაური მინარეთი არეკლილიყო, ქაფადქცეულ ჩქერში წვერით ჩარჭმული. ნისლის იქით კი სმელეთზედ, ღურღუმში, სამდღიანი სიჩუმე სუფევდა, და მასუდიმ იგრძნო, რომ ამ სიჩუმისგან, ამ ქალაქისა და მწყურვალე წყლისგან მამრული ვნება უჩნდებოდა. იმ დღემ მდედრული პური მოანდომა. ერთ-ერთი მარეკი, რომელიც მასუდის ქალაქში სამღერლად ჰყავდა გაგზავნილი, დაბრუნდა და ამბავი მოუტანა, ერთ რასმე მივაგენიო, ამჯერად ქალსაო.

— წადი, მთავარ ქუჩას გაჰყევი და მანამ იარე, სანამ ჯანჯაფილის სუნს არ დაიციე, იმ სუნით, გაიგებ, სადაც ის ქალი ცხოვრობს, რადგან ყველანაირ კერძს ის ჯანჯაფილს უშვრება.

მასუდიც წავიდა, იარა, იარა და როგორც კი ჯანჯაფილის სუნი ეცა, შედგა. ქალი კოცონის წინ იჯდა, ცეცხლზედ შემოდგმულ, კოჭზედ ამოდულეებულ თუჯის ქვაბში შეჭამანდი თუსთუსებდა. ჯამებიანი ბავშვები და ძაღლები რიგში ემწყრივნენ და თავიანთ ჯერს ელოდნენ. ქალი თუჯის ქვაბიდან ჩამჩით უსხამდა შეჭამანდს ბავშვებსა და ძაღლებს, და მასუდი მიხვდა, რომ ის შეჭამანდს კი არა, სიზმრებს უსხამდა იმათ. ქალის ბაგენი წამ-წამ ფერს იცვლიდნენ, და ქვედა ბაგე გადაბრუნებულ მერხს მიუგავდა. იგი ბოლომდე შეუჭმელი თევზის ნარჩენებზედ იჯდა, ვითარცა ძაღლი თავის ნადავლის ძვლებზედ, და მასუდი რომ მიეახლოვა, იმასაც ჯამში შეჭამანდის დასხმა შესთავაზა, მაგრამ მან დიმილიანი უარი შეაგება.

— მე სიზმრებს ვეღარა ვხედავ, — უთხრა მასუდიმ, და ქალმა თუჯის ქვაბი გვერდზედ გადადგა.

იგი ზედმონაკლუწი ყანჩა იყო, რომელიც თავის თავს ქალად სიზმარში ხედავდა. დამბალ-დაღრღნილფრჩხილებიანი და ჩამქრალთვალეებიანი მასუდი პირდაპირ მიწაზედ მიუწვა ქალს გვერდით. ისინი მარტონი იყვნენ, იქავე ახლოს ოდენ კრაზანა-მონავრები ილესავდნენ ნესტრებს ხეთა ხმელ ქერქსედ. კაცმა კოცნა დაუპირა ქალს, მაგრამ საკოცნელ დიაცს უცებ სრულიად შეეცვალა სახე. მასუდის კოცნა სულ

სხვა ლოყამ ირგუნა, და მან ჰკითხა ქალს, რა მოხდაო, ქალმა მიუგო:

— ეჰ, რას გაუგებ ამ დღეებს. ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჩემს სახეზედ ეს დღეები ათჯერ უფრო სწრაფად იცვლებიან, ვიდრე შენსაზედ ანდა შენი აქლემის დრუნჩხედ. ოღონდ უნდა გითხრა, სულ ტყუილად ირჯები ჩემი მოსასხამის ქვეშ, მანდ ის არ არის, რასაც შენს ქვეშაშვილს შავი შაშვი არ მივის. ამქვეყნად არიან უსხეულო სულელები, რომელთაც ებრაელნი დიბუკებს უხმობენ, ხოლო ქრისტიანები — კაბალებს, ოღონდ უსქესო სხეულნიც არსებობენ. სულთ სხეულნი არა აქვთ, მაგრამ სხეულთათვის სული აუცილებელია. სქესი მარტოოდენ იმ სხეულთ არა აქვთ, რომელთაც ის დემონებმა წაართვეს. აგრე დამემართა მეც. შაიტანმა, სახელად იბნ ჰადრაშმა, წამართვა სქესი, ოღონდ სიცოცხლე დამინდო. რაღა ბევრი გავაგრძელო, აწ მე ერთი საყვარელი მყავს — კოენი.

— მერე ვინ არის ეგ კოენი? — დაეკითხა მასუდი.

— ებრაელია, რომელსაც მე ძილში ვხედავ და რომელსაც შენ დასდევ. ჭადარაულვამიანი ჭაბუკია. იმისი სხეული სამ სულშია მიმაღული, ჩემი სული კი მიმაღულია ხორცში, და ამ ხორცს მხოლოდ იმას თუ ვუზიარებ, ოდეს ჩემს სიზმრებში მოდის. მარჯვნივ მიჯნურია, საყვედური არ მეთქმის. თანაც კიდევ ის ერთადერთია, ვისაც კიდევ ვახსოვარ, იმის გარდა სხვა არცვინ მოდის ჩემს სიზმრებში.

აგრე გაიგონა მასუდიმ პირველად იმისი სახელი, ვისაც კვალში ედგა. ჭაბუკს კოენი ერქვა.

— შენ რა იცი, რომ კოენი ჰქვია? — შემოწმება განიზრახა მასუდიმ.

— რა ვიცი, და გავიგონე ვიღაცამ დაუძახა ეგ სახელი და იმანაც მიიხედა.

— სიზმარში?

— ჰო, სიზმარში. ეს იმ ლამეს იყო, ოდეს ის ცარგრადს წარემართა. ოღონდ ერთი რამ გაითვალისწინე: ჩვენს სიზმრებში, ნამდვილ ცარგრადთან შედარებით, მუდამ ასი ასპარეზით უფრო დასავლეთით არის.

მერე ქალმა რაღაც ნაყოფის მაგვარი რამ ამოიღო უბიდან, არცთუ მოზრდილი, თევზის დარი, მასუდის გაუწოდა და უთხრა:

— ეს ქუა. გინდა გასინჯვა? თუ შენ სხვა რამ გინდა?

— სხვა ის მინდა, რომ აწვე კოენი იძილისშორისო, — მიუგო მასუდიმ, და ქალმა გაოცებულმა უთხრა:

— მოკრძალებული სურვილი გქონია. ძალიან მოკრძალებული, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რამაც ჩემთან მოგიყვანა, მაგრამ ყველაფრის მიხედვით ჩანს, რომ შენ ეს შეგნებული არა გაქვს. კი, ბატონო, შეგისრულებ მაგ შენს სურვილს; იმ სიზმარს საგანგებოდ შენი გულისთვის დავისიზმრებ, და წინასწარ გიძღვნი კიდევ. ოღონდ გაფრთხილდი — ქალი, რომელიც კვალში უდგას იმას, ვინც შენ გესიზმრება შენამდევ მოაღწევს...

მან თავი ძაღლს დააყრდნო, სახე და ხელები უამრავი მზერით  
 პქონდა დაკაწრული, თითოეული მზერა ქუთუთოებით შერჭმოდა, და  
 არც აცივა, არც აცხელა, ქალმა თვალდათვალ იძილასშორისა კოენი,  
 რომელმაც წარმოთქვა:

— Intentio tua grata et accepta est Creatori, sed opera tua non  
 sunt accepta...

მასუდის ხეტიალი გასრულდა, ამ ქალისგან მან ბევრად მეტი გაი-  
 გო, ვიდრე მთელი ძებნა-ძიების დროს, აწ იგი იმ ხესავით ჩქარობდა,  
 რომელსაც კვირტი გამოაქვს. მან სასწრაფოდ აღკაზმა აქლემი და უკან,  
 ცარგრადის მხარეს გაეჩქარა. ნადავლი სატახტო ქალაქში ელოდა. და.  
 ვიდრე მასუდი წონიდა, ჩემი ბოლო ნადირობა რაზომ იღბლიანი გა-  
 მოდგაო, საკუთარი აქლემი მიუტრიალდა და შიგ თვალეში შეადუჟა.  
 მასუდომ იმდენ ხანს ურტყა დრუნჩში პირუტყვს სველი ალვირი, სანამ  
 მან ორი კუხი წყლისგან არ დაიცალა, მაგრამ იგი მაინც ვერ ჩახვდა,  
 რას ნიშნავდა აქლემის ეს საქციელი.

გზის ტალახი ფეხსაცმელზედ ტავარნად ეკვროდა ამგზავრებულ  
 მასუდის, რომელიც გზა-გზა მუსიკალურ ფრაზასავით იმეორებდა კო-  
 ენის სიტყვებს, რადგან აზრიკვალადაც არ გაეგებოდა ისინი, და თან  
 იმაზედ ფიქრობდა, რომ პირველსავე ფუნდუკში უნდა ჩამოერეცხა ფე-  
 ხსაცმელი, რამეთუ გზები უკან ითხოვდნენ მთელი სავალის მანძილზედ  
 ნავალ ფეხთაგან ანაკრავი ტალახის, ანუ ტავარნის, დაბრუნებას.

ერთმა ქრისტიანმა ბერმა, რომელმაც ბერძნულისა ენისაგან კი-  
 დე სხვა არცრა ენა იცოდა, მასუდის უთხრა, შენ რა სიტყვებიც აგკვი-  
 ატებია, ლათინურიო, და ურჩია, აქაურ რაბინს მიმართეო. რაბინმაც  
 ხელად გადმოუენა კოენის ფრაზა: და მ ბ ა დ ე ბ ე ლ ს შ ე ნ ი ზ რ ა -  
 ხ ვ ა ნ ი ე ძ ვ ი რ ფ ა ს ე ბ ა, ო ლ ო ნ დ ა რ ა ს ა ქ მ ე ნ ი შ ე ნ ი!

ავერ მიხვდა მასუდი, რომ საწადელი უსრულდებოდა და სწორ  
 გზას ადგა. ფრაზა მყის ეცნო. არაბულად ძველადვე იცოდა იგი, ვინაი-  
 დან ეს ის სიტყვები იყო, ანგელოზმა ხაზართა ხაკანს ჯერეთ კიდევ რა-  
 მდენიმე ასეული წლის წინათ რომ გააგონა. მასუდომ ნიშანდობლივ იაზ-  
 რა, რომ კოენი ერთი იმ ორთაგანი იყო, ვისაც ის დაეძებდა, რამეთუ  
 კოენი ებრაულ თქმულებათა მიხედვით ისევე იყო ხაზართა კვალს ადე-  
 ვნებული, როგორც მასუდი ისლამურ თქმულებათა მიხედვით. კოენი  
 ის კაცი იყო, ვინც მასუდომ იწინასწარმეტყველა, როს ძილდაკარგული  
 ნაპკირკიტებდა ხ ა ზ ა რ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ს კ ო ნ ა ს. სიტყვისკონა  
 და სიზმრები ერთ ბუნებრივ მთლიანობად ლაგდებოდა, წყობისად ითა-  
 კრებოდა.

თუმცაღა სწორედ მაშინ, როს მასუდი აღმოჩენის ზღურბლზედ  
 იდგა, როს ნათელი გახდა, რომ ვიღაც საზარულ ამბავთა მადევარი თი-  
 თქოსდა ეტყუპისცალებოდა კიდევც, მასუდომ უცაბედად თავი მიანება  
 თავის ხ ა ზ ა რ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ს კ ო ნ ა ს და აღარცროდის მიჰბარე-  
 ბია. გეტყვით, როგორც მოხდა.

ისინი ღამის გასათევად გაჩერდნენ, წყვილიაღში მოწითალო ფანტელები რიალებდნენ, ლოგინში ჩათბუნებული მასუდი ღრმად სუნთქავდა. საკუთარი სხეული მასუდის ხომალდად ეჩვენებოდა, რომელიც მსტომელ ტალღებზედ აღმა-დაღმა აქანებდა. მეზობელ ოთახში ვიღაც ბარბითს უკრავდა. ანატოლიელ მეზობითეთა შორის მრავალნი მწიკის შემდეგაც კი ტრიალებდა ლეგენდად ამ ღამესა და ამ მწიკის სახეობაზედ. მასუდი მყის მიხვდა, რომ იშვიათი რამ თვისების ბარბითის ხმა ეყურებოდა. ხე, რომლისგანაც საკრავის ნაწილები გამოეჩარხათ, ნაჯახით არ იყო მოჭრილი, და მცენარეს ცოცხლად შეერჩინა თავის თავში ბგერა. გარდა ამისა, ეს ხე სადღაც ძალაღ ადგილას იყო გაზრდილი, სად ტყეებს წყლის ხმაური არ ესმით. დაბოლოს, თავად ბარბითის ტანი არ იყო ხისა, ცხოველური წარმოშობის მასალისგან გამოეხელკეთებინათ. მასუდი ამას ისევე გრძნობდა, როგორაც სმის მოყვარულნი გრძნობენ თეთრი და წითელი ღვინით თრობაში განსხვავებას. სიმღერა, რომელსაც უცნობი უკრავდა, მასუდიმ იცოდა, ოღონდ ძალიან იშვიათ სიმღერათა სათვალავს ეკუთვნოდა და, ამ დასაკარგავში ვის გაახსენდაო, უკვირდა. ამ სიმღერაში ერთი მეტად ძნელი ადგილი იყო, და მასუდიმ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ მეზობითეობდა, სავანებოდ ამ სიმღერისთვის დაამუშავა საგულისგულო „თითებწყობა“, რასაც შემდგომ ისე გაუვარდა სახელი, რომ ამ ჰანგის შესრულებისას სუყველა მეზობითე ამ ხერხს იყენებდა. თუმცა რა უცნობს რაღაც სხვა გადაწყვეტა ეპოვა, უფრო უკეთესი, ვიდრე თავის დროზედ მასუდიმ მოივარგა, და მასუდი გაგებაში არ იყო, რა გასაღების მორგება შეიძლებოდა ამ სხვა მიდგომისათვის. ის განცვიფრებული ელოდა, იქნებ კიდევ განმეორდესო, და, როცა სიმღერა მართლაც განმეორდა, ყველაფერი ნათელი გახდა. უცნობი იმ რთულ ადგილას ათით კი არა, თერთმეტი თითით სარგებლობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შაიტანი უკრავდა, რამეთუ ეშმაკი დაკვრისას თითების გარდა კუდსაც ხმარობს.

— საგულისყუროა, ნეტავი ის დამეწია თუ მე დავეწიე? — წაიჩურჩულა მასუდიმ და მეზობელ ოთახს მიაშურა. მან იქ თანაბარი სიგრძის ნატიფთითებიანი კაცი მოიხილა, რომლის წვერსაც ზოლად დასდევდა ჭაღარა. კაცს იაბირ იბნ აქაშნი ერქვა, და წინ თეთრი კუს კეცტყავისაგან ნახელკეთილარი საკრავი ედო.

— მაჩვენე, თუ კაცი ხარ! — წარმოთქვა მასუდიმ. — მაჩვენე, თუ კაცი ხარ! ეგ რა იყო, რა მომასმენინე...

იაბირ იბნ აქაშნიმ დაამთქნარა, უნდომანდოდ, ნელა გაანძრია პირი, თითქოს იქიდან რასღაც უხილავ ბავშვს აჩენსო, რომელსაც საბოლოო სახეს ტურებისა და ენის მოძრაობით სძენდა.

— რა უნდა გიჩვენო? — მიუგო მან და გადაიხარხარა. — კუდი? შენ ხომ სიმღერასაც დაეუარე და დაკვრასაც. ერთ დროს მეზობითე აწმესიზმრედ იქეცი, სიზმართა ამხსნელად. ასე რომ შენ ჩემთან გაქვს საქმე, მე ვარ შენი გულისყურის საგანი. ხელის აპყრობას რა, შაიტნის-



გან ელი? წიგნში აკი ჩაწერილია კიდევ — ღმერთს შაიტანი ხედავს, ადამიანები ვერა ხედავენო. მაინც რის შეტყობა გინდა ჩემ შესახებ? სახედრად, ანუ ზეალსაჯლომად, სირაქლემას ვიყენებ, ხოლო ქვეითად როს დავდივარ, უკან ჯგროდ მომყვებიან დემონები, პატარ-პატარა შაიტნები, რომელთაც ერთი მგოსანიც ურევიათ. ის ლექსი ჯგროდ კიდევ უშქარი ასეული წლის წინათ მანამდე გამოთქვამდა, წაწამ ალაჰი პირველ ძეხორციელთ, ადამსა და ევას შექმნიდა. სუყველა ლექსი ჩვენზედ აქვს დაწერილი, შაიტნებზედ, და კიდევ ეშმაკის თესლზედ. მაგრამ ვიმედულობ, შენ მაინცდამაინც დიდს მნიშვნელობას არ მიანიჭებ, ლექსი რა ბედენაა. პირველი სიტყვა მიწყივ ტანზედ გველშემოხვეული ხესავით არის, რომელსაც გაკუდებული ფესვი მიწაში აქვს და ვარჯი ცაში. მე ჩემს თავზედ გიამბობ და ზოგს რასმე ახალს შენზედაც.

ცნობილი ამბებით ვისარგებლოთ. ყოვლის უფრორე ცნობილით, ყურანის მკითხველთ კარგად რომ მოეხსენებათ. მე, როგორც სუყოველი სხვა შაიტანი, ცეცხლისგან ქმნილი ვარ, შენ კი თიხისგან ხარ ქმნილი. მე სხვა არცრა ძალა მაქვს, თვინიერ იმისა, რაც შენში ჩამიღვრია და შენგანვე უნდა მოვიცე. რამეთუ ჭეშმარიტებაში ოდენ იმის პოვნა შეიძლება, რასაც თავად შიგ ჩადებ. ოლონდ ეს არც ისე ცოტა რამ არის — ჭეშმარიტებაში ყველაფრის ადგილია. თქვენ, ადამიანები, რადაც გინდათ, ცაში იმად განსახიერდებით, უკეთუ, რასაკვირველია. სამოთხეში მოხვდით, ოლონდ სამაგიეროდ დედამიწაზედ სამუდამოდ ერთსა და იმავე სახიერებაში ხართ გამომწყვდეულნი, რომელი სახიერებაც თქვენ თავად შექმენით თქვენისავე დაბადება-გაჩენით. ჩვენ კი, პირიქით, დედამიწაზედ ყოველგვარ სახეს ვიძენთ, ჩვენი სურვილისდა მიხედვით, თანაც შეცვლაც შეგვიძლია, უკეთუ მოგვეპრიანება, ოლონდ ქევსერს გადავალთ თუ არა, სამოთხის მდინარეს, სამარადჟამოდ ზეცაში ვრჩებით, შაიტანობამისჯილნი, ანუ რანიც ვართ. თუმცა იმის გამო, რომ ცეცხლისგან წარმოვდგებით, ჩვენი მიმოგონებანი ისე სრულად არ ხუნდებიან, როგორაც თქვენი თიხაში ახელილნი მიმოგონებანი. აი აქა ჩანს მთავარი სხვაობა ჩემსა და შენს შორის ვითარცა შაიტანსა და ადამიანს შორის, შენ ალაჰმა ორი ხელით შეგქმნა, მე კი — ერთით, ოლონდ ჩემი მოდგმა, შაიტანთან ჯიში, შენსაზედ, ანუ ადამიანთა მოდგმაზედ ადრე გაჩნდა. ამგვარად, ყოვლის უფრორე მნიშვნელოვანი სხვაობა შენსა და ჩემს შორის დროშია. და, მართალია, ჩვენი ქენჯნატანჯვანი წყვილად ვლიან, მაგრამ ჩემი მოდგმა შენი მოდგმის უწინარესად მიადგა ჯაჰანამს, ჯოჯოხეთს. ხოლო თქვენ შემდგომად, ადამიანთა შემდგომად, იქ ახალი, მესამე მოდგმა მოვა. ამიტომ შენი სატანჯველი სამუდამოდ უფრორე მოკლე იქნება ჩემსაზედ. რამეთუ ალაჰმა უკვე მოუსმინა იმ მომავალთ, მესამეთ, რომელნიც თქვენზეც შეუძახებენ იმას და ჩვენზეც: „პირველნი ორმაგად დასაჯე, რათა ჩვენ ნაკლები წამება შეგვხვდესო!..“ ეს იმას ნიშნავს, რომ წამება ამოუწურავია. ასე რომ დიახაც აქ არის კვანძი, აქ ის იწყება, რაც არც ერთ წიგნში არ არის, და სწორედ აქ გამოგადგები. პირდაპირ გეტყვი: ჩვენი სიკვდილი თქვენს სიკვდილზედ ბევრად ხნიერია. ჩემს შაიტანთა მოდგმას კვდომის უფრორე ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ვიდრე თქვენს

კაცთა მოდგმას, და უკეთესადაც ახსოვს ეს ჭირნახულობა. ამიტომაც ვუწყვი და შემოძლია კიდევ, რომ სიკვდილზედ რამდენადმე მეტრ გიამბო, ვიდრე რომელიმე თქვენგანი გიამბობდა, რაოდენ ბრძენი და დამზნილ-გამოცდილიც არ უნდა იყოს. ჩვენ თქვენზედ ბევრად მეტხანს ვიცოცხლეთ სიკვდილთან ერთად. ასე რომ ყური დამიგდეთ, ყური-რში ოქროს საყურე გიყრია, შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა, ისარგებლე. რამეთუ რალაცაის დღეს მთხრობელს იმისავე თხრობა ხვალაც შეუძლია, ხოლო ვინც ყურს უგდებს, ოდენ ერთგზის ძალუძს ყურის დაგდება, ისიც მაშინ, როცა ელაპარაკებიან. და აქშანიმ გაანდო მასუდის

### ამგავი შვილების სიკვდილისა

შვილების სიკვდილი მუდამ დედ-მამის სიკვდილის ნიმუშია. დედა იმის გულისთვის იბადება, რა არის სიცოცხლე შესძღვნას თავის შვილს, შვილი კი იმიტომ კვდება, რა არის სახიერება შესძინოს თავისი მამის სიკვდილს. როცა შვილი მამაზედ ადრე კვდება, მამის სიკვდილი ქვრივდება, გონჯდება, უნიმუშოდ რჩება. ამიტომ, დემონები, იოლად ვინოცებით — ჩვენ შთამომავლობა არა გვყავს. და არცრა სიკვდილის ნიმუშის გაგებაში არა ვართ. უშვილძირო ხალხიც აგრეა, იოლად იხოცება იმიტომ, რომ უშვილძიროთა ყოვლისმომცველი საქმიანობა მარადისობაში ერთადერთ რასმე რასაც ნიშნავს, ქრობა-დაშრეტაა, თანაც ძალზედ სწრაფად, ერთ ლანდზედ, თვალის დახამხამებაში. მოკლედ, ნაშიერთა სუყველა სამომავლო სიკვდილი როგორც სარკეში, ისე აირეკლება დედ-მამათა სუყველა სიკვდილში, თითქოსდა უკუქმედების კანონით. სიკვდილი ერთადერთი რამ არის, რაც წინ კი არ გვემეკვიდრევა, არამედ უკან, ბევრად უფრო ახალგაზრდებიდან ბევრად უფრო ხნიერ ხალხზედ გადადის, შვილიდან მამაზედ, — თავიანთ სიკვდილს წინაპარნი თავადაზნაურობასავით შთამომავალთაგან იღებენ მემკვიდრეობად. სიკვდილის სამემკვიდრეო უჯრედი ნადგურცემის გერბია, ის დროის დინებასთან ერთად გადადის მომავლიდან წარსულში და ასე აკავშირებს სიკვდილს დაბადებასთან, დროს მარადიულობასთან, ადამ რუჰანის საკუთარ თავთან. სიკვდილი, ამრიგად, განეკუთვნება ოჯახური და მემკვიდრეობითი ბუნების მოვლენებს. გარნა ლაპარაკია ამასთანავე არა თანდაყოლილ შავ წარბებსა და თხელ წვერზედ. აქ ლაპარაკია, თითოეული ცალკე ადამიანი ვითარ განიცდის სიკვდილს და არა იმაზედ, რისგან კვდება იგი. ადამიანი კვდება მახვილისგან, სენისგან ანდა ასაკისგან, მაგრამ ამას აღიქვამს როგორც სავსებით რალაც სხვას რასმე. ადამიანი თავისას არცროდის, მუდამ მხოლოდ სხვის, თანაც მომავალ სიკვდილს განიცდის. როგორც ვთქვით, თავისი შვილების სიკვდილს. ამრიგად იგი, ადამიანი, სიკვდილს საერთო, ოჯახურ ქონებად ხდის, თუკი შეიძლება ასეთი გამოთქმა. ვინც უშთამომავლოა, იმას მარტო თავისი საკუთარი სიკვდილი ეყოლება. ერთადერთი და, პირიქით, ვისაც შვილები ჰყვანან, ეყოლება არა თავისი, არამედ იმათი სიკვდილი, გადამრავლებული. საშინელებაა იმ ადამიანთა სიკვდილი, ვისაც უდან-

დარი, უამრავი შთამომავლობა ჰყავს, რამეთუ ასეთ დროს სულისა და ხორცის გაყრა გამრავლებულად ხდება, და აკი სულაც აუცილებელი არ არის, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთი ერთხედ ეფარდებოდნენ ერთმანეთს. ახლავ მაგალითსაც მოგახსენებ. ერთ-ერთ ხაზარულ მონასტერში ბევრი საუკუნის წინათ ბერი ცხოვრობდა ერთი, ხაზულად მოკადასა ალ-საფერი, რომლის გვერდით თითქმის ათი ათასამდე, ანუ მაშინდებურად თუ ვიტყვით, ბევრეული ქალწული ტრიალებდა, და იმ ბერმა ლოცვა-ლოცვაში სუყველა ის მონაზონი დააფეხმძიმა. რალა თავი შეგაწყინო, და იმავე რაოდენობის შვილის მამა გახდა. ახლა არ იკითხავ, რისგან მოკვდა? რისგან და, ფუტკარი გადაეყლაპა. მერედა როგორ მოკვდა, თუ იცი? ერთბაშად ათი ათის, ანუ ბევრეული სიკვდილით მოკვდა, იმისი ერთი სიკვდილი ათი ათასხედ გადამრავლდა. თითოეული ბავშვისთვის სათითოოდ აღესრულა. დამარხვითაც კი ვერ დამარხეს. ერთად ამდენმა სიკვდილმა სულ ლუკმა-ლუკმა აქცია, ისე დააქუცმაცა, ამ არაკის მეტი იმისაგან არცრა გადარჩენილა.

მთელი ეს ამბავი ერთ მეორე იგავსა ჰგავს, შეკონილი ჯოხები-სა თუ წკებლების, ანუ ხურთის ყველასთვის ცნობილ იგავს, რომელიც თქვენ, ადამიანთ, არასწორად გესმით. სიკვდილის სარეცელზედ მწოლიარე მამა, თავის ვაჟიშვილთ რომ უჩვენებს, თუ რა ადვილია ცალკე ერთი წკებლის გადატეხა, სინამდვილეში უმაგალითებს, თუ რა იოლად კვდება ის კაცი, ვისაც მართო ერთი შვილი ჰყავს. ხოლო როს ახილებინებს, თავად ხურთის გადამტვრევა შეუძლებელიაო, ამით იმის თქმა სწადს, სიკვდილი ჩემთვის ძნელ და მძიმე სამუშაოდ იქცევაო. და კიდევ იმის თქმაც უნდა, თუ რა მტანჯველია სიკვდილი, როცა შენს სისხლად და ხორცად ბევრი სიკვდილისშვილი გყავს, რამეთუ მამა სუყველას აგონიას წინასწარ ცალ-ცალკე განიცდის. ასე რომ, რაც მეტი წკებლაა ხურთში, მით უფრო მეტი საშიშროებისა წინაშე ხარ. ეს ამბავი კი სულაც არ გმატებს ძალას. რაც შეეხება მდედრის სიკვდილსა და მდედრის მშობიარობას, აქ ახლა ხურც ვახსენებთ — ეს სულ სხვა ბუნების ამბებია, მდედრის სიკვდილსა და მამრის სიკვდილს შუა სახესხვაობის ზღვარია, მდედრის სიკვდილს თავისი კანონები აქვს...

დაახლოებით აგრე გამოიყურება ეს საიდუმლოთა საიდუმლო, უკეთუ აქედან შევხედავთ, საიდანაც ჩვენ, შაიტანთ, ადამიანებთან სიკვდილის რამდენადმე მეტი გამოცდილების მქონეთ, დანახვა შეგვიძლია. იფიქრე ამაზედ, რადგან სიზმართა მეზადური ხარ, და, თუ გულისყურს არ მოადუნებ, ვინ იცის, იქნებ ყოველივე ამის მოწმეც გახდე.

— მაინც რას გულისხმობ? — დაეკითხა მასუდი.

— შენი ნადირობის მიზანს. სხვა მესიზმრეებისა არ იყოს, შენსავით ამ უწმინდურებაში რომ დაალაჯუნებენ, შენც იმ ორი კაცის პოვნა გინდა, რომლებიც ერთმანეთს სიზმარში ხედავენ, მძინარე მუდამ იმის სიცხადეს ხედავს, ვინც მღვიძარებს. ეგრე არ არის?

— ჰო, ეგრეა.

— ახლა წარმოიდგინე, რომ ეს მღვიძარე კვდება, რამეთუ არ არის უფროსი სასტიკი სიცხადე თუ სინამდვილე, ვიდრე სიკვდილია. ვინც სიზმარში მღვიძარის სიცხადეს ხედავს, სინამდვილეში სიზმარად ხედავს იმის სიკვდილს, ვინაიდან მღვიძარის სიცხადე იმ ღრის კვდომას განიცდის. ამრიგად, მძინარე თვალსაჩინოდ ხედავს სხვის კვდომას, ოღონდ თვითონ არ მოკვდება. მაგრამ იმიერიდან ველარცროდის გაიღვიძებს, რადგან ის სხვა, ვინც კვდება, იმიერიდან აღარ იქნება და სიზმრად ველარ იხილავს იმის სიცხადეს, ვინც ცოცხალია, აღარ იქნება იმიერიდან ეგ აბრეშუმის ჭია, რომელიც იმ ცოცხლის სიცხადეს სინამდვილის ძაფსა ქსოვს. ასე რომ, ვინც სიზმარში მღვიძარის სიკვდილსა ხედავს, აღარც გაღვიძება ძალუძს, აღარც იმის გადმოცემა, როგორ გამოიყურება სიკვდილი მომაკვდავის საკუთარი გამოცდილების თვალსაზრისით, თუმცაღა ამ გამოცდილების უშუალო ცოდნასა ფლობს. ამიტომ შენ, მესიზმრემ თუ სიზმართ-წარმთქმელმა, იმისი სიზმრის წაკითხვის ხერხიც იცი, სიკვდილის თაობაზე იქ ყველაფრის პოვნისაც, გაგებისაც, და ჩემი გამოცდილების როგორც შემოწმების, ისე შევსებისაც. დაკვრა-მესაკრავეობა სუყველას შეუძლია, სუყველას შეუძლია სიტყვისკონის შედგენაც. ეგ ერთიცა და მეორე საქმეც სხვებს გადაულოცე, რადგან მარტოოდენ შენებრ იშვიათ და გამორჩეულ კაცთ ძალუძთ შეხედვა ორი მხერის შუა დაგდებულ იმ ღრიჭოში, სადაც სიკვდილი სუფევს. ეგ შენი სიზმართა მეზადურობის ნიჭი იმად მოივარგე, რომ დიდროვანი რამ მოიხელთო. შენ საკუთარ თავს დაუსვი კითხვა, იცოდე, პასუხის გაცემისას რამე არ შეგეშალოს, — გაასრულა იაბირ იბნ აქშანიმ წმინდა წიგნის სიტყვებთან შეხავებული თავისი თხრობა.

გარეთ ღამე შემეწამულდა, თენდებოდა. ქარვასლის წინაშე წყაროს ჩუხჩუხი ისმოდა. მილი, საიდანაც წყალი დიოდა, ბრინჯაოსი იყო და მამრის სარცხვინელის სახე ჰქონდა, რომელს ორი ილეკროს საურვალი, ანუ ყვერი ეკიდა და ლეკროსავე ბალანი მოსდებოდა. წყლის დასაღვევ თავს კი პრიალი გაჰქონდა. მასუდი წყალს დაეწაფა, წყურვილი მოიკლა და კიდევ ერთხელ გამოიცვალა ხელობა. აღარცროდის გაჰკარებია სახარულ სიტყვისკონას და თავისი ებრაელი ყარბის ცხოვრებაზედ ამბების შეგროვებასაც თავი მიანება. რომელი ქალღმერთიც კი ეთიოპიურ ყავაში ჩაწებული კალმით ჰქონდა დანუსხვილი, მასუდიმ სუყველა იმ მწვანე ბულაგ-ტომარასთან ერთად მოისროლა, რომლითაც ისინი თან დაჰქონდა, უკეთუ, სიკვდილის შესახებ ჭეშმარიტებას მონადირესავით ადევნებულს, ის ქალღმერთი როგორც ცნობარი რამ, ისე არ დასჭირვებოდა. აგრე განაგრძო მან ძველი ნადირის ალყაში მოქცევა, ოღონდ ახალი მიზნით.

სადარეს თვეში ერთესის პირველი ჯუმა იდგა, და მასუდი იმ ხესა ჰგავდა, ფოთოლი რომ გასდის. მასუდის აზრები ერთიმეორის მიყოლებით სწყდებოდნენ თავ-თავიანთ ტოტებს და ცვიოდნენ; იგი მანამ ადევნებდა თვალს ამ თავის აზრთ, სანამ ისინი თავიანთი შემოდგომის ფსკერს არ ეფინებოდნენ. მასუდი პირიანად გაუსწორდა და დაემშვიდობა თავის მეზარბითეთ და მომღერალთ და ახლა მარტო იჯდა, თვა-

ლებდასუჭული და ზურგით პალმის ტანს მიყრდნობილი, ჩექმებისგან ფეხისგულები უხურდა, და თავის ტანსა და ქარს შუა მარტო ყინულსავით ცივსა და მწარე ოფლსა გრძნობდა. ამ ოფლში იგი მარტოდ მოხარშულ კვერცხს აწებდა და აგრერივად ამარილიანებდა. დაძდეგი შაბათი იმისთვის ისეთივე დიდი იყო, ვითარცა ვნების ხარასწევრი, და იგი ცხადად გრძნობდა ყოველივეს, რაც უნდა ექნა. კოენს უნდა ეს იყო ცნობილი, რომ ცარგრადს მიდიოდა. ამიტომ აღარ იყო მეტად საჭირო ამ კაცის კვალში ჩადგომა და დასაჭერად დევნა სხვათა იმ სიზმრების შესასვლელ-გამოსასვლელებში, რომელ სიზმრებშიც მასუდის, როგორც ხვადავსა რასმე, ისე უჩაჩქუნებდნენ, ეძალებოდნენ და ამცრობდნენ. ბევრად უფრო ძნელი იყო კოენის მოძიება ცარგრადში, ამ ქალაქთა ქალაქში. თუმცაღა მასუდის თავად არც უნდა ეძებნა, იმის მაგივრად ამას სხვა ვინმე იზამდა. ვინც კოენს სიზმრად ნახულობდა, მოსაძიებელი სწორედ ეს ერთადერთი სხვა ვინმე იყო, ვის შესახებაც მასუდიმ წინათვე რალაც-რალაცეები იცოდა.

„როგორც ვარდის ფურცლებზედ დაყენებულ ჩაიში ჩაშვებული ცაცხვის თაფლის სუნი არ აგრძნობინებს კაცს ჩაის უტყუარ სურნელს, ისე მეც რალაც არ მაძლევს იმ სიზმრების ცხადად გარჩევისა და ჩახვედრის საშუალებას, რომელ სიზმრებშიც ჩემს გარშემო მყოფი ხალხი კოენსა ხედავს“, — ფიქრობდა მასუდი. იქ არის კიდევ ვილაც, ვილაც მესამე, ვინც ხელს უშლის...

მასუდი უკვე კაიხანი ვარაუდობდა, რომ იმის გარდა, ვისაც ხელთ არაბული წყაროები ჰქონდა, ამქვეყნად, სულ ცოტა, ორი ვინმე კიდევ მაინც იყო, ხაზარული ტომი რომ აგულისყურებდა: ერთი — კოენი — ფლობდა ხაზართა მოქცევის ებრაულ წყაროებს, ხოლო მეორე, ჯერჯერობით უცნობი — უცილოდ ქრისტიანულს. და ახლა საჭირო იყო ამ მეორის — ვინმე ბერძნის ანდა სხვა მავანი ქრისტიანის, ანუ ხაზართა საქმეებით დაგულისყურებული, სწავლული კაცის მიგნება. ეს კი, რალა საეჭვოა, ის იქნებოდა, ვისაც ცარგრადში თავად კოენი ეძებდა. საჭირო იყო ამ მეორის პოვნა. და მასუდისათვის უცებ ცხადი გახდა, რაც უნდა ექნა საამისოდ. მაგრამ, როგორც კი წამოდგომა დააპირა, რახან ყველაფერი უკვე მოფიქრებული ჰქონდა, იმწამს იგრძნო, რომ კვალად ვილაცის სიზმარში მოხვდა, რომ კვალად, ოღონდ ამჯერად არა თავისი ნებით, მოუწყვედა ნადირობა, ირგვლივ არც ადამიანთა ჭაჭანება იყო, არც ცხოველთა. ოდენ ქვიშა, უწყლო სივრცე გაშლილიყო ცასავით უკიდევანო და იმას იქით ქალაქთა ქალაქი ჩანდა. სიზმარში აღიდებულ, აღვარქაფებულ წყალს გაჰქონდა დგრიალი, ღრმა, ღურღუმი წყალი იყო, მტკბარიც და მომაკვდინებელიც, ზედ გულამდე სწვდებოდა, და მასუდის სწორედ ის დგრიალი ჩარჩა გულში, სწორედ იმ დგრიალმა გაუჟღინთა სულ ერთიანად ფაკელ-დოლბანდის ნაკეცები, რომელი ფაკელ-დოლბანდიც ისეთნაირად იყო დახვეული, რომ წინასწარ მტყველის წიგნის მესუთე სურის ერთ-ერთ სიტყვას დამსგავსებოდა. მასუდისათვის ნათელი იყო, რომ სიზმრისეული წელიწადის დრო ცხადისგან განსხვავდებოდა. და იგი მიხვდა, რომ ეს იმ პალმის სიზმარი იყო, რომელსაც მიყრდნობოდა. პალმა სიზმრად წყალსა

ხედავდა. სხვა არცრა მომხდარა სიზმარში, მხოლოდ ქათქათა ფაკელ-  
დობანდივით ხელკვეთილად დახვეული ხმაური ისმოდა მდინარესა...  
მასუდი გვალვაში მიადგა ცარგრადს, შააბანის თვის ბოლოს, და ქალაქის  
მთავარ ხაზარში ხაზარული სიტყვისკონის ერთ-ერთი  
გრაგნილი გასაყიდად გაშალა. ერთადერთი, ვინც ამ საქონელს შეძლო  
ლისყურდა, ბერძნული ეკლესიის ბერი იყო, სახელგვარად მთაწმინდის  
ნიკოლსკი, რომელმაც მასუდი თავის პატრონს მიჰგვარა. იმან ფასის  
უკითხავად გამოართვა მასუდის გრაგნილი და, კიდევ ხომ არაფერი გა-  
ქვსო, ჰკითხა. დასტურ მიზანს ვეწიეო, დაასკვნა მასუდიმ, ჩემ წინარე  
ის საძებარი მეორე დგას, ვისაც სიზმრად თქმა არ უნდა, იმის გულის-  
თვის იყო ცარგრადში დიპლომატად მსახურობდა, ინგლისელ დესპანს  
ემუშავებოდა დიდ პორტაში, და აბრამ ბრანკოვიჩად იცნობდნენ. იგი  
ქრისტიანი იყო, წარმოშობით ტრანსილვანიელი, ბრგე და დიდებულად  
ჩაცმულ-დახურული. მასუდიმ აბრამ ბრანკოვიჩს თავისი სამსახური  
შესთავაზა და ის არც დაუბარებია, მსახურად აიყვანა. რადგან აბრამ-  
ეფენდი თავის წიგნთსაცავში ღამით მუშაობდა, დღისით კი ეძინა, მსა-  
ხურ მასუდის თავისი პატრონის სიზმარში შესედვის საშუალება უკვე პი-  
რველსავე დილას მიეცა. აბრამ ბრანკოვიჩის სიზმარში კოენი აქლემზედ  
თუ ცხენზედ იყო ამხედრებული, ესპანურად მეტყველებდა და ცარგ-  
რადს უახლოვდებოდა. კოენს ვიღაც პირველად ხედავდა დღისით სიზ-  
მარში. ამკარა იყო, რომ ბრანკოვიჩი და კოენი რიგრიგობით ესიზმრე-  
ბოდნენ ერთმანეთს. აგრე შეიკრა წრე, და კვანძის გახსნის უამი დადგა.

— კარგია, დაასკვნა მასუდიმ, ოღონდ ფურაქლემი, რომელსაც  
ღამით აბამ, ბოლომდე უნდა ჩამოწველო, რადგან, კაცმა არ იცის, სვალ  
ვის სამსახურში იქნება! — და დაიწყო თავისი პატრონის შვილების ამ-  
ბის გამოკითხვა. იქით გაიკითხა, აქეთ გამოიკითხა და შეიტყო, რომ  
შინ ერდელში, აბრამ-ეფენდის ორი ვაჟიშვილი დარჩენოდა, რომელ-  
თაგან ერთს, უმრწემესს, თმის უცნაური რამ სენი სტანჯავდა, და, რო-  
გორც კი თავიდან უკანასკნელი ღერი თმა ჩამოუვარდებოდა, ისიც მოკ-  
ვდებოდა. ხოლო აბრამის მეორე ძე უკვე სარტყლისშემრტყმელი, ანუ  
სრულწლოვანი იყო და უხმლოდ ნაბიჯს არ ადგამდა. ამ უფროს ძეს  
აბრამისას გრგურ ბრანკოვიჩს ეძახდნენ, რომლის საჭურველიც არა-  
ერთხელ გაუყირმიზისფერებია თურქულ სისხლს... ეს იყო და ეს, მეტი  
არცრა შეუტყვია, მაგრამ მასუდისთვის ესეც კმაროდა. დანარჩენი  
დროისა და ლოდინის ამბავიანო, გაიფიქრა მან და დროის ხარჯვას შე-  
უდგა. უწინარესად სახიობა-მესაკრავეობა იგულმავიწყა, თავისი პირ-  
ველი ხელობა. ოღონდ სიმღერებს ზედიზედ და ერთიანად კი არა, ნა-  
წილ-ნაწილ ივიწყებდა: თავდაპირველად მესხიერებიდან ქვედა ტონები  
გაუქრა, და დავიწყების ჭრელთავა ტალღა, ვით მოქცევისას იცის, სულ  
ზევით და ზევით მიიწევდა, ყველაზედ უფრო მაღალი ბგერებისკენ,  
ქრებოდა სიმღერათა მთელი ქსოვილი, და ბოლოსა და ბოლოს მასუ-  
დის მესხიერებაში ჩონჩხივით მარტო რიტმილა დარჩა. მერე მან თავისი  
ხაზარული სიტყვისკონის დავიწყებაც დაიწყო, სიტყვათა  
ერთიმეორის მიყოლებით, და აინუნშიც არ მოსვლია, როცა ერთ სალა-

მოს ბრანკოვიჩის მავანმა მსახურმა ის სიტყვისკონა ავად აბრიალებულ ქურდ ცეცხლში ჩაუგდო...

ოღონდ მაშინ რაღაც გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, აბრამ-ეფენდომ შაბალეს თვეში ბოლო ჯუმის დადგომისთანავე, როგორც კოდალამ, რომელსაც ბოლოწინმოქცეულსაც ძალუძს, უეცარ-ულუმელდ დააგდო ცარგრადი. მან თავი დაანება დიპლომატიურ სამსახურს და მთელ თავის ამაღასთან ერთად და მსახურ-ფარეშებიანად დუნაიზედ საომრად წავიდა. აქ, ქალაქი კლადოვოში, ისას წელთაღრიცხვით 1689 წელს ისინი უფლისწულ ბადენელის ავსტრიული ბანაკის განლაგების ადგილას აღმოჩნდნენ, და ბრანკოვიჩი უფლისწულის სამსახურში ჩადგა.

მასუდომ არ იცოდა, რა ეღონა და რა გზას დასდგომოდა, რადგან ებრაელი, ცარგრადისკენ მიესწრაფვოდა და არა კლადოვოსკენ, და მასუდის გეგმა-ჩანაფიქრი სულ უფრო შორდებოდა, ემანძილებოდა მოვლენათა მიმდინარეობას. იგი მდინარის პირას იჯდა და გულდასმით ახვევდა თავის დოღბანდ-ფაკელს. და სწორედ მაშინ მოეყურა მდინარის დგრიალი. წყალი თითქოს დუღდა ღრმად მასუდის ქვეშ, და წყლის ის ბრღვინვა-დგრიალი აშკარად ეცნაურებოდა მასუდის, რადგან სულერთიანად ჩასდგომოდა დოღბანდ-ფაკელის, ანუ თავსახვევის ნაკეცებში, აგრერიგად, რომ ჩამოჰკავდნენ ყურანის მეხუთე სურის ერთ-ერთ სიტყვას. ეს იგივე წყალი იყო, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინათ ცარგრადის ახლოს ქვიშნარში პალმას ესიზმრებოდა, და ამნიშანმა მასუდი გულისხმაში ჩააგდო, რომ კოჭი აღჩუს უჯდებოდა და თავის გზას დუნაიზედ გაასრულებდა. იგი სანგარში ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და ყოველ ცისმარე დღეს კამათელს ეთამაშებოდა ბრანკოვიჩის ერთ-ერთ მდივან-მწერალს. ის მდივან-მწერალი სულ აგებდა და აგებდა, და იმის იმედით, ერთხელაც იქნება მოვუგებო, თავს მაშინაც კი არ ანებებდა ამ უაზრო ყომარბაზობას, როცა იმათ სანგარს თურქული ტყვია-ჭურვის თავსხმა წამოეკოკისპირულა. და არც მასუდი იყო სხვაგან სადმე უხიფათო ადგილას პოვნის მოწადინე, რადგან ზურგს უკან ბრანკოვიჩი ეგულებოდა, რომელსაც კვლავ ესიზმრებოდა კოენი. კოენი აღმა-დაღმა დააგელვებდა ცხენს რომელიღაც მდინარის ბრღვინვა-დგრიალში, რომელი მდინარეც ბრანკოვიჩის სიზმარში დიოდა, და მასუდომ იცოდა, რომ ეს თავად დუნაის ბრღვინვა-დგრიალი იყო, რის გაგონება ცხადშიც შეიძლებოდა. მერე უცებ დაქროლილმა ქარმა მასუდის სახეში მიწა შეაყარა, და მან იგრძნო, რომ ასახდენი მყის აუხდებოდა. როცა ყომარი კვლავ განაგრძეს და ერთ-ერთმა ისევ გააგორა კამათელი, პოზიციაზედ ფსლის სუნად აყროლებული თურქთა რაზმი შემოიჭრა, და სანამ იანიჩარები მარცხნივ თუ მარჯვნივ სხებდნენ და კაფავდნენ, მასუდი თვალხარბად დაეძებდა ჭალარაულვაშიან ჭაბუკს. და წაჰკრა კიდევც თვალი. მასუდომ ისეთი კოენი მოიხილა, როგორსაც სხვათა სიზმრებში ხედავდა, — წითურთმიანი, შევერცხლილ ულვაშ-ქვეშ დიმილის ვიწროზოლგავლებული, ზურგზედ ბულავ-ტომარამოგდებული, უკან ბოჯინჯგალების, ანუ პატარა, ძლივს გადადგმული

ნაბიჯების ძეწკვი რომ დასთრევდა. თურქთ კი უკვე აეჩენათ მდივან-მწერალი, შუბით განეწონათ აბრამ ბრანკოვიჩი, რომელსაც გაღვიძებაც ვერ მოესწრო, და ახლა უკვე მასუდის ჯერი იდგა. მაგრამ მსსნე-ლად კოენი მოევლინა. განწონილი ბრანკოვიჩის დანახვაზედ კოენი მოცელილივით მოწყდა, და ბულაგ-ტომრიდან რალაც ქალაქდებში წამო-უცვივდა. მასუდი უმაღლ მისვდა, რომ კოენს ძილქუში დაწვავს, რისგანაც თავს ველარ გამოიფხინებდა.

— ეს რა, კოენი მოკვდა? — თითქმის გახარებული დაეკითხა თავის შინაკაცთ თურქთა ფაშა, მასუდიმ კი არაბულად მიუგო:

— არა, ჩაეძინა, — ამით თავისი სიცოცხლე ერთი დღით გაიხანგრძლივა, რადგან ამგვარი პასუხით გაკვირვებულმა ფაშამ რომ ჰკითხა, შენ რა იციო, მასუდიმ უპასუხა, მე ისა ვარ, ვინც სხვათა სიზმრების კვანძს ჩემის ნებისად ვკრავ და ვხსნიო, მე ხელობით სიზმართა მეზადური ვარო, დიდი ხანია, რაც შუაკაცსა ვდეგ, ანუ თავისებურ სატყუარას უტყუარი ნადავლის ხელში ჩასაგდებადო, რომელი სატყუარაც ახლა შუბით განგმირული სულსა ლევსო, და შეენუკვა, ეგ შუბით განგმირული დილაძდე აცოცხლებინე, რათა თვალი გავაღევნო კოენის სიზმარსაო, მაგას აწ ბრანკოვიჩის სიკვდილი ეზმანებაო.

— სანამ ეს არ გაიღვიძებს, ეგ ცოცხალი დატოვეთ, — წართქვა ფაშამ, თურქთ მძინარე კოენი ზურგზედ მოჰკიდეს მასუდის, და ისიც, სანუკვარნადავლმოკიდებული, იანიჩართა თახხლებით თურქთა მხარეს წავიდა. მასუდის ზურგზედ მოგდებულ კოენს მთელი ეს დრო მართლაც ბრანკოვიჩი ეძილიშორისებოდა, და მასუდის ეჩვენებოდა, რომ ერთი კი არა ორნი ეკიდნენ ზურგზედ. ჭალარაულვაშიანი ჭაბუკი მასუდის მხარზედ თავჩამოდებული, როგორც ჩვეულებრივ, აბრამ-ეფენდის სიზმრად მღვიძარეს ხედავდა, რადგან იმისი სიზმარი ბრანკოვიჩის ჯერ კიდევ სიცხადე იყო. ბრანკოვიჩი კი თუ ოდესმე ყოფილა ცხადში, სწორედ ახლა იყო, შუბით განგმირული, რამეთუ სიკვდილში სიზმარი არ არის. აქ მასუდის ის შესაძლებლობა გაუჩნდა, რომლის თაობაზედაც იაბირ იბნ აქშანი ელაპარაკებოდა. მასუდიც მანამ ნადირობდა კოენის სიზმარზედ, სანამ ის სიზმრად ბრანკოვიჩის სიკვდილს ხედავდა, როგორც რომ აქამდე იმის სიცოცხლეს ხედავდა სიზმარში.

მასუდიმ ეს დღე და ღამე კოენის სიზმართა თვალის ღვეწებაში ვაატარა, როგორადაც თავისი ყბების ცაზედ თანავარსკვლავედთა თვალთვალში ატარებდა ხოლმე. და ამბობენ, ბრანკოვიჩის სიკვდილი ისე მოიხილა, როგორც თავისი სიკვდილი თვითონ მოიხილა ბრანკოვიჩმაო ამ ამბისგან გამოღვიძებულს კი თურმე წარბები გასჭალარავებოდა, ყურები ასძიგძიგებოდა და, გარდა ამისა, საშინლად მქისესუნიათი ყანწებსავით ფრჩხილები წამოზრდოდა. იგი იმ ზომამდე ყოფილა რალაც საშურ ფიქრს მიცემული, ვერც კი შეუმჩნევია თავს წამომდგარი მომხდური, რომელსაც ხელის ერთი დაკვრით შუაზედ გაუპია, და გაპობილს ქამარი ისე ჩასძრობია, არც გახსნია. ხმაღს გველსავით დაკლაკნილი კვალი დამჩნევია, და თვალის დახამხამებაში გაჩენილი შემაზრზენი ჭრილობიდან, თითქოს კრიჭა ან ღია პირი იყო, რალაც გაუგებარი ხმა, ხორცის ქვითქვითი ამოსვლია. ამბობენ, ვინც კი ის საშინელი,



ქვად დაკლავნილი ჭრილობა-ნახმლევი თავისი თვალით ნახა, მერე მთელი სიცოცხლე აღარ დავიწყებიაო, ხოლო ვისაც არ დავიწყებია, ისინი ამბობენ თუ ჰყვებიან, ამ იარა-ნახმლევის ამბავი გვიან შევრთყვეთ ვინმე ავერკიე სკილას წიგნიდან, რომელსაც რჩეულნი ხმალით ხელმოწერილობანი ჰქვია და სადაც ხმალდახმალ: (ბრძოლის ყველაზედ აღიარებული ილეთ-ხერხებია თავმოყრის!) 11702 წელს ვენეციაში გამოცემულ სკილას ამ წიგნში შემოსხენებული ჭრილობა-ნახმლევის გამჩენი დაკვრა თუ დარტყმა ვერძის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავის სახელით არის ცნობილი. იყო თუ არა მასუდისათვის ხეირი რამ ამ საშინელ სიკვდილში და რა გაანდო მან სიკვდილით დასჯის წინ ფაშას, არავინ უწყის. გადავიდა თუ არა იგი ჯოჯოხეთის თავზედ გადებულ პირდაპირ იალ-სამოთხეში მიმყვან წევსავით წვრილ და ხმალსავით დაწამწამებულ ბასრ სირათ-ქანულა-ხიდზედ, მხოლოდ იმათ უწყიან, ვინც კრიჭაშეკრული ველარ მეტყველებს.

ერთი ლეგენდის თანახმად, მასუდის მუსიკა-სახიობა სამოთხეში მოხვდა, ხოლო თავად მან ჯოჯოხეთში ამოყო თავი და ჩაიბურტყუნა: „არ მერჩივნა, სულ არ მემღერა, მეც ახლა ქურდებთან და თულ-ყაჩაღებთან ერთად სამოთხეში ვიქნებოდით! ვაი რომ მუსიკა-სახიობამ სწორედ მაშინ ამაცდინა გზას, ჭეშმარიტებამდე ორი ნაბიჯილა რომ იყო“. მასუდის საფლავს თავზედ დუნაის ხმაური დასდის და მატყური ადგას, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა:

„რაც კი რამ მოვინაგრე და ვისწავლე, ყველაყა კბილებზედ მოხვედრილი კოვზის გაწკარუნებად მექცა“.

**მოკადასა ალ-საფერი** (IX, X და XI საუკუნეები) — ხაზართა მღვდელი დედათა მონასტერში. მთელი თავისი გრძელყამიერი ცხოვრების მანძილზედ ერთ-ერთ სხვამონასტრელ ბერს უდაფოდ და უფიგურებოდ ჭადრაკს ეთამაშებოდა. ისინი წელიწადში ერთ სვლას თუ ახერხებდნენ კასპიისა და შავ ზღვებს შუა მოქცეულ თვალუწვდენელ სივრცეში, ხოლო კოჭებ-ფიგურებად იმ პირუტყვთ იყენებდნენ, რომელთაც რიგ-რიგობით უსევდნენ შევარდენს. ანგარიში ეწეოდა არა მარტო მინდორს, რომელზედაც თითოეული პირუტყვი ნადავლი ხდებოდა, არამედ ზღვის დონიდან იმ ადგილის სიმაღლესაც. მოკადასა ალ-საფერი ხაზართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო სიზმართა მებადური იყო. უტყუარ ამბად მიაჩნიათ, რომ თავის სიტყვათა კონას მან ადამ რუჰანის თავის ერთი ღერი თმაც მიამატა (შდ. იასუდხ იუსუფი).

მონასტერში, რომელსაც ის ეკუთვნოდა, მოკადასა ალ-საფერს ლოცვაც თავისებური ჰქონდა დადგენილი, წესიც და რიგიც, და სწორედ ამ ამბავმა შეაძლებინა იქ აღკვეცილი ათი ათასი ქალწული მონაზვნის განაყოფიერება. ლეგენდის თანახმად, ბოლო, ვინც თავისი საძინებლის გასაღები გამოუგზავნა, სეფექალი ატეპი გახლდათ. ეს პატარა მღვდრული გასაღები იყო, თავის მაგივრად ოქროს მონეტა ჰქონდა. ამ გასაღების გულისთვის მოკადასა ალ-საფერმა თავი წააგო, რადგან ხაკანის ეჭვიანობის ზვარაკად იქცა. სიკვდილით წყლის თავზედ დაკიდებულ გალიაში გამომწყვდეული მოკვდა.

**დ-რი მუაზია აბუ კაზირი (1930-1982)** — ივრითის არაბი სპეციალისტი, კაიროს უნივერსიტეტის პროფესორი. ახლო აღმოსავლეთის რელიგიების ურთიერთმიმართებით სწავლობდა. დაამთავრა უნივერსიტეტი იერუსალიმში, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნივერსიტეტის დოქტორო დისერტაცია თემაზედ „ძველებრაული ფილოსოფია კუნის ესპანეთში და ქალამის მოძღვრება“. ახოვანი, მხარბეჭიანი ვაჟი იყო, ისეთი განიერი ზურგი ჰქონდა, ერთ იდაყვს მეორეს ვერ აწვდენდა, სულ ზეპირად იცოდა იეჰუდა პალევის სიმღერათა უმრავლესობა და სჯეროდა, 1691 წელს დაუმბანუსის მიერ გამოცემული ხაზარული სიტყვისკონის პოვნა სადმე ძველი წიგნების დუქანში კიდევ შეიძლებაო. ამ თავისი გულდაჯერებულობის დასასაბუთებლად მან, XVII საუკუნიდან მოყოლებული, სუყველა ის მოვლენა აღადგინა, რომელსაც კი რამე კავშირი ჰქონდა ხაზარულ სიტყვისკონასთან, შეადგინა ყველა ნადგურცემული თუ ჯერხანად ისევ ხელიდან ხელში გადაძავალი რამდენიმე ცალის ზუსტი სია და დაასკვნა, რომ ამ დაკარგულად ჩათვლილი გამოცემის სულ ცოტა ორი ცალი მაინც იყო გადარჩენილი. მაგრამ წაწყდომით ვერც ვერსად წააწყდა და ვერც კვალს რასმე მიაგნო, თუმცა თავგადაკლული ძებნა-ძებნა არ შეუწყვეტია. როცა მან, შემოქმედების ცეცხლით უჩვეულოდ აღგზნებულმა, სამათასიანი ბიბლიოგრაფიული ერთეული გამოაქვეყნა, 1967 წლის ისრაელ-ეგვიპტის ომი დაიწყო. როგორც ეგვიპტის ჯარის ოფიცერი, იგი საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა, დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. საჯარისო საბუთებისდა მიხედვით, იგი მძიმედ იყო დაწყლული როგორაც თავის, ისე სხეულის არეში, რის შედეგადაც კაცობა დაკარგა. სამშობლოში დაბრუნებულს თავი უამრავი შემცბარი ღიმილით ჰქონდა შეხვეული და ყველა ის ღიმილი უკან შარფივით დასთრევდა. რომელიღაც სასტუმროში მან სამხედრო ტანსაცმელი განიძარცვა და სპილენძის სარკეში პირველად მოიხილა თავისი სიგონჯესახიჩრობა, რასაც წივწივა ჩიტის სკინტლის სუნი სდიოდა, და მიხვდა, რომ ველარცროდის დაწვებოდა ქალთან. მერე ნელ-ნელა დაიწყო ჩაცმა და თან ფიქრობდა: „ოცდაათ წელიწადზე მეტხანს მზარეული ვიყავი, დღითი დღე ვამზადებდი და ბოლოს გავამზადე კიდევ ის კერძი, რაც მე ვარ; მე თავად ვიყავი ხაბაზი და ცომიც, მე თავად მოვზილე ჩემგან ისეთი პური, როგორიც მინდოდა, მერმე კი უცებ სხვა მზარეული გაჩნდა თავის დანიანად და თვალის დახამხამებაში გაამზადა ჩემგან სრულიად სხვა, ჩემთვის უცნობი კერძი. ახლა მე ღვთის დაი ვარ, ანუ ისა ვარ, ვინც არ არსებობს“.

და იგი იმიერიდან აღარ დაჰბრუნებია თავის ოჯახს, არ დაჰბრუნებია უნივერსიტეტში არც თავის სამუშაოს. ალექსანდრიაში თავისი მამის გამოკეტილ სახლში დაბინავდა, მოჩქარე კაცივით ცხოვრობდა და სულ იმის თვალთვალში იყო, ფრჩხილებიდან, ვით თევზის ლაყუჩებიდან, უამრავი პაერის ბუშტულა რომ სდიოდა, როგორ ენივთებოდნენ ის ბუშტულები უკიდევანო ქვეყნიერებას. თავიდან ჩამოცვივნულ თმას კი არ ყრიდა, მიწაში მარხავდა, ფეხთ ბედუინური ჯადაგოები

ემოსა, თავის უკან კვალად ნაჩლიქარს ტოვებდა, და ერთხელაც ღამით თავსება წვიმაში თავისი უკანასკნელი სიზმარი იძილისშორისა, ხარს რომ თვალები აქვს, ისე დიდროვნად, საცრისტოლად, მერმე/ადგა და ის სიზმარი სიტყვასიტყვით ჩაიწერა:

ორმა ქალმა თვალი შეასწრო, როგორ გასხლტა <sup>ერთხელ</sup> ~~მერმე~~ ბუჩქებიდან გამოვარდნილი და ნაკადულისკენ დაგეზებული პატარა ჭრელი, ნათელმოსილი ნადირი, ორ წვნიკ ფეხზედ შეყენებული უმარილწასმული სახის მსგავსი რამ, და ორთავემ ერთად შეჰყვირა:

— ის არის, ის (სახელი დააყოლეს)! მაგას ვიღაც მოუკლეს თუ სახლი დაუნგრის. ეგ მუდამ თავის ნებისად იცვლება და თავზარდაცემული უფრო ლამაზდება. მაგას სასწრაფოდ უნდა გაუჩინოთ რამე წიგნი და ფანქარი ანდა სულაც ფალვარდა, ხილისგან მაქრით მოხარშული ფაფა. უმაღ კითხვად და რაღაცის წერად დაჯდება, ოღონდ ეგ ქალადზედ კი არა, ყვავილებზედ წერს...

ასეთი იყო დოქტორ აბუ კაბირ მუაბიას სიზმარი. მოზღვევსო ღამეს მან იგივე სიზმარი იძილისშორისა და კვლავ ვერ დაიხსომა იმ პატარა ნადირის სახელი. მერე კი ხელახლად გადახედა ყველა თავის სიზმარს, ოღონდ პირუკუღმა. ჯერეთ გუშინწინდელთ, მერმე გუშინისგუშინწინდელთ, მერმე გუშინისგუშინისგუშინწინდელთ და აგრე და ამრიგად, მაგრამ ძალიან სწრაფად, ერთ ღამეში ბოლო ერთი წლის სუყველა სიზმარს გადაავლო თვალი. ოცდაჩვიდმეტე ღამეში კი საერთოდ ბევრად უფრო ჰგავდა თავის ბატონს, ვიდრე თავად ის ბატონი ჩამორჩა სიზმრების ამბავს, სულ თავდაპირველ, იმ ბავშვობის დროინდელ სიზმრებამდე მივიდა, რომელთა ცხადად გახსენება უკვე აღარც შეეძლო, და დაასკვნა, რომ ასლანი, თავისი მსახური, რომელიც ჭუჭყიან ჯამ-ჭურჭელს წვერებით წმენდდა, კუჭში მხოლოდ მაშინ გადიოდა, როცა ბაყაყურს ცურავდა, პურს კი დანით უკეთესად ფეხებით ჭრიდა, გავდა ისეთ მუაბიას, როგორიც ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ იყო. აგრე მივიდა იგი უკანასკნელ სიზმრამდე. იმის ღამეებში დრო-ჟამი, როგორც ხაზართა ღამეებში, სიცოცხლის ბოლოდან დასაწყისისკენ გადიოდა და სულ გავიდა, ამოიწურა. იმ დროიდან ის სიზმრებს აღარ ნახულობდა. უკვე თითქმის სუფთა ეთქმოდა. და მზად იყო ახალი ცხოვრებისთვის. მაშინ ის ყოველ საღამოს ძ უ კ ნ ი ს ს ა მ ი კ ი ტ ნ ო ს ს ტ უ მ ა რ ი გახდა.

ძ უ კ ნ ი ს ს ა მ ი კ ი ტ ნ ო შ ი მხოლოდ ადგილის ფულს იხდიდნენ, იქ არცრა საჭმელი იყო და არცრა სასმელი, სამიკიტნოში მისული ყველა ნაძირალა და ვიგინდარა იმას მიირთმევდა. რაც თან მოჰქონდა, ჰნდა ყველანი საერთო მაგიდას უსხდნენ გამოსაძინებლად. იქაობა ხშირად გადაჭედილი იყო, ოღონდ არცვის ერთმანეთის ცნობა არა ჰქონდა, ხან ისიც ხდებოდა, რომ ყველა კრიჭა მოქმედებდა, მაგრამ კრინტი არ იძვროდა. არცრა სადმე სადგამსადგარი ჩანდა, არცრა საგობლის-სამზარეულო, არცრა ცეცხლი, არცვინ მოსამსახურე ტრიალებდა, ერთი მარტო შესასვლელში იჯდა მავანი კაცი და ადგილის ფულს ართმევდა სამიკიტნოში მოსულთ. მუაბიას თავისი ადგილი ჰქონდა შევულებული.

სხვაგან არამც, იქ დაჯდებოდა, ჩიბუსს აბოლებდა და თავის სავარჯიშოს იმეორებდა: არც ერთი აზრი არ უნდა გაგრძელდეს იმასზედ მეტხანს, ვიდრე ერთი ნაფაზი გრძელდებაო. კიდევ და კიდევ ჩაისუნთქავდა ავ სუნს თუ სიმყრალეს და თვალმოუშორებლივ უცქეროდა, როგორ სანსლავდნენ გარშემო მყოფნი „დაჩქლეთილ საწმერთს“ ნათლულ ნაცარში შეხანსლულ ხშიად-შაფართხელის ანდა წყურბნის გოგრის ფალვარდას, როგორ მწარედ დაძწერდნენ საცოდავნი პირისკენ წაღებულ თითოეულ ლუკმას და როგორ ასკდებოდათ ტანზედ ქუმეჯაკები თუ პერანგები, როცა ძილში მოუსვენრად ტრიალებდნენ.

გარშემო მყოფთა ცქერა-ცქერაში მუაბია თან ფიქრობდა, რომ თავისი და იმ ხალხის დროყამის თითოეული წამისთვის მასალად გამოყენებული იყო გარდასულ საუკუნეთა გაცრეცილი წამები, წარსული ჩაშენებული იყო აწმყოში და აწმყო შედგებოდა წარსულისგან, რამეთუ სხვა რამ სახის მასალა ამქვეყნად არ არის. წარსულის ეს ანგარიშმიუწვდომელი, აურაცხელი წამი საუკუნეთა მანძილზედ ისევე გამოიყენებოდა, როგორაც ქვებს იყენებენ ათასგვარ შენობა-ნაგებობებში; და ჩვენს აწინდელ ცხოვრებაში, უკეთუ მთელი გულისყურით დავაცქერდებით, სრულიად მკაფიოდ შეიძლება ამ წამთა ამოცნობა, როგორაც რომ ვესპასიანეს ჟამინდელ ოქროს მონეტას ამოვიცნობთ ხოლმე და კვლავ მიმოქცევაში ვაბრუნებთ.

ასეთი აზრები სატანჯველს სულაც არ უმსუბუქებდნენ მუაბიას. შვებას ის ამ ადამიანების ცქერაში გრძნობდა, რომელთაც მყოფადისგან, ანუ მომავლისგან ერთი რამ მოლოდინი ჰქონდათ — სხვანიც ისევე მოეტყუებინა, როგორაც ესენი იყვნენ იმისგან მოტყუებულ-გაცრუებულნი. შეფიქრიანებულად მცოხნელთა ჯგრო ამკარად ხელს ამველებდა მუაბიას ახალ ცხოვრებაში თავისი ადგილის საპოვნინებლად. მუაბიას კი იმის შეგნება ანუგეშებდა, რომ ამ ადამიანებში, ერთნაირად რომ ყარდნენ როგორც აქ, ისე მცირე აზიაში, ალბათ, არცვინ ერია უფრო მეტად უბედური, ვიდრე თავად ის იყო. ხოლო ძუკნის სამიკიტნო თავისთავად იმ ადგილად ერგენებოდა, აგრერიგად რომ ეჭირვებოდა ბედისგან დამენილსა და საგონებელში ჩავარდნილს. ეს სამიკიტნო, ზღვის მარილით მოპრიალეებულ თავის მაგიდებიანად და თევზისქონიან ლიფლიფა-ჭრაქებიანად, მეტად თუ არა, სამოცდაათი წლით მაინც უფრო ხნიერი იყო იმ დროსთან შედარებით, რომელიც გარეთ იდგა, და ამის გაფიქრება გულს უფონებდა მუაბიას. ვინაიდან ის ვერცრას იტანდა, რაც რამ თვითონ იმასთან და იმის დროსთან იყო დაკავშირებული, და რახან წარსულში ძველი ხელობა ელოდებოდა, რომელიც ისევე ეთაკილებოდა, როგორაც თავისი აწმყო, იგი უფრო ღრმად იძირებოდა, ნახევარწარსულში ინთქმებოდა, სადაც ოპალი და ნეფრიტი ბიძაშვილები იყვნენ, სადაც მხდალი და შიშიბალა ჯერ ისევ იმას ანგარიშობდა, კიდევ რამდენი დღე უნდა ეცოცხლა ადამიანს, სადაც ჯერ ისევ ორივე მხრიდან ბლავვ, დალაბრა დანებსა კვერავდნენ.

ვახშმად ძროხის ან თხის ყურებს რომ მიირთმევდა, მუაბია მამის სახლის იმ ოთახებს მიაშურებდა ხოლმე, რომელთაც იშვიათად თუ ვინმე აღებდა, და იქ შუალამემდე ფურცლავდა XIX საუკუნის ბოლოს

ქალექსანდრიაში გამოძავალი ინგლისური და ფრანგული გაზეთების გორებს. კითხვა დაცუცქულს უყვარდა, დაცუცქული უფრო გრძნობდა, როგორ ატანდა ტანში ხორცის მსუყე წყვილი, და რომელი გაზეთიც არ უნდა მოხვედროდა ხელში, სუყველას დაძაბული გულსურით კითხულობდა, რადგან არც ერთი ის გაზეთი არავითარ კავშირში არ იყო იმასთან. ეს უკავშირობა კი ყველაზე უფრო მეტად განცხადებებზედ იტყმოდა.

იღვა ეს ცხოვრებაზედ გულაყრილი ახალგაზრდა კაცი და ყოველ საღამოს გაუთავებლად ფურცლავდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანების განცხადებებს, შეთავაზება-წინადადებებს, რომელთაც აწ უკვე აზრი დაჰკარგვოდათ და ბევრად უფრო ძველი მტვერი ედოთ, ვიდრე იმათ მჩხრეკელს. გარდასული დროის გაყვითლებული ფურცლები მკითხველს სთავაზობდნენ რევმატიზმის საწინააღმდეგო ფრანგულ ნაყენს და წყალს როგორც მამაკაცის, ისე ქალის პირში გამოსავლებად, ავსტრიული August Zigler აცხადებდა, რომ აქა და აქ გახსნილ სპეციალიზებულ მაღაზიაში, სადაც საავადმყოფოთათვის, ექიმთა და ბებიასქალთათვის ყოველგვარი ხელსაწყო-იარაღები იყიდებოდა, ჰქონდათ აგრეთვე კუჭის აშლილობის საწინააღმდეგო საშუალებანი, ვენებ-გაგანიერებულ ავადმყოფთათვის მაღალყელიანი წინდები და ფეხსაც-ქმელში საძირეზედ ჩასაფენი გასაბერი რეზინის ლაბაშები. XVI საუკუნის რომელიღაც ხალიფას შთამომავალი ფუფუნების მოყვარულთ სთავაზობდა ათასხუთასოთახიან საგვარეულო სრა-სასახლეს, აგებულს ხმელთაშუა ზღვის ტუნისის სანაპიროს ულამაზეს ადგილას, წყლის ზედაპირის ქვეშ სულ რაღაც ოც მეტრში ნახვა მუდამ შეიძლებოდა, როცა კარგი ამინდი იდგა და სამხრეთის ქარი „თარამი“ უბერავდა. ერთი უცნობად დარჩენის მსურველი მოხუცი ქალბატონი მალვიძარა საათის მუშტარს ეძებდა, გინდა ვარდის სუნით გაგაღვიძებო, გინდ ფუნის სუნითო, წერდა განცხადებაში; ზოგს მინის თმის გასაღება სურდა, ზოგიც თავის ყოლბალ-სამაჯურთ აქებდა, ჩემი სამაჯურის ხელზედ მორგება და იმისგან ხელის გადაყლაპვა ერთი იქნებო. ქრისტიანული აფთიაქი „წმინდა სამება“ მომხმარებელს სთავაზობდა ჭორფლისა და სირსვლის საწინააღმდეგო დოქტორ ლუიმანის უებარ ხსნარს, ქრისტესისხლას, უჟმურის ბალახს და აქლემთათვის, ცხენთა და ცხვართათვის ხსნარს რასმე, რომელიც მადიანობას უწყობდა ხელს და მოზარდულ საქონელს იცავდა ათასგვარი სენისგან, შველოდა აგრეთვე მუნ-გეჯეჯსა და რწყულებისას წყლისგან დაცდას. ვიღაც ანონიმური მყიდველი ნისიად ეძებდა ებრაულ სულს, თანაც ყველაზედ დაბალი წოდებისას, რომელიც სახელდებულია ნეფემად. რომელიღაც ცნობილი ხუროთმოძღვარი იუწყებოდა, რომ დამკვეთის პროექტით, სულ იაფად ცაში, პირდაპირ სასუფეველში, დადგამდა დიდებულ ვილას, თანაც გასაღების მიღება მფლობელს სიცოცხლეშივე შეეძლო, ანგარიშის განაღდებისთანავე, რომელი ანგარიშიც გამოიწერებოდა არა მშენებლის, არამედ კაიროელი ღარიბ-ღატაკი ხალხის სახელზედ. ზოგი განცხადებისდა მიხედვით შეიძლებოდა თაფლობის თვეში გამელოტების საწინააღმდეგო საშუალების შექმნა, ზოგი იუწყებოდა, ჯადოსნურ სიტყვას ვყიდო, რომელი სიტყვაც, თუკი შემქმნელი მოისურვებდა, ხვლიკადაც გადაიქცეოდა, მთვარის ვარდა-

დაც. იყიდებოდა, თანაც ჩალის ფასად, ერთი გოჯი მიწროვანი, ანუ მიწა ხშირი და კეთილი, საიდანაც მჭვრეტელი მუდამ დაინახავდა მთვარის ცისარტყელას, როცა რაბი ალ-ახირის თვის მესამე ჯუმა დადებოდა. რომელ ქალსაც გამზეთუნახავება სურდა, როგორც ინგლისური ფირმა Rony and Son იტყობინებოდა, ამ ფირმის უმარილბრუნდნეჭმარა, რათა გასუფთავებულიყო ყოველგვარ ფერისმჭამელმგან, მსუფთაგან, ჭორფლთაგან და ხალთაგან. მწვანე ჩაის სპარსული კრუს-წიწილისებრი ფაიფურის სერვიზის ყიდვა შეეძლო მსურველს იმ ჯამთან ერთად, რომელშიც ერთხანს მეშვიდე იმამის სული სუფევდა...

გაზეთების ფურცლები აჭრელებული იყო უკვე დიდი ხნის არსებობამეწყვეტილი მრავალი ფირმის, ნოქარ-დახლიდარისა თუ მალაზიის სახელებითა და მისამართებით, და დ-რი მუაბია ისე ყვინთავდა ამ გარდასულ სამყაროში, როგორაც მავან მსხნელ საზოგადოებაში, რომელსაც არცრა იმისი ჭირ-ბოროტი ანაღვლებდა, არცრა საზრუნავი. ერთხელაც, 1971 წლის მავან საღამო ხანს, როცა იგი თითოეულ თავის კბილს ცალკეული ასონიშანივით გრძნობდა, დ-რი მუაბია დაჯდა და რამდენიმე განცხადება დაწერა და ყველას ქვეშ 1896 წელი აღნიშნა. მერე კონვერტს საგულდაგულოდ წააწერა სახელ-გვარი და მისამართი, რომელთაც ალექსანდრიაში, ალბათ, უკვე კარგა ხნის ჭირი ჰქონდათ მოჭმული, და ფოსტით შეკითხვა გაგზავნა. იმ დროიდან იგი ყოველ საღამოს აკითხავდა XIX საუკუნის ბოლოჟამინდელ ერთ-ერთ რომელსამე მისამართს. იდგა და წერილს წერილზედ აგზავნიდა თვითონაც არ იცოდა, სად, მაგრამ ერთ დილით პირველი პასუხი მიიღო. უცნობი სწერდა, მართალია, განცხადებაში მითითებულ საფრანგეთიდან მიღებულ ტურულის პატენტს აღარ ვყიდით, რომელ პატენტსაც საოჯახო საქმეებში იყენებენ და რომლის შესახებაც თქვენ მწერთ, თუმცა ზოგი სხვა რამის შემოთავაზება შემიძლიაო. და, მართლაც, მეორე დილით ამ განცხადების კვალდაკვალ დ-რ მუაბიას სახლში ვილაც გოგო და თუთიყუში გამოჩნდნენ, ერთი კი მიიხედ-მოიხედეს და მასპინძელს შეხმატკბილებულად უმღერეს სიმღერა ხის ძირიან ჯადაგობზედ. მერე თუთიყუშმა მარტომ იმღერა მუაბიასთვის უცნობ რომელიღაც ენაზედ. როცა მუაბიამ გოგოს ჰკითხა, თქვენგან რომლის ყიდვა შეიძლებაო, გოგომ, არჩევანი შენზეაო, მიუგო. დ-მა მუაბიამ მუშტრის თვალი შეავლო გოგოს, რომელსაც უცხოდ ლამაზი თვალები ჰქონდა, აკოკრებული ძუძუ-მკერდი კი ორ მაგრად მოხარშულ კვერცხს მიუგავდა. მუაბია საღათას ძილიდან გამოერკვა, ასლანს მანსარდაში ერთი დიდი ოთახი გამოაყოფნა, იქ მინის გვერგვი დააყენა და თუთიყუში, ანუ ზორაყი იყიდა. მერე თანდათან, იმისდა კვალად, თუ ვინ როგორ ეხმიანებოდა თავის გაგზავნილ წერილებზედ განცხადებების ძველ ავტორთა ღმერთმა უწყის რომელ შორეულ შთამომავალთაგან, მან ამ ოთახის შევსება დაიწყო. აქ უამრავი უცნაური და გაუგებარი დანიშნულების ნაირ-ნაირი ნივთი მოგროვდა: უმაღლესი თვალში მოგხვდებოდათ აქლემის ვეება უნაგირი თუ ანჩახი, ქალის კაბას ღილების მაგივრად ეფვნები ეკერა; აქ იყო ადამიანის დასამწყვდევი და ჭერში ჩამოსაკიდებელი გალია, აქვე

ნახავდით ორ სარკე-მიჭვრიტანას, რომელთაგან ერთი მოძრაობათა ცადმოცემას აყოვნებდა, მეორე კი ჩანაჭუჭუბული იყო, იქვე, აქლემის უნაგირთან, იდო ძველი ხელნაწერი, რომელში ჩართული ლექსიც დ-რ მუაბიასთვის უცნობ ენაზედ და უცნობი ასო-ნიშნებით დაეწერა უცნობ დამწერსველს.

ეროვნული  
ზიზღიერება

ლექსი ასე გამოიყურებოდა:

Zaludu fciglielmi farchalo od frecche  
Kadeu gniemi ti obrazani uecche  
Umifto tuoyogha, ca ifkah ya freto  
Obras moi ftobiegha od glietana glieto  
Uarcchiamti darouoy, ereni fnami ni  
Okade obraz tuoi za moife zamini.

ერთ წელიწადში მანსარდის ოთახში ნივთების ტევა აღარ იყო, ერთხელაც დილით, შიგ რომ შევიდა, დ-რი მუაბია თავისივე მიხვედრამ განაცვიფრა: რაც რამ მოეშვა და მოეხვეჭა, ყველაფერი ერთად დაწყობილ-დალაგებული უკვე გარკვეულ აზრს იძენდა.

უცილოდ თვალში საცემი იყო, რომ ამ ნივთების ნაწილი რაღაც საავადმყოფოს მსგავსი რამისთვის განკუთვნილ მოწყობილობას წარმოადგენდა. ოღონდ უჩვეულო, იქნებ სულაც ძველთუძველესი სასწიწკოს მსგავსი რამისთვის განკუთვნილს, რომელ სასწიწკოშიც ისე არ მკურნალობდნენ, როგორც მკურნალობენ ახლა. დ-რ მუაბიას საავადმყოფოში სუყველა დასაჯდომი უცნაურად იყო ამოჭრილი, სუყველა სკამს რგოლი ჰქონდა, ზედიზედ დამჯდართა დასაბმელად, სუყველა ჩაფხუტ-მუზარადი ხისა იყო მარტო მარცხენა ან მარჯვენა თვალისთვის საჭვრეტელ-დატანებული, ანდა კეფაზედ გამოსული მესამე თვალის გამოსახედად გახვრეტილი. მუაბიამ ეს ყველაფერი ცალკე ოთახში შეიტანა, მერე მედიცინის ფაკულტეტიდან თავის კოლეგას უხმო და დაათვალიერებინა. 1967 წლის ომის შემდეგ ის მაშინ პირველად შეხვდა თავის ერთ-ერთ უნივერსიტეტულ მეგობარს, რომელმაც მიუკიბავ-მოუკიბავად უთხრა: ეს სიზმრების სამკურნალო უძველესი მოწყობილობააო, უფრო სწორად, მხედველობის სამკურნალოო, რომელ მხედველობასაც ძილში ვიყენებთო. რამეთუ ძილში, ზოგიერთი რწმენისდა თანახმად, სულაც იმ მხედველობით არა ვხედავთ, რომლითაც ცხადში ვხედავთო.

დ-მა მუაბიამ ერთი ჩაცინება კი ჩაიცინა ასეთი დასკვნისა გამო და დანარჩენ ხაბაკსუბაკს მიხედა, ისევ დიდ ოთახში რომ ეწყო თუთიყუშთან ერთად, თუმცა იმ ნივთებს შორის რამე კავშირის დამყარება ბევრად ძნელი იყო, ვიდრე იმათ შორის, მხედველობის მკურნალობის საშუალებებს რომ წარმოადგენდნენ, რომელი მხედველობითაც სიზმრების ხილვა იყო შესაძლებელი. იგი დიდხანს ცდილობდა მთელი ამ ძველმანებისთვის საერთო მნიშვნელის პოვნას და ბოლოს ისევ იმ ხერხის მომარჯვება გადაწყვიტა, რომელსაც ადრე — თავის წინა სამეცნიერო ცხოვრებაში იყენებდა. კომპიუტერის მოშველიება განიზრახა. მან

კაიროში ტელეფონით დაურეკა თავის ყოფილ ერთ-ერთ თანამშრომელს, ალბათობის თეორიის სპეციალისტს, და სთხოვა, რომელ საგანსაც თუ ნივთსაც წერილში ჩამოთვლიდა, სუყველას სახელწოდება კომპიუტერში შეეყვანა. კომპიუტერმა შედეგები სამ დღეში გამოაგლინა, და დ-მა მუაბიამ კაიროდან პასუხი მიიღო. რაც შეეხება ფექსს, მანქანამ მხოლოდ ის გამოამჟღავნა, რომ იგი დაწერილი იყო **საზარალი სიტყვისკონა** სლავურ ენაზედ, 1660 წლის წყლისნიშნის ქალაქზედ, რომელი ნიშანიც სამყურაბალასგამოხატული დროშის ქვეშ კრავს განასახიერებდა. ხოლო დანარჩენი ბევრი რამ — ისეთი, როგორც იყო თუთიყუში, აქლემის ზანზალაკებიანი უნაგირ-ანჩახი, ნაყოფი, რომელიც ერთდროულად თევზსაც ჰგავდა და გირჩსაც, ადაშიანის დასამწყვდევი გალია და კიდევ ზოგ-ზოგი რამერუმე — მხოლოდ ერთ რასმე აერთიანებდა. სახელდობრ კი — იმ მწირი ცნობებიდან, რაც კომპიუტერმა ძირითადად თვითონ დ-რ მუაბიას გამოკვლევათა საფუძველზედ წარმოაჩინა, ამკარა იყო, რომ ეს ყველაფერი, რაც მანსარდის დიდ ოთახში ეწყო თუ ელაგა, მოიხსენიებოდა აწ დაკარგულ **საზარულ სიტყვისკონაში**.

აგრე აღმოჩნდა დ-რი მუაბია კვლავ იქ, სადაც ომის წინ იყო. ბევრი აღარ უფიქრია, ჯერ ძუკნის სამიკიტნოს მიადგა, ერთი ძველებურად გააბოლა, გარშემო მიმოიხედა, მერე ჩიბუხი ჩააქრო და კაიროში დაბრუნდა, უნივერსიტეტში თავის ძველ სამუშაოს მიუტრიალდა. მაგიდაზედ წერილებისა და მისაპატიუებელი ბარათების გორა დახვდა, ათასგვარ შეხვედრებსა და სიმპოზიუმებზედ იწვევდნენ, რომელთაგან ერთი აარჩია და მოხსენებისათვის მზადება დაიწყო. კონფერენცია, რომელზედაც ეს მოხსენება უნდა წაეკითხა, 1982 წლის ოქტომბერში ეწყობოდა. კონფერენციის ადგილი იყო ცარგრადი, იოლი თემა — „მაგიზღვისპირეთის კულტურა შუა საუკუნეებში“. მან ხელახლად გადაიკითხა იეჰუდა ჰალევის საზარებზედ დაწერილი თხზულება, თავი დაადგა მოხსენებას და იმ იმედით წავიდა ცარგრადს, ეგების იქ ვინმე ისეთს წავაწყდე, ვისაც ჩემზედ მეტად გაეგება საზართა ასავალდასავალიო. ვინც ცარგრადში დ-რი მუაბია მოსაკლავად გაიმეტა, იმან რევოლვერმიშვერილმა უთხრა:

— კარგად დააღე პირი, ემანდ კბილები არ გაგიფუჭო!

დ-მა მუაბიამაც დაალო და ტყვია შიგ პირში მოხვდა. თანაც ისე მარჯვედ, სანთიანად, რომ სუყველა კბილი გადაურჩა.

**მუსიკა-სახიობის მაშენებელი** — საზართ საგანგებო მაშენებელნი ჰყავდნენ, რომელნიც უზარმაზარ მარლის არძანთ კუთხავდნენ და ქარების გზებზედ დგამდნენ. ორმოცი საზარული ქარის სუყოველ შარავნაზედ (რომელ ქართაგან ნახევარი მლაშედ ქროდა და ნახევარი მტკბარად) ადგილ-ადგილ გროვებად ეყარა ნამსივრევი მლაშე მარმარილო, და ყოველწლიურად, ქარების განახლების უამი რომ დგებოდა, ამ ადგილებში ხალხი იყრიდა თავს და გაფაციცებული უგდებდა ყურს, აბა, ერთი ვნახოთ, მაშენებელთაგან რომელმა შეიძლო ყოვლის უფრო საუკეთესო სიმღერის შექმნაო. საქმე ის არის, უზარმაზარ მარლის



ლოდ-არძანთ შესლილ-შემოხლილი, ამ ლოდ-არძანთა შორის გამძვ-  
რალ-გამომძვრალი და ზედ გადავლილ-გადმოვლილი ქარები მანამ  
გრძელდებოდნენ, სანამ ეს უცხოდ აღნაგი არძან-ლოდები თავთანთ მა-  
შენებლებთან ერთად არ გაქრებოდნენ ხოლმე, წვიმებისგან/ ჩამორე-  
ცხილნი, ათასი ჯურის ქვეითად და ცხენით გამვლელ-გამრმვლელთა  
აურაცხელი მზერით დაშაშრულ-დასერილნი, თხა-ცხუარითა და ხარ-  
ახავერთა ენათაგან ალოკილნი.

მუსიკა-სახიობის ერთ-ერთი ასეთი მაშენებელი, არაბი, ერთხელ  
გაზაფხულზედ მავან ებრაელთან და ხაზართან ერთად წავიდა თავისი  
ქვების სიმღერა-გალობის მოსასმენად. გზად ტაძარი რამ შეხვდათ,  
სადაც ჯგუფ-ჯგუფად შეიძლებოდა საერთო სიზმრების ნახვა, და სწო-  
რედ იმ ტაძრის შორიასლო ებრაელი და ხაზარი წაიჩხუბნენ, ჩხუბსა  
და დავიდარაბაში კი ერთმანეთი შემოაკვდათ. ამ დროს არაბი ტაძარში  
იწვა და ეძინა, მაგრამ სწორედ ის დაადანაშაულეს ებრაელის მკვლე-  
ლობაში, რადგან სუყველამ იცოდა, რომ ისინი მეზობლები იყვნენ და  
ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ. ამიტომაც ებრაელთ იმისი სიკვდილი  
მოითხოვეს. არაბმა იფიქრა: ვინც სამი მხრიდან დამნაშავეა, ის ვერც  
მეთთხე მხრიდან იპოვის ხსნასო. რამეთუ ხაზარეთის სახელმწიფოში  
ბერძენთ ქრისტიანული კანონი იცავს, ებრაელთ — ებრაული, არაბთ —  
ისლამი, ასე რომ რჯულდებულება უფრო ყოველისმომცველია, ვინემ  
ხაზარეთის სახელმწიფო... ამიტომ არაბი ისერიგად იცავდა თავს, რომ  
ამტკიცებდა... (ამ ადგილას ტექსტი დაზიანებულია). და სიკვდილით  
დასჯის ნაცვლად გალერაზედ მენიჩბეობა მიუსაჯეს, და არაბმა კიდევ  
მოასწრო მარმარილოს ლოდების მუსიკის მოსმენა, სანამ ისინი დაი-  
რღვეოდნენ და დაიშლებოდნენ ურყევ სიჩუმეში, რომელსაც უამრავი  
მუბლი ეხლება და ასკდება.

**მუსტაი-ბეგ შიშვარი (XVII საუკუნე)** — ერთ-ერთი თურქი  
მხედართმთავარი ტრებინიეში. თანამედროვენი ამბობენ, მუსტაი-ბეგ  
შიმშერს გვამში საჭმელი არ უჩერდებოდა და, გვრიტისა არ იყოს, თან  
ჭამდა, თან გასდიოდაო. სალაშქროდ თუ წავიდოდა, თან მაწოვარ-  
მუძუძური დიაცნი მიჰყავდა, რომელთაც ძუძუ უნდა ეჭმიათ. საქმეს  
არცროს მდებრთან იჭერდა და არცროს კიდევ მამრთან, დაწოლით  
მხოლოდ სიკვდილის პირას მიმდგართან წვებოდა, ამიტომ იყო, რომ  
იმისთვის საგანგებოდ ყიდულობდნენ სადმე სულთმობრძავ დიაცთ,  
მამრთა და ბავშვთ, დაბანდნენ, მორთავდნენ და შეუყვანდნენ კარავში,  
რამეთუ მარტო მომაკვდავთან შეეძლო ღამის გატარება, თითქოს ეში-  
ნოდა, ემანდ ვინმე ისეთში არ ჩავტოვო ჩემი თესლი, ვისაც სიცოცხლე  
კიდევ უწერიაო. აკი თავადვე ამბობდა, შვილთ საიქიოსთვის ვქმნი და  
არა სააქაოსთვისო.

— კაცმა არცროდის იცი, — დაიჩივლებდა ხოლმე, — რომელ  
სამოთხეში მოხვდებიან ისინი ან რომელ ჯოჯოხეთში. იქნებ ებრაულ  
ანგელოზთ ესტუმრონ ანდა ქრისტიანულ ეშმაკუნებთან ამოყონ თავი,  
და ვერცროდის შევხვდებით საიქიოში, რადგან მე ჯენეთში ვიქნები...  
ერთ-ერთ დერვიშს მან ძალიან უბრალოდ აუხსნა თავის უცნაურ  
ნიდრეკილებათა აზრი: „ოდეს სიკვდილი და სიყვარული, საიქიო და

სააქაო ერთმანეთისგან ესოდენ ახლო-ახლო აღმოჩნდებიან, ერთზედაც ბევრის გაგება შეიძლება და მეორეზედაც. ეს იმ მაიმუნთა ამბავსა ჰგავს, ჟამითი ჟამად საიქიოს რომ სტუმრობენ. მერმე კი, როცა უკან ბრუნდებიან, სუყოველი იმათი ნაკბენი უზადო სიბრძნეა. ამდროს არც საკვირველია, რომ ზოგ-ზოგნი იმათ ძალით აკბენინებენ, ჩოღდმე-ჩელ-ზედ და შემდეგ იმ ნაკბენიდან ჭეშმარიტება ამოაქვთ. ამგვარად ამ ნაკბენ-ნაკბილარი არ მეჭირვება...”

აგრე და ამრიგად, თვინიერ ცხენებისა, რომელთა ტრფიალიც იყო, ოღონდ ზედ ასამხედრებლად არ იყენებდა, მუსტაი-ბეგი ყიდულობდა სასიკვდილოდ გადადებულთ, რომელთა ტრფიალიც არ იყო, მაგრამ ზედ ასამხედრებლად იყენებდა. ზღვის ნაპირის შორიახლო ბეგს იშვიათი რამ ფავნისი ჰქონდა, სასაფლაო, სადაც ცხენთ მარხავდა, ყოველ საფლავს მარმარილოს მატური ედგა, რომელთაც ერთი დუბროვნიკელი ებრაელი, ვინმე სამუელ კოენი თვალყურმადევრობდა. ამ ებრაელს სიკვდილის შემდგომ ერთი ჩანაწერი დარჩა იმის თაობაზედ, თუ რა მოხდა შიმშერ-ფაშის ბანაკში, ოდეს მან გლახეთს ლაშქარი შეასია:

„ფაშის რაზმის ერთ-ერთ მეომარს ეჭვი დაჰკრეს, გარნა დანაშაულს უცილობლად ვერ უმტკიცებდნენ. ღუნაის ნაპირას მტერთან შერკინების მერმე თავის რაზმელთაგან ის ერთი გადარჩა ცოცხალი. მხედართმთავარი თავისაზედ იდგა, მაგან ბრძოლას ველიდან ოტეებით გადაირჩინა თავიო. მეომარი კი იძახდა, მტერი ლამით დაგვეცა, თავდამსხმელნი სუყველა ტიტლიკანები იყვნენ, და ერთადერთი მე ვიყავი, ვინც ბოლომდის ვიბრძოდიო, ხოლო გადარჩენით იმან გადამარჩინა, რომ შიში არ გამეკარაო. აწლა შიმშერს მიჰგვარეს ეჭვიმტანილი, რათა იმას გადაეწყვიტა, მართლა დამნაშავე იყო იგი თუ არა. მეომარს სახელო ჩამოაგლიჯეს და ისე დაუყენეს ფაშას წინარე, რომელსაც მთელი სამსჯავროს განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს, ვითარ სიტყვა არ დასცდენია ამ მუნჯური გამოძიების არც ერთ სხვა მონაწილეს. ფაშა პირაშკმულ ნადირსავით მივარდა ჭაბუკს, სახელოჩამოგლეჯილ მკლავში კბილებით ჩააფრინდა და კარგა მოზრდილი ხორცის ნაჭერი ამოაგლიჯა, მერმე გულგრილად შეაქცია ზურგი უბედურს, რომელიც უმალ გამოიყვანეს კარვიდან. ფაშას ხეირიანად არც შეუვლია თვალი ჭაბუკისთვის, არც დალაპარაკებია, გარნა იმის ხორცის ნაჭერს დიდის გულისყურითა და დაგემოვნებით ღეჭავდა, თან იმ კაცის სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომელიღაც დავიწყებული კერძის გემოს რომ იხსენებს ანდა სასმლის ღირსებას რომ აფასებს. მერმე მან უცებ გამოაფურთხა ხორცი, და კარვის წინ განაჩენის მომლოდინე ჭაბუკი ქონდაქართ წამერთ აკუწეს, რამეთუ დანაშაული დამტკიცებულად ჩათვალა.

იმის გამო, რომ არცთუ დიდი ხანია, რაც ფაშას სამსახურში ვარ, — ამთავრებს თავის ჩანაწერს კოენი, — ჯერეთ არც ერთ სხვა სამსჯავროს არ დავსწრებივარ, მაგრამ ვიცი, ფაშა ეჭვიმტანილის მოჭმულ ხორცის ნაჭერს თუ გადაყლაპავს, იმას ბრალდება ეხსნება და იქვე ათავისუფლებენ, რადგან ესეგვარ შემთხვევაში უდანაშაულოდ თვლიან“.

შიმშერ-ფაშას ზორზოხა, უსწორმასწორო ტანი ჰქონდა, ტანსაც-  
მელი თითქოს კანქვეშ ეცვა, ხოლო ჩალმა თმასა და თავის ქალას შუა  
ეხურა.



**ქორა ფარაბი იბნი (VII-IX საუკუნე)** — ხაზარულ-ქოლემიკაში  
ისლამის წარმომადგენელი, რომლის შესახებაც ცნობები იმწიფე და  
ურთიერთსაწინააღმდეგოა, ალ-ბექრი, ხაზარული პოლემიკის ყველა-  
ზედ მნიშვნელოვანი მუსლიმი ქრონისტი, იბნი ქორას სახელს არ ახსე-  
ნებს, რაც პატივისცემის ნიშნად ითვლება. საქმე ის არის, რომ იბნი  
ქორას არ უყვარდა სადმე ყოფნისას არც სხვისი და არც თავისი საკუ-  
თარი სახელის ვინმესგან წარმოთქმა, რადგან ფიქრობდა, რომ უსახე-  
ლებოდ სამყარო უფრო ცხადი და ხალასი ზდება. ერთისა და იმავე სა-  
ხელის ქვეშ იფარება სიყვარულიც, სიძულვილიც, სიცოცხლაც, სიკ-  
ვდილიცო.

იგი ხშირად იმეორებდა, რომ ეს აზრი მაშინ მოუვიდა, როცა თვა-  
ლში ბუღალი, ფუმფულა რამ ჩაუკვდა, თავად კი ამ დროს თევზს უცქე-  
როდა, რომელსაც ამდაგვარად ლუკმად ერგო ეს ფუმფულა-ბუღალი. ზო-  
გიერთი წყაროს მიხედვით, იბნი ქორამ ხაზართა თავქალაქამდის ვერ მი-  
აღწია და ვერ იმონაწილევა ცნობილ დავაში, თუმცა მიწვეული კი იყო.  
ალ-ბექრი ამტკიცებს, პოლემიკის ებრაელმა მონაწილემ იბნი ქორას შე-  
სახვედრად კაცი გაგზავნა და დაავალა, რომ ან მოეწამლა, ან ყელი  
გამოეჭრა, სხვა ავტორთა აზრით კი ფარაბი გზაში შეფერხდა და ხა-  
კანის კარზედ მაშინლა მივიდა, როცა სჯა უკვე გაესრულებინათ. თუმ-  
ცაღა, პოლემიკის შედეგი გვიჩვენებს, რომ ხაზართა ხაკანის კარზედ  
ისლამის მოციქულის ყოფნა ფრიად და ფრიად საგრძნობი და მნიშვნე-  
ლოვანი იყო. პაექრობის მონაწილეთ იბნი ქორა რომ დაინახეს, სახტად  
დარჩნენ, რამეთუ ზოგს ის მკვდარი ეგონა და უკვე ალაპს ეპირებოდა,  
მან კი ფეხები გადაიჯვარედინა, დამხვდომთ ხახვის შეჭამანდიან საინ-  
თა მსგავსი თვალეზი მიაპყრო და მშვიდად წართქვა:

— ბავშვობაში, დიდი ხნის წინათ, ერთხელ მდელიოზედ მოვიხი-  
ლე, როგორ შეეჯახა ერთმანეთს ორი პეპელა; სულ მცირეოდენი ჭრე-  
ლი ყვავილის მტვერი შეეფრქვა ერთიდან მეორეს, და აქეთ-იქით გაფა-  
რფატდნენ, მე კი ეს შემთხვევა მაშინვე გულიდან გადამვარდა. გუშინ  
საღამოს, როს ჯერეთ კიდევ გზაში ვიყავი, მავანმა კაცმა ხმალი დამკ-  
რა, ნამდვილად ვიღაცაში შევეშალე. სანამ ისევ ჩემს გზას დავემწყემ-  
სებოდი, ლოყაზედ სისხლის მაგივრად სულ მცირეოდენი ყვავილის  
მტვერი დამაჩნდა...

ცნობილია ერთ-ერთი მთავარი საბუთი, ფიქრობენ, ფარაბი იბნი  
ქორამ ისლამის სასარგებლოდ წამოაყენა. ხაზართა მთავარმა სამი რე-  
ლიგიის მოციქულთ — ებრაელს, არაბსა და ბერძენს — მონეტა უჩვე-  
ნა: ის მონეტა სამკუთხა იყო, და ერთი მხრიდან ზედ ამოტვიფრული  
ჰქონდა თავისი ღირებულება — ხუთი ცრემლი (ასე ეძახდნენ ხაზარნი  
თავიანთ ფულს), მეორე მხრიდან კი — პატარა რამ სცენა, რომელზე-  
დაც სარეცელზედ მწოლიარე კაცი იქავე მდგომ სამ ვაჟს ისართა კონას

ურვენებს. ხაკანმა დერვიშს, რაბინსა და მონაზონს იმის განმარტება მოსთხოვა, რაც მონეტაზედ იყო გამოსახული. ისლამური გამოსახულება ძველ ბერძნულ იგავს გადმოსცემდა: სიკვდილის სარეცელზედ მწოლიარე მამა ვაჟიშვილთ უმაგალითებდა, მხოლოდ გაერთიანებულნი იქნებით ძლიერნი, ვითარცა ეს ისართა კონა, რომელსაც მწკრულს ვერა ძალა ვერ გადაამტვრევს, ხოლო თითო-თითოდ სულსადვილად დატეხსო. ებრაელის აზრით, გამოსახულება ადამიანის სხეულის ნაწილთ წარმოადგენდა, რომელ ნაწილთა ერთიანობის წყალობითაც არსებობს სხეული. ფარაბი იბნ ქორა არც ერთ განმარტებას არ დაეთანხმა. ის დარწმუნებული იყო, რომ სამრქოვანი მონეტა ჯოჯოხეთში იყო მოჭრილი და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გამოსახულების ისე გაგება, როგორაც იუდეველსა და ქრისტიანს ესმოდათ. ქორას გაგებით, მონეტაზედ გამოსახული იყო მკვლელი, რომელსაც საწამლავის დაღევა ჰქონდა მისჯილი, და ამისთვის გამზადებულ სარეცელზედ იწვა უკვე. წინარე სამი დემონი ედგა: ასმოდეოსი—ებრაული გენას დემონი, აპრიმანი — ისლამური ჯაჰანამის შაიტანი, და სატანა — ქრისტიანული ჯოჯოხეთის ეშმაკი. მკვლელს ხელთ სამი ისარი ეჭირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის მოკვდინდებოდა, უკეთუ სამივე დემონი იმის მსხვერპლს დაუჭერდა მხარს, და გადარჩებოდა, უკეთუ ისინი იმის მსხვერპლს მხარს არ დაუჭერდნენ. ამრიგად, სამრქოვან მონეტაზედ გამოსახულების აზრი ნათელია. ეს ადამიანთათვის ჯოჯოხეთიდან გამოგზავნილი გაფრთხილებაა. მსხვერპლი, რომელსაც სამთავან არც ერთი დემონი არ გამოესარჩლება — არც მუსლიმი, არც ებრაელი, არც ქრისტიანი — უკურთხებელი დარჩება, იმისი მკვლელი კი შეწყალებული იქნება. ამიტომ ყოვლის უფრორე საშიში ის არის, ოდეს კაცი ამ სამყაროთაგან არც ერთის კუთვნილი არ აღმოჩნდება, როგორაც ეს ხაზართ თავიანთ ხაკანთან ერთად დაემართათ. ასეთ შემთხვევაში სრულიად უმწეო გამოდგები და შენი მოკვლა ყველას შეუძლია დაუსჯელად...

აშკარაა, ამით ფარაბი იბნ ქორა რასაც უკაკუნებდა ხაკანს: შენთვისაც და შენი ხალხისთვისაც აუცილებელი და უეჭველად სასარგებლოა, რომ ძველ რჯულს გაეყარო და სამი უძლიერესი სარწმუნოებიდან ერთ-ერთი, სახელდობრ კი ის აღიარო, რომლის მოციქულიც ყოვლის უფრორე ზუსტ პასუხს გასცემს სუყოველ შენს კითხვასო. ხაკანს ყველაზედ დამაჯერებლად მონეტაზედ გამოსახულების ის განმარტება ერვენა, ფარაბმა იბნ ქორამ რომ შესთავაზა, ბევრი აღარ უფიქრია, დაეთანხმა ყველა იმის მოყვანილ საბუთს, აღიარა ისლამის მოძღვრება, სარტყელი შეიხსნა და ალაჰის ლოცვად დადგა.

ის ისლამური წყაროები, რომელთა თანახმადაც, იბნ ქორა საერთოდ არ მონაწილეობდა პოლემიკაში და არ ყოფილა ხაკანის კარზედ, რადგან ჯერ კიდევ გზაშივე მოწამლეს, იმ ტექსტს იმოწმებენ, რომელიც, როგორც ისინი ფიქრობენ, ალბათ, ფარაბი იბნ ქორას ცხოვრებისა და მოქალაქეობის აღწერას თუ წარმოადგენდა. იბნ ქორა დარწმუნებული იყო, მთელი ჩემი ცხოვრება უკვე ჩაწერილია რომელიღაც წიგნში და, რაც კი რამ იქ ამბები ხდება, სუყოველად იმ ამბავთ შეესაბამება, რასაც დიდი ხნის წინათ მოთხრობილი ჟამთააღწერა შე-



— შევცდით, პირველ გზაჯვარედინზედ მარჯვნივ უნდა გაგეხვია, მერმე კიდევ მარჯვნივ, და სკოლაც იქვეა. თუმცა უნდა შეგვემოწმებინე, რა განზრახვა გამოქმედებს, და დავრწმუნებულყავით, მართლა არ იცოდნი გზა, თუ თვალსაფრივ იქცეოდნი, თავს იკატუხებდნი. მაგრამ აწ უკვე გვიან არის და დღეს ვეღარ შეძლებ სკოლასთან მიხვედრას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ ვერცროდის მოხვდებიან, რადგან სკოლა ხვალინდელი დღიდან აღარ იარსებებს. ასე რომ ამ მცირე შემოწმებით შენ მთელი შენი ცხოვრების მიზანი გაუშვი ხელიდან, თუმცა და ვიმედოვნებთ, ჩვენც გაგვიგებ — სხვა გზა არა გვექონდა, იძულებულნი ვიყავით, რომ ასე მოვქცეულიყავით სხვა ადამიანთა უსაფრთხოების გულისთვის, რათა დაგვეცვა ისინი სკოლის მაძიებელ მგზავრთა შესაძლო ავზრახვათაგან. მაგრამ ნურც თავს გაიმტყუნებ. უკეთუ ჩვენგან ნასწავლი გზით კი არა, ანუ არა მარცხნივ, არამედ მარჯვნივ წახვიდოდნი, შედეგი იგივე იქნებოდა, რადგან დავინახავდით, რომ მოგვატყუე, სკოლისკენ მიმავალი გზა ნამდვილად იცოდნი და მაინც გვეკითხებოდნი, საით წავიდეთ. ასეთ შემთხვევაში უნდა შეგვემოწმებინე, რახან განზრახვას გვიმალავდნი, ბუნებრივია, ეჭვი გაგვიჩნდებოდა, რად გვიმალავსო. ასე რომ სკოლასთან მაინც ვერ მოხვდებოდნი. თუმცა შენს ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია — მან ამქვეყნად არსებული ერთ-ერთი რამ საგანი შეგამოწმებინა. ეს უკვე ცოტა როდია...

აგრე უბნობდნენ ისინი, მგზავრი ქალი კი თავს იმით ინუგეშებდა, რომ ჯიბეში პასპორტი ედო, რომელიც არცვისთვის წარედგინა, ასე რომ ჭაობის პირას მდგომთ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რა ფერისა იყო ის პასპორტი. თუმცა, იმ ამბით, რომ მან ისინი მოატყუა და მთელი შემოწმება არად უქცია, მან არად აქცია მთელი თავისი ცხოვრებაც, რომელმაც ამ შემთხვევაში თურმე ფუჭად ჩაუარა. თანაც, ჭაობთან მდგომ კაცთა აზრით, ეს სულ სხვა „ფუჭად“ იყო, ხოლო ქალის აზრით, — სხვა. იმიტომ რომ, არსებითად, რა საქმე ჰქონდა იმას იმათ შემოწმებასთან? მიუხედავად ამისა, ასე იყო თუ ისე, შედეგი მაინც იგივე გამოდგა, ასე რომ იმისი არსებობის მიზანს, რომელიც დაჰკარგვოდა, გარდაუვალად უნდა გადაეწია დროში. და აწ იგი უკვე ფიქრობდა, რომ, შესაძლოა, მიზანი სკოლა კი არა, იქით მიმავალი გზა ანდა სულაც სხვა რამ იყო ამ გზაზედ, თუმც თავად ძებნა-ძიება ფუჭი გამოდგა; და ეს ძებნა-ძიება, რასაც ის ახლა იგონებდა, სულ უფრო და უფრო მშვენიერი ეჩვენებოდა, ახლა, გასული, წინა რიცხვით, სულ უფრო ცხადად ეხატებოდა თვალწინ ის ყოველივე კარგი, რაც კი რამ ამ გზაზედ შეხვედროდა, და მიხვდა, რომ გარდატეხის მომენტი გზის ბოლოს კი არ იყო, სკოლის წინ, არამედ სადღაც ბევრად ადრე, მგზავრობის პირველ ნახევარში, და რომ არცროდის აგრე არ იფიქრებდა, უკეთუ მთელი გზა ფუჭი არ გამოდგებოდა. მიმოგონების ამ გადაფასებისას, როგორც უძრავი ქონებით მოვაჭრემ, რომელიც მთელ თავის მომავალ შემკვიდრეობას ბრუნვაში აქცევს, ქალმა გულისყური ახალ დეტალებს მიაპყრო, რომელთაგან თითქმის არც ერთი არ აღბეჭდვოდა მესსიერებაში. ამ დეტალთა შორის ის ყველაზედ მნიშვნელოვანთ ეძე-

ბდა, მუდმივად კიდევ უფრო მნიშვნელოვანთ არჩევდა და მანამ არჩია, სანამ უღმობელ და უმკაცრეს რჩევა-რჩევაში ერთადერთი კინკილა სცენის წინაშე არ აღმოჩნდა:



მაგიდა, ზედ ჭიქით ღვინო დგას, სხვა ღვინით შეფერილმა იქვეა აქლემის ნეხვზედ შემწვარი ახალთოფნაკრავი ჩიბუხა ჩიტების სორცი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ფრინველის გუშინდელი სიზმრისგან გამოყოლილი სინოყივრე. თვალი ზედავს აგრეთვე თბილ პურს. ამ პურს მამაშენის მოღუშული სახე და დედაშენის ჭიპი აქვს. ის კუნძულიდან მოტანილი ყველი ჯეელი და ბებერი ცხვრების ნარევი რძისაა. მაგიდაზედ საჭმლის გვერდით თავწვეთცეცხლიანი სანთელი ანთია, იქვე დევს ღვთაებრივი წიგნი, საიდანაც ჯამაზ-ულ-აქერის მთვარე ჟონავს.

ქი (Driopteria filix chazarica — ნაყოფია, წარმოშობით კასპიის ზღვის სანაპიროდან. დაუბმანუსი ამ ნაყოფზედ შემდეგ რასმე წერს: „ხაზარნი ერთს ისეთ ხეხილს ახარებენ, რომლის ნაყოფი სხვაგან არსად მწიფდება. ამ ნაყოფს თევზის ქერცლის თუ გირჩის ქიცვისდამავარი გარსი აქვს, სხმით მალლა, ზედა ტოტებს ასხია და ისეა ჩამოკიდებული, თევზი გეგონება, რომელიც მიკიტანთ თავიანთი სამიკიტნოების შესასვლელთან ლაყუჩებით უკიდიათ, რათა შორიდანვე ჩანდეს, რომ იქ უხათი გიმასპინძლებენ. ხანჯამისად ეს ნაყოფი ისეთ ხმას გამოსცემს, სკვინჩა ჩიტის ხმიანობას მიაგვანებ. გემოთი გრილია, ცოტა მომლაშო. შემოდგომით, როს ნაყოფი სავსებით მჩატდება და შიგან კურკა გულსავით უცემს, ტოტიდან ჩამოვარდნილი მცირე ხანს ისე ფრენს ლაყუჩების ქნევა-ქნევით, თითქოს ქარის ტალღებში მოცურავდეს. ბიჭები საკენჭურით აყრევენებენ, ხოლო ხან ბურაული ცდება და ნისკარტით აიტაცებს ხოლმე ამ ნაყოფს, დარწმუნებული, რომ თევზი დაიხელთა. ამად უბნობენ ხაზარნი: „ღორმუცელა არაბთ, ვითარცა ბურაულთ, სჯერათ, რომ ჩვენ თევზი ვართ, გარნა ჩვენ თევზი არა ვართ, ჩვენ ქუ ვართ“. სიტყვა „ქუ“ — ამ ნაყოფის სახელწოდება — ხაზარული ენის ერთადერთი სიტყვაა, რომელიც შაიტანმა მესსიერებაში ჩაურჩინა სეფექალ ატექს მას უკან, რაც მან თავისი ენა იგულმა ვიწყა.

ხანჯამისად ღამ-ღამ ძახილი ისმის: ქუ-ქუ! ეს სეფექალი ატექია, მესსიერებაში ჩარჩენილ მშობლიური ენის ერთადერთ სიტყვას წარმოთქვამს და გულამომჯდარი ცდილობს თავის დავიწყებულ ლექსთა გასხენებას.

**ხაზარები** — არაბულად Khazar, ჩინურად K'osa — თურქული წარმოშობის ხალხის სახელწოდებაა. ამ სახელწოდების ძირია თურქული სიტყვა qazmak (ხეტიალი, მომთაბარეობა) ანდა quz (ჩრდილოეთისკენ მიქცეული მთის ქვეყანა, ჩრდილიანი მხარე). გვხვდება აგრეთვე სახელწოდება Aq-Khazar, რაც თეთრ ხაზართ აღნიშნავს. როგორც ჩანს ასეთი სახელი იმიტომ შეარქვეს, რათა „შავ ხაზართაგან“ (Qara-Khazar) განესხვაგებინათ, რომელთაც ისთაქრი ასხენებს. 552 წლიდან, ყველაფერი ამას მეტყველებს, რომ ხაზარნი ეკუთვნოდნენ დასავ-

ლეთ თურქულ სამეფოს და, შესაძლოა, სულის, ანუ დარუბანდის, ციხე-სიმაგრეზედ დასავლელ თურქთა პირველი ხაკანის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ. VI საუკუნეში კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი საბირთ ეკუთვნოდათ (საბირთა ტომი დიდი ჰუნური ტომიდან ერთ-ერთი იყო). თუმცა მასუდი-მდივან-მწიგნობარი X საუკუნეში აღნიშნავდა, რომ თურქნი ხაზართ „საბირთა“ სახელით მოხსენიებდნენ. ასეა თუ ისე, მუდამ, როცა კი მუსულმანური წყაროები ხაზართ ახსენებენ, გაუგებარი რჩება, ერთი ხალხი იგულისხმება თუ არა. ჩანს, მთელ ხალხს, როგორც ამ ხალხისავე მთავარს, ორეული ჰყავდა. უკეთეს აგრეა, თეთრებად და შავებად დაყოფის გაგება სწავგვარადაც შეიძლება: ვინაიდან ხაზარი არაბულად თეთრ ფრინველსაც აღნიშნავს და შავსაც, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ თეთრი ხაზარები წარმოადგენენ დღეებს, ხოლო შავები — ღამეებს. საეჭვო სულაც არ არის, რომ მეხსიერებაში შემორჩენილი თავიანთი თავგადასავლის პირველ ხანს ხაზართ სძლიეს ჩრდილოეთიდან მოსულ ერთ-ერთ მძლავრ ტომს, რომელსაც W-n-d-r ერქვა და რომლის შესახებაც ლაპარაკია „ჰუდუ ალ ღამ“ თხზულებაში („ქვეყნიერების მიჯნები“). ამ ტომის სახელწოდება შეესატყვისება „ონოგუნდურ“ სახელწოდებას, აგრე ეძახდნენ ბერძნები ბულგარელთ. ასე რომ, ჩანს, პირველი შეტაკება ხაზართ კავკასიისპირეთში ბულგარელებთან და არაბებთან მოუწია. ისლამურ წყაროთა თანახმად, პირველი არაბ-ხაზართა ომი 642 წელს მოხდა კავკასიაში. 653 წელს ბალანჯარასთან გამართულ ბრძოლაში არაბი მხედართმთავარი დაიღუპა, და ომიც დამთავრდა. როგორც მდივან-მწიგნობარი მასუდი აღნიშნავს მთავარი ქალაქი, თავქალაქი თავდაპირველად ბალანჯარა ყოფილა, მერე გამხდარა სამანდარი და, ბოლოს, ათილი, ანუ ითილი. მეორე არაბ-ხაზართა ომი დაიწყო 772 წელს, იქნებ ცოტა ადრეც, და 773 წელს ხაზართა დამარცხებით დამთავრდა. ეს ამბავი მუჰამად მარვანის დროს ხდებოდა, და ხაკანი მაშინ ისლამის აღმსარებელი იყო. ხაზართა სახელმწიფოს, როგორც არაბი გეოგრაფის იდრისის რუკიდან ჩანს, ვოლგისა და დონის ქვემოწელი ეჭირა, სარკილისა და ათილის ჩათვლით. ისთაქრი უბნობს ხაზრეთიდან ხორეზმში მიმავალ საქარავნო გზაზედ, გარდა ამისა, ნახსენებია ხორეზმიდან ვოლგისკენ დაქნილი „სამეფო გზაც“.



ისლამური წყაროების მიხედვით, ხაზარნი ხელგამომავალნი მიწათმოქმედნი და მეთევზენი იყვნენ. კერძოდ, ის წყაროები იუწყებიან, რომ ხაზართა ქვეყანაში ერთი დაბლობი ადგილი იყო, სადაც მთელი ზამთრის განმავლობაში იმდენი წყალი გროვდებოდა, რომ ტბა ჩნდებოდა; აქ ისინი თევზს აშენებდნენ, თანაც ისეთ ცხიმიანს, რომ უზეთოდ წვავდნენ, საკუთრივ თევზისავე ქონში. გაზაფხულზედ, როცა წყალი დაშრებოდა, იმავე დაბლობზედ ისინი ხორბალსა თესავდნენ და ზღვა ჭირნახული მოჰყავდათ, რაკილა მიწა თევზის ტურტლით იყო განოყიერებული; აგრე და ამრიგად, ერთი და იმავე ფართობიდან ისინი თევზის უხვ მოსავალსაც იწევდნენ და პურისასაც. სუყველანი ერ-



თიანად იმისთანა საზრიანები და გერგილიანები იყვნენ, ხეებს მიდი-  
 ებს, ანუ ორსაგდულიან მოლუსკებს ასხმევიანებდნენ. ზღვის პირას  
 მდგარ ხეებს ისინი წყლის ფსკერზედ სრიდნენ, იქ ქვევით ამგვრებდნენ,  
 და ორ წელიწადში იმ ხეებს იმდენი მოლუსკი ედებოდა, რომ მესამე  
 წელიწადს, წყლიდან ამოყრილთ, ტოტები სულ უგვირველესი მიდიე-  
 ბით ჰქონდათ დახუნძლული. ხაზართა სამეფოში თორსახელებანი მდი-  
 ნარე გადიოდა, რომლის წყალიც კალაპოტში ერთდროულად ორი სხვა-  
 დასხვა მიმართულებით მიედინებოდა: დასავლეთიდან აღმოსავლეთის-  
 კენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. მდინარეთ იგივე სახელები  
 ერქვათ, რაც ორ ხაზარულ წელიწადის დროს, რადგან, ხაზართა აზ-  
 რით, წელიწადის ოთხი დროის ცვლისას გადიოდა არა ერთი, არამედ  
 ორი წელიწადი, თანაც პირველი წელიწადი ერთი მიმართულებით  
 მდინარებდა, ხოლო მეორე წინაუკმო (ზუსტად ისევე, როგორაც იმათი  
 მთავარი მდინარე). ამასთანავე ამ ორი წელიწადის დღეთა და დროთა  
 არევა სათამაშო ქალაღდივით, ანუ ბანქოსავით შეიძლებოდა, რა არი  
 ზამთრის დღეები გაზაფხულისას შენაცვლებოდნენ, ხოლო ზაფხულის  
 დღეები შემოდგომისას, მაგრამ ჯერეთ კიდევ არც ამით მთავრდებოდა  
 ყველაფერი — ერთი ხაზარული წელიწადი მომავლიდან წარსულში  
 მდინარებდა, ხოლო მეორე წარსულიდან მომავალში.

თითოეულ ხაზარს კვერთხი რამ ჰქონდა, რომელზედაც თავისი  
 ცხოვრების სუყველა მნიშვნელოვანი ამბავი ამოეკვეთა. თანაც ეს  
 ჩანაწერები ცხოველთ გამოხატავდნენ, რომელნიც ამბებს კი არა,  
 მდგომარეობასა და განწყობილებას აღნიშნავდნენ. კვერთხის პატრო-  
 ნის სამარეს იმ ცხოველს ამგვანებდნენ, რომლის გამოსახულებაც ყვე-  
 ლაზედ უფრო ხშირად გვხვდებოდა კვერთხზედ. ამიტომ იმათ ფავნის-  
 სასაფლაოებზედ საფლავები იმის მიხედვით იყო დაჯგუფებული, რო-  
 მელ ცხოველსაც ისინი გამოხატავდნენ: ვეფხვს, ჩიტს, აქლემს, თევზს,  
 ანდა ფოცხვერს, რომელსაც ვიეთნი ვარშაყს ეძახდნენ, ვიეთნი კილ-  
 დონს, ზოგ საფლავზედ კი კვერცხი ან თხა იყო გამოხატული.

ხაზართ სწამდათ, რომ კასპიის ზღვის ლურღუმ სიღრმეში ცხოვ-  
 რობს უთვალეზო თევზი, რომელიც საჟამოსავით, ანუ საათსაებრ წიკ-  
 წიკით გვაუწყებს სამყაროში ყველაზედ უფრო ზუსტ დროს. თავდა-  
 პირველად, როგორც ხაზარული თქმულება გადმოგვცემს, ყოვლიერე-  
 ბა, ანუ, რაც კი რამ იყო შექმნილი — გარდასული და მერმისი, სუ-  
 ყველა მოვლენა და ნივთი თუ საგანი, დამდნარი ტივტივებდა დროის  
 ცეცხლოვან მდინარეში, სუყოველი არსება, ყოფილი თუ სამომავლო,  
 ერთმანეთში იყო არეული, ვითარცა საპონი და წყალი. ყოველ ცოცხალ  
 ქმნილებას, ის დრო ასე იყო, როცა უნდოდა და რომელი სხვა ქმნილე-  
 ბის შექმნაც უნდოდა, მაშინ შექმნიდა იმას, რაც თავზარსა სცემდა  
 დანარჩენთ, და მხოლოდ ხაზართა მარილის ღმერთმა დაუდო ზღვარი  
 ამგვარ თვითნებობას და თითოეული სულდგმულისაგან მხოლოდ თვი-  
 სთა მსგავსთა გაჩენა ბრძანა. მან ერთმანეთისგან გაყო გარდასული და  
 მერმისი, ანუ წარსული და მომავალი, ტახტი აწმყოში დაიდგა, მაგრამ  
 ამასთანავე სტუმრობს მომავალს და თავს დასტრიალებს წარსულს,  
 გულდაგულ დამხერს. იგი თვითონ თავისი თავისაგან ქმნის მთელ  
 ქვეყნიერებას და თავადვე სანსლავს, ყოველსავე ძველსა ცოხნის, რათა

მერმე განახლებული ამოანთხიოს. სუყოველი კაცხორციელის ბედ-იღბალი ჩაწერილია ხალხთა ბედ-იღბლის წიგნში, რომელსაც განაგებს სამყარო, სადაც თითოეული ვარსკვლავი თითოეული ხალხისა და ენის ბუდესა და უკვე თავდადებულ ცხოვრებას წარმოადგენს. ამრიგად, სამყარო ხილული და შეკუმშული მარადიულობაა, რომელშიც უცვლელი ბრიულ მოდგმათა ბედ-იღბალი ვარსკვლავთაებრ ციმციმებს.

ხაზარნი ფერთ ისე კითხულობდნენ, ვითომც მუსიკალური რამ ჩანაწერი ანდა ასოები და ციფრებიანო. სადმე მეჩეთში ან ქრისტიანულ საყდარში რომ შევიდოდნენ და კედლის მხატვრობასა თუ ხატთ დაინახავდნენ, გამოსახულების ფერთაგან უმაღლ შინაარსის თბზვას იწყებდნენ და კითხულობდნენ ან გალობდნენ უკვე შეთხზულ შინაარსს, რაც იმაზედ მეტყველებს, რომ წარსულის ფერმწერალნი სისხლხორციულად ფლობდნენ ამ ჩვენთვის შეუცნობელ, იდუმალ ოსტატობას. მუდამ, როცა კი ხაზართა სამეფოში ებრაელთა ზეგავლენა იმძლავრებდა ხოლმე, ხაზარნი სურათებს აღარ ეტანებოდნენ და ივიწყებდნენ ფერთა კითხვის ამ იშვიათ უნარს, რაც ყოვლის მეტად ცარგრადში ხატთმღეწველობის ჟამს დაზარალდა და იმის მერე აღარც გამოცოცხლებულა.

მომავალი ხაზართ წარმოდგენილი ჰქონდათ მხოლოდ სივრცეში და არცროდის დროში. ლოცვით ისინი წინ-წინ განსაზღვრული მკაცრი წესითა და რიგით ლოცულობდნენ, და სუყველა იმათ ლოცვას ერთ მთლიანად თუ შევკრავდით და შევკონავდით, ადამ რუჰანის, ანუ მესამე ანგელოზის, სრული პორტრეტი გამოვიდოდა, რომელი მესამე ანგელოზიც ხაზართა სეფექალის სჯულისა და იმის მღვდელმსახურთა სექტის სიმბოლო იყო. ხაზართა სუყოველი სიზმრის პერსონაჟს დაუბრკოლებლად შეეძლო სხვათა სიზმრებში გადასახლება, და ისინი თვალს ადევნებდნენ იმის მოძრაობას. სეფექალ ატეჰის უკვე ხსენებულ სექტაში ისეთი მღვდელმსახურნიც იყვნენ, სიზმრიდან სიზმარში რომ დასდევდნენ იქ მოძრავ ადამიანთა და, თითქოს წმინდანთა ან წინასწარმეტყველთა ცხოვრებას წერენო, ისე საგულდაგულოდ აღწერდნენ იმათ ცხოვრებას მთელი თავიანთი ღვაწლითა და სიკვდილთან გაუთავებელი ჭიდილით. ეს სიზმართა მეზადურნი ხაზართა ხაკანს გულზედ არ ეხატნენ, მაგრამ ვერცრას უშვრებოდა. სიზმართა მეზადურთ მუდამ ერთი რამ მცენარის ფოთოლი დაჰქონდათ თან, რომელ მცენარესაც ფრიად საიდუმლოდ ახარებდნენ, და სახელად „ქუ“ ერქვა. უკეთუ იმ ფოთოლს აფრის ნახვრეტს ანდა ჭრილობას დაადებდნენ, ერთიცა და მეორეც თვალის დახამხამებაში პირს შეიკრავდა.



ხაზართა სახელმწიფო საკმაოდ რთულად იყო მოწყობილი, ხოლო იქაურნი ქვეშევრდომნი იყოფოდნენ ქარქვეშ დაბადებულებად (ხაზარნი და დანარჩენ სხვებად, რომელნიც ქარზევით დაბადებულებად ითვლებოდნენ, ანუ ხაზართა ქვეყანაში სხვა ადგილებიდან მოსულიყვნენ (ბერძნები, ებრაელები, სარკინოზები თუ რუსები). სამეფოს უმრავლესობას ხაზარნი შეადგენდნენ, სხვანი კი მცირე ჯგუფებად იყვნენ წარმოდგენილი. თუმცა, ადმინისტრაციულად სამეფო ისე იყო დაყო-

ფილი, რომ ეს ამბავი თითქმის თვალში საცემად არა ჩანდა. სახელმწიფო რამდენიმე მხარისგან შედგებოდა და, სადაც ებრაელი, ბერძენი თუ არაბი მოსახლეობა ბინადრობდა, მხარესაც შესაბამისად იქ მოსახლე ხალხის სახელი ერქვა, ხოლო ქვეყნის ყოვლის უფრო დიდი ნაწილი, სადაც მხოლოდ ხაზარნი ცხოვრობდნენ, რამდენიმე სხვადასხვა სახელწოდებებიან მხარედ იყო დაყოფილი. ამრიგად, ამ ხაზარულ მხარეთაგან მხოლოდ ერთს ერქვა ხაზარეთი, ხოლო ყველა დანარჩენმა მხარემ თავისი სახელი და ადგილი სულ სხვა საფუძველზედ ირგუნა. ჩრდილოეთში, მაგალითად, მთელი ახალი ხალხი გამოიგონეს, რომელიც თანახმა გახდა თავისი ხაზარული სახელისა და ხაზარული ენის უარყოფაზედ და, ამისდა კვალად, თავის მხარეს სხვა სახელს ეძახდა.

ყველა ამ გარემოებისა და საერთოდ თავიანთსავე სამეფოში ხაზართა არასახარბიელო მდგომარეობის გათვალისწინებით, ბევრი ხაზარი პირდაპირ უარს ამბობდა თავის წარმომავლობასა და ენაზედ, თავის სჯულსა და ადათ-წესებზედ, მალავდა, სინამდვილეში ვინც იყო და თავს ბერძნად ან არაბად ასაღებდა, რადგან სწამდა, რომ ამგვარად უფრო წარმატებოდა ცხოვრებაში. ხაზართა სახელმწიფოს დასავლეთით მცირე ოდენობის ბერძენები და ებრაელები სახლობდნენ, რომელების (ბიზანტიის) იმპერიიდან გადმოსახლებულნი. ერთ-ერთ მხარეში ებრაელები მეტნიც კი იყვნენ, ვიდრე სხვანი (ბერძენთა იმპერიიდან გამოყრილნი), ასეთი მხარე ერთადერთი იყო. მსგავსი მდგომარეობა პქონდათ ქრისტიანთაც სხვა მხარეში, სადაც ხაზართ არაქრისტიანული სარწმუნოების პირთ ეძახდნენ. საერთო თანაფარდობა სახელმწიფოში ხაზართა და ბერძენ და ებრაელ ახალმოსახლეთა შორის ფასდებოდა დაახლოებით როგორც ერთი ხუთზედ, თუმცა ეს ფაქტი მიყურისძირავებული იყო, ვინაიდან მოსახლეობის გამოკითხვა თუ აღწერა მხოლოდ მხარეთა მიხედვით ხდებოდა და საერთო მდგომარეობას ჩქმალავდნენ.

ხაკანის კარზედ მხარეთაგან თითოეულის წარგზავნილთა რაოდენობა სწორად არ იყო შეფარდებული მოსახლეობის ოდენობასთან, რომელ მოსახლეობასაც ისინი წარმოადგენდნენ, წარგზავნილთა რაოდენობა დამოკიდებული იყო მხარეთა სათვალავზედ, რის გამოც ხაზარნი, რომელნიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხაკანის კარზედ უმცირესობაში ხვდებოდნენ. ასეთ ვითარებაში და ძალთა ამგვარი თანაფარდობისას სამსახურში დაწინაურება განპირობებული იყო არახაზართა მიმართ ბრმა ერთგულებით. თუკი ვინმე ხაზარობაზედ უარს იტყოდა, უმალვე გზაც ეხსნებოდა ხაკანის კარზედ და პირველ წარჩინებასაც გამოჰკრავდა ხელს. შემდგომი წარჩინების მოპოვება მოითხოვდა ანტიხაზარულ პოზიციას და ხაზარულ მიზნებსა თუ მისწრაფებებზედ ხელის აღებას, მხოლოდ და მხოლოდ იქით ცქერას, საითაც იცქირებოდნენ ბერძენები, ებრაელები, თურქმენები, არაბები თუ გუთები როგორც იქ სლავთ ეძახდნენ. რატომ იყო აგრე, ძნელი სათქმელია. მაგანს IX საუკუნის არაბ ჟამთააღმწერელს ჩაუწერია: „ერთმა ჩემმა კბილამ, ხაზარმა, ამას წინათ უცნაური რამ მითხრა: „ჩვენამდე, ხაზარებამდე, მყოობადის ოდენ ნაწილი აღწევს, ისიც ყო-

ვლის უფრორე პიტალო და ძნელადმოსანელებელი, რომლის დამალვაც ფრიად საძნელოა, ასე რომ ამ მყოობადში გაღწევა ისე გვიხდებოდა, როგორც ძლიერ ქარში, გვერდულად. ეს მყოობადი ადუღებული, დაღუღული ნამუსრევისგან შედგება და ჭაობსავით სულ უფრო და უფრო ღრმად გვითრევს. ჩვენს წილად ოდენ ობმოდებული, გამოღრღნილი მდებარეობის, რაც რამ უკვე დაფლეთილი და დავლუჯილია, რაც უკვე დაღუღილია და აღარც ჩაიციმევა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ვის მიაქვს მყოობადის საერთო განაწილებისას ყოვლის უფრო მსუქანი ლუკმა...”

ეს ნათქვამი ბევრად გასაგები გახდება, უკეთუ გავითვალისწინებთ, რომ ხაკანი ხელისუფლებას ახლოს არ აკარებდა ახალგაზრდობას, დღემოუჭმელთ, სანამ ისინი ორმოცდათხუთმეტი წლისანი არ გახდებოდნენ, თანაც ეს წესი მარტო ხაზართა მიმართ მოქმედებდა, დანარჩენები სწრაფად მიიწევდნენ წინ, რამეთუ ხაკანი, თავად ხაზარი, ფიქრობდა, რომ ის დანარჩენები ვერცრა საფრთხეს შეუქმნიდნენ თავიანთი მცირერიცხოვნობისა გამო. სასახლის წესებისდა შესაბამისად, სახელო-თანამდებობათა რიცხვი ხაზარულ მართვა-გამგებლობაში კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რომელსამე სახელო-თანამდებობას გაათავისუფლებდა ის პირი, ვისაც ადრე ეჭირა რამე სახელო, ვინც ხაკანის მოასაკე იყო, ანუ უცხოტომელი, არახაზარი. ასე რომ ოდეს ერთ-ორ წელიწადში ორმოცდათხუთმეტი წლის ხაზართა ახალ თაობას უკვე დროც ერჩოდა და ხანიც უწევდა თანამდებობათა საწყალობებლად, სუყველანი ან მოუცლელად იყვნენ, ან ისე ჰქონდათ დაკარგული თაბაუთი თუ წონა, რომ სახელმწიფო სამსახურში ჩადგომას არავითარი აზრი აღარა ჰქონდა.

ხაზართა თავქალაქ ითილში ერთი იმისთანა ადგილი იყო, სადაც ორნი (ერთმანეთისთვის იქნებ სულაც უცხონი) ერთიმეორეს გვერდზედ რომ ჩაუვლიდნენ, ურთიერთში, სახელთან და ბედ-იღბალთან ერთად, თავიანთ ცხოვრებისეულ როლსაც ქუდებსავით ცვლიდნენ და აკრე განაგრძობდნენ ცხოვრებას. იმათ შორის, ვინც ამ ადგილის შორიანლო იდგა და სხვასთან, სულერთია, ვისთან, თავისი ბედ-იღბლის გაცვლის ჯერს უცდიდა, ყველაზედ მეტნი ხაზარნი იყვნენ.

სამხედრო თავქალაქში, რომელიც ქვეყნის უმეტესად ხაზართაგან დასახლებული ნაწილის გულში მდებარეობდა, ჯილდო-სანიჭართ და წარჩინების ნიშანთ მუდამ თანაბრად ანაწილებდნენ მოსახლეობის სუყველა ჯგუფის წარმომადგენელთა შორის: ჯილდო თუ საბოძვარი რამ მიწყვი თანასწორი რაოდენობით ხვდებოდათ ხაზართა სამეფოში მცხოვრებ ბერძნებსაც, გუთებსაც, არაბებსაც, ებრაელებსაც. ასევე ეხებოდა რუსთაც, სხვა ხალხთაც და თვით ხაზართაც, რომელნიც, თავიანთი მრავალრიცხოვნობისდა მიუხედავად, სხვებთან ერთად თანაბრად იყოფდნენ ჯილდო-სანიჭართაც და ზედ მოყოლებულ ფულად შეწევნასაც. თუმცა სამხრეთი პროვინციების ცენტრებში, სადაც ბერძნები იყვნენ, ანდა დასავლეთისაში, სადაც ებრაელნი ბინადრობდნენ, თუ სპარსელებით, სარკინოზებით, და სხვა ხალხებით დასახლებულ აღმოსავლეთ მხარეში, ჯილდო-წყალობა და ყოველგვარი წარჩინება ოდენ ამ ხალხთა წარმომადგენელთ ენიჭებოდათ, და არავითარ შემთხვევაში ხაზართ, რამეთუ ზემოხსენებული მიწა-წყალი თუ მიწა-ადგილი არა-

ხაზარულად ითვლებოდა, თუმცა იქ ხაზარნი არავისსედ ცოტანი არ იყვნენ. ასე რომ სახელმწიფოს თავიანთ ნაწილში ხაზარნი ერთი თხილის გულს ყველას უყოფდნენ, ქვეყნის სხვა არა ერთსა და ორ კუთხე-მხარეში კი, ნამცეცი რა არის, თვითონ არცრა ნამცეცის ღირსნიც არა ხდებოდნენ.

თვინიერ ამისა, ხაზარნი, ვითარცა ყველაზღმბრანცხეშრავალნი, სამხედრო ბეგარის მთავარ ტვირთს თავად ეზიდებოდნენ, თუმცა მხედართმთავართა შორის სუყველა ხალხი თანასწორი უფლებით იყო წარმოდგენილი. მეომართ ეუბნებოდნენ, მარტოოდენ ომში ჩართულნი აღწევენ ერთსულღვნებასა და წონასწორობას, დანარჩენი არცრა ყურადღების ღირსად არა ღირსო. ამრიგად, ხაზართა მოვალეობა იყო სრულიად სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა და სახელმწიფოსთვის ბრძოლა, სანამ ებრაელნი, არაბნი, ბერძნები, გუთნი და სპარსელნი, ხაზარეთში მცხოვრებნი, საერთო საბანს თავიანთკენ, უფრო სწორად კი, იმ ქვეყნებისკენ ეწვოდნენ, საიდანაც თვითონ წარმოშობილიყვნენ.

საფსებით გასაგები მიზეზებისა გამო სამხედრო საშიშროების ჟამს აღწერილი ურთიერთდამოკიდებულებანი იცვლებოდა. ხაზართ გაცილებით მეტი თავისუფლება ეძლეოდათ, უმაღ უნაკლონი ხდებოდნენ, წარსულში მოპოვებული მრავალი ძლევისთვის ქება-დიდებას ასხამდნენ, თქვენისთანა მოსაგრე-მეომარნი არცროდის სადმე ყოფილანო, შუბ-სართმსა და ხმალ-ჭოლაურს თქვენისთანად ვერცვინა ხმარობსო, ფეხითაც ისევე იქნევთ, ვითარცა ხელითაო, ერთბაშად ორ ხმალს ერთად აკაფვინებთო, მარჯვენა და მარცხენა თქვენთვის სულერთია, ორთავეს მარჯვედ იყენებთ, რამეთუ სიყრმიდან საომრად იწვრთნებოდითო, მოკლედ, ხოტბა-შესხმას ბოლო არ უჩანდა. ქცევით კი ეს მეხოტბე-შემსხმელნი სულ სხვარიგად იქცეოდნენ — ომიანობა ჩამოვარდებოდა თუ არა, თავიანთ სახელმწიფოებს ემხრობოდნენ: ბერძნები რომეების ჯარისკაცებთან ერთად თავიანთ გზაზედ გადაუბუგავს არცრას უშვებდნენ და კვალად საბერძნეთთან, ქრისტიანულ სამყაროსთან შეერთებას ითხოვდნენ, არაბნი ჩვენი ხალიფის მხარეზედ გადადიოდნენ და იმის ხომალდიონს უერთდებოდნენ, სპარსელნი წინადაცვეთის მოსაშლელად გამოდიოდნენ. დაღათუმცა ომის დამთავრებისთანავე ეს ყოველივე დავიწყებას ეძლეოდა და ის წოდებანი, რომელთაც უცხოტომელნი ხაზართა მტრების სამსახურში იღებდნენ, ხაზართა ჯარისთვისაც შესაწყნარებელი იყო, ხაზართ კი ისევ ქერისა და პურის მოყვანით დაკმაყოფილება უწევდათ.

ქერჭრელი ხაზარეთის სახელმწიფოში ხაზართა მდგომარეობის მაჩვენებელი ნიშანი იყო. ქერიცა და პურიც ქვეყნის იმ ნაწილში ითესებოდა, სადაც წმინდა ხაზარული მოსახლეობა ცხოვრობდა. მომყმარი კუთხე-თემები, კავკასიონის თიანეთის გვერდით, ქერჭრელით იკვებებოდნენ, ანუ ერთმანეთში არეული ხორბლითა და ქერით, რაც წმინდა სიმბოლურ ფასად იყიდებოდა. ხორბალიც ხაზართ მოჰყავდათ, ძველთესლიც და ახალთესლიც, ანუ უმახოლო წითელი დიკა, რომელსაც მარტო ოქროზედ ყიდდნენ. და ხაზართ უფლება ჰქონდათ, რომ მხოლოდ ეს ძვირადღირებული წითელი უფხო დიკა ეყიდათ. უკეთუ

ვინმე საზარი ჯიბის დაზოგვის მიზნით ამ წესს გადავიდოდა და იაფი ქერჭრელის ყიდვას გაბედავდა, რაც მკაცრად იკრძალებოდა, განაუყოით მაინც გაუგებდნენ. შექმნილი იყო საგანგებო რამ სამსახური, ხარკის ამკრეფთა მსგავსი, რომელიც უამითი უამად საზართა ზარულ-ფენისა-ლაგთ ამოწმებდა და ბრალიანთ სჯიდა.

უჩინუნი  
ზიზღიერნი

**საზარული კოლეჯიკა** — დიმასკი აღნიშნავს, რომ პოლემიკის კამს, რაზედაც დამოკიდებული იყო, რა რჯულზედ მოიქცეოდნენ საზარნი, ქვეყანაში დიდი მღელვარება ყოფილა. მთელი მოსახლეობა ფეხზედ მდგარა, სანამ საზართა ხაკანის დიდმშვენიერ სრა-სასახლეში მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ყველაფერი არეულ-დარეულა. ერთსა და იმავე ადგილას ორგზის თურმე ვერცვის შეხვდებოდნენ. ერთ შემსწრეს თავისი თვალთ უნახავს, დიდლოდებმოკიდებულნი კაცნი, რომელნიც კითხულობდნენ, სად დავაწყობთ. საქმე ის არის, რომ სეფექალ ატექს ებრძანებინა, მოშალეთ ხარაზანი, ანუ საზართა სახელმწიფოს საზღვართაებრ წარიგებით ჩასმულნი ლოდნი, და მანამ ატარეთ, სანამ საზართა რჯულის საკითხი არ გადაწყდებაო. თუ რომელ წელიწადს მოხდა ეს ამბავი, დადგენა ვერ მოხერხდა. თუმცა აღ-ბექრი აღნიშნავს, რომ საზართ სხვა რჯულის უწინარეს ისლამი აღიარეს, სახელდობრ კი ისას წელთაღრიცხვით 737 წელს. პოლემიკა და ისლამის აღიარება ერთჟამიერად ხდებოდა თუ არა, ეს სხვა საკითხავია. როგორც ჩანს, ამ კითხვას პასუხად უარისყოფა ეგებინა. ასე რომ პოლემიკის წელიწადი არ ვიცით. თუმცა თვითონ პოლემიკის არსი ნათელია. ხაკანი ძლიერ შემოქმედებას განიცდიდა სამი მხრიდან, ძალას ატანდნენ, რომ ერთ-ერთი სარწმუნოება ელიარებინა — ისლამი, ქრისტიანობა ანდა იუდაიზმი, — და მან სწავლულ კაცთა თავისთან მიწვევა ბრძანა, ერთი ებრაელი უნდა ყოფილიყო, ხალიფატიდან გაძევებულთაგანი, მეორე ცარგრადის უნივერსიტეტის ბერძენი ღვთისმეტყველი და ყურანის არაბი მთარგმანებელი. ამ მესამეს ფარაბი იბნ ქორა ერქვა, და პოლემიკაში ბოლო ჩაერთო, რადგან საზართა თავქალაქს მიმავალს გზად არაერთი დაბრკოლება შეხვდა, ასე რომ სამეცნიერო დავა პირველთ ქრისტიანობისა და იუდაიზმის მოციქულთ დაიწყეს. ბერძენი სულ უფრო და უფრო თავის მხარეს იბირებდა ხაკანს. თვალეები ბერძენს წვნიანი შეჭამანდის ფერი ჰქონდა, თმა ჭრული, და ტაბლასთან მიმჯდარი უბნობდა:

— კასრში ყოვლის უმთავრესი ნახვრეტია, დოქში უმთავრესი ის არის, რაც დოქი არ არის, სულში ის არის, რაც ძეხორციელი არ არის, თავში ის არის, რაც თავი არ არის, ეს კი სიტყვაა... ასე რომ ყური დამიგდეთ, თქვენდა გასაგონად ვამბობ, ვისაც სიჩუმით საზრდობა არ შეგიძლიათ.

ჩვენ, ბერძენები, ჯვარს რომ გადმოგცემთ, საწინდრად თქვენს სიტყვას არ მოვითხოვთ, ვით სარკინოზნი და ებრაელნი. ჩვენ არც იმას მოვითხოვთ, რომ ჯვართან ერთად ენაც აღიაროთ ჩვენი, ბერძნული. კეთილინებეთ, თქვენი დაიტოვეთ, საზარული. ოღონდ ფრთხილად იყავით: უკეთუ იუდაიზმს ანდა მუჰამადის რჯულს აღიარებთ, ყოველივე

სხვარიგად იქნება. იმათ სარწმუნოებასთან ერთად იმათი ენის აღიარებაც მოგიწევთ.

ასეთი სიტყვების შემდეგ ხაკანი მზად იყო ბერძნის/საბუთიანობისთვის დასტურის დასაცემად, მაგრამ აქ პოლემიკაში ატეპი ჩაერთო. მან სიტყვა გამოავო:

ეროვნული  
ზიზღით

ერთი ჩიტებით მოვაჭრე კაცისგან გავიგონე, რომ კასპიის ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქში ორი სახელგანთქმული ოსტატი — მამა-შვილი ცხოვრობდა. მამა, ვითარ ჩიტების ვაჭარმა მითხრა, ისეთი მხატვარი იყო, რომლის ნამუშევარსაც უმაღლესი იცნობდი ყველაზედ უფრო ლურჯი ფერით, რანაირიც ოდესმე ვისმე უნახავს. შვილი პოეტი ჰყავდა, რომლის ლექსიც თურმე სხვისაში არ აგერეოდა, რამეთუ გეგონა, რომ ერთხელ უკვე მოგესმინა, ოღონდ არა ადამიანისაგან, არამედ მცენარისაგან ანდა ცხოველისაგან...

მოვიცვი თითებზედ საგზაო ბეჭდები და გავეშურე კასპიის ზღვაზედ. ქალაქში, რომელიც ზღვის ნაპირას იყო, გავიკითხ-გამოვიკითხე და მივაგენი სხენებულ ოსტატ მამა-შვილს. მე უმაღლესი ორივენი ყველა იმ ნიშნით, რომელთა შესახებაც ჩიტების ვაჭარი მელაპარაკა: მამა ღვთაებრივ სურათებს ხატავდა, შვილი კი საოცარ ლექსთ წერდა ჩემთვის უცნობ ენაზედ. ორივე მომეწონა, მეც მოვეწონე, და შემეკითხნენ: ჩვენ ორთაგან რომელს ამოგვიჩვენო.

მე შვილი ამოვიჩვიე, რაც იმით ავხსენი, ამას გ ზმოენებელი არა სჭირდება-მეთქი.

მაგრამ ბერძენმა თავი არ მოატყუებინა და შენიშნა, კაცნი სწორად იმიტომ ვლიან, რაკი ორი კოჭლისგან არიან შემდგარნიო, ხოლო დიაცნი იმად არიან თვალნილულნი, რაკი ორი ცალთვალასაგან შექმნილანო. მაგალითისთვის მან თავისი ცხოვრების ერთი შემთხვევა გაიხსენა:

ჩემს ახალგაზრდობაში ერთი გოგო მომწონდა. მართალია, ზედაც არ მიყურებდა, მაგრამ არ ვეშვებოდი და ერთ საღამოს გავაჩერე ის ჩემი მოწონებული სოფიო (აგრე ერქვა) და ისე ცეცხლოვნად გადავუშალე გული, მიყვარხარ-მეთქი, რომ წამიერთ ჩამიკონა და ვიგრძენი, როგორ დამეცა ლოყაზედ იმისი ცრემლი. იმ ცრემლის გემოთი ხელად მივხვდი, რომ ბრმა იყო, უმტარი, თუმცა გულს რეჩხი არ უკრავს: ისევ ისე გადახვეულნი ვისხედით კიდევ კარგა ხანს, და უცაბედად მახლობელი ტყიდან ცხენის თქარათქური შემოგვესმა.

— რა ფერის ცხენია, რომლის თქარათქურიც გვესმის კოცნასა და კოცნას შორის? — მკითხა მან.

— ეგ ძნელი სათქმელია, სანამ ტყიდან არ გამოვა და არ დავინახავთ, — მივუგე.

— ვერცრას მიმიხვდი, — მითხრა სოფიომ, და სწორედ ამ დროს ტყიდან თეთრი ცხენი გამოჩნდა.

— მივიხვდი, ყველაფერს მიგიხვდი, — სიტყვა შევაწყვეტინე და ვკითხე, რა ფერის თვალები მაქვს-მეთქი.

— მწვანე, — მითხრა ბრმა ასულმა.

შემხედეთ, მწვანე კი არა, ცისფერი თვალები მაქვს...

ბერძნის ამბავმა დააეჭვა ხაკანი, და ისე ჩანდა, უკვე ქრისტიანულ ღმერთს უპირებდა თაყვანისცემას. ამის შემყურე სეფექალმა ატეპმა სრა-სასახლის დატოვება განიზრახა და, სანამ ზღურბლს გადავიდოდა, ხაკანს თავისი გულისხმადები მიუთხრო:

ამ დღით ჩემმა ბატონმა მკითხა, გულზედ შენც <sup>ერთკუნთული</sup> ისწობო, რა შენს წევს, რაც მეო. იმ დროს ყანწებივით ფრჩხილები მქონდა, გრძელი, ზედ მსტვინავ ვერცხლის სათითურებწამოცმული, და ყალიონს ვეწეოდი, რომელსაც ბოლი მწვანე რგოლებად ასდიოდა.

ბატონის კითხვას მე „არათი“ ვუპასუხე, და მუნდშტუკი კბილთაგან გადმომვარდა.

ბატონი დაღონებული გამშორდა, რამეთუ არ იცოდა, რას ვფიქრობდი უკან თვალმიდევნებულის: „პოობა“ რომ მეთქვა, მაინც იგივე იქნებოდა!

ამ სიტყვების თქმა იყო, და ხაკანი შეკრთა, მიხვდა, რომ ბერძენი ნამდვილად ანგელოზის ხმას ფლობდა, ოღონდ ჭეშმარიტება სხვა მხარეს იყო. ამის შემდგომ მან სიტყვა ბოლოსა და ბოლოს ფარაბი იბნ ქორას მიუბოძა, ჩვენი ხალიფას მოციქულს. უწინარესად ჯერეთ ის სიზმარი ამისხენი, ერთ-ერთ ბოლო ღამეს რომ ვიძილისშორისყო, უთხრა. ხაკანს ძილში ანგელოზი დასიზმრებოდა და ეუწყებინა, დაბადებულს შენი ზრახვანი ეძვირფასება, ოღონდ არა საქმენიო. მაშინ ფარაბი იბნ ქორა დაეკითხა ხაკანს:

— შენი სიზმრისეული ანგელოზი შემეცნების ანგელოზი იყო თუ ზეშთაგონების ანგელოზი? ვაშლის ტოტად გამოგეცხადა თუ სხვაგვარად?

ხაკანმა რომ უთხრა, ის ანგელოზი არც ერთი ყოფილა და არც მეორეო, იბნ ქორამ განაგრძო:

— რასაკვირველია, არც ერთი იქნებოდა, არც მეორე, რამეთუ მესამე იყო. ამ მესამეს ადამ რუჰანი ჰქვია, და შენცა და შენი მღვდელმსახურნიც იმისი ღონის მიღწევას ცდილობთ. ეს თქვენი ზრახვანია და კარგია, გარნა ამის ქმნისას ადამის წიგნად აღქმას შესჭიდებისართ, რომელ წიგნსაც თქვენი სიზმარნი და სიზმართა მეზადურნი წერენ. ეს თქვენი საქმენია, უსწორო საქმენი, და დიახაც უსწორო საქმეთა გზით ეპირებით თქვენი წიგნის შექმნას, რამეთუ საკუთარი ღვთაებრივი წიგნი არ გაგაჩნიათ. რამდენადაც ღვთაებრივი წიგნი ცით გარდმოსული საბოძვარია ჩვენი, თქვენთვისაც გვიბოძებია, გაიზიარეთ ჩვენთან ერთად და უარი თქვით თქვენსაზედ...

ამ სიტყვების პასუხად ხაკანმა გულში ჩაიკრა ფარაბი იბნ ქორა, და ამით ყოველივე გადაწყდა. მან ისლამი აღიარა, ფეხთ გაიხადა, ალ-აჰს ლოცვა აღუვლინა და თავისი საზარული სახელის დაწვა ბრძანა, რომელი სახელიც საზარული ჩვეულებისამებრ ჯერეთ კიდევ დაბადებამდე შეერქვა.

**საკანი** — საზართა მთავარი, სიტყვა წარმოდგება თათრული „სანიდან“, რაც „თავადს“ ნიშნავს. იბნ ფალდანის მტკიცებით საზარნი თავიანთ საკანთ წყალქვეშ მარხავდნენ, ნაკადულებში. ხაკანი ძალაუფ-



ლებას მუდამ თანამთავარს უყოფდა, ხოლო უპირატესობად ის ჰქონდა, რომ უწინარესად ჯერ თვითონ იმას უნდა მიმშვიდობებოდნენ. საკანი ჩვეულებრივ ძველი, საჩინო, ხშირად თურქული, სახლობიდან წარმოდგებოდა, მეფე კი, ან ბეგი, იმისი თანამთავარი, — ხალხიდან, ანუ ხაზართაგან იყო გამოსული. შემონახულია IX საუკუნის ქრისტიანი მოწინობა (იაკუბი), რომელიც იუწყება, რომ უკვე VI საუკუნის დასაწყისიდან ხაკანთან ერთად არსებობდა იმისი ნაცვალიც, ხალიფი. ხაზარეთის თანამთავართა ყოვლის უფრო საგულისყურო უამთააღწერა დაგვიტოვა ალ-ისტაქრიმ. ეს ტექსტი განეკუთვნება 320 წელს ჰიჯრით (932 წელი ქრისტეს დაბადებიდან), და შიგნითგამია შემდეგი:

„... რაც შეეხება ხაზარულ პოლიტიკას და მმართველობის სისტემას, იმათ მმართველსა თუ მთავარს ხაზართა ხაკანს ეძახდნენ. რანგით ის უფრო მეტად მალა დგას, ვინემ ხაზართა მეფე (ბეგი თუ ბეი), მხოლოდ იმის გამოკლებით, რომ ინიშნება მეფისგან (მეფე ანიჭებს ხაკანის წოდებას). როს ხაკანის დანიშვნა უნდათ, რჩეული მოჰყავთ და აბრეშუმის ნაჭრით მანამ ახრხოვენ, სანამ სულ არ შეეკვრება სუნთქვა, და მაშინ ეკითხებიან: „რა ხნით გისურვებია მართვა?“ — ის კი უპასუხებს: „ამდენ და ამდენ ხანსო“, უკეთუ იგი ამ ხნის გასვლამდე მოკვდება, ბევრი არა დაშავდება რა. უკეთუ არა, მაშინვე კლავენ, როგორც კი თავის მიერ დათქმული დრო უთავდება. ხაკანს ძალა აქვს მხოლოდ დიდგვაროვანთა შორის. ბრძანებით ვერცრასა ბრძანებს და ვერც კიდევ აკრძალავს რასმე, გარნა პატივს ფრიად მიაგებენ, და იმისი დანახვისთანავე ხალხი პირქვე ემხობა ძირს. ხაკანთ დიდგვაროვანთაგან ირჩევენ, რომელთაც არცრა ძალა აქვთ, არცრა ფული. ოდეს მთავრის ადგილას ვინმეს არჩევის რიგი დგება, იმ ვინმეს ქონებრივი მდგომარეობისგან დამოუკიდებლად ირჩევენ. ერთი სანდო კაცისგან გამიგონია, ერთხელ ქუჩაში მავანი ჭაბუკი ვნახე, პური დაჰქონდა გასაყიდადო, მთელი ხალხი იმაზედ ლაპარაკობდა, ხაკანი რომ მოკვდა, მაგაზედ უკეთესი ხაკანის შემცვლელი, ვინც კი იმსახურებდა ამ თანამდებობას, ვერავინ ნახესო, მაგრამ ჭაბუკი მუსულმანი გამოდგა, ხაკანის ადგილის დაჭერა კი მხოლოდ ებრაელს შეეძლო“.

ხაკანის თანამთავარნი ჩვეულებრივ ჩინებულნი მეომარნი იყვნენ. ერთგუნის რომელიღაც ძლევის შემდგომ იმ თანამთავართ მტერს ნადავლად ჭოტი წაართვეს, რომელიც თავისი ჭყვილ-კივილით ზუსტად მიანიშნებდა, თუ სადმე სასძელი წყალი იყო. მტერს უიმჭოტოდ ცხოვრება გაუჭირდა და მძლეველთან ერთად ყოფნა ამჯობინა. და დრომ ნამეტნავად მდორედ იწყო დენა. ისინი ერთ წელიწადში ისევე ბერდებოდნენ, როგორც ადრე შვიდ წელიწადში, და სხვა რა გზა ჰქონდათ, ადგნენ და თავიანთი კალენდარი შეცვალეს, რომელიც სამ თვედ იყო გაყოფილი — მზის, მთვარისა და უმთვარისშუქო თვედ. იქაურნი დიაცნი ჩასახვის შემდგომ ოც დღეში მშობიარობდნენ, ერთ ზაფხულში ცხრა ალოობას იყენებდნენ, რასაც ზედიზედ ცხრა ზამთარი მოსდევდა, რა არი მთელი მოსავალი სრულად შეეჭამათ. დღე-ღამეში ხუთჯერ წებოდნენ დასაძინებლად, საჭმელს ხუთმეტჯერ ამზადებდნენ და სუფრასაც ხუთმეტჯერ შლიდნენ, იქაური რძე მარტო უმთვარო ღამეებს უძლებდა, რომელი ღამეებიც ისე დიდხანს გრძელდებოდნენ, რომ ყვე-

ლას ყველა გზა ავიწყდებოდა, ხოლო როს ბოლოსა და ბოლოს ინათებდა, ერთმანეთს ველარა სცნობდნენ, რადგან ამ დროის განმავლობაში ერთნი თუ იზრდებოდნენ, მეორენი ბერდებოდნენ, და ყველამ ვერცადა უწყობდა, რომ თაობები, რომელთათვისაც მწუხრს მოესწრო, მეტად ვერცროდის ნახავდნენ ერთმანეთს. ასოები, სიზმართა მეზადურთ — რომ გამოკყავდათ, სულ უფრო იზრდებოდნენ და დიდდებოდნენ. შექმნილი ძლივსლა ეჭიდებოდნენ, ზოგი სად და ზოგი სად ზედ დაკიდებულნი, და ასეთი არც ერთი ასო-ნიშანი წიგნებში რომ აღარ ეტეოდა, პირდაპირ ბორცვებსა და გორაკებს აწერდნენ; მდინარეები წარმოუდგენლად დიდხანს დიდდნენ თვალგადაუწვდენელ ზღვამდე, და ერთხელაც ღამით, როს ცხენები მთვარის შუქზედ ძოვდნენ, ხაკანს, სიზმარში ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა:

— დამბადებელს შენი ზრახვანი ეძვირფასება, ოღონდ არა საქმენი შენი.

მაშინ ხაკანმა სიზმართა მეზადურს ჰკითხა, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი და რა არის ხაზართა შავბედობის მიზეზი. სიზმართა მეზადურმა მიუგო, მოვა დიდი კაცი და დრო იმას დაუსწორდებაო. ხაკანმა სიტყვა გაუტრიზავა:

— არა ხარ მართალი, ჩვენ თავად დავკინდით და ჩვენი შავბედობის სათავეც ეს არის.

ამის შემდგომ მან სასახლიდან დაითხოვა ხაზარი მღვდელმსახურნი და სიზმართა მეზადურნი და თავისთან მიახმობინა ებრაელი, არაბი და ბერძენი, რათა იმათთვის წარეთქმევინებინა და აეხსნევინებინა თავისი სიზმარი. ხაკანმა გადაწყვიტა, რომ თავის ხალხთან ერთად იმ წარმთქმელ-ამხსნელის რჯულზედ მოქცეულიყო, რომლის ახსნა-განმარტებაც ყველაზედ უფრორე დამაჯერებელი იქნებოდა. სამი რჯულის თაობაზედ გამართულ დავაში ხაკანს ყველაზედ უფრორე საფუძვლიანი და საბუთიანი ეჩვენა და მოიწონა კიდევ არაბი წარმომადგენლის ფარაბი იბნ ქორას პასუსი თავის კითხვაზედ:

— რა ანათებს ჩვენს სიზმრებს, რომელთაც ჩვენ სრულ სიბნელეში ვხედავთ დახუჭულ ქუთუთოთა მიღმა? მოგონება რამ იმ სინათლეზედ, რომელიც გაქრა, აღარ არის, თუ მომავლის სინათლე, რომელსაც დაპირებასავით ვიღებთ ხვალინდელი დღისგან, თუმცა ჯერეთ არ უნათია?

— ორსავე შემთხვევაში ეგ არარსებული სინათლეა, — მიუთხრო ფარაბი იბნ ქორამ. — ამიტომ სულერთია, რომელი პასუსთაგანია სწორი, ხოლო თავად კითხვა უნდა შევაფასოთ როგორც არარსებული.

იმ ხაკანის სახელი, რომელმაც თავის ქვეშევრდომებთან ერთად ისლამი აღიარა, არ შემონახულა. ცნობილია, რომ იგი დამარხულია ნუნის ნიშანქვეშ (ნუნი არაბული ასოა, ნახევარმთვარის მსგავსი). სხვა წყაროთა მიხედვით, სანამ ის ფეხთ გაიხდიდა, ფეხებს დაიბანდა და მეჩეთში შევიდოდა, სახელად ქათიბი რქმევი, ხოლო ლოცვა რომ დაუმთავრებია და მეჩეთიდან გარეთ მზის შუქზედ გამოსულა, ველარც თავისი ძველი სახელი უპოვია, ველარც ფეხსაცმელი.

გაგრძელება იქნება:



# რაინერ მარია რილკე

## დუინური ელეგიები



გ ე რ მ ა ნ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა დუდუ ჩაჩიაშვილი

„დუინური ელეგიები“ რაინერ მარია რილკეს შემოქმედების მწვერვალად ითვლება. ციკლი ათ ელეგიას მოიცავს და ათი წლის (1912 — 1922) მანძილზე იქმნებოდა. 1912 წლის იანვარში პოეტს, დუინოს ციხესიმაგრეში ყოფნისას, ადრიატიკის ზღვის ქარიშხლიანმა სმოვანებამ პირველი ელეგიის პირველი პწკარი უკარნახა თითქოს... ელეგიები გასრულდა 1922 წლის თებერვალში, ისეთივე ქარიშხლიანი ზემთავონებით, როგორითაც დაიწყო.

მთარგმნელისგან

### პირველი ელეგია

გაიგონებდა რომელიმე, ვიყვირო თუნდაც,  
ლალადისს ჩემსას ანგელოსთა მხედრიონთაგან?  
და რომ ენება ერთს იმათგან გულს მირქმა ჩემი,  
უფრო ძლიერი მისი ყოფნა სულს ამომხდიდა.  
რადგანაც არის მშვენიერი მხოლოდ საწყისი  
საშინელისა, რასაც ვუძლებთ და ვიხიბლებით,  
რადგან გულგრილად უკადრისობს ის ჩვენს მოსპობას.  
თითოეული ანგელოსი საშინელია.  
და აი, ასე თავს ვიოკებ და ხმობა-ძახილს  
ამოზრდილს მრუმე ქვითინიდან გულში ვიბრუნებ,  
ო, მაინც ნეტავ ის ვინ არის, ვინც ჩვენ გვჭირდება?  
არც ანგელოსნი, არცა კაცნი. ალლოგახსნილი  
ცხოველები კი უკვე გრძნობენ, რომ ჩვენ არც ისე  
იმედინად გვეგულვის თავი  
ამ განმარტებულ სამყაროში.  
ჩვენ ალბათ ხე თუ შემოგვრჩება ფერდობზე მდგარი,  
რათა ვუმზიროთ დღენიადაგ, ან გუშინდელი  
გზაშარა გვრჩება და გაცვეთილი  
ერთგულება იმ ჩვეულების,



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩვენთან ყოფნა რომ მოსწონებია,  
დარჩენილა და აღარსად მიდის.  
ჰოი, და ღამე, ღამე, როდესაც  
ქარი აღვსილი სამყაროს სივრცით —  
სახეს გვიღარავს — ნეტავ ვისღა არ შემორჩება  
ის სანუკვარი, იმედების ნაზი მსახვრალი,  
გულს მარტოეულს მარადჟამს რომ მოელის ტვირთად, —  
განა ეს ღამე მეტრფეთ უფრო ეიოლებათ?  
ო, ისინი ხომ საკუთარ წილ-ხვედრს ერთმანეთით ემალებიან.  
შენ არ იცოდი ეს აქამდე? გადაისროლე  
მკლავებიდან სიცარიელე, სივრცეებს მიეცე,  
იმავე სივრცეებს, ჩვენ რომ ვსუნთქავთ; გაფართოებულ  
ჰაერს ფრინველნი შინაგანი ფრენით თუ გრძნობენ.

ღიას, სწყუროდი გაზაფხულებს შენ ჭეშმარიტად.  
ზოგიერთ ვარსკვლავს კი ეგონა, თითქოს მათ ჩასწვდი.  
წარსულის ტალღა წამოიგრაგნა, თუ ღია სარკმელს  
რომ ჩაუარე, ვიოლინო დნებოდა ჰანგად.  
გევალებოდა ჩასწვდომოდი ამ ყოველივეს.  
მაგრამ შეიძელ? განა ყოველთვის  
მოლოდინით დაბნეული არ იყავ ისევ,  
თითქოსდა სატრფოს გაუწყებდა შენ ყოველივე.  
(სად გინდა იგი დამალო, როცა  
სხვისი მაღალი აზრები ხშირად  
გტოვებენ, ისევ გესტუმრებიან,  
უმეტესად კი მთელი ღამით რჩებიან შენთან).  
თუკი მოგწყურდეს, ხოტბა უთხარ შეყვარებულებს,  
კარგა ხანია სახელგანთქმულ გრძნობას მიჯნურთა  
საკმარისი უკვდავება არ ღირსებია.  
თითქმის გშურს კიდევ მიტოვებულ მიჯნურებისა,  
რომელთა გრძნობას უფრო ძლიერ ტრფობად მიიჩნევ,  
ვიდრე სიყვარულს წყურვილმოკლულთა.  
მუდამ თავიდან წამოიწყე ქებათა-ქება,  
ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევს საწადელ მიზანს.  
გახსოვდეს: გმირი თავს ინარჩუნებს.  
თვით სიკვდილიც კი საბაბია მისი ყოფნისა:  
დაბადება უკანასკნელი.  
ხოლო მიჯნურებს ქანცმიხდილი დედაბუნება  
უკან იბრუნებს, თითქოს მეორედ  
მათ შესაქმნელად ძალა არ ჰყოფნის.  
თუ გიფიქრია შენ საკმარისად გასპარა სტამპას\* დიდ სიყვარულზე,  
ან მიჯნურისგან მიტოვებულ ქალწულზე, ვისაც  
ამ ამალღებულ სიყვარულის ნიმუში შესძრავს:  
მისი მსგავსი თუ გავხდებიო?  
ბოლოს და ბოლოს ძველთაძველი ეს სატკივარი  
აღარ გახდება ჩვენთვის უფრო ნაყოფიერი?

არ დადგა ჟამი, თან გვიყვარდეს, თან გავერიდოთ  
მეტრფეს და თრთოლვით ავიტანოთ ეს განშორება,  
ვით ლარს იგუებს ისარი, რათა  
ნახტომში ფრენად შენივთული თავს აღემატოს,  
ხმები, ო, ხმები. ისმინე, გულო,



ხმები, ო, ხმები. ისმინე, გულო,  
როგორც წმინდანნი ისმენდნენ ოდით:  
ვეება ძახილს,  
მათ რომ მიწიდან ზეცისაკენ აიტაცებდა;  
თუმც საკვირველნი მუხლმოდრეკით რჩებოდნენ ისევ  
და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ: ასე ისმენდნენ.  
შენ ვერასოდეს ვერ აიტან ღვთის ხმებებს,  
შორსა ხარ მისგან, თუმც ისმინე უწყვეტ ნაკადად  
მიმქროლავი ამბავი მისი,  
რაიც თვითონვე იბადება სიჩუმისაგან.  
შემოგშრიალებს ახლა ბედი ნორჩ გარდაცვლილთა.  
განა არ გდევდა, არ ჩურჩულებდა  
ხვედრი იმათი შენთან უჩუმრად,  
სადაც არ უნდა შესულიყავ ტაძართა წიაღ,  
რომს თუ ნეაპოლს? ან თუ წარწერა  
მოგვევლინა ამაღლებული,  
ვით სულ ახლახან „სანტა მარია ფორმოზაში“\* საფლავის ფილა.  
რა სურთ მათ ჩემგან? მოჩვენებითი  
უსამართლობა უნდა ფრთხილად ჩამოვარიდო,  
რაიც ხანდახან აფერხებს ოდნავ  
წმიდა რხევას მათი სულების.

ჭეშმარიტად უჩვეულოა, დედამიწაზე აღარ სახლობდე,  
ძლივს შეთვისებულ ჩვეულებებს დაემშვიდობო,  
ვარდებს და ეგზომ მრავლისაღმთქმელ სხვადასხვა საგნებს  
არ მიანიჭო მნიშვნელობა კაცთა მომავლის;  
არ იყო იგი, რაც იყავი: შეფარებული  
უკიდევანო შიშით აღვსილ შენს ხელისგულებს,  
და თვით სახელიც, საკუთარი დასთმო სახელიც,  
ვით სათამაშო დამსხვრეული, აწ უვარგისი.  
უჩვეულოა, აღარ გსურდეს არც სურვილები,  
უჩვეულოა, რაც ურთიერთკავშირში გახსოვს,  
სივრცეში მარტოდ მოფარფატე რომ დაინახო.  
ღიას, მძიმეა გარდაცვლილთა ყოფიერება,  
ნელა შეივსებს დანაკარგს და მარადისობას  
მისხალ-მისხალ ეზიარება, მაგრამ ცოცხალნი  
ცდებიან, როცა  
მეტისმეტად ასხვაგვებენ ამ ორ საუფლოს.  
(ამბობენ) არც კი იციანო ანგელოსებმა  
სად მიმოდინან, გარდაცვლილთა თუ ცოცხალთ შორის...



მარადიული დინება, ორთავ  
 საუფლოს გავლით მძლავრად მედინი,  
 თან წარიტაცებს ყოველგვარ ასაკს  
 და მყისვე ახშობს მას ორთავეში.  
 და ბოლოს უკვე აღარ გჭირდებით  
 ადრე გარდაცვლილთ,  
 მიწიერ ყოფას ვით დედის ძუძუს  
 ნაზად, სათუთად გადაჩვევა სცოდნია თურმე.  
 მაგრამ ჩვენ, — ვისაც ასე დიდი საიდუმლონი  
 გვჭირდება მუდამ, რომელთა ძალით  
 მწუსარებიდან წარმოსდგება ნეტარი წინსვლა, —  
 გავძლებთ უმათოდ?  
 ნუთუ ფუჭია თქმულება იგი, რომ დიდი ხნის წინ  
 ლინოსის\* გლოვა-დატირებისას  
 პირველშობილმა, გაბედულმა მუსიკის ტალღამ  
 მაშინ პირველად  
 ვახვევებული გარინდება გაარღვია და  
 შიშისაგან შეძრულ სივრცეში —  
 რომელსაც თითქმის ღვთაებრივი ყრმა მყის  
 სამუდამოდ გამოეცალა, —  
 სიცარიელე იმ რხევაში გადაიზარდა,  
 რაიც ახლა თან წარგვიტაცებს, გვანუგეშებს და გვეხმარება.

### მეორე ელეგია

თითოეული ანგელოსი საშინელია,  
 ვაი რომ მაინც თქვენ გიგალობთ, სულის ფრინველნო,  
 მსახვრალნო ლამის, მე თქვენი არსის შესაიდუმლე.  
 სადღაა დღენი ტობიასი,  
 როცა თქვენს შორის უბრწყინვალესი,  
 უბრალო კარის ზღურბლთან იდგა,  
 ვით მგზავრი მცირედ შემოსილი,  
 და ამიტომ აწ არსაშიში,  
 (ყმაწვილი ყმაწვილს ცნობისწადილით უთვალთვალებდა).  
 ახლა რომ მთავარანგელოსი, ხიფათით სავსე,  
 ერთი ნაბიჯით ჩამოქვეითდეს  
 ვარსკვლავთ მიღმიდან დედამიწისკენ:  
 ჩვენივე მალი გულისცემა სულს ამოგვხდიდა. ვინა ხართ ნეტავ?

სხვათა უადრეს ნეტარქმნილნო სწორუპოვარნო, თქვენ ნებიერნო  
 შესაქმისა,  
 ხერხემალი და მზისცვარდაკრულნი ქიმი ხართ ყველა წარმოშობისა,  
 — გვირგვინგამლილი ღვთაებრიობის ყვავილთა მტვერნო, სახსარნო  
 სხივთა,  
 გასასვლელეზო, საფეხურნო, ტახტნო სუფევის, არსთა სივრცენო,

ნეტარებანო, ქცეულნო ფარად, ქარტეხილივით აღმამფრენო გრძნობის  
და მყის ცალ-ცალკე, სარკვებო:  
თქვენ, ვინც საკუთარ გამოსხივებულ მშვენიერებას  
კვლავ ჩაიბრუნებთ საკუთარი ხატის წიაღში.



ჩვენ კი, რადგანაც გრძნობა შეგვწევს, ვართ წარმავალნი.  
ო, ჩვენ თვითეულ ამოსუნთქვას ვატანთ სიცოცხლეს;  
ნაღვერდალივით აალებით აალებამდე მივინავლებით  
და რომ კიდევაც გვითხრას ვინმემ:

დიახ, შენ სისხლში შემომეჭერი,  
ეს ოთახიც და ეს გაზაფხულიც ივსება შენით...  
ვერას გვიშველის, ვერ შეგვაჩერებს,  
ჩვენ ვიფერფლებით მის წიაღში და მის გარშემო,  
ან მათ მშვენიერთ, ო, ვინ იხსნის, ვინ შეაკავებს?  
მათ სახეებზე განუხრელად ჩნდება და ქრება რაღაც იერი.  
თითქოსდა ლორთქო ბალახიდან ქროლდება ცვარი;  
ისე მიილტვის ჩვენგან ჩვენი, აიზიდება,  
ვით ოხშივარი ცხელი კერძისა.

ღიმილო, საით? ო, გამოხედვა:  
ცინცხალი თბილი, მოუხელთები ტალღა გულისა —  
ვაგლახ: ჩვენ ეს ვართ — ნეტავ თუ დარჩა

ჩვენი გემო იმავ სამყაროს,  
რომელსაც ასე უნაშთოდ ვერთვით?  
ანგელოსები ნუთუ მხოლოდ საკუთარს მკიან, თვის გამონაშუქს,  
თუ ზოგჯერ მაინც, თითქოს შეცდომით გამოერევა  
მისხალი ჩვენი არსებისა იმათ ნათელში?  
თუ მათ სახეზე მხოლოდ იმდენად ვართ აღბეჭდილნი,  
როგორც ფეხმძიმე დედაკაცთა სახეებზე იერი რაღაც ამოუხსნელი?  
ანგელოსები ალბათ ამას ვერც კი ამჩნევენ,  
საკუთარ თავთან უკუქცევის ორომტრიალში.  
(ანდა როგორ უნდა შენიშნონ).

ო, რომ სცოდნოდათ, შეიძლებდნენ კიდევ მიჯნურნი,  
ღამის ჰაერში საკვირველი ენით საუბარს.  
რადგან გარშემო თითქოს ყველა და ყველაფერი გვაიდუმალებს.  
ხედავ: არიან ხენი, სახლებიც, ჩვენ რომ ვბინადრობთ,  
უამს ჯერ კიდევ უმკლავდებიან.  
მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ჩავუვლით ყველაფერს გვერდით,  
როგორც ჰაერის მიმოქცევა, როგორც ნიაფი.  
და შეკრა პირი ყოველივემ ჩვენს მისაჩქმალად,  
ცალკერძ რიდითა და ცალკერძ ალბათ  
გამოუთქმელი რაღაც იმედით.

თქვენ მიჯნურებო, ერთმანეთით გულნაჯერებნო,  
თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე,

თუმცა ერთმანეთით ხართ ხელდებულნი, რა საბუთი მოგეძევებათ?  
დახეთ, როდესაც შევაერთებ ჩემს ხელისგულებს  
და სახე ჩემი იქ წამიერ სავანეს ჰპოვებს —

მხოლოდ მცირედი თვითშეგრძნება დამეუფლება.

თუმცაღა მხოლოდ ამის გამო არსებობას ვინ გაბედავდა?  
თქვენ კი, რომელნიც აღტკინებისას ერთიმეორეს აღეშტებოდით,  
ვიდრე იგი უკვე ძლეული ვედრებით ითხოვს:

ვიკმაროთ ტკბობა;

თქვენ, ვინც ურთიერთხელშეხებით უფრო მდიდრდებით,  
ვით ხვავრიელი ყამი ვაზისა.

ხანდახან ერთი თქვენთაგანი ქრება იმიტომ,

რომ მეორე აღმოჩნდება უფრო ძლიერი;

თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე.

ვიცი, ერთმანეთს ნეტარებით ეხებით რადგან,

თქვენივე ალერსი გავსებთ, გაყოვნებთ,

რადგან არ ქრება ადგილი იგი, სათუთნო, თქვენ რომ თქვენით მოიცავთ,

რადგან განიცდით მის წიაღში წმინდა გრძლიობას.

ასე ჰპირდებით ერთიმეორეს ალერსით ლამის მარადისობას.

და თუკი მაინც გაუძელით ძრწოლას პირველ შემოხედვათა, —

და გადალახეთ მონატრება, სარკმელით მზირნო,

და ორთა პირველ გასეირნებას —

იმ ერთხელ ჩავლას ბალის წიაღით — გაართვით თავი:

შეყვარებულნი, არ იცვლით სახეს?

როს ბაგე ბაგეს დაიგემოვნებს და კვლავ მოსწყდება:

წყურვილით შესვამთ ერთიმეორეს: სასმელი სასმელს:

ო, რა საოცრად გაეცლება დაწაფებული ქმედებას მაშინ.

არ გაოცებდათ ბერძნულ სტელებზე ადამიანთა ფრთხილი ქესტები?

განა იმათ მხრებს სიყვარული და განშორება

ისე მსუბუქად არ დაჰფენოდა —

თითქოს სრულიად სხვა მასალისგან იყო ნაძერწი

ჩვენგან სხვაობით?

გაიხსენეთ მათი ხელები, რა სიმსუბუქით ასვენია მტევნები მათი,

თუმცა ტორსებში განაბულა ძალა უმრეტი,

სულმტკიცეებმა იცოდნენ ამით: აქამდე ჩვენ ვართ,

და ასე გვმართებს ერთმანეთთან შეხება რადგან,

უფრო ძლიერად ღმერთთა ხელი დაგვასვამს დამლას.

მაგრამ ეს მხოლოდ ნებაა ღმერთთა.

ო, რომ გვეპოვა წმინდა და ვიწრო,

ადამიანურ საუფლოდ რაღაც, აქამომდე ხელშეუხები,

ნაყოფიერი მიწის ზოლი — ჩვენი კუთვნილი —

მდინარებას და ქვიანეთს შორის.

რადგან ჩვენივე გვიმონებს გული

კვლავ როგორც იმათ.

და აღარ ძალგვიძს თვალი ვადევნოთ მას იმ ხატებში,

რომელნიც ღმერთთა სხეულებში მფეთქავ გულსაც ასათუთებენ,

სადაც იგი ზომიერდება და მით უფრო დიდებულია.



მესამე ელქვია



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ერთია მიჯნურს სიმღერა უთხრა, ვაი რომ სულ სხვა,  
უმღერო სისხლის მდინარ-ღვთაებას,  
არსებაფარულს, ცოდვა-ბრაღიანს.  
და თუ ქალწული გულის რჩეულს სცნობს შორიდანვე,  
ყმაწვილმა ვნების მბრძანებელზე არა იცის რა,  
მარტოობაში ჩაკარგულმა,  
ვიდრე ქალწული დაარწყულებდეს, ხშირად ვნება თავს არც ახსენებს.  
ო, რა უცნობი იდუმალი ნაქურით მქონი  
წამომართა თავი ღვთიური,  
უხმობდა ღამეს უსასრულო მღელვარებისკენ.  
ო, ნებტუნი, სისხლის მპყრობელი, ო, საზარელი სამკაპი მისი,  
ო, ბნელი ქარი მისი მკერდისა, დაგრაგნილი ნიჟარიდან ამონაქროლი.  
იყურე, გესმის, ღამე მღვიმედ იღრუებს სხეულს. თქვენ ვარსკვლავებო,  
განა თქვენგან არ წარმოიშვა მიჯნურის ვნება,  
მას სასურველი სახის ხილვისას რომ ეუფლება?  
განა ეს ჭკრეტა შინაგანი, შეყვარებულის წმინდა სახისა,  
არ მოვლენილა წმინდა ციური სხეულებიდან?

მაგრამ ვაი რომ, არც შენ, ასულო, და არც დედამისს  
არ მოგიმშვილდავთ წარბები მისთვის, ელოდით თითქოს.  
ქალწულო, მიჯნურს ტანი რომ გიგრძნობს,  
განა შენდამი ხვაგრძელი სიტყვის სათქმელად მოირკალა ტუჩები მისი?  
შენ, ასე ცისკრის ნიაფივით ლალად რომ დაჰქრი,  
მართლა გგონია, რომ ვაჟს გოგმანი შესძრავდა შენი?  
თუმცა გული კი შეუკრთე მაინც;  
უფრო ხნიერი, ძველი შიშები შეიჭრნენ მასში, შენთან შეხლისას.  
შეეხმიანე... თუმცა იმ ბნელი გარემოდან ერთიანად ვერ გამოიხმობ.  
რალა თქმა უნდა, მას სურს თავდახსნა, დაიხსნის კიდევ,  
შვებამოგვრილი ეჩვევა ფრთხილად შენს გულს იდუმალს  
და არსებობას თვითონვე იწყებს.  
ხუთუ ოდესმე მართლა ჰპოვა საწყისი თვისი?  
დედაო, მას შენ მოუვლინე პატარაობა, შენ პაწაწინას საწყისი მიეც.  
იგი შენთვისაც სიახლე იყო.  
ამ ახალ თვალებს შემოავლე სათნო სამყარო  
და ააცილე უცნობი მხარე.  
სად გაჰქრნენ წლები,  
როცა ნატოფი შენი სხეულით გადაეფარე მღელვარე ქაოსს  
და სულ უბრალოდ განარიდე იგი მის თვალებს?  
ამრიგად ბევრი რამ დაუმაღლე; ღამეულ ოთახს — ბუდეს შიშნეულს —  
უზაკველს ხდიდი და შენი სათნო, მფარველი გულით  
მის ღამის სივრცეს უზავებდი სივრცეს უფრო ადამიანურს.  
წყვილიაღს კი არა, შენს უახლოეს არსებობას უნთებდი ღამპარს,  
და ენთო ისიც, ვით წყალობა გაღებულნი მოყვასისაგან.  
ჩქამიც კი არსად დაიძვრებოდა, ღიმილის ჩენით რომ არ აგეხსნა,

კარგა ხნის წინათ იცოდი თითქოს, სიჩუმე როდის გამეფდებოდა...  
 ყრმაც ყურს გიგდებდა სულგანაბული და მშვიდდებოდა.  
 დედაო, ასე მრავლისშემძლე იყო ფაქიზი სიფხიზლე შენი;  
 კარადის უკან ჩვილს მოსასხამით ელოდა ბედი  
 და ფარდის მსუბუქ, თხელ ნაკეცებში  
 კვლავ ნებივრობდა მერმისი მისი მოუსვენარი.



თვით ყმაწვილი კი, როგორც იწვა, შვებამოგვრილი,  
 რულმოკიდებულ ქუთუთოებქვეშ შენი მსუბუქი სხეულის სიტკბოს  
 განაზავებდა ნაჭაშნიკევ ძილ-ბურანში: ერთი შეხედვით  
 დაცული ჩანდა... შინაგანად კი: ვინ აბრკოლებდა,  
 ვინ აფერხებდა მის წიაღში დელგმად მოვარდნილ წარმომავლობას?  
 ვაგლახ, სიფრთხილე აკლდა მძინარეს; მძინარი, მაგრამ სიზმრიანი,  
 მაგრამ მხურვალე, სიცხიანი: როგორ დაინთქა საკუთარ თავში.  
 იგი ახალი, უმწეო, მფრთხალი, როგორ გაება  
 შინაგანი მოვლენების შორს განფენილი ნედლი ლერწებით  
 უკვე მზა ქარგად გადახლართულ, მახრჩობელა, მომხუთავ ზრდაში  
 და ცხოველურად მბორგავ ნაკვთებში.

როგორ მიენდო — როგორ უყვარდა.  
 უყვარდა თვისი შინაგანობა, თვისი წიაღის ველურობა,  
 ტყე უსიერი საკუთარ თავში, რომლის მდუმარე იავარქმნაზე  
 ღია სიმწვანით ხასხასებდა მისივე გული.  
 უყვარდა ძლიერ, მაინც დასტოვა და გამოჰყვა საკუთარ ფესვებს  
 ძლევამოსილ პირველსაწყისში,  
 სადაც ნამცეცა დაბადება რა ხანია განვლილი ჰქონდა,  
 ის სიყვარულით ჩამოეშვა უფრო ძველ სისხლში, იმ უფსკრულებში,  
 სად შემაზრზენი გაწოლილიყო, გამაძლარი მამათა ლეშით.  
 და ყოველი საშინელება იცნობდა მას და თვალს უკრავდა, როგორც  
 შეთქმული.

ღიას, მზარავი ილიმებოდა...  
 რა იშვიათად გაგლიძებია შენ, დედაო, მსგავსი სინაზით,  
 და ან კი როგორ არ ჰყვარებოდა, როცა მზარავი მას უღიმოდა.  
 ყრმას შენამდე უყვარდა იგი, რადგან ადრევე,  
 უკვე შენში დავანებული, ყრმა იმ სითხეში იყო გაქნილი,  
 ამსუბუქებს რაიც ჩანასახს.

ხედავ, ერთმანეთს როდი ვყვარობთ, ვითა ყვავილნი,  
 მარტოოდენ ერთი წლის ვადით: და როცა გვიყვარს,  
 უხსოვარ დროის ჩამონაყურით იყლინთება მკლავები ჩვენი,  
 ო, ქალწულებო, იცოდეთ ერთი: რომ ჩვენ ჩვენს თავში  
 მერმისის ერთი პირმშო კი არა,  
 არამედ უზღვავე-უთვალავი, აზავთებული არსება გვიყვარს;  
 მხოლოდ ერთი ბავშვი კი არა, არამედ ჩვენი მამა-პაპანი,  
 რომელნიც მათა ნალეწივით ჩვენს საძირკველში გარინდებულან;  
 არამედ მშრალი კალაპოტი ოდით დედათა;

არამედ ვრცელი სანახები, ქუფრ ან ანკარა ბედისწერის ქვეშ მოქცეული;  
აი, ქალწულო, შენს სიყვარულს წინ რა უსწრებდა.

შენ კი, შენ თავად, რა იცი ნეტავ — განა შენ არ გამოიწვიე /  
მიჯნურთა სულში ჟამი წინარე, რა შეგრძნებანი ამოტივტივდნენ  
აწ გარდასულ არსებათაგან. აქ რომელ ქალებს ეზიარებოდით  
და რა მოღუშულ მამაკაცებს აღელვებდი შენ ყმაწვილის ცინცხალ  
ძარღვებში?

მკვდარი ბავშვები ილტვიან შენსკენ...  
ო, წყნარად, წყნარად, ჰქმენ რაიმე სასურველი ვაჟის წინაშე,  
სადაგი დღის არუქე წვლილი, აახლე იგი ბაღნარის სამანს,  
მიეც ღამეთა მეტი ნაწილი...  
დაინარჩუნე...

### მართხა ელავია

სიცოცხლის ხენო, ჰოი, როდის დაგიზამთრდებათ?  
ჩვენ არ გვჩვევია ერთსულოვნება და ვერც მძლევარ ფრინველებივით  
ვართ თანხმიერნი.

ნაგვიანევად ავედევნებით მომქროლავ ქარებს  
და ვენარცხებით ჩვენდამი გულგრილ ტბორს, უსულგულოს.  
ჩვენ ერთდროულად ყვავილობაც და მჭკნარობაც ვუწყით, სადღაც კი  
ისევ დაძრწიან ლომნი და უძღურების არრა იციან,  
ვიდრე მათ ლომებრ ბრწყინვალეობას ადგას გვირგვინი.

ჩვენ კი როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთელი არსებით,  
იგრძნობა, წამსვე რაღაც სხვა რომ აგველობება.  
მტრობაა ჩვენთვის ახლობელი ყველაზე მეტად.  
განა მეტრფენიც ერთმანეთში ბოლოს ნაპირთ არ აწყდებიან,  
თუმც ჰპირდებოდნენ ერთურთს სივრცეებს,  
სამშობლოსა და სანადირო ასპარეზობას.

და აი, წამის ჩანახატისთვის რა რუდუნებით  
მზადდება ფონი საპირისპირო:  
რომ სახილველად იოლი გახდეს.  
რადგან მას ცხადზე უცხადესად გვაგრძნობინებენ.  
ჩვენ გრძნობადობის კონტურებისა არა ვიცით რა,  
მხოლოდ ის ვიცით, რაც მის სახეს ძერწავს გარედან.

ვინ არ ელოდა აღსავსე ძრწოლით  
თვისსავე გულის ფარდის აზიდვას?  
და როცა ფარდა აიხადა: დეკორაცია ასახავდა გამოთხოვებას.  
რა იოლი ჩასაწვდომია. ნაცნობი ბაღი  
ირხევა წყნარად: ცოტაც და აი, როკვის ოსტატიც.

ის არა, კმარა! თუმცა კი ლალად უჭირავს თავი: გადაცმულია  
და ბიურგერად იქცევა მყისვე,  
და შინ თავისი სამზარეულოს გავლით ბრუნდება.



მე არად ვაქნევ სანახევროდ გატიკნულ ნიღბებს,  
თოჯინა ბევრად უმჯობესია. სავსეა იგი.  
მსურს ავიტანო ეს ფიტული, თასები მისი  
და სახე ქმნილი გარეგნობისგან.  
აქ ვარ. მზადა ვარ. თუნდ ჩაქრეს ყველა ლამპიონი,  
თუნდ ამიკრძალონ სულაც დარჩენა,  
ჰაეროვანი ნაცრისფერი სიცარიელეც რომ წარმოდინდეს ცივი სცენიდან,  
უტყვე წინაპართა მოდგმისაგან არავინ დარჩეს,  
და თაფლისფერი ელამი მზერით აღარ მიცქერდეს  
არც ყრმა, არც ქალი:  
მაინც დავრჩები. სანახაობა აქ ყოველთვის მოიძებნება.

არ ვარ მართალი? შენ, ეს ცხოვრება  
ჩემს გამო რომ ასე გემწარა, მშობელო მამავ,  
ჩემი ვალმოხდის მღვრიე სასმელის მეჭაშნიკე  
იყავ ყოველთვის, როს ვიზრდებოდი,  
და შორეული უცხო მომავლის ჭაშნიკით მთვრალი,  
ჩემს მრავლისმეტყველ ამონედვას იზიარებდი.  
შენა ხარ იგი, მამავ ჩემო, გარდაცვლის შემდეგ,  
ძალიან ხშირად, ჩემს იმედში, ღრმად ჩემს წიაღში,  
შიში რომ გავსებს და გარდაცვლილთა გულგრილობას,  
გულგრილობის სამფლობელოებს,  
გასცემ, გაიღებ ჩემი მისხალი ბედ-იღბალისთვის.  
არ ვარ მართალი? თქვენ გეკითხებით, არ ვარ მართალი?

ვისაც გიყვარდით  
ჩემი თქვენდამი სიყვარულის იმ პატარა საწყისისათვის,  
რომელსაც მუდამ გავუბოდი იმიტომ მხოლოდ,  
რომ სივრცე თქვენი პირისახისა, რაიც მიყვარდა,  
სამყაროსეულ სივრცეებში მიმოიფანტა  
და გაჰქრით სრულად: ოდესმე თუკი მომეგუნება  
მე თოჯინათა სცენის წინაშე ლოდინი კიდევ,  
არა ლოდინი, არამედ სრული ხილვითი შერწყმა,  
ისეთი მძაფრი, რომ ჩემი მზერის აწონ-დაწონვას  
დასასრულ თვითონ ანგელოსი მოიწადინებს  
და მსახიობად მოგვევლინება,  
რომელიც ფიტულს მყის აიტაცებს,  
აი, თოჯინა და ანგელოსი: ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი სანახაობა!  
მაშინ კი ერთად შეიყრებიან, ცალ-ცალკე რასაც ვსახავთ ნიადაგ,  
როცა ვარსებობთ. მხოლოდ მაშინლა წარმოიშვება  
წრებრუნვა სრული ცვალებადობის  
წელიწადის დროთა სვლისგან. და სწორედ მაშინ  
ჩვენს ზეგარდმო ანგელოსი ათამაშდება. შენე სულთმობრძავთ,

ეგებ ხვდებიან, რა აღსავსეა ქვეყნად საბაბით  
ჩვენი საქმენი. თავად მყოფი არაფერია. ო, საათებო სიყმაწვილისა,  
როს ფიგურების მიღმა ბევრად მეტი რამ იყო  
ვიდრე წარსული და ჩვენს წინაშე  
არ სჭვიოდა ჯერ მომავალი.  
თუმც ვიზრდებოდით და ხან გვეწადა  
უფრო სწრაფად გავზრდილიყავით, სანახევროდ მათ საამებლად,  
ვისაც აღარა გააჩნდა რა ასაკის გარდა.  
და მაინც ჩვენ ამ მარტოსვლაში კმაყოფილებას გვანიჭებდა  
ეს ხანგრძლივობა; და ვიდრეც  
სამყაროსა და სათამაშოს შუალედში მოქცეულები,  
ისეთ ადგილზე, რომელიც მხოლოდ  
წმინდა მსვლელობას ეკუთვნოდა დასაბამიდან.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ვინ, ვინ მაჩვენებს, როგორ დგას ბავშვი.  
ვინ მისცემს ადგილს ვარსკვლავთა შორის  
და ვინ მიაწვდის მას ხელებში მანძილის საზომს?  
ვინ გამოძერწავს ბავშვის სიკვდილს  
თაღხი პურიდან, რომელიც ხმება — და ჩაუტოვებს  
მას მრგვალ ხახაში, მშვენიერი ვაშლის თესლივით!  
ადვილია გაუგო მკვლევებს.  
ეს კი: სიკვდილი, მთელი სიკვდილი  
დაბადებამდე ასე სათუთად ატარო და  
არ გაბოროტდე, არის მართლაც აუწერელი.

## მესუთა ელავია

ექვანება ქალბატონ ჰერტა კიონიგს\*

რანი არიან, მითხარ, ყარბი ჯამბაზები,  
თვით ჩვენზედაც ოდნავ უფრო სწრაფწარმავალნი,  
ვისაც სისხამზე, გამალებით, —  
ვის, ვის სალხენად, არავინ იცის, —  
სწურავს ნიადაგ აღუვსები ნების წადილი?  
და განა მარტო სწურავს, ქედს უდრეკს,  
გრესს, გაქანებულთ აისვრის ზევით  
და კვლავ დაიჭერს; ისინი თითქოს ზეთით გაპოხილ,  
გლუვი, სრიალა პაერიდან ცვივიან ქვევით  
უკვე გაცვეთილ, მათი მარადი ხტომისაგან შელახულ ხალზე,  
უკიდევანო სამყაროში ჩაკარგულ ხალზე,  
მიწას საღბუნად რომ დასდებია, თითქოს ქალაქის გარეუბნის ცამ  
იქ, დედამიწას რაღაც ატკინა.  
რიგიანად არც დაშვებულა, ფეხზეა უკვე

და ზარზეიმით წარმოგვიდგება: აქადგომის ასომთავრული...  
 უკვე იწყება თვით უძლიერეს მამაკაცთა ორომტრიალი,  
 მუდმივი ფანდით, სხარტი ილეთით,  
 თითქოს მოკალულ სინს დრეკდეს ხელით მონადირე ავგუსტ ძლიერი.\*



პოი, და ირგვლივ ამ მოძრავი შუაგულისა —  
 მყურებელთა მზერის ვარდი: ჰყვავის და ჭკნება.  
 ამ ნატერფალი ბუტკოს ირგვლივ, ამ დამლის ირგვლივ,  
 საკუთარი აყვავებული მტვერი რომ ხვდება,  
 ისევ და ისევ შეუცნობელი უხალისობის ყალბ ნაყოფად რომ ჩაისახვის —  
 სიფრიფანა ზედაპირით ბრწყინავს, ბრჭყვიალებს,  
 დვილად, ყალბად მომღიმარი უხალისობა.

აი: ჩვარივით ნაოჭასხმული ძალოსანი,  
 ბებერი, ის ვინც დაფდაფს სცემს მხოლოდ,  
 ისეა თავის უზარმაზარ კანში ჩაფლული, თითქოსდა უწინ  
 ორ მამაკაცს იტევდა ლამის, ახლა კი ერთი  
 სასაფლაოს მკვიდრია უკვე, ხოლო მეორე ცოცხალი ჯერაც,  
 სმენადავსილი და ხანდახან ოდნავ შეშლილი,  
 აწ დაქვრივებულ ტყავში ფაფხურობს.

ეს ახალგაზრდა ყმაწვილი კი პირმშოა თითქოს  
 მონაზვნის და მუქთახორისა, ტყავში ვერ იტევს  
 ჩამოსხმულ კუნთებს და სიმარტივეს.

ოჰ, თქვენ,  
 ვინც ტკივილს, ჯერ სულ პატარას,  
 წილად ხვდით ერთხელ თავშესაქცევად,  
 მისი ერთ-ერთი ჟამხანგრძლივი მოკეთებისას...

შენ კი, ნაყოფთ როგორც სჩვევიათ,  
 იმგვარად სწყდები, ჯერ უმწიფარი,  
 დღეში ათასჯერ, ერთობლივ ნაგებ მოძრაობის ხეს  
 (რომელიც წყალზე უსწრაფესად, ორიოდ წუთში  
 მოილევს ხოლმე გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას) —  
 ჩამოსწყდები და მიაწყდები საკუთარ საფლავს.  
 ხანდახან, მცირე შესვენებისას,  
 თითქოსდა უნდა დაგეფინოს სათნო იერი  
 დედის ალერსს დანატრებული,  
 მაგრამ სხეული შენი სახეს სიბრტყივ გათელავს —  
 სახეს შეუმკრთალს... და ისევ კაცი ტამისცემით გიწვევს სასტომად.

ვიდრე ტკივილი შენთვის უფრო გაცხადდებოდეს —  
 მუდამ რაშივით მალემსრბოლი გულის მახლობლად,  
 დაასწრებს უმაღ მცხუნვარება ფერხთა გულების

ტკივილის მიზეზს, მყის შენს თვალებში  
ჩაღვინთილი სხეულის ცრემლით,  
და მაინც ბრძაა  
ეგ ღიმილი...



ო, ანგელოსო, ო, დაკრიფე, დაისაკუთრე  
წვრილ-წვრილყვავილა სამკურნალო მცენარეები.  
შექმენ ლარნაკი და შეინახე! იქ მოათავსე, ჩვენთვის ჯერ უცნობ  
სიხარულთა გარემოცვაში; წარმტაც ურნაში ჩაასვენე და  
განადიდე ყვავილოვანი, ქარაგმული შედწარწერილით: „Subrisio

Saltat.“\*

შენ კი ძვირფასო,  
შენ, უწარმტაცეს სიხარულთაგან  
უბრად წასულო, ჯინჯილები შენი სამოსის  
შენს მაგივრად ხარობენ ალბათ —  
ან ახალგაზრდა, მკვირვ ძუძუ-მკერდზე ლითონისებრი მწვანე ატლასი  
უსასრულოდ ლაღობს, ნებივრობს, არც რას საკლისობს.  
შენ,  
ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად  
ხარ შეგდებული წონასწორობის მერყევ სასწორზე,  
ასე სახალხოდ, ორივე ბეჭით, —  
ვით გულგრილობის გასაყიდი მწიფე ნაყოფი.

სად, ო, სად არის ის ადგილი, — მე გულით დამაქვს —  
ადგილი, სადაც ისინი დიდხანს იყვნენ უძღურნი,  
ერთი მეორეს სწყდებოდნენ ისევ, ვით აღრეულ-შეჯვარებული,  
შეუთავსები წყვილი ნადირთა,  
სად წონადობა მძიმეა ჯერაც:  
სადაც ჯერ კიდევ ყელყელაობენ თეფშები ასე  
უმაქნისად აწრიალებულ ლატანთა წვერზე...

და ანაზღად ამ სამძიმო არსადყოფნაში, ანაზღეულად:  
გამოუთქმელი ადგილი, სადაც  
წმინდა სიმცირე ამოუხსნელად გარდაისახვის — აკეთებს ნახტომს  
იმ დიდ, ცარიელ სიუხვეში,  
სად მრავალნიშნა ამოცანები  
რიცხვთა გარეშე ამოიხსნება.

ო, მოედნები, მოედანი პარიზისა, უსასრულო სანახაობა,  
სადაც მოდების კანონმდებელი Madame Lamort\*  
დედამიწის მოუსვენარ გზებს უსასრულო ზონრებად ხლართავს,  
ახვევს და მათგან ახალ-ახალ ბაფთებს იგონებს,  
რუშებს, ყვავილებს, კოკარდებს და ხელოვნურ ნაყოფს,  
ყალბად შეფერილთ — ბედისწერის იაფფასიან  
საზამთრო ქუდთა მოსაკაზმავად.



ო, ანგელოსო! რომ ყოფილიყო მოედანი უცნობი ჩვენთვის,  
 იქ, გამოუთქმელ ხალიჩაზე წარმოედგინათ  
 მიჯნურთ, რაც მათთვის აქ რჩებოდა მიუწვდომელი:  
 თავგანწირული ილეთები გულისძგერისა,  
 იმათი ვნების ცისე-კოშკები,  
 სადაც საყრდენი არასოდეს არა ყოფილა,  
 და კიბეები ეყრდნობოდნენ ერთურთს ცახცახით, —  
 და შესძლებოდათ

უთვალავ, უხმო გარდაცვლილი მაყურებლით გარშემორტყმულებს,  
 ნუთუ ისინი, უკანასკნელ, მუდამ მომჭირნედ  
 შემონახულ, ჩვენთვის ჯერ უცნობ,  
 ბედნიერების მუდამ ვარგის უზალთუნებს არ გადაჰყრიდნენ,  
 ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტად მომღიმარი წყვილის წინაშე  
 დარწყულებულ, მშვიდ ხალიჩაზე?

## მეათე ეპიგრაფი

ხეო ლელვისა, რახანია უკვე მენიშნა,  
 რომ ყვავილობის გამოტოვებით,  
 შენეულ წმინდა საიდუმლოს მძლავრად ჩაწურავ  
 დროულად ზრდასრულ, მწიფე ნაყოფში.  
 ვით შადრევანთა სადინარები, შენი ტანმრუდე ტოტები ლალად  
 დენიან ნექტარს ალმა და დალმა:  
 ისიც ძილიდან ამოსხლექილი  
 ძილ-ბურანშივე მიაშურებს თვისი უტკბესი აღსრულების ბედნიერებას,  
 ხედავ: ვით ღმერთი გედის სხეულში.

... ჩვენ კი ვყოვნდებით,  
 ყვავილობა გვეამაყება და ჩვენეული საბოლოო ნაყოფის სიღრმეს,  
 დაგვიანებულს, უკვე ლალატით დალდასმულნი მივყავსლებით.  
 ო, ცოტა ვისმე თუ მიაწყდება ასე ძალუმად ქმედების ტალღა,  
 რომ მოთმინებით მცხუნვარებდნენ სისავსეში საკუთარ გულის,  
 როს ყვავილობის ცთუნება ტკბილი იმათ ბაგეთა სიყმაწვილეს და  
 ქუთუთოებს მიეკარება, როგორც დამცხრალი ღამის ჰაერი.  
 ეს შეეხება ალბათ ან გმირებს, ანდა იმქვეყნად ადრე წასულებს,  
 რომელთა ძარღვებს სულ სხვანაირად ხლართავს სიკვდილი —  
 მებაღე მათი.

აი, ესენი ელვასავით ჩაგვიქროლებენ: საკუთარ ღიმილს  
 წინ უსწრებენ, ვით რაშთა წყვილი  
 კარნაკის\* მიმქრალ სურათებზე  
 მძლეთამძლე მეფის კაზმულ ტახტრევანს.



ო, რა საოცრად ჩამოჰგავს გმირი ნორჩ გარდაცვლილებს.  
 ყოფიერების ხანგრძლიობა არ ედარდება. მისი აღმასვლა არსებობაა;  
 ნიადაგ შორეთს მიექანება და შეაბიჯებს  
 თვისი მარადი განსაცდელის  
 სახეცვლილ თანავარსკვლავედში. სადაც ცოტანი თუ არა, რამდენადაც,  
 მაგრამ ჩვენივე უმოწყალოდ დამდუმებული  
 ბედისწერა მყისიერად აღტკინებული  
 მას ჰანგად აქსოვს თავის მშფოთვარე ქვეყნის ქარიშხლებს.  
 მე მხოლოდ მისი მესმის ნათლად, ასე აშკარად:  
 მისი ხმა ბინდით დაფარული გამმსჭვალავს უცებ  
 მომქროლავი ჰაერის ჭავლით.



მაშინ რა დიდი სიხარულით განვირიდებდი მე მონატრებას:  
 რომ ვყოფილიყავ, ო, ვყოფილიყავ ბიჭი პატარა  
 და რომ მქონოდა კიდევ ერთხელ უფლება ყრმობის, —  
 და ვიკითხავდი სამსონის ქებას,  
 თუ როგორ შობა სამსონის დედამ ქვეყნად ყოველი,  
 თუმცაღა ადრე ყოფილა ბერწი.

ო, დედავ, განა ის შენშივე არ იყო გმირი,  
 განა ჯერ მაშინ ისევე შენში არ ისაწყისა  
 არჩევანმა მისმა ზვიადმა?  
 ათი ათასნი ირეოდნენ შენსა წიაღში და იმ კაცად სურდათ გაჩენა,  
 მაგრამ ხომ ხედავ: ჩაიგდო ხელში და კვლავ დასტოვა,  
 აირჩია და შესძლო კიდევც.  
 და როცა სვეტთა საძირკველს შლიდა,  
 აღასრულებდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაუტევა  
 სამყარო შენი სხეულისა და უფრო ვიწრო სამყაროში გადმოინაცვლა,  
 სად არჩევანი კვლავ მისი იყო, ძალაც ერჩოდა;  
 გმირთა დედანო, ო, სათავენო წამლეკავი ნაკადებისა!  
 მრუმე უფსკრულნო, სად ჩაცვივდნენ მოთქმა-გოდებით  
 გულის მაღალი ნაპირიდან ქალიშვილები —  
 მომავალნი მსხვერპლნი ვაჟისა.

რადგანაც გმირი მიგელავდა სიყვარულის სადგურთა გავლით,  
 ყოველი მისთვის ანაძგერი ფეთქვა გულისა ზე ამალლებდა,  
 მაგრამ უკვე პირშექცეული, იგი ღიმილთა დასასრულისას — იდგა  
 სხვაგვარად.

**გაშვიდე ელავია**

მოიხმობ ნულარ, აღიკვეთე ხმობა ამიერ,  
 ლალი, ახსნილი ხმა იყოს შენი ძახილის არსი;  
 თუმც შენც ანკარად ხმობ ფრთოსანივით,  
 წლის აღმავალი ჟამი ზეცად რომ აიტაცებს

და ავიწყდება თითქმის, რომ ჩიტი სულდგმულია ბედშავი ერთი,  
და არა მხოლოდ გული ეული, შინაგან ცათა ლაყვარდში რომ  
გადაისვრის დრო წელიწადის.

ხმობაში ტოლს არ დაუდებდი შენც არც ერთ ფრინველს,  
და უხილველად შეგიცნობდა შენ მეგობარი, წყნარ-უჩუბნულ  
ვისშიც პასუხი ნელა იწყებს გამოღვიძებას  
და ემატება მხურვალეობა შენი მოსმენით, —  
შენი თამამი გრძნობისადმი ანთებული თანამგრძნობელი.



საქართველოს  
ბიბლიოთეკა

და გაიგებდა გაზაფხულიც — აქ არსადაა, არსად ადგილი  
იდუმალ ხმას რომ არ გამოსცემდეს ხმას მახარობელს;  
თავდაპირველად იმ პატარა, კითხვით აღსავსე ამოკვანესისა,  
რომელსაც მზარდი მდუმარებით შემოეხვევა  
წმინდა დღე უტყვი დასტურის ნიშნად.

შემდეგ კი, — უკვე აღმავალი საფენურებით, ხმობის გრძნეული  
საფენურებით,  
ზევით, მერმისის ნანატრ ტაძრისკენ, — შემდეგ ტრელები, შადრევნები  
ზეატყორცნილი, რომლის ჩქერალიც გულისხმობს ვარდნას  
დაპირებებით სავსე თამაშში... როცა წინ ჯერაც არის ზაფხული.

განა მარტო ალიონები ზაფხულისა — და განა მარტო  
გარდასახვა დილისა დღეში და ელვარება საწყისის წინა,  
განა მარტო დღეები თეთრად რომ ევლებიან ყვავილებს ნარნარ,  
უფრო მალლა კი, აშოლტილ ხეებს ძლევამოსილი მეუფებით ეგებებიან,  
განა მარტო მოწიწება ამ განშლილი ძალთახმევისა,  
განა მარტო სავალი გზები, განა მარტო მდებლოები სალამო ჟამის,  
განა მარტო სულჩადგმული გამჭვირვალეობა ნაგვიანევი ნაავდრალისა,  
განა მარტო კარს მომდგარი ძილის ბურანი და წინათგრძნობა  
მიმწუხრისას...

არამედ ბნელი ღამეები! ჰოი, მალალი ღამეები ზაფხულისა,  
არამედ სავსე ვარსკვლავები, ვარსკვლავები დედამიწისა,  
ო, თუნდაც მოვკვდე და კვდომის ფასად უსასრულოდ ჩავწვდე მათ  
სახეს.

ვარსკვლავებს ყველას: რადგან, ო, როგორ, როგორ, რა ძალით  
გადავივიწყო ეს საოცრება!

ხედავ, უკვე მოვუხმე მეტრფეს. თუმც, მხოლოდ იგი მომეახლება?  
სუსტ საფლაგთაგან მოაშურებენ ქალიშვილები და იდგებიან...  
რადგან ვით შევძლო, როგორ მოვსაზღვრო ამოხდენილი ძახილი ჩემი?  
ისევ და ისევ დედამიწას ეძიებენ გარდასულები.  
თქვენ, ო, ბავშვებო, სავანი, ერთგზის ხელდებული თქვენგან ამქვეყნად,  
იტვირთავდა უამრავ აზრსა და მნიშვნელობას.  
ნუ გეგონებათ, რომ ბედისწერა მეტია, ვიდრე სიყმაწვილის შრეთა  
სიმკვრივე.

თქვენ კი რა ხშირად გადაგისწრიათ მიჯნურისათვის, გულამოვარდნილთ,  
ნეტარ სრბოლისას, სიარაფრისკენ რომ მიილტვოდით ღია სივრცეში.

ამქვეყნად ყოფნა დიდებულია. თქვენ ეს იცოდით ქალიშვილებო, —  
 დიას, თქვენც კი, დაჩაგრულნო თითქოსდა ბედით, ჩაკარგულებო:  
 თქვენ, ვის ქალაქის ავბედობით სავსე ქუჩებში  
 გდიოდათ ჩირქი და სული თქვენი ღია იყო დაცემისათვის,  
 რადგან თვითეულ თქვენგანს ხომ ჰქონდა ერთი საათი  
 ეგებ არც სრული ერთი საათი, არამედ რაღაც  
 დრო მოქცეული ორ წამს შორის — დროის ათვლით ვერ გასაზომი,  
 ოდეს გავსებდათ ყოფიერება. ყველაფერი. ყოფნით გქონდათ ძარღვები  
 სავსე.



მაგრამ ჩვენ ხომ ასე იოლად ვივიწყებთ, რასაც  
 მომღიმარი მეზობელი არ გვიდასტურებს ან არ შურს ჩვენი.  
 ბედნიერება გვსურს ვაქციოთ ცხადად, საჩინოდ, თუმცა უცხადესი  
 ბედნიერება  
 თავს მხოლოდ მაშინ შეგვაცნობინებს, თუკი გარდავქმნით მას  
 შინაგანად.

არსად იქნება, მიჯნურო ჩემო, სამყარო სხვაგან, თუ არ ჩვენს გულში.  
 ჩვენი სიცოცხლე გვეთხოვება გარდასახვებით,  
 და უფრო მეტად იზრდება ქრობა გარე სივრცისა.  
 სადაც ოდესღაც მარადიული სახლი იდგა,  
 გადაიშლება გამოგონილი სახება მისი, პირუკუ მდგარი,  
 ისე მთლიანად გამოგონილი, თითქოსდა ტვინის ბინადარი იყოს ის  
 ჯერაც.

დრო-ჟამის სული ძლიერების ყულაბას იქმნის, ფორმის გარეშე  
 ვით ძაბვის ტალღა, რომელსაც იგი ამოიგებს ყველაფრისაგან.  
 ტაძარი მისთვის აღარ არსებობს.  
 გულის ამ ფლანგვას ვზოგავთ მომჭირნედ, უფრო მალულად.  
 და თუკი მაინც გადაურჩება წარმავალობას,  
 ერთი ოდესღაც სალოცავი საგანი რამე, სათაყვანო, მუხლმოსაყრელი, —  
 უკვე უხილავ სამყაროსკენ ექნება პირი.  
 და მრავალნი ხედავენ ამას, თუმცა არ ესმით  
 თუ რამდენად სჯობს, რომ ბოლოს მხოლოდ სულში ააგო  
 უფრო დიადი სვეტები და ქანდაკებები!

ყოველ ქუფრიან მობრუნებას სამყაროისა, ჰყავს ამდაგვარი  
 მემკვიდრეობა — უპოვარნი,  
 ვისაც წარსული აღარა აქვს და მერმისიც ჯერ არ ეკუთვნის;  
 რადგან მერმისი, უახლოესიც, მაინც შორსაა კაცთა მოდგმისთვის,  
 თუმცა ამის გამო არ გვმართებს შფოთვა და ფორიაქი:  
 დე, ამან უფრო განგვიმტკიცოს სულის სიღრმეში  
 შემეცნებული საგნის სახება.  
 ადამიანთა გარემოცვაში იდგა ეს ერთხელ,  
 შემმუსვრელი ბედისწერის გულის გულში იმყოფებოდა,  
 გზისა და გეზის არცოდნის შუა იდგა იგი ცოცხალი თითქოს  
 და მოიწვდიდა ვარსკვლავებს თვისკენ შეუვალ ცათა თაღებიდან.  
 ო, ანგელოსო, შენ დაგანახვებ მე მას ჯერ კიდევ, აი იგი! —

შენსა მზერაში თუ დარჩება ხსნილი ის ბოლოს,  
ახლა უკვე საბოლოოდ ზეალმართული.  
სფინქსი, სვეტები, პილონები, \* აღზევებული ძალისხმევა უცხო ტაძრისა,  
რუხი ფერი რომ დაჰკრავს უკვე სულთმობრძავი ქალაქიდან

უცხო ტაძრისა,  
უძრავი მშენებელი.  
ზიზლირთვა

ეს საოცრება არ იყო განა? ო, იოცებდნენ ანგელოსო, ეს ხომ ჩვენა ვართ,  
ო, დიადო, ამბადა სთქვი, რომ მსგავსი რამ ჩვენ შევიძელით.

ჩემი სუნთქვა არ ჰყოფნის ხოტბას.

აი, ხომ მაინც მოვიხელთეთ ეს მწყალობელი, ეს ჩვენეული სივრცეები,  
(რაოდენ ვრცელი, შემადრწუნებლად ვრცელი უნდა იყვნენ ისინი,  
რომ ვერ აავსეს ათასწლოვანმა ჩვენმა გრძნობებმა).

კოშკი კი მართლაც მაღალი იყო, ასეა არა?

ო, ანგელოსო, შენ გვერდითაც კი მაღალი ჩანდა,  
შარტრი\* — მაღალი — მუსიკა კი ილტვოდა ზევით,  
მაღლა, სულ მაღლა, ჩვენს ზეგარდმო ამალღებულნი.

და მაინც ერთი მიჯნური მხოლოდ —

ოჰ, მარტო მდგარი ლამის სარკმელთან...

ნუთუ მუხლამდეც არ გწვდებოდა?

ნუ გეგონება, რომ ხმობა ვიწყე, ო, ანგელოსო.

თუნდ ვიხმო კიდევ, არ მოხვალ, რადგან

ჩემი ხმობა სავსეა მუდამ წარმავალობით;

ასე ძლიერი მდინარების საპირისპიროდ, შენ ვერ შესძლებ

წარსდგა ნაბიჯი.

გაწვდილ მკლავსა ჰგავს ძახილი ჩემი:

წასატანებლად გაშლილი ხელი

რჩება გაშლილი შენს წინაშე,

როგორც თავდაცვა და გაფრთხილება.

მიუწვდომელო დაუსაბამოდ.

## მეჩვე ელავია

### ემღვწება რულოლფ კასნერს\*

ერთიანად მზერადქცეული ხედავს განხმულს ცხოველთა მოდგმა.

ჩვენი თვალნი კი, თითქოს უკუღმა შებრუნებულნი,

ხაფანგებივით ალყად უდგანან

მათ ლალ გასასვლელს სამყაროს გულში.

რაც ჩვენს მიღმაა, მხოლოდ ცხოველის სახის იერით შევიცნობთ მუდამ;

რადგან სრულიად ყრმასაც კი უკვე მხარს ვაცვლევინებთ და

ვაიძულებთ,

რომ მან უკუღმა დაინახოს სამყაროს ხატი, არა — განხმული,

რაც ასე ღრმაა ცხოველთ სახეში. თავისუფალი სიკვდილისაგან.

მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვხედავთ სიკვდილს;

თავისუფალი ცხოველი კი აღსასრულს თვისას

ნიადაგ უკან ჩამოიტოვებს და ჰყავს წინარე  
მარტოდენ ღმერთი, და თუკი მიდის,  
ნაკადულივით მარადისობის საუფლოში მიედინება.

ჩვენ არასოდეს არ გვქონია წინ, ერთი დღითაც კი,  
ის წმინდა სივრცე, სადაც ყვაილნი დაუსაბამოდ იფურჩქნებოდნენ  
ყველგან ყოველთვის არის სამყარო  
და არასოდეს არსად ყოფნა არას გარეშე:

წმინდა, თვალთავან მოუხილავი, რითაც ვსულდგმულობთ,  
რაც უსასრულოდ ვიცით და მიტომ არა გვწყურია.

ყმაწვილობისას ჩაიკარგება ადამიანი შეუმჩნევლად, იქ, მის წიაღში  
და ხელალებით კვლავ გამოჰგლეჯენ თავდავიწყებას. და როცა კვდება,  
უკვე იმ სივრცედ გარდაიქმნება, რადგან სიკვდილთან ახლოს მყოფნი  
სიკვდილს ვერ ვხედავთ, ვიმზირებით უკვე მიღმა,  
ალბათ ცხოველის ვეება მზერით.

მეტრფენი, რომ არ არსებულიყო ის სხვა, ვინც ხედვას უმრუდებს მუდამ,  
ახლოს არიან სიკვდილთან და თავადვე უკვირთ...

თითქოს შემთხვევით გაეხსნება იგი მათ მზერას,  
მიჯნურის მიღმა... ხოლო ამ სამანს

ვერვინ გასცდება და მათ წინაშე მუდამ რჩება სამყარო ისევ.  
ჩვენ მიქცეულნი დღენიადაგ პირველქმნისაკენ, თავისუფლების  
ანარეკლს მხოლოდ მასზე თუ ვხედავთ, — დაბინდულს ჩვენგან.

ანდა პირუტყვი, უჩუმარი, გამჭოლი მზერით  
როს ამოგვხედავს, — თავისუფლებას ხედავს ჩვენს მიღმა.  
ესაა ბედი: პირისპირ ყოფნა, სხვა არაფერი, მარად პირისპირ.

ჩვენი შეგნება რომ ჰქონოდა არხეინ პირუტყვს, რომელიც სულ სხვა  
მიმართულებით მოილტვის ჩვენსკენ, — მყის მოგვაქცევდა თავისი  
ქცევით,

ცხოვრების ნირით. მაგრამ მისი ყოფიერება მისთვის მუდამ უსასრულოა,  
შეუცნობადი, საკუთარი მდგომარეობის ვერდამნახავი, ისევე სუფთა,  
ვით გამობედა მისი მოდგმისა.

სადაც ჩვენ მხოლოდ მომავალს ვხედავთ,  
ის ჭვრეტს ყველაფერს. და ყველაფერში თავისთავს უმზერს,  
განკურნებულს სამარადისოდ.

და მაინც ფხიზელ, თბილსისხლიან ცხოველში ბუდობს  
სიმძიმილი და ფორიაქი დიდი ურვისა.

რადგან იმათაც შეიპყრობს ხოლმე,  
ჩვენ რომ გვძლევს ხშირად — მოგონებანი.  
თითქოსდა ერთხელ, ეს ყველაფერი, რისკენაც ვილტვით,

ოდესღაც იყო უფრო ერთგული და მახლობელი,  
მასთან შერწყმა კი უსასრულოდ ნაზი, ფაქიზი.  
აქ ყველაფერი მანძილია, იქ სუნთქვა იყო.

და იმ პირველი სამშობლოს შემდეგ,  
მეორე მისთვის ორსქესაა და ქარიანი.  
ო, ნეტარებავ ერთი ციდა ქმნილებებისა,

ვინც იმ საშოში რჩება ნიადაგ, რომელშიაც თვით ჩაისახა;  
 ო, ბუზანკალის ბედნიერება, წიაღშივე რომ ხტის და ცმუკავს,  
 საკუთარი ქორწილის დროსაც: რამეთუ საშო ყველაფერია.  
 შეხედეთ ჩიტის ნახევარწმენას, ვინც ლამის ორთავ  
 იდუმალებას ფლობს საკუთარი წარმოშობისა.



თითქოს ცხედრიდან ამოხდენილი  
 ეტრუსკების სულია იგი, რომელიც სივრცემ გაითავისა,  
 თუმცა სარკოფაგს სარქველად ედგა განსვენებულის მშვიდი სხეული.  
 და რარიგ არის გაოგნებული იგი, რომელმაც იფრინოს უნდა —  
 და საშოში კი იღებს სათავეს. ის საკუთარი თავის წინაშე  
 შემკრთალივით შეარხევს ჰაერს, შეარხევს თრთოლვით,  
 თითქოსდა ფინჯანს სერავდეს ბზარი:  
 ასე გასერავს მწუხრის ფაიფურს ღამურის კვალი.

და აი, ჩვენ კი: მაყურებელნი, ყოველთვის, ყველგან,  
 ყველაფრისაკენ მიდრეკილნი, არასდროს გარეთ!  
 საწყაულივით აღვივსებით, გადმოვდინდებით.  
 და ვაწესრიგებთ აქ ყოველივეს, ირღვევა ისევ.  
 კვლავაც თავიდან ვამყარებთ წესრიგს და თვით ვირღვევით.

ვინ შეგვაბრუნა ისე, რომ როგორც არ უნდა დავშვრეთ,  
 მაინც მარადყამს გზას ვადგევართ იმ ყარიბივით,  
 აწ საბოლოო ბორცვზე შემდგარი, თავის მინდორ-ველს  
 ერთხელაც რომ შეავლებს მზერას,  
 შემობრუნდება და დააყოვნებს, —  
 ამგვარად ვცხოვრობთ: დღენიადაგ ვემშვიდობებით.

## მეცხრა ელეგია

რატომლა, რისთვის, თუ შეიძლება, რომ ამოვწუროთ  
 ვადა ყოფნისა, დაფნისნაირი მსუყე სიმწვანით,  
 ყველა სხვა მწვანე მცენარეულზე მცირეოდენი  
 ჭარბი სიმუქით. მცირე ტალღებით მოვარაყებულ  
 ფოთოლთა კიდით, (თითქოსდა ქარის იყოს ღიმბილი):  
 მაშინ რატომლა არის საჭირო ადამიანთა  
 ვალმოხდის ნება — და ბედისაგან თავარიდებით  
 ნატვრა-სურვილი იმავ ბედისა?..

ო, განა იმად, რომ არსებობს ბედნიერება,  
 ეს ადრეული სარგებელი მოახლოებულ დანაკლისისა,  
 ანდა უბრალო ცნობისმოყვარე სურვილის გამო, ან იმისათვის,  
 რომ ყოფილიყო გულისცემა თუნდ დაფნაშიაც...

არამედ იმად, რომ აქ ყოფნა ბევრია ძალზედ,  
 რადგან ყველაფერს აქ არსებულს ვჭირდებით თითქოს,  
 წარმავალს ყოველს, ჩვენ რომ გვეხება ასე საოცრად,

ჩვენ უწარმავლესთ, ერთგზის ყოველი, ო, მხოლოდ ერთგზის, ერთგზის და აღარ.

და ჩვენც ასევე ერთგზის მხოლოდ, არასდროს მეტად, მაგრამ ამგვარი ერთგზისი ყოფნა, თუნდაც ერთგზისი: მიწიერი სახით მოვლენა, არის თითქოს გარდაუვალი



და ასე მკვიდრად ვეკვრით ერთმანეთს და აღსრულების სურვილი გვიპყრობს. აღსრულებულის შენარჩუნება გვწყურია რადგან, ჩვენ ამ უბრალო, შიშველ ხელებში, ნაჯერ მზერასა და უთქმელ გულში, გვინდა, გვწყურია სიცოცხლედ ვიქცეთ — და გავიმეტოთ? გვიჯობს ყოველი დაგინარჩუნოთ სამარადისოდ...

ოჰ, თუმცა სულ სხვა მიმართებაში, ვაგლახ, ო, ნეტავ ვის რა მიაქვს მიღმიერ მხარეს? ვერც ცქერით ტკბობა, რაც აქ ასე ძნელად ვისწავლეთ. ვერც სააქაოს მოხდენილი რაიმე ამბავი, სულ ვერაფერი. მაშ ტკივილები, მაშ უპირველეს ყოვლისა დრტვინვა, მაშ სიყვარულის უძველესი გამოცდილება — მაშასადამე ყველაფერი ენით უთქმელი.

შემდეგ კი უფრო მოგვიანებით ვარსკვლავთა შორის, რა საჭიროა ეს ყველაფერი: ისინი ენით გამოუთქმელნი უმჯობესნი არიან ბევრად.

ხომ არ ჩამოაქვს მოგზაურს მთათა ქანობიდან მიწით სავსე პეშვიც კი ბარად, ყველასთვის ენით გამოუთქმელი, არამედ მხოლოდ მონაპოვარი სიტყვა მჭვირვალი, ვით ყვითელი და ცისფერი რტო მთის ნალველასი. ჩვენ ალბათ იმად ვარსებობთ ქვეყნად, რათა ვთქვათ სახლი, ნაკადული, ხიდი, კარიბჭე, დოქი, სარკმელი, ხეხილი ანდა უფრო მეტი — სვეტები, კოშკი... მაგრამ იცოდე, თქმას გააჩნია, ო, სთქვი იმგვარად, როგორც თვით საგნებს არასოდეს უგულისხმიათ შინაგანად ყოფნა ასეთი. განა არ არის იდუმალი რამ ცბიერება გულჩახვეული დედამიწისა, როცა იგი მიჯნურთ აწყვილებს, რომ მათს გრძნობაში ყველა კუნჭული თვით ალიგზნება? ზღურბლი:

რა არის იგი ორი მეტრფესთვის, ის, რომ ისინი უძველეს ზღურბლს მათი კარისა სულ ოდნავ სცვეთენ, მსგავსად მრავალი წინმავალისა და მომავალთა გაჩენამდე... მსწრაფლი შეხებით.

აქაა სწორედ სათქმელის ჟამი. აქ არის მისი დედა-სამშობლო. სთქვი, აღიარე. უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ილტვიან შორეთს საგნები სრულად განსაცდელი,

რადგან ის, რაიც გამოდევნით მათ ჩაინაცვლებს,  
 არის ქმედება სახის გარეშე,  
 ქმედება ქერქში მომწყვდეული, მორჩილად რომ დაიბზარება,  
 როგორც კი წიაღ მოქმედება აღმოცენდება  
 და თავს სხვაგვარად შეიბოჭავს.  
 უროებს შორის ძლებს ჩვენი გული,  
 ისე ვით ენა კბილთა შორის გამომწყვდეული,  
 რომელიც მაინც, მიუხედავად ყველაფრისა მეხოტბე რჩება.  
 სთქვი ანგელოსთან სამყაროს ხოტბა და არა ენით გამოუთქმელი;  
**მასთან** ვერასდროს დაიტრაბახებ შენ საუცხოოდ აღსრულებულით.  
 იმ სამყაროში, სად იგი უფრო ზემგრძნობიარედ შეიგრძნობს ყოველს,  
 ხარ ახალბედა, ამად აჩვენე უბრალო რამე,  
 რაც თაობიდან თაობებზე გადმოსვლისას ყალიბდებოდა,  
 რაც ცოცხლობს როგორც ჩვენეული,  
 აქვე ჩვენს ხელთით და ჩვენს მზერაში.  
 უთხარ საგანნი, იგი შესდგება განცვიფრებული,  
 როგორც შენ იდექ მებაგირის წინარე რომში,  
 ან მექოთნის წინ ნილოსის პირად.  
 აჩვენე, თუ რა სვებედნიერი შეიძლება იყოს საგანი,  
 რა უცოდველი და ოდენ ჩვენი.  
 თუ თვით მჭმუნვარე კაეშანი რა სიწმინდით განსხეულდება,  
 გვემსახურება როგორც საგანი,  
 ან კვდება მასში — და ვიოლინოს მიღმიერ მხარეს ნეტარებით  
 განერინება.



და მათ საგნებმა, წარმავალი ცხოვრებით მცხოვრებთ,  
 კარგად უწყიან, რომ შენ მათ აქებ;  
 წარმავალობით სნეულები ჩვენვე გვანდობენ გადასარჩენს,  
 ჩვენ, უწარმავლესთ.  
 სურთ, რომ უჩინარ გულში იგი მთლად გარდავსახოთ,  
 ო, უსასრულოდ — ვქმნათ ჩვენ არსებად!, ვინაც არ უნდა შევიქნათ  
 ბოლოს.

მიწაო, განა ეს არ არის, ის რაც შენ გინდა:  
 რომ უჩინარად აღმოცენდე ჩვენსავე სიღრმეში?  
 განა არ არის შენი ოცნება: უჩინარი გახდე ოდესმე?  
 მიწავ, სრულიად უჩინარი!  
 რა არის თუ არ გარდასახვა, მოუთმენელი მოთხოვნა შენი.  
 მიწაო, ჩემო სიყვარულო, სურვილად ვიქეც.  
 ოჰ, დამიჯერე, შენ ჩემი გულის მოსაგებად  
 გაზაფხულები არ გჭირდებოდა; ერთიც კი უკვე,  
 ო, გაზაფხული ერთადერთი, სისხლისათვის მეტიმეტია.  
 უსახელოდ ვარ ამოხსნილი მე შენს წინაშე, შორსა ხარ თუმცა.  
 მუდამ სიმართლით მართავდი შენ და  
 უზენაესი აზრი შენი არის სიკვდილი.



სედავ, მე ვცოცხლობ, როგორ, რისაგან?  
 არც ბავშვობა და არც მომავალი არა მცირდება...  
 აურაცხელი ყოფიერება კვირტს ისხამს გულში.



მეათე ელექცია

რომ მე ოდესმე უღმობელი ცოდნის მიწურულს,  
 ქება-დიდებას საგალობელი ვუთხრა თანამგრძნობ ანგელოსებს,  
 რომ ჩემი გულის ხმანათელი ჩაქუჩებიდან  
 არ მიღალატოს არცერთმა, როცა  
 ჩვილ ეჭვით სნეულ, ან მწყდომარ სიმებს აახმიანებს,  
 რომ სახე ჩემი ცრემლდამდინარი მეტ ნათელს მფენდეს;  
 რომ ჭეშმარიტი ცრემლი ჰყვაოდეს.  
 თი, რარიგად მეყვარებოდით ღამენო მაშინ, სავსენო ნაღვლით,  
 რომ მუხლთა მოყრით, უნუგეშოდ შთენილო დანო, არ მოგეახლეთ,  
 რომ თქვენს გაშლილ თმებს  
 მისხალ-მისხალ არ მივეც თავი.  
 ჩვენ კი, ტკივილთა გამფლანგველები, ვით ვჭვრეტთ წინასწარ  
 მათს კაემნიან მდინარებაში, უჩანს თუ არა სატკივარს ბოლო.  
 ისინი ხომ არიან ჩვენთვის ზამთრის საფარი ფოთლოვანი,  
 მარადმწვანე სიმუქე აზრის, იდუმალი წლის დროთაგან ერთი, —  
 და განა მარტო ჟამია იგი, —  
 არის ალაგი, სარეცელი, სათვისტომო, საძირკველი და საცხოვრისი.

მართლაც, ვაი რომ ურვა-ქალაქის ქუჩაბანდები უცხოა ჩვენთვის,  
 სადაც ყალბსა და ხშული ხმაურით ქმნილ სიჩუმეში,  
 სიცარიელის ყალიბიდან ჩამოსხმული ქანდაკი ასე ძალუმაღ  
 ბრწყინავს: ოქროცურვილი აურზაური, მსკდომარე ძეგლი.  
 თ, რა უკვალოდ გაუქარწყლებდა მათ ანგელოსი ნუგეშის ბაზარს,  
 ეკლესია რომ ემიჯნება, შექმნილი მზამზარეულად:  
 სუფთად მოვლილი და ჩარაზული — გაწბილებული იმედების ამარა  
მდგარი,

ისე ვით ფოსტის სამსახური კვირადღეობით.  
 გარეთ კი ისევ იკლაკნება ჭრელი ბრბო ბაზრის,  
 საქანელები თავისუფლების! ოინბაზები და მყვინთავები ხარბი უინისა!  
 და კოხტაპრუწა ბედნიერების მორთული ტირი,  
 სადაც ცმუკავენ სამიზნეები და სპილენძის ზრიალიც ისმის,  
 თუკი ყველაზე მოხერხებული ახვედრებს მიზანს.  
 ტაშისცემიდან შემთხვევისკენ წაბარბაცდება,  
 ეძახის რადგან ქანდართა ნაირფერი ცნობისწადილი, დოლისცემა და  
ღრრინცელი.

მოზრდილთათვის კი გაშლილა მეტად მიმზიდველი სანახაობა:  
 ანატომიურ თვითგამრავლებას ვით ახდენს ფული,  
 თავშესაქცევად კი არა მხოლოდ: ფალოსი ფულის,  
 ყველაფერი სრული სისავსით, მთელი მსვლელობა, —

გვასწავლის ჭკუას და გვაზიარებს ნაყოფიერ ყოფიერებას...  
 ... ოპ, მაგრამ იქვე მიყოლებით, ბოლო რიკულის უკანა მხარეს  
 მიკრულ პლაკატთა წარწერის მიღმა: „უსიკვდილოა“,  
 ის მწარე ლუდი, მსმელებს რომ ტკბილი ეჩვენებათ,  
 თუკი ჩაროზად იცოხნიან ნიადაგ ცინცხალ სანახაობებს...  
 იქვე რიკულის უკანა მხარეს, იქვე მის უკან, მართლაც ვედრობენ  
 ცელქობენ ბაღნი, მიჯნურები ერთურთს ეკვრიან მოფარებულში  
 მწირ ბალახზე თავდავიწყებით და ძაღლებიც ფლობენ ბუნებას.  
 ყმაწვილს შორს, იქით მიუწევს გული, ვაითუ ნორჩი გოდება უყვარს...  
 აედევნება ყმაწვილი სატრფოს მდელითა გავლით. ასული ეტყვის:  
 შორსაა ჯერაც... ჩვენ ვცხოვრობთ იქით, მიღმიერ მხარეს.  
 სად? და ყმაწვილი მის კვალს მიჰყვება,  
 მას ხიბლავს ქალის აღნაგობა ამაყი, მხრები, თლილი კისერი,  
 ალბათ თუ არის დიდებული წარმოშობისა. თუმცა ჩამორჩა, ზურგი  
 აქცია,

მობრუნდა, ხელი ჩაიქნია, რა გაეწყობა?  
 იგი ხომ მხოლოდ გოდებაა, სხვა არაფერი.

მხოლოდ ნორჩი მიცვალებულნი, იმ პირველსაწყის  
 ჟამგარეშე გულგრილობას ზიარებულნი,  
 გადავიწყების თეთრი სუდარით მიჰყვებიან მას სიყვარულით.  
 ქალწულებს იგი ელოდება და ეფერება.  
 უჩვენებს ფრთხილად რაც თანა აქვს: მარგალიტები ურვისა და  
 მოთმინების ნაზი პირბადე —  
 ხოლო ყმაწვილებს მიაცილებს იგი მდუმარედ.

იქ კი, სად მათი საცხოვრისი გაშლილა ველზე,  
 გოდება ერთი უხუცესთაგან მიეახლება ყმაწვილს, თუ ის ჰკითხავს  
 რაიმეს:  
 ჩვენ ერთ დროს დიდი მოდგმა გაგვაჩნდა,  
 ჩვენი მამანი იქ დიდ მთებში ეწეოდნენ სამთო საქმეებს,  
 ადამიანთა შორის ხანდახან იქნებ კიდევაც მიაკვლიო  
 ნატყფად თლილი წინარეურვის რაიმე ნატყფს.  
 ანდა ბებერი ვულკანიდან ამონთხეულ, ქვადქცეული სიბრაზის ლავას.  
 ასეა სწორედ. იქიდან მოდის ყველაფერი. ძველად მდიდარნი ვიყავით  
 ძალზედ. —

და მიუძღვება ვაჟს მსუბუქად გოდების ქვეყნის ვრცელ სანახებში,  
 უჩვენებს სვეტებს ტაძრებისა, ანდა ნანგრევებს იმ სიმაგრეთა,  
 საიდანაც გოდებათა ერისთავები ქვეყანას ბრძნულად მართავდნენ  
 ოდით.

უჩვენებს მაღალ ხეებს ცრემლისა და მინდორ-ველებს  
 ვაებათა ყვავილობის ჟამს.  
 (ცოცხალნი ამას ნორჩ ფოთლებად იცნობენ მხოლოდ)  
 უჩვენებს როგორ სძოვენ ბალახს გლოვის პირუტყვი —  
 და იშვიათად შეიფრთხილებს ფრინველი, მათი მზერის გამჭოლი,

გაშლილი ფრთებით რომ ეზიდება  
 მისივე ეული ხმამყვივარობის წერილ სატებას. —  
 საღამოს მიჰყავს იგი იქით, გოდების მოდგმის უხუცესთა აკლდამებისკენ,  
 სად სიბილები და მაცნენი განისვენებენ,  
 როცა კი ღამე მოახლოვდება, დარონინებენ უფრო დეკორატიული

ბიჭებსა და გოგონებს.  
 ძველი საფლავთა

და უცებ მოვარე ამობრწყინდება, ყველაზე უფრო თვალფხიზელი

ვით ტყუპისცალი ნილოსის პირას აღმართულისა —  
 ზვიადი სფინქსი: — საიდუმლო სენაკის სატი.

და იოცებენ გვირგვინოსანი თავის ხილვას,  
 ვინც საუკუნოდ, ჩუმად, მღუმარედ, ადამიანთა პირისახე  
 ვარსკვლავთ სასწორზე დაასვენა.

ვერ აითვისებს ამ საოცრებას ყმაწვილის მზერა  
 ნაადრევი სიკვდილისგან ბრუდახვეული.

გოდების მძიმე გამოსხედა კი, სფინქსის გვირგვინით გამონასხლეთი,  
 აფრთხობს ბუს, ნელა რომ გაუსერავს მას აღმაცერად  
 ღაწვს — ამ უმწიფეს სავსე სიმრგვალეს,  
 მოხაზავს რბილად გარდასულთა ახალ სმენისთვის,  
 ორსავე მხარეს გაშლილ ფურცელზე, მონახავს ენით აუწერელს.

უფრო მაღლა კი ახალ-ახალი ვარსკვლავებია. ვარსკვლავები ურვის  
 ქვეყნისა.

მძიმედ ჩამოთვლის გოდება ცთომილთ: — აი აქ, სედავ,  
 მხედარია, კვერთხიც იქვეა, უფრო სავსე თანაგარსკვლავედს  
 უწოდებენ ნაყოფთა გვირგვინს, შემდგომ, უფრო შორს პოლუსისაკენ:  
 აკვანი; გზა; და შემდეგ წიგნი აღმოდებული; თოჯინა; და აი, სარკმელიც,  
 იქით, სამხრეთის ცარგვალზე კი,  
 წმინდა ვით ხელი კურთხეული,  
 ნათელმოსილი „დონი“ დედათა მაუწყებელი...

მაგრამ გარდასულს წინ გზა აქვს კიდევ და მიაცილებს უხუცესი  
 გოდება ყმაწვილს

ბაგემდუმრიად ხეობამდე,  
 სად მოვარის შუქზე ციმციმებს წყარო სიხარულისა.  
 მოწიწებით იხსენიებს წყაროს გოდება:  
 ადამიანთა მოდგმისათვის იგი მზიდი მდინარეაა. —

დგანან მთის ძირას და ეხვევა  
 იგი მტირალი გარდაცვლილ ყმაწვილს.

სულ მარტოდმარტო აუყვება ვაჟი თავის გზას, წინარეურვის  
 მთაგრეხილებში.

და ერთხელაც კი არ გამოსცემს წკრიალის ხმას მისი ნაბიჯი  
 დამუნჯებული ბედისწერიდან.

მაგრამ თუ ჩვენში უსასრულოდ გარდაცვლილები რაიმე გულისხმას  
გააღვიძებენ,  
მიგვანიშნებენ ალბათ განძარცულ თხილის გვირგვინთა  
კიდულ კუნწულებს,  
ან გვაუწყებენ წვიმის შესახებ, რომელიც მიწას ბნელით მოცუფლად  
დაესხურება გაზაფხულის ჟამს.



მეცნიერული  
ბიბლიოთეკა

ჩვენ კი, რომელნიც აღმამფრენი ბედნიერების შესახებ ვფიქრობთ,  
თავბრუდამხვევი გულაჩუყება დაგვიპყრობს თითქმის,  
როცა კი რამე ბედნიერი მიწად ჩამოვა.

### ბანმარტაბაზი

### პირველი ელეგია

ბასპარა სტამპა — იტალიელი პოეტი ქალი. დაიბადა პადუაში  
1523 წელს. ამაღლებული სიყვარულის მესოტბე 31 წლისა გარდაიც-  
ვალა მიჯნურისგან მიტოვებული. რილკე მალალ შეფასებას აძლევდა  
გასპარა სტამპას ღრმა განცდებით შთაგონებულ სტრიქონებს.

სანტა მარია ფორმოზა — ეკლესია ვენეციაში. რილკეს ყუ-  
რადღება მიუპყრია ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე საფლავის ფილას.  
ლათინური წარწერა იუწყებოდა:

„მხოლოდ სხვებისთვის ვარსებობდი,  
ვიდრე ფეთქავდა სიცოცხლე ჩემში,  
სიკვდილის შემდგომ არ გავმქრალვარ,  
ცივ მარმარილოს შევეფარე, ვარსებობ ისევ.  
სახელი ჩემი — ჰერმან ვილჰელმი.  
ჩემს გამო გლოვობს ფლანდრია და  
გოდებს ადრია.  
უპოვარება თავისკენ მიხმობს“.

გარდაიცვალა 1593 წლის 16 სექტემბერს.

ლინოსი — ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ღვთაებრივი მშვე-  
ნიერებით შემკული ყმაწვილი ლინოსი ყველას ხიბლავდა. ლინოსის  
უდროო, უეცარმა გარდაცვალებამ საყოველთაო გაოგნება გამოიწვია.  
მოულოდნელობით შეძრული ადამიანები ორფეოსის სამგლოვიარო სი-  
მღერამ გამოარკვია გარინდებიდან (ლინოსი ბერძნულად მოთქმას ნი-  
შნავს).

### მეხუთე ელევია

ქალბატონი ჰერტა კიონიგი — 1915 წელს რილკე სტუმრად იმყოფებოდა მიუნჰენში, ჰერტა კიონიგის ბინაში, სადაც მან ბიკასოს ცნობილი ნახატი — „აკრობატები“ იხილა. ამ სურათზე გარკვეული როლი ითამაშა მეხუთე ელევიის შექმნაში.

ავგუსტ ძლიერი — საქსონიის კურფიურსტი, რომელიც განსაკუთრებული ღონით გამოირჩეოდა.

*Subrisio Saltat* (ლათ.) — შემოკლებულია, უნდა იყოს *Subrisio Saltatoris* — ჯამბაზის ღიმილი.

*Madam Lamort* (ფრანგ.) — ქალბატონი სიკვდილი.

### მეექვსე ელევია

პარნაკი — სატაძრო კომპლექსი თებეში. რილკემ ეგვიპტეში იმოგზაურა 1911-12 წ.წ.

### მეშვიდე ელევია

პილონი — მასიური სწორკუთხოვანი სვეტი, რომელსაც ეყრდნობა თალი, კამარა.

შარტრი — XII-XIII სს. კათედრალური ტაძარი საფრანგეთში. ცნობილი თავისი ვიტრაჟებით.

### მერვე ელევია

რუდოლფ კასნერი — (1873-1959) ავსტრიელი ფილოსოფოსი, მწერალი, ესეისტი, რილკეს მეგობარი.





ბიორგ ვიკი (დაიბადა 1935 წელს) თანამედროვე ნორვეგიული ლიტერატურის ღირსეული წარმომადგენელია. იგი არის არაერთი რომანის, ნოველის, საბავშვო წიგნის, პიესისა თუ რადიო-დადგმის ავტორი. ვიკის სამწერლო დებიუტი შედგა 1963 წელს. მწერალი ქალი თავის ნაწარმოებებში საკმაოდ თამამად საუბრობს ცოლქმრულ ცხოვრებაში წამოჭრილ კონფლიქტებზე, თანამედროვე ოჯახში არსებულ პრობლემებზე, ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე.

წინამდებარე მოთხრობაში ავტორი აღწერს უკვე მოწიფული გოგონების ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას, თუ როგორ იბლოკება მათი პიროვნული თავისუფლება მოძველებული ტრადიციებით ხელფეხშემორკილ საზოგადოებაში.

ბიორგ ვიკი არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელია.

პატარა ნაცრისფერი უბანი გულში გვიკრავდა, ჩვენს საიდუმლოებს ერთგულად ინახავდა მივარდნილ სარდაფებსა და იმ ბნელ სადარბაზოებში, წვიმის დროს რომ ვაფარებდით თავს. გულუხვად გვიმასპინძლდებოდა შუადღის მცხუნვარე მზით, ღია ფანჯრებიდან გადმოსროლილი პურის ნაჭრებით და სანაგვე კონტეინერების უკან მოპარული ალერსით. მერე კი... შეცდენილი, ნაადრევად დაქალებული გოგონები თავდახრილები იდგნენ გაჩერებაზე და ეგონათ, რომ ხავერდის ქურთუკები და ბოლო მოდელის საბავშვო ეტლები მათ ზოგიერთი ბებერი ქვრივის მახვილი მხერისაგან და ჭორებისაგან დაიფარავდა...

როცა ედელი თავის ყვითელ კაბაში გამოწყობილი მოვიდა, აგურის კედლები უცნაურად განათდა, ფანჯრის მინები აელვარდა, სადარბაზოს საღებავგადაცლილი კარი გაბრწყინდა და კედლებზე ამოკაწრული ბინძური წარწერებიც კი გაუფერულდა...

„მე უფრო ლამაზი ვარ, ვიდრე ედელი! — ფიქრობს ინგვილი — მაგრამ ედელი მართლა ლამაზია... თუმცა მან ეს არ უნდა იცოდეს!“ ინგვილს მუცელი სტკივა და ფრთხილად ჩადის კიბეზე, თან იმის გამო ტირის, რომ მას ედელისნაირი ყვითელი კაბა არა აქვს.

ედელის დედა სკოლაში დამლაგებლად მუშაობს, ინგვილის დედა კი გამყიდველია რძის მაღაზიაში — განსხვავება მათ შორის აშკარაა! გარდა ამისა ინგვილის დედა შლაპით იწონებს თავს.

უბანში სახლები მიჯრით იყო ერთიმეორეზე მიწყობილი. დღის განმავლობაში კაცები თითქმის არ ჩანდნენ. ისინი მხოლოდ გვიან სა...

ლამოს გამოჩნდებოდნენ სოლმე. ერთნი ფრაკში გამოწყობილები მო-  
აბიჯებდნენ, წვრილი, მოკუმული ტუჩები ჰქონდათ და ხელში ყოველ-  
თვის ქოლგა ან საქალაღდე ეკავათ. მეორენი კი ქურთუბში შემო-  
სილნი და ღვინით გამობრუულნი, ღიღინ-ღიღინით მობარბაცებდნენ.  
ზოგჯერ ის ფრაკიანი კაცებიც თვრებოდნენ, ტუჩებსკენ უფრო მეტად  
კუმავდნენ და უაზრო თვალებით სივრცეს გასცქეროდნენ.

ქალები კი დაულალავად საქმიანობდნენ... სარეცხის გაფენისას  
ხელებს ისე იწვდიდნენ თოკებისკენ, თითქოს რაღაცას შენატრიანო-  
ღია ფანჯრებიდან მათი სილუეტები მოჩანდა. ქალები ხალიჩებს ბერ-  
ტყავდნენ, საბნებს ამწეურებდნენ, ფარდებს ამოფარებულნი ვილაცას  
უთვალთვალებდნენ ანდა, გაჩერებაზე ბოლთას სცემდნენ და დაბინ-  
დებას ელოდნენ.

ქალები ნაგავს ყრიდნენ, ეტლებს მიაჩვენებდნენ, მსუბუქად მია-  
ბიჯებდნენ, მათ თვალებში კი სევდა და დაღლა ირეკლებოდა. კიბეებს  
რეცხავდნენ, ფარდაებს ფერთხავდნენ, მძიმე ჩანთებით დატვირთუ-  
ლნი ბრუნდებოდნენ მაღაზიებიდან და კვლავ ბერტყავდნენ ლეი-  
ბებს, საბნებს, ფერთხავდნენ ნოხებს... გამუდმებით დაფუსფუსებდნენ,  
ფანჯრებს ღებავდნენ, კედლებს რეცხავდნენ, მუხლჩაუხრელად ებრ-  
ძოდნენ მტვერსა და ნაგავს, სილარიბეს... თავს არ ზოგავდნენ, რომ ეს  
ბრძოლა მოეგოთ, თუმცა იშვიათად იმარჯვებდნენ.

ღღის ბოლოს არაქათგამოცლილნი მოწყვეტით ეშვებოდნენ სკა-  
მზე და დაქანცულ ბეჭებს საზურგეს უხახუნებდნენ... ნაადრევად და-  
ქალებულ პატარა დიასახლისებს აუარება საქმის გამო ხელები უსივ-  
დებოდათ, წყლისგან და სარეცხისგან კანი უწითლდებოდათ, უუხეშ-  
დებოდათ და უსკდებოდათ. პატარა ხელები მუდამ სველი და გრილი  
ჰქონდათ.

უბანში უფრო ხშირად კაცები კვდებოდნენ. სადარბაზოში განცხა-  
დებას აკრავდნენ იმის თაობაზე, რომ გვირგვინის ფულს ყარაული აგ-  
როვებდა. დასაფლავებაზე ბევრნი მიდიოდნენ.

ქალები თითქოს არასოდეს კვდებოდნენ. ისინი მარადიულობის-  
თვის იყვნენ განწირულნი, სულ მუდამ საშრობ თოკებთან, კიბეებზე,  
სამზარეულოში ან ნაგვის ყუთებთან უნდა ეფუსფუსათ. სახე უნაც-  
რისფრდებოდათ, ხდებოდნენ, სუქდებოდნენ, თმა უთხელდებოდათ, მა-  
გრამ თვალები არ ეცვლებოდათ — უსასრულობით, დაღლილობით,  
მარცხით და უიმედობით სავსე თვალები.

ქუჩის ორ კუთხეში გაჩერებები იყო. ზედა მხარეს მიმავალი ქუჩა  
იმ საერთო საცხოვრებლების ხმაურიან უბნამდე გრძელდებოდა, სა-  
დაც გამუდმებით ქუჩის ბიჭების ყიჟინა და გინება ისმოდა. ამ ქუჩაზე  
ხშირად ნახავდით სვლაშენელებული ტრამვაიდან როგორ ხტებოდნენ  
მთვრალი კაცები, რომლებიც იქვე, გზის პირას მიდგებოდნენ და შარ-  
დავდნენ. მათ სირცხვილის გრძნობა ძაღლებზე ნაკლებად აწუხებდათ.

წინსაფრიანი ქალები კი ოთახის ჩუსტებით პურისა და ლუდის სა-  
ყიდლად მიიჩქაროდნენ, ხანაც ქვევითკენ ქალაქისკენ, კინოებისკენ,  
დიდი მაღაზიებისკენ, სადგურისკენ, დამკრძალავ ბიუროში, ჩიტების  
მაღაზიაში, ეკლესიაში, თეატრში, კაფეში გარბოდნენ...

ქუჩის მეორე მხარეს პისთარი იყო, მეორეზე კი ჯიხური, რომელიც მხოლოდ გაზაფხულობით იღებოდა. როდესაც მეპატრონეები დარბას ხსნიდნენ და ლიმონათის ბოთლებით სავსე ყუთებს ერთმეორეზე ალაგებდნენ, ბავშვების ყიჟინა „ჯიხური გააღესო“, მთელ უბანს აყრუებდა, რაც ერთგვარად გაზაფხულის მოსვლის მახარობს.

იწყებოდა გამუდმებული წუწუნი, ფულის თხოვნები მშობლების საფულებებიდან და ქურთუკის ჯიბეებიდან მალულად იღებდნენ ფულს, ზოგიერთი კი ჯიხურის მახლობლად, მტვერსა და შუშის ნამსხვრევებში ამოდ დაეძებდა ხურდას და აინუნშიაც არ აგდებდნენ შებინდებისას დედების ძახილს.

სალამო ხანს კაცები ახორხოცდებოდნენ ხოლმე, ჯიხურსა და პისთარს შორის გადი-გამოდდიოდნენ, ბოლო გროშებს სასმელში ყრიდნენ და კმაყოფილები ბავშვებს თავზე მეგობრულად უთათუნებდნენ ხელს.

პარკში, სკამების ქვეშ ბავშვები ცარიელ ბოთლებს აგროვებდნენ, მერე ჯიხურში აბარებდნენ და ლიმონათის ფხვნილსა და კარამელებს ყიდულობდნენ. სანაგვე ურნებიდან შოკოლადის ქაღალდებისა და ნაყინის ჯოხების მსუბუქი სურნელი ამოდდიოდა, ჯიხურის სარკმლიდან გამომავალი ძეხვისა და მდოგვის სუნი ცხვირში ალერსიანად უღიტინებდა გამვლელს.

ჯიხურის გაღებისთანავე, ბრინგსედოკა და მისი მოხუცი დედა დაუყვებოდნენ გზას სოსისისა და პურის საყიდლად. ის უსიამოვნო, მოხუცი დედაბერი, უკბილო ღრძილებით თვალისდახამხამებაში გადასანსლავდა ხოლმე თავის ულუფას, ბრინგსედოკა კი მუცელგამოზნექილი იდგა და წყლიან თვალებს საცოდავად ატრიალებდა... მერე ტრამვაის ლიანდაგს ქვევითკენ დაუყვებოდნენ. ხელჯოხიანი, შაოსანი დედაბერი და მის გვერდით მოლასლასე, თეთრ ან ღია ყვითელ კაბაში გამოწყობილი ბრინგსედოკა, მოხუც „ჯადოქარს“ და „მოჯადოებულ პრინცესას“ ჰგავდნენ.

შემოდგომაზე ჯიხურის გამყიდველი კაცი, რომელსაც უსახელო შალის ქურთუკი ეცვა, სოსისების მოსახარშად მოთუხთუხე წყლის ორთქლზე ითბობდა ხოლმე ხელებს... აცივებისთანავე ჯიხურის დარბაზები ისევ ილურსმნებოდა, ქაღალდის კალათები და სავაჭრო დაფები სადღაც ქრებოდა და ის კუთხეც სიჩუმესა და ზამთრის სიცივეში უცნაურად ირინდებოდა. მდოგვის გამომშრალი ქაღალდები კი კარგა ხანს დაფრიალებდა ქუჩებში.

ასე კვდებოდა ეს კუთხე ყოველ შემოდგომას...

ზაფხულის პირას ედელი უცნაურად გაბრწყინებული და გაბადრულია. ინგვილი მდუმარედ შეჰყურებს. მასაც სურს, ედელისნაირი კანი ჰქონდეს. ედელს ნათელი და ისეთივე ლურჯი თვალები აქვს, როგორც ქუჩის პირას ჩამწკრივებული ალვების თავზე გაწოლილი ცაა.

„საგენეს წრიული, სადაც გინდა წაგიყვანს,

ძვირი სულაც არ არის...

სულ ორიოდ კრონად.“ — მღერიან გოგონები, მღერიან ედელი, ინგვილი და ბრიტი. ბრიტი ედელივით გაბადრული არ არის, მას მომჩვარული, ჭორფლიანი ლოყები აქვს და პირიდან მოტკბო, ნამძინარევის სუნი ამოსდის. ბრიტი გამუდმებით ტრამბაზობს თავისი მამიკოთი,



რომელიც მოლარეა და კაბინეტში ზის. გოგონებმა იციან, როგორ მოსვან ბრიტი ადგილზე: ჭორფლის ხსენებაზე ხასიათი უფუჭდება.

ინგვილის მამა სატვირთო მანქანის მძღოლია. ედელი და ინგვილი იმედს არ კარგავენ, რომ მომავალში მას საკუთარი მანქანა ეყოლება.

გოგონები გვერდიგვერდ სხდებიან ტრამვაიში და მგზავრობა სახეებს აკვირდებიან. ზოგს აშკარად მდიდრის გამოქვეყნება აქვს. გოგონები ყოველ წვრილმანს ისრუტავენ, აკვირდებიან კოლგოტებს, სამაჯურებს, ქუდებს, ფრჩხილებს, თმას. სუნამოს სურნელი რალაც გარდამავალს ნიშნავს მათთვის, ზღვარს ადამიანებისა და საწვავის სუნს შორის. სუნამოს სურნელი მათ სიმდიდრისა და სილამაზის სუნთან აქვთ გაიგივებული. ცხვირის ნესტოები უთრთით, თვალები დაძაბულობისგან ეღვლებათ და კიდევ უფრო ეკვირიან ერთიმეორეს.

თუ ისინი ლამაზები იქნებიან, გამდიდრებასაც მოახერხებენ — მდიდარ კაცებს ცოლად ხომ ლამაზი გოგონები მოჰყავთ. გოგონები ტრამვაის ფანჯრების ფართო მინებში მალულად აკვირდებიან საკუთარ სახეებს, თვალებს ნაბავენ და ნაზად იღიმებიან.

ბრიტს მდიდარ კაცზე გათხოვების არანაირი შანსი არ გააჩნია. იგი მეტიხმეტად ჭორფლიანია და წინ გამოწეული კბილები აქვს. მაგრამ ედელი სულ სხვაა თავისი ყვითელი აბრეშუმის კაბით, კულულებით, საყურეებითა და პომადით.

გოგონები ტრამვაიდან ჩადიან. ინგვილი ედელს ბარძაყზე ჩქმეტს, ედელი მუჯღუგუნს ჰკრავს, ინგვილი ზურგში უთავაზებს. ბრიტი კი მათ შესცქერის და ცხვირს იქექავს.

მოსუცთა თავშესაფრიდან გამოსული დედაბრები ნაცრისფერ ან მუქმწვანე ნაქსოვ ჟაკეტებში ანდა, სხვა რომელიმე თალხი ფერის ცხიმით დალაქულ კაბებში შემოსილნი დალასლასებდნენ ქუჩაში. გამუდმებით რალაცაზე წუწუნებდნენ. ზოგი ხელჯოხს ხმარობდა და თავის თავს ესაუბრებოდა. ისინი უსასოოდ იქნევდნენ ხელებს, თავს აკანტურებდნენ...

„შინ დაბრუნების დროა, დიდედ...“ — მშვიდად ეუბნებოდა ტრამვაიში ამავალ მოხუცებს კონდუქტორი და უკანვე, თავშესაფარში აბრუნებდა.

თავშესაფართან სასაფლაოს მანქანაც გამოჩნდებოდა ხოლმე. ბავშვები ცდილობდნენ თვალი მოეკრათ მიცვალებულის სასახლისთვის, რომელიც შავი მანქანის დაბურული მინებიდან უფრო მდიდრული და უცნაურად შემზარავი ჩანდა, ვიდრე დამკრძალავი ბიუროს ფანჯრიდან.

„ეს მოხუცები იქ ცხოვრობენ და სიკვდილს ელიან... — ამბობს ედელი — არ მინდა სიკვდილი!“

მწვანე ჟაკეტებში ჩაცმულ დედაბრებს სიცოცხლის ნიშანწყალი ნაკლებად ეტყობოდათ. დალასლასებდნენ, ხელებს ასავსავებდნენ... გოგონები ჩუმად მისდევდნენ უკან, ცდილობდნენ გაეგოთ, რას ბუტბუტებდნენ დედაბრები.

„ჯერ დამაცათ, ამბობდა ერთი, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს... ახლა მე მივემგზავრები... ოსკარი (ან არტური, ან კარლი, ან რომელიმე სხვა მოძველებული სახელი!) მოვა და წამიყვანს... ღმერთი კი ყველას თავისას მიაგებს...“

ბრიტს მუდამ არასასიამოვნო სიახლეები აქვს. მაგალითად ამბობს, რომ ადრე თუ გვიან ყველა კვდება. მას თავის გამოჩენა უყვარს და თავი ყოვლისმცოდნედ მიაჩნია. შეუძლია, საათობით იჯდეს შინ და მოსაწყენი ყვითელი პრესა იკითხოს. თანაც ბრიტი დედისერთაა.

სიკვდილი ისეთი მარტივი და შორეული იყო გოგონებისთვის... სიკვდილი მარადიული ძილი იყო იმ მოხუცებისთვის, რომლებიც ვერც კი მიმხვდარიყვნენ, რომ თავშესაფარში ცხოვრობდნენ.

სიკვდილს ედელთან და ინგვილთან რა ესაქმებოდა...

გოგონებს ერთი სული ჰქონდათ, დიდები გამხდარიყვნენ, დრო კი ისე იწელებოდა! ისინი სადარბაზოს კიბეზე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე და ჯონით მიწაზე ფიგურებს ხატავდნენ. ხატავდნენ სახრჩობელებს და ერთმანეთს ჰკიდებდნენ. დრო ნელა გადიოდა. წინ მთელი უსასრულობა იყო... ყვითელი, გაუმჭირვალი და ლოდინით მტკერდადებული დრო თითქოს ერთ ადგილზე გაჩერებულიყო.

ზოგჯერ გოგონები სანაპიროზე გადიან. ნაგვის უზარმაზარი კონტეინერების უკან სარეცხ დაფებს დააჩხარუნებენ, ხმამალა გაჰკივიან და მღერიან მანამ, სანამ ვინმე არ გამოაგდებს იქიდან... ყვავილებს იპარავენ პარკში და მერე თავქუდმოგლეჯილები გარბიან, რომ დარაჯმა არ დაინახოს... ფულს წაპნიან მშობლებს და ტკბილეულობას და სიურპრიზ-ფუთებს ყიდულობენ, კინოს რიგში დგანან ან პარკში, ბალახზე კოტრილობენ, ნაყინს ტლეკენ და ელიან, რომ ჯიხურთან რაღაც მოხდება... სარეცხის თოკებთან იკრიბებიან ადრეული გაზაფხულის სუსხიან საღამოს ან შემოდგომის წვიმიან ნაშუადღევს, ფოთოლცვენის ხანს. ბუჩქებში იმალებიან და მიწის სუნს ისრუტავენ. მერე კი პატარა ხელებით გამხმარ ფოთლებს და სარეველა ბალახის ხვეულებს იშორებენ, ისევ გარბიან და გასაშრობად გაფენილი ზეწრების უკან იმალებიან.

სანაპიროზე ბიჭებიც არიან. ერთი უცნაური თამაში გამოიგონეს, „თევზი ბადეში“ ჰქვია. ორ რიგად დგანან, ხელები ბადესავით გადაუწნავთ ერთიმეორესთვის, ბადეში კი ერთ-ერთი მათგანი წევს—ყველაზე მსუბუქი და მშიშარა. ბავშვები ხელებს ზევით-ქვევით სწევენ და რიტმულად, ტაქტში ყვირიან: თევზი ბადეში, თევზი ბადეში, თევზი ბადეში... ბადეში მომწყვდელი არსება უფრო და უფრო ზევით იტყორცნება ხელების ყოველ აქნევაზე. „თევზი“ იცინის, ყვირის, მას უფრო მალა ისვრიან... მერე „თევზი“ ისევ ბადეზე ეშვება, რათა შემდეგ უფრო მალა აიტყორცნოს. იმედი ეწურება, გული ერევა, ის უკვე აღარ იცინის. „თევზი ბადეში, თევზი ბადეში“... ყიჟინა ცხოველდება, პატარა მკლავების მოძრაობა ჩქარდება, უფრო მალა და მალა ასროლილი „თევზი“ კივის. თევზი ბადეში, თევზი ბადეში... და ბოლოს, როგორც იქნება, „ბადეც“ თანაგრძნობით ივსება და გულშელონებული, თავბრუდასხმული, ნაბიჯარეული „თევზი“ მიწაზე ეშვება...

ერთზე მეტად „თევზი“ არავინ ყოფილა. უფრო ხშირად კი თევზის როლში უბანში ახლად გადმოსული ბავშვი აღმოჩნდებოდა ხოლმე, რის შემდეგაც თვითოეულ მათგანს კარგა ხანს ახსოვდა უიმედოდ ფართხალის გემო. შიში იმისა, რომ პატარა ხელებისგან დაწნული ბადე შეიძლებოდა მოულოდნელად გარღვეულიყო, სულ თან სდევდნენ. ტექტში წარმოთქმული სიტყვები კი კარგა ხანს ჩაესმოდათ ყურში და ადგზნებული ბავშვური სახეები, მოლივლივე ცა და მოტაატე ხის კენწეროები ღრმად ებეჭდებოდათ მეხსიერებაში...

გზის ერთ მხარეს მაღალი, დაყანგული რკინის მესერიტ გარშემორტყმული ინტერნატი იყო. ინტერნატის ეზოში ლურჯმოკლე შარვლებში ჩაცმული ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ ხოლმე. ედელს და ინგვილს მათთან დალაპარაკების უფლებაც კი არ ჰქონდათ, მაგრამ ეზოდან გადმოსროლილ ბურთს კენწლაობით ისევ უკან უგდებდნენ ხოლმე ბიჭებს.

პარკში ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს...

გოგონებს აინტერესდათ ამ ბიჭებს მართლა კარტოფილის ქერქს და რუხ პურს აჭმევდნენ მხოლოდ, მართლა ამათრახებდნენ და ამწყვდევდნენ ბნელ სარდაფში? მაგრამ ამის კითხვა ვერავისთვის გაებედათ.

ბიჭებს თმა მოკლედ ჰქონდათ გაკრეჭილი. მათი გამჭოლი მზერა, ცოტა არ იყოს, აშინებდათ გოგონებს, მაგრამ ცნობისმოყვარეობით იწვოდნენ. ერთხელ გაბედეს და ინტერნატის ეზოში შეიპარნენ. თან ნატრობდნენ, ფანჯრიდან დედებმა არ დაგვინახონო. ინტერნატის მოასფალტებულ ეზოში ბალახის ნასახიც კი არ იყო... გოგონებმა ყველაფერი დაათვალიერეს, უზარმაზარ სასადილო ოთახშიც კი შეიხედეს. იგი დიდ სასტუმრო ოთახს ჰგავდა, სადაც უთვალავი, ცვილის სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა თავისივე სკამებით. ერთ კუთხეში, შეშის დუშელის თავზე, იესოს „ჯვარცმა“ ეკიდა. გოგონებმა გაიფიქრეს, სწორედ იესოა, ინტერნატში მყოფ ბავშვებს რომ მფარველობსო.

ბიჭებს დამალობანას თამაში უნდოდათ, მაგრამ გოგონებმა ცივად იუარეს და ისევე უჩუმრად გამოიპარნენ უკან, როგორც შეიპარნენ...

ერთ-ერთ ბიჭს ვერცხლის კბილი აქვს. ის ცდილობს, სულ ინგვილის სიახლოვეს იყოს, მერე მოულოდნელად მიდის მასთან და ხელში რალაცას აჩერებს. ეს ბეჭედი... თხელი ბეჭედი, რომელზეც გულია ამოტვიფრული. ინგვილმა არ იცის, სად წაიღოს იგი და კალამთან და ფანქრებთან ერთად პენალში ინახავს. მის ყოველ დანახვაზე ცვილის სუფრები და ლურჯი შარვალი ახსენდება...

ერთხელ მათ ბრიტმა წაასწრო. დაინახა, რომ ედელი და ინგვილი ინტერნატის ეზოში იპარებოდნენ... ისინიც იძულებულები გახდნენ, ბრიტიც თან წაეყვანათ.

გოგონებმა უბანს სულ პირველად ერთად „ულალატეს“. ერთხელ, ახლად გაცნობილმა სხვა უბნელმა ბიჭებმა მეტროდან გამოაცილეს და ჰკითხეს: „თქვენ იმ უბნიდან არ ხართ, ბევრი მაწანწალა და ლოთი რომ ცხოვრობს“?

ინგვილმა და ედელმა ცივად იუარეს.

„არა, ჩვენ იქ არ ვცხოვრობთ!“ — თქვა ედელმა.

„რას ამბობთ?!“ — დაამატა ინგვილმა.

ბიჭები მათ ჩუმად აედევნენ. სახლებს ეფარებოდნენ, იმალებოდნენ და ასე აღმოჩნდნენ გოგონების პატარა, მოსაწყენ უბანში.

ბიჭები საუარჯიშო დარბაზშიც მიდიოდნენ ხოლმე. ისხდნენ დარბაზის გრძელ სკამებზე და გოგონების ცისფერ სპორტულებში გამოკვალთულ, გაოფლილ სხეულებს შეჰყურებდნენ. ხარბად ისტუმრებოდნენ გამხდარ კანჭებს, თხელი სამოსის ქვეშ მაცდურად შიშვალა პატარა ან დიდ მკერდს.

არნეს მსხვილი თვალები აქვს, მაღალი და გამხდარი ბიჭია. მისი ყავისფერი, სახეებიანი სვიტერი გოგონებს ინტერნატელ ბიჭებს აგონებს. ედელი ამბობს, არნე ინგვილზე გიჟდებაო. ინგვილს სახეზე აღმური ედება და მუცელში ყრუ ტკივილს გრძნობს. არნე და სტეინარი სპორტდარბაზის მახლობლად, ერთ დიდ ეზოში ცხოვრობენ. მათი უბანიც მოსაწყენია, ეზოებში შარდის სუნი იგრძნობა და სახლის კედლებს უცნაური, კომბოსტოსმაგვარი სუნი დაჰკრავს. არნესა და სტეინარის უბანში ერთი ადგილია, სადაც უამრავი საფლაგის ქვა ყრია.

გოგონები სპორტკავშირში გაწევრიანდნენ. ნაშუადღევს, ოთხ ნომერ ტრამვაის მიჰყვებიან და ზუსტად იმ სახლის მახლობლად ჩამოდიან, არნე და სტეინარი რომ ცხოვრობენ. მათ კვირაში ორი ასეთი ნაშუადღევი აქვთ. ზოგჯერ ბიჭები შინ არ არიან, მაგრამ გოგონები ფეხათრევით გადი-გამოდიან სახლის მახლობლად მანამ, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ გამოჩნდება. უფრო ხშირად არნე ბრუნდება ამ დროს.

გოგონებს აღარც მათემატიკის გამოცდა ადარდებთ, აღარც აცრა და კბილის ექიმთან სიარული. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ მალე ორშაბათი, მერე კი ოთხშაბათი მოვა და ინგვილიც შეხვდება არნეს, კვლავ იგრძნობს იმ უცნაურ სითბოს, არნეს ფართო, ბიჭური თვალებიდან რომ იფრქვევა.

ბიჭები მათ შემოდგომაშეპარული ქუჩის ბოლომდე აცილებენ ხმელი, ყვითელი ფოთლებით მოფენილი გზა და ღარიბული სახლების სველი სახურავები უფრო მეტად ანადვლიანებს უბანს...

ყმაწვილები პარკშიც შედიან, ერთიმეორეს ტანსაცმელზე ექაჩებიან, მკლაფებს უგრეხენ, გამხმარი ფოთლების გროვაში კოტრილობენ და კისკისებენ. დანესტილ ფოთლებს წვიმის სუნი უდის. არნეს ძლიერი, გამხდარი ხელები და ნაზი კანი აქვს, მის კანსაც მიწის და წვიმის სურნელი დაჰკრავს.

კუთხეში პისოარის მახლობლად, ედელი და ინგვილი ერთმანეთს ტანსაცმლიდან გამხმარ ფოთლებს აცლიან, ლოყები ალისფრად უელავთ სიცხისა და აღტაცებისაგან...

„შე პატარა მაწანწალავ! — ეუბნება დედა ინგვილს და სილას აწნავს — ფანჯრიდან გიყურებდი... მაწანწალავ!“

ინგვილი საწოლზე წევს, მუცელი უვლის და სირცხვილისაგან იწვის. სინდისი ქენჯნის და ფიქრობს, რომ მართლა უნამუსოა, რადგან შებინდებისას ბიჭებთან ერთად თამაშობდა... მაგრამ მოულოდნელად თვალწინ წარმოუდგება არნეს ხელები და ის ნაზი, ბიჭური კანი, მიწის და წვიმის სურნელი რომ დაჰკრავს.

ინგვილი სპორტდარბაზში სიარულს წყვეტს. აღარ უნდა, არნეს შეხვდეს, აღარასოდეს ცხოვრებაში!

გოგონებს სამზარეულოს ფარდებს ამოფარებული ათასი თვალი უთვალთვალებდა. იზვერებოდა მათი ყოველი თამაში, მათი სტრუქტურული და სიყვარული, მარცხი და წარმატება. მხოლოდ მათი ლამაზი ოცნებები იყო ავი თვალისგან დაცული და ყველასაგან ხელშეუხებელი...

„ერთ დღეს ყველაფერი შეიცვლება! მე ის აღარ ვეჩქნებო, თქვენ რომ გგონიათ... ერთ დღეს მე ძალიან ლამაზი და მდინარე ქსელი გავხდები. თითოეულ სადარბაზოს ნარნარით ჩამოვუვლი და ნახად, თითქმის ბუნებრივად გავუღიძებ მეზობლებს. ჩემი სიმდიდრე და სილამაზე ყველას დაატყვევებს. ისინი მოკრძალებულად მომესალმებიან და ერთმანეთს გადაუჩურჩულებენ: წარმოგიდგენია, ის ოდესღაც აქ ცხოვრობდა...“

ასე ოცნებობდნენ გოგონები და ცხიმით დალაქულ სამზარეულოს სარკეში საკუთარ ნაკვთებს აკვირდებოდნენ. საღამოობით განმარტოვდებოდნენ ხოლმე და ფიქრსა და ოცნებაში იძირებოდნენ. ფურცელავორგოლავებულ, დაჭმუჭნულ სავარჯიშო რეეულებს, ან ძველ გაზეთებს ჩაჰყურებდნენ და ოცნებობდნენ სკოლაში, გაკვეთილზე, დილის გალობისას, ფანჯრიდან ცქერისას, თევზის საყიდლად რიგში დგომისას. ოცნებობდნენ მაშინაც კი, როდესაც ხალხით გადაჭედნილ ტრამვაიში იდგნენ და სუნთქვა უჭირდათ.

ინგვილი სავარჯიშოდ აღარ დადის. იგი ბრიტთან ერთად სიმღერის გუნდში სიარულს იწყებს. გუნდს „პატარა მტრედები“ ჰქვია.

შენობა კათოლიკური ეკლესიის გვერდით დგას. გოგონები მღერიან, კონკურსებში მონაწილეობენ, ქარგავენ. ყურებდაცქვეტილები უსმენენ ერთ უცნაურ ქალს, რომელიც გაბზარული, ტირილშეპარული ხმით საუბრობს ღმერთზე. ზოგჯერ დაკრძალვის ბიუროში მიდიან და კუბოებს ათვალთვლებენ. პატარა ბავშვის კუბოები ყველაზე უფრო არასასიამოვნო სანახავია. გოგონები ცდილობენ გამოიციონ, რა ზომის კუბო დასჭირდებათ აი ახლა, ამ ასაკში რომ გარდაიცვალონ და როგორ სახელურს ან ჩუქურთმას მიანიჭებდნენ უპირატესობას.

ედელი ვარჯიშს განაგრძობს და ერთ ფეხებგაღუნულ გოგონას უმეგობრდება. გოგონა საკმაოდ მსუქანია, ვიგდისი ჰქვია და შეჯიბრზე გასასვლელად ემზადება.

ინგვილისთვის ბრიტთან ერთად ყოფნა ძალზე მოსაწყენი და უინტერესო გახდა. ბრიტთან ერთად „პატარა მტრედებში“ სიარული, დედამისის მეტიმეტად თავაზიანი ღიმილი, გადაჭარბებული აღერსიანობა თავისი ქალიშვილის მიმართ და ბრიტის გამუდმებული შიში, კაბა არ დაესვაროს პარკში, უკვე აღიზიანებს ინგვილს.

შაბათობით კინოში წასასვლელი ფული თუ არ ჰქონდათ და არც ტკბილეულობით დატვირთულ დეიდებს ელოდნენ სტუმრად, გოგონები ეკლესიაში გარბოდნენ ჯვრისწერის საყურებლად. თავგებივით გასუსულები ისხდნენ და ორღანის პირველივე აკორდზე ყრუანტელი უვლიდათ. და აი, დგებოდა ის დიდებული წუთებიც... ეკლესიის უზარმაზარი კარი მძიმედ იღებოდა და ზღურბლზე თეთრებში გამოწყობილი პატარძალი ჩნდებოდა (კაბა უეჭველად თეთრი უნდა ყოფილიყო!) თეთრი ფატიით, გრძელი კაბის ბოლოთი და ვარდებით ხელში... ლამაზი, სერიოზული... თითქმის ყველა პატარძალი ლამაზი იყო მათთვის.

დედოფალი ანგელოზით, ფერიასავით ნარნარით მიირწეოდა საკურთხეველისკენ ეკლესიის წითელ ფარდაზე. მისი აბრეშუმის კაბის შრიალი გედის ფრთის შრიალს წააგავდა. მერე, იგი კარგა ხანს ხალხისკენ ზურგშექცეული იდგა, ზურგშექცეული იჩოქებდა... და ბოლოს, მადრეს დაუსრულებელი, გაუგებარი ბუტბუტის დასრულებებისა და ნეფე-დედოფალი სიყვარულის აღთქმას დებდა ხალხისა და გლეხების წინაშე. მერე პატარძალი მობრუნდებოდა და გასასვლელისკენ მიემართებოდა გაღიმებული და სახეგაბადრული. თავიდან იგი უფრო სერიოზული ჩანდა, ჯვრისწერის შემდეგ კი სხვა სხივი ედგა თვალებში... აი, ზუსტად ასე უნდა ყოფილიყო ყველაფერი და ზუსტად ასეთი უნდა ყოფილიყო გოგონების ჯვრისწერაც!

„დედოფალს საკურთხეველამდე მამა მიაცილებსო... ნუთუ მართლა ასეა?“ — ფიქრობდნენ გოგონები — „ნუთუ მამაც იქ იყო... ან ნეფე? ნეტავ, ის როგორღა გამოიყურებოდა?..“ გოგონებისთვის ასეთ წვრილმანებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მათთვის მთავარი პატარძალი იყო. მოჯადოებულებივით შეჰყურებდნენ ამ თეთრ საოცრებას, რომელსაც რაღაც იდუმალი, მაგიური ძალა ჰქონდა...

ამ ცერემონიისთვის დაუსრულებლად შეეძლოთ ეცქირათ. მათ ეს უფრო მოსწონდათ, ვიდრე ტარზანის ფილმი, ხანგრძლივი გასეირნება ტრამვაითი ან თუნდაც, ცხელ-ცხელი ჭორებით გამოტენილი რომელიმე ბულვარული უჩრხალი.

როცა ქალაქში იყვნენ, ფოტოსალონების ვიტრინებთან ჩერდებოდნენ და პატარძლების სურათებს ათვალიერებდნენ. კინკლაობდნენ რომელი უფრო ლამაზი იყო, რომელი უფრო ბედნიერი ჩანდა და თავად რომელ პატარძლად ყოფნას ისურვებდნენ. ყველა მათგანს ისეთი ლამაზი და ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ არჩევანის ვაკეთება ძნელი იყო.

სიბნელეს საშიში არსებები მოჰყვებოდნენ. ისინი ყველგან იმალებოდნენ: პარკში, ხეების უკან, ყავისფრად შეღებილი საყარაულოს ჩრდილში, უბნის ბნელ ქუჩებში, ნაგვის კონტეინერებთან, პისოართან, უკაცრიელ ქუჩებში მათი ნაბიჯების ხმა და ყრუ სტვენა ისმოდა.

ხომ შეიძლება, ვინმე ნაძირალამ, რომელმაც ტრამვაიში გოგონების შეთვალისწინება მოასწრო, ადევნებოდა მათ. მერე კი სადარბაზოს კარს უკან დაშალულიყო და კიბეზე ამავალეხს უხმოდ, ფეხდაფეხ აჰყოლოდა. გოგონებს შიშით ყურები უხურდათ, გული ყელში ებჯინებოდათ და გამხდარი ფეხებით რამოდენიმე კიბეს ერთდროულად ახტებოდნენ. დედები ტყუილად კი არ აფრთხილებდნენ! თუმცა დედების შიში მათ ყოველთვის ვერ იხსნიდა. მაგალითად მაშინ, როცა ისინი რიგში იდგნენ, როცა უცხო სხეულებთან მიტმასნილები ტრამვაითი მგზავრობდნენ, როცა უცნობი მამაკაცები ბინძური ხელებით ეპოტინებოდნენ ქუჩაში ან როცა პარკში, ხეს ამოფარებული სულით ავადმყოფები მათ სხეულის სასირცხვო ადგილებს უჩვენებდნენ. დედების შიში და წუხილი ვერ დაიცავდა მათ ხალხით გაჭედულ ტრანსპორტში, როდესაც გოგონები უსასოოდ ეკვროდნენ უცხო მამაკაცების ძლიერ სხეულებს, შიშისაგან და სირცხვილისაგან დაძაბულები იდგნენ და არ იც-

ოდნენ, რა ექნათ ან რა ეთქვათ. ვერ ხედებოდნენ, რას ჩადიოდნენ ეს მამაკაცები მათ ზურგს უკან, რატომ სუნთქავდნენ ასე მიძიმედ და რატომ დაეძებდნენ ხელის ფათურით მათ ხელებს... გოგონები შეშინებულნი და გუნებაწამსდარნი გაუნძრევლად იდგნენ. მერე კი დამფრთხალი ბელურებივით ხტებოდნენ ნახევრად გაჩერებული ტყეში.

ზიზლითიანა

ქალები სულ სხვანაირები იყვნენ. მაგალითად, ფრუ მარტინსენი და ანანასი. ანა ანდრეასენი გაუთხოვარი იყო და საკუთარი ხილ-ბოსტნეულის მაღაზია ჰქონდა. უზარმაზარი თაროები პომიდვრით, კომბოსტოთი, ვაშლის ყუთებით, ხახვის ტომრებით და ანანასებით გამოეტენა. თვითონაც მრგვალი და ფუმფულა იყო და ამიტომაც ანანასი დაარქვეს. საღამოობით მას მამაკაცები სტუმრობდნენ. ისინი შებინდებისას მოდიოდნენ და ასევე ბინდში მიდიოდნენ. მაგრამ უბანს ათასი თვალი ჰქონდა. სააბაზანოების დაბინდულ მინებს ან ფარდებს ამოფარებული ათასი თვალი ზვერაავდა და ზედმიწევნით აღრიცხავდა ანანასის ბედნიერების ყოველ წუთს. ჩუმად ქოქოლას აყრიდნენ, მასთან ლაპარაკს თავს არიდებდნენ და ბავშვების თანდასწრებით ზიზლით იხსენიებდნენ.

ბავშვებს კი მოსწონდათ ანანასი, რადგან მას ნაზამთრალი ვაშლისა და მსხლის სუნი ასდიოდა და ხანდახან ბავშვებს კანზე ლაქებშეპარული ბანანებით უმასპინძლდებოდა.

ფრუ მარტინსენი ანანასზე გაცილებით უარესი იყო. იგი მარტინსენზე იყო გათხოვილი. მარტინსენი ერთი ჩვეულებრივ, ზედმიწევნით წესიერი კაცი გახლდათ. როცა იგი ცვლაში მუშაობდა, ფრუ მარტინსენი შობერგთან გარბოდა. შობერგი ქვრივი იყო და სამი სადარბაზოთი იქით ცხოვრობდა. კისერწაგრძელებული სხეულები ფანჯრის მინებს აჭყლეტდნენ ცხვირებს და საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ!

ფრუ მარტინსენი ამბობდა, რომ იგი შობერგს, უბრალოდ, უვლიდა და ეხმარებოდა, დედები კი ყალბად ილიმოდნენ, მასთან ერთად რეცხავდნენ კიბეებს, ამზეურებდნენ ლეიბებს და ზურგს უკან კი ლანძლავდნენ.

როგორც კი დაბინდდებოდა და ჩრდილი დაეფინებოდა ბუჩქებსა და სახლების კედლებს, ფრუ მარტინსენი აჩქარებული ნაბიჯით მიემართებოდა სადარბაზოსკენ. წელში გამართული, ყელმოღერებული მიდიოდა. ლამაზი, ვერ იტყოდით, მაგრამ გარს რალაც უცნაური შუქი კი ნამდვილად ერტყა — იდუმალი ნათელი, და სახეზეც მუდამ დაუმარცხებელი ღიმილი ეფინა. ამ ღიმილით იგი მეზობლებისგან, კიბეების მრეცხავებისგან, ფარდებსმიღმა მზვერავეებისგან და ზიზლით სავსე თვალებისგან იცავდა თავს.

ზოგიერთ გოგოს საქმე ცუდად მისდიოდა... მაგალითად, არ გაუმართლა ლამაზ გუნვორს, რომელიც სამშირკეს უბანში ცხოვრობდა თავის წესიერ ოჯახთან ერთად. ოჯახი ახალი დაბრუნებული იყო ფილადელფიიდან. გუნვორი და მისი მშობლები მეზობლებს არასოდეს უნახავთ ლუდის მაღაზიაში, არც მათი ხმამაღალი სიტყვა გაეგონა ვინმეს. მოულოდნელად, გუნვორმა სავაჭრო სკოლაში სიარული შეწყვიტა, აღარც შინიდან გამოდიოდა. მაშინ იგი თექვსმეტი წლის იყო... ერთ

მშვენიერ დღეს კი, ის და დედამისი საბავშვო ეტლით გამოჩნდნენ ეზოში.

დედები ოხრავდნენ: რას იზამ, ადვილი არ არის ქალად დაბადება! გამუდმებით უნდა იფრთხილო და ყურადღებით იყო!

სიფრთხილე განსაკუთრებით ლამაზებს მართებდათ, რადგან გარუ-  
ვნილების გზას არ დასდგომოდნენ. გუნვორი აღარ იყო დასდგომისა-  
უფერულდა, თმა გაეზურძგნა. ყოველ ცისმარე დღეს, უკანა ეზოში ან  
პარკში მდუმარედ მიარწევდა ეტლს.

გოგონები ისმენდნენ დედების გამუდმებულ ჩივილს და დარიგე-  
ბებს, დამფრთხალი თვალებით შეჰყურებდნენ „გზასაცდენილებს“ და  
სწავლობდნენ, თუ როგორ ეფრთხილათ...

„კაცი ქალისაკენ გადაიხარა და ჩასჩურჩულა: ჩემო სიყვარულო!  
შეხედე, რა ლამაზად ამოდის მზე. ისინი ერთად შეჰყურებდნენ მზის  
ამოსვლას... ახალ დღეს, მომავალს, უსასრულო, ბედნიერ დღეებს მათ  
წინ რომ ელოდათ, ერთად რომ ელოდათ... ქალი უსაზღვროდ ბედნი-  
ერი ჩანდა. მათ ერთმანეთი სიკვდილამდე ეყვარებოდათ. კაცმა თვა-  
ლებზე აკოცა ქალს, კოცნით დაუშრო ლოყაზე ჩამოგორებული მა-  
რგალიტივით ცრემლი“...

სად ჰპოვებს ადამიანი სიყვარულს?! ნეტავ სხვებმა სად იპოვეს  
იგი... მაგალითად, შეხვდა ფრუ გუნდერსენი თავის სიყვარულს? იგი  
რძის მაღაზიაში მუშაობდა და თავადაც ისეთივე მუშავე იყო, როგორც  
ის რძე, თავის მაღაზიაში რომ ყიდდა. დედები სულ ემდუროდნენ, გან-  
საკუთრებით ზაფხულობით. „ამინდის ბრალია, თავს იმართლებდა ფრუ  
გუნდერსენი, ჩახუთული ამინდის ბრალია“. ზამთარში შალის უაკეტ-  
ში გაეხვეოდა და ზედ წინსაფარს აიკრავდა. ხელები ყოველთვის გა-  
ლურჯებული და გამომშრალი ჰქონდა. გამუდმებით დაჰყვიროდა ბავ-  
შვებს ან რძის ბოთლებით სავსე ყუთებს დააჩხარუნებდა.

მისი ქმარი ნაშუადღევს გამოჩნდებოდა ხოლმე, ძირითადად  
მთვრალი ბრუნდებოდა შინ... ფრუ გუნდერსენი მუჯღუგუნის კვრით  
მიათრევდა სახლში და თან დაჰკიოდა: „შე ღორო! ფრთხილად, მო-  
ყინულია...“

ნუთუ ფრუ გუნდერსენს და მის ლოთ ქმარსაც განუცდიათ სიყ-  
ვარული... ნუთუ მათაც უნახავთ ერთად მზის ამოსვლა?!

ანდა მელბებს, მესამე სართულზე რომ ცხოვრობენ თავიანთ სუთ  
შვილთან და ფრუ მელბისთან ერთად. ფრუ მელბი სულ ჩხუბობდა და  
გაიძახოდა, მეტის ატანა აღარ შემიძლია, დროა ჩემს გზას დავადგეო...  
მერე კი კიბეზე ჩამორბოდა და ასე, კვირაში რამდენჯერმე „ადგა თავის  
გზას“...

ნუთუ მელბისაც განუცდია ოდესმე სიყვარული?!

ინგვილი ფანჯრიდან იყურება, ქუჩას გადასცქერის. რაფაზე ჩამწ-  
კრივებულ ყვავილების ქოთნებს გვერდით აცურებს და იდაყვებით ეყ-  
რდნობა რაფას. ცხვირი ფანჯრის მინაზე აქვს მიჭყლეტილი და ფიქ-  
რობს...

ეს მისი ქუჩაა! იგი ამ ქუჩას არასოდეს მიატოვებს. ამ პატარა სა-  
მოთხეს, ცაცხვის ხეებს, იმ ბებერ კუნძს, მოხუცთა თავშესაფრის მახ-  
ლობლად რომ დგას, იმ ალვის ხეებს, ქუჩის კუთხეში რომ დაურგავთ,  
სახლების მაღალ სახურავებს, პატარა ხიდებს, ქვით მოკირწყლულ შუ-



კებს, მანქანების და ველოსიპედების ხმაურით გაჯერებულ ქუჩებს, იმ მტრედებს, ჭერქვეშ რომ ცხოვრობენ და იმ ნაგვის მანქანას, ყოველ დილას რომ მოდის; ქუჩის მაწანწალა ძაღლებს, დილაობით სარკისკენ რომ მისუნსულებენ; ქოქოსის ქერქით დატვირთულ მანქანებს, საპნის ქარხნისკენ რომ მიიჩქარიან; იმ ლურჯ ტრამვაის, ქუჩისკუთხეში რომ უხვევს; ცას და ღრუბლებს, ინტერნატის ნაღვლიან მენობისკენ რომ გამოჰყურებს და იმ მოციმციმე ლამპიონებს, შემოდგომის საღამოებს ასე რომ ალაშაზებს. არასოდეს მიატოვებს ფარნების სუსტ შუქზე მოფარფატე თოვლის ფანტელებს, ტელეფონის მავთულზე ჩამწკრივებულ ბელურებს; ქალაქიდან, მალაზიებიდან სწრაფი ნაბიჯით მომავალ მეზობლებს; ნაქსოვ უაკეტებში გამოწყობილ ქალებს... ზოგიერთ მათგანს იცნობს, სხვებზე კი ცდილობს გამოიცნოს, ვინ არიან, რას საქმიანობენ...

ინგვილმა იცის, როგორია მისი ქუჩა წვიმაში და თოვლში, მზესა და ქარში, კარგად სცნობს რძის მანქანის ძრავის თუხთუხს. იცის, როდის არის სახლის სახურავები თოვლისგან დამძიმებული, როგორ მუნჯდება მისი ქუჩა ზამთრის ყინვებისგან. გაზაფხული სახურავების ჩამოწმენდით იწყება, არსები წვიმის წყლით ივსება... მისთვის ისეთი ახლობელია სახლის საწვიმარი მილებიდან ჩამოსრიალებული წვიმის წვეთების წკაპუნის და ოქტომბრის გრილი სიო, მსუბუქად რომ ჩამოუქროლებს ხოლმე ცაცხვის ხმელ ფოთლებს... უყვარს თავისი ქუჩის მსახიობები და ფოსტალიონი... ზაფხულის სიმხურვალით გაჯერებული ასფალტი, ფენის ძირებს რომ სწვავს, შუადღის მწველი მზე, სამზარეულოს ფანჯრიდან შემოპარული სხივები და სიცხით დახუთული სადარბაზოები...

ედელს წამობურცული მკერდი უკვე მკაფიოდ ეტყობა წითელი სვიტერის ქვეშ. ინგვილს მისი შურს, გამუდმებით სარკის წინ ტრიალებს და თავის სუსტ, ბავშვურ სხეულს აკვირდება. ერთხელ, კონდუქტორმა ჩვეულებრივი ბილეთი მიაწოდა და ინგვილი სიხარულით მეცხრე ცას ეწია, ისევე როგორც მაშინ, პირველად რომ ასწვდა ხელის მოსაკიდს ავტობუსში. მაგრამ, მკერდი კი არა და არ ეზრდება. მალაზიების უზარმაზარ ვიტრინებში უამრავი, არანორმალურად დიდი ზომის აბრეშუმის ლიფია გამოფენილი, ათასფერი... თეთრი, ვარდისფერი... ნუთუ ოდესმე მასაც ამოდენა ზომა დასჭირდება?! უცებ, თავისი ბავშვური სხეულის გამო საოცარ კმაყოფილებას გრძნობს. თავში ქვა უხლია ედელს თავისი მკერდიანად!

კლასშიც გოგონები ჭარბობდნენ. სკოლა თავისი კომკისებური კონსტრუქციით და გარს შემოვლებული რკინის მესრით, აუღებელ ციხესიმაგრეს ჰგავდა. ბეტონის ცივი კედლები, გრძელი დერეფნები და უამრავი პატარა ფანჯარა, რომელიც სკოლის მოასფალტებულ ეზოს გადაჰყურებდა... გოგონათა გუნდი მარჯვენა „ფლიგელს“ განეკუთვნებოდა, ბიჭების კი მარცხენას. ეს „დაყოფა“ მტკიცედ ემორჩილებოდა კანონებს და ვინც ამ წესს დაარღვევდა, აუცილებლად „დაისჯებოდა“ თანაგუნდელების, მოპირისპირე ბანაკის ანდა მასწავლებლის მიერ.

კლასი სამად იყო გაყოფილი: ლამაზებად, სულელებად და უშნობებად. ლამაზებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და კლასში გარკვეული

პოზიციაც ეკავათ. მათი სიბეჯითე სილამაზით განისაზღვრებოდა, გონიერებას კი ამ შემთხვევაში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. უშნოები ამავე დროს სულელებადაც ითვლებოდნენ და მათი მდგომარეობა სულმთლად უიმედო იყო, თუნდაც ისინი ყველაზე ბეჯითები ყოფილიყვნენ მთელ სკოლაში.

კლასში ყველაზე პოპულარულები ელიზაბეტი დბისკოვიჩი, ისინი მეგობრობდნენ კიდევ. ელიზაბეტს გრძელი, ზღაპრული თმა ჰქონდა და წითელ, კურდღლის თეთრი ბეწვით გაწყობილ პალტოს იცვამდა. სივს კი კულულები ამშვენებდა და სიცილისას ლოყა ეჩხვლიტებოდა. ორივენი მდიდრული ვილების ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ქუჩის პირას ხეხილი ჰყვავდა. მაინცდამაინც დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ისინი მიუწვდომლები იყვნენ!

მათ დაბადების დღეზე მოსაწვევის მიღება ყველაზე დიდ ბედნიერებად ითვლებოდა.

ევა ყველაზე ყოჩაღი იყო არითმეტიკაში, ტანვარჯიშსა და ხელსაქმეში. ისიც საკმაოდ ლამაზი იყო და ყოველთვის საზეიმო კომპიტების ან სხვადასხვა ჯილდოს გაცემის მოთავედ ნიშნავდნენ, მაგრამ ევა სკოლის მახლობლად, ერთ მოსაწყენ უბანში ცხოვრობდა და მასთან დაპატიჟებას ისეთივე ალტაცება არ ახლდა თან, როგორც სივთან და ელიზაბეტთან. ევა საკმაოდ ვიწროდ ცხოვრობდა. ერთი ციდა ოთახები და წიგნებით დახუნძლული შუშის თაროები ჰქონდა... დედაც ასაკიანი ჰყავდა.

ყველაზე ბეჯითად ელზე-მარია ითვლებოდა. თუ მასწავლებელი დაღლილი იყო, გაკვეთილებს ელზეს ახსნევინებდა და ამოცანებსაც აყვანინებდა დაფაზე. ელზე-მარიამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ უშნო იყო. მას პეკინური ჯიშის ბატივით მოცუცქნული სახე და გასლიკული თმა ჰქონდა. მოსაწყენად იცვამდა, მასწავლებლებს ელაქუცებოდა და ამოცანებს წინასწარ ხსნიდა დავალების რვეულში. შინ ყოველთვის მარტო ბრუნდებოდა.

თუვე ყველაზე მსუქანა იყო. გაკვეთილის მოყოლისას დაფასთან იდგა და მსუქან ბარძაყებს ერთმანეთს უხახუნებდა. ხელებსა და მუხლისთავეებზე ღრმულები ეტყობოდა მეტისმეტი სიმსუქნისგან. ფიზკულტურის გაკვეთილზე ბურთივით დაგორავდა და ყველაფერზე სულელივით ქირქილებდა. ბავშვებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ თუვე, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ძუნწიც იყო და უფრო მეტად დასცინოდნენ, განგებ სთხოვდნენ პურის ნაჭერს ან სტაფილოს ნატეხს. არასდროს არაფერს გასცემდა! თავისი მსუქანი, კოტიტა ხელებით იცავდა თავის საკუთრებას და ამ დროს ძალიან სასაცილო სანახავი იყო: პატარა, ცისფერ თვალებში იდუმალი შიში ედგა. თუვე სულ უფრო და უფრო ჩერჩეტდებოდა და ბოლოს კლასშიც ჩარჩა.

ლილემურიც სულელი იყო. თითქმის ვერ კითხულობდა, მაგრამ მას მუქი, ხშირი კულულები და ლამაზი, ფერმკრთალი კანი ჰქონდა. პატარა და მოქნილი იყო და ამიტომ მას არავინ დასცინოდა. ისინი, ვინც ლილემურის მეზობლად ცხოვრობდნენ, ფიქრობდნენ რომ ლილემური ელიზაბეტზე გაცილებით ლამაზი იყო, მაგრამ ისიც მოსაწყენ

უბანში ცხოვრობდა. მის ქუჩაზე ვილების ნაცვლად საერთო საცხოვრებლები და რძის მალაზიები იყო გამწვრივებული. გარდა ამისა, ლილემურს არც კურდღლის ბეწვი უმშვენებდა პალტოს. სკოლაში მამის ფრაკიდან გადაკეთებული ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა.

ყველაზე უფრო უსიამოვნო რუნა იყო რელიგიის გაკვეთილებზე. რაიმე განსაკუთრებულით არ გამოირჩეოდა, ერთი უმჯობესი გოგონა იყო და გუნდში მღეროდა. რელიგიის გაკვეთილზე იგი სულ სხვა ადამიანად იქცეოდა ხოლმე. გამუდმებით დუმდა. მასწავლებელი როგორ არ ცდილობდა, ლოყაზე მსუბუქად უთათუნებდა ხელს და კითხვებს უსვამდა, ანგელოზის მოთმინებით ათასჯერ უმეორებდა უმარტივეს შეკითხვებს. ბოლოს, ისიც წყობიდან გამოდიოდა, ყვირილს იწყებდა, ჯოხს უკაკუნებდა მაგიდას და იატაკზე ქუსლებს აბაკუნებდა... რუნა კი იდგა და კრინტსაც არ სძრავდა. მკვდრის ფერი ედებოდა, ჯიუტად წელში გამართული იდგა დაფასთან — გაუნძრევლად, ტუჩებმოკუმული და თვალებმოწკურული. რუნა ყოველთვის იმარჯვებდა. მასწავლებელი ფარ-ხმალს ყრიდა.

ბავშვები რელიგიის გაკვეთილს ერთგულად მოემდგომებოდნენ და უცნაური შიშით ელოდნენ. მასწავლებლისა და რუნას ჭიდილი ერთი სისხლისგამყინავი რიტუალი იყო მათთვის და ამ რიტუალს მთელი კლასი გასუსული ადევნებდა თვალყურს. ამ პროცესში მართლა იყო რაღაც ამოუცნობი და შემადრწუნებელი. რუნა — ეს ჩვეულებრივი გოგონა, რომელსაც საკმაოდ კარგი სმენა და ხმა ჰქონდა... ის ისეთი უშნო ჩანდა დაფასთან... ამიტომ თანდათანობით ისიც უშნოთა კატეგორიაში გადადიოდა. რუნას არსება მარტოსულობის იდუმალ რკალს მოეცვა. ბოლოს, მან გუნდზე სიარულიც შეწყვიტა.

ედელი ინგვილის პარალელურ კლასში სწავლობდა. გოგონები ერთად დადიოდნენ სკოლაში. ინგვილი ლამაზიც იყო და ბეჯითიც, განსაკუთრებით ნორვეგიულში, თუმცა თავად სურდა, ხატვაში ყოფილიყო საუკეთესო. მასწავლებელი მის დაწერილ თემებს ხმამაღლა კითხულობდა და უკვირდა, ასეთ კარგ თემებს როგორ წერდა, მაგრამ მის ნახატებზე კი ეღიშებოდა... მის დიდ, უსიმეტრიო ფიგურებზე და მყვირალა ფერებზე.

კლასში ყველაზე კარგად ლილი ხატავდა. ლილის მამას სახლში საბეჭდი მანქანა ჰქონდა, ერთხელ, როდესაც ლილის მშობლები შინ არ იყვნენ, ინგვილი სტუმრად ეწვია მეგობარს და მამამისის საბეჭდ მანქანასთან მიიპარა. დაბეჭდილი ასოები გოგონას სულ სხვანაირი მოეჩვენა... მშობლების დაბრუნებამდე ერთი პატარა მოთხრობის დაბეჭდვაც მოასწრო. ნაბიჯების გაგონებისთანავე კი მანქანას სასწრაფოდ გადააფარა შალითა.

ერთ დღეს მთელი კლასი შემოდგომის დასახატად პარკში წაიყვანეს. მერე მათი ნახატები საკლასო ოთახში გამოფინეს. მათი ხატვის მასწავლებელი ავად იყო და მის ნაცვლად დროებით ახალი მასწავლებელი ჰყავდათ დანიშნული. მან ნახატებს გადახედა და ყველაზე საუკეთესოდ ინგვილის ნამუშევარი დაასახელა. მუქი მწვანე ნახვის ხეები პარკში, პატარა ხიდები მუქი წითელი მოაჯირებით, ლამაზი ღობე და ხასხასა მდელი...

იმ დღის შემდეგ დაკარგა ინგვილი ლილი, როგორც მეგობარი... რამდენიმე დღის მერე ინგვილი ელიზაბეტმა თავის დაბადების დღეზე დაპატიჟა. ინგვილი ედელთან ერთად აღარ ბრუნდება შინ, სხვა გზით მიდის სივთან, ლილთან და ელიზაბეტთან ერთად. მასწავლებელიც მათთანაა. „შენ ხომ სხვა მხარეს ცხოვრობ, ინგვილ?“ ებრაელები ება იგი გოგონას.

მასწავლებელმა მშვენივრად იცოდა, რომ ინგვილი ლიანდაგებით დასერილ, პატარა, ნაცრისფერ უბანში ცხოვრობდა, ნაქირავეები ბინების, ინტერნატის და პისოარის უბანში... მართალია, ამ მასწავლებელს მისი თემები მოსწონდა და აოცებდა, მაგრამ მის ნახატებზე კი ელიმებოდა, მის გულისტკივილით სავსე, აჭრელებულ ნახატებზე...

შენ სხვა გზა გაქვს, ინგვილ, სულ სხვა გზა... მან იცოდა, სად იყო გოგონას ადგილი და ის სწორედ იქ უნდა დარჩენილიყო.

ინგვილს საწვიმარის ჯიბეებში ჩაყოფილი ხელები თავისდა უნებურად დაემუშტა.

ედელის მშობლები ვერცხლის ქორწილს ზეიმობენ. უფროსები შინ არ არიან. გოგონები შემთხვევით სარგებლობენ და თავიანთ საკუთარ წვეულებას მართავენ. ედელი და ვიგდისი, სტეინარი და ატლე... არნე ინგვილს არ შორდება. ბიჭები ფეხსაცმელს იხდიან და ფეხაკრეფით ადიან კიბეზე. ედელი სტუმრებს კარაქიანი პურიტა და კაკაოთი უმასპინძლდება, მერე კი ისინი გასართობ ჟურნალებს კითხულობენ ერთად. სტეინარი კაკაოს ხვრებს. არნე გარდატეხის ასაკშია, და მამლაყინწას ხმა აქვს... როგორც კი რამეს იტყვის, გოგონები სიცილით კედებიან. ვიგდისი შპაგატზე ჯდება, არნე ინგვილისკენ აპარებს თვალს. ამ დროს არნე რატომღაც შობერგის ძაღლს წააგავს. უცებ ვილაცა შუქს აქრობს და ისინი სიბნელეში დამალობანას თამაშობენ. არნე თავისი გამხდარი, სველი ხელებით ეპოტინება გოგონებს... მას ცოტა უსიამოვნო ხელები აქვს, მაგრამ კანი... მისი პრილა, ბიჭური კანი კი...

სამზარეულოს მაგიდის ქვეშ ედელი ფხაკუნობს, სტეინარი ისევ კაკაოს ხვრებს... ვიგდისი ბრაზდება და შუქს ანთებს, მერე თავდაყირა დგება შუა ოთახში, პერანგი თავზე ეფინება და შარვლიდან ღია ყვითელი ტრუსები მოუჩანს. ბიჭები ეძგერებიან და შარვლის ჩაძრობას ლამობენ. ვიგდისი გაპკივის, იკბინება და იკაწრება.

ედელი ბიჭებს ეუბნება, თქვენი წასვლის დროაო... ისინიც გაბრაზებულები ხმაურით ეშვებიან კიბეზე და მთელი სადარბაზოს გასაგონად ილანძლებიან. მერე ეზოში ჩადიან და ედელის ფანჯრის მინებს წვრილ კენჭებს ესვრიან.

ინგვილი სახლში ფეხაკრეფით იპარება, ყელში ბურთი ებჯინება შიშისგან. დედამისი ყველაფერს შეიტყობს, შესაძლოა დაინახა კიდევ იგი! ინგვილი ცდილობს გულგრილი გამომეტყველება მიიღოს, ხმა დაიყენოს, თუმცა სახე უხურს და გული ძლიერად უცემს. შინ არავინაა, სამზარეულოს მაგიდაზე წერილი ხვდება: „ბაბუასთან ვარ, მალე მოვალ. იმეცადინე“. ინგვილს გულზე მოეშვა, მაგიდაზე დარჩენილ ყავის ჭიქები გარეცხა და გასაშრობად სუფთა ჩაის ტილოზე დაალაგა. მერე ნაუცბათევად იმეცადინა და დასაძინებლად დაწვა.

ეს თავისუფლების სანატრელი წუთები იყო! სილადის, განტვირთვის და დასვენების შესაძლებლობა!

გაზეთებში სულ უფრო ხშირად წერდნენ ძალადობაზე. იმ ქალებზე, ბნელ ქუჩებში, მიწისქვეშა გადასასვლელებში, სარდაფებში და ავტოფარეხებში მოძალადეთა მსხვერპლი რომ გამხდარიყვნენ. გაზეთები იუწყებოდნენ უგზოუკვლოდ დაკარგულ გოგონებზე, უცნობი მამაკაცების მიერ შეცდენილ ქალიშვილებზე, რომლებსაც შემდეგ მდინარეებში, მიგდებულ საწყობებში და ნაკავსაფრელებში აპოულობდნენ.

პარკში ქალების კვილი ისმოდა. ქალების ტირილი ისმოდა ღია ფანჯრებიდანაც. გოგონები ყოველდღე ხედავდნენ კაცებთან მოჩხუბარ უგონოდ გამოძვრალ დედაკაცებს და ქალებს, გაჩერებებზე ბოლთას რომ სცემდნენ.

დედები ასეთ ქალებს ზურგს აქცევდნენ და ჩუმად ლანძღავდნენ მათ, მთვრალ ქალზე საშინელი არაფერი იყო, ამბობდნენ ისინი.

გაცვეთილ პალტოებში გამოწყობილი დედები წელში ამაყად იმართებოდნენ, ქუდებს ისწორებდნენ და თავიანთ ქალიშვილებს უფრო ძლიერად სჭიდებდნენ ხელს, თითქოს ასე ცდილობდნენ მათ დაცვას ღამეული ცდუნებებისგან. თორემ, ერთი ფეხის დაცდენა და... ჯურღმულში აღმოჩნდებიან!

ინგვილის ბიძაშვილს სილვია-ირენი ერქვა. ისეთი ღამაში იყო, რომ ჩვიდმეტი წლისა უკვე გათხოვდა. ქმარი სპორტის ოსტატი იყო და სახლის კედლები თავისი მედლებით და სიგელებით აეჭრებინა. ზოგჯერ მის სურათებს გაზეთებშიც ბეჭდავდნენ. ერთად ხუთი წელი იცხოვრეს და ამ წლების მანძილზე ქმარს აურაცხელი საყვარელი ჰყავდა. იგი „გმირი“ იყო და ამიტომ ყველას უნდა ყვარებოდა. ერთ მშვენიერ დღეს მან თავისი ყველა სურათი მოკრიფა და გაემგზავრა. ცოტა ხანში კი ხელმეორედ დაქორწინდა.

ბიძაშვილმა სკოლის მახლობლად პატარა ოთახი იქირავა და დელიკატესების მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. ხანდახან ინგვილი რჩებოდა მასთან.

სილვია-ირენი ორმოცი წლის ქალს დაემსგავსა. თვალებში სხივი ჩაუქრა, გახდა. სამსახურიდან წამოღებულ ბუტერბროდებს და თევზის პუდინგებს კატებს აჭმევდა. ინგვილს ღამე მისი შეგუბებული ქვითინი აღვიძებდა. ასე აქვითინებული ადამიანის დამშვიდება ძნელი იყო. ინგვილი შიშისაგან გასუსული იწვა და ცივი ოფლი ასხამდა. სიბნელეში თვალებს აცეცებდა და ყურს უგდებდა ამ გულსაკლავ ქვითინს. გარედან შემოპარულ მკრთალ შუქზე ავეჯი და მაგიდაზე მიგდებული სილვია-ირენის შავი ლაკის ჩანთა უცნაურად ელავდა.

დილაობით ისინი ერთად საუზმობდნენ. ბიძაშვილი კვერცხს უხარშავდა და ცხელ რძეს უმაჭრავდა... თვითონ კი მხოლოდ ყავას და სიგარეტს ჯერდებოდა. ინგვილი იმედს არ კარგავდა, რომ მალე სილვია-ირენი უკეთესად გახდებოდა. მას კი უკეთესობის არაფერი ეტყობოდა და ტირილისგან ფერგაცლილი თვალები უფრო უღამდებოდა.

ოცდაშვიდისა რომ გახდა, სადღაც გაემგზავრა. უფროსები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. „ლტოლვილი“ — ეს ერთადერთი სიტყვა ინგვილს სამუდამოდ ჩარჩა გონებაში... და კიდევ, სილვია-ირენის გასაოცარი სიღამაზე...

ფრუ ნაგელსენსაც ჰქონდა თავისი დილემა. ერთ დროს მისი ქმარი უფროს მლესავად მუშაობდა და უამრავი ხელქვეითი ჰყავდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაკოტრდა. ახლა ისიც ერთი რიგითი მლესავი გახლდათ და სხვებივით გაცვეთილ ქურთუკს იცვამდა. დილას ადრე გადიოდა შინიდან და თან საჭმლის ფუთა და ყავა მიჰქონდა.

ფრუ ნაგელსენს ბეწვის ქურქი ჰქონდა. ის ერთ-ერთ მშვენიერ რეთაგან, ბეწვის ქურქს რომ იცვამდნენ. როცა იგი კარდაკარ მოწაწალე ბავშვებისგან ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა, წიგნაკში ასე მოაწერდა ხოლმე ხელს: „მრჩეველი ე. ნაგელსენი“.

ყოველ ცისმარე დღეს, ნაშუადღევს, იგი სახლიდან შეპუდრული გადიოდა, სქელი ტუჩები წითლად ჰქონდა შეღებილი. უკან მალევე ბრუნდებოდა. ყველამ იცოდა, რომ ის არყის საყიდლად მიდიოდა. მერე კი, შინ დაბრუნებული, ოთახში იკეტებოდა და მთელი საღამო სვამდა.

ისინი, ვისაც სხვებზე მეტად გამართლებოდათ ცხოვრებაში, გამოზომილი ნაბიჯებით დადიოდნენ ქუჩაში, მშვიდი ნაცრისფერი ტანსაცმელი ეცვათ, ქოლგა, შლაპა, ხელთათმანები მათი განუყრელი ნაწილი იყო... მათ ყვირილს ვერ გაიგონებდით ფანჯრებიდან. გაჩერებებზე წინ და უკან არასოდეს დადიოდნენ და არც ფარდების უკან იცდიდნენ სახეგაფითრებულები, არც ლუდს ყიდულობდნენ გვიან საღამოს; პარკში, ხეებს ამოფარებულნი არასოდეს ქვითინებდნენ და არც ქუჩის კაფეში დაეძებდნენ ვინმეს...

სამაგიეროდ, ეკლესიაში და თეატრში დადიოდნენ, მეზობლებს თავაზიანად ესალმებოდნენ, ბავშვებს თბილად უღიმოდნენ, გაქათქათებულ ზეწრებს ფენდნენ მზის გულზე; მოქარგულ ბაღიშებს ბერტყავდნენ, ბინის ქირას ზედმიწევნით დროულად იხდიდნენ, ყოველ დილას გაზეთს ყიდულობდნენ და მიცვალებულის გვირგვინისთვის ფულს უსათუოდ დებდნენ. ისინი მშვიდი და წესიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და მათი წარმატების ფონზე სხვების გაჭირვება უფრო თვალში საცემი ხდებოდა. ისინი თითქოს საკუთარი წარმატების ჩრდილს ამოფარებოდნენ და როცა რომელიმე მათგანი გარდაიცვლებოდა ან სხვაგან გადავიდოდა საცხოვრებლად, ხალხი მალევე ივიწყებდა მათ.

ოლგა ცოტა ხანს ცხოვრობდა უბანში. გვიან გაზაფხულზე იგი ბეზიასთან გადმოვიდა საცხოვრებლად. ბებია გერმანელი იყო და ისეთი უცნაური სახელი ერქვა, რომ ვერაფერს ახერხებდა მის გამოთქმას. ოლგა მას ხელკავით დაასეირნებდა ხოლმე ქუჩაში. ქალს თეძო ჰქონდა ამრვარდნილი და ამიტომ ხელჯოხს ხმარობდა. ჭალარა თმა ჰქონდა და მარგალიტის საყურეები ეკეთა.

ოლგა სრული გოგო იყო, ძლიერი ხმა და მკაცრი თვალები ჰქონდა. ის სხვა გოგონებზე ასაკითაც უფროსი იყო. ყელზე განუყრელად ეკიდა ოქროს ჯვარი. ოლგა ობოლი იყო. ის და ბებია მისი პარკში დასეირნობდნენ, ეკლესიაში წირვას ესწრებოდნენ. მეზობლები ამბობდნენ, რომ ოლგა ვილაცას შეეცდინა და ამიტომაც ცხოვრობდა ბეზიასთან. ერთხელ ოლგამ ინგვილი კექსზე და ჩაიზე დაპატიჟა. ინგვილმა მარტო ჩაი დალია, რადგან მუცელი სტკიოდა და გულისრევის შეგრძნე-

ბა ჰქონდა. ბებიაც იქვე იყო. იგი ინგვილს თავისი გამჭოლი მზერით შესცქეროდა და დამახინჯებული ნორვეგიულით ესაუბრებოდა. ინგვილს რატომღაც ეშინოდა ამ ქალის. ბებია მსკამი ფანჯარასთან მიაციურა და ბეჭდებით დახუნძლული ხელით ინგვილი თავისკენ მიიზიდა, სახე სინათლისკენ მიუქცია და გოგონას თავისი გამჭოლი მზერა მიაბყრო. მას ახლა უცნაური, გიჟური გამომეტყველებები ჰქონდა.

„ღმერთო ჩემო, ჩაიბუტბუტა მან, შუბლზე რალაც გაწერია, გოგონი. ფრთხილად იყავი, ძალიან ფრთხილად!“

ინგვილს ძარღვებში სისხლი გაეყინა. ეს მოხუცი ჩვეულებრივი ქალი არ უნდა ყოფილიყო, იქნებ ის მკითხავიც კი იყო.

შობის წინა დღეებში ოლგა სადღაც გაემგზავრა. ამბობდნენ, სხვა ქვეყანაში წავიდა და მონაზვნად აღიკვეცაო. მეზობლები სადარბაზოებში ჩურჩულებდნენ. „წარმოგიდგენია? მონასტერში, მონაზვნად... მოკლედ შეჭრილი თმა, გაცრეცილი სახე...“

ერთიხანობა ინგვილი ხშირად ფიქრობდა ოლგაზე. გოგონასთვის ეს რალაც დიდი და შიშისმომგვრელი მოვლენა იყო, რალაც გამოუცნობი და ამავე დროს, წმინდა და სანატრულიც...

ოლგას ბებია ისევ იქ ცხოვრობდა. იგი სხვა მეზობლებივით ფარდებს ამოფარებული და მოთვალთვალე არავის უნახავს. ან რაში ჭირდებოდა, ისედაც ყველაზე ყველაფერი იცოდა. ერთხელ, ინგვილი მას ქუჩაში შემთხვევით შეხვდა. გოგონამ ფეხს აუჩქარა, მოხუცმა კი გაუღიმა, თვალი თვალში გაუყარა და თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია.

ინგვილი სასწრაფოდ გამოიწია იქაურობას.

ერთ მშვენიერ დღეს ედელს „ის მოუვიდა“. საღამოს მას ინგვილმა მიაკითხა და ესთერ ვილიამსის ახალი ფილმის სანახავად კინოში წასვლა შესთავაზა. ედელი ღია კარებში დგას ფერმკრთალი, იდუმალელებით მოცული. მერე ეუბნება, მენსტრუაცია მაქვს და გარეთ გასვლა არ შემიძლიაო. ამას ისეთი ქედმაღლობით ამბობს, თითქოს დიდი ხანია, რაც ქალად იქცა. ინგვილი კიბეზე ეშვება და ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ედელი სამუდამოდ დაკარგა, მოულოდნელად მისი ბავშვობიდან წავიდა და სულ სხვა სამყაროში გადავიდა.

ინგვილი თავს ღალატის მსხვერპლად გრძნობს. იგი ყინვით გაჯერებულ ქუჩას მიუყვება. მერე ღილს ხვდება და მასთან ერთად მიდის კინოში ესთერ ვილიამსის სანახავად. მზეზე გარუჯულ ვილიამსს თეთრი საცურაო კოსტიუმი აცვია და ფირუზისფერ წყალში ცურაობს — მოქნილი და დახვეწილი. ნუთუ ესთერ ვილიამსსაც აქვს „ის“? — ფიქრობს ინგვილი.

ფილმის მერე ღილთან მიდის და ბეჭდავს მოთხრობას ერთ ლამაზ გოგონაზე, რომელსაც ვივეკა ჰქვია და რომელსაც სლალომისტი ბიჭი უყვარს. სააღდგომო არდადეგებზე გამგზავრების წინ ბიჭი ფეხს იტკენს... ინგვილი მოთხრობას ღილს უკითხავს. მოთხრობის უიღბლო დასასრული ღილს აღიზიანებს. ინგვილი კი უხსნის, რომ ეს მხოლოდ იუმორისტული მოთხრობაა და შესაძლოა, მოგვიანებით ახალი დასასრულიც მოუძებნოს. მერე ისინი „გულისგანმგმირავ“ სასიყვარულო

წერილს სწერენ რომელიმე ბიჭს ცეკვის სკოლიდან და ერთმანეთს ვარცხნილობას უცვლიან.

ლილი ინგვილს აკრიტიკებს, პატარა კბილები გაქვს და წამწაშები თითქმის არ გეტყობაო. ინგვილს პასუხი მზად აქვს: შენ კი ცალი თვალი გაგირბისო...

გოგონები სამიჯნურო წერილს წვავენ. ინგვილს სხეულში წასვლა აღარ უნდა. ლილი სიცილის გუნებაზე დგება, უმიზეზოდ კისკისებს. „რა საშინელებაა დიდობა!“ — ფიქრობს ინგვილი. მას უნდა, რომ ლილის ეს უდარდელი, ბავშვური კისკისი ესმოდეს მუდამ. იგი ზურგში იხრება და ამოკოკრილ ძუძუსთავეებს მაღაფს.

ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან. ან იქნებ, აღარც...  
ედელი სავაჭრო სკოლაში განაგრძობს სწავლას. მაღალქუსლიან ფეხსაცმელს იცვამს, თმას მაღლა იწევს და სპორტდარბაზში ცეკვის კურსებზე დადის. ინგვილი საშუალო სკოლაში რჩება, მოკლედ შეკრეჭილი თმა აქვს და სკოლის სადისკუსიო შეხვედრებში მონაწილეობს. შეხვედრებზე გიმნაზიელებს ყოვლისმცოდნედ მოაქვთ თავი. ინგვილი ჩუმად ზის და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ყველაფერი გასაგებია მისთვის.

ინგვილი და ლილი ხელბურთს თამაშობენ. ზამთარში დარბაზში ვარჯიშობენ და გაზაფხულზე შეჯიბრებებში გადიან. გუნდში ყველაზე ძლიერი ბიტეა — ერთი დაბალი, მოცუცქნული და სხარტი გოგონა. ბიტე რომ არ ჰყავდეთ, ყველა თამაშს წააგებდნენ. ის სხვებზე ერთი წლით უფროსია და მეგობარი ბიჭიც ჰყავს. მეგობარს კატო ჰქვია. იგი გარდერობთან იცდის ხოლმე. კატო და ბიტე, ხელისხელჩაკიდებულები დადიან, ვითომც აქ არაფერიო...

ბიტეს განსაკუთრებული არაფერი აქვს, თუმცა, რაღაც თავისებური მიმზიდველობა მაინც გააჩნია. როდესაც შეჯიბრის შემდეგ ბიტე თმის სარჭებს იძრობს და თავისი კულულა თმის ვარცხნას იწყებს, ინგვილი ოხრავს. ბიტე სახეს იპუდრავს, პომადას ისვამს, პირსახოცს და ფორმას გულმოდგინედ კეცავს და ზურგჩანთაში დებს. მერე კატოსთან გადის. ბიჭი მას გარეთ უცდის. ბიტე ერთი ჩვეულებრივი გოგონაა, ამიტომაც ჰყავს მას კატო...

ინგვილთან და ლილთან კი სულ სხვანაირადაა საქმე. ისინი ბიტეზე გაცილებით ლამაზები არიან, მაგრამ თავდაჯერებულობა აკლიათ. როცა გარდერობიდან გადიან და დერეფანში შეკრებილი ბიჭები თვალს აყოლებენ ან ხმადაბლა უსტვენენ, გოგონები სირცხვილისგან იწვიან. უფრო თავხედი ბიჭები კი ტაშსაც შემოჰკრავენ ხოლმე, ანდა მოულოდნელად მიეპარებიან და თმას მოქაჩავენ.

ინგვილი და ლილი ერთიანი ფულით სიგარეტის დერებს ყიდულობენ, რომელიმე მოწყენილ კაფეში სხდებიან, ლიმონათს იყოფენ და „რაღაცას“ ელიან. ოცნებობენ განცდებზე, მოულოდნელად თავს დამტყდარ სიყვარულზე. ისინი პომადით, ლიფით იწყებენ... სკოლის დავალებებს თავიდან იცილებენ და გარეთ გარბიან ახალი ცხოვრების საქებნად, სიყვარულის საქებნად.

ინგვილი და ლილი შემოდგომის დაუსრულებელი წვიმით გაქდენტილ ქუჩას მიუყვებიან. ახალდახვეულ თმაზე თავსაფარი მოუხვევიათ.



ჩანთაში ცეკვის ფეხსაცმელი, პუდრი და სიგარეტი უდევთ. სასახლის პარკის გვერდით მაღალი შენობის გრძელ კიბეს აივლიან და ცხვირში ეცემათ ცეკვის სკოლის ნაცნობი სუნის ფეხსაცმლის საცხი, თმის ნელსაცხებელი, დედების მკვეთრი სუნამოს სუნი, პატარა გოგონებს რომ ასდით ყელზე.

მუსიკის რიტმი, ცეკვის მასწავლებლის ვერცხლისფერა ფეხსაცმელი, მუცლის ტკივილი, ოფლიანი ხელსაფლები, შიში, თავდაუღწეველი შიშის გრძნობა!

ლამაზი, ცივი და უკარება გოგონები ქალაქის დასავლეთ ნაწილიდან კი... ისინი ყოველთვის საუკეთესოდ ცეკვავდნენ და უდარდულები და ამაყები ჩანდნენ. ისინი სულ სხვაგვარად ირგებდნენ თავსაფარს, სხვანაირად იჭერდნენ სიგარეტს, სიცილიც კი განსხვავებული ჰქონდათ. ინგვილი და ლილი მათ ზედმიწევნით აკვირდებოდნენ და მერე სახლში, სარკის წინ ვარჯიშობდნენ. ცდილობდნენ, მათთვის მიებაძათ, მაგრამ ამაოდ. დასავლეთელი გოგონების თავდაჯერებულობა დიდი სასტუმრო ოთახებიდან, მდიდრული ტყავის ავეჯიდან, მუსიკიდან და ცნობილ მხატვართა ტილოებიდან მოდიოდა. იმ სამყაროდან მოდიოდა, რომელზეც გოგონებს მხოლოდ უნდა ეოცნებათ მათი მდიდრული ვილების წინ ჩავლისას.

ინგვილი და ლილი ცდილობდნენ დასავლეთელი გოგონებივით ჩაეცვათ. ახალი ზედატანებიც შეიძინეს, მუქი ტონალური კრემიც, სუსტი კონსონანტებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, სინამდვილეში ვინ იყვნენ ისინი. გოგონებს ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს მაღალ ღობეზე ლამობდნენ აცოცებას, მაგრამ არ გამოსდიოდათ.

ბიჭები დასავლეთელ გოგონებს სახლამდე აცილებდნენ. ამ გოგონებს სხვებისგან განსხვავებული, ლამაზი ხელის მტევნები, ცხვირი, ყელი ჰქონდათ. მათი დანახვისას ლილს და ინგვილს ყველანაირი თავდაჯერებულობა უქრებოდათ; ღარიბულ, ნაქირავე ბინაში გაზრდილები, ამაოდ ოცნებობდნენ ლამაზ სახლსა და მდიდრულ ცხოვრებაზე.

ლილი და ინგვილი თითქმის ყოველთვის მარტონი მიიჩქაროდნენ ტრამვაის გაჩერებისკენ, მერე ტრამვაის საერთო საცხოვრებლების ნაცრისფერ უბნამდე მიჰყვებოდნენ. ეს უბანი პარკიდან იწყებოდა და ყაზარმის ყვითლად შეღებილ შენობამდე, მუშათა დასახლებამდე და მდინარის გასწვრივ ჩამწკრივებულ ფაბრიკა-ქარხნებამდე გრძელდებოდა.

ბიჭებისთვის არავის უთქვამს, ლილი და ინგვილი ამ ნაცრისფერ უბანში რომ ცხოვრობდნენ. ამისი მიხვედრა ისედაც არ იყო ძნელი. რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ღარიბი გოგონების გამოჭერა გაცილებით უფრო ადვილი იყო. ერთხელ აედევნენ კიდევც... გოგონებისგან ცივი უარი რომ მიიღეს, ძალიან გაბრაზდნენ.

„აღმოსავლელეო!“ — გაჰყვიროდნენ ბიჭები შემოდგომის საღამოს ბინდში — „აღმოსავლელო ბოზებო!“

ოცნება კი ფრთებს ისხამდა... ოცნება იმაზე, რომ შეცვლილიყვნენ და სულ სხვა სამყაროში გადასულიყვნენ. ეს ოცნება არ შორდებოდა გოგონებს სკოლისკენ მიმავალ ნაცრისფერ გზაზე და კინოს ბილეთების რიგში დგომისას. გაზაფხულის ანცი ნიაფი მათ ოცნებებს დააქ-

როლებდა. ინტერნატის თავზე გაწოლილი ცა მათი მესაიდუმლე იყო. ეს ოცნება გოგონებს ღამაზ სიმღერასავით უფორიაქებდა სულს.

მათ ყველაფერი ჯერ ისევ წინ ჰქონდათ...



ლილა და ინგვილა მეზობელ უბანში რამოდენიმე მთხრდელი ბიჭი გაიცნეს. ახალგაზრდები სიყვარულს მალულად უსწავლდნენ. გემოს ხელბურთის მოედანზე, სადარბაზოებში, პარკის მოფარებულ ადგილებში და ქუჩის ბნელ კუთხეებში, ჯისურის ახლოს. ზოგჯერ ქალაქგარეთაც გადიოდნენ მათთან ერთად.

გოგონებს გამუდმებით სდევდათ ეჭვით შეპყრობილი დედების შიშ-ჩამდგარი თვალები. ეს შიში ხვიარასავით იზრდებოდა და ხელ-ფეხს უბორკავდა. გოგონებმა საშინელი რამეები იცოდნენ ერთმანეთზე, ყველაფერს უყვებოდნენ, ენდობოდნენ ერთიმეორეს. ლილა და ინგვილი იმასაც ხედავდნენ, მათი თანატოლი გოგონები ჩუმ-ჩუმად რომ დადიოდნენ გინეკოლოგთან, თმაგაბურძენულნი და სახედალაქავებულნი გაჩერებებზე რომ იდგნენ და პალტოს ქვეშ გამოხნიქილი მუცლების დამალვას რომ ცდილობდნენ.

ტელეფონზე საიდუმლო კოდებით ლაპარაკობდნენ. გრძელ წერილებს სწერდნენ ერთმანეთს გაურკვეველი, შემოკლებული სიტყვებით და ბატიფესური ასოებით. დღიურებსაც აწარმოებდნენ. საღამოობით ტუალეტის სარკმელთან იდგნენ და სიგარეტს ქურდულად ეწეოდნენ, თან ვარსკვლავებით მოჭედებულ ცას, სახლის სახურავებს და ეკლესიის გუმბათს გაჰყურებდნენ. დაბინდულ ფანჯრებში ქალთა ფიგურები ილანდებოდა... სიგარეტის ჩამწვარ ღერს სიბნელეში გარეთ მოისროდნენ და ვარსკვლავიან ცას შეავლებდნენ ისევ თვალს. მათ ხელთ თავიანთი ბავშვობა ეპყრათ, მინასავით ნაზი და მსხვრევადი...

ინგვილი სულ უფრო იშვიათად ხედავს ედელს. ერთ დღეს იგი გაზეთში ასეთ განცხადებას კითხულობს: „ედელი დაინიშნა“. ედელი ოლაუსენი დაინიშნა კაცზე, რომლის გვარიც „სენ“-ზე არ მთავრდება. ედელი, თექვსმეტი წლის... თავისი ყვითელი აბრეშუმის კაბით არემარეს ნათელს რომ ჰფენდა... ზაფხულის მზეზე გარუჯული, კრიალა, ლურჯთვალეა ღამაზი ედელი...

აბაზანაში ბანაობისას ინგვილი ხმამაღლა მღერის... ხან კი რადიოს ბოლო ხმაზე უწევს და სასტუმრო ოთახში ბზრიალებს.

„ნუ ხარ ასეთი ველური!“ — ეუბნება დედა ინგვილს.

ხშირად ლილა და ინგვილი სამზარეულოში სხედან და სიცილით იგუდებიან...

გოგონები ველოსიპედით დაჰქრიან გაზაფხულის სითბოთი გახალისებულ გზებზე. მერე უცებ ველოსიპედებს მოისვრიან, ხტიან, ცეკვავენ, ახლად ამწვანებულ მოლზე, ხავსიან ბილიკებზე, ბალახებში, გამხმარ ფოთლებში კოტრიალით ტანსაცმელი ეგლიჯებათ, მერე კვლავ თავაწყვეტილები დააქროლებენ ველოსიპედებს ტყის ვიწრო ბილიკებზე, ბორცვებს და გამხმარი ბალახის გროვებს ახტებიან. კალიებივით დახტიან და გული ამოვარდნას აქვთ...

ლილა და ინგვილი ველურ სიმღერას, შფოთვას დაატარებდნენ თან... თავისუფლებით ტკბებოდნენ მანამ, სანამ ისევ სკოლის მერხებს

არ მიუსხდებოდნენ და დამშვიდდებოდნენ. გოგონები მოსაწყენ საკლასო ოთახში მუხლებშიტყუპებულნი და სახეგაბადრულნი ისხდნენ უმანკო სახეები მათ ფიქრებს არასდროს გასცემდა...

ინგვილი საშინელ სიზმრებს ხედავს... ესიზმრება, რომ დედას ეჩხუბება, დედას იგი არ უყვარს, არ ზრუნავს მასზე. ინგვილიტყუპებს გაბოტირის...

ფილმებში კი სიყვარული ნამდვილად იყო. გოგონები კვირაში ორსამჯერ ხუთ კრონს ისდიან კინოს ბილეთში, რომელსაც ისინი „სიყვარულის სამყაროში“ შეჰყავს. გოგონები ძიძად მუშაობენ, ბოთლებს აბარებენ, ანდა ნისიად იღებენ ბილეთებს. კონფირმაციის ბეჭდებს აგირავენ, წიგნებს, ნახმარ ტანსაცმელს ყიდიან და ყოველთვის შოულობენ კინოს ბილეთის ფულს.

ულამაზესი მსახიობი ქალები მაყურებელთა თვალწინ სიყვარულის გამო ტირიან, იტანჯებიან და ბოლოს აუცილებლად იმარჯვებენ. გოგონები ჩაბნელებული კინოთეატრის დარბაზში ცრემლებს აფრქვევენ, ფილმის დასრულების შემდეგ კი ალტაცებულები და შთაგონებულები მიემართებიან გაჩერებისკენ, სადაც სიყვარულის ნატამალიც არ არსებობს.

„Some day my prince will come!“ — მღერიან ისინი და სწამთ კიდევ ამის.

ბევრ გოგოს სახელი გაუტყდა. ჭორის აგორებას ბევრი არაფერი უნდოდა. ისიც საკმარისი იყო, რომ ისინი ლამაზები იყვნენ, ლამაზთეძლიანები, რომ ისინი ერთ-ერთ წვეულებაზე ბიჭთან ერთად განმარტოვდნენ. ზოგიერთი გოგო თავად იყო ამ ჭორის ავტორი... ბიჭები ასეთებს „დაცურებულებს“ ეძახდნენ. ნუთუ ინგვილიც დაცურებულია?! იგი შემფოთებული აკვირდება საკუთარ თავს სარკეში. ნუთუ ოდნავ ზედმეტად შეღებილი ტუჩები, მუქი შავი თვალები და შუბლზე ჩამოშლილი თმა ვულგარულ იერს აძლევს მას? ინგვილი კინოს ბილეთით იცილებს პომადას, ჟაკეტს ყელამდე იკრავს და გულგრილ გამომეტყველებას იღებს.

ინგვილმა იცოდა, როგორ მოეშორებინა ბიჭების მოფათურე ხელები. ქუჩის კუთხეებში, პარკში, მანქანების უკანა სკამზე და ნაქირავე ოთახებში ისწავლა, მათგან თავი როგორ დაეცვა. ბიჭები ამბობდნენ, ინგვილი ცივი ქალიაო.

„თევზი, მიაძახებდნენ ხოლმე პირში ჩალაგამოვლებულები, ცივისისხლიანი!“

ინგვილი ისევ ველოსიპედს დააქროლებს გაზაფხულით გაჯერებულ გზებზე, ისევ ტყეში დარბის... ისევ ველოსიპედზე ზის და მერე კვლავ დარბის. ბოლო დროს ცხენები შეუყვარდა სიგიჟემდე. სოფელში წინ და უკან დააჭენებდა, თავაწყვეტილი, ქარივით ზედ ევლებოდა ბორცვებს და ბურჩქებს. შემდეგ კი მთელი სხეული სტკიოდა, ხელები უხურდა, პირი უშრებოდა და სიცხისგან იწვოდა... მერე ცოტათი მშვიდდებოდა.

პარკში ქალების კივილი ისმოდა. მოხუცთა სახლიდან გამოსული დედაბრები საკუთარ თავებს ესაუბრებოდნენ და ხელებს უსასოოდ იქ-

ნევდნენ. სახედაჭორფლილი, ფერდაკარგული და თმაგაწეწილი ფეხმ-  
ძიმე გოგონები გაჩერებაზე იცდიდნენ. ისინი თავიანთი მშვიდობა, მოთ-  
მინებით სავსე, ღრმა თვალებით ირმებს ჰგავდნენ. პატარა ჭინკები ნა-  
ხევრად გაჩერებული ტრამვაიდან ხტებოდნენ და ახლად დაფრთხილებუ-  
ლი ბარტყებივით დაფარფატებდნენ ტროტუარებზე.

უბანს კი ათასი თვალი ჰქონდა. არცერთი ჩხუბი, ცრემლი და ალ-  
ერსი არ რჩებოდა შეუმჩნეველი... სამზარეულოს ფარდებს მიღმა და  
აბაზანის დაბინდულ ფანჯრებში ქალთა ფიგურები ილანდებოდა.

„ღმერთო ჩემო, შუბლზე რალაც გაწერია, გოგონი!“

... ოცნება! ამ ოცნებას გაუფრთხილდი! დაე, იგი შენთან იყოს მა-  
რადის, შენში იყოს მარადის!



კოსტა ხეთაგუროვი



ლექსები

თარგმნა სტეფანე მხარბრაძემ

მშვიდობით

მზად ვარ... ხელჯობნი, ესეც არჩიტა,<sup>1</sup> წნელის ქამარი, სათბილობლები. ზედმეტ კითხვებით ნულარ დამტვირთავ, ჩემო ძვირფასო, გემშვიდობები!

ჩემი ალერსით ხარ დაქანცული, წადიო, — ბედმა გაგაგულისა, ისევ მეძახის მკერდი ქალწულის და მესმის კენესა დამწვარ გულისა.

მშვიდობით, კარგო, ამიერიდან ამ წუთისოფელს უჩემოდ გალევ, ჩემი სახება დღეს განგერიდა და დავიწყებას გაატან ხვალე...

და შენგან ერთ დროს გულდადაგული თუ გაგახსენდი, როგორც ზღაპარი, ზამთრის ღამეში გადაკარგული, მიმკვდარებული, მიუსაფარი, —

ნუ შეშინდები, შენ ეს ზმანება ბედნიერებას კვლავ მოგანიჭებს, ჩამოგაშორებს ვინმე ვაებას და შენს საშველად წარსდგამს ნაბიჯებს.

მწარე ბედ-იღბლის მერგო ტარება, ერთად დავდივართ, ვით ასლობლები, მოვკვდები, მაგრამ ეს მწუხარება ნუ შეგაშფოთებს, გემშვიდობები!

იმიდი

ნუ მიცქერი მკაცრად, მამავ, წარბშეკვრით და ხვაშიადით, რად გაწუხებს, რატომ გშხამავს შენ ეს ჩემი ხასიათი. ნეტავ შვილი რომელია, ამართლებდეს იმედს მამის? ყველა დაუდგრომელია,

როს ბავშვობის უდგას უამი. მე შენს სახელს ვერ გავწვდები, გატოლებას ვერც კი ვბედავ, დამეხსენი, მე დავრჩები ისეთივე, როგორც მხედავ. მე არ ძალმიძს, თოფით ხელში გავაქროლო ცხენი მალი,

1 არჩიტა — მთის ფეხსაცმელი მოქნილი ტყავისა.

არც იმდენი ღონე მერჩის,  
ქარქაშიდან ვაძრო ხმალი.  
დე, დამცინონ ბლენძიებმა,  
შენ ხომ იმათ არ ეკუთვნის,  
ახლა აღარ შემძიმება  
მე გამართვა ჩემი გუთნის.  
ფიქრების ტვირთს დავატარებ  
და ვაჟღერებ ფანდურს გრძნეულს  
და როგორც თესლს, ლექსთა  
პწკარებს  
ვხედავ ხალხში მიმოხეულს.  
ჩემი ხალხის გული სუფთა

ყანაა და იალალი,  
შიგ ჯეჯილი ჩემი სუნთქავს  
და ბიბინებს ჩემი ბალი.  
მდიდარია მხარე ჩემი,  
მაქვს ამბარში პური, პურის  
და ურემი, როგორც გემრიელი  
თავთავეების ზღვაში ცურავს.  
სულ ამაოდ ნაღვლობ, მამავ,  
ვიცი, შენი ხვაშიადი,  
ნუ გაწუსებს და ნუ გშამავს  
შენ ეს ჩემი ხასიათი.

### ს ა მ ა რ ე ს თ ა ნ

(მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალების გამო)

მშვიდობით! იყავ ყველას დამცველი,  
ხალხმა დღეიდან მოგისაკლისა,  
აქ უკვდავია შენი სახელი,  
იქ დაგადგება სვეტი ნათლისა.

სახალხო დარდმა გსუსხა, დაგთალხა,  
მხარში გვედექი ხმალალებული,  
იყავ ლამპარი მუდამ ჩახჩახა,  
მეგობრობისთვის განათებული.

გიყვარდა ჩვენი მთები ამაყი,  
როგორ დაგვტოვე გულდასეტყვილი.  
რით გადვიხადოთ შენი ამაგი,  
ესდენ ძვირფასი, ესდენ კეთილი?

ყველანი ბნელეთს შევეჭიდებით,  
შენი სხივებით გადალამპრული,  
ვაი, რომ ჩვენთან შენ არ იქნები —  
სიკეთისათვის თავგადაკლული.

### 3 0 3 0

ვიცი, დაიღვრებით მწუსარე ცრემლებად,  
როცა მიშაბარებთ იმ შავბნელ ღამეს,  
„რუხ საგუ“ — საუკუნო ხსენება —  
სხვა არა დაგცდებათ-რა რამე.

ვიცი, დაიკვლება მოზვერიც, თოხლიც,  
მკვდრის სულის უფლისთვის მისანდობად,

არაყსაც დაასხამთ, ვითომდა ოხვრით,  
ბოლომდე გამოსცლით შესანდობარს.

სამადლოდ ორიოდ სიტყვას დააყოლებთ,  
რასაც კი მოითხოვს წესები.  
მერე უჩემობა არვის დაალონებს,  
ხსოვნაში არავის შევრჩები.



ქართული  
ბიზნისი

### ღარიბის სიმღერა

მდიდრებს სახლი აქვთ ზღაპრული,  
კოშკი ლამაზად ნაგები,  
ჩვენ — ბნელი გამოქვაბული,  
სადაც ბლავიან ბაღლები.

მდიდართა სხვენზე შაშხს გასდის  
სიმსუქნისაგან წვეთები,  
ჩვენთან ღამურებს რა დათვლის,  
ყოველგან შეეფეთებით.

მდიდრებს უხვად ჰყავთ სტუმრები,  
ლხინის ხმა მთებზე გადადის,  
ჩვენ კი კნავილი კნუტების  
მოთქმად ჩაგვესმის მარადის.

მდიდრის წისქვილი ვერ ძლება,  
მთელ წელს ტრიალებს ბორბალი  
და ჩვენ კი სარჩოდ გვერგება  
ერთი ჩანახი ხორბალი.

### ღარიბის გული

ჩვენს მთებში მუდმივი ზამთარია,  
თოვლი გადაიკრეს ხეობებმა,  
აული ქარიშხალს აბარია,  
მდინარე ყინულებს ეომება.

ღარიბის სადგომი ახორია  
და შრომა ტანჯვას ნამდვილი,  
ზემოდან ნაბადი ახურია  
და სიმწრის ლუკმაა სადილი.

მძიმე და გრძელია ღამეები...  
ჩვენთან გაზაფხულიც გულცივობს,  
წივასაც ვერ ვანთებთ გამეტებით  
და ვწვებით უკვაროდ, უწივოდ.

ცხოვრებამ ალევინა შხამი  
და თუმცა არ ახსოვს ნეტარება,  
ის ბედნიერია ღამით,  
როდესაც ტკბილ სიზმრებს ეტანება.

### ანდერძი

ო, მაპატიე, თუ გაერია  
ამ ჩემს სიმღერას დარდი ფარული,  
ვის გულსაც სევდა გამოელია,  
დაე, იმღეროს მან სიხარულით.

და რომ შემეძლოს ვალი და სესხი  
გადავუხადო ჩემს ხალხს სრულებით,  
მე ავმღერდები სხვანაირ ეშხით,  
დამავიწყდება მისი წყლულები.

## ს უ რ ვ ი ლ ი

ბედნიერია, ვინც პატარობას  
 გაზაფხულის მზის გრძნობდა დარობას,  
 იგემა დედის ალერსი ტკბილი,  
 ვინც გაიხსენებს აისს თავისას,  
 როცა მიმწუხრის ჩრდილი დანისლავს.



ბედნიერია, ვინც უწყალობა  
 მამულს სიმღერა, უძღვნა გალობა,  
 ტოლ-მეგობრების გაათბო გული,  
 ვინც კი მიჰყვება კვალდაკვალ გუთანს,  
 ბარაქიანი მარჯვენა უჩანს,  
 და ოჯახისთვის გაავლო ხნული.

ბედნიერია, ვისი გონებაც  
 ხალხის სულს და გულს შეეწონება  
 და ოქროდ ფასობს მისი აზრები,  
 მამულის ტრფობის მოსავს ნათელი,  
 არ დაივიწყა მისი სახელი  
 და თავდადება გმირ წინაპრების.

## ნ ა ნ ა

დედა გარწევს ნაზად, ფრთხილად...  
 მთვარის სხივი დაგდევს თანა,  
 გაიზარდე, პაწაწინავ,  
 ნანა, ნანა!..

ჩემს იმედად მუდამ გევლოს,  
 გემსხვერპლები, როგორც კრავი,  
 დაიძინე, შემოგევლოს  
 ჩემი თავი!..

ეს ცხოვრება გვასმევს ბაღლამს,  
 მამა დადნა ტანჯვისგანა,  
 დამქანცველი შრომა დაღავს,  
 შვილო, ნანა!..

გაიზრდები, გაგაწვალეებს  
 შენც საწუთრო თანდათანა,

გამიმრავლდი, გენაცვალე,  
 ნანა, ნანა!..

და გექნება ქალამნებიც  
 ძროხის ხამი ტყავისგანა,  
 გზას მშიერი დაადგები...  
 ნანა, ნანა!..

რომ მოიტან მთიდან შეშას,  
 მსურს გეფერო, გაგიცინო:  
 გენაცვალოს აგრემც დედა,  
 თვალისჩინო!..

მოვკვდები და არ მიგლოვო.  
 შეიყვარე ეს ქვეყანა,  
 არასოდეს მიატოვო!..  
 ნანა, ნანა!..



მ ი მ ლ ე რ ე

შენს ხმას ვისმენ, ჩემო კარგო, —  
მინდა ველი შემოვქარგო,  
ჩემი მზე ხარ, ყელს იღერებ,  
მე ვიშრომებ, შენ მიმღერე!..

თუ რამ გვარგო, მიწამ გვარგო...  
შემიბრალე, ჩემო კარგო, —  
ო, იმღერე მწარე სევდილი,  
რომ უმიწოდ დავრჩედი.

ჩვენ ვართ, გოგოვ, მონის მსგავსი,  
ო, მიმღერე, ტანჯვის თასი  
აივსება ვიდრე შხამით,  
ვიდრე ვიდგას ტკბობის უამი!

აღარ გვინდა მოხვნა-თესვა,  
დაძაფიწყე ოხვრა-კვნესა,  
ო, იმღერე, იგალობე,  
შენი გული მიწყალობე!..

ეკ, ნეტავ!

თუ არის ნატვრა, დე, ნატვრა იყოს, —  
მძიმე გვაქვს დღენი.  
ზოგჯერ ღარიბსაც სურვილი იპყრობს,  
ოცნება შვენის:

„ნეტავ ამ ტანჯვას და სევდას შორის  
ვპოვო ნათელი,  
ხალხის ბედისთვის ღვაწლით და ბრძოლით  
დამრჩეს სახელი!

სხვისი ტკივილი და დაღონება  
ჩემს გულს შევჩივლო  
და სიყვარული ყოველ ქონებას  
ქვეყნად მერჩივნოს!“

გ ა მ რ ე ს

ძალ-ღონისაგან დარდმა დამცალა,  
გაქრეს გველური მისი სამსალა!

ცრუ და მზაკვარი გაქრეს ცხოვრება,  
რა მწარე იყო ის განშორება!

მე მიმიტყუა შავ-შავთვალეზამ,  
ჰოი, სირცხვილო, ტანჯვა-წვალებავ!

ღვთის წინ სხვას მისცა სიტყვა და ფიცი,  
სხვისი ბეჭედიც მოირგო, ვიცი.

ვიგონებ ხამთარს დათოვლილ მთების,  
საგაზაფხულო სიზმრებით ვთბები...

იქნებ ალერსი არა კმაროდა,  
მუნჯობლა ენა, არ გვიხაროდა?

ველოდი ტრფობის იმ დღეებს ნეტარს  
და ბედნიერი ვიყავი მეტად.

მუდმივ პატრონად ვინცა გყავს ახლა,  
დე, გამეჯიბროს და თვითონ ნახავს:

მაჯობებს იგი მე თოფის სროლით,  
ცეკვა-თამაშით და ცხენის ქროლვით?

ფარჩით მოხიბლუე აული ჩვენი  
და წელზეც ოქროს სარტყელი გშვენის.

მკერდზე ღილები ვარსკვლავებს მოგავს,  
ძვირფას სამოსში შეიშნობ გოგმანს.

ძალ-ლონისაგან დარდმა დამცალა,  
გაქრეს გველური მისი სამსალა!

ცრუ და მზაკვარი გაქრეს ცხოვრება,  
რა მწარე იყო ის განშორება!



### ფიქრი

დე, ჩემს გამჩენს არ ეღირსოს  
მოსვენება უმშვიდესი  
და ოჯახმა დამიტვიროს  
გამწარებით, ვუით, კვნესით.

ლაჩარივით ვარ კუთხეში,  
უსახელო, ჩალის ფასი...  
მქონდეს მაინც, ვით ნუგეში,  
სითამამე მამის მსგავსი!

განდევნილი მე ვარ ახლა  
და სოფლიდან მოკვეთილი,

მწუხარება ყველგან მახლავს  
და მაქვს პირი მოკეტილი.

ვერც ძალ-ლონეს დავიქადნებ,  
მწველი ფიქრი მადნობს ნელა,  
თავს უმცროსიც არ მიყადრებს,  
არ მომყვება საბრძოლველად.

ვერ დავღვარე შენთვის სისხლი,  
მშობლიურო ჩემო მხარევ,  
ვერ გავფანტე სევდის ნისლი,  
მონობით ვერ გავისარე.

მე რომ შემეძლოს მღერა, ვით  
ნართებს,  
ჟღერდეს ჩემი ხმა მაღლა ცაშიაც, —  
თავს მოვუყრიდი მსოფლიოს  
ხალხებს  
და გავანდობდი დარდს და სვაშიადს.



უფი ხარასიმოვიჩი



ქართული  
ბიზლირთეკა

ლექსები

მოდონურიდა

თარგმნა რენე კანანდიაშ

გამოღვიძება მთებში

ბინდმა მოიგო დღე  
და მე ბურუსს ვეხმარები  
როგორც ძროხას  
დღე ხბოსავით უძღურია  
მე ვდგავარ და  
მთათა მხრებით ვიზმორები

აჰა ველობზე გამოვდივარ  
მე მესალმება ფოცხვერი  
ჩემი დუქნების ყარაული

არყის ხეების სისვი ნაბდები  
შაქარს იღებენ ჩემი ხელიდან

მე მათ ფორანში შევაბამ  
შემდეგ  
მივემგზავრები მშობლიურ მთებში  
რომ იქიდან ჩამოვიტანო  
საოცრად გრძელი პოემები  
იქ რომ აწყვია როგორც შეშა  
აწ მერამდენე ზამთარი

კრაკოველი ფავენი

შადრევანთან  
ფავნი პაპისპაპის გამოხვეულ  
კალოშებში  
ზის და რული ეკიდება

გრძელ ხელჯოხში  
ვითომც ბუკზე  
ის უბერავს  
ნამძინარევ მელოდრას

აწეული წარბებით  
ფავნი თითქოს განცვიფრებას  
გამოხატავს  
ას რა შთამბეჭდავი და

რა შთაგონებულია  
კონცერტი

ფხიზლად  
გულისხმიერად  
უსმენენ ამ მუსიკას  
ქვის კედლების სალი კლდენი

და გუმბათთა  
უმწვანესი მდელოები

და ბებერ ფავნს  
ეზმანება  
შავთვალა ნაიადები  
ესპანურ მანტილიებში

ო რ ო ვ ა ნ დ ი

გზა  
 ზვატი  
 გზისპირ ოროვანდი  
 თვალები მისი მწებვარი მტვრისგან  
 შეწითლებული და უძლურია  
 იგი ვერ არჩევს  
 თუნდაც დედალ თხას  
 მამასახლისის როკაპი ცოლისგან  
 თანაც ხვატში ხის წმინდანისთვის  
 ვითომც ქუდის მაგიერია  
 და წირვის შემდგომ  
 ფარვანების უთეთრეს მტვერში  
 თუ ჰაერის მოცახცახე კორიანტელში

იგი სულგანაბული უსმენს  
 კუტკალიების ღვთაებრივ კონცერტს  
 ხოლო შორიდან ოროვანდი  
 აგვისტოს გზაზე  
 მომავალ ღრუბლად მომეჩვენება  
 ოროვანდი  
 ის ძროხისთვის  
 წმინდა ჭალაა  
 კარაქისთვის  
 ახალგაზრდა და  
 მწვანე მიჯნური  
 კატებისთვის კი  
 ჩრდილოვანი  
 და დიდებული სასაფლაოა

ქველევური ჩინური ნახატი

სახლი დგას როგორც ცოცხალი  
 არსება  
 კიდევ ცოტაც და  
 იგი ჩვენ ხელს გამოგვიწვდის  
 ქარი ხმაურობს როგორც ცოცხალი  
 კიდევ ცოტაც და  
 იგი ქალღმერთს დაანაოჭებს  
 ვხედავ ფრინველი ხეზე ზის  
 მე მასზე ვფიქრობ წავიმუშავე  
 კიდევ ცოტაც და  
 მალე სიმღერაც აწყრილდება

სრულყოფილების იმ დონემდე  
 ავედი რომ  
 მე კიდევ შემწევს უნარი  
 რომ შემიძლია ორიოდ სიტყვა  
 კიდევ ვთქვა  
 ჩვენი გამანადგურებელი ომების  
 შესახებ  
 ფერწერა მხოლოდ ხუმრობაა  
 იმპერატორის

შხამასოკო

მესამე დღეს მე  
 შხამასოკოს გადავეყარე  
 ხასხასა წითელ  
 წინწკლებიან ანუ ტურისტულ  
 კოსტიუმში  
 და გოლფებში გახლდათ იგი  
 გამოწკეპილი იდგა  
 ახალთახალი ყურნალი ჰქონდა

ამოჩრილი ილღიაში  
 თანამედროვე ხელოვნებაზე  
 და მითხრა  
 თქვენ იცით თუ არა  
 მას შემდეგ რაც მე მივატოვე  
 და არ გამოვდივარ ესტრადაზე  
 ქონდრისკაცების წარმოდგენებში  
 რა ხანია არ ვმონაწილეობ

რადგანაც დაკავებული ვარ  
მიმომფრენი ხის სოკოების  
მოძრაობის ზუსტი განრიგის  
საფუძვლების  
მეცნიერული დამუშავებით

ვერ იგებენ  
ვერ აღიქვამენ  
ჩემს ხელოვნებას

დაბოლმილები მეუბნებიან  
რომ ისეთი შესამიანი ტიპები

როგორც შესამასოკოა  
უნდა მოსპო  
გაანადგურო



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

განაკი  
მისთვის ვარ ამქვეყნად  
რომ მათ ჩამხეთქონ და  
მუცელი ამოიყორონ

მე ხომ  
უბრალოდ აბსტრაქცია ვარ

### შეშოღოვის ღამე

მთელი ღამე იბურძგნება  
და ოთახში ბაკაბუკით დადის  
ზღარბი

მე მთელი ღამე ვჯახირობ  
ვწერ ვშლი კვლავ ვწერ  
და ქალაღდს ვაფორიაქებ

მე და ზღარბს გარჯით მიგვაქვს  
ღამის წყვდიაღში მთვარის ნათელი

შემდეგ დაღლილი მივეგდებით  
დასაძინებლად  
ღღის ჩექმის ყელთან...

### პოპრადი

პოპრადი  
სიყრმის მდინარეა  
გერბზე წითელწინწკლებიანი  
კალმანით

მე შენს ტალღებზე მოვისროლე  
სიჭაბუკე  
ყაყაჩოების თაიგულივით

ახლა შენთან ერთად მიცურავს  
მიედინება ჩემი სიმწიფის თუ

სიდინჯის უსაზღვრო სევდა  
როგორც აბზინდა ერთი იღლია


და მერმისშიც  
შენთან ერთად ახალ სივრცისკენ  
ლივლივით წავლენ  
ხანდაზმულობის ჭალარა წლები  
და უთეთრესი ბუმბულებივით  
იფარფატებენ  
ძვირფასო ჩემო

### მოდები

პოეზიაში რა არ ხდება  
ერთიმეორის მიყოლებით  
იცვლება მოდა  
პოდა კუნტრუშით გამოჭენდება  
ჩემთვის უცნობი ექიმბაში და  
ახალ სიტყვას დაარეხვებს  
მე დიდხანს მოცდა შემიძლია  
რადგან ლოდინის ოსტატი ვარ

ქამრის ნაცვლად ავიღე და  
ტყე შემოვირტყე  
წლების ფორანზე ვზივარ და  
ზანტად მივემგზავრები სიბერისკენ  
ჩემი მოდა ზეცის პერანგი  
კვლავ ფართო და გაღვლილია  
წვიმებისთვის და ყინვებისათვის





## დაი სიუი



ქართული  
საზღვრობიბლიოთეკა

## ბალზაკი და ჩინელი მკერავი გოგონა

რომანი ფრანგულიდან

თარგმნა რადი იაშვიძმა

დაი სიუი დაიბადა ჩინეთში, ფუჟიანის პროვინციაში 1954 წელს. 1971-74 წლებში გაგზავნილ იქნა სიჩუანის პროვინციაში ხელახალი აღზრდის ბანაკში როგორც „ინტელექტუალური ბურჟუა“. 1976 წელს, მათ ძე-დუნის სიკვდილის შემდეგ, იგი უნივერსიტეტში შევიდა ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე, შემდეგ დაამთავრა კინოს სკოლა. შემდეგ გაიმარჯვა კონკურსში და საფრანგეთში წასვლის ნება დართეს. გადაიღო სამი სრულმეტრაჟიანი ფილმი.

მისმა პირველმა რომანმა „ბალზაკი და ჩინელი მკერავი გოგონა“ არაერთი პრიზი მოიპოვა.

### თავი 1

სოფლის თავკაცი, ასე ორმოცდაათიოდე წლისა, შუა ოთახში ფეხმორთხმული იჯდა მიწაში ამოთხრილ კერასთან, რომელშიც ნახშირი იწვოდა; იგი ჩემს ვიოლინოს გულდასმით ათვალთვლებდა. ორი „ქალაქელი ბიჭის“ ბარგში, რომელთაც მე და ლუო წარმოვადგენდით მათი აზრით, ეს იყო ერთადერთი ნივთი, რომლისგანაც, როგორც ჩანს, უცხო გემოვნება გამოსჭვითდა და რომელსაც სოფლელების ეჭვის გამოწვევა შეეძლო.

ერთი გლეხი ნავთის ლამპით ხელში მიუახლოვდა, რათა უკეთ ვაერკვიათ, თუ რასთან ჰქონდათ საქმე. სოფლის თავკაცმა ვერტიკალურად ასწია ვიოლინო და დეკას შავ ნახვრეტს მოკირკიტე, ნარკოტიკების მძებნელ მებაჟესავით დააკვირდა. მარცხენა თვალში სამი სისხლის ჩაქცევა შევამჩნიე, ერთი დიდი და ორი პატარა, სამივე მყვირალა წითელი ფერისა.

თვალეების სიმაღლეზე ასწია ვიოლინო და გააფთრებით შეანჯღრია, თითქოს ელოდა, მუსიკალური ყუთის შავი სიღრმიდან რაიმე გადმოვარდებო. ასე მეგონა, სიმები დარტყმისგან დაწყდება და ჯორაკი ნაწილ-ნაწილ დამსხვრეული გაფრინდება-მეთქი.

მთელი სოფელი იქ იყო, მთის წვეროზე მიკარგულ, ხიმინჯებზე შემდგარ სახლში: კაცები, ქალები, ბავშვები შიგნით ფუთფუთებდნენ, ფანჯრებს ეკვროდნენ, შემოსვლისას კი ერთმანეთს მუჯღუგუნებს სთავაზობდნენ. რადგან ჩემი ინსტრუმენტიდან არაფერი გამოვარდა, თავკაცმა შავი ნახვრეტი ცხვირთან მიიტანა და ერთი მაგრა შეისუნთქა. მისი მარცხენა ნესტოდან უხვად გადმოფურჩქნილმა მსხვილმა გრძელმა და ჭუჭყიანმა ბანჯგვლებმა ცახცახი დაიწყო. ახალი მაინც ვერაფერი შეიტყო. დაკოჟრილი თითები ჯერ ერთ სიმს ჩამოჰკრა, მერე მეორეს... უცხო ბგერის უღერამ განცვიფრებისგან იმწამსვე გააქვავა ბრბო, თითქოს ეს ბგერა ყველას მისდამი პატივისცემის გამოხატვას აიძულებდა.

— ეს სათამაშოა, — საზეიმოდ გამოაცხადა თავკაცმა.

ამ ვერდიქტმა მე და ლუო გაგვაოგნა. შეწუხებულებმა ერთმანეთს მალულად გადავხედეთ. ჩემთვის გამოცანა იყო, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი.

ერთმა გლებმა თავკაცს „სათამაშო“ ხელიდან გამოართვა, დეკას მუშტი დასცხო და სხვას გადასცა. ერთ წუთში ჩემმა ვიოლინომ მთელი ბრბო შემოიარა. ჩვენ, ორ სუსტ, გამხდარ, დაღლილ და სასაცილო ქალაქელ ბიჭს, კაციშვილი არ გვაქცევდა ყურადღებას. მთელი დღე ფენით მოვდიოდით მთებში; ტანსაცმელი, სახე, თმა ტალახით გვქონდა მოთხვრილი. წაგებულნი ომის შემდეგ კომუნისტი გლებების მიერ თავმოკვეთილ ორ რეაქციონერ ჯარისკაცს ვგავდით პროპაგანდისტული ფილმიდან.

— სათამაშო, — თქვა ჩახლეჩილი ხმით ვილაც ქალმა.

— არა, — შეუსწორა თავკაცმა, — ბურჟუაზიული სათამაშო, ქალაქიდან მოსული.

ოთახის შუაგულში დანთებული ცეცხლის მიუხედავად სიცივემ ამიტანა. გავიგონე, როგორ დაუმატა თავკაცმა:

— უნდა დაიწვას!

ამ ბრძანებამ ბრბოში წამსვე ცხოველი რეაქცია გამოიწვია. ყველა ყაყანებდა, ყვიროდა, ერთმანეთს მუჯღუგუნებს სთავაზობდა, რომ საკუთარი ხელით ჩაეგდო ცეცხლში და ამით სიამოვნება მიეღო.

— უფროსო, ეს მუსიკალური ინსტრუმენტია, — თამამად თქვა ლუომ, — ჩემი მეგობარი კარგი მუსიკოსია, არ გეხუმრებით.

თავკაცმა ხელახლა აიღო ვიოლინო და თავიდან შეუდგა ლათვალურებას. შემდეგ გამომიწოდა:

— ვწუხვარ, უფროსო, კარგად არ ვუკრავ, — ვთქვი უხერხულად.

უეცრად ლუოს შევხედე, თვალი ჩამიკრა. გაოგნებულმა ვიოლინო ავიღე და აწყობა დავიწყე.

— თქვენ მოისმენთ მოცარტის სონატას, უფროსო, — გამოაცხადა ლუომ მშვიდად და დამაჯერებლად.

სახტად დარჩენილს მეგონა, გაგიჟდა-მეთქი: უკვე რამდენიმე წელიწადი იყო მოცარტის და ყველა დასავლელი მუსიკოსის ნაწარმოებები აკრძალული იყო ჩვენს ქვეყანაში. დამბალ ფეხსაცმელებში ფეხები სულ გამეყინა. სიცივემ ხელახლა ამიტანა და ერთიანად ავკანკალდი.

— ეგ სონატა რაღაა? — მკითხა დაეჭვებულმა თავკაცმა.

— არ ვიცი, — დავიწყე ლულული, — დასავლური რაღაცაა.

— სიმღერაა?

— მეტ-ნაკლებად... — მივკიბ-მოვკიბე.

წამსვე კარგი კომუნისტის სიფხიზლემ იელვა თავკაცის თვალებში და ხმა მტრული გაუხდა:

— რა ჰქვია მაგ შენ სიმღერას?

— ეს სიმღერას ჰგავს, მაგრამ სონატაა.

— მე მის სახელს გეკითხები! — იყვირა მან და დაჟინებით პირდაპირ თვალებში შემომაცქერდა.

მის მარცხენა თვალში წითლად მოკიაფე სისხლის სამმა წვეთმა კვლავ შემაკრთო.

— მოცარტი... — ვთქვი და შევეყოვნდი.

— რა მოცარტი?!

— მოცარტი ფიქრობს პრეზიდენტ მაოზე, — განაგრძო ლუომ ჩემს მაგივრად.

აუ, რა თავხედობაა! მაგრამ გაჭრა: თითქოს რაღაც სასწაულებრივი გაიგონაო, თავკაცს მოქუფრული სახე გაუნათდა. თვალები ნეტარი, გულლია ღიმილით მოეჭუტა.

— მოცარტი ყოველთვის ფიქრობს მაოზე?

— დიახ ყოველთვის, — დაუდასტურა ლუომ.

როდესაც სიმები მოვჭიმე, გარშემო უეცრად მხურვალე ტაში გაისმა, რომელმაც თითქმის შემაშინა. ჩემმა დაბუჟებულმა თითებმა სიმებზე მოძრაობა დაიწყეს და მოცარტის ფრაზები ერთგული მეგობრებივით წამომიტივტივდა გონებაში. სულ რაღაც წამის წინ გლახების პირქუში სახეები მოცარტის ნათელმა მხიარულებამ თანდათან დაარბილა, როგორც გამომშრალი მიწა რბილდება წვიმისგან, შემდეგ კი ნავთის ლამპის მოპარპალე შუქში ნელ-ნელა გალღვა და დაიკარგა მათი ნაკვთები.

დიდხანს ვუკრავდი. ლუომ სიგარეტს მოუკიდა და მშვიდად, კაცივით გააბოლა.

ასეთი იყო ჩვენი ხელახალი აღზრდის პირველი დღე. ლუომ თვრამეტი წლის იყო, მე ჩვიდმეტისა.

ორიოდე სიტყვა ხელახალი აღზრდის შესახებ წითელ ჩინეთში: 1968 წლის რევოლუციის დიდმა მესაჭემ, პრეზიდენტმა მაომ წამოიწყო კამპანია, რომელმაც ძირეულად შეცვალა ქვეყანა: უნივერსიტეტები დაიხურა და „ახალგაზრდა ინტელექტუალები“ ე. ი. ლიცეუმის მოსწავლეები, რომელთაც უკვე მიღებული ჰქონდათ საშუალო განათლება, გაგზავნილ იქნენ სოფლად, რათა ხელახლა აღზრდილიყვნენ ღარიბ გლახებად. (რამდენიმე წლის შემდეგ ამ იდეამ მეორე აზიელ რევოლუციონერ ლიდერს, კამბოჯელს, უფრო რადიკალური და უფრო ამბიციური აზრი შთააგონა: მან დედაქალაქის მთელი მოსახლეობა — მოხუცი თუ ახალგაზრდა — სოფლად გააგზავნა).

ნამდვილი მიზეზი, მაო ძე-დუნს ამ გადაწყვეტილების მიღებისაკენ რომ უბიძგა, ბუნდოვანი დარჩა: სურდა ამით თავიდან მოეშორებინა წითელი გვარდია, რომელიც მისი კონტროლიდან გასვლას იწყებდა?



თუ ეს დიდი მეოცნებე რევოლუციონერის ფანტაზია იყო, ახალი თაობის შექმნა რომ სურდა? ამ კითხვაზე ვერასოდეს ვერავინ შეძლო პასუხის გაცემა. იმ დროს ლუო და მე, ორი კონსპირატორი, ამის შესახებ ხშირად ვმსჯელობდით ფარულად. ჩვენი დასკვნა შემდეგი იყო: მათს სძულდა ინტელექტუალები.

ჩვენ არც პირველი და არც უკანასკნელი ვიყავით საცდელი კურდღლებივით რომ გვიყენებდნენ ამ დიდ საკაცობრიო ექსპერიმენტში. 1971 წლის დასაწყისი იდგა, მთების სიღრმეში ჩაკარგულ ხიმიწებთან სახლში სოფლის თავკაცისთვის ვიოლინოზე ვუკრავდი. ჩვენ არც სხვებზე უბედურები ვიყავით... მილიონობით ახალგაზრდა ჩვენ წინ გვისწრებდა, მილიონობით ახალგაზრდა კი უკან მოგვეყვებოდა. ერთადერთი რამ, რასაც ბედის ირონიას უწოდებენ, ის იყო, რომ არც მე და არც ლუო ლიცეუმელები არ ვიყავით. არასოდეს მოგვცემია ლიცეუმის მერხზე ჯდომის შესაძლებლობა. ჩვენ მხოლოდ კოლეჯის სამწლიანი კურსი გვქონდა დამთავრებული, როდესაც მთებში გაგვაგზავნეს „ინტელექტუალებივით“.

საყოველთაო ფსიქოზური სიცრუე რომ არა, ძნელი იქნებოდა ჩვენი მიჩნევა ორ ინტელექტუალად, რადგან კოლეჯში მიღებული ცოდნა ნულის ტოლფასი იყო: თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არსად ვსწავლობდით, ველოდით, რომ რევოლუცია ჩაწყნარდებოდა და ჩვენი სასწავლო დაწესებულება ხელახლა გაიხსნებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როდესაც იქ შევედით, გულგატეხილობა და მწარე იმედგაცრუება დაგვეუფლა: მათემატიკის ლექციები შეკვეცილი იყო, ისევე როგორც მიწათმოქმედებით შემოიფარგლებოდა. სახელმძღვანელოთა გარეკანზე ფიზიკისა და ქიმიისა. ამიერიდან „საბაზო ცოდნა“ ინდუსტრიითა და მიწათმოქმედებით შემოიფარგლებოდა. სახელმძღვანელოთა გარეკანზე ნახავდით ჩაფხუტიან მუშას, რომელიც უზარმაზარ უროს იქნევდა სტალონესნაირი მსხვილი მკლავებით. მის გვერდით იყო გლესურად გამოწყობილი, თავზე წითელ თავსაფარ წაკრული კომუნისტი ქალი (კოლეჯის მოწაფეები უხამსად ხუმრობდნენ: თავისი პიგიენური საფენი აქვს თავზე შემოხვეული). ეს სახელმძღვანელოები და მათს პატარა წითელი წიგნი წლების განმავლობაში რჩებოდა ჩვენი ინტელექტუალური ცოდნის ერთადერთ წყაროდ. ყველა სხვა წიგნი აკრძალული იყო.

ხალხის მტრებად მიჩნეული ჩვენი მშობლების გამო უარი გვითხრეს ლიცეუმში მიღებაზე და ახალგაზრდა ინტელექტუალების როლი გვაკისრებინეს. თუმცა ჩემს და ლუოს მშობლებს სულ სხვადასხვა სიმძიმის დანაშაული ბრალდებოდათ.

ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ. მამა პულმონოლოგი, დედა კი პარაზიტული დაავადებების სპეციალისტი. ორივენი ჩენგდუს, ოთხმილიონიანი ქალაქის, საავადმყოფოში მუშაობდნენ. მათი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი — „მეცნიერების დამყაყებული ავტორიტეტები“ პატივითა და სახელით სარგებლობდნენ პროვინციის მოკრძალებულ სივრცეში.

ჩენგდუ, სიჩუანის ასმილიონიანი პროვინციის დედაქალაქი, პეკინს მოშორებული, ძალზე ახლო იყო ტიბეტთან.

ჩემს მშობლებთან შედარებით ლუოს მამა ნამდვილად სახელგანთქმული და დიდად ცნობილი კბილის ექიმი იყო მთელ ჩინეთში. ხურმე ერთხელ, კულტურულ რევოლუციამდე, თავისი მოწაფეებისთვის ეთქვა: მათ ძე-დუნს, ქალბატონ მათს და ჟიანგ ჟიენჩისაც მე გავუკეთე კბილებიო. ჟიანგ ჟიენჩი კი კომუნისტების მიერ ძალაუფლების შენელებაში აღებად რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო. სიმართლე რომ ითქვას, წლების მანძილზე ყოველდღიურად მათს პორტრეტის ყურებისას, ზოგიერთს უკვე შენიშნული ჰქონდა, მისი კბილები ძალზე გაყვითლებული და ჭუჭყიანიც კი რომ იყო, მაგრამ ყველა სდუმდა. და აი გამოჩენილი კბილის ექიმი ასე სახალხოდ აცხადებდა, რომ რევოლუციის დიდ მესაჭეს პროტეზი ეკეთა. ეს ყოველგვარი კადნიერების ზღვარს სცილდებოდა, წარმოუდგენელი, უპატიებელი დანაშაული იყო, უარესი, ვიდრე ეროვნული თავდაცვის საიდუმლოს გამხელა. მისი განაჩენი, საუბედუროდ, კიდევ უფრო იმით მძიმდებოდა, რომ გაბედა და მათების წყვილი და ყველაზე დიდი ნაგავი — ჟიან ჟიენჩი ერთ რანგში მოიხსენია.

მრავალი წლის განმავლობაში ჩემი და ლუოს ოჯახი გვერდ-გვერდ, ერთ ბაქანზე ცხოვრობდა, მესამე სართულზე აგურის შენობაში. იგი მამამისის მეხუთე შვილი იყო, თუმცა დედისერთა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ლუო ჩემი ცხოვრების საუკეთესო მეგობარი იყო. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და ერთად მრავალნაირი გამოცდისთვის გაგვიძლია, ზოგჯერ ძალზე ძნელი გამოცდისთვისაც. ძალზე იშვიათად ვკამათობდით.

ხშირად მახსენდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ერთმანეთი ვცემეთ, უფრო სწორად მან მცემა: ეს 1968 წლის ზაფხულში მოხდა. ის დაახლოებით თხუთმეტი წლის იყო, მე თოთხმეტის ვხდებოდი. ეს ნაშუადღევს მოხდა; დიდი პოლიტიკური კრება ჩატარდა საავადმყოფოში, სადაც ჩვენი მშობლები მუშაობდნენ, ღია ცის ქვეშ, კალათბურთის მოედანზე. ორივემ ვიცოდით, რომ ლუოს მამა იყო ამ კრების მიზეზი და რომ თავისი დანაშაულობებისთვის კიდევ ერთი მხილება ელოდა. ხუთი საათისთვის ჯერ კიდევ კაციშვილი არ იყო მოსული. ლუომ მთხოვა, წამომყევით, და ამიტომაც აღმოვჩნდი აქ.

— დავადგენთ, ვინ აბეზღებს და მტრობს მამაჩემს და მერე შურს ვიძიებთ, როცა უფრო დიდები გავხდებით.

შავი თავებით გადაჭედილი კალათბურთის მოედანი ფუთფუთებდა. მეგაფონი ღმუოდდა. ლუოს მამა დაჩოქილი იყო შუა ფიცარნაგზე. ძალიან მძიმე ცემენტის ფირფიტა კისერზე რკინის სიმით ჰქონდა ჩამოკიდებული, რომელიც თითქმის ჩაფლული იყო კანში და აღარ ჩანდა. მასზე მისი გვარი და დანაშაული ეწერა: **რეაქციონერი.**

ოცდაათი მეტრის სიშორიდანაც ვხედავდი ლუოს მამის დახრილი თავის ქვეშ, პერანგზე, ოფლისგან გაჩენილ ფართო შავ ლაქას.

კაცის მუქარით სავსე ხმა მეგაფონში გაჰყვიროდა:

— აღიარე, რომ იწექი ამ სანიტართან!

მამა უფრო და უფრო დაბლა ხრიდა თავს, ისე დაბლა, გეგონებოდათ, კისერი მოსწყდა ამ ცემენტის ფირფიტის სიმძიმისგანო. ერთმა

კაცმა მეგაფონი ბაგეებთან მიუტანა და ძალზე სუსტად, თითქმის მოცაცხაზე ხმით ნათქვამი: „დაახ“ გაისმა.

— როგორ მოხდა ეს? — დაიყუფა ინკვიზიტორმა მეგაფონში. — შენ შეეხე პირველი, თუ ქალი შეგეხო?

— მე.

— და შემდეგ?

რამდენიმე წამს სრული სიჩუმე იყო. მერე მთელმა ბრბომ ერთი კაცივით იღრიალა:

— და შემდეგ?

ორი ათასი კაცის მიერ განმეორებული ეს ორი სიტყვა ქუხილივით გაისმა და ჩვენს თავს ზემოთ დატრიალდა.

— მე წინ წავიწიე... — თქვა დამნაშავემ

— კიდევ დეტალები!

— მაგრამ როგორც კი შევეხე, — აღიარა ლუოს მამამ, — გონება დამიბნელდა, ზედ დავეცი... ნისლის ღრუბელში გავეხვიე.

ჩვენ ჩამოვედით, როდესაც ამ ფანატიკოსი ინკვიზიტორების ბრბოს ღრიალი ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. გზაში უეცრად ვიგრძენი, რომ სახეზე ცრემლები ჩამომიგორდა, ახლალა მივხვდი, როგორ მიყვარდა ეს მოხუცი მეზობელი კბილის ექიმი.

ლუოს სიტყვის უთქმელად, მოულოდნელად ისეთი სილა გამაწნა, რომ კინალამ დავეცი.

ამ 1971 წელს პულმონოლოგის შვილი და მისი ამხანაგი, შვილი ხალხის დიდი მტრისა, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება მათს კბილებს შეხებოდა, მხოლოდ ორი „ინტელექტუალი“ იყო „ცის ფენიქსად“ წოდებულ მთაში გაგზავნილ სხვა ასობით გოგო-ბიჭთან ერთად. ამ მთიანი მხარის პოეტური სახელი და მისი შემზარავი სიმაღლე რომ გაგააზრებინოთ, უნდა გითხრათ, რომ იქამდე ვერასოდეს აღწევდნენ დაბლობის ჩვეულებრივი ჩიტები, საბრალო ბელურები. ერთადერთი ფრინველს შეეძლო ცასთან დამაკავშირებელ, მძლავრ, ლეგენდარულ, სრულიად განმარტოებულ ადგილამდე მიღწევა.

ამ მხარეს არავითარი გზა არ უდგებოდა, გარდა ვიწრო ბილიკისა, რომელიც უზარმაზარი კლდეების მასივებს, ყველანაირი ზომისა და ფორმის მწვერვალებსა და მთებს შორის მიიკლაკნებოდა. მანქანის ლანდისტვის რომ მოგეკრა თვალი ან მისი სიგნალი გაგეგონა, როგორც ცივილიზაციის ნიშანი, ანდა რესტორნის სუნი რომ შეგეყნოსა, ორი დღე მთებში ფეხით უნდა გევილო. ასიოდე კილომეტრის დაშორებით მდინარე იას ნაპირზე გაშენებული იყო პატარა დაბა იონგ ჟინგი; ეს გახლდათ უახლოესი ქალაქი. ერთადერთი დასავლელი, იქ ფეხი რომ ჰქონდა დადგმული, იყო ფრანგი მისიონერი, მამა მიშელი, რომელიც ორმოციან წლებში ტიბეტში გადასასვლელ ახალ გზას ეძებდა.

„იონგ ჟინგის ოლქი არაა ინტერესს მოკლებული, კერძოდ, მისი ერთ-ერთი „ცის ფენიქსად“ წოდებული მთა, — წერდა ეს იეზუიტი თავის მოგზაურობის ჩანაწერებში. — ეს მთა განთქმული ყოფილა ყვი-

თელი სპილენძით, რომელსაც ძველად მონეტების საწარმოებლად იყენებდნენ. პირველ საუკუნეში პანის დინასტიის იმპერატორმა, როგორც ამბობენ, ეს მთა თავის საყვარელს, სასახლის საჭურისების უფროსს, აჩუქა. როდესაც მე დავაკვირდი მის თავბრუდამხვევ სიმაღლის მწვერვლებს, ყველა მხრიდან რომ ამოზრდილიყვნენ, დავინახე მწვერვლის მილიკი, ჩამოწოლილი კლდეების ბნელ ბზარში რომ მიცოცავდა, თითქოს ნისლში აორთქლებას აპირებსო. რამდენიმე პირუტყვივით დასაბალნებული გლეხი ბილიკზე ჩამოდიოდა. მითხრეს, სპილენძის წარმოება უკვე კარგა ხანია დაღმავლობის გზაზეა, უპირატესად სატრანსპორტო საშუალებების უქონლობის გამო, და ახლა ამ მთის განსაკუთრებულმა გეოგრაფიულმა გარემომ მისი მცხოვრებნი აიძულა ოპიუმით მოიყვანონო. სხვათა შორის, მირჩიეს ფეხი არ დამედგა ამ მთაზე: ოპიუმის ყველა მომყვანი შეიარაღებული იყო და მოსავლის აღების შემდეგ, სხვა საქმე რომ აღარ ჰქონდათ, გამვლელებს თავს ესხმოდნენ და ასე ატარებდნენ დროს. მოკლედ, მე დავკმაყოფილდი გიგანტური ხეებით დაბურული, მცოცავი მცენარეებითა და უხვი მწვანე საფარით შემოსილი ამ მიუვალი და ველური ადგილის შორიდან ცქერით, რომელიც უპირველეს ყოვლისა მართლა იმ ადგილს ჰგავდა, სადაც ბანდიტებს მშვენივრად შეეძლოთ ხეების ჩრდილში დამალვა და იქიდან მოგზაურის ზურგზე დახტომა“.

ცის ფენიქსში ოცამდე სოფელი შედიოდა, რომლებიც ან ერთადერთი ბილიკის ხვეულებში იყვნენ მიმოფანტულნი ან ბნელ ხეობებში ჩამალულნი. ჩვეულებრივ თითოეული სოფელი ხუთ ან ექვს ქალაქელს იღებდა. მაგრამ ჩვენს მწვერვალზე წამოსკუპებულ უღარიბეს სოფელს მხოლოდ ორზე ზრუნვა შეეძლო: ლუოსა და ჩემზე. ჩვენ სწორედ იმ ხიმიჯებიან სახლში დაგვაბინავეს, სადაც სოფლის თავკაცმა ჩემი ვიოლინოს ჩხრეკა-დათვალიერება მოახდინა.

ეს შენობა სოფელს ეკუთვნოდა, მაგრამ საცხოვრებლად არ იყო განკუთვნილი. ხის ბოძებზე დაყრდნობილი სახლის ქვეშ მოთავსებულ საღორეში დედა ღორი ცხოვრობდა. იგი საერთო სახალხო საკუთრება გახლდათ. თვითონ სახლი ძველი გაურანდავი ხისგან იყო ნაგები, ჭერი არ ჰქონდა, არც შეღებილი იყო და სიმიინდის, ბრინჯის და გაფუჭებული იარაღის საწყობად გამოიყენებოდა; ეს იყო აგრეთვე იდეალური ადგილი მრუშების საიდუმლო პაემნებისათვის.

ჩვენი ხელახალი აღზრდის რეზიდენციაში მისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე არასოდეს ყოფილა ავეჯი, არც მაგიდა, არც სკამი, იყო მხოლოდ ორი იმპროვიზებული საწოლი კედელთან, პატარა უფანჯრო ოთახში.

მაგრამ მაინც ჩვენი სახლი სწრაფად იქცა სოფლის ცენტრად; ყველა მოდიოდა, თვით თავკაციც, სისხლის სამი წითელი ლაქა რომ ჰქონდა მარცხენა თვალში.

ყველაფერი ეს სხვა „ფენიქსის“, სულ პატარა, თითქმის პაწაწუნა, უფრო მიწიერი „ფენიქსის“ წყალობით ხდებოდა, რომლის ბატონ-პატრონიც ლუო გახლდათ.

სინამდვილეში ეს ფენიქსი კი არა, ფარშევანგის ბუმბულებიანი მომწვანო ფერის, მუქლურჯ ზოლებიანი ამპარტავანი მამალი იყო, გაქონილი შუშის ქვეშ ის სწრაფად ხრიდა თავს და მისი ებანთზის წვეტიანი ნისკარტი უკაკუნებდა უხილავ ნიადაგს, მაშინ როცა წამების ისარი ნელა მოძრაობდა ციფერბლატზე. შემდეგ იგი ფაფქს წვეფდა, ნისკარტით ბუმბულს შეიფერთხავდა, ამკარად კმაყოფილნი იქნებოდნენ მამლარი წარმოსახული ბრინჯის მარცვლების აკენკვით.

რა პატარა იყო ლუოს მალვიძარა თავისი მამლით, რომელიც შეუსვენებლად კენკავდა საკენკს! უეჭველია, თავისი სიმცირის წყალობით დაუძვრა სოფლის თავკაცის ჩხრეკას ჩვენი ჩამოსვლის დღეს. ის ხელისგულზე ოდნავ დიდი იყო, მაგრამ ლამაზად და ტკბილად რეკდა.

ჩვენამდე ამ სოფელში არასოდეს ყოფილა არც მალვიძარა, არც კედლის და არც მაჯის საათი. ადამიანები ყოველთვის მზის ამოსვლისა და ჩასვლის შემყურენი ცხოვრობდნენ.

ჩვენ გაოცებულნი შევცქეროდით, თუ როგორ მოიპოვა მალვიძარამ გლეხებზე ნამდვილი, თითქმის საკრალური ძალაუფლება. ყველა მოდიოდა მის სანახავად, თითქოს ჩვენი ხიმინჯებიანი სახლი ტადარი იყო. ყოველ დილას ერთი და იგივე რიტუალი მეორდებოდა: სოფლის თავკაცი ჩვენი სახლის გარშემო მიდი-მოდიოდა, თავის ძველ, თოფივით გრძელ ბამბუკის ყალიონს ეწეოდა და გაფაციცებული ელოდა მალვიძარას ზარს, და ზუსტად ცხრა საათზე გრძლად და გამაყრუებლად უსტვენდა, რომ სოფლელები მინდვრებში წასულიყვნენ.

— დროა! გესმით ჩემი? — ყვიროდა, თითქოს რაღაც რიტუალს ასრულებსო, ისე გასძახოდა აქეთ-იქიდან წამომართულ სახლებს: — ეჭვი, მუშაობის დროა, მუქთახორებო! რაღას უცდით, ღორის გაგდებულეზო?!

არც ლუოს და არც მე არ გვეხალისებოდა მთაში სამუშაოდ წასვლა. ფრიალო, ვიწრო ბილიკი აღმა-აღმა ადიოდა, სანამ ღრუბლებში არ გაუჩინარდებოდა. ამ ბილიკზე შეუძლებელი იყო პატარა ურიკის გაგორებაც კი, ამიტომაც აქ ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებას ადამიანის სხეული წარმოადგენდა.

ყველაზე მეტად ზურგით ნაკელის ზიდვა გვაფრთხობდა: ორი ნახევრად ცილინდრული ხის სათლი საგანგებოდ იყო გამოგონილი და დამზადებული ყველა სახის ნაკელის საზიდად, ადამიანისა იქნებოდა თუ პირუტყვისა. ყოველდღე უნდა აგვევსო ეს „ზურგის სათლები“ წყალში გახსნილი ნაკელით, ზურგზე აგვეკიდა და თავბრუდამხვევ სიმალლეზე მდებარე მინდვრებამდე ფორთხვა-ფორთხვით აგვეტანა. ყოველ ნაბიჯზე ზედ ყურს უკან ჭყაპუნობდა სათლში ჩასხმული ეს განავლიანი სითხე. მყრალი შიგთავსი სახურავიდან ცოტ-ცოტა იპარებოდა და წვეთ-წვეთობით გვეღვრებოდა ტანზე. ძვირფასო მკითხველო, აგარიდებთ დაცემის სცენას, თვითონ წარმოიდგინეთ, რომ ყოველი არასწორად დადგმული ნაბიჯი ფატალური იყო.

ერთ დღეს, გამთენიისას, ზურგზე ასაკიდებელი სათლები რომ წარმოვიდგინეთ, ნამდვილად აღარ მოგვინდა ადგომა. ისევ ლოგინში ვიყავით, თავკაცის მოახლოებული ნაბიჯების ხმა რომ გავიგონეთ.

ცხრა საათი ხდებოდა. მამალი გულგრილად ვითომ მიირთმევდა თავის საკენკს... უეცრად ლუოს გენიალური აზრი მოუვიდა: მან ნეკრთ ერთი საათით უკან გადასწია მალვიძარას ისარი. რა სასიამოვნო იყო ეს დილის ნებივრობა, მით უფრო, ვიცოდით, რომ თავკაცი გარეთ იცდიდა და წინ და უკან დადიოდა პირში გაჩრილი ბამბუკის გრძელქსოვიანობით. ამ თავხედურმა და საარაკო მიგნებამ თითქმის წაშალა ჩვენი ბოლშაოპიუმის ექსმწარმოებლების მიმართ, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის ქვეშ „ღარიბ გლეხებად“ მოქცეულიყვნენ და ჩვენი ხელახალი აღზრდა ეკისრათ.

ამ ისტორიული დილის შემდეგ, ჩვენ ხშირად ვცვლიდით მალვიძარაზე დროს. ყველაფერი ჩვენს გუნება-განწყობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ხანდახან ისრებს უკან გადაწევის მაგიერ ერთი-ორი საათით წინ ვწევდით, რომ სამუშაო ადრე დაგვემთავრებინა.

ამგვარად, მართლა აღარ ვიცოდით რომელი საათი იყო და ეს იმით დასრულდა, რომ საერთოდ დაგვარგეთ რეალური დროის ყოველნაირი შეგრძნება.

ხშირად წვიმდა ცის ფენიქსის მთებში. სამიდან ორი დღე წვიმდა. ჭექა-ქუხილი და თავსხმა იშვიათი იყო, მაგრამ სულ ცრიდა, გამუდმებით გულისგამაწვრილებლად ცრიდა, გეგონებოდა, აღარასოდეს გადაიღებსო. ჩვენი ხიმიწვებიანი სახლის გარშემო კლდეები და მწვერვალები ავბედით სქელ ნისლში ინთქმებოდნენ და ეს უსიცოცხლო, ირეალური პეიზაჟი გულს გვიჭამდა. სახლში მუდმივი ნესტი იყო, ობი ყველაფერს ედებოდა და ყოველდღე უფრო და უფრო გვაავიწროებდა. ეს სარდაფში ცხოვრებაზე უარესი იყო.

ხანდახან ლუო ღამით დაძინებას ვერ ახერხებდა. დგებოდა, ნავთის ლამპას ანთებდა და დაოთხილი საწოლის ქვეშ ძვრებოდა ძირს დაყრილი ნამწვების მოსაძებნად. მერე გამოძვრებოდა, საწოლზე ფეხს მოირთხავდა და ქალაღდის ნაკლეჯზე დააგროვებდა დაობებულ ნამწვებს. მერე ლამპასთან აშრობდა. (ქალაღდი უმეტესწილად მისი ოჯახის მიერ გამოგზავნილი ძვირფასი წერილი იყო). შემდეგ ნამწვებს ფხვნიდა, მესაათის გულმოდგინებით აგროვებდა ნამცეცებს ისე, რომ ერთ ბეწოსაც არ კარგავდა. გაახვევდა პაპიროსს, მოუკიდებდა და ლამპას აქრობდა. სიბნელეში ეწეოდა დამჯდარი, უსმენდა ღამის მდუმარებას, რომელსაც მხოლოდ დედა ღორის ღრუტუნი არღვევდა, ზუსტად ჩვენი ოთახის ქვეშ რომ ჩიჩქნიდა დინგით ნეხვის გროვას.

ზოგჯერ წვიმა ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს გრძელდებოდა და სიგარეტის ნაკლებობაც გრძელდებოდა. ერთხელ ლუომ შუაღამისას გამაღვიძა:

- ვერ ვპოულობ ნამწვებს, ვერც საწოლის ქვეშ და ვერც სხვაგან.
- მერე?

— საშინლად ვარ, ვიოლინოზე ხომ არ დაუკრავდი რამეს?

წამსვე ავუსრულე თხოვნა, თუმცა ხეირიანად არც ვიყავი გამოფხიზლებული. უეცრად ჩვენი მშობლები გამახსენდა: ახლა პულმონოლოგსა და ღვაწლმოსილ დიდ დანტისტს რომ შეეძლოთ ამ დამემი ნავთის ლამპის მოცახცახე შუქით განათებული ჩვენი ტყუილად დასახლის დანახვა... რომ შეეძლოთ დედა ღორის ღრუტუნში ვიოლინოს ამ ჰანგის მოსმენა... მაგრამ არც მნახველი იყო ვინმე ამისა და არც გამგონე. სოფლის მცხოვრებთ კარგა მოშორებით ედგათ სახლები, უახლოესი მეზობელი ასიოდე მეტრის დაშორებით ცხოვრობდა.

გარეთ წვიმდა. ჩვეულებრივ კი არ ცრიდა, არამედ თავსება მოდიოდა, გვესმოდა, როგორ ეცემოდა მსხვილი წვეთები სასურავის კრამიტს ჩვენს თავს ზემოთ. უეჭველია, ეს ლუოს კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე აყენებდა. ჩვენ მისჯილი გვექონდა მთელი ჩვენი ცხოვრების ხელახალ აღზრდაში გატარება. ნორმალური ოჯახიდან, მუშის ან რევოლუციონერი ინტელექტუალის ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდას, თუ სისულელეებს არ ჩაიდენდა, ასპროცენტიანი შანსი ჰქონდა, როგორც პარტიის ჟურნალები გვამცნობდნენ, ორ წელიწადში დაესრულებინა თავისი ხელახალი აღზრდა და ქალაქში, ოჯახში დაბრუნებულიყო; მაგრამ „ხალხის მტრების“ სიაში მოხვედრილი ოჯახების შვილებისთვის უკან დაბრუნების შესაძლებლობა მინიმალური — ათასიდან სამი იყო. ელემენტარული მათემატიკური გაანგარიშებითაც ლუო და მე „დაღუპულები“ ვიყავით. გასახარი პერსპექტივა გველოდა: მოვხუცდებოდით, გავმელოტდებოდით, ადგილობრივ თეთრ სუდარებში გამოვეხვეოდით და მოვკვდებოდით ხიმინჯებიან სახლში. მართლა გვექონდა მიზეზი, რომ დებრესიაში ჩავვარდნილიყავით და თავი ტანჯულად გვეგრძნო, მიზეზი, რის გამოც თვალი ვერ უნდა მოგვეხუჭა.

იმ ღამეს ჯერ მოცარტის ნაწყვეტი დავუკარი, შემდეგ ბრამსი და ბეთჰოვენის სონატა, მაგრამ ამ უკანასკნელმაც ვერ გამოუკეთა ხასიათი ჩემს მეგობარს.

— სხვაც სცადე, — მითხრა მან.

— რისი მოსმენა გინდა?

— რამე უფრო მხიარულის.

დავფიქრდი, მოეჩხრიკე ჩემი მწირი მუსიკალური რეპერტუარი, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე.

მაშინ ლუომ რევოლუციური სიმღერა წაიღიღინა.

— როგორია?

— მაგარია.

იმწამსვე ვიოლინოთი აკომპანიმენტი გავუკეთე. ეს ტიბეტური სიმღერა იყო, რომელსაც ჩინელებმა სიტყვები შეუცვალეს, რათა პრეზიდენტი მათს დიდებისთვის ხოტბა შეესხათ. ამ ცვლილების მიუხედავად მელოდიას მაინც ჰქონდა შენარჩუნებული სიცოცხლის სიყვარული და დაუცხრომელი ძალა. ადაპტაციამ მთლიანად ვერ შეძლო მისი გაფუჭება. უფრო და უფრო აღგზნებული ლუო საწოლზე წამოდგა და ცეკვა დაიწყო. ტრიალებდა, ცეკვაავდა, წვიმის მსხვილი წვეთები კი ტყაპა-ტყუპით ცვიოდა ოთახში მორყეული კრამიტიდან.

ათასიდან სამი, გავიფიქრე უეცრად. ათასიდან სამი შესაძლებლობა მრჩებოდა, ჩვენს მოცეკვავედ ქცეულ მელანქოლიურ მწეველს კი უფრო ნაკლები. შეიძლება ერთ დღეს, როცა უფრო დავხვეწდი ვიოლინოზე დაკვრას, ადგილობრივი ან რეგიონალური პროპაგანდის პატარა ჯგუფი, მაგალითად იონგ ჟინგისა, კარს გამოიღებდა მისი კონცერტის პროგრამაში ჩამრთავდა. ლუომ კი ვიოლინოზე დაკვრა არ იცოდა, არც კალათბურთის ან ფეხბურთის თამაში. მას არავითარი კოზირი არ ჰქონდა საშინლად მძიმე კონკურენციაში გასამარჯვებლად. ათასიდან სამი. კიდევ უარესი, მას ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლო.

ერთადერთი ამბების მოყოლის ნიჭი ჰქონდა. უდავოდ სასიამოვნო, მაგრამ სამწუხაროდ, გამოუყენებელი, უმომავლო ნიჭი. ჩვენ აღარ ვიყავით ათას ერთი ღამის ეპოქაში. ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში, სოციალისტური იყო ის თუ კაპიტალისტური, მთხრობელი, სამწუხაროდ, აღარ იყო პროფესია.

ერთადერთი კაცი ამქვეყნად, ვინც ნამდვილად აფასებდა მის ამ ნიჭს და გულუხვ გასამარჯვლოსაც აძლევდა, სოფლის თავკაცი იყო. იგი ზეპირად მონათხრობი კარგი ამბების მოყვარე უკანასკნელი ბატონთაგანი გახლდათ.

ცის ფენიქსის მთა ისე იყო დაშორებული ცივილიზაციისაგან, რომ იქაურთა უმრავლესობას თავის დღეში არ მისცემია ფილმის ნახვის საშუალება, და არც იცოდა, რა იყო კინო. დროდადრო ლუო და მე სოფლის თავკაცს ვუყვებოდით ფილმების შინაარსს. იგი ნერწყვს ყლაპავდა ახლის მოყოლის მოლოდინში. ერთ დღეს მან შეიტყო იონგ ჟინგში ფილმის ყოველთვის ჩვენების თარიღი და ჩვენი — ლუოსი და ჩემი — იქ გაგზავნა გადაწყვიტა. ორი დღე წასვლას სჭირდებოდა, ორიც დაბრუნებას. ჩვენ ქალაქში ჩასვლისთანავე უნდა გვენახა ფილმი და დაბრუნებისას მთელი სოფლისთვისა და თავკაცისთვის მთლიანად, ანიდან პოემდე, უნდა მოგვეყოლა, თანაც ზუსტად იმავე დროში, რა დროც ფილმის სეანსს სჭირდებოდა.

ჩვენ მივიღეთ გამოწვევა, მაგრამ სიფრთხილისთვის ორჯერ შედიხედ ვნახეთ ფილმი, ღია ცის ქვეშ, ქალაქის ლიცეუმის სახელდახელო კინოდარბაზად ქცეულ სპორტულ მოედანზე. პატარა ქალაქის გოგონები მომხიბვლელნი იყვნენ, მაგრამ მათთვის ვის ეცალა, მთელი გულისყურით მივჩერებოდით ეკრანს, ყურადღებით ვიმახსოვრებდით ყოველ დიალოგს, მსახიობთა კოსტიუმებს, მათ ყოველ მიმოხრას, თითოეული სცენი დეკორაციებს და მუსიკასაც კი.

სოფელში დაბრუნებისას ჩვენი ხიმიანების სახლის წინ ჩატარდა ზეპირი კინოს უპრეცედენტო სეანსი. რალა თქმა უნდა, მთელი სოფელი ესწრებოდა. თავკაცი პირველი რიგის შუაში იჯდა, ერთ ხელში ბამბუკის გრძელი ჩიბუხი ეჭირა, მეორეში — „მიწიერი ფენიქსი“, ჩვენი მადვიძარა, რომ ჩვენი სეანსის ხანგრძლივობა შეემოწმებინა.

მღელვარებამ შემიბყრო და უნებლიეთ შევამოკლე თითოეული სცენის დეკორაციების აღწერა, სამაგიეროდ ლუო წარმოჩნდა გენიალურ მთხრობელად: ის ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ რიგრიგობით ყველა



პერსონაჟი ითამაშა, ხმასა და ჟესტებს იცვლიდა. მას ხელთ ეპყრა თხრობის ძაფი, ხალხიც ჩართო ამ ზეპირ კინოსეანსში, კითხვებს უსვამდა და შემდეგ თუ არასწორად პასუხობდნენ, უსწორებდა რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა. როცა ჩვენ, უფრო სწორად მან, სეანსი ზუსტად ვადაში დაამთავრა. ბედნიერი და აღელვებული მუხბღიკა გონს ველარ მოდიოდა.

— მომავალ თვეს, — მბრძანებლური ღიმილით გამოგვიცხადა თავკაცმა, — სხვა ჩვენებაზეც გაგზავნით. იმავე თანხას გადაგიხდით, რასაც მინდორში მუშაობისას გიხდით.

თავიდან ეს სახალისო თამაშად მივიჩნიეთ; ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ჩვენი ცხოვრება, განსაკუთრებით ლუოსი, სასიკეთოდ მოტრიალდებოდა.

ცის ფენიქსის პრინციესას ტილოს მკრთალი ვარდისფერი ფეხსაცმელი ეცვა, ერთდროულად რბილიცა და გამძლეც, საიდანაც კარგად ჩანდა მისი ფეხის თითების მოძრაობა, როდესაც საკერავი მანქანის პედალს აჭერდა ფეხს. ეს ჩვეულებრივი, იაფფასიანი, ხელით შეკერილი ფეხსაცმელი იყო, მაგრამ რეგიონში, სადაც თითქმის ყველა ფეხშიშველი დადიოდა, მაინც თვალში გხვდებოდა, დახვეწილად და ძვირფასად მოჩანდა. ლამაზი ფორმის კოჭები და ტერფები ჰქონდა, რასაც ნეილონის თეთრი წინდები უსვამდა ხაზს.

ლამის მაჯის სიმსხო, გრძელი ნაწნავი კეფიდან ეწყებოდა, ზურგს მიუყვებოდა და თეძოებს ქვემოთ წითელი, ცეცხლისფერი, დაწნულა აბრეშუმის ბაფთით მთავრდებოდა.

საკერავი მანქანის პრიალა ზედაპირი ირეკლავდა მისი თეთრი პერანგის საყულოს, ოვალურ სახესა და თვალთა ელვარებას, ულამაზესი რომ იყო არა მარტო იონგ ჟინგის ოლქში, არამედ მთელ რეგიონშიც.

მის სოფელს ჩვენი სოფლისაგან უზარმაზარი სეობა ჰყოფდა. მამამისი, ერთადერთი მკერავი ამ მთებში, ხშირად არ იყო ხოლმე თავის დიდ ძველ სახლში, რომელიც იმავდროულად მალაზიის ფუნქციასაც ითავსებდა. ძალიან დიდი მოთხოვნა იყო მკერავზე. როცა ესა თუ ის ოჯახი მოისურვებდა ტანსაცმლის განახლებას, ჯერ იონგ ჟინგში (ქალაქში, სადაც ჩვენ ფილმის ჩვენებას დავესწარიტ) ჩადიოდა ნაჭრის საყიდლად, შემდეგ მალაზიაში მოდიოდა მოდელის ასარჩევად, ფასსა და თარიღზე დასალაპარაკებლად, რომელიც მას ხელს აძლევდა. დათქმულ დღეს უთენია პატივისცემით მოდიოდნენ მკერავის წასაყვანად. რამდენიმე ჯანმავარი კაცი ჩამოდიოდა ხოლმე. მათ რიგ-რიგობით ზურგით მიჰქონდათ საკერავი მანქანა.

ორი მანქანა ჰქონდათ. ერთი ძველი, რომელსაც სოფლიდან სოფელში დაატარებდნენ. მასზე აღარც მარკა მოჩანდა და არც მწარმოებლის გვარი. მეორე ახალი იყო, მანხაის გამოშვება და მას სახლში ტოვებდა ხოლმე თავისი ქალიშვილისთვის, „პატარა მკერავისთვის“. თავისი ქალიშვილი არასდროს დაჰყავდა სოფლიდან სოფელში. ეს ბრძნული, მაგრამ დაუნდობელი გადაწყვეტილება მისი ქალიშვილის დაუფლებაზე მეოცნებე უამრავ ახალგაზრდა გლეხკაცს გულს უტეხდა.

მკერავი მეფურად ცხოვრობდა. როცა იგი სოფელს უახლოვდებოდა, ისეთი აჟიოტაჟი ტყდებოდა, რომ ფოლკლორულ დღესასწაულს შეშურდებოდა. მისი კლიენტის სახლი, საიდანაც საკერავი მანქანის ხმაური ისმოდა, სოფლის ცენტრად იქცეოდა ხოლმე, და ეს მარჯვე შემთხვევა იყო ამ ოჯახის სიმდიდრის გამოსაფენად. მისთვის მანქანის კერძებს ამზადებდნენ და ხანდახან, თუ მისი ვიზიტი წლის ბოლოს შემთხვეოდა, როცა ახალი წლისთვის ამზადებდნენ, ღორსაც კი კლავდნენ. რიგრიგობით სხვადასხვა კლიენტებთან ათევედა ღამეს და ხშირად ერთ-ორ კვირას ატარებდა ამა თუ იმ სოფელში.

ერთ დღეს ლუო და მე ბინოკლარდის, ჩვენი ქალაქელი მეგობრის, სანახავად წავედით; იგი სხვა სოფელში იყო განაწილებული. წვიმდა. ჩვენ ფრთხილად მივიწევდით წინ ციცაბო, მოლიპულ ბილიკზე, რძისფერ ნისლში გახვეულები. სიფრთხილის მიუხედავად ბევრჯერ ჩავვარდით ტალახში. უეცრად, ერთ-ერთი მოსახვევის შემდეგ დავინახეთ ჩვენკენ მომავალი კორტეჟი, ინდური მწკრივი ჯალამბრიანი სკამით, რომელზეც ორმოციოდე წლის კაცი წამოყინებულიყო. ამ საბატონო სკამის უკან საკერავ მანქანააკიდებული კაცი მოდიოდა, ზურგზე ღვედები ჰქონდა მიმაგრებული. მკერავი თავისი სკამის მზიდველისკენ დაიხარა და, ეტყობა, ჩვენს შესახებ რაღაც ჰკითხა.

იგი მე გამხდარი, პატარა, ნაოჭებიანი და ამავე დროს ენერგიით სავსე მომეჩვენა. მისი სკამი, გამარტივებული ტახტრევანი, ორ დიდ ბამბუკზე იყო დამაგრებული და ორი კაცის მხრებზე იყო დაყრდნობილი: ერთი წინ მოდიოდა, მეორე უკან, ისმოდა სკამისა და ჯალამბრის მჭრიალი მზიდავების მტკიცე და დინჯი ნაბიჯების რიტმში.

იმ წამს, როდესაც სკამი ჩვენ გაგვისწორდა, მკერავი უეცრად ჩემკენ დაიხარა, ისე ახლოს, რომ მისი სუნთქვაც კი ვიგრძენი და მთელი ძალღონით ინგლისურად იყვირა:

— Way-o-lin!

და ხარხარი აუტყდა, მისმა მგრგვინავმა ხმამ შემახტუნა. დიდი ახირებული ვინმე ჩანდა. ბატონივით იქცეოდა.

— იცით, რომ ამ მთებში ჩვენი მკერავი ის კაცია, ვინც ყველაზე შორს იმოგზაურა? — გვკითხა ერთ-ერთმა მზიდავმა.

— ახალგაზრდობაში მე თვით ია ანში ვარ ნამყოფი, რომელიც იონგ ჟინგიდან ორას კილომეტრზეა, — გამოგვიცხადა დიდმა მოგზაურმა, პასუხი არ გვაცალა და განაგრძო, — ჩემს მასწავლებელს თქვენნაირი მუსიკალური ინსტრუმენტი ჰქონდა კედელზე ჩამოკიდებული, კლიენტებზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

შემდეგ დადუმდა და მისმა ამაღამ გზა განაგრძო.

მოსახვევთან, ზუსტად იმ დროს, თვალს რომ უნდა მიფარებოდა, მოტრიალდა და ხელახლა იყვირა:

— Way-o-lin!

მზიდავებმა და ამაღამში მყოფმა ათმა გლეხმა თავი ნელა ასწია და კრძელი ყვირილი ამოუშვა, ისე დამახინჯებული, რომ უფრო ტკივილისგან გამოწვეულ ოხვრას ჰგავდა, ვიდრე ინგლისურ სიტყვას:

— Way-o-lin!

და ანცი ბიჭების ბანდასავით გიჟებივით ახარხარდნენ. შემდეგ მოიხარნენ და გზა გააგრძელეს. ძალზე მალე ამაღლა ბურუსში ჩაინთქა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენ მკერავის სახელოსნოში შევალ-წიეთ. დიდი შავი ძაღლი გვიმხერდა და არ გვიყვებოდა. მალა-ზიაში. მოხუცი ამჯერადაც სოფელ-სოფელ სამოგზაუროდ იყო წასული და ჩვენ მისი ქალიშვილი გავიცანით, პატარა მკერავი, რომელსაც ლუოს შარვლის ხუთი სანტიმეტრით დაგრძელება ვთხოვეთ. ამ უკანასკნელს, ძალზე ცუდად გამოკვებილს, უძილობის მსხვერპლს და ხშირად მომავალზე გამწარებულს არ შეეძლო თავისი ზრდისთვის შეეშალა ხელი.

გაცნობისას პატარა მკერავს ლუო მამამისთან ჩვენი შეხვედრის ამბავს მოუყვა. წვიმაში, ნისლში შეხვედრის ამბავს და სიამოვნება არ მოიკლო, რომ მიებაძა, ცოტა გადაჭარბებითაც, მოხუცის საშინელი აქცენტისთვის. პატარა მკერავმა ხალისიანად გადაიკისკისა. მიმბაძველობის ნიჭი შთამომავლობითი იყო ლუოსათვის.

შევნიშნე, რომ სიცილისას გოგონას თვალები პრიმიტიულ ბუნებას ამჟღავნებდა, როგორც ჩვენი სოფლელი ტყიურების თვალები. მის მხერას ძვირფასი, მაგრამ დაუმუშავებელი პატოსანი თვლისა თუ ლითონის ელვარება ჰქონდა და ამას კიდევ უფრო უსვამდა ხაზს გრძელი წამწამები და კუთხეებში ზემოთ აზიდული თვალები.

— არ გაბრაზდეთ მასზე, — გვითხრა მან, — ის მოხუცი ბიჭია.

უეცრად სახე მოექუფრა და თვალები დახარა. თითოთ მანქანის დაფას ფხაჭნიდა.

— დედა ძალიან ადრე გარდაიცვალა. მამა დღემდე გლოვობს და დარდის გასაქარვებლად მხოლოდ იმას აკეთებს, რაც ართობს.

მისი მზემოკიდებული სახის კონტური ფაქიზი, თითქმის კეთილშობილური იყო. მის ნაკვთებში იყო მგრძობიარე და ამავე დროს სიმშვიდის მომგვრელი სილამაზე. ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგეთ სურვილს, რომ იქ დავრჩენილიყავით და გვეყურებინა, თუ როგორ ამუშავებდა იგი შანხაის საკერავი მანქანის პედალს.

ოთახი ერთდროულად მალაზიის, სახელოსნოს და სასადილოს ფუნქციას ასრულებდა. ხის იატაკი ჭუჭყიანი იყო, თითქმის ყველგან მოჩანდა ფურთხის შავი და ყვითელი ნაკვალევი, რომელსაც კლიენტები ტოვებდნენ. ეტყობოდა, ყოველდღე არ ირეცხებოდა. მზა ტანსაცმელი საკიდებით იყო ჩამოკიდებული შუა ოთახში გაჭიმულ გრძელ თოკზე. იყო აგრეთვე კუთხეში მიყრილი ნაჭრის რულონები და დაკეცილი ტანსაცმელი, ჭიანჭველა დახვეულები. უწესრიგობა, ესთეტური ზრუნვის ნაკლებობა და სრული არეულობა გამეფებულიყო ამ ადგილას.

მაგიდაზე მიგდებული წიგნი შევნიშნე და გავვოცდი ამ აღმოჩენით უწიგნური ხალხით დასახლებულ მთებში. საუკუნე იყო წიგნი არ გადამეშალა. იმწამსვე მივუახლოვდი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა: სამღებრო ქარხნის მიერ გამოშვებული ნაჭრის ფერების კატალოგი იყო.

— კითხულობ? — ვკითხე ქალიშვილს.

— ბევრს არა, — მიპასუხა დაუმორცხველად, — მაგრამ შტერად ნუ ჩამთვლით; მე მიყვარს წერა-კითხვის მცოდნე ხალხთან საუბარი, ქალაქელ ახალგაზრდებთან. ვერ შენიშნეთ? ჩემმა ძაღლმა არ დაგიყვანათ, როცა შემოდით, იცის ჩემი გემოვნება.

ჩანდა, ჩვენი მალე გაშვება არ უნდოდა. ადგა, შუაღობის ქუჩაში ყობილ ლითონის კერაზე ცეცხლი დაანთო, ზედ ქვაბი შემოდგა და წყლით გაავსო. ლუო მის თითოეულ ნაბიჯს თვალს არ აშორებდა, მერე პკითხა:

— რა უნდა მოგვართვა, ჩაი თუ ადუღებული წყალი?

— უფრო მეორე.

ეს იმის ნიშანი იყო, რომ ძალიან მოვწონდით. ამ მთაში წყლის დასაღებად დაპატიჟება ადუღებულ წყალში კვერცხების ჩახლას, შაქრის დამატებას და წვნიანის მომზადებას ნიშნავდა.

— იცი, პატარა მკერავო, — უთხრა ლუომ, — მე და შენ საერთო გვაქვს.

— ჩვენ?

— დიას, გინდა დავნაძლევდეთ?

— რაზე დავნაძლევდეთ?

— რაზეც გინდა. დარწმუნებული ვარ, დაგიმტკიცებ, რომ გვაქვს საერთო.

გოგონა ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— თუ წავაგე, შენს შარვალს უფასოდ დავაგრძელებ.

— კარგი, — უთხრა ლუომ. — ახლა მარცხენა ფეხზე ფეხსაცმელიც გაიხადე და წინდაც.

წამიერი ყოყმანის შემდეგ იგი დათანხმდა ცნობისმოყვარეობა აღძრული. მისმა ტერფმა, მასზე უფრო მორიდებულმა და მგრძობიარემ, ჯერ თავის ლამაზ მოხაზულობას ჩამოხსნა ფარდა, შემდეგ ლამაზ კოჭსა და მზინავ ფრჩხილებს. პატარა, მზეზე გარუჯული, მსუბუქად გამჭვირვალე, ცისფერი ვენებით დაფარული ტერფი.

როცა ლუომ თავისი ჭუჭყიანი, გაშავებული, გაძვალტყავებული ფეხი დადო პატარა მკერავის ფეხის გვერდით, ნამდვილად დავინახე მსგავსება: ორივეს მეორე თითი სხვა თითებზე უფრო გრძელი შქონდა.

უკან დასაბრუნებლად ძალზე გრძელი გზა გველოდა, ამიტომ ნაშუადღევის სამ საათზე წამოვედით, რომ დაღამებამდე ჩვენს სოფლამდე მიგვეღწია.

ბილიკზე ლუოს ვკითხე:

— მოგეწონა პატარა მკერავი?

მაშინვე არ მიპასუხა, გზას მიუყვებოდა თავდახრილი.

— შეგიყვარდა? — ვკითხე ხელახლა.

— არაა საკმაოდ ცივილიზებული. მით უფრო ჩემთვის.

შუქი გაჭირვებით მიიწევდა ვიწრო, ჩაბნელებულ, ვრძელ გვირაბში. დროდადრო ეს ერთი ციდა მოცახცახე განათებული წერტილი ძირს ეცემოდა, მერე ისევ იბრუნებდა წონასწორობას და წინ მიიწევდა. ხანდახან გვირაბი მოულოდნელად ქვემოთ ეშვებოდა და შუქი კარგა ხნით იკარგებოდა; მხოლოდ ქვიან ნიადაგზე ხეხუნიფა მოცემული მძიმე კალათების ჭრაჭუნის და გაჭირვებით მოძრაობის ბუზღუნით ისმოდა უკუნ სიბნელეში; იგი საოცრად უღერდა და საკვირველ მანძილზე გამოსცემდა ექოს.

უეცრად შუქი ისევ გამოჩნდა, ცხოველის თვალვით, რომლის სხეულიც უკუნითაა შთანთქმული და კოშმარივით მოაბიჯებს აცაბაცა ნაბიჯებით. ლუო იყო შუბლზე თასმით მიმაგრებული ზეთის ლამპით. ნახშირის მალაროში ვმუშაობდით. როდესაც გასავლელი ძალიან დაბალი იყო, დაოთხილი მოფორთხავდა. მთლად შიშველი იყო, ტყავის ღვედები ღრმად ჩაჭროდა სხეულში და სისხლი სდიოდა. ცხენივით იყო შებმული ამ საშინელი ანტრაციტის დიდი ნატეხებით დატვირთულ უზარმაზარი ნავის ფორმის კალათაში.

როდესაც ჩემამდე ამოვიდა, შევცვალე. მეც შიშველი ვიყავი, ნახშირით იყო გამურული ჩემი სხეულის ყოველი ნაწილი. მე ცხენივით კი არ გავათრიე ტვირთი, ხელის კვრით წინ გავიგდე. გვირაბიდან გამოსასვლელად ციცაბო აღმართზე აძრომა იყო საჭირო, ჭერი აქ მაღალი იყო; ლუო ყოველთვის მეხმარებოდა ასვლაში და ხანდახან ჩვენი კალათის დაცლაშიც გარეთ დაყრილი ნახშირის გორაზე: მტვრის სქელი ღრუბელი დგებოდა, ჩვენ კი მიწაზე ვეყარეთ მთლად ღონემიხდილნი.

ძველად, როგორც აღვნიშნე, ცის ფენიქსის მთა განთქმული იყო სპილენძის საბადოებით (მას აგრეთვე ჰქონდა პატივი შესულიყო ჩინეთის ისტორიაში, როგორც გულუხვი საჩუქარი პირველი ოფიციალური ჩინელი ჰომოსექსუალისა, იმპერატორისა). მაგრამ უკვე დიდი ხნის წინ გაუქმებული ეს მალაროები ჩამოინგრა. პატარა, კუსტარული ნახშირის მალაროები კი რჩებოდა ყველა სოფლის საერთო საკუთრებად, მათ ყოველთვის ამუშავებდნენ და იგი მთიელებს საწვავით ამარაგებდა. ამგვარად, როგორც ყველა ახალგაზრდა ქალაქელი, ლუო და მეც ვერ დავუძვერით ხელახალი აღზრდის ამ გაკვეთილს, რომელიც ორი თვე გაგრძელდა. თვით ჩვენს წარმატებას „ზეპირი კინოს“ საგანში არ შეეძლო ვადის შემოკლება.

სიმართლე რომ ითქვას, ჩვენ დავთანხმდით ამ ჯოჯოხეთურ გამოცდას იმის სურვილით, რომ „რბოლაში დავრჩენილიყავით“, რამეთუ ჩვენი ქალაქში დაბრუნების შანსი სასაცილო იყო და მხოლოდ ათასიდან სამის შესაძლებლობას წარმოადგენდა. ვერ წარმოგვედგინა, თუ ეს მალარო ჩვენზე ასეთ საშინელ ფიზიკურ და განსაკუთრებით მორალურ კვალს დატოვებდა. დღესაც შიშით ვკანკალებ ამ საზარელი სიტყვების: „ნახშირის პატარა მალაროს“ გახსენებისას.

შესასვლელის გარდა, სადაც ოციოდე მეტრის მონაკვეთის დაბალი ჭერი გამაგრებული იყო სახელდახელოდ გამოჩორკნილი და ნაუცბათევად დაწყობილი ხის კოჭებითა და ბოძებით, გვირაბის დანარჩენ ნაწილს, ე. ი. შვიდას მეტრამდე სავალს არაფითარი დაცვა არ გააჩნდა.

ყოველ წამს შეიძლებოდა ქვა თავში დაგვეცემოდა. სამი მოხუცი მალაროელი გლეხი წამდაუნწუმ გვიყვებოდა ჩვენამდე მომხდარი სასტიკდილო შემთხვევების ამბებს. გვირაბის ბოლოდან გამოტანილი თითოეული კალათა ჩვენთვის რუსულ რულეტკად იქცა.

ერთ დღეს, როდესაც ციცაბო დაქანებაზე ნახშირით დატვირთულ კალათას ორივე ერთად ვაწვებოდით, გავიგონე, როგორ თქვა ჩემს გვერდით მყოფმა ლუომ:

— არ ვიცი რატომ, მაგრამ, რაც აქ ვართ, ერთი აზრი ამეკვიატა, ვგრძნობ, ამ მალაროში მოვკვდები.

ხმა ველარ ამოვიღე. გზა განვაგრძეთ, მაგრამ უეცრად ვიგრძენი, რომ ცივმა ოფლმა დამასხა. ამ წამის შემდეგ აზრი, ვაითუ მართლა აქ მოვკვდეს-მეთქი, მეც ამეკვიატა.

ჩვენ მალაროელ გლეხებთან ვცხოვრობდით მთის ფერდის კლდოვან შვერილზე მიკუნჭულ ბეჩავ ხის ქოხ-საძინებელში. ყოველ დღით გაღვიძებისას მესმოდა კლდიდან ჩამოჟონილი წვეთების ხმაური ყავრით გადახურულ სახურავზე და ნუგეშცემული ვფიქრობდი, რომ ჯერ მკვდარი არ ვიყავი. მაგრამ როცა ქოხს ვტოვებდი, არასოდეს ვიყავი დარწმუნებული, რომ სალამოს მოვბრუნდებოდი. უმცირესი რამ, გლეხების უგერგილო ხუმრობა სიკვდილზე თუ ამინდის შეცვლა, ჩემს თვალში ორაკულურ მნიშვნელობას იძენდა და ჩემი სიკვდილის წინასწარმეტყველურ ნიშნად იქცეოდა.

ხანდახან მუშაობისას ხილვები მქონდა. უეცრად ასეთი გრძნობა მეუფლებოდა: თითქოს რბილ ნიადაგზე მივაბიჯებ, ველარ ვსუნთქავ და ძლივს ვიაზრებ, რომ ეს უკვე სიკვდილია; მთელი ჩემი ბავშვობა ელვის სისწრაფით ჩამიქროლებს თვალწინ, ისე როგორც მომაკვდავებს ემართებათ. კაუჩუკისმაგვარი ნიადაგი ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ მეცლება, შემდეგ ჩემს ზემოთ გამაყრუებელი ტკაცანი ისმის, თითქოს ჭერი ინგრევა. გიჟივით მივფორთხავ დაოთხილი, ჩემ წინ დედაჩემის სახე ჩნდება, მალევე მამის სახით იცვლება. ეს სულ რამდენიმე წამი გრძელდება და იდუმალი ჩვენება ქრება. მე ისევ მალაროს ვიწრო გასასვლელში ვარ, ჭიაყელასავით შიშველი და გასასვლელისკენ მივათრევ ჩემს ტვირთს. ჩემი ზეთის ლამპის მოცახცახე შუქზე ვხედავ მიწას და საბრალო ჭიანჭველას, რომელიც ნელა მიცოცავს თვითგადარჩენის სურვილით შეპყრობილი.

ერთ დღეს, დაახლოებით მესამე კვირაში, გავიგონე გვირაბში ვიღაც ტიროდა, მაგრამ მალაროელის ლამპის შუქი არსად ჩანდა.

ეს არც ემოციური ქვითინი იყო და არც დაჭრილის კვნესა, არამედ აღვირაწყვეტილი, ცხელ ცრემლებად გადმოღვრილი ტირილი სრულ უკუნეთში. კედლების მიერ არეკლილი ეს ტირილი გრძელ ექოდ გაისმოდა მთელ გვირაბში. მყარდებოდა, დედდებოდა და ყოვლისმომცველი უკუნეთის ნაწილი ხდებოდა. ეჭვი არ იყო ლუო ტიროდა.

მეექვსე კვირის ბოლოს იგი ავად გახდა. ციებ-ცხელება შეეყარა. ერთხელ შუადღისას, როცა მალაროს შესასვლელთან ხის ქვეშ ვჭამდით, მითხრა, მცივაო, და რამდენიმე წუთის შემდეგ ხელი ისე აუკანკალდა,

რომ ველარც ჩხირები დაიჭირა და ველარც ბრინჯის ჯამი. როდესაც დასაწოლად ქონისკენ წავიდა, ბარბაცებდა, თვალები ამღვრეული ჰქონდა. ქონის ფართოდ გაღებულ კართან ვიღაც უხილავს უყვირა: გამატარეო. ამან მალაროელ გლეხებში, ხის ქვეშ რომ ჭამდნენ, გულიანი ხარხარი გამოიწვია.

— ვის ელაპარაკები? — ეკითხებოდნენ ისინი <sup>ეროვნული</sup> ~~ბარბაცებდა~~ <sup>უყვირა</sup> იმ ღამეს, მიუხედავად იმისა რომ უამრავი რამ დავაფარეთ და ნახშირის უხარმაზარი ღუმელიც ავანთეთ, მაინც სიცივეს უჩიოდა.

გლეხებმა სმადბალი ხანგრძლივი კამათი წამოიწყეს. გადაწყვიტეს, წაეყვანათ ლუო და მის დაუკითხავად გაყინულ მდინარეში შეეგდოთ. ფიქრობდნენ, რომ შოკი უეცრად გამოაჯანმრთელებდა. მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა, იმის შიშით, ამ შუალამისას არ დაგვეხრჩოსო.

ერთი გლეხი გავიდა და ხელში ხის ორი ტოტით დაბრუნდა.

— ერთი ატმისაა, მეორე ტირიფის, — ამიხსნა მან. — სხვა ხეები არ მოქმედებენ.

მან ააყენა ლუო, გახადა ქურთუკი და სხვა ტანსაცმელიც და შიშველ ზურგზე დაუწყო ტოტებით გამათრახება.

— უფრო ძლიერად! — ყვიროდნენ გვერდში მყოფი სხვა გლეხები. — თუ სუსტად დაარტყამ, ვერასოდეს განდევნი ავადმყოფობას.

ტოტები ერთმანეთის მიყოლებით ზუოდა ჰაერში. გამათრახება სისასტიკედ იქცა, ლუოს სხეულზე დააჩნდა მუქი წითელი ნაკვალევი. ეს უკანასკნელი, გამოღვიძებული, დარტყმებს განსაკუთრებული რეაქციის გარეშე იღებდა. თითქოს სიზმარში ვიღაც სხვისი გამათრახების სცენას უყურებდა. არ ვიცოდი, რა ხდებოდა მის თავში, მაგრამ მეშინოდა და, ის ფრაზა, რამდენიმე კვირით ადრე რომ მითხრა, თავში მიტრიალებდა და გამათრახების შემზარავ ხმაურში საბედისწეროდ ეღერდა: „ერთი აზრი ამეკვიატა, ვგრძნობ, ამ მალაროში მოვკვდები“.

პირველი გამათრახებელი დაიღალა და ითხოვა, ესტაფეტა სხვას გაეგრძელებინა. მაგრამ ვერავინ დაიყოლია. ძილმა თავის ძალაუფლება დაიბრუნა, გლეხებს ეძინებოდათ და თავიანთ საწოლებს მიაშურეს. ატმის და ტირიფის ტოტები მე შემრჩა ხელში. ლუომ თავი ასწია, სახე გაფითრებული ჰქონდა, შუბლი კი ოფლის წვრილი წვეთებით დაფარული. მისი უაზრო მზერა ჩემსას შეხვდა:

— მიდი, — მითხრა მან ძლივს გასაგონი ხმით.

— ცოტას ხომ არ დაისვენებდი? — ვკითხე. — ნახე, როგორ გიკანკალებს ხელები. ვერ გრძნობ?

— ვერა, — თქვა მან და ხელები თვალებთან მიიტანა... — მართლა ვკანკალებ და მცივა, როგორც მომაკვდავ ბებერს.

ჯიბეში სიგარეტის ნამწვი ვიპოვე, მოვუკიდე და გავუწოდე, მაგრამ მაშინვე გაუვარდა და იატაკზე დავარდა.

— ფუჰ, ამის... რა მძიმეა! — თქვა მან.

— მართლა გინდა, რომ გირტყა?

— კი, ეს ცოტა მათბობს.

სანამ გამათრახებას დავუწყებდი, მინდოდა, ერთი კარგი ნაფაზი დამერტყმევიინებინა. დავიხარე ნამწვის ასაღებად, რომელიც ისევ ბოლავდა, უეცრად რალაც მოთეთრო მომხვდა თვალში; კონვერტი იყო, რომელიც საწოლის ფეხთან ეგდო.

ავიდე. კონვერტი გაუხსნელი იყო და ზედ ლუოს გვერდზე იწერა. გლახებს ვკითხე, აქ საიდან გაჩნდა-მეთქი, ერთ-ერთმა საწოლიდან მოპასუხა: რამდენიმე საათის წინ კაცი იყო ნახშირის საყიდლად და იმან ამოიტანაო.

გავხსენი. თითქმის ერთი გვერდი იყო. ფანქრით ნაწერი ხან მჭიდრო იყო, ხან გაშლილი. ნიშნები უმეტესად ცუდად იყო მოხაზული, მაგრამ ამ მოუხერხებლობაში ქალური სიმშვიდე და ბავშვური უშუალობა გამოსჭვიადა. მე ის ლუოს მშვიდად წავუკითხე:

ლუო, ფილმების მთხრობელო,

არ დამცინო ჩემი ხელწერის გამო, მე შენსავით კოლეჯში არ მისწავლია. შენ კარგად იცი, ჩვენს მთებში უახლოესი კოლეჯი იონგჯინგშია, იქ წასასვლელად კი ორი დღეა საჭირო. მე მამამ მასწავლა წერა-კითხვა. შენ შეგიძლია „დაწყებით სკოლა დამთავრებულთა“ კატეგორიაში ჩამთვალო.

ახლახან გავიგე, რომ შენ საუცხოოდ ჰყვები ფილმებს შენს მეგობართან ერთად. მე ველაპარაკე ჩემი სოფლის თავკაცს და დავითანხმე ორი გლახი გამოაგზავნოს ორი დღით პატარა მალაროში თქვენს შესაცვლელად. თქვენ კი მოხვალთ და ფილმებს მოგვიყვებით.

ამოსვლა მინდოდა მალაროში, რომ ეს ახალი ამბავი თქვენთვის მეცნობებინა, მაგრამ მითხრეს, რომ მანდ მთლად შიშველი კაცები არიან და ეს აკრძალული ადგილია გოგონებისთვისო.

როდესაც მალაროზე ვფიქრობ, აღფრთოვანებული ვარ შენი სიმამაცით. ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს ისაა, რომ მალარო არ ჩამოიქცევა. მე თქვენთვის ორი დასვენების დღე, ე. ი. ორი ნაკლებ ხიფათიანი დღე მოვიგე.

ნახვამდის. მომიკითხე შენი მევიოლინე მეგობარი.

პატარა მკერავი.

8. 07. 1972

უკვე დაწერილი მქონდა ეს ორიოდ სიტყვა, მაგრამ გამახსენდა, სასაცილო ამბავი მაქვს შენთვის სათქმელი; თქვენი ჩემთან ყოფნის შემდეგ ბევრი ადამიანი ვნახე, ვისაც მეორე თითი ცერზე გრძელი აქვს ჩვენსავით. გულგატეხილი ვარ, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება.

გადავწყვიტეთ „ყვავილების გამყიდველი გოგონას“ ამბავი მოგვეთხრო.

იმ სამი ფილმიდან, რომელიც იონგ უინგში კალათბურთის მოედანზე ვნახეთ, ყველაზე პოპულარული ჩრდილო კორეული მელოდრამა იყო, რომლის მთავარ გმირსაც „ყვავილების გოგონა“ ერქვა. ჩვენ იგი ჩვენი სოფლის გლახებს მოვუყევით და როდესაც სუანსის ბოლოს, ოფი-



ციალური, მგრძნობიარე და ფატალური ტონის მიზაძვით, ყელში ოდნავი ცახცახით წარმოვთქვი ბოლო ფრაზა: „ანდაზა ამბობს, წრფელ გულს ქვის აყვავებაც შეუძლიაო, ნუთუ ყვავილების გოგონას გული არაა საკმაოდ წრფელი?“ — ეფექტი ისეთივე გრანდიოზული იყო, როგორც ნამდვილი ჩვენების დროს. ყველა მსმენელი ტაროვდა სოფლის თავკაციც კი. მკაცრი იყო, მაგრამ თავი ვერ შეიკავებდა მხიარულ გრემლები ღვარა თავისი მარცხენა თვალიდან, რომელშიც ისევ ჰქონდა სისხლის სამი წერტილი.

მიუხედავად ხურვების განმეორებადი შემოტევებისა ლუოს თავი გამოჯანმრთელებულად მიაჩნდა და ჩემთან ერთად წამოვიდა პატარა მკერავის სოფელში, ნამდვილი დამპყრობლის მგზნებარებით. მაგრამ გზაში ისევ წამოუარა ციებ-ცხელებამ, მიუხედავად მზიანი დღისა, მითხრა, ისევ შემამცივნაო. და როდესაც ცეცხლთან ჩამოჯდა, ძლივს რომ დავანთე ხმელი ტოტებითა და ფოთლებით, სიცივის შეგრძნება კი არ შეუმცირდა, მისთვის აუტანელი შეიქნა.

— განვაგრძოთ გზა, — მითხრა და წამოდგა, კბილს კბილზე აცემინებდა. ბილიკის მთელ გაყოლებაზე ჩანჩქერის ხმა, მაიმუნებისა და სხვა გარეული ცხოველების ყვირილი გვესმოდა. მცირე ხნის მანძილზე იმდენჯერ შეამცივნა და შეახურა, რომ სული გაუმწარდა. ვხედავდი, ბარბაცით როგორ დაეშვა ციცაბო კლდისკენ, მის ფეხქვეშ მომწყდარი მიწის ბელტები და ქვა-ღორღი ისეთ ღრმა უფსკრულში ცვიოდა, რომ კარგა დიდი ხნის შემდეგ აღწევდა დაცემის ხმა ჩვენამდე. გავაჩერე, ლოდზე დავსვი, მოვიცადეთ, სანამ ცხელება გაუვლიდა.

პატარა მკერავთან მისვლისას ჩვენდა საბედნიეროდ შევიტყვეთ, რომ მამამისი ისევ წასული იყო. წინა ჯერის მსგავსად შავი ძაღლი დაუყუფავად მოგვიახლოვდა და დაგვეყნოსა.

ლუო შევიდა, სახეზე აღმური გადასდიოდა, ბოდავდა. ციებ-ცხელების შეტევამ ისე გაანადგურა, რომ მის შემხედვარე პატარა მკერავს თავზარი დაეცა. იმწამსვე გააუქმა ზეპირი კინოს სეანსი და ლუო თავის ოთახში ქინქლებისგან დამცავ თეთრბადიან საწოლში დააწვინა. მან თავისი გრძელი ნაწნავი კეფაზე შემოიგრაგნა, ძალიან მალალი შინაონი გამოუვიდა. შემდეგ ვარდისფერი ფესსაცმელები გაიძრო, ფეხშიშველი გარეთ გავარდა და მომაძახა:

— წამომყევი, მე ვიცი ამის უებრო წამალი.

ეს ჩვეულებრივი მცენარე იყო, სოფლის შორიახლოს, რუს პირას იზრდებოდა. პატარა, ასე ოცდაათიოდე სანტიმეტრი სიმაღლის ჩირგვი იყო, მჭახე ვარდისფერი ყვავილებით, ოდნავ ატმის ყვავილებს რომ წააგავდა, ოღონდ უფრო დიდი იყო, და რუს დაბალ გამჭვირვალე წყალში ირეკლებოდა. მცენარის სამედიცინო დანიშნულებით გამოსაყენებელი ნაწილი მისი კუთხოვანი, წვეტიანი, იხვის თათების მსგავსი ფოთლები იყო. პატარა მკერავმა უამრავი მოკრიფა.

— რა ჰქვია ამ მცენარეს?

— ჯამის ნამტვრევი.

მან ფოთლები თეთრი ქვის როდინში დანაყა. როცა ერთგვაროვანი მწვანე მასა მიიღო, ლუოს ხელისგულზე ბლომად წაუსვა, ლუოს ისევ ბოდავდა, მაგრამ თანდათან რაღაც აზრიანიც გამოერია მის ნათქვამში. მან ნება მისცა გოგონას მისთვის ხელი თეთრი ბაშბის გრძელი ნაჭრით შეეხვია.

სალამოსთვის ლუოს სუნთქვა დაუმშვიდდა და ჩაეძინა.

— გჯერა ამ რაღაცების? — გაუბედავი ხმით მკითხა პატარა მკერაემა.

— რა რაღაცების?

— აი, რაც არაა მთლად ბუნებრივი.

— ხან კი, ხან არა.

— ისე მპასუხობ, თითქოს გეშინია, არ დაგაბეზლო.

— სულაც არა.

— მაშ?

— ჩემი აზრით, მათი არც მთლიანად დაჯერება შეიძლება და არც სრულიად უარყოფა.

კმაყოფილი ჩანდა ჩემი პასუხით. მან საწოლს გადახედა, სადაც ლუოს ეძინა და მკითხა:

— ლუოს მამა ვინაა? ბუდისტია?

— არ ვიცი, მაგრამ ის დიდი დანტიისტია.

— რა არის დანტიისტი?

— არ იცი, რა არის დანტიისტი? ის ვინც კბილებს კურნავს.

— არ ხუმრობ? გინდა თქვა, რომ კბილებში დამალული ჭიების ამოღება შეიძლება, ტკივილს რომ იწვევენ?

— კი, ეგრეა, — ვუპასუხე სერიოზულად, — მე ერთ საიდუმლოსაც გეტყვი, ოღონდ უნდა დაიფიცო, რომ არავის ეტყვი.

— ვფიცავ.

— მამამისმა, — ვუთხარი და ხმას დავუწიე, — კბილიდან ჭიები თვით პრეზიდენტ მათს ამოაცალა.

წუთიერი მოწიწებული ღუმლის შემდეგ მკითხა:

— ამაღამ მჩხიბავეები რომ მოვუყვანო მის შვილს ლამის სათევად, ხომ არ გაბრაზდება?

გრძელ, შავ და ლურჯ ქვედაკაბებში გამოწყობილი, თმებში ყვავილებჩაწნული, მაჯებზე გიშრის სამაჯურებიანი ოთხი დედაბერი მოვიდა სამი სხვადასხვა სოფლიდან და შუალამისას მოუსვენრად მძინარე ლუოს გარშემო შეიკრიბა. თითოეული საწოლის თითო კუთხეში ჩამოჯდა და მას ფარდის გარედან აკვირდებოდა. ვერაფრით იტყოდი, რომელი იყო უფრო დანაოჭებული, უფრო მახინჯი და რომელი აშინებდა ავსულებს.

ერთ-ერთ მათგანს, რა თქმა უნდა, უფრო დაგრეხილს, ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა.

— პირობას გაძლევ, — მითხრა მან, — რომ პატარა მალაროს ავისული, რომელიც შენს მეგობარს ტანჯავს, ამაღამ აქ მოსვლას ვერ გაბედავს. ჩემი მშვილდი ტიბეტურიდანაა, ჩემს ისარს კი ვერცხლის წვერი

აქვს. როცა ვისვრი, ის მფრინავ ფლეიტას ემსგავსება და გულს უგმი-  
რავს დემონებს, რა ძალის პატრონნიც არ უნდა იყვნენ ისინი.

მათმა ხნოვანებამ და გვიანმა დრომ თავისი გაიტანა, ხელ-ნელა  
მთქნარება დაიწყეს და თუმცა მასპინძელი მაგარ ჩაის ასმევდათ, ძილმა  
მაინც წაართვათ თავი. მშვილდის პატრონსაც ჩაეძინა თავისი  
იარაღი საწოლზე დადო და შემდეგ დონდლო, შეღებულ ქუთუთოები  
მძიმედ დაეხუჭა.

— გააღვიძე ისინი, — მითხრა პატარა მკერავმა, — ფილმი მოუ-  
ყვი.

— რა ჟანრის?

— სულ ერთია. მთავარია ფხიზლად იყვნენ.

მაშინ მე დავიწყე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური სეანსი.  
მთებში ჩაკარგულ სოფელში, საწოლის წინ, სადღაც ჩემს მეგობარს  
უცნაური ძილქუში დასწოლოდა, ვყვებოდი ჩრდილო კორეულ ფილმს  
ლამაზი გოგონასა და ოთხი ბებერი კუდიანისთვის, რომელთაც ნავთის  
ლამპის მოცასცახე შუქი ანათებდა.

ძლივძლივობით გავართვი თავი თხრობას, მაგრამ რამდენიმე  
წუთში ამ საცოდავი „ყვაგილების გოგოს“ ამბავმა ჩემ მსმენელთა ყუ-  
რადლება მიიპყრო. რამდენიმე კითხვაც კი დამისვეს; რაც უფრო წინ  
მიიწევდა თხრობა, მით ნაკლებად აფასულებდნენ თვალებს.

მაგრამ მაინც, ამ კინოსეანსს ის ხიბლი არ ახლდა, რაც ლუოს ჩა-  
ტარებულს. მე არ ვიყავი მთხრობლად დაბადებული. მე ლუო არ ვიყავი.  
ასე ნახევარი საათის ბოლოს იყო პირველი კულმინაცია, როდესაც „ყვა-  
გილების გოგონა“ ამდენი გადატანილი უბედურების შემდეგ ცოტა-  
ოდენი ნაშოვნის ფულით, საავადმყოფოში შერბის, დედა კი გარდაცვლი-  
ლი ხვდება, რომელიც თავისი ქალიშვილის სახელს სულის ამოსვლამდე  
უიმედოდ იმეორებდა. ნაღდი პროპაგანდისტული ფილმი იყო. ფილმის  
ყურებისას თუ ჩვენს სოფელში თხრობისას სწორედ ამ მომენტზე ტი-  
როდა ხალხი. ეტყობა, კუდიანი დედაბრები სხვა თარგზე იყვნენ მო-  
ჭრილნი. ისინი ყურადღებით, გარკვეული ემოციით მისმენდნენ, ვგრძ-  
ნობდი, ჟრუანტელიც კი უვლიდათ ტანში, მაგრამ ცრემლები არ მობრ-  
ძანდნენ პაემანზე.

საკუთარი შესრულებით გულგატეხილმა დავამატე დეტალი —  
აკანკალებულ გოგოს ხელიდან უცვივა ფული, თითებს შორის უსრი-  
ალებდა... მაგრამ ჩემი მსმენელები გამძლეები აღმოჩნდნენ.

უეცრად, ქინქლებისგან დასაცავი თეთრი ფარდიდან ხმა გაისმა,  
გეგონებოდათ, ჭიდან ისმისო:

— ანდაზა ამბობს, — თრთოდა ლუოს ხმა, — წრფელ გულს ქვის  
აყვავება შეუძლიაო, მაგრამ მითხარით, ნუთუ ამ „ყვაგილების გოგო-  
ნას“ გული არ იყო საკმაოდ წრფელი?

მე ლუოს მიერ დროზე ადრე წარმოთქმულმა ამ ფინალურმა ფრა-  
ზამ უფრო გამაოცა, ვიდრე მისმა უცაბედმა გამოღვიძებამ. რა საოც-  
რება მოხდა... გარშემო მიმოვიხედე და ოთხივე კუდიანი ტიროდა!  
ცრემლები თქრიალით მოსდიოდათ, მათ ჯიუტ წინააღმდეგობას ანგ-  
რევდა, ჩანჩქერად ეღვრებოდათ განადგურებულ, გაცვეთილ სახეებზე.

რომელი მთხრობელის ნიჭი შეედრებოდა ლუოსას! მას შეეძლო მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა მხოლოდ ოფიციალური ტონისა და მგრძნობიარე ხმის მონაცვლეობით, მაშინაც კი, როცა ის ცივ-ცხელებით ლოგინს იყო მიჯაჭვული.

თხრობა წინ მიიწევდა და უცებ ვიგრძენი, რომ რაღაც შეეცვალა პატარა მკერავის არსებაში. დავინახე, რომ მისი თმა დაწნულნი იყვნენ იყო, არამედ ძვირფას საწმისად გაშლილიყო და ტალღებად ჩამოშლილიყო მის მხრებზე. მივხვდი, ლუომ გააკეთა ეს, როცა სიცხიანი ხელს ყოფდა ფარდის გარეთ. უეცრად ქარმა ააცახცახა ნავთის ლამპა და სანამ ჩაქრებოდა, მგონი, დავინახე, რომ პატარა მკერავმა ფარდის კალთა ასწია, დაიხარა და ლუოს მალულად აკოცა.

ერთ-ერთმა კუდიანმა დედაბერმა ხელახლა აანთო ლამპა და მე კიდევ დიდხანს განვაგრძობდი კორეელი გოგონას ამბის მოყოლას. ქალების ცრემლთა ღვრა, ქსუტუნი და ცხვირის მოხოცვის ხმა აღარ შეწყვეტილა.

## თავი 2

ბინოკლარდს საიდუმლო ჩემოდანი ჰქონდა, რომელსაც გულდაგულ მალავდა.

ის ჩვენი მეგობარი იყო (ვახსოვთ, მე უკვე ვახსენე მისი სახელი, როცა პატარა მკერავის მამას შევხვდით ბინოკლარდთან მიმავალ გზაზე). სოფელი, სადაც მისი ხელახალი აღზრდა მიმდინარეობდა, ჩვენსაზე დაბლა იყო ცის ფენიქსის მთის ფერდობზე. ხშირად საღამოობით ლუო და მე მასთან მივდიოდით საჭმლის გასაკეთებლად, როცა ხორცის ნაჭერს ან ერთ ბოთლ სასმელს ვიშოვიდით, ანდა კარგი ბოსტნეულის მოპარვას შევძლებდით გლეხების ბოსტნებიდან. მასაც ყოველთვის ვუნაწილებდით ჩვენს ნადავლს, თითქოს სამთა ბანდა გვქონდა შექმნილი. და მით უფრო გვაკვირვებდა, რომ ამ იდუმალი ჩემოდნის არსებობას გვიმალავდა.

მისი ოჯახი იმ ქალაქში ცხოვრობდა, სადაც ჩვენი მშობლები მუშაობდნენ; მამამისი პროზაიკოსი იყო, დედა პოეტი. ახლახან ორივემ ხელისუფლების გულისწყრომა დაიმსახურა და თავიანთ საყვარელ შვილს „ათასიდან სამი“ შესაძლებლობა დაუტოვა, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ლუოსა და ჩემსავით. ამ უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი, რასაც იგი თავის შემქმნელთ უნდა უმადლოდეს, თვრამეტი წლის ბინოკლარდი გამუდმებით შიშის მსხვერპლი იყო.

მასთან ერთად ყველაფერი „ხიფათის“ ელფერს იღებდა. ისეთი გრძნობა გვეუფლებოდა, თითქოს სამი ბოროტმოქმედი ვიყავით მასთან ნავთის ლამპის გარშემო შეკრებილნი და რაღაც შეთქმულებას ვაწყობდით. ავიღოთ მაგალითად სადილი: თუ ვინმე კარზე დააკაკუნებდა, როცა ჩვენს მიერვე მომზადებული ხორცის დიდებული კერძის სურნელში ვიყავით გახვეულნი, რომელიც სამ დამშეულს, როგორც ჩვენ განვსჯით, განცხრომის სიამოვნებაში გვითრევდა, ეს მას საშინლად აფრთხობდა. დგებოდა, მაშინვე მალავდა ხორციან კერძს ოთახის კუთხეში, თითქოს მოპარული გვქონდა და დაობებული ბოსტნეულის მყრა-

ლი კერძით ცვლიდა; სორცის ჭამა მას ბურჟუაზიისთვის ჩვეულ დანა-  
შაულად მიაჩნდა, რომლის ნაწილიც მისი ოჯახი იყო.

კუდიანებისთვის ჩატარებული ზეპირი კინოსეანის მერე დღეს  
ლუომ თავი უკეთ იგრძნო და სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა. პატა-  
რა მკერავმაც აღარ დაგვაძალა დარჩენა. დაღლილობისგან მკვდარი  
იყო.

საუზმის შემდეგ ლუო და მე მოსაბეზრებელ, ერთფეროვან გზას  
გავუდევით. დილის ნოტიო ჰაერი სასიამოვნოდ გვიგრილებდა პირისა-  
ხეს. ლუო მიდიოდა და სიგარეტს ეწეოდა. ბილიკი ჯერ ქვევით ეშვებო-  
და, მერე ისევ მაღლა ადიოდა. მე ავადმყოფს სიარულში ვეხმარებოდი  
ძალზე დამრეც ბილიკზე. მიწა რბილი და სველი იყო; ჩვენს ზემოთ  
ტოტები ერთმანეთში ჩახლართულიყო. ბინოკლარდის სოფელთან ჩავ-  
ლისას დავინახეთ, რომ ის ბრინჯის ყანაში მუშაობდა; კამეჩით მიწას  
ხნავდა.

ბრინჯის პლანტაციაში კვლები არ ჩანდა, წყალი მშვიდად ფარავ-  
და ორმოცდაათი სანტიმეტრის სიღრმის მსუყე ტალახს. წელს ზევით  
შიშველი, მოკლე შარვალში გამოწყობილი ჩვენი გუთნისდედა, მუხ-  
ლამდე ტალახში ჩაფლული უკან მიჰყვებოდა შავ კამეჩს, რომელიც გა-  
ჭირვებით მიათრევდა გუთანს. მზის პირველი სხივები ირეკლებოდა მის  
სათვალეზე.

კამეჩი ნორმალური ზომის იყო, მაგრამ კუდი ჰქონდა არაჩვეუ-  
ლებრივად გრძელი, წამდაუწუმ აქნევდა და თითქოს საგანგებოდ ასხამ-  
და სახეში ტალახსა და სხვა სიბინძურეს თავის თავაზიან, გამოუცდელ  
პატრონს. მიუხედავად გაფაციცებული მცდელობისა აეცდინა დარტყმე-  
ბი, წამიერი უყურადღებობაც საკმარისი იყო, რომ კამეჩის კუდი პირ-  
დაპირ სახეში მოხვედროდა და მისი სათვალე ჰაერში გაფრენილიყო.  
ბინოკლარდმა შეიგინა, მარჯვენა ხელიდან სადავე დაუსხლტა, მარცხე-  
ნიდან კი გუთანს. ორივე ხელი თვალბთან მიიტანა, დაიყვირა, დაი-  
ღრიალა და გინება აღმოხდა, თითქოს უეცრად დაბრმავდა.

იმდენად გაბრაზებული იყო, რომ არც მისი ნახვით გამოწვეული  
ჩვენი სიხარული დაუნახავს და არც მეგობრული შეძახილები გაუგონია.  
ძალიან ახლომხედველი იყო და რაც არ უნდა დაეჭყიტა თვალები, ოც  
მეტრში ვერ გვიცნობდა და ვერ გაგვარჩევდა მომიჯნავე პლანტაციებ-  
ში მომუშავე გლეხებისგან, რომლებიც მას დასცინოდნენ. ძირს დახრი-  
ლი ტალახში ხელებს თავის გარშემო ბრმად აფათურებდა. მისმა სისხ-  
ლიანმა, დაბერილმა, ყოველგვარ ადამიანურ გამომეტყველებას მოკ-  
ლებულმა თვალებმა შემაშინა.

ბინოკლარდმა, ეტყობა, სადისტური გრძნობა გაუღვიძა კამეჩს.  
იგი უკან მობრუნებული გუთანს მოათრევდა, თითქოს ჩამოვარდნილი  
სათვალის გადათელვა და გუთნის წვეტიან სახნისზე დამსხვრევა უნდაო.

ფეხსაცმელი გავიხადე, შარვლის ტოტები ავიკეცე და ბრინჯის  
პლანტაციაში შევედი; ჩემი ავადმყოფი ბილიკის პირას დავტოვე, და  
მიუხედავად იმისა, რომ ბინოკლარდს არ სურდა მის ისედაც გართუ-  
ლებულ ძიებაში ჩავრეულიყავი, სწორედ მე, ტალახში ხელებმოფათუ-  
რემ, დავაბიჯე მის სათვალეს. კიდევ კარგი არ გატყდა.

როდესაც გარე სამყარო ბინოკლარდისტის ისევ მკაფიო და ნათელი შეიქნა, გაოცდა იმის დანახვისას, თუ რა დღეში ჩაეგდო ციებ-ციხელებას ლუო.

— მაგრა ცუდად ხარ, გეფიცები! — უთხრა მას.

სამუშაოს მიტოვება არ შეეძლო, მაგრამ შემოგვთავაზა ნიჟინსკი სახლში წადით, დაისვენეთ და მეც სამუშაოს მერე დაგბრუნებენ.

მისი სახლი სოფლის შუაგულში იდგა. მას იმდენად მცირე როდენობის პირადი ნივთები ჰქონდა და ისე ზრუნავდა საქვეყნოდ გამომყლაპვებინა თავისი სრული ნდობა რევოლუციონერი გლეხებისადმი, რომ კარს გასაღებით არასოდეს კეტავდა. სახლი, მარცვლეულის ძველი საწყობი, ჩვენი სახლივით ხიმინჯებზე იყო შემდგარი, მაგრამ მსხვილ ბამბუკებზე დაყრდნობილი ტერასა ჰქონდა, სადაც მარცვლეულს, ბოსტნეულსა და წიწაკას აშრობდნენ. ლუო და მე ტერასაზე მოვთავსდით და მზეს მივეფიცხეთ. შემდეგ მზე ღრუბლებს მოეფარა და აცივდა. როგორც კი ოფლი შეაშრა, ლუოს გამხდარი ზურგი, ხელები და ფეხები ყინულივით გაუხდა. მე ბინოკლარდის ძველი პულოვერი ვიპოვე, ზურგზე მოვახურე და სახელოები კაშნესავით ყელზე შემოვახვიე.

მერე მზემ ისევ გამოანათა, მაგრამ ლუო ისევ წუწუნებდა, მცირავო. შევბრუნდი ოთახში, საწოლიდან გადასაფარებელი ავიღე და კიდევ სხვა პულოვერის მოძებნა გადავწყვიტე. საწოლის ქვეშ ხის დიდი ჩემოდნისოდენა, მაგრამ უფრო ღრმა ყუთი აღმოვანიხე, ისეთი, როგორსაც იაფფასიანი საქონლის ჩასაწყობად ხმარობენ. ზემოდან დახეული, ტალახიანი, ჭუჭყიანი წინდები და რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ეყარა.

გავხსენი ყუთი. სინათლის სხივზე მტვერი აცეკვდა. დავინახე, ტანსაცმლით იყო სავსე. დავიწყე ქექვა და შედარებით პატარა პულოვერის ძებნა, რომ ლუოს გამხმარ ტანს შეევსო; უეცრად თითები რაღაც რბილს, დრეკადს და პრიალას გადააწყდა; ვიფიქრე, ქალის ნატის ფეხსაცმელია-მეთქი.

მაგრამ არა, ეს ჩემოდანი იყო, რომელიც მზის სხივებზე აელვარდა, ელეგანტური, ცოტა გაცვეთილი, მაგრამ შნოიანი ჩემოდანი. ჩემოდანი, რომლიდანაც ცივილიზაციის შორეული სურნელი ამოდიოდა.

ის გასაღებით სამ ადგილას იყო ჩაკეტილი. მისი წონა, ცოტა არ იყოს, გასაკვირი იყო მის ზომასთან შედარებით, ვერაფრით წარმომედგინა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო შიგ მოთავსებული. ველოდი დალამებას, როცა ბინოკლარდი ბოლოს და ბოლოს განთავისუფლდებოდა კამეჩთან ბრძოლისგან, დაბრუნდებოდა და ვკითხავდი, რა სიმდიდრეს ინახავდა ასეთი გულმოდგინებით ამ ჩემოდანში. ჩემდა გასაოცრად არ მიპასუხა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, საჭმელს რომ ვამზადებდით, უჩვეულოდ დამუნჯებულს სიტყვაც არ დაუძრავს ჩემოდანზე.

ვახშმის დროს ისევ გავუმეორე შეკითხვა, მაგრამ ვერც ახლა დავაცდენინე რამე.

— ვფიქრობ, წიგნებია, — დაარღვია სიჩუმე ლუომ, — შენს საიდუმლოს ის ამხელს, თუ როგორ მალავ, როგორ გაქვს ბოქლომებით ჩაკეტილი: შიგ ნამდვილად აკრძალული წიგნებია.

პანიკური შიშის სხივი გაკრთა ბინოკლარდის თვალებში, შემდეგ გაუჩინარდა მისი სათვალის შუშების ქვეშ, სახე კი მხოლოდ მინილბად ექცა.

— ბოდავ, ძველო, — თქვა მან და ლუოს საფეთქელზე მიადო ხელი. — ღმერთო ჩემო, სიცხე გაქვს! ამიტომაც ბოდავ და იდიოტური ხილვები გაქვს. მისმინე, კარგი მეგობრები ვართ, ერთად კარგად ვერთობით, მაგრამ თუ შენ სისულელეების ჩმახვას დაიწყებ აკრძალულ წიგნებზე, მაშინ... ეშმაკმა დალახვროს...

ამ დღის შემდეგ ბინოკლარდმა მეზობლისგან სპილენძის ბოქლომი იყიდა, ფრთხილობდა და კარს ჯაჭვით კეტავდა, რომელსაც ლითონის რკალში ატარებდა.

ორი კვირის შემდეგ, პატარა მკერავის „ჯამის ნამტვრევის“ მალამომ შედეგი გამოიღო და ლუოს ციებ-ცხელებასაც ბოლო მოეღო. როცა მან შეხვეული ხელი გაიხსნა, ხელის გულზე ჩიტის კვერცხის ოდენა მბზინავი, გამჭვირვალე ბებერა აღმოაჩინა. ის ნელ-ნელა ხმებოდა და როდესაც კანზე მხოლოდ შავი ჭრილობალა დარჩა, ციებ-ცხელების შეტევები მთლიანად შეუწყდა. ბინოკლარდთან გადავიხადეთ მისი გამოჯანმრთელების აღსანიშნავი პურ-მარილი. იმ ღამეს მასთან დავიძინეთ, სამივენი მის საწოლში ჩაჭეჭყილები ვიწექით, რომლის ქვეშაც ისევ იდგა ხის ყუთი, მაგრამ შიგ ტყავის ჩემოდანი აღარ იდო, მე შევამოწმე.

ბინოკლარდის მზარდმა სიფხიზლემ და, ჩვენი მეგობრობის მიუხედავად, ჩვენს მიმართ გამოსატულმა უნდობლობამ ლუოს ვარაუდი განამტკიცა: ჩემოდანი უეჭველად აკრძალული წიგნებით არისო სავსე. ლუო და მე ხშირად ვსაუბრობდით ამაზე, მაგრამ ვერაფრით წარმოგვედგინა, თუ რა სახის წიგნებს ეხებოდა საქმე (ამ ეპოქაში ყველა წიგნი აკრძალული იყო, გარდა მათს და მისი მომხრეების წიგნებისა და წმინდა სამეცნიერო ნაშრომებისა). ჩვენ შევადგინეთ შესაძლებელ წიგნთა სია, სადაც შედიოდა ჩინური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, დაწყებული რომანით „სამი მეზობელი სამეფო“ და დამთავრებული წიგნით „ოცნება წითელ პავილიონში“. სხვათა შორის, ჩავრთეთ ეროტიულ წიგნად მიჩნეული ჟინ პინგ მეი, აგრეთვე ტანგის, სონგის, მინგის და კინის დინასტიების პოეზია. კიდევ ზუ დას, ში ტაოს, ტონგ კიშენგის ტრადიციული მხატვრობა... ბიბლიაც კი წარმოვიდგინეთ, კიდევ „ხუთი მოხუცის სიტყვები“, წიგნი, რომელსაც აკრძალულის პრეტენზია ჰქონდა უკვე საუკუნეების მანძილზე, და რომელშიც პანის დინასტიის ხუთი უდიდესი წინასწარმეტყველი წმინდა მთის მწვერვალიდან გვიმუღავნებდა, თუ რა უნდა მომხდარიყო მომავალი ორი ათასი წლის განმავლობაში. ხშირად ნაშუადამევს ვაქრობდით ნავთის ლამპას ჩვენს ხიმიწვებიან

სახლში და საწოლებზე მიწოლილნი სიბნელეში ვეწეოდით. წიგნების სათაურები მოედინებოდა ჩვენი ბაგეებიდან. ამ სათაურებში იყო ჩვენთვის უცნობი სამყარო. რაღაც იყო იდუმალი და დახვეწილი სიტყვათა ჟღერადობაში, ბგერათა თანმიმდევრობაში, ტიბეტური საკმევლის მსგავსად: საკმარისია მისი სახელი წარმოთქვა „ზანგ ქსანსტუ“ და მაშინვე შეიგრძნო მოტკბო და დახვეწილი სურნელი, დასრულდა, როგორ იწყებს აქროლებას სურნელოვანი ჯოხები, როგორ იფარება ოფლის წვეთებით, რომელნიც ლამპის ანარეკლზე თხევადი ოქროს წვეთებს ემსგავსებიან.

— შენ რამე გაგიგონია დასავლურ ლიტერატურაზე? — მკითხა ერთ დღეს ლუომ.

— ძალზე ცოტა. სომ იცი, ჩემს მშობლებს მხოლოდ თავიანთი სამუშაო აინტერესებთ. მედიცინის გარდა ბევრი არაფერი იციან.

— ჩემებიც ეგრე არიან. მაგრამ დეიდაჩემს ჰქონდა რამდენიმე უცხოური წიგნი, კულტურულ რევოლუციამდე ჩინურად ნათარჯმნი. მახსოვს, მან რამდენიმე მონაკვეთი წამიკითხა წიგნიდან, რომელსაც „დონ კიხოტი“ ერქვა, საკმაოდ სასაცილო მოხუცი რაინდის ამბავი იყო.

— და ახლა სადაა ეს წიგნები?

— ნაცრად იქცნენ. წითელი გვარდიის მიერ კონფისკებულნი, სახალხოდ დაუნანებლად დაწვეს. ზუსტად ჩვენი კორპუსის წინ.

რამდენიმე წუთის მანძილზე ბნელში მოწყენილად, უხმოდ ვეწეოდით. ამ წიგნების ამბავმა ძალიან დამადარდიანა; იმ ასაკში, როცა ბოლოს და ბოლოს გამართულად ვისწავლეთ კითხვა, აღარაფერი იყო წასაკითხი. წლების განმავლობაში ყველა წიგნის მალაზიის „დასავლური ლიტერატურის“ თაროზე მხოლოდ ალბანელი კომუნისტი ლიდერის ენვერ ჰოქსას სრული კრებული იდო, რომლის მოოქრულ გარეკანზე მოხუცი კაცის პორტრეტი ჩანდა, რომელსაც მყვირალაფერებიანი პალსტუხი ეკეთა; უნაკლოდ გადავარცხნილი ჭაღარა თმა ჰქონდა და დანაოჭებული ქუთუთოებიდან მოგშტერებოდათ მარცხენა ყავისფერი თვალით და მარჯვენათი, რომელიც მარცხენაზე უფრო პატარა, ნაკლებ ყავისფერი იყო და მკრთალი ვარდისფერი გარსი ჰქონდა ირგვლივ.

— რატომ მელაპარაკები ამაზე? — ვკითხე ლუოს.

— კარგი, გეტყვი, ბინოკლარდის ტყავის ჩემოდანი შეიძლება სწორედ ასეთი წიგნებით — დასავლური ლიტერატურით — იყოს სავსე.

— შეიძლება მართალი ხარ. მაშამისი პროზაიკოსია, დედა პოეტი. მათ ბევრი წიგნი უნდა ჰქონდეთ, ისევე როგორც ჩვენ, მეც და შინც, გვაქვს უამრავი დასავლური სამედიცინო წიგნი. მაგრამ როგორ გადაურჩებოდა წიგნებიანი ჩემოდანი წითელ გვარდიას?

— საკმარისი იქნებოდა ეშმაკობა გამოეჩინათ და სადღაც გადაემაღათ.

— მისმა მშობლებმა დიდი რისკი გასწიეს, ბინოკლარდს რომ ანდეს ისინი.



— როგორც შენიანები და ჩემები ოცნებობენ, ექიმები რომ გავხდეთ, ბინოკლარდის მშობლებსაც ენდომებათ მათი შვილე მწერალი გახდეს და ჰკონიათ, რომ ამისთვის მალულად უნდა შეისწავლოს ეს წიგნები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ადრიანი გახაფხულის ერთ ცივ დილას, ორი საათის განმავლობაში დიდი ფანტელები ცვიოდა და მიწა სწრაფად დაიფარა ათიოდე სანტიმეტრი თოვლით. სოფლის თავკაცმა ერთი დასვენების დღე გვიწყალობა. ლუო და მე მაშინვე ბინოკლარდის სანახავად გავეშურეთ. ვიცოდით, რომ უბედურება ეწვია: სათვალის შუშები გაუტყდა.

დარწმუნებული ვიყავი, მუშაობას არ შეწყვეტდა, იმის გამო, რომ მისი ძლიერი სიბეცე „რევოლუციონერ“ გლეხებს ფიზიკურ ნაკლად არ ჩაეთვალათ. ეშინოდა, უქნარად არ მიეჩნიათ. მას ყოველთვის ეშინოდა გლეხების, რადგან ერთ დღეს სწორედ მათ უნდა გადაეწყვიტათ, კარგად იყო „აღზრდილი“ თუ არა, დიახ, მათ, ვის ხელშიც თეორიულად იყო მისი მომავალი. ამ მდგომარეობაში უმცირესი პოლიტიკური თუ ფიზიკური ნაკლი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო.

მიუხედავად ძლიერი თოვისა მისი სოფლის გლეხები, ჩვენებისგან განსხვავებით, არ ისვენებდნენ: ზურგზე უზარმაზარ გოდორ მოკიდებულებს ბრინჯი გადაჰქონდათ რაიონის საწყობში, რომელიც ჩვენი მთებიდან ოც კილომეტრში მდებარეობდა, მდინარის პირას, რომელიც სათავეს ტიბეტში იღებდა. ეს იყო მისი სოფლის წლიური გადასახადი; სოფლის თავკაცმა ბრინჯის წონა მცხოვრებთა რაოდენობაზე გაჰყო; თითოეულის წილი დაახლოებით სამოცი კილო გამოვიდა.

ჩვენი მისვლისას ბინოკლარდს ახალი ავსებული ჰქონდა თავისი გოდორი და წასასვლელად ემზადებოდა. თოვლის გუნდები დავაყარეთ, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, მაგრამ ვერ გვხვდავდა სიბეცის გამო. უსათვალოდ თვალები გადმოკარკლული ჰქონდა და ერთი შეშინებული, გამოტვინებული პეკინელი ძაღლი გამახსენა. დაბნეული და დატანჯული იერი ჰქონდა.

— გაგიჟდი?! — უთხრა ლუომ. — უსათვალოდ ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამ ბილიკზე.

— დედას მივწერე, ძალიან მალე გამომიგზავნის სათვალეს, მაგრამ მის მოლოდინში გულზე ხელეზდაკრეფილი ვერ ვიქნები. აქ სამუშაოდ ვარ. ყოველ შემთხვევაში, ასეთია სოფლის თავკაცის აზრი.

ძალიან ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს ჩვენთან დროის დაკარგვა არ უნდოდა.

— მოიცა, — უთხრა ლუომ, — ერთი აზრი გამიჩნდა: წავიღებთ გოდორს რაიონის საწყობამდე, სამაგიეროდ, რომ დავბრუნდებით, ჩემოდანში დამალული წიგნებიდან რამდენიმეს გვათხოვებ. აბა, დაჰკა ხელი, არა?

— შემეშვი, — ბოროტად თქვა ბინოკლარდმა, — არ მესმის, რაზე მელაპარაკები, მე არა მაქვს დამალული წიგნები.

— ერთიც საკმარისი იქნება, — მიაძახა ლუომ, — შევთანხმდით? ბინოკლარდი გზას გაუდგა, პასუხის ღირსიც არ გაგვხადა.

გამოწვევა, რომელიც მან მიიღო, მის ფიზიკურ შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატებოდა. მალე იგი მაზოხისტურ გამოცდაში ჩაერთო: თოვლი სქლად იდო და ზოგ ადგილას კოჭებამდე ეფლობოდა. ჩვეულებრივზე უფრო მოლიპული იყო. ის მიწას ორბიტებზე მსვლელად ყრილი თვალებით მიშტერებოდა. მაგრამ მაინც ვერ ხედავდა ამოშვერილ ქვეებს, რომლებზეც ფეხის დადგმა შეეძლო. ბრმად, ბარბაცით, ლოთივით აცაბაცა ნაბიჯებით მიდიოდა. ბილიკი დაბლა ეშვებოდა. იგი ცალი ფეხით ალაღბედზე ეძებდა დასაყრდენს, მაგრამ მეორე ფეხს აღარ შეეძლო გოდრის სიმძიმის შემაგრება, გაუსრიალდა და მუხლებით ჩაემხო თოვლში. დაჩოქილი შეეცადა წონასწორობის დაცვას, გოდორი რომ არ გადაყირავებოდა, ფეხებით თოვლი მისწი-მოსწია, ხელებიც მიასმარა და ცოტაოდენი სავალი გზა გაინთავისუფლა, შემდეგ წამოდგა.

შორიდან ვუყურებდით, ზიგზაგებით როგორ მიუყვებოდა ბილიკს, რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დაეცა. ამჯერად დაცემისას გოდორი კლდეს მიასკდა, გადაყირავდა და წაიქცა.

მივუახლოვდით და ძირს დაბნეული ბრინჯის შეგროვებაში მივეხმარეთ. ხმას არ ვიღებდით. შეხედვას ვერ ვუბედავდი. იგი მიწაზე დაჯდა, თოვლით სავსე ბოტები გაიხადა, გამობერტყა, მერე დაბუჟებული ფეხების სრესას მოჰყვა, რომ გაეთბო.

თავის აქეთ-იქით ქნევას არ წყვეტდა, თითქოს ძალიან მძიმეა და ვერ იმაგრებსო.

— თავი გტკივა? — ვკითხე მე.

— არა, ყურები მიშუის, მსუბუქად.

ბრინჯის მოგროვებას და გოდორში ჩაყრას რომ მოვრჩით, პალტოს სახელოები თოვლის ხორკლიანი და მაგარი კრისტალებით მქონდა სავსე.

— წავედით? — ვკითხე ლუოს.

— ხო, მომეხმარე გოდრის აკიდებაში. მცევა და ცოტაოდენი სიმძიმე ზურგს გამითბობს, — მითხრა მან.

ლუო და მე ყოველ ორმოცდაათ მეტრში ვენაცვლებოდით ერთმანეთს, რომ სამოცი კილო ბრინჯი საწყობამდე მიგვეტანა. დაღლილობისგან სული გვძვრებოდა.

მობრუნებულებს ბინოკლარდმა წიგნი მოგვცა, თხელი, გაცვეთილი, ბალზაკის წიგნი.



„ბა-ერ-ზა-კე“. ჩინურად თარგმნილი ფრანგი ავტორის სახელი ოთხ იდეოგრამას შეადგენდა. რა საოცრებაა თარგმანი! პირველი ორი სილაბის სიმძიმე მყის აქრობდა ამ სახელის აგრესიულ, საბრძოლო უღერადობას. ეს ოთხი ნიშანი, ძალზე ელეგანტური, რომელთაგან თითოეული ცოტა ხანებისგან შედგებოდა, შეერთდა, რათა არაჩვეულებრივი

მშვენიერება შეედგინა, რომლისგანაც ეგზოტიკური გემოვნება იფრქვეოდა, მგრძობიარე, გულუხვი როგორც მომაჯადოებელი სურნელი საუკუნეების მანძილზე მარანში შენახული ღვინისა. (რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე, რომ ამ წიგნის მთარგმნელი დიდი მწერალი/ყოფილა, პოლიტიკური მოსაზრებების გამო მისთვის ნაწარმოებები გაამოქვეყნება აუკრძალავთ და მთელი ცხოვრება ფრანგის მჭიდროდ მთარგმნისათვის შეუწირავს).

ნეტავ ბინოკლარდმა დიდხანს იყოყმანა, სანამ ამ წიგნს ამოარჩევდა ჩვენთვის სათხოვებლად, თუ წმინდა შემთხვევითობამ წარმართა მისი ხელი? თუ უბრალოდ იმიტომ აიღო, რომ მისი ძვირფასი განძეულობით სავსე ჩემოდანში ეს იყო ყველაზე თხელი და ყველაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი? იქნებ კრიუანკობამ განაპირობა მისი არჩევანი, არჩევანი, რომლის მიზეზიც ჩვენთვის ბურუსით მოცული დარჩა და რომელმაც ააფორიაქა ჩვენი ცხოვრება, ან უფრო სწორად, ცის ფენიქსის მთებში გატარებული ჩვენი ცხოვრების „ხელახალი აღზრდის“ პერიოდი.

ამ პატარა წიგნს „ურსულა მირუეტი“ ერქვა.

ლუომ იმავე ღამეს წაიკითხა ბინოკლარდის მოცემული წიგნი და გამთენიისას დაამთავრა. ჩააქრო ნავთის ღამპა და გამაღვიძა, ნაწარმოები რომ ჩემთვის გადმოეცა. მე დაღამებამდე ლოგინში დავრჩი, უჭმელ-უსმელი, და სხვა არაფერი გამიკეთებია გარდა ამ სიყვარულისა და სასწაულების ფრანგულ ამბავში ჩაძირვისა.

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა, ცხრამეტი წლის უბიწო ვაჟი, ჯერ კიდევ მოზარდობის კარიბჭესთან რომაა ჩაძინებული და რევოლუციური მიეთმოეთის გარდა პატრიოტიზმზე, კომუნიზმზე, იდეოლოგიასა და პროპაგანდაზე არაფერი იცის. და უცბად ეს წიგნი შემოიჭრა და დაძვალაპარაკა სურვილის გაღვიძებაზე. ლტოლვაზე, იმპულსებზე, სიყვარულზე; ყველაფერზე, რაზეც ჩემთვის აქამდე დუმდა სამყარო.

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არ ვიცნობდი იმ ქვეყანას, რომელსაც საფრანგეთი ერქვა (რამდენჯერმე მამაჩემის ბაგიდან გაგონილი მქონდა ნაპოლეონის სახელი, და სულ ეს იყო), ურსულას ამბავისეთივე სინამდვილედ მომეჩვენა, როგორც ჩემი მეზობლებისა. მემკვიდრეობისა და ფულის ბინძური საქმე, რომელიც ამ ქალიშვილს დაატყდა თავს, სიღრმესა და უტყუარობას სძენდა ამ ამბავს. დღის ბოლოს თავი შინაურად ვიგრძენი ნეპურში, მის სახლში, ახრჩოლებული ბუხრის პირას, მისი ექიმებისა და კიურეების კომპანიაში... მაგნეტიზმის და მთვარეულობის პასაჟებიც კი წარმტაცად და დამაჯერებლად მეჩვენებოდა.

არ ავმდგარვარ, სანამ ბოლო ფურცელი არ წავიკითხე. ლუო ჯერ არ იყო მობრუნებული. ვეჭვობდი, რომ მან დილიდანვე მიაშურა ბილიკს, რომ პატარა მკერავთან ჩასულიყო და მისთვის ბალზაკის ეს მშვენიერი ამბავი მოეთხრო. წამით ჩვენი სიმინჯებიანი სახლის ზღურბლზე შევჩერდი, მჭადის ნატეხს ვჭამდი და ჩემ წინ აღმართული მთების მუქ სილუეტებს გავცქეროდი, იქამდე ძალიან დიდი მანძილი იყო და არ შემეძლო პატარა მკერავის სოფლის სინათლეების გარჩევა. წარმოვი-

დგინე, როგორ უყვებოდა ლუო ამ ამბავს და უეცრად მწარე, გულის-გამომხვრელმა, უცნაურმა ეჭვიანობამ მომიცვა.

ციოდა, ვცახცახებდი ცხვრის ტყავის მოკლე ქურთუკში. სოფლები ამ დროს ალბათ ჭამდნენ, ეძინათ ან რაღაც საიდუმლო ქმედებებს სჩადიოდნენ სიბნელეში. მაგრამ ჩემამდე, ხიმიწვებიანი სახეების მქონე ბლამდე არანაირი ხმა არ აღწევდა. ჩვეულებრივ, მთებში მგზავნი ამ სიმშვიდეს ვიოლინოზე ვარჯიშისთვის ვიყენებდი ხოლმე, მაგრამ ახლა, ეს მოსაწყენად მეჩვენებოდა. ოთახში შევბრუნდი, ვიოლინოზე დაკვრას შევეცადე, მაგრამ ის უსიამოვნო მკვეთრ ბგერას გამოსცემდა, თითქოს ვილაცამ სიმებს ხელი გაჰკრაო. უეცრად მივხვდი, რისი გაკეთებაც მინდოდა.

გადავწყვიტე სიტყვასიტყვით გადამეწერა „ურსულა მირუეტის“ ჩემთვის საყვარელი ადგილები. ჩემს სიცოცხლეში პირველად მომიხდა წიგნის გადაწერა. ოთახში ქალაღი მოვძებნე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ფურცელს წავაწყდი, რომლებიც მშობლებისათვის მისაწერი წერილებისთვის იყო განკუთვნილი.

მაშინ გადავწყვიტე ტექსტი პირდაპირ ჩემი ქურთუკის ცხვრის ტყავზე გადამეწერა. ეს ქურთუკი სოფლებმა მაჩუქეს ჩამოსვლისას; გარედან იგი ცხვრის აბურდულ, ხან გრძელ, ხან მოკლე ბეწვს წარმოადგენდა, შიგნიდან კი შიშველი ტყავი იყო. კარგა ხანი მოვანდომე ტექსტის შერჩევას, ჩემი ქურთუკის შეზღუდული ზედაპირის გამო, რომლის ტყავი ალაგ-ალაგ დაზიანებული და დამსკდარი იყო. გადავწერე თავი, რომელშიც ურსულა მთვარეულივით მოგზაურობს. მინდოდა მისნაირი ვყოფილიყავი: შემძლებოდა ჩემს საწოლში ჩაძინებულს ხუთასი კილომეტრის დაშორებით დამენახა, რას აკეთებდა დედა ჩვენს ბინაში; დავსწრებოდი ჩემი მშობლების სადილს, დაგკვირვებოდი მათ ქცევას, სადილობის ყოველ წვრილმანს, მათი თეფშების ფერს, შემეგრძნო მათი კერძის სურნელი, გამეგონა მათი საუბარი... უფრო მეტიც, ურსულასავით მეც მინდოდა სიზმარში მენახა ის ადგილები, სადაც ფეხი არასოდეს დამედგა.

მთის ბებერი ცხვრის გაუხეშებულ, ხორკლიან ტყავზე კალმით წერა არა იყო იოლი; წვრილად წერა იყო საჭირო, რაც შეიძლება მეტი ტექსტის დასატევად, რაც არნახულ ძალისხმევას მოითხოვდა. ტყავის მთელი ზედაპირი, სახელოების გარდა ტექსტით გადავაჭრელე. თითები დამსხვრეულივით მტკიოდა. ბოლოს ჩამეძინა.

ლუოს ფეხის ხმამ გამაღვიძა. დილის სამი საათი იქნებოდა. გავიფიქრე, დიდხანს არ მძინებია-მეთქი, რადგან ნავთის ლამპა ისევ ენთო. ბუნდოვნად დავინახე კარში რომ შემოდოდა.

— გძინავს?

— არც მთლად.

— ადექი, რაღაც უნდა გაჩვენო.

მან ლამპაში ნავთი ჩაუმატა და როცა ფთილას ბოლომდე წაეკიდა ტეცხლი, ლამპა მარცხენა ხელში აიღო, ჩემს საწოლს მოუახლოვდა და

ჩამოჯდა, თმაგაჩეჩილი და თვალებანთებული. პიჯაკის ჯიბიდან კარგად დაკეცილი ოთხკუთხა ნაჭერი ამოიღო.

— ვხედავ, პატარა მკერავს ცხვირსახოცი უჩუქებია.

არაფერი მიპასუხა. ნელა შლიდა ნაჭერს და დავიწინე/დახეული პერანგის კალთა, რომელიც უეჭველად პატარა მკერავს უეჭველად უნოდა.

შიგ დაკრუნხული ფოთლები იყო შეხვეულს, ყველა მათგანშიაირად ლამაზი ფორმა ჰქონდა, პეპლის ფრთისებური. ფორთოხლისფერ მოყავისფროს მოყვითალო ოქროსფერიც ერია, მაგრამ ყველაფერი სისხლის შავი ლაქებით იყო დასვრილი.

— ეს გინკოს ფოთლებია, — მითხრა ლუომ ციებ-ცხელებიანი ხმით, — უზარმაზარი, საუცხოო ხეა, განცალკევებულ ხეობაში, პატარა მკერავის სოფლის აღმოსავლეთით. ხის ტანზე მიყრდნობილები, ფეხზე მდგარნი დავტკბით სიყვარულით. იგი ქალწული იყო და მისი სისხლი მიწაზე დაცვენით ფოთლებზე დაიღვარა.

კარგა ხნის მანძილზე ხმა ვერ ამოვიღე. როცა შევძელი გონებით კეთილშობილი ხის ტანის, მისი ფართო ფოთლებით დაფარული ტოტების წარმოდგენა, ლუოს ვკითხე:

— ფეხზე მდგარნი?

— ხო, ცხენებივით. ეტყობა, შემდეგ ამიტომაც გაიცინა, ისე ხმა-მალლა გაიცინა, ისე ველურად, რომ მთელ ხეობას მოედო მისი ხმის ექო, ჩიტებიც კი დამფრთხალნი წამოფრინდნენ.

მას შემდეგ, რაც თვალი აგვიხილა, „ურსულა მირუეტი“ დათქმულ ვადაში დაუბრუნდა მისი მფლობელობის ტიტულის მქონე პატრონს, უსათვალო ბინოკლარდს. ჩვენ ველოლიავებოდით ილუზიას, რომ ის თავის საიდუმლო ჩემოდანში დამალულ სხვა წიგნებსაც გვათხოვებდა, მის მაგიერ შესრულებული ფიზიკურად აუტანელი მძიმე სამუშაოების სანაცვლოდ.

მაგრამ მას ეს აღარ სურდა. ჩვენ ხშირად მივდიოდით მასთან, მიგვქონდა საჭმელი, ველაციცებოდით, მისთვის ვიოლინოზე ვუკრავდი... დედამისის მიერ გამოგზავნილმა სათვალემ იგი ნახევრად სიბრმავისგან იხსნა და ჩვენს ილუზიებსაც ბოლო მოეღო.

როგორ ვნანობდით, წიგნი რომ დავუბრუნეთ!

— უნდა დაგვეტოვებინა, — ხშირად იმეორებდა ლუო, — სიტყვასიტყვით წავუკითხავდი პატარა მკერავს. ეს მას უფრო დახვეწილს, უფრო კულტურულს გახდიდა, დარწმუნებული ვარ.

მისთვის რომ დაგეჯერებინა, ჩემს ქურთუკზე გადაწერილი ნაწყვეტების კითხვამ გაუჩინა ეს აზრი. ერთ უქმე დღეს ლუომ ჩემი ქურთუკი ითხოვა, ხშირად ვცვლიდით ტანსაცმელს, და პატარა მკერავთან პაემანზე წავიდა დათქმულ ადგილას — გონკოს სიყვარულის ხეობაში. „იმის შემდეგ, რაც სიტყვასიტყვით წავუკითხე ბალზაკის ტექსტი, — მომიყვა ლუო, — აიღო ქურთუკი და მარტომ ხელახლა, ჩუმად გადაიკითხა. მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმოდა ჩვენს ზემოთ და შორე-

ული ჩანჩქერი მოჩქეფდა სადღაც, კარგი ამინდი იდგა, ცა იყო ლურჯი, სამოთხისებურად ლაქვარდისფერი. კითხვა რომ დაასრულა, გაუნძრევლად დარჩა, გარინდებულს შენი ქურთუკი ხელისგულებზე ისე ეფინა, როგორც მორწმუნეებს უჭირავთ ხოლმე წმინდა ნივთი“.

„ეს ბებერი ბაღვაკი, — განაგრძო მან, — ნამდვილი ჯადოქარია, რომელმაც უხილავი ხელი დაადო ამ გოგონას თავზე და მანამდე, ვიდრე ფოზა განიცადა, მეოცნებე გახდა, და კარგა ხანი დასჭირდა, სანამ აზრზე მოვიდოდა და მიწაზე ფეხს ისევ დაადგამდა; ბოლოს ეგ შენი შეჩვენებული ქურთუკი ჩაიცვა, სხვათა შორის, მოუხდა და მითხრა, რომ ბაღვაკის სიტყვებთან მისი კანის უშუალო შეხება მას ბედნიერებას მოუტანდა და ჭკუა-გონებას აუმაღლებდა...“.

პატარა მკერავის რეაქციამ მოგვხიბლა და კიდევ უფრო ვინანეთ, წიგნი რომ დავაბრუნეთ. ზაფხულის დასასრულამდე მოგვიხდა ლოდინი, ახალი ხელსაყრელი შემთხვევა რომ მოგვცემოდა.

ეს ერთ კვირა დღეს მოხდა. ბინოკლარდს თავის სახლის წინ ცეცხლი დაენტო, უზარმაზარი წყლით სავსე ქვაბი შემოედგა ქვებზე. ლუო და მე სახტად დავრჩით ამ დიდი სამზადისით.

თავიდან სიტყვაც არ გამოიმეტა ჩვენთვის. ღონემიხდილი და მოწყენილი ჩანდა, როდესაც ქვაბში წყალი აღულდა, ზიზღით გაიხადა პიჯაკი, შიგ ჩააგდო და გრძელი ჯოხი დააჭირა, ქვაბში რომ კარგად ჩაძირულიყო. სქელ ორთქლში გახვეული განუწყვეტლივ ატრიალებდა თავის საცოდავ პიჯაკს წყალში, რომლის ზედაპირზეც შავი ბუმბუტები, თამბაქოს ნაფხვენები და მყრალი სუნი ამოდოდა.

— ტილებს ხოცავ? — ვკითხე მე.

— ხო, უამრავი ავიკიდე ათასმეტრიან ციცაბო კლდეზე.

ამ კლდის სახელი ჩვენთვის არ იყო უცნობი, მაგრამ იქ არასოდეს დაგვედგა ფეხი. ჩვენი სოფლიდან შორს იყო, ასე ნახევარი დღის სავალზე.

— იქ რა გინდოდა?

არ გვიპასუხა. თანმიმდევრულად გაიხადა პერანგი, მაისური, შარვალი, წინდები და მდულარე წყალში ჩაყარა. მისი გამხდარი, ძვლებამოყრილი სხეული მსხვილი, წითელი მუწუკებით იყო დაფარული. დაკაწრულ სისხლიან კანს ფრჩხილების კვალი თეთრი მარმარილოსავით ემჩნეოდა.

— საშინლად დიდები არიან იმ დაწყევლილი კლდის ტილები. ჩემს ძველმანებში კვერცხებიც კი დადეს, — გვითხრა ბინოკლარდმა.

იგი სახლში შევიდა და თავისი მოკლე შარვალი გამოიტანა. ქვაბში ჩაგდებამდე გვაჩვენა. ღმერთო ჩემო! ნაკერების ნაკეცებში შავი, პაწაწუნა, მარგალიტებივით მბზინავი წილები კრიალოსანივით იყო აცმული. თვალი შევაავლე და ტანში თხემიდან ტერფამდე ჟრუანტელმა დამიარა.

ქვაბთან გვერდიგვერდ მსხდარნი, ლუო და მე, შეშას ვუმატებდით, ბინოკლარდი კი გრძელი ჯოხით ურევდა. ნელ-ნელა მან გაგვიმხილა თავისი მოგზაურობის საიდუმლო მიზანი ათასმეტრიან კლდეზე.

ორი კვირის წინ დედამისის წერილი მიუღია. იგი ადრე ცნობილი პოეტი იყო ჩვენს პროვინციაში თავისი წვიმისადმი, ნისლისადმი და პირველი სიყვარულის მოკრძალებული მოგონებებისადმი მიძღვნილი ოდებით. შვილისთვის უცნობებია, რომ ერთი მისი ძველ მეგობართაგანი რევოლუციური ჟურნალის რედაქტორად დაენიშნა და რომ მიუხედავად უიმედო მდგომარეობისა, შეპირებია დედას ჩვენს ბინოკლარდისთვის ამ ჟურნალში ადგილის შოვნას. მაგრამ მისთვის „პროტექციის გაწევა“ რომ არ დაებრალეებინათ, უმჯობესი იქნებოდა თავიდან ბინოკლარდის მიერ სასწრაფოდ შეგროვილი ხალხური სიმღერების გამოქვეყნება, ე. ი. მთიელთა გულწრფელი და რეალისტური რომანტიზმით დაღდასმული სიმღერებისა.

მას შემდეგ, რაც წერილი მიიღო, ბინოკლარდი გაღვიძებული ოცნებით ცხოვრობდა. მის არსებაში ყველაფერი შეიცვალა. იგი თავის სიცოცხლეში პირველად უსაზღვროდ ბედნიერი იყო. მან უარი თქვა მინდორში სამუშაოდ გასვლაზე და ჯიუტი გულმოდგინებით მთიელთა სიმღერებზე ნადირობაში გადაეშვა. დარწმუნებული იყო, რომ დიდი კოლექციის შეგროვებას შესძლებდა და ამის წყალობით დედამისის ძველი თაყვანისმცემლის დაპირებაც ასრულდებოდა. მაგრამ ერთი კვირა ისე გავიდა, რომ ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების ღირსი ერთი სტროფიც კი ვერ ჩაიწერა.

დედას მისწერა თავისი მარცხის შესახებ და წერილი უიმედო ცრემლებით აავსო. მაგრამ იმ დროს, როდესაც ფოსტალიონისთვის უნდა გადაეცა წერილი, ეს უკანასკნელი ათასმეტრიანი კლდის მცხოვრებ მოხუც მთიელზე დაელაპარაკა. უთხრა, მეწისქვილეა, ამ რეგიონის ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნე, ძველი უწიგნური მომღერალია და ნამდვილი ჩემპიონია ამ სფეროში. ბინოკლარდმა წერილი დახია და მაშინვე ახალი ნადირობის წამოსაწყებად გაემურა.

— მოხუცი კაცი ლოთია, — გვითხრა მან. — ჩემს ცხოვრებაში ეგეთი ღარიბი არაფინ არასოდეს მინახავს. იცით, რას აყოლებს არაყს? კენჭებს! დედას გეფიცებით, კენჭებს! მარილიან წყალში აწებს და პირში იღებს, აგორავებს კბილებში და მერე იატაკზე აფურთხებს. ამას „მეწისქვილის საწებელში ჩადებულ ნეფრიტის გუფთას“ უწოდებს. გასინჯვა შემომთავაზა. უარი ვუთხარი, ვერ გავითვალისწინე მისი ფხუკიანობა. გაღიზიანდა. რა არ ვქენი, რა თანხა არ შევაძლიე, მაგრამ ჩემთვის უმცირესი რაიმეს მღერაც კი აღარ ისურვა. ორი დღე გავატარე მის ძველ წისქვილში იმის იმედით, რომ რამდენიმე სიმღერას გამოვტყუებდი. ერთ ღამეს მის ლოგინში მეძინა, საბანი მეხურა, რომელიც ალბათ ათწლეულები არ გარეცხილა...

ჩვენთვის იოლი იყო ასეთი სცენის წარმოდგენა: ათასი მწერით აფუთფუთებულ საწოლში თვალეზღაჭყეტილი ბინოკლარდი წევს და იმის შიშით არ იძინებს, რომ ბებერი მეწისქვილის შემთხვევით ძილში წამოცდენილი ნაღდი და გულწრფელი სიმღერები არ გამოეპაროს. ტილები გამოდიან თავიანთი ბუნაგიდან, რომ სიბნელეში მას შეუტიონ; ხან სისხლს წოვენ, ხან კი მისი სათვალის შუშაზე, რომელიც ღამე არ

მოიხსნა, მოციგურავეებივით სრიალებენ. ყოველ ჯერზე, როცა მოხუცი გადატრიალდება ან დაასლოკინებს, ჩვენი ბინოკლარდი სუნთქვას იკრავს, მზადაა თავისი ერთი ცილა ნათურა აანთოს და განაგონი ჩაიწეროს, როგორც მსტოვარმა. შემდეგ ყველაფერი ნორმალურად მიდის, მოხუცი ისევ რიტმულად აყოლებს ხვრინვას წისქვილის ქვის ქანაშკიან ყვეტელ ხმაურს.

— იდეა მაქვს, — უთხრა ლუომ თამამად, — თუ მოვახერხებ და შენს მეწისქვილეს ხალხური სიმღერები გამოვგლიჯებ, გვათხოვებ ბალზაკის სხვა წიგნს?

ბინოკლარდმა მაშინვე არ გვიპასუხა. დაორთქლილი სათვალის მიწებით მიშტერებოდა ქვაბში მდულარე გაშავებულ წყალს, თითქოს ტილების გვამებს აპიპნოზებდა, რომლებიც ყირამალა გადადიოდნენ ბუშტებსა და თამბაქოს ნამცეცებს შორის. შემდეგ თვალები ასწია და ლუოს ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ მათ მოპოვებას?

1973 წლის ზაფხულის იმ დღეს რომ გენახეთ ათასმეტრიანი კლდის გზაზე მიმავალი, ნამდვილად კომუნისტური პარტიის კონგრესის, ან „რევოლუციური კადრების“ საქორწინო ფოტოდან გადმომხტარი გეგონებოდი. მეცვა ჩვენი პატარა მკერავის ნახელავი ზღვისფერი ლურჯი კიტელი მუქი ნაცრისფერი საყელოთი. ეს იყო პრეზიდენტ მარს კიტელის ზუსტი ასლი საყელოდან დაწყებული და ჯიბეების ფორმით დამთავრებული, რომ აღარაფერი ვთქვა ოქროსფერი ყვითელი პატარა საყვარელი სამ-სამი ღილით გაწყობილ სახელოებზე, რომლებიც შუქს ირეკლავდა, როცა მკლავებს გამოძრავებდი. თავზე, ჩემი ანარქისტულად ყალყზე დამდგარი თმების შესანიღბად, ჩვენმა კოსტიუმერმა მამამისის ძველი ქუდი დამადო, ისეთივე მუქი მწვანე ფერისა, როგორიც არმიის ოფიცრებს ახურავთ. ეგ იყო ოღონდ, რომ ძალიან პატარა იყო ჩემთვის. კარგა ერთი ზომით დიდი მჭირდებოდა.

ლუოს რაც შეეხება, მას მდივნის როლი აიძულებდა ჩაეცვა ჯარისკაცის გახუნებული უნიფორმა, რომელიც წინა დღეს სამხედრო სამსახურიდან ახლად დაბრუნებულ ვლესს გამოართვა. მკერდზე წითელი, ალისფერი მედალი უბრწყინავდა, რომელზეც მარს მოოქრული, უნაკლოდ უკან გადავარცხნილ თმიანი თავი ამოზრდილიყო.

ადრე არასოდეს დაგვედგა ფეხი ამ უცნობ და ველურ ადგილას და კინალამ დავიკარგეთ ბამბუკების ბნელ, ნესტიან ტყეში, რომელიც უხილავი ცხოველების მწკლარტე სუნით იყო გაჟღენთილი. წვიმით აელვარებული ბამბუკები ერთმანეთს ეკვროდა და ალყაში გვაქცევდა. დროდადრო ახლად ამოსული ყლორტების ზრდის დამახასიათებელი მშვიდი ტკაცუნი გვესმოდა. ზოგიერთ ახალგაზრდა ბამბუკს, ყველაზე ძლიერს, როგორც ჩანს, დღეში ოცდაათი სანტიმეტრით შეუძლია გაზრდა.

მოხუცი მომღერლის წისქვილი, მალალი მთიდან გადმომჩქეფარე ჩანჩქერი რომ ეხეთქებოდა, რელიკვიას წააგავდა ჭრიალა, უზარმაზარი, შავად დაღარული თეთრი დოლაბებით, რომლებიც ნაღდი გლესური სიზანტით ტრიალებდნენ.



პირველ სართულზე იატაკი ირყეოდა. ალაგ-ალაგ ძველი ამომტვრეული იატაკიდან დიდ ქვებს შორის ჩვენ ქვეშ გამდინარე წყალი მოჩანდა. დოლაბების ჭრილის ექო მეორდებოდა და ჩვენს ყურებში ბაგაბუგი გაჰქონდა. ოთახის შუაგულში წელზევით შიშველმა მოხუცმა კაცმა ხვიშირში მარცვლის ჩაყრა შეწყვიტა და ერთი-ექვსამა და დაკვირვებით გამოგვხედა. გამარჯობა ჩვენი პროვინციის დიალექტზე — სიჩუანურზე კი არ ვუთხარი, არამედ მანდარინულზე, ზუსტად ისე, ფილმებში რომ ამბობენ.

— რა ენაზე ლაპარაკობს? — ჰკითხა ლუოს შეფიქრიანებულმა.

— ოფიციალურ ენაზე, — უპასუხა ლუომ. — პეკინის ენაზე. თქვენ არ იცით?

— სადაა პეკინი?

ამ შეკითხვამ გაგვაოგნა, მაგრამ, როცა მივხვდით, რომ მართლა არ იცოდა, სად იყო პეკინი, გიჟებივით ავხარხარდით. ერთი წამით შემშურდა მისი გარე სამყაროს ტოტალური უცოდინარობა.

— პეკინგი? რამეს გეუბნებათ? — ჰკითხა ლუომ.

— ბე პინგი? — თქვა მოხუცმა. — რა თქმა უნდა: დიდი ქალაქია ჩრდილოეთში.

— ოცი წელია, რაც სახელი შეიცვალა, მამილო, — აუხსნა ლუომ, — და ეს ბატონი ჩემს გვერდით ლაპარაკობს ბე პინგის, როგორც თქვენ უწოდებთ, ოფიციალურ ენაზე.

მოხუცმა პატივისცემით სავსე მზერა მესროლა. მან ყურადღებით დაათვალიერა ჩემი მათს კიტელი, დააკვირდა სახელოების სამ პატარა დილს და თითის წვერებითაც შეეხო.

— ეს რისთვისაა საჭირო, ეს პატარა რამეები? — მკითხა მან.

ლუომ მისი შეკითხვა მითარგმნა. ჩემი ცუდი მანდარინულით ვუპასუხე, რომ ამისა არაფერი გამეგებოდა. მაგრამ ჩემმა თარჯიმანმა მოხუც მეწისქვილეს ასე უთარგმნა ჩემი ნათქვამი: ეს ნამდვილი რევოლუციური კადრების სიმბოლოაო.

— ეს ბე პინგელი ბატონი, — განაგრძო ლუომ გაქნილი თაღლითის სიმშვიდით, — ჩვენს რეგიონში ხალხური სიმღერების შესაკრებად ჩამოვიდა და ყველა მოქალაქე, ვინც კი სიმღერა იცის, ვალდებულია მას უმღეროს.

— მთიელთა ეს რალაც-რულაცები? — ჰკითხა მოხუცმა და ეჭვის თვალით გადმოხედა — ეს სიმღერები არცაა, უბრალოდ შაირებია, ძველი, გაქვავებული შაირები, გესმით?

— სწორედ ეგ სურს ამ ბატონს, შაირები, მარტივი და ნაღდი.

მოხუცმა მეწისქვილემ ჩაცოხნა ეს ზუსტი მოთხოვნა და ძალიან უცნაური ეშმაკური ღიმილით შემომხედა.

— მართლა ფიქრობთ...?

— დიას, — ვუპასუხე მე.

— ბატონს მართლა სურს, რომ სიბილწეები ვუმღერო? იცით, ჩვენი სიმღერები ცნობილია... როგორც...

სათქმელი ვერ დაამთავრა, რადგან გლეხები მოვიდნენ, თითოეულს ზურგზე დიდი გოდორი ეკიდა.

მართლა ძალიან შეგვეშინდა მეც და ჩემს „თარჯიმანსაც“ არ გვიცნონ-მეთქი. ყურში ჩავჩურჩულე: „ხომ არ მოვტყდეთ აქედან?“ მოხუცი ლუოსკენ მოტრიალდა და ჰკითხა: რა თქვაო. ვივარდებოდი და უხერხულობის გასაფანტავად გლეხებს მივაშურე, რომ ტვირთის ჩამოსხნაში მივშველებოდი.

ახალმოსულები ექვსნი იყვნენ. არც ერთი მათგანი არასოდეს ყოფილა ჩვენს სოფელში და როგორც კი დაერწმუნდი, რომ ვერ გვცნობდნენ, მაშინვე დავმშვიდდი. მათ იატაკზე დააწყვეს საფქვაავით სავსე გოდრები.

— მოდით, ბე პინგელი ახალგაზრდა ბატონი უნდა წარმოგიდგინოთ, — უთხრა მოხუცმა მეწისქვილემ ამ ხალხს, — ხედავ სამ პატარა ღილს მის სახელოზე?

გარდაქმნილმა, გასხივოსნებულმა მოხუცმა განდეგილმა ჩემი ხელი აიღო და თვალწინ უქნევდა გლეხებს, რომ ახლოდან დამტკბარიყვნენ ამ შეჩვენებული ყვითელი ღილების მხერით.

— იცით, ეს რას ნიშნავს? — ყვიროდა მეწისქვილე და არყის ოხშივარი იფრქვეოდა მისი პირიდან. — ეს რევოლუციური კადრების სიმბოლოა.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთ გამხდარ მოხუცს ასეთი ძალა ექნებოდა: მისმა დაკოჟრილმა ხელმა ლამის მაჯა გადამიძტვრია. თაღლითი ლუო კი ოფიციალური თარჯიმნის მთელი სერიოზულობით მანდარინულად მითარგმნიდა მის სიტყვებს. კინოში ნახული ხელმძღვანელი მუშაკების მიბაძვით ვალდებული ვიყავი ყველასთვის ხელი ჩამომერთმია და სავალალო მანდარინულით, თავის აქეთ-ექით კანტურით ახსნა-განმარტებები მიმეცა.

ჩემს ცხოვრებაში ჯერ მსგავსი არაფერი გამეკეთებინა. ვნანობდი ამ საიდუმლო ვიზიტის გამო, რომელიც იმიტომ წამოვიწყეთ, რომ ბინოკლარდის — ტყავის ჩემოდნის უმოწყალო მფლობელის — შეუსრულებელი მისია შეგვესრულებინა.

თავს აქეთ-იქით რომ ვაკანტურებდი, ჩემი მწვანე ქუდი, უფრო სწორად მკერავის ქუდი, იატაკზე დავარდა.

ბოლოს გლეხები წავიდნენ და დასაფქვაავი სიმინდის გორა დატოვეს.

დაღლილობისგან კისერი მწყდებოდა, თან პატარა ქუდი ნამდვილ რკინის სალტედ მექცა, რომელიც უფრო და უფრო მიჭერდა და თავს მატკივებდა.

მოხუცი მეწისქვილე მეორე სართულზე აგვიძღვა ხის პატარა მისადგმელი კიბით, რომელსაც ორი თუ სამი საფეხური აკლდა. იგი ინდური ლერწმის კალათას ეცა, საიდანაც არაყის გამხმარი გოგრის ბოთლს და სამ ჭიქას ამოეყო თავი.

— აქ ნაკლები მტვერია, — გვითხრა გალიმებულმა, — თითო გადავკრათ.

ამ დიდი და ბნელი ოთახის იატაკი მთლიანად მოფენილი იყო პატარა კენჭებით, რომლებმაც ბინოკლარდის მიერ ნახსენები „სეფრიტის გუფთა“ გაგვახსენა. პირველი სართულივით აქაც არც ნაკლებ იყო და არც საცხოვრებელი სახლისთვის აუცილებელი სხვა-სხვა სახის დიდი საწოლი იდგა. მის თავზე, კედელზე ლეოპარდის თუ პანტერას შავი ტყავი იყო გაკრული, რომელზეც ბამბუკის სამსიმიანი ვიოლასებური მუსიკალური საკრავი ეკიდა.

სწორედ ამ ერთადერთ საწოლზე ჩამოჯდომა შემოგვთავაზა მოხუცმა მეწისქვილემ, საწოლზე, რომელმაც მწარე მოგონებები და მსხვილი მუწუკები დაუტოვა ჩვენს წინამორბედ ბინოკლარდს.

თვალი ჩემს თარჯიმანს შევაგლე, რომელსაც ისე აშკარად ეშინოდა კენჭებზე ფეხის დასრიალებისა, რომ კინაღამ მართლა გაიშხლართა იატაკზე.

— არ გირჩევნიათ გარეთ დავსხდეთ? — ჩაიბურტყუნა ლუომ, პირველად კარგავდა მოთმინებას. — აქ ძალიან ბნელა.

— გულს ნუ გაიტეხთ.

მოხუცმა ლამპა აანთო და საწოლის შუაგულში დადგა. მაგრამ შიგსაკმაო ნავთი არ იყო და მოსატანად წავიდა. მაშინვე მობრუნდა ნავთით სავსე გოგრის ბოთლით. ნახევარი ლამპაში ჩაასხა, ბოთლი კი საწოლზე დატოვა არაყის ბოთლის გვერდით.

სამივე ფეხმორთხმულნი მოვთავსდით ნავთის ლამპის გარშემო და არყის სმას შევუდექით. ჩემგან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით, საწოლის კუთხეში, გადასაფარებელში გახვეული ჭუჭყიანი ტანსაცმელი იყო მიგდებული. ვსვამდი და ვგროძნობდი, როგორ მოცოცავდნენ პატარა მწერები ჩემს ერთ-ერთ ფეხზე შარვლის შიგნით. პროტოკოლის მიუხედავად, რასაც ჩემი ოფიციალური სტატუსი მაკისრებდა, როცა იქნელი მორიდებით შევყავი, უეცრად ვიგრძენი, რომ მეორე ფეხსაც შეუტიეს. ჩქარა ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ეს უთვალავი პაწაწა საყვარელი არსება ჩემს ტანზე შეიკრიბა, აღფრთოვანებული კერძის შეცვლითა და ჩემი ვენების მიერ შეთავაზებული ღვინით. უზარმაზარმა ქვაბმა უეცრად გაიელვა ჩემ თვალწინ, ქვაბმა, რომელშიც ბინოკლარდის ტანსაცმელი ადიოდა და ჩადიოდა, ტრიალებდა მდულარე წყალში შავი ბუმბულების შუაგულში და შემდეგ ჩემს ახალ მათს პიჯაკს დაუთმო ადგილი.

მოხუცმა მეწისქვილემ ერთი წამით დაგვტოვა, ტილებით ალყა-შემორტყმულნი, და თეფშით, პატარა ჯამითა და სამი ჩხირით დაბრუნდა. მან ისინი ლამპის გვერდით დააწყო და შემდეგ თვითონაც ამოვიდა საწოლზე დასაჯდომად.

ვერც ლუოს და ვერც მე ერთი წამითაც ვერ წარმოგვედგინა, რომ მოხუცი ჩვენც იმ დღეში ჩაგვაგდებდა, როგორშიც ბინოკლარდი ჩააგდო. უკვე გვიანი იყო თითზე კბენანი. ჩვენ წინ დადგმული თეფში სავსე იყო პატარა, უწყინარი, პრიალა, ნაცრისფერი და მომწვანო კენჭებით;

ჯამიც სავსე იყო კამკამა, ლამპის შუქით განათებული გამჭვირვალე წყლით. ჯამის ძირში რამდენიმე მსხვილმა კრისტალურმა მარცვალმა მიგვახვედრა, რომ საქმე მარილიან საწებელს ეხებოდა, ჩემი დამბყრობელი ტილები განაგრძობდნენ მოქმედების ველის გაფართოებას, ქუდის ქვეშაც შეაღწიეს და ვგრძნობდი, როგორ მიდგებოდა მთელი მსხვილი გაუსაძლისი ქაფილის სურვილისგან.

— მიირთვით, — გვითხრა მოხუცმა, — ეს ჩემი ყოველდღიური კერძია: ნეფრიტის გუფთა მარილიან საწებელში.

გველაპარაკებოდა, თან ჩხირებით თეფშიდან კენჭი აიღო, ამოავლო საწებელში თითქმის რიტუალური სიძინჯით, პირში ჩაიღო და მადიანად დაუწყო წუწნა. დიდხანს ჰქონდა კენჭი პირში. ვხედავდი, როგორ აგორავებდა თავის მოყვითალო-მოშავო კბილებს შორის. შემდეგ თითქოს მის ყელში გაუჩინარდა, მაგრამ ისევ გამოჩნდა და მოხუცმა ტუჩის კუთხით საწოლიდან კარგა შორს გადააფურთხა.

წამიერი ყოყმანის შემდეგ ლუომ ჩხირები აიღო და აღტაცებითა და სიბრალულნარევი აღფრთოვანებით გასინჯა ნეფრიტის პირველი გუფთა. ბატონმა ბე პინგიდამ, ეს მე გახლდით, მას მიბაძა. საწებელი არ იყო ძალზე მლაშე და კენჭმა მოტკბო, ცოტა მწარე გემო დამიტოვა.

მოხუცი მალ-მალე გვივსებდა ჭიქებს და გვთხოვდა, მასთან ერთად ბოლომდე დაგველია; სამი პირიდან გასროლილი კენჭები მკვეთრი, მშრალი და მხიარული ხმით კაკუნებდნენ იატაკზე ხალიჩასავით მოფენილ კენჭებზე.

მოხუცი ძალიან კარგ ფორმაში იყო. ნამდვილად ჰქონდა პროფესიული გრძნობა. სანამ იმღერებდა, გავიდა და ასე საშინლად მოჭრიალე დოლაბი გააჩერა. შემდეგ ფანჯარა დახურა აკუსტიკის გასაუმჯობესებლად. წელზევით შიშველმა ნამჯისგან დაწნული ქამარი მოიჭირა და კედლიდან სამსიძიანი საკრავი ჩამოიღო.

— გსურთ ძველი სიმღერების მოსმენა? — გვკითხა მან.

— დიახ, ეს მნიშვნელოვანი ოფიციალური ჟურნალისთვის გვინდა. — აცნობა ლუომ. — მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩვენი გადარჩენა, ჩემო მეგობარო. ჩვენ გულწრფელი, ნაღდი სიმღერები გვჭირდება, გარკვეული რევოლუციური რომანტიზმით.

— რა არის რომანტიზმი?

ცოტა ფიქრის შემდეგ ლუომ ხელი გულზე დაიღო, თითქოს ფიცს დებდა ცის წინაშე:

— გრძნობა და სიყვარული.

მოხუცის ძვლადქცეული თითები ინსტრუმენტის სიმებს მშვიდად შეეხო, რომელიც გიტარასავით ეჭირა. პირველი ნოტი გაისმა და შემდეგ ძლივს გასაგონი ხმით მან სიმღერა წამოიწყო.

თავიდანვე ჩვენი ყურადღება მისი მუცლის მოძრაობამ მიიპყრო, რომელმაც პირველ წამებში დაგვაფიწყა მისი ხმაც, მელოდიაც და ყველაფერი დანარჩენიც. რა გადასარევი მუცელი იყო! სინამდვილეში საშინლად ჩამომხმარს არავითარი მუცელი არ ჰქონდა, მაგრამ მისი ჩამომჭკნარი კანი მუცლის ღრუზე ქმნიდა უთვალავ პაწაწინა ნაოჭს.

როცა მღეროდა, ეს ნაოჭები ცოცხლდებოდნენ და პატარა ტალღებად მიმოდიოდნენ მის შიშველ, გაწითლებულ, გარუჯულ მუცელზე. ნამჯის თოკი, ქამრის მაგივრობას რომ უწევდა, გიჟურად იკლაკნებოდა, ხან მისი დანაოჭებული კანის ზვირთებში იძირებოდა და ხანაც, როცა გვეგონა, ველარასოდეს დავინახავთ-თქო, სწორედ მაშინ, როცა კაბოლოდ შთანთქმული გვეგონა ზღვის მოქცევისგან, უეცრად დაფრთხილებოდა ღირსეული, უნაკლო და მაგიური.

მალე მოხუცი მეწისქვილის ხმა, ერთდროულად ხრინწიანი და ღრმა, ძალზე ძლიერად აჟღერდა ოთახში. ის მღეროდა, მისი თვალები კი განუწყვეტლივ დაცურავდა ლუოსა და ჩემს სახეზე, ხან მეგობრული თანამზრახველობით, ხან კი ცოტა ველური სიმკაცრით.

აი რას მღეროდა:

მითხარი,  
 ბებერ ტილს  
 რისი ეშინია?  
 ეშინია ადულებული წყლის,  
 ადულებული წყლის.  
 და ახალგაზრდა სამონაზვნეს,  
 მითხარი,  
 რისი ეშინია?  
 ბებერი ბერის,  
 სხვისი არაფრის,  
 ბებერი ბერის ეშინია.

გიჟური სიცილი გვიღიჭინებდა, ლუოს და მეც. ვითმინეთ, ვითმინეთ, მაგრამ სიცილი მოგვაწვა და გადმოიფრქვა. მოხუცი მეწისქვილე განაგრძობდა მღერას ამაყი ღიმილით და კანის ზვირთები ეკეცებოდნენ მუცელზე. ლუო და მე წელში ვერ ვსწორდებოდით, ვხარხარებდით, იატაკზე გავგორდით და ვერაფრით ვერ ვჩერდებოდით.

მოხუცმა მომღერალმა თავისი პირველი გულწრფელი, ნაღდი და მთის რომანტიზმით დაღდასმული სიმღერა რომ დაამთავრა, თვალზე ცრემლმომდგარი ლუო წამოდგა, ბოთლი აიღო და სამივე ჭიქა შეავსო.

— მივუჭახუნოთ, პირველ რიგში თქვენს წყეულ მუცელს გაუმარჯოს, — თქვა ლუომ.

ჩვენმა მომღერალმა ხელში ჭიქა აიღო და ნება დაგვრთო ხელი მის მუცელზე დაგვედო და სუნთქვას შეუდგა, არ მღეროდა, უბრალოდ უნდოდა ესიამოვნებინა თავისი მუცლის სანახაობრივი მოძრაობით. შემდეგ ჭიქები მივაჭახუნეთ და უეცრად გადავკარით.

პირველ წამებში არც ერთს არ გვქონდა რეაქცია, არც მე და არც იმათ. მაგრამ უეცრად რაღაც მომაწვა ყელში, ისეთი უცნაური რომ ჩემი როლი დამავიწყდა და წმინდა სიჩუანურ დიალექტზე ვუთხარი მოხუცს:

— რა უბედურებაა ეს თქვენი არაყი?!

წინადადება ძლივს დავამთავრე და სამივემ გადმოვანთხიეთ, რაც

პირში გვექონდა: ლუოს ბოთლები შეშლოდა და არყის მაგიერ ლამპის ნავთით შეევსო ჭიქები.

ცის ფენიქსის მთაში ჩამოსვლის დღიდან ბინოკლარდის ბაგე/ნამდვილად პირველად გააპო ჭეშმარიტად ბედნიერმა ღიმილით დასწავლოდა. ოფლის წვეთებით დაფარულ პატარა ცხვირზე სათვადე ბაგე/ნამდვილად. ორჯერ კინალამ ჩამოუვარდა და დაემსხვრა, სანამ მოხუცი მეწისქვილის თვრამეტი სიმღერის კითხვაში იყო გართული, რომლებიც ჩვენ ნავთით, არაყითა და მარილიანი საწებლით დალაქავებულ ქალაქზე ჩავიწერეთ. ლუო და მე მის საწოლზე გავიჭიმეთ ისე, რომ ფეხსაცმლის და ტანსაცმლის გახდით თავი არ შეგვიწუხებია. მთელი ღამე ვიარეთ მთებში, გადმოვჭერით ბამბუკის ტყე, სადაც უნილავი მტაცებლების შორეული ხმები თან გვდევდა გარიყრაყამდე; დაღლილობისგან სული ძლივსლა გვედგა. უეცრად ბინოკლარდის ღიმილი გაქრა და სახე მოექუფრა.

— ეს რა ოხრობაა?! — გვიყვირა მან. — ეს რა სიბილწეები ჩავიწერიათ!

ისე ყვიროდა, იტყოდი, ბრაზისგან გაცოფებული ნამდვილი მბრძანებელიაო. სულაც არ მომწონდა მისი ტონი, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე. ერთადერთი, რაც მისგან გვსურდა, ერთი ან ორი წიგნის თხოვება იყო ჩვენი თავგანწირული მისიის საზღაურად.

— შენ მთიელების ნაღდი სიმღერები გვთხოვე, — შეახსენა დაძაბული ხმით ლუომ.

— ღმერთო ჩემო! მე დაგიზუსტეთ, რომ დადებითი, რეალისტური რომანტიზმით შეფერილი სიტყვები მინდოდა.

ბინოკლარდი ლაპარაკობდა და თან ფურცლებს ჩვენს თავს ზემოთ იქნევდა; გვესმოდა ფურცლების შარიშური და მისი მკაცრი პედაგოგიური ხმა.

— ყოველთვის აკრძალული საძაგლობები რატომ გიზიდავთ თქვენ ორს?

— ნუ აჭარბებ. — უთხრა ლუომ.

— მე ვაჭარბებ? გინდა ეს წარვუდგინო კომუნის კომიტეტს? შენს ბებერ მეწისქვილეს იმწამსვე ეროტიკული სიმღერების პროპაგანდას დააბრალებენ და ციხეში ამოაყოფინებენ თავს. არ გეხუმრები.

უეცრად შემეზიზნა. მაგრამ აფეთქების დრო არ იყო, ვარჩიე დამეცადა, სანამ თავის პირობას შეასრულებდა და წიგნებს მოგვცემდა.

— მიდი, რალას უცდი, დაგვაბეზღე! — უთხრა ლუომ. — მე ვაღმერთებ ამ მოხუცს, მის სიმღერებს, მის ხმას, მისი წყეული მუცლის მოძრაობას და მის ყველა სიტყვას. მე მივბრუნდები და ცოტაოდენ ფულსაც მივუტან.

საწოლის კიდეზე ჩამომჯდარმა ბინოკლარდმა თავისი გამხდარი და ბრტყელი ფეხები მაგიდაზე შემოაწყო და ხელახლა გადაიკითხა ერთი თუ ორი ფურცელი.

— არა, როგორ დაკარგეთ დრო ამ იდიოტობების ჩაწერაზე?! ჩემამდე არ დადის! რა, თქვენ ისეთი იდიოტები ხართ, რომ ფიქრობთ,

ოფიციალური ჟურნალი ამას დაბეჭდავს? და ეს გამიხსნის გზას რედაქციისკენ?

იგი გასაოცრად შეიცვალა დედამისის წერილის მიღების შემდეგ. რამდენიმე დღით ადრე ჩვენთან ასე ლაპარაკს ვერ გაბედავდა. არ ვიცოდი, თუ მომავლის პაწაწა იმედს შეეძლო ასე შეეცვალა ადამიანი, თითქმის გიჟად, თავხედად ექცია; მისთვის ამდენი უფლებამოსილებაში კი მძულვარება ჩაელვარა. წიგნებს, ჩვენთვის რომ უნდა ეთხოვებინა, გაკვრითაც არ ახსენებდა. ადგა, ფურცლები საწოლზე დაყარა და სამზარეულოში გავიდა კერძის მოსამზადებლად. გვესმოდა, როგორ ჭრიდა ბოსტნეულს და ქაქანს არ წყვეტდა:

— გირჩევთ, აიღოთ თქვენი ჩანაწერები და ახლავე ცეცხლში შეუძახოთ ან ჯიბეებში დამალოთ. არ მინდა ეს აკრძალული ნაგავი სახლში მქონდეს, ჩემს საწოლზე ეყაროს!

ლუო სამზარეულოში გავიდა:

— მოგვეცი ერთი ან ორი წიგნი და წავალთ.

— რა წიგნი? — გავიგონე, როგორ ჰკითხა ბინოკლარდმა და თან კომბოსტოს და ბოლოკს ჭრიდა.

— შენ რომ დაგვპირდი.

— მაშაყირებ? უბადრუკი რაღაცები მომიტანეთ, რაც მხოლოდ უსიამოვნებებს მომაყენებს და ისე გათავხედდით, რომ ამას ახალბედა როგორც...

უეცრად გაჩუმდა და ოთახში ხელში დანით შემოვარდა, საწოლზე მიყრილ-მოყრილი ფურცლები აიღო, ფანჯარას მიუახლოვდა, უკეთ რომ დაენახა და ხელახლა დაიწყო კითხვა.

— ღმერთო ჩემო! გადავრჩი! — იყვირა მან. — საკმარისია რამდენიმე სიტყვა შევცვალო, ზოგი მოვაკლო, ზოგი დავუმატო... ჩემი თავი თქვენს თავებზე უკეთ მუშაობს. ამ ნაგავთან არავითარი კავშირი არ მაქვს. მე უდაოდ თქვენზე უფრო ჭკვიანი ვარ!

ბევრი არ უფიქრია, ისე წარმოგვიდგინა პირველი სტროფის თავისებურად დამახინჯებულ-გადაკეთებული ვარიანტი:

მითხარი,  
პატარა ბურჟუა ტილებს  
რისი ეშინიათ?  
პროლეტარიატის მდულარე ტალღების...

ელვისებურად წამოვხტი და ვეცი. მხოლოდ ფურცლების წართმევა მინდოდა, მაგრამ საშინლად გაბრაზებულმა მუშტი ისე ძლიერად ჩავცხე სახეში, რომ წაბორძიკდა, კეფით კედელს მიეხალა, დანა ხელიდან გაუვარდა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. მინდოდა, გამომეგლიჯა ჩვენი ფურცლები, დამენაკუწებინა და მისთვის პირში ჩამეტენა, მაგრამ მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული და არ თმობდა.

კარგა ხანი იყო აღარ მეჩხუბა და წამით შევცბი, აღარ ვიცოდი, რა ხდებოდა. ვხედავდი, პირს რომ აფჩენდა, მაგრამ ხმა არ მესმოდა.

გონს გარეთ მოვედი, როდესაც ლუო და მე ბილიკის კიდეზე ჩამოვსხედით, კლდის ძირში. ლუო მაჩვენებდა ბინოკლარდის სისხლით მოსვრილ ჩემს მაოს კიტელს.

— შენ ომზე გადაღებული ფილმის გმირს ჰგავხარ, — მითხრა მან. — ამიერიდან მშვიდობით, ბალზაკო.



ყოველთვის, როდესაც მეკითხებოდნენ, როგორია ქალაქი იონგ ჟინგიო, უგამონაკლისოდ ჩემი მეგობარი ლუოს სიტყვებით ვპასუხობდი: ისეთი პატარაა, რომ თუ მერიის სასადილოში ნივრიან ხარისხორცს ამზადებენ, მთელ ქალაქს მისი სუნი სცემს-მეთქი.

მართლაც ქალაქში მხოლოდ ერთი, ასე ორმოცდაათ მეტრიანი ქუჩა იყო, რომელზეც მდებარეობდა მერია, ფოსტა, მაღაზია, სამკითხველო, ლიცეუმი და რესტორანი, რომლის უკანაც თოთხმეტ ოთახიანი სასტუმრო იყო. ქალაქის გასასვლელში შუა მთაზე რაიონის საავადმყოფო იყო მიწებებული.

იმ ზაფხულს სოფლის თავკაცმა ბევრჯერ გაგვიშვა ქალაქში ფილმის ჩვენებაზე დასასწრებად. ჩემი აზრით, ამ ლიბერალობის ქვენა აზრის დაუძლეველი საცდური იყო, ჩვენი მალევიძარა რომ წარმოადგენდა მისთვის თავისი ამპარტავანი ფარშევანგის ბოლოიანი მამლით, რომელიც ყოველ წამს ბრინჯის მარცვალს კენკავდა. კომუნისტად ქცეული ოპიუმის ექსმწარმოებელი ვიყურად იყო ამ საათზე შეყვარებული. თუნდაც მცირე ხნით მისი ხელში ჩაგდების ერთადერთი ხერხი ჩვენი იონგ ჟინგში გაგზავნა იყო. იმ ოთხი დღის განმავლობაში, რომელიც ჩვენს წასვლა-წამოსვლას სჭირდებოდა, იგი მალევიძარას პატრონი ხდებოდა.

ავვისტოს ბოლოს, ე. ი. ბინოკლარდთან შეხლა-შემოხლიდან ერთი თვის შემდეგ, რომელმაც ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების გამყინვარება გამოიწვია, ხელახლა წავედით ქალაქში, ამჯერად პატარა მკერავიც წავიყვანეთ.

ხალხით გადაჭედულ ლიცეუმის კალათბურთის მოედანზე, ღია ცის ქვეშ ისევ იმ ძველ ჩრდილო-კორეულ ფილმს უჩვენებდნენ, „ყვავილების გამყიდველ გოგონას“, რომელიც მე და ლუომ უკვე ვნახეთ და კიდევ მოვუყევით სოფლელებს, სწორედ იმ ფილმს, რომელმაც პატარა მკერავთან ცხარე ცრემლით ატირა ოთხი ბებური კუდიანი. მარტივი ფილმი იყო. საჭირო არ იყო მისი ორჯერ ნახვა, რომ დაგვემახსოვრებინა, მაგრამ ამან მაინც ვერ გაგვიფუჭა ხასიათი. ჯერ ერთი კმაყოფილები ვიყავით, ქალაქში რომ დავდგით ფეხი. აჰ! ქალაქის გარშემო, თუნდაც ცხვირსახოცის ხელა პატარა ქალაქისა! ნივრიანი ხარისხორცის სურნელი, გარწმუნებთ, სულაც არაა ისეთი, როგორიც ჩვენს სოფელშია. და კიდევ იქ ელექტროდენია და არა მარტო ნავთის ლამპები. არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ორს აკვიატებული გვექონდა ქალაქი, მაგრამ ჩვენი მისია ფილმის ჩვენებაზე დასწრებისა თავისთავად გულისხმობდა ქალაქში ყოფნას, რაც ჩვენ ოთხი დღით გვიხსნიდა ხოლმე მინდორში მონური შრომისგან, ზურგით ადამიანისა ან ცხოველის ნაკელის ტარებისგან ან ლამიანი ბრინჯის პლანტაციის მოხვნისგან, როცა კამერის



ვრძელი კუდი ყოველწამს შეიძლებოდა მთელი ძალით მოგხვედროდა სახეში.

მეორე მიზეზი, რაც კარგ ხასიათზე გვაყენებდა, პატარა შკერავის ჩვენთან ყოფნა იყო. დაწყებულ ფილმზე მივედით და მხოლოდ ფეხზე დასადგომი ადგილები იყო ეკრანის უკან, სადაც ყველაფერი უკულმა ჩანდა და სადაც ყველა ცაცია იყო. მაგრამ გოგონას ~~არ უნებოდა~~ ამ იშვიათ სანახაობას გამოკლებოდა, ჩვენთვის კი ერთი სიამოვნება იყო მისი ლამაზი, ეკრანიდან გამოსული ფერადი ანარეკლით განათებულ-გაბრწყინებული სახის ყურება. ხანდახან მის სახეს სიბნელე ნთქავდა და თვალებილა მოუჩანდა ჩრდილში ფოსფორის ორ ლაქასავით. მაგრამ უეცრად, კადრის შეცვლასთან ერთად მისი სახე ნათდებოდა, ფერად-დებოდა და იფურჩქნებოდა მისი ოცნებების ბრწყინვალეობაში. ყველა მაყურებელ ქალს შორის, მაყურებელი ქალი კი ასე ორი ათასი ან ცოტა მეტიც იქნებოდა, ის უდავოდ ყველაზე ლამაზი იყო. მამაკაცური თავმომწონეობა გვაგსებდა, როცა ჩვენს გარშემო მყოფ მამაკაცთა შურიან მზერას ვიჭერდით. სეანსის შუაში, ასე დაახლოებით ნახევარი საათი იყო გასული ფილმისა, მომიტრიალდა და ისეთი რამ ჩამჩურჩულა ყურში, რომ მომკლა და ის იყო:

— შენი მოყოლილი ბევრად უფრო საინტერესო იყო.

სასტუმრო, სადაც გავჩერდით, ძალზე იაფფასიანი იყო, ოთახი ორმოცდაათი სანტიმი ღირდა, თითქმის იგივე ფასი, რაც ერთი ულუფა ნივრიანი ხარის ხორცის კერძი. ეზოში სკამზე მთვლემარე ღამის დარაჯმა, მოხუცმა მელოტმა კაცმა, უკვე რომ გვიცნობდა, თითოთ შუქანთებული ოთახი გვაჩვენა და ხმადაბლა გვითხრა: ვილაც ორმოციოდე წლის ფანტასტიურმა ქალმა დაიქირავა ერთი ღამითო; იგი დედაქალაქიდან ჩამოსულიყო ჩვენს პროვინციაში და მეორე დღით ცის ფენიქსის მთისკენ მიეშურებოდა.

— შვილის წასაყვანად ჩამოვიდა, — დაუმატა მან, — მისთვის კარგი სამუშაო უმოვია ქალაქში.

— მისი შვილი აქ ხელახლა აღსაზრდელადაა? — ჰკითხა ლუომ.

— კი, თქვენსავით.

ვინ უნდა ყოფილიყო ეს ბედნიერი რჩეული, პირველი განთავისუფლებული, ასობით ხელახლა აღსაზრდელ ახალგაზრდას შორის ჩვენს მთებში? ამ კითხვამ თითქმის ნახევარი ღამე არ მოგვასვენა, ტვინი გაგვიბურღა; ციებ-ცხელებიანებით გვაფხიზლებდა და შური გვღრღნიდა. სასტუმროს საწოლები მხურვალე შეიქნა, მათზე დაძინება კი შეუძლებელი. ვერ გამოვიცანით, ვინ იყო ის იღბლიანი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბიჭის სახელი ჩამოვთვალეთ, გარდა „ბურჭუას შვილისა“, როგორც ბინოკლარდი გახლდათ, და „ხალხის მტრის შვილებისა“, როგორებიც ჩვენ ვიყავით, ე. ი. იმათ ვარდა, ვისაც ათასიდან მხოლოდ სამი შანსი ჰქონდა.

მეორე დღეს, უკან რომ ვბრუნდებოდით, გზაზე შევხვდი შვილის გადასარჩენად ჩამოსულ ამ ქალს. ეს სწორედ იმ ადგილთან ახლოს მოხდა, სადაც ბილიკი კლდეზე ადის და მაღალი მთების თეთრ ღრუბლებში იკარგება. ჩვენს ფერხთით ტიბეტელებისა და ჩინელების საფლა-

ვებით სავსე უზარმაზარი ფერდობი გაშლილიყო. პატარა მკერავმა ჩვენთვის დედის მხრიდან თავისი ბაბუის საფლავის ჩვენება მოინდომა. მე მაინცდამაინც არ მიყვარს სასაფლაოები და ისინი უჩემოდ გავეუშვი საფლავის ქვების ტყის სანახავად: ზოგიერთი ნახევრად ჩაფლული იყო მიწაში, ზოგი კი მთლად დაფარული უხვი ბალახით. ბილგის ქვეშე კლდოვან შვერილზე, ჩვეულებისამებრ, ცეცხლი დავანთე ვეხმარე თლებითა და ტოტებით, ჯიბიდან ახალი კარტოფილები ამოვიღე და ნაცარში შესაწვავად ჩავფალი. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქალი, იგი ახალგაზრდა კაცის ზურგზე ტყავის ღვედებით დამაგრებულ ხის სკამზე იჯდა. გასაოცარი ის იყო, რომ ამ ძალზე საშიშ, უხერხულ მდგომარეობაში იგი არაადამიანურ სიმშვიდეს ამჟღავნებდა: ისე ქსოვდა, თითქოს თავისი სახლის აივანზე მჯდარიყო.

თხელი აღნაგობის ქალი იყო. ეცვა მუქი მწვანე ხავერდის პიჯაკი, ჩალისფერი შარვალი და ბრტყელძირიანი, რბილი ტყავის გახუნებული მწვანე ფერის ფეხსაცმელი. ჩემამდე რომ ამოაღწიეს, მტვირთავმა დასვენება მოინდომა და სკამი კლდის ოთხკუთხა შვერილზე დადგა. ქალი ქსოვას განაგრძობდა, არც სკამიდან ჩამოსულა, არც შემწვარი კარტოფილისკენ გამოუხედავს და არც თავისი მტვირთავისთვის უთქვამს ორიოდე თავაზიანი სიტყვა. მე ადგილობრივი კილოთი მივმართე: ქალაქის სასტუმროში თუ გაათიეთ ღამე-მეთქი. მან თავის უბრალო დაკვირვით დამიდასტურა და ქსოვა განაგრძო. ელეგანტური ქალი იყო, უთუოდ მდიდარი, რომელსაც, როგორც ჩანდა, არაფერი გააკვირვებდა.

ჩხირი რბილ კარტოფილში ჩავარჭე, ნაღვერდლიდან ამოვიღე და ხელში შევათამაშე, მიწა და ნაცარი რომ მომეშორებინა. გადავწყვიტე კილო შემეცვალა:

— აქაურად ნაღვერდალში შემწვარი კარტოფილის გასინჯვას ხომ არ ინებებთ?

— თქვენ ჩანგდუს კილო გაქვთ! — წამოიძახა მან რბილი, სასიამოვნო ხმით.

ვუთხარი, ჩემი ოჯახი ჩანგდუსი ცხოვრობს და მართლაც იქიდან ვარ-მეთქი. მაშინვე ჩამოვიდა სკამიდან, საქსოვი ხელში ეჭირა, მომიახლოვდა და ცეცხლთან ჩაჯდა. ნამდვილად არ იყო ჩვეული ამგვარ ადგილებში ჯდომას.

გამომართვა გაწოდებული რბილი კარტოფილი, შეუბერა და ღიმილით გადმომხედა, ყოყმანობდა ჩაკბეჩას.

— აქ რას აკეთებთ? ხელახალი აღზრდისთვის ხართ?

— დიას, ცის ფენიქსის მთაში, — ვუპასუხე და თან სხვა კარტოფილს ვეძებდი ნაცარში.

— მართლა? — წამოიძახა მან. — ჩემი შვილიც ამ მთაშია ხელახალი აღზრდისთვის. იქნებ იცნობთ კიდევ. როგორც ჩანს, ერთადერთი სათვალღიანია თქვენ შორის.

მე კარტოფილს ჩხირი ავაცილე და სიცარიელეში ჩავარჭე. თავმა ბზუილი დამიწყო, თითქოს სილა გამაწნეს.

— ბინოკლარდის დედა ბრძანდებით?

— დიას.

— მაშ ისაა პირველი განთავისუფლებული!

— აჰ, საქმის კურსში ყოფილხართ. ის ჩვენი პროვინციის ლიტერატურული ყურნალის რედაქციაში იმუშავენ.

— თქვენი შვილი მთის სიმღერების სუპერსპეციალისტია.

— ვიცი. ადრე გვეშინოდა, რომ ტყუილუბრალოდ კარგავდა დროს ამ მთაში. მაგრამ შევცდით. მან შეაგროვა სიმღერები, უცხოელები გაუკეთა და ოდნავ შეცვალა. მთავარ რედაქტორს ძალიან მოეწონა ამ შესანიშნავი გლეხური სიმღერების სიტყვები.

— თქვენი წყალობით შეძლო მან ამ სამუშაოსთვის თავის გართმევა. მას ხომ ბევრ წიგნს აძლევდით წასაკითხად.

— დიას, რა თქმა უნდა.

უეცრად ქალი დადუმდა და ეჭვით შემომხედა.

— წიგნებს? არასდროს, — მითხრა ცივად. — დიდი მადლობა კარტოფილისთვის.

ნამდვილად ფხუკიანი იყო. ვინანე, წიგნებზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა. დავინახე, თავისი კარტოფილი ჩუმად ჩადო აბოლებულ ნალვერდალში, ადგა და წასასვლელად მოემზადა.

უეცრად მომიტრიალდა და კითხვა დამისვა, რომელმაც შემაშინა:

— რა გქვიათ? მისვლისას ჩემს შვილს ვეტყვი, რომ შეგხვდით.

— ჩემი სახელი? — ცოტა შეეყოვნდი. — ლუო მქვია.

როგორც კი ეს ტყუილი წასცდა ჩემს ბაგეს, სიკვდილი ვინატრე. ახლაც ჩამესმის, როგორ მელაპარაკება ბინოკლარდის დედა თავისი ტკბილი ხმით, როგორც დიდი ხნის მეგობარს:

— თქვენ დიდი კბილის ექიმის შვილი ხართ. რა საოცრებაა! მართალია, რომ მამათქვენი მკურნალობდა ჩვენს მათს?

— ვინ გითხრათ?

— ჩემმა შვილმა ერთ-ერთ წერილში.

— არ ვიცი.

— მამათქვენს თქვენთვის არ მოუყოლია? რა თავმდაბლობაა. ის ნამდვილად დიდი, ძალიან დიდი კბილის ექიმია.

— ახლა ის გამოკეტილია. ის ხალხის მტრადაა გამოცხადებული.

— ვიცი, ბინოკლარდის მამის მდგომარეობა მის მდგომარეობაზე უკეთესი როდია. (მან ხმას დაუწია და ჩურჩულზე გადავიდა) მაგრამ ამას ძალიან ნუ განიცდით, ახლა მოდაში უვიცობაა, მაგრამ ერთ დღეს საზოგადოებას ისევ დასჭირდება კარგი ექიმები და პრეზიდენტ მათსაც დასჭირდება მამათქვენი.

— იმ დღეს, როდესაც მამას ხელახლა ვნახავ, გადავცემ თქვენს თავაზიან სიტყვებს.

— თქვენც არ უნდა მოდუნდეთ. მე, ხედავთ, გაუჩერებლად ვქსოვ ამ ცისფერ პულოვერს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი მხარეა, სინამდვილეში ქსოვისას გონებაში ლექსებს ვთხზავ.

— თქვენ მათცებთ! — ვთქვი მე. — რა ჟანრის ლექსებს თხზავთ?

— პროფესიული საიდუმლოა, ჩემო ბიჭუნა.

საქსოვი ჩხირი რბილ კარტოფილში ჩაარჭო, გაფცქვნა და მთლად ცხელი პირში ჩაიტენა.

— იცით, ჩემს შვილს ძალიან უყვარხარია. ხშირად მიყვებოდა თქვენზე წერილებში.

— მართლა?

— დიას, მაგრამ თქვენს ამხანაგს კერ იტანს, თქვენსავე სოფელში რომაა.

— იფ, რა აღმოჩენაა! ვზეიმობდი, ლუოს სახელი რომ მივისაკუთრე.

— კი მაგრამ რატომ? — შევეცადე მშვიდი ტონი შემიქაჩოვებო.

— ტვინგადაბრუნებული ტიპია. ეჩვენება, რომ ჩემს შვილს და-მალული ჩემოდანი აქვს და ყოველ მისვლაზე ყველგან ეძებს.

— წიგნებიანი ჩემოდანი?

— ამის არაფერი ვიცი, — თქვა ქალმა და ისევ ეჭვიანი გახდა. — ერთ დღეს ჩემს შვილს ვეღარ აუტანია მისი ქცევა და მუშტი ჩაურტყამს იმ ტიპისთვის, შემდეგ უცემია. თურმე ყველგან მისი სისხლი ესხა.

ამის უარყოფა მომინდა; კინალამ ვუთხარი, შენმა შვილმა მთიელთა ლექსების გაყალბებას თავი ანებოს და ფილმი გადაიღოს, იქ უფრო გამოადგება ასეთი იდიოტური გამოგონილი სცენები-მეთქი.

— ადრე არ ვიცოდი, თუ ჩემი შვილი ასეთი ღონიერი იყო და ჩხუბი შეეძლო, — განაგრძო მან. — მოვწერე და ვურჩიე, აღარასოდეს ჩაეგდო თავი ასეთ დამღუპველ მდგომარეობაში.

— ჩემს მეგობარს ძალიან ეწყინება, როცა გაიგებს, თქვენი შვილი სამუდამოდ რომ გვტოვებს.

— რატომ? შურისძიება სურს?

— არა, არა მგონია. მაგრამ საიდუმლო ჩემოდნისთვის ხელის შევლების იმედი აღარ ექნება.

— რა თქმა უნდა! რა გულის გატეხვაა იმ ბიჭისთვის!

რადგან მისი მზიდველი მოთმინებას კარგავდა, გამომემშვიდობა და წარმატებები მისურვა. დაჯდა თავის სკამზე, ისევ დაიწყო ქსოვა და გაუჩინარდა.

მთავარი ბილიკიდან მოშორებით, მარცხენა მხარეს, ღარიბების მომრგვალებულ სამარხებს შორის, რომელთაგან ზოგი მხოლოდ თანაბრად ამობურცულ მიწას წარმოადგენდა, იყო ჩვენი პატარა მკერავის ბაბუის საფლავი. ზოგი საფლავი უკეთეს მდგომარეობაში იყო, ჯერ კიდევ ედო ზედ ქვა მაღალ, ნახევრად დამჭკნარ ბალახში, პატარა მკერავის ბაბუის საფლავი კი თითქმის გაპარტახებული იყო: ცისფერლარებიან მუქ ნაცრისფერ ქვაზე ათწლეულების ავდრისგან ჩამორეცხილი სახელი და უფერული ცხოვრების მთხრობელი ორი თარიღი ძლივსღა მოჩანდა. მას იქ ლუოსთან ერთად ყვავილები დაეწყო, ახლომანლო რომ მოეკრიფათ: გულის ფორმის მწვანე პრიალა ფოთლები და გრაციოზულად თავდახრილი ალპური იები, ფენიქსის ფერიებად წოდებული ინები და რამდენიმე ველური ორქიდეა, ძალზე იშვიათი თავისი თეთრი, რძისფერი ქათქათა ფურცლებით, რომლებიც გარს შემოსვებოდნენ ნაზ ყვითელ გულს.

— რატომ გაქვს ეგეთი სახე? — დამიყვირა პატარა მკერავმა.

— ბალზაკს ვგლოვობ, — ვაცნობე მათ.

მოკლედ მოვუყევი მქსოვლად შენიღბულ პოეტთან, ბინოკლარდის დედასთან, შეხვედრის ამბავი. არც მოხუცი მეწისქვილის სიმღერების სამარცხვინო მოპარვამ, არც ბალზაკთან გამომშვიდობებამ, არც ბი-

ნოკლარდის გარდაუვალმა გამგზავრებამ ჩემსავით არ ააღელვა ისინი, პირიქით. ჩემ მიერ გათამაშებულ კბილის ექიმის შვილის როლზე კი აუტყდათ სიცილი, რომელიც მდუმარე სასაფლაოზე გახმაინდა.

კიდევ ერთხელ მომაჯადოვა პატარა მკერავის სიცილი. რგი ახლა სხვაგვარ მშვენიერებას აფრქვევდა, ვიდრე მაშინ, ფელქეს ყურებისას რომ გამაოგნა. როცა იცინოდა, ისეთი საყვარელი ზეგონებით დაქორწინება მომინდა, მიუხედავად იმისა, რომ ლუოს მეგობარ გოგონას ეხებოდა საქმე. მართლა, არ ვაჭარბებ. მის სიცილში ველური ორქიდეის სურნელს ვგრძნობდი, უფრო ძლიერს, ვიდრე საფლავზე დაწყობილ სხვა ყვავილთა სურნელი იყო; მისი სუნთქვა ტკბილი იყო და მწველი.

მე და ლუო ფეხზე ვიდექით, სანამ ის დაჩოქილი იყო ბაბუის საფლავთან. რამდენჯერმე განერთხა მიწაზე და დამამშვიდებელ სიტყვებს მშვიდად ეჩურჩულებოდა.

უეცრად მოგვიტრიალდა:

— რომ მოგვეპარა ბინოკლარდის წიგნები?

პატარა მკერავის მეშვეობით, ზედმიწევნით ვიცოდით, რა ხდებოდა ბინოკლარდის სოფელში მისი გამგზავრების წინ. ოთხ სექტემბერს უნდა გამგზავრებულიყვნენ. თავისი ხელობის წყალობით, მისთვის საკმარისი იყო საუბარი წამოეწყო კლიენტთან, რომ ყველაფერი გაეგო. კლიენტები მთელი შემოგარენის სოფლებიდან ჰყავდა: ქალები, კაცები, სოფლის თავკაცები თუ ბავშვები. მას არაფერი გამოეპარებოდა.

ხელახალი აღზრდის დასასრულის საზეიმოდ აღსანიშნავად ბინოკლარდი და მისი პოეტი დედა წასვლის წინა ღამეს ზეიმს ამზადებდნენ. ხმა გავარდა, რომ დედამ სოფლის თავკაცი მოისყიდა და დაითანხმა დაეკლათ კამეჩი და ღია ცის ქვეშ მთელ სოფელს გამასპინძლებოდნენ.

გასარკვევი რჩებოდა, რომელი კამეჩი იქნებოდა შეწირული და როგორ დაკლავდნენ, რადგან კანონით მიწის ხვნაში გამოსაყენებელი კამეჩის დაკვლა აკრძალული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერი რჩეულის ორად ორი მეგობარი მოწვეულთა სიაში არ ვჩანდით, დიდად არ გვინაღვლია, რადგან გადაწყვეტილი გვქონდა ჩვენი ყაჩაღური გეგმის განხორციელება და სწორედ საზეიმო წვეულება გვესახებოდა ბინოკლარდის საიდუმლო ჩემოდნის მოპარვის საუკეთესო დროდ.

პატარა მკერავთან დედამისის ნამზითვარი კომოდის უჯრაში ლუომ იპოვა გრძელი, ყანგიანი ლურსმნები და ნამდვილი ქურდებივით ყველაფრის გამღები გაგაკეთეთ. რა მხიარული პერსპექტივა იყო! მე ლურსმანს ქვაზე ვახახუნებდი, სანამ თითები არ ამეწვებოდა. მერე ჩემს ტალახიან შარვალზე ვუსვამდი, სანამ წმინდა და ნათელი ბრწყინვალება არ დაუბრუნდებოდა. თვალებთან რომ მიმქონდა, შიგ ჩემი თვალები და ზაფხულის მიწურულის ლურჯი ცა მოჩანდა. ლუო უფრო სერიოზული ეტაპით იყო დაკავებული: ერთი ხელით ლურსმანი ეჭირა, მეორეთი კი ჩაქუჩი მოემარჯვებინა; ღამაში წრიული მოძრაობით ჩაქუჩი ლურსმანს ეცემოდა, აბრტყელებდა, ისევ ზევით იწეოდა და ისევ ეცემოდა...

ჩვენს ყაჩაღობამდე ერთი-ორი დღით ადრე მესიზმრა, რომ ლუომ მომანდო ყველაფრის გამღები... ნისლიანი დღე იყო. მივუახლოვდით

ზინოკლარდის სახლს, თითქმის თითის წვერებზე მივდიოდი. ლუო ხის ქვეშ იდგა და გარემოს ზეერავდა. ისმოდა სოფლის ცენტრში მოშინებულ ადგილას თავშეყრილი მოქეიფეების რევოლუციური სიმღერები და შეძახილები. ბინოკლარდის ხის კარი ორი ნაწილისგან შედგებოდა, თითოეული ორ-ორი ანჯამით ეკიდა. კარს ჯაჭვით გამჭვრეტილი სპილენძის ბოქლომი კეტავდა. ნისლისგან დანესტიანებული ცივი ბოქლომი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ჩემს ყველაფრის გამღებს. ყველა მხარეს ვატრიალე, ძალა დავატანე და კინალამ ბოქლომის ჭუჭრუტანაში ჩავამტვრიე. კარის ცალი საგდულის აწევას და ანჯამიდან ამოგდებასაც შევეცადე, მაგრამ ამაოდ. ისევ გასაღებს მივმართე და უცებ, ჩხაკ და ბოქლომი დამნებდა. კარი გავალე, ოთახში ფეხი შევდგი და გავშეშდი. რა საშინელება იყო! ბინოკლარდის დედა ჩემ წინ იყო, მოჩვენება კი არა, ხორციით მოსილი ადამიანი, მაგიდასთან სკამზე მჯდარი მშვიდად ქსოვდა. სიტყვის უთქმელად გამიღიმა. ყურებამდე გავწითლდი, როგორც მორცხვი ბიჭი პაემანზე. ის არც ყვიროდა და არც დასახმარებლად უხმობდა ვინმეს. მე ჩავიბურღლუნე: თქვენი შვილი შინ ხომ არ არის-მეთქი. მან არ მიპასუხა, ისევ მიღიმოდა. გრძელ, გამხმარ თითებიანი ხელები მუქი ლაქებით და ჭორფლით ჰქონდა დაფარული. ქსოვდა, წამს არ კარგავდა. ჩხირები ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ, თავს ამოყოფდნენ და ისევ ქრებოდნენ; თვალებს მიჭრელებდნენ. მოვტრიალდი, ოთახიდან გამოვედი, კარი წყნარად მივხურე, ბოქლომი დავადე და, რადგან შიგნიდან არავითარი ყვირილი არ გაისმა, მოვკურცხლე, ცეტივით გავრბოდი, და სწორედ ამ დროს გამომელვიძა.

ლუოს ჩემზე მეტად ეშინოდა, თუმცა განუწყვეტლივ მიმეორებდა, დამწყებ ქურდებს ყოველთვის ბედი წყალობით. დიდხანს იფიქრა ჩემს სიზმარზე და შეტევის გეგმა გადასინჯა.

სამ სექტემბერს შუადღისას, ბინოკლარდის და დედამისის გამგზავრების წინაღვეს, სულთმობრძავი კამეჩის შემზარავი ბლავილი ამოვარდა ხეობის სიღრმიდან და შორს გახშიანდა. ხმამ პატარა მკერავის სახლამდეც კი მოაღწია. რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვები მოვიდნენ და მოგვახსენეს: ბინოკლარდის სოფლის თავკაცმა ხევში კამეჩი მოხერხებულად გადაჩეხაო.

მკვლელობა შემთხვევითობად მოინათლა; მკვლელის თქმით, პირუტყვს ძნელ მოსახვევში ფეხი დაუცურდა და უფსკრულში გადაიჩეხა, რქებით წინ; როგორც ფრიალო კლდეს მოწყვეტილი ლოდი, დაგუდული ხმით ჯერ კლდის შვერილს შეეჯახა, წამით შეჩერდა და ათიოდე მეტრის ქვემოთ მეორე კლდეს დაასკდა.

კამეჩი ჯერ მკვდარი არ იყო. არასოდეს დამავიწყდება ის გრძნობა, რაც ჩემში მისმა ხანგრძლივმა, შესაბრალისმა ბლავილმა გამოიწვია. ეზოებში გაგონილი კამეჩის ბლავილი გულგამგმირავი და უსიამოვნოა, მაგრამ ამ წყნარ და თბილ ნაშუადღევს მთების უსაზღვრო სივრცეში, როცა კლდეებზე ექოს გამოსცემდა იგი, იყო შთამბეჭდავი, ჟღერადი და გალიაში გამომწყვდეული ლომის ბრღვეინვას წააგავდა.

სამი საათისთვის ლუო და მე დრამის ადგილას მივედით. კამეჩის ბლავილი აღარ ისმოდა. გზა გავიკაფეთ უფსკრულის პირას შეგროვილ ბრბოში. გვითხრეს, რომ კომუნისტი დირექტორის მიერ გაცემული პი-

რუტყვის დაკვლის ნებართვა უკვე მოსულიყო. ამ ლეგალური საფარ-  
ველით გათამამებული ბინოკლარდი და რამდენიმე სოფლელი სოფლის  
თავკაცის წინამძღოლობით კლდის ძირში ჩავიდნენ, რომ კამეჩისთვის  
ყელი გამოეჭრათ.

ჩვენი მისვლისას მკვლელობა დამთავრებული იყო. ჩავხედეთ  
ხევს, სიკვდილით დასჯის ადგილს, და კამეჩის უმჯობესად მადრავ მა-  
სასთან ჩაცუცქული ბინოკლარდი დავინახეთ, რომელიც ბამბუკის ფო-  
თლებისგან გაკეთებულ ქუდში ცხოველის ყელიდან გადმონადენ სისხლს  
აგროვებდა.

შვიდმა სოფლელმა ფრიალო კლდეზე სიმლერ-სიმლერით ამოიტანა  
ზურგზე გადებული კამეჩის გვაში, ბინოკლარდი და სოფლის თავკაცი  
კი ქვემოთ დარჩნენ გვერდიგვერდ მსხდარნი ბამბუკის ფოთლებისგან  
გაკეთებულ სისხლით სავსე ქუდთან.

— რას აკეთებენ იქ? — ვკითხე ერთ-ერთ მაყურებელს.

— უცდიან, როდის შედედდება სისხლი, — მიპასუხა მან, — ეს  
ლაჩრობის საწინააღმდეგო წამალია. თუ გინდათ მამაცი გახდეთ, უნდა  
დალიოთ, სანამ თბილი და ქაფიანია.

ლუო ბუნებით ცნობისმოყვარე იყო და მთხოვა, ბილიკზე ცოტა  
ქვემოთ ჩავსულიყავით, რომ უფრო ახლოდან გვენახა ეს სცენა. დრო-  
დადრო ბინოკლარდი ბრბოსკენ ამოიხედავდა ხოლმე, მაგრამ არა მგო-  
ნია, ჩვენი იქ ყოფნა შეემჩნია. ბოლოს თავკაცმა დანა ამოიღო, რომლის  
პირიც გრძელი და წვეტიანი მეჩვენა. თითის წვერით ფხა მოუსინჯა და  
შედედებული სისხლი ორ ტოლ ნაწილად გაყო, ერთი ბინოკლარდისთვის,  
მეორე თავისთვის.

არ ვიცოდი, სად იყო ბინოკლარდის დედა ამ დროს. რას იფიქრე-  
ბდა, ჩვენს გვერდით რომ ყოფილიყო და დაენახა, როგორ იღებდა მისი  
შვილი ორივე მუჭით სისხლს და შიგ ღორივით ჰყოფდა სახეს, იმ ღო-  
რივით, ნეხვის გროვას რომ ჩიჩქნის დინგით? იგი იმდენად ხარბი იყო,  
თითებიც კი სათითაოდ გაილოკა, რომ ერთი წვეთი არ დაეკარგა. უკან  
ამობრუნებისას გავხედე და შევნიშნე, რომ მისი პირი განაგრძობდა ამ  
წამლის ღეჭვას.

— კიდევ კარგი, — თქვა ლუომ, — პატარა მკერავი არ წამოვიდა  
ჩვენთან ერთად.

დაღამდა. ბინოკლარდის სოფელში მოშიშვლებულ ადგილას კვამ-  
ლი სვეტივით ადიოდა. უზარმაზარი ქვაბი შეედგათ ცეცხლზე. ქვაბი  
არაჩვეულებრივი მოცულობით გამოირჩეოდა და ნამდვილად მთელი  
სოფლის საკუთრებას წარმოადგენდა.

შორიდან დანახულ ამ სცენას პასტორალური და თბილი იერი და-  
ჰკრავდა. მანძილი ხელს გვიშლიდა დაგვენახა, ნაჭრებად დაჭრილი კა-  
მეჩის ხორცი როგორ თუხთუხებდა დიდ ქვაბში, მაგრამ მისმა საკმაზი-  
ანმა, ცხელმა, ცოტა უხეშმა სუნმა პირს წყალი მოგვადინა. სოფლელე-  
ბი, განსაკუთრებით ბავშვები და ქალები, ცეცხლს იყვნენ შემოხვეულნი.  
ზოგს კარტოფილი მოჰქონდა და ქვაბში ყრიდა, ზოგს შეშა და ფიჩხი,  
ცეცხლის გასაძლიერებლად. ცოტ-ცოტა კვერცხი, სიმინდის ტაროები  
და ხილი მოგროვდა მაგიდაზე. ბინოკლარდის დედა იყო ამ საღამოს მი-  
უწვდომელი ვარსკვლავი. იგი თავისებურად ლამაზი იყო. მისი კანი კი-

დეგ უფრო ანათებდა ხავერდის მუქი მწვანე პიჯაკის ფონზე და განსაკუთრებულ კონტრასტს ქმნიდა სოფლელების გარუჯულ მუქ კანთან. მკერდზე ყვავილი, მგონი, ლევკოიონი, ჰქონდა მიბნეული იგი თავის ნაქსოვს უჩვენებდა სოფლელ ქალებს და მისი ნამუშევარი, თუნდაც დაუმთავრებელი, აღფრთოვანებულ შექანილებს იმსახურებდა.

ღამეულ ნიავს სულ უფრო და უფრო მძაფრი მადის ბაღვაძე მუქი სურნელი მოჰქონდა. მოკლული კამეჩი, ეტყობა, ძალიან ბებერი იყო, რადგან მისი უხეში ხორცის მოხარშვას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ბებერი ყვავისას. ამან მარტო ჩვენი — გამოცდის ჩასაბარებლად გამზადებული ქურდების — მოთმინების ფიალა კი არ აავსო, არამედ სისხლის მსმელად ახლად მოქცეული ბინოკლარდისაც; ვხედავდით, როგორ მიუახლოვდებოდა ხოლმე ტილივით აფორიაქებული ქვაბს, სახურავს ხდიდა, ჯოხით ორთქლიან ხორცს იღებდა, დაყნოსავდა, სათვალეებთან მიიტანდა შესამოწმებლად და სინანულით ისევ უკან ჩაუძახებდა.

ჩვენ ამ მოედნის პირდაპირ, ორი დიდი ქვის უკან მოკრუნჩხულები ვისხედით. ლუომ ყურში ჩამჩურჩულა:

— აი გამოსამშვიდობებელი საღამოს მშვენიერბანიც, ჩემო ძმაო. მის თითს თვალი გავაყოლე: ხუთი გადამღრძვალე, შავ გრძელ კაბაში გამოწყობილი ბებერი ქალი შემოდის და მოედანზე. შორი მანძილის მიუხედავად მათი სახეები გავარჩიე, დებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, მათი ნაკვთები თითქოს ხისგან იყო გამოთლილი. მათ შორის მაშინვე ვიცანი პატარა მკერავთან მოსული ოთხი კუდიანი.

მათი გამოჩენა გამოსამშვიდობებელ საღამოზე, ეტყობა, ბინოკლარდის დედის მოწყობილი იყო. ხანმოკლე კამათის შემდეგ მან საფულე ამოიღო და შურით ანთებული სოფლელების თვალწინ თითოეულს თითო ქალაღდის ფული ჩაუდო ხელში. ამჯერად მარტო ერთ კუდიანს კი არ ჰქონდა მშვილდი და ისრები, ხუთივე შეიარაღებული იყო. ეტყობა, ბედნიერი რჩეულის შორს გაცილება მეტ სამხედრო შეიარაღებას მოითხოვდა, ვიდრე ციებ-ცხელებიანი ავადმყოფის სულისთვის ღამის თევზა. და კიდევ, პატარა მკერავის მიერ განკურნების რიტუალისთვის ძლივს გადახდილი თანხა ბევრად ნაკლები იქნებოდა იმ თანხასთან შედარებით, რაც ას მილიონიან პროვინციაში ადრე ცნობილმა პოეტმა ქალმა მისცა კუდიან დედაბრებს.

ისინი მოთმინებით ელოდნენ, რომ ხორცი სათანადოდ მოხარშულიყო მათ უკბილო პირში ჩასადნობად. ერთ-ერთი დედაბერი ბინოკლარდის მარცხენა ხელის გულის ხაზებს აკვირდებოდა კოცონის დიდ მუქზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არცთუ ისე შორს ვიყავით ჩასაფრებულნი, მაინც არ გვესმოდა კუდიანის წინასწარმეტყველური სიტყვები. ვხედავდით, ქუთუთოები ისე დაბლა დახარა, თითქოს თვალეები დახუჭაო; თავის უფერულ წვრილ ტუჩებს ამოძრავებდა, უკბილო პირით ამბობდა სიტყვებს, რომლებმაც მთლად დაიპყრეს ბინოკლარდის და დედამისის ყურადღება. როცა გაჩუმდა, ყველამ მას შეხედა, ჯერ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი სოფლელები აქოთქოთდნენ.

— ისეთი იერი აქვს, რაღაც ავბედითი უწინასწარმეტყველა, — მითხრა ლუომ.



- ალბათ დაინახა, მის განძს მოპარვა რომ ემუქრება.
- არა, ალბათ დემონები დაინახა, მისი გზის ჩაკეტვას რომ ლამობენ.

ეს ვარაუდი ცრუ არ გამოდგა, რადგან იმწამსვე ხუთივე კუდიანი წელში გაიმართა, ცისკენ მშვილდ-ისრები თეატრალური მსოფლიოთი შემართა, გადააჯვარედინა და გამყინავად აკივლდა. *ბიზლიჩიშეკა*

შემდეგ კოცონის გარშემო ავი სულების განსადევნი ცეკვა წამოიწყეს. თავიდან, ალბათ, ასაკის გამო, შენელებულ ფერხულს დასჯერდნენ, თავდახრილები ცეკვაედნენ. დროდადრო თავებს მალლა სწევდნენ და ეჭვიან მზერას ქურდულად ავლებდნენ გარემოს, მერე ისევ სრიდნენ თავებს. ბუდისტური ლოცვების მიბაძვით გალობდნენ, რაღაც მისამღერებს გაუგებრად გამოცრიდნენ კბილებში, რასაც ბრბო იმწამსვე იტაცებდა და იმეორებდა. ორმა კუდიანმა მშვილდები მიწაზე დაყარა და უეცრად სხეული აუკანკალდა. ეს რამდენიმე წამს გაგრძელდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თვალთმაქცობდნენ, თითქოს დემონებმა დაიპყრეს მათი სხეულები და საშინელ, დაკრუნჩხულ ურჩხულებად გადააქციეს ისინი. დანარჩენი სამი ვითომ მათი მიმართულებით ისრებს ისროდა, საშინლად წიოდა, რაც გადაჭარბებულად გამოხატავდა გასროლილი ისრების ხმას. სამ ყვავს ჰგავდნენ. მათი შავი გრძელი კაბები კვამლში ცეკვის რიტმში ფრიალებდა, მერე ეშვებოდა, ძირს ეთრეოდა და მტვრის ბულს აყენებდა.

„ორი ეშმაკეულის“ ცეკვა უფრო და უფრო მოუქნელი გახდა, უნილავმა ისრებმა, რომლებიც თითქოს პირდაპირ სახეში მოხვდათ, მოწამლეს ისინი. შემდეგ მათი ნაბიჯები შენელდა. ლუო და მე ზუსტად მათი ძირს დაცემის წინ წამოვედით, ნამდვილად კარგი სანახაობა კი იქნებოდა.

ქეიფი ჩვენი წასვლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. გუნდი, კუდიანების ცეკვას რომ უწევდა აკომპანიმენტს, დადუმდა, როდესაც სოფელი გადავიარეთ.

არც ერთი ასაკის არც ერთ სოფელს არ სურდა მიხაკითა და სხვა სანელებლებით შეკმაზული ხორცის ნაჭრის გასინჯვის შესაძლებლობა გაეშვა ხელიდან. სოფელი გაუკაცრიელებული იყო, სწორედ ისე, როგორც ლუომ გაითვალისწინა (ამ საუკეთესო მთხრობელს სტრატეგიული ნიჭიც არ აკლდა). უეცრად ჩემი სიზმარი გამახსენდა.

- გინდა სათვალთვალოდ დავდგე?
- არა. — მიპასუხა მან. — შენს სიზმარში კი არ ვართ.

ლუომ ყველაფრის გამღებად ქცეული ძველი დაჟანგული ლურსმანი გალოკა და უხმოდ შეასრიალა ბოქლომის ჭუჭრუტანაში, ჯერ მარცხნივ გადაატრიალა, მერე მარჯვნივ, მერე ისევ მარცხნივ მოსინჯა, ოდნავ უკან დასწია... უცებ ლითონის რაზამ გაიჟღარუნა და სპილენძის საკეტი დაგვნებდა. შევსრიალდით ბინოკლარდის სახლში და იმწამსვე კარი ზურგს უკან მივიხურეთ. არაფერი ჩანდა უკუნ სიბნელეში, ერთმანეთსაც ვერ ვხედავდით, მაგრამ ქოხში გამგზავრების სუნი ტრიალებდა, რამაც შურით აგვაავსო.

კარის ორ საგდულს შორის დარჩენილი ღიობიდან გარეთ გავი-  
ჭყიტე: კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, უსაფრთხოების მიზნით, ე. ი.  
იმისთვის, რომ შემთხვევითი გამვლელის ფხიზელ მზერას არ შეემჩნია  
კარზე ბოქლომის არქონა, ჩვენ კარის ორივე საგდული მაქსიმალურად  
გარეთ გავწიეთ, ლუოს რომ ხელი გასტეოდა, ჯაჭვი და ბოქლომეფი ლუოს  
ადგილას მოვათავსეთ და ჩავკეტეთ, ისე, როგორც გათვალისწინებული  
გვქონდა. მაგრამ დაგვაფიწყდა ფანჯრების შემოწმება, საიდანაც ვა-  
პირებდით გადაძრომას ამ აქციის ბოლოს. ფანჯრების შემოწმება კი  
არა, ყველაფერი გადაგვაფიწყა სხვა ბარგის თავზე შემოდგმული რბი-  
ლი ტყავის ჩემოდნის, ჩვენი სანატრელი ნადავლის, დანახვამ, როდესაც  
ლუომ ხელის ფარანი აანთო. იგი შავად ბრწყინავდა, თითქოს გველოდა  
და ერთი სული ჰქონდა როდის გავხსნიდით.

— გავიმარჯვეთ! — ვუთხარი ლუოს.

რამდენიმე დღის წინ ჩვენი გეგმის დამუშავებისას დავასკვენით,  
რომ სოფელში ჩვენი არალეგალური ვიზიტის წარმატება ერთადერთ  
რამეზე იყო დამოკიდებული: გვცოდნოდა, სად მალავდა ბინოკლარდი  
თავის ჩემოდანს. როგორ მოვასერებდით მის პოვნას? ლუომ მიმოი-  
ხილა ყველა შესაძლებლობა, გაითვალისწინა ყველა შესაძლებელი ვარი-  
ანტი და ღვთის მადლით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გეგმა აუცილებლად  
გამოსამშვიდობებელი საღამოს დროს უნდა განხორციელებულიყო. ნამ-  
დვილად უნიკალური შემთხვევა მოგვეცა: პოეტი, მიუხედავად იმისა,  
რომ ძალზე ეშმაკი იყო, ვერსად გაექცეოდა მისი ასაკისთვის დამახასი-  
ათებელ წესრიგის მოყვარეობას და რაღა თქმა უნდა, ჩემოდანს დილით,  
გამგზავრების წინ არ მოიკითხავდა, აუცილებლად თადარიგს დაიჭერდა,  
ყველაფერს წინასწარ გაამზადებდა და დააწყობდა.

ჩემოდანს მივუახლოვდით. დაწნული ნამჯის თოკით ჯვარედინად  
იყო შეკრული. შემოვხსენით თოკი და წყნარად გავხსენით. შიგნით ჩვე-  
ნი ფარნის შუქზე წიგნების შეკვრა განათდა; დასავლელი დიდი მწერ-  
ლები ხელგაშლილნი შემოგვეგებნენ: თავზე ჩვენი ძველი მეგობარი ბა-  
ლზაკი იდო, ხუთი თუ ექვსი რომანით; მას ვიქტორ ჰიუგო, სტენდალი,  
დიუმა, ფლობერი, ბოდლერი, რომენ როლანი, რუსო, ტოლსტოი, გო-  
გოლი, დოსტოევსკი და რამდენიმე ინგლისელი მოჰყვებოდა: დიკენსი,  
კიპლინგი, ემილი ბრონტე...

რა თვალისმომჭრელი იყო! ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს  
მთვრალი ვიყავი და სადაცაა გრძნობას დავკარგავდი. თითო-თითოდ  
ამომქონდა ჩემოდნიდან რომანები, ვშლიდი, შევცქეროდი ავტორთა  
პორტრეტებს და ლუოს ვაწოდებდი. თითის წვერებით ვეხებოდი, ასე  
მეგონა, ჩემი ხელები ფითრდებოდნენ ამ რომანებში აღწერილ ადამიან-  
ების ცხოვრებასთან შეხებით.

— სცენა გამახსენდა ფილმიდან, — თქვა ლუომ, — ბანდიტები  
ფულით სავსე ჩემოდანს რომ ხსნიან...

— გრძნობ, სიხარულის ცრემლები რომ გებჯინება ყელში?

— არა, სიძულვილს ვგრძნობ.

— მეც. მძულს ყველა, ვინც ეს წიგნები აგვიკრძალა.

ჩემს მიერ წარმოთქმულმა უკანასკნელმა სიტყვებმა შემაშინა, თითქოს მოყურადე იყო სადღაც, ოთახის რომელიღაც კუთხეში დამალული. უნებლიეთ წამოსროლილი ასეთი ფრაზა შეიძლება მრავალი წლის ციხის ფასად დაგვეჯდომოდა.

— წავედით! — თქვა ლუომ და ჩემოდანი დახურა.

— მოიცადე!

— რა გჭირს?

— ვმერყეობ... კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ... ბინოკლარდი ნამდვილად აიღებს ეჭვს, რომ მისი ჩემოდნის ქურდები ჩვენ ვართ. თუ დაგვასმინა, დავიღუპებით. ნუ გავიწყდება, რომ ჩვენ სხვების მსგავსი მშობლები არ გვყავს.

— უკვე გითხარი, დედამისი ამის ნებას არ მისცემს. თუ არადა ყველა შეიტყობს, რომ მისი შვილი აკრძალულ წიგნებს ინახავდა, და ველარასოდეს დატოვებს მთის ფენიქსს.

რამდენიმე წამის დუმილის შემდეგ გავხსენი ჩემოდანი:

— მხოლოდ რამდენიმე წიგნი ავიღოთ, ვერც კი შენიშნავენ.

— ყველას წაკითხვა მინდა, — მტკიცედ განაცხადა ლუომ.

მან ჩემოდანი დახურა, ზემოდან ხელი ისე დაადო, როგორც ქრისტიანები დებენ ხოლმე ფიცს და განმაცხადა:

— ამ წიგნებით გარდავქმნი პატარა მკერავს. იგი აღარასოდეს იქნება უბრალო მთიელი გოგო.

ჩუმად გავემართეთ ფანჯრისკენ. მე წინ მივდიოდი ფარნით, ლუომ უკან მომყვებოდა ჩემოდნით ხელში; ძალიან მძიმე ჩანდა, სიარულისას ლუომს ფეხებზე ეხლებოდა, ბინოკლარდის და დედამისის საწოლსაც მიეჯახა. ბინოკლარდის დედის საწოლი ფიცრებისგან იყო შეკოწიწებული და ისედაც პატარა ოთახს კიდევ უფრო ავიწროებდა.

ჩვენდა გასაოცრად ფანჯარა აჭედოდა დაგვხვდა. შევეცადეთ გაგველო, მაგრამ კვნესის მაგვარი პრაჭუნი გავიგონეთ და ძვრა ვერ ვუყავით.

მდგომარეობა კატასტროფულად არ მოგვჩვენებია. მშვიდად მოგზროუნდით ოთახში, მზად ვიყავით შემოსვლისას ჩატარებული მანევრი გაგვემეორებინა: გარეთ გაგვეწია კარის საგდულები, დიობიდან ხელი გაგვეყო და სპილენძის ბოქლომი ყველაფრის გამღებით გაგველო.

უეცრად ლუომ წამისისინა:

— ჩუ!

დამფრთხალმა სასწრაფოდ ჩავაქრე ფარანი. ჩქარი ნაბიჯების ხმამ, გარედან რომ ისმოდა, გაგვაშტერა და გაგვაქვავა. ჩვენთვის მეტად ძვირფასი წუთი დაგვჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ნამდვილად ჩვენკენ მოდიოდნენ.

იმავე წამს ბუნდოვნად გავიგონეთ ორი ადამიანის, კაცისა და ქალის ხმა, მაგრამ ჯერ ვერ ვარჩევდით, ბინოკლარდი და დედამისი თუ იყვნენ. უარესი უბედურებისთვის მოვემზადეთ და სამზარეულოსკენ დავიხიეთ. უკანასკნელად ავანთე ელექტროფარანი და ლუომ ჩემოდანი სხვა ბარგზე შემოდო.

ჩვენი ეჭვი გამართლდა; დედა-შვილი თავს დაგვატყდა შუა ქურდობის დროს. კართან კამათობდნენ.

— ვიცი, — ამბობდა შვილი, — კამეჩის სისხლი ვერ შევირგე. აუროლებული ნარჩენები კუჭიდან უკან, ყელში ამომდის.

— საბედნიეროდ წამოღებული მაქვს საჭმლის მომწველ ნივთიერებები, — უპასუხა დედამ.

მთლად თავზარდაცემულებმა სამზარეულოში დასამალი ადგილი ვერ ვიპოვეთ. ისეთი უკუნი იყო, რომ არაფერი ჩანდა. ლუოს დავეჯახე, როცა მან ბრინჯის შესანახ ვეება ქილას მოხადა თავი. თავგზა გვქონდა არეული.

— ძალიან პატარაა, — დაიჩურჩულა მან. ჯაჭვის კაკაფონიურმა უღარუნმა ყურები ამოგვიჭედა. გულგახეთქილები საწოლების ქვეშ შევძვერით და კარიც გაიღო.

ისინი ოთახში შემოვიდნენ და ნავთის ლამპა აანთეს. ყველაფერი უკუღმა მოხდა. იმის მაგივრად, რომ მე, ლუოზე უფრო მაღალი და მსხვილი, ბინოკლარდის საწოლქვეშ დავმალულიყავი, დედის საწოლის ქვეშ მოვიკუნტე, რომელიც ამკარად უფრო პატარა იყო და გარდა ამისა ღამის ქოთანიც მერგო წილად, რომელსაც უსიამოვნო, ადვილად ამოსაცნობი სუნი ასდიოდა. ბუზების გუნდი დაფრინავდა ჩემ გარშემო. ხელის ცეცებით შევეცადე გავსწორებულიყავი იმდენად, რამდენადაც ვიწრო ადგილი მაძლევდა საშუალებას, მაგრამ კინალამ გულისამრევი ღამის ქოთანი გადავაყირავე; გავიგონე მცირე ჭყაპუნი და გაუსაძლისი, გულისამრევი სუნი კიდევ უფრო გამძაფრდა. ინსტინქტური ზიზღით ჩემი სხეული ერთიანად აძაგძაგდა, რამაც საკმაოდ გასაგონი, უჩვეულო და გამცემლური ხმაური გამოიწვია.

— დედა, არაფერი გესმის? — იკითხა ბინოკლარდის ხმამ.

— არა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მთელი მარადისობა გაგრძელდა. წარმოვიდგინე, როგორ დაცქვითეს ყურები თეატრალურ პოზაში გაშეშებულებმა, რათა უმცირესი ხმაურიც კი დაეჭირათ.

— მხოლოდ შენი მუცლის ბუყბუყი მესმის.

— კამეჩის სისხლია, რომელსაც ვერ ვინელებ. ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. არა მგონია, დღესასწაულზე მიბრუნება შევძლო.

— არა, ეს მე არ მომწონს. უნდა მივბრუნდეთ! — ავტორიტეტული ხმით თქვა დედამ, — აი, ვიპოვე აბები. ორი ჩაყლაპე; მუცლის ტკივილს დაგიამებს.

გავიგონე, როგორ გაემართა მორჩილი შვილი სამზარეულოსკენ წყლისთვის. ნავთის ლამპის შუქი მასთან ერთად დაგვმორდა. ლუოს სიბნელეში ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, ისიც ჩემსავით ზეიმობდა, სამზარეულოში რომ არ დავრჩით.

ბინოკლარდმა აბები გადაყლაპა და ოთახში მობრუნდა. დედამ ჰკითხა:

— წიგნების ჩემოდანი შეკრული არ იყო?

— კი, მე შევკარი ამ სალამოს.

— მერე, შეხედე! ვერ ხედავ, თოკი იატაკზე რომ დასთრევს? ღმერთო! ნამდვილად არ უნდა გაგვეხსნა. უსიამო ურუანტელმა დამიარა ზურგში, საწოლის ქვეშ მოკუნტულს. ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. ბნელში ამაოდ ვეძებდი ჩემი თანამზრახველის მხედრას.

ბინოკლარდს მშვიდი ხმა შეეცვალა, ეს მძაფრბუნებელი ხმის მანძილი იყო:

— დაღამებისას ამოვთხარე ჩემოდანი სახლის უკან. შემოსვლისას მიწა და სხვა სისაძაგლეები ჩამოვაცალე, გავსინჯე, წიგნები ხომ არ დაობებულა-მეთქი, და ბოლოს, ზუსტად სოფლელებთან წასვლის წინ, ნამჯის ამ მსხვილი თოკით შევკარი.

— რა მოხდა? ქეიფის დროს ვინმე შემოძვრა სახლში?

ბინოკლარდი ლამპით ხელში ჩვენკენ გამოეშურა, მე მოპირდაპირე საწოლის ქვეშ ლუოს თვალები დავინახე, მოახლოებულ შუქზე რომ ელავდა. ღვთის წყალობით, ბინოკლარდი შეჩერდა. მიტრიალდა და დედას უთხრა:

— შეუძლებელია, ფანჯარა აჭედელია, კარები კი ბოქლომით იყო დაკეტილი.

— მაინც გადაავლე თვალი, წიგნები ხომ არ აკლია. შენი ორი ძველი მეგობარი მაშინებს. არ ვიცი, რამდენჯერ მოგწერე, არ იყო მაგ ტიპებთან ურთიერთობა საჭირო, ისინი ძალზე ეშმაკები იყვნენ შენთან შედარებით, შენ კი არ დამიჯერე.

გავიგონე, როგორ გაიხსნა ჩემოდანი და ბინოკლარდის ხმამ უპასუხა:

— იმათ იმიტომ დავუმეგობრდი, მეგონა, შენ და მამას კბილების პრობლემა გქონდათ და ერთ დღეს ლუოს მამა გამოგადგებოდათ.

— მართლა?

— ხო, დედიკო.

— რა საყვარელი ხარ, ჩემო ბიჭუნა, — დედის ხმა მგრძნობიარე გახდა. — ასეთ მდგომარეობაშიც კი ჩვენს კბილებზე ფიქრობდი.

— დედიკო, შევამოწმე: არც ერთი წიგნი არ აკლია.

— მით უკეთესი, ეს ტყუილი განგაში გამოდგა. წამო, წავიდეთ.

— მოიცა, მომაწოდე კამეჩის კუდი, ჩემოდანში ჩავდებ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ჩემოდანს თოკით კრავდა, გავიგონე, ბინოკლარდმა დაიყვირა:

— ეშმაკმა დალახვროს!

— ხომ იცი, არ მიყვარს უხეში სიტყვები, ჩემო ბიჭუნა.

— ფალარათი მაქვს! — ტანჯული ხმით გამოაცხადა ბინოკლარდმა.

— მიდი, ქოთანზე დაჯექი!

ჩვენდა სანუგეშოდ გავიგონეთ, რომ ბინოკლარდი გარეთ გავარდა.

— სად მიდიხარ? — დაუყვირა დედამ.

— სიმინდის ყანაში.

— ქალაღდი მიგაქვს?

— არა, — უპასუხა შვილის ხმამ, რომელიც თანდათან გეშორდებოდა.

— მოვალ და მოგიტან! — დაიყვირა დედამ.

რა ბედნიერება იყო, რომ ამ მომავალ პოეტს მუცლის დაცლა/სუფთა ჰაერზე ერჩია! ჩვენი დასჯის უფრო საშინელი და მტკიცესმყოფელი სცენის წარმოდგენა შეუძლებელია, თუ ოთახში შემოიჭრება, სასწრაფოდ გამოსწევდა ღამის ქოთანს საწოლის ქვემოდან და ჩვენ ცხვირწინ გამოდევნიდა კამეჩის სისხლს, ჩანჩქერისებური ბობოქარი გამაყრუებელი ხმაურით.

როგორც კი დედა სირბილით გარეთ გავიდა, სიბნელეში ლუოს ჩურჩული გავიგონე;

— ჩქარა! თავს ვუშველოთ!

ოთახიდან გავლისას ლუომ წიგნებიან ჩემოდანს სტაცა ხელი და ერთსაათიანი გიჟური სირბილის შემდეგ, როცა ბოლოს და ბოლოს სულის მოთქმა გადავწყვიტეთ, ბილიკზე ჩამომჯდარმა გახსნა. წიგნების შეკვრის თავზე ბატონკაცურად გამოჯგიმულიყო ბოლობანჯგვლიანი, შავი სისხლით დალაქავებული, არაჩვეულებრივად გრძელი კამეჩის კუდი. ეჭვი არ იყო, იმ კამეჩს ეკუთვნოდა, ბინოკლარდს სათვალე რომ გაუტენა.

### გავრძელება იქნება





## ბაბრატ შინკუბა

### გაგრილი ძვა

თარგმანი: თამარ ჩიჯავაძე

სამხედრო სარბიელზე ჩემი პირველი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, წარმატებას მივალწიე იარაღის ხმარებაში. ბაბუა, ამ ხელოვნებაში ჩემი მკაცრი ზედამხედველი, იმასაც კი მიწინასწარმეტყველებდა, რომ მალე ხანჯლის ერთი დაკვრით ტოტზე ჩამოკიდებულ დაგორგლილ ნაბადს გადავჭრიდი. არც სროლაში ვიყავი მთლად უვარგისი. თავის გატენილ დამბაჩას რომ მომაწოდებდა ბაბუა, თითქმის დაუმიზნებლად ვისროდი და უკვე აღარ ვაცილებდი მიზანს.

მაგრამ იმ იარაღს, ძია ელიზბარმა რომ გამიკეთა, მაინც ვერ ველეოდი. იმას ლულაც მქონდა, კონდახიც და საკეტიც, ნამდვილ შამხანასავით იყო.

გამოსწევდი, დაუმიზნებდი, ჩახმახს დააჭერდი ხელს და ისარი ცის სილურჯეში გაუჩინარდებოდა, ზოგჯერ ვერც კი ვხედავდი, სად ჩამოვარდებოდა. ასეთ წუთებში თავი სასრიყვა მეგონა, ისრით ვარსკვლავის მოწყვეტა რომ შეეძლო ციდან...

ცხენოსნობამაც გამიტაცა. მთელი წელიწადი, ზამთრის გარდა, გუადახი დამყავდა დასარწყულებლად. ზაფხულობით კი კრებიდან დაბრუნებულ ბაბუას ვხვდებოდი, ცხენს უნაგირს მოვხსნიდი, მოვახტებოდი და მინდვრებისკენ გავქუსლავდი.

გავიწაფე კიდევ, უკვე მარჯვედ შემეძლო ცხენზე მოხტომა, სწორად ჯდომა და სწორად ჩამოქვეითება. ვიცოდი, როგორ მომექაჩა აღვირი და როგორ მეხმარა მათრახი. მოკლედ, ყველაფერი ვიცოდი, რაც ნამდვილმა ჯიგიტმა უნდა იცოდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნაგირზე ჯდომის უფლება მაინც არ მქონდა. მხოლოდ უნაგირის გარეშე! „ნუ დარდობ, ის დღეც მალე დაგიდგება, — მამშვიდებდა ბაბუა. — მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე გაიზრდები“.

ბაბუას სალამობით ეზომი სვირნობა უყვარდა. ხშირად ხელჩაკიდებული რომ მივყავდი, უძირო ცას ახედავდა და ვარსკვლავებს მიაჩერდებოდა, თითქოს ელოდებოდა, ცოტაც და, საიდუმლოს გამიმხელენო. მერე რალაცას ჩაიბუტბუტებდა თავისთვის და ასტრონომიის გაკვეთილს იწყებდა:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3-4, 2006 წ.

— აი, ამ ვარსკვლავს სალამოს ვარსკვლავი ჰქვია, — მეუბნებოდა ბაბუა და კაშკაშა ვარსკვლავზე მითითებდა. — იმ ვარსკვლავებს შორის ბინდბუნდში რომ დაბრძანდებიან ცაზე, ეს ყველაზე უფრო დიდი და კაშკაშაა... სალამოს ვარსკვლავი რომ ჩადის, ეს კი გარიჟრაჟზე ხდება, ცისკრის ვარსკვლავი ამოდის. თუ ამოსვლამდე ცეცხლს პირის დაბანა მოასწრო, უფრო იკაშკაშებს... — ბაბუა მიაშობდა და დაეწინაურებინა ნდი და ასე დავდიოდით ეზოში წინ და უკან.

— აი, ამ სამ ვარსკვლავს ხედავ? — მაჩერებს ბაბუა. მე მის თითს ვაყოლებ თვალს და ვხედავ-მეთქი, ვეუბნები.

— პირველი ვარსკვლავი ისაა, ძროხას რომ ეწევა თოკით, დანარჩენი ორი კი მისი ძმებია, ისინი ამ ძროხას ერეკებიან. ამიტომაც ჰქვია ამ ვარსკვლავებს ასეთი სახელი — ძროხის წამყვანები... აი იმ გზას კი, მთელ ცას რომ გასდევს, ცხვრის ბილიკს ეძახიან... არის კიდევ ეცვაჯაას თანავარსკვლავედი, აბაზინის ვარსკვლავი და სასრიყვას ვარსკვლავი, რომელშიც გმირის ისარია გარჯობილი, მაგრამ ის იშვიათად თუ გამოჩნდება ცაზე. აი, ახლაც ვუყურებ, ვუყურებ და ის კი არ ჩანს... დაილაღე, ლაგან?

— არა, მე მინდა, ვარსკვლავებს ვუცქირო.

— მაშინ, აი იქით გაიხედე, აი იმ ვარსკვლავებს შეხედე, მთების მწვერვალებს რომ აღგანან თავზე. რაღაც არ მომწონს დღეს მათი ფერი, თითქოს ქარით გაღვივებული ნაკვერცხლები იყოს. ესე იგი ხვალ სალამოს, ან უკიდურეს შემთხვევაში ზეგ გაწვიმდება. მერე რა დროს!..

ბაბუა ბევრი ნიშნის მიხედვით განსაზღვრავდა ამინდს. დაინახავდა, მაგალითად ახალ წვრილ ნამგალა მთვარეს, დიდხანს გაჩერდებოდა და ლოცულობდა. მისი თქმით ახლად გაფოთლილი ტოტებიდან თუ დაინახავდი მთვარეს, მთელი თვის განმავლობაში გამარჯვებული იქნებოდა. თუ ახალი მთვარე რქებით აბრუნებული ამოდიოდა, გვალვა იქნებოდა, თუ პირიქით — წვიმები...

ერთხელ, გაზაფხულზე, არ მახსოვს, რომელი თვე იყო, შევამჩნიე, რომ ბაბუა ჩვეულებრივზე უფრო ხშირად იხედებოდა ცისკენ და ყურადღებით აკვირდებოდა — ერთი და ერთ იგივე ვარსკვლავს. ის დასავლეთით ამოდიოდა და მალლა, ძალიან მალლა კაშკაშებდა.

— შეხედე, ლაგან, და დაიმახსოვრე, ის შენი ვარსკვლავია! — დიდის ამბით მეუბნებოდა ბაბუა და იქითკენ მივყავდი, საიდანაც უფრო კარგად მოჩანდა იგი. წინ დამიყენებდა, ხელებს მხრებზე დამადებდა და ლოცვას იწყებდა. მისი სიტყვები დღესაც ზანზალაკების ნაზი წკრიპალივით მიაღერებს და მიტკობს სმენას. ყველა მისი სიტყვა არ მახსოვს, მაგრამ აი, რაც დამახსოვდა:

ახედე ზეცას, სადაც ვარსკვლავი ციმციმებს, —  
 ის შენ გლოცავს, ჩემო შეილიშვილო;  
 რომ მთელი ცხოვრება სიმღერით გეველოს,  
 რომ შენთვის არასდროს არაფერს ევნოს,  
 რომ სიბნელეშიც არ აგრეოდეს გზა,  
 რომ იღბალი იყოს შენი მეგობარი და ძმა,  
 რომ მიზნისთვის მუდამ მიგელწიოს,



რომ შრომასა და გარჯაში ვერვინ დაგეწიოს,  
 რომ ნადირთა ხოცვაში ვერავინ გჯობნიდეს,  
 რომ ცხენოსნობაშიც ვერავინ გჯაბნიდეს,  
 რომ ხეზე გასულს ტოტი არ მოგტყდომოდეს,  
 რომ წითურის ავი თვალი არ მოგვწდომოდეს,  
 რომ სარჩოსთვის არასდროს დაგცდენოდეს  
 რომ მუდამ ბლომად გყოლოდეს ცხვარი და ძროხა,  
 რომ ადრე მოჰკიდებოდეს ოჯახს,  
 რომ ყველა ნათესავი გყოლოდეს მდიდარი,  
 რომ არავინ გაგლანძლოს და დაგწყევლოს,  
 იყო უწყინარი...



ეროვნული  
 მწერალთა  
 კავშირი

ბაბუა მლოცავდა, ვარსკვლავს ავედრებდა ჩემს თავს ისეთი ხმით  
 წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს კაკალს არჩევსო... მე გაშეშებული  
 ვიდექი მის წინ, არც კი ვიშმუშნებოდი. ის კი თვალს არ აშორებდა  
 ცას, თითქოს უნდოდა ეხილა, რომ მისმა ლოცვამ მნათობებამდე მიაღ-  
 წია და ყურად იღეს იგი...

მაღლა, ძალიან მაღლა კაშკაშებს და თავზე დაგენათის ჩემი ვარ-  
 სკვლავი, ის შეიძლება, ოდნავ უფრო კაშკაშა და დიდია სხვებზე, ისე  
 კი არაფრით განსხვავდება მათგან, მაგრამ რამდენს უნათებდა იგი, რამ-  
 დენს ავსებდა იმედით!..



ბაბუას ისევ თავი სტკივა და მერამდენედ! ისევ წვალობს და იტა-  
 ნჯება საწოლში მეზობლებით გარშემორტყმული.

და აი, ზაფასი მოვიდა. ყველანი გარს შემოესვივნენ, იმ იმედით  
 რომ რაიმე საინტერესოს იტყოდა.

— კაცი ყოველთვის კი არ არის ლაპარაკის ხასიათზე. თავი დამა-  
 ნებეთ, ღღეს თქვენს გუნებაზე არა ვარ, — გაჯიუტდა ზაფასი.

შეგროვილები კი არ ეშვებოდნენ.

— შენი თავად ხრიპსისთან საუბარი გვიამბე და დაგესსნებით.

ზაფასს ეპოტინებოდნენ, აქეთ-იქით ექაჩებოდნენ, ძალით სვამდ-  
 ნენ სკამზე.

— სად გაგონილა ძალით მოაყოლონ კაცს სასაცილო ამბები? —  
 თავს იძვრენდა ზაფასი. — შეიძლება, ქათამს იძულეებით დაადებინო  
 კვერცხი?

— ქათამზე ნუ დარდობ, ზაფას, იმას აღარ სჭირდება კვერცხზე  
 ფიქრი, მალე იხილავ შამფურზე წამოგებულს.

— თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია... კარვით, მაჯობეთ და  
 ეგაა. როგორც ვხედავ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს. ასე  
 რომ, ღმერთი თქვენს მხარესაა. აბა, მისმინეთ!

ამაცურტაში წამში გაჩუმდნენ.

— ესე იგი ხრიპსზე, არა? — დაიწყო ზაფასმა. — რაკი ხრიპსზე  
 გინდათ, ხრიპსზე იყოს... თავადი ხრიპსი ჩვენში მეფესავით იყო, ყვე-  
 ლა მისი სურვილი დაუყოვნებლივ და ზუსტად უნდა შესრულებული-

ყო. მის ერთადერთ ქალიშვილს კი, სულ ცოტა, ტახტის მემკვიდრედ თვლიდა, ასეც ზრდიდა...

ერთხელ ხრიპსმა თავყრილობა გამოაცხადა. დათქმულ დღესა და დროზე მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ცაცხვის ქვეშ. დგანან და ელოდებიან თავადის მობრძანებას. ის კი არა და არ ჩანს. მხოლოდ მოსულიყო, ყველამ იცოდა, რისთვის შეჰყარა ხალხი; წინა დღეს საბატონო ბეგარა გამოაცხადა, მაგრამ არვინ მოისურვა მუქთად წელში გაწყვეტა. ასე არ უნდაო და, გაცეცხლდა ბატონი და გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა ჩვენთვის — ჩემი ბრძანება სახუმარო საქმე არ გეგონოთო...

როგორც იქნა გამოჩნდა. თავისი ჯორით მობრძანდა. ყველანი აფუსფუსდნენ, მისცვივდნენ თავადს: აღვირს ეჭიდებიან, ჩამოქვეითების საშუალებას არ აძლევენ. მხოლოდ მე ვდგავარ ისე, როგორც ვიდექი; ნაბიჯიც არ გადამიდგამს წინ, ვაბოლებ ჩიბუხს და გვერდზე ვაპურჭყებ.

ხრიპსმა, რა თქმა უნდა, მაშინვე შენიშნა ეს და მომიახლოვდა.

„ვითომ რაო, ზაფას, შემობრუნებაც არ ინებე? შეგეხედა მაინც, ვინ მოვიდა. ისეთი სახე გაქვს, თითქოს სახელმწიფო საქმეებზე ფიქრობდე“.

„რალაც სახელმწიფო საქმეებთან რა მესაქმება, თქვენო ბრწყინვალეებავ, ახლა უფრო საინტერესო ამბავზე ვფიქრობ. წუხანდელ სიზმარს ვიხსენებ, პირდაპირ საოცარი სიზმარი ვნახე...“

„მაინც რა დაგესიზმრა ასეთი?“ — დაინტერესდა ხრიპსი.

„დამესიზმრა, ვითომ მე და თქვენი ქალიშვილი, თქვენო ბრწყინვალეებავ, მთელი ღამე რომელიღაც ბაღში ვგრილდებოდით, ერთმანეთს ვეხვეოდით, ვკოცნიდით და... ოჰ, რა კარგი იყო, არასოდეს დამავიწყდება“.

ხრიპსი სიბრაზისგან გამწვანდა, მაგრამ რა უნდა ექნა, მუშტებს ხომ ვერ დამიშენდა, გლესთან ჩხუბს როგორ იკადრებდა, ეს ხომ საშინლად დაამცირებდა. ისეთი სახე რომ მიეღო, ვითომც არაფერი მომხდარაო, არც ეს ივარგებდა. ხალხი სიცილით იჭაჭებოდა. შეჯდა შენი ხრიპსი თავის ჯორზე და შინისკენ წაჩაქჩაქდა. მე კი ვიდექი არხეინად და ხალხი მადლობას მიხდიდა: „შენ გადაგვარჩინე, ზაფას, ქუხილმა გვერდი აგვიარა“, — აი, რას მეუბნებოდნენ იმ დღეს...

### XIII

სალამოა. ახლახან ვივახშმეთ და სუფრა ავალაგეთ. მაპიდა მარი და გოგოები დედას ეხმარებიან. ზოგი ჭურჭელს რეცხავს, ზოგი ამშრალეებს, ზოგი კერიის პირს გვის. მტვერი რომ არ დადგეს, მთელი იატაკს სველი ცოცხით გვიან...

ქალებმა საქმე მოამთავრეს და ყველანი ჩვენ-ჩვენ ადგილას დავსხედით. ცოტა ხნით ჩუმად ვართ, თითქოს რალაცაზე ვფიქრობთ.

პირველი ძია ელიზბარი იწყებს სიმღერას. ჩუმად, თითქოს თავისთვის მღერის. ცოტა ხნის შემდეგ გუშკა აპყვება, მერე მამაჩემი და ბოლოს ყველანი ვუერთდებით.

არც მე და მაჩიჩი ვზივართ მუნჯებივით, ჩვენი ხმებიც ერწყმის გუნდს.

ასეთ დროს ბაბუა განმარტოებას არ ჩქარობდა, ~~ეტიუბა~~ სიამოვნებდა ხმაშეწყობილი ოჯახური სიმღერა. თავს ასწევდა, სიმღერას ყურს მიუგდებდა და თავის ხმასაც შეაწევდა. უცბად ~~არცხუნად~~ წამოიწყებდა რომელიმე ძველებურ სიმღერას. ამ დროს ~~მისი ხმა ხმახმა~~ ხმასავით ძლიერი და წკრიალა იყო.

სიმღერას ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ამ დროს ჩონგური გაახსენდებოდათ და რომელიმე გოგო ამაცურტიდან სახლში გარბოდა, ჩონგურს მოიტანდა და დედას მუხლებზე დაუდებდა — დედა იყო მისი ბატონ-პატრონი.

ჩინის ვაჟზე ჩიჩინზე რომ გიამბობდით, მაშინ ვახსენე ეს ჩონგური. გითხარით, რომ სულ ახალგაზრდა დედაჩემისთვის, გათხოვებამდე დიდი ხნით ადრე, თავისი ხელით გათლილი ჩონგური უჩუქნია ვილაც ჭაბუკს. დედა რომ გათხოვილა, მშობლებს მზითვის მიცემამდე ეს ჩონგური გაუგზავნიათ მისთვის.

დედა გვარიანად უკრავდა ჩონგურზე. ახლაც გასანთლა აბრეშუმის სიმები და აწყობა დაიწყო. ხმას მიაყურადებდა და კოჭს ატრიალებდა. ზოგი სიმი მოჭიმა, ზოგი — მოუშვა. მერე მდუმარედ დაიწყო დაკვრა. სიმღერის აყოლებაც შეეძლო, მაგრამ მამამთილის ერიდებოდა. ასევე მოერიდა მამამთილის თანდასწრებით ჩონგური ქმრისთვის რომ გადაეცა და ქალიშვილს მიაწოდა, მან კი მამაჩემს მიუტანა.

მამაჩემი სმენით ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაბედულად ჩამოჰკრა სიმებს და თავისი საყვარელი სიმღერა წამოიწყო.

მამაჩემიდან გუშკასთან გადადიოდა ჩონგური, რასაც ყველანი მოუთმენლად ველოდით. მისი წვრილი თითები ჩონგურის გრძელსა და ნატიფ ყელს შემოეხვეოდა. ზანზალაკების წკრიალივით იფანტებოდა მისი ხმა და ამაცურტაში მაშინვე მხიარულება და საზეიმო განწყობილება ისადგურებდა. ლალი სიმღერა ოთხ კედელშუა ველარ ეტეოდა, ეზოში გაიჭრებოდა, ღობეს გადაეფლებოდა... ჩვენს შესახვევში მიმავალი ხალხი ამ სიმღერის ხმაზე ჩერდებოდა. ხშირად კონცერტის დასასრულამდე იდგნენ და ისმენდნენ. კონცერტი კი ზოგჯერ გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

არცერთი ჩვენთაგანი არ იღლებოდა და დასაძინებლად წასვლას არ ჩქარობდა. უფროსებისთვის, გამთენიიდან გამთენიამდე რომ მუშაობდნენ, სიმღერა მათი მძიმე ცხოვრების სინარული იყო. ის სულიერად ამშვიდებდა მათ და მერე ძილიც უფრო ღრმა და ნებიერი ჰქონდათ.

ჩვენი პროგრამის ბოლო ნომერი, ჩვეულებრივ, ცეკვები იყო, თანაც სოლო ყველაზე უმცროსებს უნდა შეესრულებინათ — მე და მაჩიჩს. სანამ ჩვენ გამოვჩნდებოდით სცენაზე, უფრო სწორად, ამაცურტის მიწის იატაკზე, გამოცოცხლებული ბაბუა ფაცა-ფუცით იძლეოდა აუცილებელ განკარგულებებს: ლადარი გაჩხრიკეთო, უფრო რომ განათებულიყო იქაურობა, ან ჭრაქი დაბლა დადგითო, ყველას და პირველ რიგში ჩვენ თითონ რომ დაგვენახა, როგორ ვცეკვავდით.

ვერ ვიტყვი, ძალიან ვახარებდი-მეთქი ბაბუას ჩემი ოსტატობით ხელოვნების ამ სახეობაში, მაგრამ არაფერს ამბობდა, სულ უმნიშვნელო შენიშვნასაც არ მაძლევდა. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთან ჩემი ცეკვის მასწავლებელი მადგუა მოვიდოდა, ბაბუაჩემი მოსალმებაც არ აცლიდა, კარებშივე დაუწყებდა საყვედურებს:

— არა, ჩემო ძვირფასო, არ მომწონს შენი მოწაფეობა. ცეკვების ისე იქნევს, თითქოს ფუტკრებს იგერიებსო. ფეხის წვერებზე დადგომის ეშინია, თითის მოტეხვის ეშინია, გამბედაობა აკლია. არადა, რამდენჯერ ვიმეორებდი:

ყური უგდეთ ცეკვის ტაქტს,  
 ნუ იხრებით, გასწორდით,  
 დათვებივით ნუ ბაჯბაჯებით,  
 ნურც ცხვრებივით დახტუნავთ.  
 მერე რა, რომ ბევრი ხართ,  
 შეწყობილად იცეკვეთ:

ეს ლექსი მეც ზეპირად ვიცოდი, მაგრამ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. ჩემი მასწავლებელი მადგუასათვის კი ეს, როგორც ჩანს, მოკლედ სახელმძღვანელო ან დარიგება იყო. ის ჩემთან ერთად ამოდოდა ზალაში, იატაკზე შინ მოქსოვილ ხალიჩას გაშლიდა და ტაშის დაკვრით ტაქტს მაძლევდა. მიხსნიდა და მაჩვენებდა ყველაზე მთავარს: როგორ მომეხარა ფეხის ცერი, თითის წვერებზე რომ გამეველო, როგორ დამეჭირა ხელები, არ მოვხრილიყავი წელში, როგორ დამეხარა თავი საცეკვაოდ გამოსული ქალიშვილის წინაშე, როგორ შემომეველო გარშემო და არ გამეხწრო მისთვის წინ... მიწვევას არ ველოდებოდი, ისე მიყვებოდი მასწავლებელს უკან და გულმოდგინედ ვიმეორებდი ყველა მის მოძრაობას.

აი, ასე ვატარებდით საღამოებს. სულით და გულით ვმხიარულობდით, სანამ არ მოხდა ის, რაც მოულოდნელად ხდება ხოლმე.

შავი ღრუბელივით ჩამოაწვა ჩვენს სახლს მწუხარება. შავი ნაჭერი ჩამოიფარა ზალის კუთხეში დაკიდებულმა ჩონგურმა. ნუგეშის-საცემად მოსული მეზობლები მდუმარე და ნალვლიანი იყვნენ. ბაბუა იშვიათად მიდიოდა კრებებზე. აცივდა, მაგრამ კერიაზე შემოწყობილი შეშა ძველებურად აღარ გიზგიზებდა. ჩვენი პაკიას ყეფაც მოგუდულად ისმოდა და მამლების ყივილიც კვნესას ჩამოჰგავდა.

რალა მაინც და მაინც დედაჩემს დაატყდა თავს მწუხარება ზვავივით. დედაჩემს, რომელსაც მთელი საოჯახო საქმე და ბავშვების აღზრდა აწვა მხრებზე.

...ეს ნაშუადღევს მოხდა. დედაჩემი ეზოში იჯდა და გოგონებთან ერთად ნართს ახვევდა. ერთი-მეორისგან თხუთმეტოდე ნაბიჯის დაშორებით მიწაში ორი პალო იყო ჩარჭობილი; დედაჩემი და გუშკა გორგალით ხელში მიდიოდნენ ერთი პალოდან მეორესთან და ზედ ნართს ახვევდნენ...

ამ დროს ჭიშკარში კაჩა გამოჩნდა, ჩემი თანატოლი ბიძაშვილი, ალმას ბიჭი, დედაჩემის ერთადერთი ძმიშვილი. ქოშინით მივარდა კაჩა დედაჩემთან და სხაპასხუპით მიაყარა, რომ მამამისი უცბად ცუდად გახდა, ლოგინში ჩაწვა და წამოდგომა არ შეუძლია, ამიტომ თხოვს თავის დას, საჩქაროდ მივიდეს მასთან.

— რა მოუვიდა? — ფერი დაკარგა დედაჩემმა მამამისმა სალამოს აქ იყო, მშვენივრად გრძნობდა თავს, მღეროდა, იცინოდა...

დედამი საქმეს თავი მიანება, საჩქაროდ აკრიფა ნართი, შინ შეიტანა, ლურსმანზე ჩამოკიდა, სწრაფად გადაიცვა ტანზე, თავსაფარი მოიხვია და ეზოდან გავიდა.

დედა ღამე შინ არ მობრუნებულა, ძმასთან დარჩა. მეორე დღეს ავადმყოფის სანასავად ბაბუა წავიდა და მეც წამიყვანა.

ალმას ეზოში ხალხი ზიმზიმებდა. ბაბუა იმ ოთახში შევიდა, სადაც ავადმყოფი იწვა. მე კარებთან დავრჩი და ბოძს ავეკარი. ალმა გულ-ალმა იწვა, ნიკაპი მალლა აეწია, თითქოს რაღაც ძალა ბალიშიდან თავის აწევის საშუალებას არ აძლევდა. მკერდი მალი-მალ აუდ-ჩაუდიოდა, ხრინწიანად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა. მის ახლოს დედაჩემი იდგა წყლიანი ჭიქით, თხმელის ფოთოლს ასველებდა შიგ და შუბლზე ადებდა ძმას.

— ფერშალი მოიყვანეს! — დაიძახა ვიღაცამ ეზოდან.

ყველანი გამოცოცხლდნენ. აბა რა იქნებოდა, ერთადერთი ფერშალი ჰყავდა ხუთ თუ ექვს სოფელს და საუკეთესო სპეციალისტივით ფასობდა... მის მოსაყვანად მამაჩემი ყოფილა წასული. ის მიემშველა ფერშალს ცხენიდან ჩამოსვლაში და სახლისკენ გაუძღვა.

— ვინ იცის, იქნებ გადაარჩინოს, — იმედიანად ჩაილაპარაკა ჩემ უკან ვიღაცამ.

— ღმერთმა ქნას, — უპასუხებს მას.

დედაჩემმა შემოსული ფერშალი რომ დაინახა, ძვირფასი ნათესავით მივარდა, წინ ხელი დაუტრიალა — ბოროტი სულელები განდევნა და მკერდზე მიეყრდნო.

— ჩემი ძმის სიცოცხლე შენ ხელშია, გევედრები, გადამირჩინე! — საცოდავი ხმით უთხრა და განზე გადას.

ფერშალი ოთახში შევიდა, პალტო გაიხადა, ჩანთიდან ამოღებული თეთრი ხალათი მოიცვა და მაშინვე, აწოწილი და გამხდარი, ფესვებგამხმარ დათოვლილ ხეს დაემსგავსა. ფერშალმა ავადმყოფს საბანი გადაჰხადა და საწოლზე ჩამოუჯდა. იღლიაში თერმომეტრი ჩაუდო. მერე უხმოდ გასინჯა და ჩაილაპარაკა: — მალალი სიცხე აქვს, სუნთქვა გაძნელებულია... ეს ფხვნილები დაალევინეთ, იქნებ სიცხე დაუვარდეს... ისე კი, უმჯობესია, ექიმს თუ მოიყვანო. მე, რაც არ უნდა იყოს, მაინც ფერშალი ვარ. ექიმია საჭირო და, რაც შეიძლება სასწრაფოდ.

ადგა, სკამზე ფხვნილები დააწყო და იქაურობას გაეცალა.

— ფერშალმა მიგვახვედრა, რომ ავადმყოფის გადარჩენა შეუძლებელია, — ნაღვლიანად დაასკვნა იმავემ, სულ ცოტა ხნის წინ კეთილი დასასრულის იმედი რომ ჰქონდა.

მართლაც, სამი დღე კიდევ იწვალა ალმამ და გარდაიცვალა... ვერც წამალმა უშველა და ვერც ექიმმა მოუსწრო... მისმა მოუხრთოდ-ხელმა სიკვდილმა ყველანი დაამწუსარა. ის იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. სულ გაჭირვებული ცხოვრობდა, ძლივს დადგა ფეხზე, როგორც იქნა თავი დააღწია სიღარიბეს... შვილები ჰყავდა, სისხ-ნი დაობლდნენ...

დედაჩემს ვერა და ვერ გადაჰქონდა ეს საშინელება, მხოლოდ თვა-ლებითლა თუ იცნობდა კაცი, დახოკილ ღაწვებსა და შუბლზე შავად შე-ნმობოდა სისხლი, განუწყვეტელი კივილისაგან ხმა ჩაწყვეტილი ჰქონ-და, საჭმელს პირს არ აკარებდა, წყურვილი კლავდა და მხოლოდ წყალს ეტანებოდა.

დაკრძალვაზე არ გამიშვეს, ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და მა-გასაც მოესწრებიო. მაგრამ მე ჩემი ფხიხლად მოდარაჯეები მოვატყუე, ეზოში მივდივარ-მეთქი სათამაშოდ, სინამდვილეში კი ალმას სახლის-კენ გავწიე. ხალხში კინალამ დავიკარგე, მაგრამ როგორც იქნა, დედა-ჩემს მივაგენი. გავძვერ-გამოვძვერი და ზედ ავეკარი. დედაჩემიც უღო-ნოდ მომეყრდნო.

— დავინახე, რა გატანჯული იყო დედა და სიბრაღისგან გუ-ლი შემეკუმშა.

— სახლში წავიდეთ, — მოვეჭიდე ხელზე.

— აქედან ჩემი წასვლა როგორ შეიძლება, გენაცვალე?! — ძლივს ამოიღულულულა მან.

თითქოს ეს მწუსარება საკმარისი არ ყოფილიყოს, ახლა კიდევ სხვამ წამოჰყო თავი. მიცვალებულის დაკრძალვაზე ატყდა ლაპარაკი, სად დაეკრძალოთო. ალმას ცოლს, უფრო სწორად, მის ქვრივს, სი-მამრს და მის ნათესავებს, დედაჩემს და მის ძმას თანასს საფლავი სახ-ლის ახლოს უნდოდათ, ალმას ძმებს, მათ დას და კიდევ ვიღაც-ვიღაცე-ებს ნათესავებიდან — მთის ძირას, სადაც მისი მშობლები განისვენებ-დნენ. ლაპარაკი ჩხუბამდე მივიდა. უამრავი ხალხი ჩაერია. ყველას თა-ვისი მომხრე და თანამგრძნობი ჰყავდა. მითქმა-მოთქმამ ისეთი ხალხის ყურებამდეც მიაღწია, ვისაც ამ ამბავთან არაფერი ესაქმებოდა. კამა-თისტვის რომ ბოლო მოეღოთ, ალმას მეგობრები წამოდგნენ ფეხზე და თავისი სიტყვა თქვეს: „ღმერთმა აცხონოს და მიცვალებულს ვაჟიშვი-ლები ჰყავს. მერე რა, რომ ჯერ პატარები არიან, ჩვენც პატარები ვი-ყავით ერთ დროს. ბიჭები მალე დაიზრდებიან, დაოჯახდებიან, იმ მიწა-ზე იცხოვრებენ, რომელზეც მათი წინაპრები დააბიჯებდნენ და მშო-ბლიურმა მიწამ უფრო მაგრად რომ მიიზიდოს ისინი, ალმა ისეთ ადგი-ლას უნდა დაიკრძალოს, შვილებმა ყოველდღე რომ მოინახულონ მისი საფლავი. ეს ძალასა და რწმენას შემატებს მათ. ღმერთმა ჰქნას, რომ ასე იყოს!“

ასეც გადაწყდა. ალმას ძმები და მათი მომხრენი დათანხმდნენ. ყველაფერი დალაგდა და მოწესრიგდა.

ალმა დაკრძალეს გორაკის თავზე, სადაც ძველი ციხე-სიმაგრის ნა-ნგრევები იყო აღმართული, სახლის ახლოს...

დაკრძალვის შემდეგ დედაჩემი მხარში ამომდგარმა მეზობლებმა მოიყვანეს შინ. სამი დღე იწვა. წამოდგომის თავი არ ჰქონდა. მერე ორი კვირა იმარხულა, რძის ნაწარმს პირს არ აკარებდა. ორმოცი დღე კი საწოლს არ მიჰკარებია, პირდაპირ შიშველ იატაკზე წვებოდა. „როგორ ჩავწვე რბილ ლოგინში, როცა ჩემი ძმა ცივ მიწაში წაშვებული?!“ — ამბობდა დედაჩემი.

შინ და გარეთ თავიდან ფეხებამდე ძაძაში იყო გახვეული. აჩრდილივით მდუმარე და ფერმკრთალი იყო, სულიერად თუ ფიზიკურად — გატეხილი.

ზოგჯერ დილას, ან საღამოს აივანზე დაჯდებოდა, წინ ძმის შავ-არშიაშემოვლებულ სურათს დაიდებდა, დიდხანს უცქეროდა, მერე რწევას დაიწყებდა, თავში ხელს იცემდა და ზარით მოთქვამდა:

უშენოდ როგორ ვიცხოვრო, ჩემო იმედო,  
ჩემო ძმაო?  
ნუთუ ამ ქვეყნისთვის ზედმეტი იყავი,  
ჩემო ძმაო?  
ნუთუ სიბრალული არ გქონდა მაგ გულში,  
ჩემო ძმაო?  
წახვედი და შვილები უმწეოდ დატოვე,  
ჩემო ძმაო,  
უშენოდ სამუდამოდ დაცარიელდება შენი სახლი,  
ჩემო ძმაო!  
ვაიმე, ვისთვის ააშენე ის,  
ჩემო ძმაო?..

მესმოდა ჩემი მწუხარე დედის ხმა და მეჩვენებოდა, მიწა, რომელიც ადრე მყარი, მართლაც ქვასავით მაგარი იყო, ქანაობდა და ფეხქვეშ მეცლებოდა... მთელი სამყარო, ადრე მტკიცე, საიმედო და ნათელი რომ მეგონა, იმსხვრეოდა და ინგრეოდა...

რის ვაი-ვაგლახით ვიშორებდი ამ ცდუნებას, აივანზე გავდიოდი და დედასთან მიახლოვებას ვბედავდი, ოღნავ მაინც რომ მეწუგეშებიანა იგი, მაგრამ ყელში რაღაც ბურთი შეჩხირებოდა და ცეცხლს მიკიდებდა, მეშინოდა, ვაი თუ, თავი ვერ შევიკავო და ავტირდე-მეთქი; ჩემი ცრემლები კიდევ უფრო შეაწუხებდა დედას. სახლის უკან გავრბოდი და იქ სულმოუთქმელად ვტიროდი.

ბაბუას ძალიან ეცოდებოდა რძალი, დედაჩემის მოთქმას რომ გაიგონებდა, აივანზე ადიოდა, ჯოხს დაეყრდნობოდა და ასე იდგა შორიანლო.

— დამშვიდდი, გენაცვალე, თავს ნუ იკლავ, შვილებზეც იფიქრე. შენ ცრემლებს რომ ხედავენ, ისინიც ტირიან, შეიბრალე შვილები, გეყოფა ამდენი დარდი, — ეუბნებოდა ის დედას.

დედაჩემი წინათ უფლებას არ აძლევდა თავს, ერთი საათი მაინც რომ ყოფილიყო უქმად, უბრალოდ, არ ეცალა. უთენია დგებოდა და შუალამემდე საქმიანობდა, ასად იჭრებოდა და სანამ ფეხები არ მოეკვე-

თებოდა, იმდენ შავ საშინაო საქმეს აწესრიგებდა, იმდენი რამის გაკეთებას ასწრებდა, კაცი ვერ დაითვლიდა. სტუმრების რიგიანი მიღება და დახვედრა იყო საჭირო, საჭმელ-სასმელი უნდა მიერთმინა: ერთისთვის ერთი, მეორისთვის — მეორე, მესამემ თვითონ არ იცოდა, რა უნდოდა. ბავშვებზეც უნდა ეზრუნა და უფროსებზეც: საჭმელ-საჭმელადებინა მათთვის, სარეცხი დაერეცხა, ტანსაცმელი შეეკურნა, — ჩირქისაა. ახლა ბოსტანი? ინდაური და ჭუკები და კიდევ ათასი წვრილმანი? მართო მთელი დღისთვის წყლის მომარაგებას რამდენი დრო დასჭირდებოდა?

ზაფხულში აივანზე გამოდგამდა ხოლმე დედა საქსოვ დაზგას, ზამთარში კი მხარში ედგა. ქსელს მოჭიმავდა, წინ დაუჯდებოდა, ტერფს სათელელზე დადებდა და ქსოვას იწყებდა. თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებდი ისე სწრაფად გადაჰქონდა თითისტარი ერთი ხელიდან — მეორეში. რამდენჯერ გავულვიძებივარ ღამე დაზგის რაკუნს. ერთხელ, მახსოვს, სანთლებით გარშემორტყმული გათენებამდე ქსოვდა...

მოქსოვილი ტილო დედას გოგონებთან ერთად მდინარე ჩალაზე მიჰქონდა, იქ წყალში გაავლებდნენ და მზეზე გაფენდნენ გამოსათეთრებლად.

ასეთი სურათიც მაქვს მეხსიერებაში ჩაჭედილი: თთვლივით ქათქათებს ღობეზე გადაფენილი უკვე გამშრალი ტილოები. დედა იღებს და გროვა-გროვა ალაგებს სკამებზე. განზე ბაბუა დგას და პატივისცემით უყურებს რძალს. „დალლილი ხარ, გენაცვალე, მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს, წადი, ცოტა მაინც დაისვენე“. — ეუბნება ბაბუა.

ახლა კი, ძმის სიკვდილის შემდეგ, დედამ ყველა საქმეს მიანება თავი.

როგორც ამბობენ, ერთ უბედურებას მეორეც მოჰყვება ხოლმე.

ალმას საფლავში, ზედ გორაკის თავზე, წყალი აღმოჩნდა. ეს კაცის ხელახლა სიკვდილს უდრის.

მთელი ნათესაობა გორაკს მიაწყდა. ისევ ცრემლები და ქვითინი. თოფის წამალივით იფეთქა ძველმა წყენამ. ვინც ალმას გორაკზე დაკრძალვის წინააღმდეგი იყვნენ, თან წუხდნენ და თან ყველა ცოდვას მათ მიაწერდნენ, ვინც თავისი გაიტანა.

— განა არ იცოდით, რომ ვაჟიშვილი მამის გვერდით უნდა განისვენებდეს? მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ და აი წყევლა აგვიხდა...

„ხელახლა დასამარხი გაგხდომოდეთ თქვენი მკვდრები!“ — ეს წყევლა ჰქონდათ მხედველობაში, ერთი უსაშინლესი წყევლათაგანი.

დავა დავაა და წუხილი წუხილია, მაგრამ გადასვენება, რომ აუცილებელი იყო, ყველა ცხადად ხედავდა. ძლივს იკავებდნენ თავს ხელახლა გათხრილ სამარესთან, ძლივს ამოიღეს უკვე გახრწნილი ნეშტი. გაშლილ ზეწარზე დაასვენეს, ხელახლა შესუდრეს და საკაცეზე გადაიტანეს. როცა მიცვალებული გორაკიდან წამოასვენეს, მამსირი ხახადალებულ ორმოს მიუბრუნდა და ხმამაღლა ჩასძახა: „წავიდეთ, ჩემო კარგო, წავიდეთ, სადაც საუკუნო სამყოფელი და დედ-მამა გელოდება“. ხელში დაჭერილი გორგალის ერთი ბოლო საფლავში ჩაუშვა და გორგალის ფრთხილად ტრიალით ხალხს გაჰყვა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ალმას სულს ძველი საფლავი დაეტოვებინა და გზის აურევლად ახალში მისულიყო.



მამსირის ხმას დედაჩემის მოთქმა უერთდებოდა:

ძმავ, ჩემო ძმავ, როგორ დავიტვირო,  
 ჩემო ძმავ?  
 ახლა რა უნდა გითხრა ამ სამარესთან, *ეროვნული*  
 ჩემო ძმავ *შინკუბა*  
 მთებში რომ დაღუპულიყავი ნადირობისას,  
 ჩემო ძმავ,  
 მაშინ სათქმელი მექნებოდა  
 ჩემო ძმავ,  
 მაშინაც — წყეულ მტერს რომ მოეკალი,  
 ჩემო ძმავ!  
 მაგრამ ახლა რა უნდა გითხრა,  
 ჩემო ძმავ,  
 როცა მიწამ დაგატეხა მთელი თავისი რისხვა,  
 ჩემო ძმავ!

მე და ბაბუა კარავივით გაშლილი ცაცხვის ქვეშ ვდგავართ გაბობილ ქვასთან. ზაფხულის კარგი დღეა, ნაზი ნიავი გვიგრილებს სახეს შრიალეზენ, ცაცხაებენ და ბუტბუტებენ ფოთლები...

ბაბუა განზე დგება, ხელი ყურთან მიაქვს და ხმებს უსმენს.

— მადლობა ღმერთს, შორს არ წასულა, სადღაც აქვია, — მხიარულად მეუბნება და ცაცხვის ქვეშ ვილაცის მოტანილ კუნძზე ჯდება.

ბაბუას ჩვენი ფურკამეჩი ჰყავს მხედველობაში. ამ დღეებში ზაქი უნდა მოიგოს და ბაბუა წუხს. ამიტომაც, ლამის კუდისძირში რომ დასდევს, უთვალთვალებს. მეც თან მივყავარ ხოლმე. მაშინვე ვხვდებით სად ძოვს, ნაბიჯების ხმაზე ვხვდებით. გაბობილ ქვასთან დღესაც ამ კამეჩის გამო მოვედით. ბაბუამ ჩიბუხი მოსწია, თექის ქუდი მოიხადა და მუხლებზე დაიდო.

— ლაგან, მე მგონი, შენ აქ სათამაშოდ მორბიხარ, არა? — მკითხა მან.

ვხვდები, ბაბუა ლაპარაკის ხასიათზეა და ახლოს ვუჯდება.

— ჰო, მოვრბივარ ხოლმე, აქ ქოხიც მაქვს აშენებული.

— მესამედ ამოვდივარ შენთან ერთად გორაკზე... გახსოვს, როგორ ყვიროდა ხალხი: „დირკეტი, დირკეტი?“ თავადის ყოფილი მოურავი კი გვემუქრებოდა... ახლა არც თავადებია და აღარც მოურავები. ახლა მთელი მიწა, ყველაფერი, რასაც გარშემო ხედავ: ტყეებიც, მინდვრებიც, მთებიც ხალხს გადაეცა ამ ბრძნული კანონით. ყველას მიწა გვაწოვებს ძუძუს, თუმცა ყველას როდი არგია ის; ზოგი სიხარბისგან იხრჩობა. აი, მაგალითად არჩილი... — თითქოს თავის თავს ელაპარაკებოთ ისე ხმადაბლა ამბობს ბაბუა.

მე გაგრძელებას ველოდები, ბაბუა კი ჩუმდება, დგება და ჯოხზე დაყრდნობილი გორაკზე მიდი-მოდის.

— ყოჩაღ ლაგან, აქ რომ დადიხარ! ეს გორაკი ფრთებს გასხამს, სულიერად გამაღლებს... „შორსაც გაიხედე და შენს წინაც, მხილე უხილავი, შეიცანი შეუცნობელი, დაიხსომე მოსმენილი!“ აი რას გეუბნება ის, კარგად თუ მოუსმენ. აქ რომ მოდიხარ, შენ მწვერვალზე ადიხარ. სიკეთეც ასეა, ისიც ალაშქრებს ადამიანს... *ეროვნული*

ბაბუა ჩრდილოეთისკენ ბრუნდება და ხელს წინ იშვერს იშვერს, რომელსაც თითქოს ხელისგულზე უდევს ჩვენი სოფელი, ცის სილურჯეში მკვეთრად გამოკვეთილი, სიმწვანეში ჩაძირული და ცხენის ფერდევით მომრგვალებული.

— ეს პანავია, ვიცი! — წამოვიძახე მე.

— პანავია კია, მაგრამ იქ უამრავი ადგილია და ყველას თავისი სახელი აქვს. შენ პატარა აღარა ხარ და უნდა იცოდე...

ბაბუა მკერდით აწვება ჯოხს, საჩვენებელ თითს პანავისკენ იშვერს და თხრობას იწყებს:

— დაიმახსოვრე... მწვერვალის შორიახლოს ერთი ადგილია, აჩი-მუაძმახს ეძახიან. ცოტა უფრო ქვევით ანსლაპხარაა, იქ ისეთი ყინულივით ცივი წყაროა, ხელებს წაგაძრობს... ახლა კი იქით გაიხედე, ჩრდილოეთით. ხედავ კლდეს? იმის უკან პანავაა ამოკუზული, თითქოს უნაგირი დაედგათ ზედ... ხედავ? იმ კლდეს აშიცვრა ჰქვია, იმის იქით აშბაარხაა, ჩეგემი...

— მე კიდევ ის კლდე კი არა, სასაბლე მეგონა, სადაც ჯადოქრები ცხოვრობენ. — უკმაყოფილოდ ვამბობ და მთას ვუყურებ, რომელიც ისე გაჩახჩახებულა მზისგან, კენჭსაც კი დაინახავ ზედ. — აგე, როგორ ბრწყინავს ფანჯრებში მინები მზენზე.

— შეიძლება, შეიძლება, — იცინის ბაბუა. — პანავაზე ყველაფერი შეიძლება იყოს... რომ იცოდე, რა მდიდარია ის! მისი წიაღიდან სამკურნალო წყლები მოედინება დედამიწაზე და ადამიანებს ჯანმრთელობას უბრუნებს. იქ ბევრი მდინარე იღებს სათავეს, ისინი არასოდეს შრება და განუწყვეტლივ მიედინებიან ზღვისკენ. აბა იმათი სახელები დაიმახსოვრე: თოუმიში, დგამიში, კეტუანი, კუმარჩა, დვაბი, ძიკვა, ულისი... მერედა, რა უხვია ეს მდინარეები, რა ჯიშის თევზი არაა შიგ. მერე რა სიმწვანეა, რამდენი ხეხილი, წაბლის ხეები... ხეები მხოლოდ კი არ ალაშქრებენ დედამიწას, სამსახურსაც უწევენ მას. დღე და ღამე დარაჯებივით დგანან, წყაროების სიმშვიდეს იცავენ, რაიმემ რომ არ აამღვრიოს მათი ანკარა თვალები.

ბაბუა ცაცხვის ქვეშ ბრუნდება, ჩრდილში ჯდება, ზღვისკენ იხედება და თვალებს ისრესს.

— ჯერჯერობით მხედველობას არ ვუჩივი, აი, ზღვას კი ვერ ვხედავ კარგად. აბა ერთი იქითკენ გაიხედე, შენ გამჭრიახი თვალი გაქვს, რამეს ხედავ?

— ვხედავ, ვხედავ, რალაც ყვაავივით შავი მოჩანს, აი, აი! — ვუჩვენებ ბაბუას, მავიწყდება, რომ შორს ცუდად ხედავს

— ეგ გემები უნდა იყოს. დასავლეთისკენ თუ აქვთ გეზი, ესე იგი სოხუმში მიდიან, დუაბზეში და ასე შემდეგ. თუ დასავლეთიდან მოდიან, მაშინ პირველ რიგში ოჩამჩირეში შევლენ და მერე ბათუმისკენ

წავლენ... ხედავ, რამდენი საინტერესო რამ გვიჩვენა დღეს ჩვენმა გორაკმა? ერთ მხარეს ზღვაა, მეორე მხარეს — მთები. აბა, დაფიქრდი, ლაგან რამხელა ორ ძალას შორის ცხოვრობ!..

ბაბუას ამ საუბარმა კიდევ უფრო დამაახლოვა გაპობილი ქვის გორაკთან. ეს გორაკი მშობლიურ სახლად მექცა, სადაც ცუდუფობადე და გავიზარდე. თუ გახარებული ავდიოდი გორაკზე, ეს ხიზნის რუსული კიდევ უფრო იზრდებოდა, თუ დამწუხრებული — ძალა მეძლეოდა მწუხარების დასათრგუნავად. მის ფერდობებზე ვეძებდი ფერად კენჭებს, ვკრეფდი მინდვრის ყვავილებს, ან ნორჩ თხმელაზე მივცოცავდი, ტოტზე გავიდოდი და ვქანაობდი, ან კარვებს ვაშენებდი მის ჩრდილში.

რამდენჯერ გავგორებულვარ რბილ მოლზე გაპობილი ქვის მახლობლად. ვუყურებდი ცას და ღრუბლების ცქერით ვერთობოდი, თერთრად რომ იბოლქვებოდნენ, რამდენხანს ვმჯდარვარ გვიანობამდე მთებით მოჯადოებული ჩამავალი მზის მეწამულ შუქზე რომ ალივლივებდნენ ჭალარა მწვერვალებს.

#### XIV

ეზოს კუთხეში ოდითგანვე ამოჩემებულ კუთხეში ჩაცუცქული ვაგებდი ქოხს. საცა იყო მოვამთავრებდი და, როგორც ყოველთვის, ისე გავერთე, ისიც ვერ შევნიშნე, წვიმის პირველი მსხვილი წვეთები რომ დამეცა, ვერც დედის ძახილი გავიგონე. მაშინ კი მოვეგე გონს, დედაჩემი რომ მოვარდა და ხელი წამავლო.

— ადექი, ვერ ხედავ, ცხვირწინ ჭექა-ქუხილი რომ არის? აგე, უკვე ელავს კიდევ. — წამოიძახა და თან შეშინებულმა დაამატა — ნეტა ქარიშხალი არ იქნებოდეს, მთელი ცა გამხმარი სისხლივითაა.

მართლაც ცის გადმობრუნებული თასი წითლად ჩამუქებულიყო, დრო და დრო ელვის ცისფერი ისრები გადასერავდა ხოლმე მას, სადღაც ქუხილი იღრინებოდა.

აივანზე რომ ავედით, ბაბუა ფიცარნაგზე იჯდა და კვეს-აბედით ჩიბუხს ადვივებდა.

— ნუ გეშინია, გენაცვალე, არც დიდი წვიმა იქნება და არც ჭექა-ქუხილი, დაიგრუხუნებს და გვერდით ჩავვივლის. — დაამშვიდა მან დედა და ჩიბუხში გაღვივებული აბედი ჩატენა.

ბაბუა ტყუილუბრალოდ არ გამოელაპარაკა რძალს. იცოდა, რა საოცრად ეშინოდა ჭექა-ქუხილის. ბიდას დალუპვის შემდეგ ხომ მთლად ირეოდა შიშით. გაიგონებდა თუ არა ქუხილის ხმას, მაშინვე კარებსა და ფანჯრებს მივარდებოდა ჩასაკეტად. მომძებნიდა, თავის შავ თავსაფარს გადამაფარებდა და ყველაზე უფრო შორეულ კუთხეში მიიკუნჭებოდა ჩემთან ერთად. როცა სულ ახლოს დამაბრმავებლად გაიღვივებდა და საზარლად დაიქუხებდა კიდევ, მეც დედაჩემს ვბაძავდი: თვალებს ვხუჭავდი და ყურებს თითებით ვიცობდი.

ბაბუას წინასწარმეტყველების საპირისპიროდ წვიმამ კოკისპირულად დაუშვა. სიმინდის თოხნიდან მობრუნებულმა წვიმით გალუმბულმა გლეხებმა აივანზე ბეჭანი რომ დაინახეს, ყველამ ჩვენსკენ შემოუ-

ხვია. სიცილ-ხარხარით და ფეხების ბაკუნით შემოცვივდნენ აივანზე. ძლივს დაეტიენ, ჩამოსხდნენ და ბაბუას სთხოვეს, რაიმე გვიხმბეო. სულერთია, ახლა საქმე არა გვაქვს და, გვინდა, თუ არა, უნდა ვიჯდეთ და წვიმის გადაღებას ველოდოთ.

— გამარჯობათ! — გაისმა ამ დროს ნაცნობი ხმა და მამსირმა და-  
ვინასე.

დედა შეეგება მას, სველი ნაბადი ჩამოართვა, წვიმაში თავზე რომ გადაეფარებინა და კედელზე ჩამოკიდა. მამსირმა წინ წამოიწია და ყველამ შენიშნა, რომ გვერდზე აფხიარცა პქონდა ჩამოკიდებული.

ეს უცნაურიც იყო და მოულოდნელიც. მამსირი, რა თქმა უნდა, ალმას სიკვდილის შემდეგაც მოდიოდა ჩვენთან, მაგრამ საკრავი მხოლოდ დღეს წამოელო თან. ჩვენს სახლში, რა ხანია არავის გაეგონა არც სიმღერა და არც ჩონგურისა და აფხიარცის ხმა.

ეტყობა, ტყუილუბრალოდ არ შემოვიდა ჩვენთან მამსირი; წვიმას კი არ შეაფარა თავი, ან დაბნეულობისგან კი არ წამოიღო თავისი ორსიმიანი მგალობელი. იქნებ რაიმეს დაკვრა უნდოდა? იქნებ დროული იყო? იქნებ იმის დაკვრას განეკურნა დედაჩემი, მოეშორებინა მწუხარება და აღარ ეღვარა ცრემლი?

ამას მეც მოუთმენლად და იმედით ველოდი...

— ძვირფასო ბეჟან, ნება მიბოძე ყველას თანდასწრებით რამდენიმე სიტყვა ვუთხრა ჩარიმხანს — შენს რძალსა და ჩემს ძმისშვილს. — თქვა მამსირმა და აივანზე დამსხდარ გლეხებს მოავლო მზერა, თითქოს იმათაც სთხოვს ნებაართვასო.

— თქვი მამსირ, ძვირფასო, თქვი. შენ ხომ იცი, ყველა ნათესავზე ძვირფასი ხარ ჩემთვის. — უთხრა ბაბუამ და ჩიბუხი დაბერტყა.

დედამ გაიგონა, მამსირს სათქმელი რომ პქონდა მისთვის, აივანზე გამოვიდა და მოლოდინში გაშეშდა. შეეძლო კი სხვანაირად მოქცევა, როცა მისი დედის ძმა ლაპარაკობდა?

— დიდი უბედურება დაგატყდა თავს, ჩემო ძვირფასო, — დაიწყო მამსირმა. ის დიდებულად, წელში გამართული იჯდა სკამზე. — ძმა დაკარგე... ვის შეუძლია განუგეშოს, ვინ გაგიყუჩებს ტკივილს, რომელმაც გული დაგიკოდა? თუ არა მე, ვის უნდა ესმოდეს შენი, ვინ უნდა იცოდეს ამ კითხვის პასუხი. მეც ხომ შენთან ერთად გადავიტანე ეს მწუხარება. შენ ძმა დაკარგე, მე კი საყრდენი და ერთადერთი იმედი — ჩემი ძმისშვილი. ვინ იფიქრებდა, რომ კაცს, რომელსაც არც კლდე აშინებდა და არც ღრე, რამდენიმე დღეში დაჯაბნიდა ავადმყოფობა. მაგრამ ჩვენ უძლურნი ვართ სიკვდილის წინაშე. ის ყველას გველოდება. ეტყობა, ასეთი ბოლო არგუნა ბედმა... შენ ხომ იცი, შვილები არ მომცა ღმერთმა და ალმა იყო ჩემი იმედი. ვფიქრობდი, როცა მოვკვდები, ალმა დამიტირებს და დამმარხავს და ვერავინ იტყვის უშვილძირო იყოო. არაფერი გამომივიდა, ფუჭი გამოდგა ჩემი იმედები...

მაგრამ ნუ მივცემთ მწუხარებას თავს, ჩემო საყვარელო ძმისშვილო, მოვერიოთ დარდს. შენ, რა თქმა უნდა, გაგიგონია ასეთი სიტყვები:

მიპყევ დინებას  
და მიალწევ ზღვას,  
გაპყევ მწუხარებას და  
უარესს ელოდე დარღს.



ეროვნული

პატივი მივაგოთ და მადლობა ვუთხრათ ნათესავებს, გვერდნი მწუხარება გაიზიარა. შენ ჩემო ძმისშვილო, ისეთ ოჯახში ცხოვრობ, რომლის ცქერითაც ყველა მეზობელი ხარობს. ჩვენ გვერდით ყველასგან პატივდებული ბეჟანი ზის — შენი მამამთილი, სუფთა და წმინდაკაცი, აქაა შენი ქმარი, შენი შვილები. ყველა ტკივილითა და თანაგრძნობით გიყურებს, შენთან ერთად განიცდიან, გაღიმებისაც კი ერიდებათ, იმიტომ, რომ შენი დარდი იმათი დარდია, შენი ცრემლი — იმათი ცრემლი. დაბრუნებოდეს თქვენს ოჯახს დღეიდან ძველებური ხალისი და სიხარული!

— მადლობთ, მამსირ, მე ყოველთვის ვაფასებდი შენს გულითად დამოკიდებულებას ჩემი ოჯახისადმი, — უთხრა ბაბუამ, თვითონაც ფეხზე წამოდგა და ხელი ჩამოადო მხარზე.

დედას გულხელი დაეკრიფა და გაუნძრევლად იდგა აივანზე. არ ვიცო, შეიძლება ამ წუთას არაფრის თქმა არ უნდოდა დედას, მაგრამ რომ სდომოდა კიდევ, ვიცო, ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავდა.

დანარჩენებიც დუმდნენ და მამსირს მისჩერებოდნენ, ელოდებოდნენ, კიდევ რას იტყოდა.

— იცი ბეჟან, როგორ ვიბარებ ჩემს დასაფლავებას: ვინც ჩემს კუბოს აფხიარცით წაუძღვება წინ და მუსიკით მიმაცილებს საფლავამდე, იმას ვყვარებივარ ნამდვილად, იმას სდომია სამოთხეში ჩემი მოხვედრა... იმას კი ვინც ბებური ცხვარივით დაიწყებს კიკინს, თავში ხელისცემას და ტანსაცმელს შემოიფხრიწავს, ფარისეულად ვთვლი და ჩემი აზრით ის ჩემზე კი არ ზრუნავს, თავის გამოჩენა უნდა მხოლოდ, — წყნარად თქვა მამსირმა და ფრთხილად მოიხსნა აფხიარცა ქამრიდან, ხელიდან რომ არ გავარდნოდა. მერე ხელისგულზე დაიდო ის და ისე შეაქანა, თითქოს წონას უსინჯავსო, — აბა, ჩემო ძვირფასო მგალობელო, — მიმართა მან აფხიარცას. — დღეს უნდა გვაჩვენო, რისი ძალა შეგწევს. ხედავ, რამდენ ხალხს სურს შენი მოსმენა?

ამ სიტყვებით მამსირმა აფხიარცა მუსლებს შუა მოიქცია, მსუბუქად შეახო ქამანი სიმებს. ალტაცების მოლოდინში თითქოს გული გაუჩერდა ყველას, მაგრამ მუსიკოსმა ქამანი გვერდზე გადადო, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებსო და მართლაც, დამინახა თუ არა, თვალი ჩამიკრა და გამოაცხადა:

— დღევანდელი ჩემი სიმღერა ამ ოჯახის ერთადერთ ბიჭს ეძღვნება, შენ გიძღვნი, ლაგან! ღმერთმა ქნას, ასზე ნაკლები მემკვიდრე არ გყოლოდეს. მხედველობაში მიიღე, ამ სიმღერას დღეს პირველად ვასრულებ, კარგად დაიმახსოვრე მისი სიტყვები... თუმცა, პატივცემულებო, მე მგონი, აფხიარცის ბგერები არც თუ ისე კარგად ერწყმის რალაც მისამღერებსა და შაირებს. — ამისთვის ჩინის ვაჟი ჩინი გაუჩენია ღმერთს, რომელსაც ჩონგურის ჩხაკუნისა და ყელის გაფხრეწვამდე ღრიალის მეტი არაფერი შეუძლია. დღეს მეც სახუმარო სიმღერა უნდა

შევასრულო. იქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული, მაგრამ ყველაფერი მოგონილი არ არის. უფრო ღრმად თუ ჩავუკვირდებით, ჭკუის სასწავლსაც ბევრს ვიპოვნით. ამ სიმღერას ჰქვია „იყო და არა იყო რა“ და, ისე გაგინათოთ ამ სიმღერამ ღიმილით სახეები, როგორც მხე გამთანათებს ხოლმე ღრუბლიან ამინდში!

მამსირი ისევ შეეხო ქამანით სიმებს და აღარ შეწყვეტია მისი ზუქი და წკრიალა ჰანგები. მამსირის ხმაც აფხიარცის ხმის შესადარი იყო. თვალეში სიხარული ედგა, ხშირად გადმომხედავდა ხოლმე, ალბათ უნდოდა, ჩემს სახეზე ამოეკითხა, გულზე მეხატებოდა თუ არა ეს სიმღერა.

ღმერთმა ყველანი ჯანმრთელი  
და იღბლიანი გყოთ,  
მე კი გიამბობთ ზღაპარს —  
„იყო და არა იყო...“  
ვმწყესავდი ერთხელ მთაში  
ჩემს თხასა და თიკანს.  
თხას არა ჰქონდა რქები,  
თიკანი იყო კოჭლი.  
ვმწყესავ ჩემს სამწყსოს  
და თანაც დღითა და ღამით ვთიბავ.  
ერთ დილას ვხედავ, ქვებზე  
ვილაცის ბიჭი მოხტის.  
მოხტის და თანაც ყვირის,  
რომ შემეძინა მამა.  
სიხარულისგან უცბად  
თიკანს მოვახტი ზურგზე.  
ცას რომ შევწვდომოდი ადვილად  
რქებზე გადავცოცდი მარდად,  
თითის წვერებზე შევდექი,  
და კარგი ამბავის მომტანს  
ვარსკვლავი მოვუწყვიტე ციდან.  
ვარსკვლავი მივეცი ბიჭს და  
სიმღერ-სიმღერით გავწიე შინ,  
ეზოსთან დამხვდნენ მეზობლები,  
მამის შეძენა მომილოცეს,  
გაგვიმასპინძლდით თაფლით.  
მაგრამ სად მეშოვნა თაფლი?  
ისევ ტყეში უნდა მომეძია  
ველური ფუტკრები.  
აი, ვიპოვნე ფულურო ხე,  
მაგრამ ვერ ავცოცდი,  
ეკლები მიშლიდნენ ხელს  
ახლავე ჩამოვსხებავ  
ეკლებს-მეთქი, მაგრამ  
ნაჯახი დამრჩენოდა შინ.  
იქვე ტოტებგაბარჯულ



ბუჩქს მოვექეცი კენწეროზე,  
 მაგრამ მომიტყდა ტოტი და  
 ზღართანი მოვადინე ჭაობში.  
 კიდევ კარგი, არ ჩავიფალი შიგ,  
 ბაყაყს დავეტყეპე ზურგზე.  
 ახტა და დახტა ბაყაყი,  
 ჩიტვივით აფრინდა ცაში.  
 მაშინვე ჩავიხედე ძირს,  
 ლურჯად ლივლივებდა ზღვა,  
 თავით გადავეშვი წყალში,  
 ტალღებმა მიმათრიეს ნაპირზე.  
 მახსოვდა, — ზღვის წყალი სამკურნალოა,  
 ჯიბეები ავივსე წყლით.  
 უკან მივიხედე, ცეცხლი ეკიდა  
 საყინულეებს, თივა დავაყარე ცეცხლს.  
 ხანძარი ჩაქრა და  
 გაცოცხლდა გარემო,  
 მთები აელვარდა ვერცხლისფრად,  
 მზემ გამოანათა ღრუბლიდან,  
 კვამლი გაფანტა ქარმა,  
 ჩიტებმა დაიწყეს ჭიკ-ჭიკი,  
 მინდვრებში მშვიდად ძოვდნენ ბალახს,  
 ჯიხვები, შვლები და ირმები.  
 ჩემი გმირობისთვის ყველაშირკანმა  
 მაჩუქა ველური სკა  
 და მე დამაფიწყდა სილარიბე.  
 ჩემი საქმე იყო — მეთვალა  
 ფუტკრები დილას და საღამოს.  
 და აი, ერთხელ დამაკლდა  
 მხოლოდ ერთადერთი ფუტკარი.  
 ვაითუ, დაგლიჯა დათვმა,  
 ან გზა თუ აებნა ღრუბლებში.  
 ავდექ და წავედი საძებნელად.  
 ვეძახდი, ხმას არ მცემდა არავინ.  
 უცბად დავინახე, მიწას ხნავდა გლეხი.  
 უღელში ჰყავდა შებმული  
 კამეჩი და ფუტკარი ჩემი.  
 გავცეცხლდი და ვიძრე ხანჯალი.  
 ამ დროს შემომესმა ხმა:  
 რატომ კვნესი, შვილო,  
 მუცელი ხომ არ გტკივა?  
 თვალი გავახილე და თავზე  
 დედა და მამა მადგა.  
 მე კი ჩემს ოთახში ვიწექი  
 და ნაბდის ქვეშ მეძინა.  
 მის მერე ჭკუაზე არა ვარ,

ვფიქრობ და ვერ გამიგია,  
ეს ყველაფერი მესიზმრა,  
თუ ცხადი იყო ყოველი.



ქართული  
ბიბლიოთეკა

აი, დავამთავრე, მეგობრებო,  
ღმერთმა გამყოფოთ ჯანმრთელად,  
სუფრა გქონოდეთ სვავრიელი,  
არასდროს მოგკლებოდეთ სორცი!  
და როცა ახდება ეს ზღაპარი,  
ერთად გვენახოს ყველას.

მამსირი ცდილობდა, არც ძალიან სმამალლა ემღერა და არც ძალიან ჩქარა, რათა თითოეული სიტყვა გაერჩია ყველას. დრო და დრო კი პაუზას აკეთებდა და რეჩიტატივზე გადადიოდა.

და აი, აფხიარცა დადუმდა, სიმღერა შეწყდა. ყველას, ვინც აივანზე იყო: კაცებს, დედაჩემს, ჩემს დებს, ფარვანებივით რომ შეგროვილიყვნენ სიმღერის მოსასმენად, სახეები გაცისკროვნებოდათ, ნეტარებისგან ისე ნაბავდნენ თვალებს, თითქოს მზე აჭყიტებოთ.

მე ბოძზე ვიყავი აკრული და უფრო და უფრო ვეხვეოდი, ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად მომერია გრძნობა, მოსმენილმა განმაცვიფრა.

შემდეგშიც რამდენჯერმე მოვისმინე ეს სიღერა, მაგრამ მაინც ვერ შემოვიანახავდი მესხიერებაში, რომ არა დედაჩემი. თურმე ბავშვობაში შეუსწავლია ეს სიმღერა ბიძამისისგან და ისე ახსოვდა, როგორც წინადლის მოსმენილი.

რომელიმე სულელური ასირება რომ გადაეთქმევიინებინა, ან უბრალოდ მეტხანს გავეჩერებინე მის სიანლოვეს, დედა დამიჯდებოდა და „იყო და არა იყო რას...“ მიმღეროდა.

ჩემი იმედი, რომ მამსირის აფხიარცა განკურნავდა დედას და სულიერ სიმშვიდეს დაუბრუნებდა გამართლდა. იმ დღემ დაგვიბრუნა ოჯახში თითქმის უკვე დავიწყებული მხიარულება და სიხარული. საღამოობით, ნავახშმევს ჩვენს სახლში ისევ წკრიალებდა სიმღერა. როგორც წესი, ძია ელიზბარი იწყებდა, მერე გუშკა შეუწყვილებდა ხმას და ბოლოს სუყველანი ავეყებოდით. სიმღერას დასასრული არ უჩანდა. ერთ დღეს გუშკამ ჩონგური გამოიტანა და შავი თავსაფარი მოიხსნა. დედამ სიმები დაჭიმა და მისი ნაზი ხმა ტკბილად ჩაგვეღვარა გულში.

ზაფასს სიმინდი რომ შემოეღეოდა, კალათს აიღებდა და მეზობლებს ჩამოუვლიდა. არა, არც თხოულობდა და არც იხვეწებოდა, უბრალოდ კალათს ბელელთან დადგამდა და სახლის პატრონი უთქმელად აუვსებდა ტაროებით. ზაფასი უხმოდ წამოიკიდებდა კალათს და შინ ბრუნდებოდა. დღეს ერთთან მივიდოდა, სვალ მეორესთან, ზეგ მესამესთან და გაჰქონდა ასე თავი.

ერთ დილას ჩვენთანაც მოვიდა ზაფასი, მაგრამ ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვევის გამო, მოსალმებამდე პირდაპირ ბელლისკენ წავიდა მხარზე გადაკიდებული კალათის პორწიალით, მერე ცარიელი გა-



ლათი ზღურბლთან დადო და მხოლოდ ამის შემდეგ წამოვიდა მშვიდად ამაცურტასკენ.

აივანზე რომ ავიდა, როგორც ყოველთვის, ბაბუა იქ იჯდა, ზაფასი მიესალმა მოხუცს. ისიც პასუხად ფენზე წამოდგა, მაგრამ მაინცა და მაინც თავაზიანად არ შეხვდა სტუმარს. იმიტომ კერძოდ რომ ერთი კალათი სიმინდი ენახებოდა, სულ სხვა მიზეზის გამო იქ იჯდნენ ზაფასზე.

— რაც შეიძლება მალე გაუმასპინძლდით. ამასთან სალაპარაკო მაქვს, — დაუძახა ბაბუამ კერიასთან მოფუსფუსე დედაჩემს.

ზაფასს ერთი წესი ჰქონდა, რომელსაც ყოველთვის მკაცრად ასრულებდა: რაკი მეზობელთან მივიდა, უნდა ჭამოს კიდევ, მასპინძელი უნდა დააფასოს! ამიტომ ახლაც ხალისიანად წავიდა ამაცურტაში, დაჯდა და დედამ კერძიანი თეფშები დაუდგა წინ.

მე ყოველთვის გაოცებული და გაკვირვებული ვუყურებდი ამ უცნაურსა და გაუგებარ კაცს. რატომღაც უამრავი გამოცანებით სავსე მეგონა. ახლაც დავინახე თუ არა, ეზოში რომ შემოდინოდა, კისრისტეხით გავიქეცი ამაცურტაში, საიდანაც ხელშეუშლელად შემეძლო მეცქირა მისთვის. აი, ვზივარ და ვხედავ, როგორ ჭამს, ზაფასი ისე მონღო-მებით გეახლებათ, ოფლი გადასდის ხვითქად. იძულებულია, დრო და დრო თავი დაანებოს თეფშს და მხარზე გადადებული რუხი მაუდის ჩაბალახის ბოლოთი სახე შეიმშრალოს. დიდი ხანია, შენიშნული მაქვს მისი ეს განსაკუთრებული თვისება. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, თუნდაც ყინავდეს, საკმარისია, ზაფასმა ჭამა დაიწყოს და მაშინვე ოფლად გაიღვრება.

ზაფასი ჭამდა, სვამდა და ნამდვილად არ ეჩქარებოდა სტუმართმომყვარე ამაცურტას დატოვება. „როგორ?! — მიკვირდა მე — დავიწყდა, ბაბუა რომ ელოდება აივანზე?“

ვიცოდი, რატომ იყო ბაბუა გაბრაზებული ზაფასზე. „აბა წარმოიდგინეთ, სახელმწიფომ ფული მისცა ოჯახის მოსაწყობად და ამან კიდევ მომღერალ ყუთში დახარჯა! ეს იგივეა, ცეცხლში რომ გადაყარო ფული!..“ — ბრაზობდა ბაბუა გუშინ. ჩვენს უდარდელ მეზობელზე რომ ჩამოვარდა საუბარი. ეტყობა, ზაფასი გრძნობდა, ბაბუასთან ლაპარაკი სასიკეთო არ იქნებოდა და განგებ აჭიანურებდა ჭამას. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ისიც წამოდგა სუფრიდან, დიასახლისს მადლობა გადაუხადა, ხელები დაიბანა და აივანზე დაჯდა.

ბაბუასა და ზაფასის საუბარი დაიწყო.

— ბოლო დღეებში შენს სახლში სულ მხიარულებაა, ზაფას, მღერიან, ცეკვავენ, ნამდვილი ქორწილია! ახლოს რომ ჩაივლიან, ყველა ერთმანეთს ეკითხება: „რა დღესასწაულია, ჩვენ რომ არ ვიცით? რას მხიარულობენ ასე ზაფასთან?“ არავინ იცის, რა უპასუხოს... იქნებ მართლა ქორწილი გაქვს? თუ ასეა, პირველ რიგში ჩემი მოლოცვა მიიღე, მერე კი მოისმინე, რასაც გეტყვი. შენ, ალბათ, ერთადერთი კაცი ხარ ქვეყანაზე, რომელმაც ქორწილში მეზობლები არ დაპატიჟა.

— რა ქორწილი, ბეჟან, რას ამბობ! ის გრამაფონია, თქვენ რომ მომღერალ ყუთს ეძახით. მართლა ყუთის ხელაა, მაგრამ შიგ ასი კაცი ეტევა, არც ჭამა სჭირდებათ და არც სმა... სახელური უნდა დაატრიანლო და როცა გინდა რაც გინდა, იმას გიმღერებენ!

— შენ არასოდეს არავის რჩევისთვის არ დაგიჯერებია, ზაფას! რაც მოგეპრიანებოდა, იმას აკეთებდი. — ცოტა მკვახედ დაიწყო ბაბუამ ლაპარაკი. — სახელმწიფომ საქმისთვის მოგცა ეს ფული, მეურნეობისთვის, შენ კი რაში გაფლანგე, ა? იმის ნაცვლად ბაჭყალითვის ტანსაცმელი გეყიდა, რაკი ჯერ არცერთს არ შეუძლია თავისთვის მოვლა და პატრონობა, ადექი და რაღაც მომღერალი ყუთი შეიძინე. შენ კიდევ ვიღაც ვიგინდარებთან მთელი ღამე რესტორანში შეიფიცე. ან ეს მითხარი, რა აუცილებელი იყო, სოფლის საბჭოში ოთხცხენიანი ეტლით რომ მოგრიადდი? ოჩამჩირედან ისე ვერ ჩამოხვიდოდი, როგორც სხვები ჩამოვიდნენ?

— მლანძღე, მლანძღე, მე სულელი, ბეჟან, უფრო მაგრად გამლანძღე! — გულუბრყვილო კაცის იერით წაიწყუნა ზაფასმა.

— რა უნდა გლანძღო, შენთვის ლანძღვა ცოტაა. განცხადება უნდა დაწეროს კაცმა და იქ უნდა გიკრან თავი სადაც საჭიროა. საქმე ისაა, რომ მე არ შეკადრება დასმენა და საჩივრის წერა... სახლში ნამცეცი ფქვილი არა გაქვს, ეზო-ეზო დადიხარ, ისე აგროვებ და სახლში კი „რერაშოს“ გაიძახი! ასე შეიძლება? მიხა-მოხალისეს შეხედე, — ლატაკი იყო და ახლა? მაგრამ ის მუშაობს, შრომობს, სახელმწიფოსაგან მიცემული მიწა შენსავით დაუმუშავებელი კი არ დაუტოვებია. არადა, ფეხი იმას აქვს დაზიანებული, შენ კი არა. იმან სახელმწიფოსაგან მიღებული ფული ქეიფებს კი არ გადააყოლა, კი არ გაფლანგა და ქარს კი არ გაატანა, კამეჩები და ძროხა იყიდა! შენ კი რა საქმიანობას ეწევი, რა საგმირო საქმეებს სჩადიხარ, უზიხარ იმ შენს ყუთს და ხმას აყოლებ.

— გეყოფა, ბეჟან, ნუ ცხარობ, რა მოგივიდა მართლა და მართლა. ცუდი ხომ არაფერი ჩამიდენია. რა მოხდა, მუსიკის მოსმენა მიყვარს, ჰო, მიყვარს და რა ვქნა. შეიძლება, არც სმენა მაქვს და არც ხმა, მაგრამ მომწონს, რომ მღერიან, მთელი ცხოვრება შემოიძლია, ვუსმინო, — რაც უფრო ბრაზობდა ბაბუა მით უფრო მშვიდდებოდა ზაფასი და გულლიად იცინოდა.

— ნუთუ მართლა გჯერა რომ შენს შვილებს მუსიკა გააძლებს?


— რა თქმა უნდა, სიმღერით მუცელს ვერ გაიძლებ, მაგრამ უსიმღეროდაც ძალიან ძნელია ცხოვრება. სიმღერა დაგამშვიდებს და დაგაწყნარებს კიდევ და გაგამხიარულებს კიდევ. სიმღერის დროს დარდი ავიწყდება კაცს. გარდა ამისა სიმღერა აღმწრდელიც არის!

— საცაა გაზაფხული დადგება და რითი აპირებ ხვნა-თესვას, შენი მომღერალი ყუთით?

— სიმღერისთვის სულერთია, ვინ ხნავს ვინ — არა. შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ბეჟან, და ასეთ საქმეებში უნდა ერკვეოდე...

ბაბუას უფრო მაგრად უნდოდა გაეჯორა ზაფასი, ასეც მიდიოდა საქმე, მაგრამ ამ სიტყვების მოსმენის მერე გაჩუმდა, თითქოს დანებდაო. ზაფასი კი მშვიდად ჩამოვიდა აივნიდან, ბელელთან მივიდა, გადაიკიდა მხარზე გავსებული კალათი და ვითომც არაფერი მომხდარაო, სახლისკენ წავიდა.

### გაგრძელება იქნება





ქართული  
ბიბლიოთეკა

## რილკეს ნელინადი

რალფ ფრიდმანი

ერთსა და იმავე დროს ყოფნა-არყოფნა

(რაინერ მარია რილკე და ლულუ ალბერტ-ლაზარდი)

გ ე რ მ ა ნ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა დუღუ დარინაშა

რაინერ მარია რილკეს ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ ჟურნალ „საუნჯის“ 2004 წლის 3-4, 5-6 ნომრებში გამოქვეყნდა მხატვარ ლულუ ალბერტ-ლაზარდის მოგონებების წიგნი „გზები რილკესთან ერთად“, რომელშიც ცნობილი მხატვარი და გრაფიკოსი რილკესთან მისი ორწლიანი უიღბლო ურთიერთობის საინტერესო დეტალებს გვაცნობს. ამჯერად კი ამ ურთიერთობის შესახებ ამერიკაში მოღვაწე ფილოსოფიის დოქტორის, ლიტერატურის ისტორიკოსისა და მწერლის რალფ ფრიდმანის ანალიტიკურ წერილს გთავაზობთ, რომელშიც ამ სიყვარულის უცნობი წახნაგებია წარმოჩენილი. ჩვენი აზრით, ამგვარი მასალის გაცნობა მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მით უფრო რომ წელს რ. მ. რილკეს გარდაცვალებიდან 80 წლისთავი მთელ მსოფლიოში აღინიშნება; მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი პოეტის რაინერ მარია რილკეს გულისცემა 1926 წლის 29 დეკემბერს შეწყდა.

მთარგმნელი

„ძვირფასო, დამაუფლე იმ რთულ ხელოვნებას, ერთსა და იმავე დროს აქაც ვიყო და თან არც ვიყო“,... ამ სიტყვებით მიმართა ლულუ ალბერტ-ლაზარდმა რაინერ მარია რილკეს.

ეს გახლდათ სწორედ ის რთული ხელოვნება, რილკეს ცხოვრების მანძილზე მრავალი ქალი რომ დატოვა ხელმოცარული და ამ სტატიის თემადაც ავირჩიე. ფერმწერი და გრაფიკოსი ქალი ლულუ ალბერტ-ლაზარდი, ვინც მოგვიანებით საკმაოდ ცნობილი გახდა, პოეტის სატრფო-

თავან უკანასკნელი როდი იყო, რილკეს მოჭარბებულად მიწიერ, ადამიანურ სახეს ასე რომ აღიქვამდა. ბალანდინე კლოსოვსკა, რილკეს უკანასკნელი დიდი სიყვარული „ბერლინეც“, უთუოდ დაეთანხმებოდა ლულუს ამ სასოწარკვეთილ სიტყვებს.

ეროვნული

ამით კი ალბათ მეტია ნათქვამი, ვიდრე უბრალოდ ის, რომ ბერლინეცმა სიყვარულო ურთიერთობებში საკმაოდ მერყევი გახლდათ. ინტერპრეტაციამ, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, სრულად უნდა ცხადდეს, რომ მათი რთული ურთიერთობების მიზეზი განსაკუთრებული ვითარებით იყო გამოწვეული, რამაც, ფსიქოლოგიური და მხატვრული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, რილკეს შემოქმედებაზე, ეროსისა და სიკვდილის ფენომენის მისეულ კვლევაზე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე (ორი წლის განმავლობაში) გარკვეული გავლენა იქონია.

რაინერ მარია რილკესა და ლულუ ალბერტ-ლაზარდის დრამა მიუნხენში გათამაშდა. ამ ურთიერთობის გარეგანი კონტურები ლულუს მემუარების („გზები რილკესთან ერთად“ — 1952) მეოხებით ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, ხოლო იოახიმ შტორკის სტატიათა ძალისხმევით, მეტ-ნაკლებად პირდაპირ ანდა ირიბად რომ ეხებიან ამ ურთიერთობას, სრულყოფილებაც კი შეიძინა. განსაკუთრებით მიიწინააღმდეგებოდა გამოცემა — „რაინერ მარია რილკე და ლულუ ალბერტ-ლაზარდი“ — გამოქვეყნებული „ბერლინის გალერეაში“. ხსენებული წყაროები რილკეს ჩემუელი ბიოგრაფიის სათანადო თავებშია გათვალისწინებული.

ესაა ერთ-ერთი ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, რაც ჩვენს პოეტს ასე ხშირად განუცდია და მათ შეხვედრამდე მხოლოდ რამდენიმე თვის წინ ვნებით დამუხტული შიშნეული გზებით გაიზიარა მაგდა ფონ პატინგბერგთან (მის „ბენვენუტასთან“), თუმცა იმასაც მალე შეელია და მიატოვა. აი ეს ისტორია კი სხვას არ ჰგავს — ომითა და სიკვდილმოსილი ძალის გააზრებული განცდითაა დაღდასმული, და არავის ტოვებს გულგრილს. ეს ისტორია ომის დაწყებას დაემთხვა, 1914 წელს დაიწყო მიუნხენთან ახლოს, თითქმის ორ წელს გასტანა და მრავალი სირთულეების თანხლებით მიუნხენშივე დასრულდა. ლულუ ალბერტ-ლაზარდი (მოგვიანებით ლუ ალბერტ-ლაზარდად იწერებოდა) დაბადებით ლოტარინგიელი გახლდათ, მასზე ბევრად უფროს ქიმიკოსსა და ბიზნესმენს, ოიგენ ალბერტს ჰყავდა ცოლად, რომელიც ალბერტ ბრუკმანის ფირმას განაგებდა. იმხანად, რილკემ და ლუმ რომ გაიცნეს ერთმანეთი, მეუღლეები უკვე ცალკ-ცალკე ცხოვრობდნენ. ლულუს პატარა გოგონა, მოგვიანებით მხატვარი ინგო დე კრუ (Inge De Krü), მაშინ უმეტესად ბაბუასთან ცხოვრობდა მანჰაიმში. რილკესა და ლუს ვენაში ყოფნის (1916 წ.) უფრო ხანგრძლივ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, მათი ურთიერთობა მიუნხენში 1914-1915 წ.წ. ვითარდებოდა.

რილკე და ალბერტ-ლაზარდი პირველად ირშენჰაუზენის სამკურნალო წყლებზე შეხვდნენ ერთმანეთს. ახალგაზრდა მხატვარი ქალი ომის დაწყებისას ბრეტანში იმყოფებოდა. გერმანიაში უვნებლად დაბრუნების

მიუხედავად მძიმე დეპრესიამ დარია ხელი. ყოფილმა მეუღლემ დაბრუნებისთანავე განუცხადა — ახალი დრო — ანუ ომის პერიოდი, ხელოვანთა საარსებო სივრცეს არ გულისხმობსო. რილკეს გუნება განწყობაც მძიმე და დათრგუნული იყო. მაგდა ფონ პატინბერგთან განშორებით გამოწვეულ სევდას ომიც დაერთო, რაც მას მრთულად შეეხო. პირაღმა ექიმმა დოქტორმა ვილჰელმ შტაუფენბერგმა რილკეს რამდენიმე სუანსის შემდეგ მინერალურ წყლებზე დასვენება ურჩია და აი, ვილა შონბლიკის სატრაპეზოში ორმა სულიერად დათრგუნულმა ადამიანმა ერთმანეთი იპოვა. რილკემ უკვე მომზადებული გამგზავრება გადაიფიქრა და დარჩენა გადაწყვიტა, რათა ახალგაზრდა ქალი მისთვის ჩვეული ყურადღებით გაენებივრებინა. ხანგრძლივი საუბრების წყალობით პროეტმა არა თუ ახალი ურთიერთობის დამყარება შეძლო, თანდათანობით ახლადშექმნილი მეგობარი ქალის მძაფრი დეპრესიის გაქარვებაც კი მოახერხა.

ამ დროიდან ორივე პარტნიორისათვის ერთ-ერთი მეტად მტანჯველი ურთიერთობა იწყება, რაც ალბათ მხოლოდ ბიოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით თუ იქნებოდა საინტერესო, ეს შეხვედრა რილკეს შემოქმედებითი აღწევების უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს რომ არ დამთხვეოდა და „მეოთხე ელევგის“ შექმნით არ დაგვირგვინებულყო, ომის დაწყებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ რილკე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და იგი ორმაგი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა: ომით გამოწვეული საფრთხე და მის სულიერებაზე დამანგრეველად მოქმედი ურთიერთობა სრული კატასტროფით ემუქრებოდა.

2.

ომი და ხორციელი ვნება — სიკვდილი და ქალი — ქმნიან იმ გაუსაძლისი დღეების ტკივილით გაჯერებულ ბინომს, რაც პროეტის ლექსებსა, თუ ლექსთა ციკლებში აშკარად გამოსჭვივის. მათში ვლინდება ყველა დროისათვის დამახასიათებელი, შემეცნებისაკენ მიზანმიმართული ინტერესი, მუდამ რომ განაწყობდა პროეტს, მიეღწია ადამიანური ყოფიერებისა და სინამდვილის სიღრმისეული წვდომის დაუოკებელი სურვილის თანხვედრისათვის.

ომის დასაწყისი დაემთხვა 1914 წელს, ანუ მისი „ხუთი სიმღერის“ შექმნის პერიოდს — ეს კი ირშენჰაუზენში შეხვედრას ორი თვით უსწრებდა წინ და მაინც ეს ლექსები ერთგვარ თემატურ საწყისს ქმნიან. „ომის ღვთაება“ ადამიანთა ორ მნიშვნელოვან ურთიერთობას შორის აღმოჩნდა გახიზული, იგულისხმება ურთიერთობა — „ბენვენუტასთან“ 1914 წლის 9 აპრილს რომ დამთავრდა და ლულუსთან კი 17 სექტემბერს დაიწყო. ამ ლექსთა უღერადობა მძიმე, პოლდერლინისეულ რიტმებს მოგვაგონებს:

მაინც კივილით მოარღვევს ღამეს, ხომალდების სირენებივით, კივის მბორგავი კითხვა ჩემში, გზას, გზას დაეძებს.

... უწყის კი განა? ხელეწიფება იყოს მისანი, ღვთაება მშაგი და მოსისხარი?

რალა თქმა უნდა, ეს ლექსები ომს ეძღვნება, მაგრამ კაიზერსა და იმპერიას როდი ასხამს ხოტბას, არამედ რილკესეულ დამოკიდებულებათა შესაბამისად ერთგვარი კვლევა-ძიებაა, რომელიც იმავდროულად ომის ფენომენის სიღრმისეულ წვდომასაც ცდილობს და ამ ფენომენს კითხვის ქვეშაც აყენებს.

ეროვნული  
ზიზღიერება

ყველაფერი ეს რამდენიმე კვირით ადრე, პირველ შეხვედრამდე მოხდა, თუმცა ადამიანური სიყვარულისა და უღმობელი სიკვდილის თემა იმთავითვე ლაიტმოტივად გასდევდა ამ რთულ ურთიერთობას. ჯერ კიდევ მათი შეხვედრის პირველ ხანებში, ირშეჰაუზენში ყოფნისას წერდა პოეტი სიკვდილისა და შესაძლო ხსნის შესახებ თავის ლექსში „ჰოლდერნლინს“:

ო, დღეებულო, შენ, შენ გრძნეულო, სიცოცხლე სრული  
გესახებოდა გარდაუვალ, მლტოლვარე ხატად და თუ იხმობდი,  
სტრიქონი უმაღ იკვრებოდა ვით ბედისწერა, თვით სიკვდილშიაც,  
თვინიერთ შორის უაღრესში, შეაბიჯებდი: თუმც კი უფალი,  
წინმაველი, გაბრუნებდა მიღმიდან უკან.

სიკვდილის მოტივი, როგორც რილკეს სიყვარულისადმი მიძღვნილ ლექსებში, ასევე ამ დროის ბევრ სხვა ნაწარმოებშია დალექილი.

### 3.

ასე რომ, ისინი ღმერთსა და სიკვდილს ერთმანეთისაგან განცალკევებულად თვით ახლადჩასახული სიყვარულის დროსაც არ აღიქვამდნენ. მათი შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაწერილი ლექსითაც „ჰოი, ღიმილი, უპირველესი ღიმილი ჩვენი...“ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი სატრფიალო ურთიერთობა იშვიათად თუ იყო უღრუბლო. ვიდრე მიუნხენში გადავიდოდნენ, ორი კვირის განმავლობაში ბედნიერი საათები და დღეებიც კი ჰქონდათ განცდილი, თუმცა რილკესათვის (და ამის გამო ორივესათვის) დროის ეს მონაკვეთი განუწყვეტელი სევდანარევი განწყობილებებით იყო დამძიმებული. ომსა და სიკვდილზე ფიქრი აღარასოდეს სტოვებდა მათ, მაშინაც კი, როცა ეს ფიქრი უმეტესად გამოუთქმელი რჩებოდა. ასე რომ, მათ თავდავიწყებულ სიყვარულს პარალელურად გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა პარამონიული ურთიერთობის დამანგრეველ სიტუაციებთან და ამის გამო მათ სიყვარულსაც ნელ-ნელა მცოცავი სიკვდილი ეპარებოდა.

„ლულუ ალბერტ-ლაზარდისადმი მიძღვნილი თხუთმეტი ლექსი“, მათი სიყვარულის დასაწყისში რომ შეიქმნა, ამ რთული ურთიერთობის სიღრმისეულ შრეებს ამიშვლებს, როგორც ცნობილია, რილკე მისთვის მნიშვნელოვანი შეხვედრების დასაწყისისთანავე ცალკეულ ლექსებს, ხან კი მთელ ციკლებსაც წერდა. ცნობილია მისი მეუღლის კლარა რილკესადმი ლუ ანდრეას-სალომესადმი მიძღვნილი ლექსი, მისი ცხოვრების განუყრელ მეგობრად რომ რჩებოდა; განსაკუთრებით მაგდა ფონ ჰა-

ტინბერგისადმი მიძღვნილი ლექსებია ფართოდ ცნობილი. რამაც ფრიად გამაოცა რილკეს ბიოგრაფიის კვლევისას, იყო ამ ლექსების სერიოზული შინაგანი სიმწიფე, რის გამოც ისინი არანაირი ფაქტობრივით არ ჩამოუვარდებიან მის მონუმენტურ ლექსთა ციკლებს.

ეს ლექსები პოეტური ძეგლია იმ სიყვარულისა, ორთქლივით სულში ურთიერთშერწყმისა და იმაგდროულად გაუცხოების შედეგად ღრმა ფესვები რომ აქვს გადგმული, რაც განსაკუთრებით აშკარად იგრძნობა ლექსში „მეგობარი ქალისადმი“.

... .. გაეხსენ ზეცად შენ ჩემს ქარიშხალს  
და აღუვსებდე მგრძნობიარედ, სადაც ის სუფევს,  
ნასვენ სივრცეთა სიწმინდეს და გამჭვირვალებას.

ამ სტრიქონებს იქვე მოსდევს უარყოფა:

ასეთი იყო გული ჩემი.  
აწ კი სისხლსავსე მაქეზებს მუხტი  
იქ, სადაც არ ვარ, ათასწილ მეტად მიხმობს ქმედებად,  
... .. დასასრულ უფრო დიადია, საამო, მწიფე:  
მე კი არ ვცოცხლობ. ჩემგან ლავა მოედინება.

„მე კი არ ვცოცხლობ“ და „ჩემგან ლავა მოედინება (ამოიფრქვევა)“ ეს სიტყვები აღმავალი სატრფიალო თამაშის კონტრაპუნქტებია, აღმოდებული და მაინც თავშეკავებული, გარიდებული გულისა. აქ არყოფნა კი (Abwesenheit — absance) — სიკვდილის ტოლფარდ მდგომარეობად მიიჩნევა.

მსგავსი ცვალებადობა ვითარდება ამ რიგის პირველ ლექსში, რომელსაც „შინ დაბრუნება“ ჰქვია. პოეტის სატრფოსადმი მიმართვაში მის მიერ ღრმად განცდილი უარყოფა ნათლად შეიგრძნობა. „შინ დაბრუნება“ და „წასვლა“ ორივე შეყვარებულის ცხოვრებისეულ მომენტებს შეესაბამება, რამაც მათი შეხვედრაც განაპირობა:

შინ დაბრუნება? საით, ო, აქ მტკივანი არ მოგდევს მკლავი  
მზერა კი ყველა, შემცდარი და ვერჩამწვდომია.  
გზას გაუდგები? საით, სივრცე-შორეთი გულს შერჩენია...

ამ ლექსს რომ ანდრე ჟიდის „უძღები შვილის დაბრუნების“ რილკესეულ თარგმანთან აქვს კავშირი, ეჭვს არ იწვევს (რადგან რილკემ ეს ლექსი ა. ჟიდის პარაბოლების მის მიერ თარგმნილ ახალგამოცემულ ეგზემპლარში ჩაუწერა ლულუს და მასვე მიუძღვნა). საფრანგეთისა და, კერძოდ კი, პარიზის სიყვარული ორივე ხელოვანისთვის უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: როგორც ლოტარინგიელი ლულუსათვის, ასევე რილკესათვისაც, უკანასკნელ დრომდე პარიზი მათი შემოქმედებითი აღმადრენის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. შინ დაბრუნებისას ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, დაბრუნება ისევ ახალ გზას გულისხმობს; წასვლას კი აზრი დაუკარგავს. „რალა რჩება“:

აღარაფერი ყოფნის გარდა. ის-ღა რომ უთხრა ქვას უახლოესს:  
შენ მე ხარ ახლა; მე კი ვარ ლოდი.

პოეტი თავის პიროვნებას მოსეს მგვანად აღიქვამს, რომელიც „აღრქ-  
მული ქვეყნისაკენ“ მიმავალ გზას დასდგომია და იმავდროულად „აღრქ-  
იმ ქვად ეგულვის, საიდანაც წყარომ უნდა ამოხეთქოს: შიზ-ლირთეა“

... .. სიმძიმის ძალუძს ჩემგან წყარო აღმოაცენოს,  
და სული ჩემი სათქმელს სიტყვაში დაუტეველს ააღაღებს...

„გამოუთქმელი“, „უთქმადი“, რაც მისგან ღაღაღებს — ესაა გარიღე-  
ბის, გადახვეწის აუცილებლობის გაცნობიერება, და, მოსეს მსგავსად,  
მისი მისიის აღსრულებასაც შეუძლებელს ხდის — ესაა კიდევ ერთი  
უარყოფა — შეუძლებლობა ჰარმონიის მიღწევისა.

შეყვარებულთა ყოველ შეხვედრას თან სდევს სიკვდილის აჩრდილი,  
უპირატესად მითოლოგიის სამოსელში გახვეული. ერთ ლექსში, სადაც  
ლულუ პირდაპირაა ნახსენები, პერმესის მოტივი, მისთვის დამახასია-  
თებელი ორმაგი, ეროსისა და სიკვდილის ფუნქციით, იმდენად მომნუ-  
სხველია, რომ სურვილი მძლევს ეს ლექსი მთლიანად შეგახსენოთ:

ეს ჩვენ ვართ, ლულუ? თუ ერთმანეთი  
გარდასულეებმა სცნეს ჩვენი სახით?  
და ამ გულების განხმული თალით  
ფრთატერფიანი მიმოდის ღმერთი.

ღმერთი, პოეტებს იხვეჭს რომელიც;  
არსი თავისი შეიცნეს სანამ,  
მყის ამოიციხო, თან წარიტანა  
და განაწესა განუზომლისთვის.

ო, მარტოოდენ ღმერთს შესწევს ძალა,  
ჯერო უსურველი გახსნას, დასახოს,  
და ორ დღეს შუა ვით ღამე სახლობს,  
იგი ანაზღად ჩვენ შორის ახლოს  
დგას და ციმციმა ვარსკვლავნი ახლავს.

ჩვენში პოეტებს უხმობს და ამხელს.  
შენ ჩუმად ღვივი, გზნებით ვღვივი მეც.  
და მისი ცისკრის ფრთანათელ მერცხლებს,  
გასხივოსნებებს სახეში გვახლის.

პერმესი ფეხის ტერფებზე გამოსხმული ფრთებით — „ფრთატერფია-  
ნი“ ღმერთი, სიკვდილის საუფლოს მაცნეა. ამავე დროს იგი ჩამსახავი,  
გამანაყოფიერებელი ღვთაებაა, მამაკაცური საწყისის გაღმერთება,  
ფალოსური ღვთაება.



მხატვრული სახოვანება მეტი სიღრმით ვლინდება ღვთაების წარმოჩენით, რომელიც ეროსისა და სიკვდილის თემებს ერთგვარი ირონიით აერთიანებს. ჩვენ თვალწინ ფრთაშესხმული ღვთაება ორივე „განხმული“ გულის გავლით მიმოისწრაფვის: — „ღმერთი, პოეტებს იხვეჭს რომელიც“; მან ადრევე, ვიდრე ისინი თავად გააცნობიერებდნენ, შეიცნო მათი არსი და საკუთარი სისხლსავსე-სიკვდილმრსილყოქმელისხმევით მიღმური საუფლოს „განუზომელში“ განაწესა. მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს (პერმეს-მერკურს, მიცვალებულთა საუფლოს მეგზურს) აქვს მინიჭებული ძალა, „ჯერო უსურველი“ გახსნას, მისი ფარული სახე გამოავლინოს.

პერმესი, „რომელიც პოეტებს წარიტაცებს, ვიდრე ისინი საკუთარ რაობას, არსს შეიცნობენ“ და რომელთაც იგი მათზე ადრე ჭვრეტს, „განუზომელში“ — სულეთში, გარდაცვლილთა საუფლოში (ჰადესში) განაწესებს, ვიდრე ისინი დელფოს მოთხოვნის — შეიცან თავი შენი — შესრულებას შესძლებდნენ. რილკე, როგორც პოეტი, ორფეოსის განსხეულებად გარდაისახება, მომღერლად *par excellence*, რომელმაც შეიცნო რა სიკვდილი, მაინც განაგრძობს სიცოცხლეს. ეს ლექსი წინ უსწრებს მის მიერ შვიდი წლის შემდეგ შექმნილ ორფეოსისადმი მიძღვნილ სონეტებს.

ლექსის სახვითი მხარე კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება იქ, სადაც ახსნა-განმარტებები უძღურია და არაფრისმთქმელი. მოციმციმე ვარსკვლავებით გაჯერებულ ღამესავით გარინდებულა (სიკვდილის) ღვთაება ორ დღეს შუა, ისე როგორც ორ მიჯნურს შორის. ლექსის უკანასკნელი სტროფი უმძაფრეს აქცენტად იკითხება. ეს სტროფი შეყვარებულებს ურთიერთშერწყმისას წარმოსახავს, როცა ისინი გზნებით „ღვივიან“, ღვთაება კი მათ „სახეში ახლის გასხივოსნებებს“ — ფრინველებს, ავისმომასწავებელ ნიშანს მათი „ადრეულობისა“, ალბათ მათ ადრეულ გარდაცვალებას თუ გულისხმობს პოეტი. თუმცა მხოლოდ ღვთაება და პოეტი როდი განიცდიან ურთიერთზეგავლენას, აქ მესამე ფრიად მნიშვნელოვანი თანამონაწილე იკვეთება — „ორთა სულის წილად“ ჩასახული პოეტი, რომელსაც ღმერთი უფრო ადრე უხმობს, ვიდრე მიჯნურნი გზნებას დაექვემდებარებიან. რილკესათვის, როგორც ჩანს, ღვთაების მიერ გამოსხმობილი ლულუ შემოქმედებით მუზად იქცევა, ბედისწერის მატარებელ მუზად, სიკვდილგანბრძნობილი პოეზიის საბედისწერო მუზად.

ამ ლექსის ციტირება იმიტომ მოვახდინე, რათა მეჩვენებინა, თუ როგორ გამოხატავს რილკე თავის გამოლვიძებულ და იმავდროულად განწირულ ვნებას; ვნების უარყოფას კი თითქმის მუდამ უკავშირებს სიკვდილის არსის გაცნობიერებულ წვდომას. ამ წინააღმდეგობათა შემყურე მგრძნობიარე ლულუსათვის ძალევე ცხადი გახდა, რომ მამაკაცი, ვისთანაც მთელი ცხოვრების გაზიარება სურდა, დღენიადაც ცდილობდა ყოველგვარი გართულებების გარეშე დაცილებულიყვნენ, თუმცა ისევ და ისევ უბრუნდებოდა და ვერ ელეოდა ამ სიყვარულს. ქალმა ეს გა-

რემოება იმთავითვე იგრძნო, მაგრამ მაინც იმედოვნებდა, რომ მათ საერთო მერმისი ექნებოდათ, ის კი ველარ გაითვალისწინა, რომ რილკეს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო. ლულუ მის ამგვარ ქცევას სიყვარულში ორივე როლის, მამაკაცისა და ქალის როლის, საკუთარ თავზე აღების მისეულ უნარს მიაწერდა. და მიუხედავად ყველაფრისა, მიიჩნევდა, რომ მათი ვნებით დამუხტული სიტყვების უგულვებელყოფით თავად მასზე იმოქმედებდა მომაკვდინებლად. მოგონებების წიგნში „გზები რილკესთან ერთად“, ლულუ მრავალგზის აღნიშნავს, რომ პროეტი მის შინაგან, სულიერ წინააღმდეგობებს გასაქანს პოეზიაში აღევდა და ამით სიკვდილთან წილნაყარი იყო...

ერთი პატარა ცნობილი ლექსის — „შენს ბაგეთაგან დარწყულების არ მომცე ნება“ — და იქვე შემდეგი სტრიქონის მაგალითზე — „არც შენს მკლავებში დამანებო მე ჩაკონება“ — შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რა წინააღმდეგობაში მოდიოდა რილკეს ბუნებისათვის დამახასიათებელი იმპულსები მის მხატვრულ მიზანდასახულებასთან. ლულუ თავის შემუშავებში იხსენებს, რომ ერთხელ პროეტს ლექსის წერისას წაადგა მოულოდნელად თავზე, რილკემ დაწყებული ლექსი ელვისსისწრაფით დახია, შემდეგ კი ფეხებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა ქალს. იმ ამბების გათვალისწინებით, რაც ჩვენ მათი ურთიერთობისა და ერთად ცხოვრების შესახებ ვიცით, ეს ეპიზოდი გაკვირვებას ნამდვილად არ იწვევს, გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ იგი პატიებას ლულუს სთხოვდა. — „ან კი რა უნდა მეპატიებინა?“ სამართლიანად ჩაეკითხა ლულუ საკუთარ თავს. პასუხი კი, ამ კითხვას რომ გასცა, მხოლოდ ნაწილობრივ თუ გვარწმუნებს სიმართლეში: „მას მუდამ მიუღწეველი რამ სჭირდებოდა“. თუმცა ეს პასუხი ამ კითხვას ზედაპირულად მაინც ეხება. თუკი დავუშვებთ, რომ ეს სცენა ზუსტად ისე გათამაშდა, როგორც ლულუ აღწერს, მაშინ ნათელი ხდება, რომ რილკესათვის ხელის შეშლის გამო განადგურებული ლექსის ქარგა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ლულუს იქ ყოფნა (Dx-sein), და რომ იგი სწორედ ამის გამო ითხოვდა პატიებას, ანუ პიროვნების უარყოფის გამო. დასაშვებია, რომ ლულუ საგნებს შედარებით უფრო ზედაპირულად აღიქვამდა; მას მიაჩნდა, რომ იმ უარყოფაში, რაც პირველივე სტრიქონშია ნაგულისხმევი — „შენს ბაგეთაგან დარწყულების არ მომცე ნება“ — სათქმელი ნათქვამი იყო. სავსე ტუჩების გრძნობისმიერი წარმოსახვა, რომელთაგანაც დარწყულება სწადია პროეტს და ამ სურვილის მყისიერივე უარყოფა, კვლავ ამტკიცებს მის პოზიციას. უარყოფა მარტოოდენ თავშეკავება როდია, ის იმავდროულად ვნებით დამუხტული შესიტყვების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ყველაფერი ეს კი დასტურია იმისა, რომ საქმე ფრიად გართულებულ ურთიერთობასთან გვაქვს და ამასთანავე არა მარტო შემოქმედების ისტორიის გადასახედიდან, არამედ წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. იმ ლექსების გარდა, ლულუ ალბერტ-ლაზარდს რომ მოჰყავს თავისი მოგონებების წიგნში, რილკეს სხვა ლექსებშიაც მქლავნდება ის ვითარება, რამაც მათი ერთადყოფნისა და განშორებების წინა-

აღმდეგობებით აღსავსე ბუნება ერთგვარ შინაგან ჯოჯოხეთად ჩამოაყალიბა, ეს კი ის მდგომარეობა გახლდათ, სიკვდილის მოახლოებას რომ იწვევს და ხელსაც კი უწყობს.



ლულუსადმი მიძღვნილი ლექსებიდან კიდევ სხვა მაგალითები მოყვანაც შეიძლება: — „ჰოი, რარიგად გაიფოთლა ტკივილი ჩვენში“... ან — „უეცარი და მშვენიერი ბალნარის გაელით“... განსაკუთრებით კი, — „მინდა ანგელოსს ვუხმობდე ღამით“... ეს ლექსები სამყაროს იდუმალების წვდომაზე მეტყველებს, სიყვარულს რომ მოიცავს თავის თავში და თან სიყვარულის ფენომენის უარყოფასაც ცდილობს, რაც სიკვდილის ხსოვნას აახლებს. ამ ლექსის პირველი სტროფი მთავრდება სიტყვებით: — „ეკითხა ეგებ: თუ ჭვრეტო ედემს?! მე კი მიმეგო, მდაგავს ედემი.“ სამოთხეში დაბრუნება გამორიცხულია აწ სამუდამოდ.

ლულუსადმი მიძღვნილ ერთ ლექსში, დღემდე ცხოველ ინტერესს რომ იწვევს, ვკითხულობთ:

ხედავ, არა ვარ, რომ ვიყო კიდევ  
ვემკვიდრებოდი ლექსის შუაგულს;  
ზუსტი, ნამდვილი, ვინც სათუოს და  
ნაკლულ ცხოვრებას ვერ ეგუება.

როცა რილკე, როგორც „ზუსტი“ პოეტი, „ლექსის შუაგულში“ დამკვიდრებული სხვა „მიახლოებით“ და „ვერნაგრძნობ“ ცხოვრებას მსჯავრს სდებს — მსჯავრს, მთელ ლექსს რომ მსჭვალავს — ეს ნაგულისხმევას მცირე ნაწილია მხოლოდ. ძირითადი აზრი პირველი სტრიქონის სიტყვებითაა გადმოცემული: — „ხედავ, არა ვარ“ — და იმ კითხვითაც, თუ ვინ იქნებოდა იგი, „რომ ყოფილიყო“.

იმ მოტივებით, პირადი სიყვარულით დაწყებული, ბუნების სულიერ-სიღრმისეული აღქმის უნარს რომ აღწევს და ადამიანებისა და ღვთაებების სახეებსაც კი სწვდება, რილკე მისთვის დამახასიათებელი პარადოქსის, ერთსა და იმავე დროს ყოფნისა და არყოფნის ხელოვნების პერიფრაზირებას ახდენს. ლულუ აღბერტ-ლაზარდი კი სულ უფრო და უფრო იქცევა მის სიკვდილგანბრძნობილ მუხად.

#### 4.

აქამდე ვცდილობდი წარმომედგინა თქვენთვის, ახალგაზრდა მხატვარი ქალისადმი რილკეს სიყვარული თუ როგორ იყო სიკვდილის ნიშნით დალდასმული პირველი მსოფლიო ომის დროს. სწორედ ამ ურთიერთობას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს ომის პირველივე დღეების პოეტური ქმნილებები, მრავალ რასმეს რომ მოგვითხრობენ პოეტისა და მისი დროის შესახებ. ამ ურთიერთობის შედეგად ანაზღად ჩასახული ვნება ბედის უკუღმა ტრიალმა სულიერ ტანჯვად აქცია.

ლულუ მისი მუზა იყო და სწორედ ეს იყო მიზეზთა მიზეზი მათი ორ-  
მხრივი ტანჯვისა. თუმცა რილკეს სხვა სატრფოებიც ჰყოლია, მაგრამ  
ცოტანი თუ გამხდარან მისი შემოქმედების „ჭეშმარიტი მუზები“ —  
ქალები, რომლებიც მას არა მარტო შემეცნებასა და შემოქმედებით აღ-  
მაფრენას უღვივებდნენ, არამედ ემოციურ მფარველებადაც ექვემდებო-  
დნენ, ხშირად მხოლოდ და მხოლოდ მასთან ყოფნით, — უმცირესი მცხტი-  
აწმყოთი. იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც პოეტის წინააღმდეგობის  
მიუხედავად, მაინც ცდილობდნენ რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყვნენ  
მიკედლებული მასთან და რომელთაც, მიუხედავად ყველაფრისა, იგი  
ისევ და ისევ უბრუნდებოდა. ბალადინე კლოსოვსკა (მისი „მერლინე“)  
ამ ტიპის „ბნელი მუზა“ გახლდათ ისევე, როგორც ლულუ ალბერტ-  
ლაზარდი.

მათი სიყვარულის თემა უფრო განივრცო და გაღრმავდა, მიუხედავად  
იმისა, რომ ომი მისგან გამოძინარე საშინელი შედეგით უფრო და  
უფრო საგრძნობი ხდებოდა. ირშენჰაუზენში გატარებული რამდენიმე  
ბედნიერი კვირის შემდეგ შეყვარებულები სინამდვილეს უნდა დაბრუ-  
ნებოდნენ, რაც გარდაუვალი იყო. მათ შვაბების პანსიონ „ჰფანერ“-ში  
გადაინაცვლეს, რომელიც ფინკენშტრასეზე მდებარეობდა, იმ ბინაში,  
სადაც ლულუ გათხოვებამდე ცხოვრობდა და შემდეგ ატელიედაც იყე-  
ნებდა. მიუნხენი თითქოს ზუსტად ის ქალაქი იყო, მათ რომ ყოველნაი-  
რად ესადაგებოდა, სადაც ომის ატმოსფეროს ასე თუ ისე თავს არიდე-  
ბდნენ და თან საინტერესო ადამიანების გარემოცვაშიც იმყოფებოდნენ.  
თავიდან რამდენიმე ხანს ოფიციალურად ცხოვრობდნენ ერთად და ამ  
ურთიერთობას მეგობრებსაც არ უმაღავდნენ. უახლოესი მეგობრების  
წრე და მათ შორის გერმანელ-შვეიცარიელი მწერალი — რეგინა ულმა-  
ნი პირველ ხანებში ყველანაირად ეხმარებოდნენ, რათა იზოლაციიდან  
თავი დაეღწიათ.

სირთულეებმა დიდხანს მაინც არ დააყოვნეს. რამდენიმე კვირაც არ  
იყო გასული, რომ რილკეს მოუთმენლობა დაეტყო, რამაც მის ლექსებ-  
შიც გამოჟონა. ლულუს მეუღლესთან გაყრის გამო წარმოქმნილმა სი-  
ძნელეებმა შეყვარებულებს შორის ნაპრალი გააჩინა. რილკე პირველი-  
ვე უხერხულობისთანავე სასწრაფოდ გაეცალა სიტუაციას და ბერლინს  
შეაფარა თავი. გზად ჯერ ფრანკფურტსა და შემდეგ კი ვიურცბურგ-  
ში გაჩერდა. ბერლინში მან ომიდან დაბრუნებული მძიმედ დაავადებუ-  
ლი, მომაკვდავი მეგობარი ალფრედ ჰაიმელი მოინახულა და შემდგომ  
ამისა იქვე დარჩენა გადაწყვიტა. ყველაზე მეტად თვალშისაცემი რილ-  
კეს წინააღმდეგობრივი ქცევაა. ერთი მხრივ მარიანე მიტფორდის, ქა-  
ლიშვილობაში ფრიდლენდერ-ფულდის დახმარებით იგი ცდილობდა  
ალტერნატიული ცხოვრება მოეწყო (მათი მეგობრობა იოახიმ ვ. შტო-  
რკმა აღწერა), მეორე მხრივ კი ლულუ ალბერტ-ლაზარდთან ურთიერ-  
თობის გაწყვეტა არა და არ სურდა. ის-ის იყო ბერლინში დაბინავდა  
(მარიანე მიტფორდის პატარა ვილაში, დროებით რომ დაუთმო რილ-  
კეს), რომ ძველმა სიყვარულმა მაშინვე ტკივილით შეახსენა თავი და

მიხვდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის ლულუ. უკვე 1914 წლის 14 დეკემბერს იგი სიდი ნადჰერნის წერს: „ჩემი მეგობარი ქალი, რომლის შესახებაც გწერდი, მიუნხენშია დარჩენილი და ძალზედ მაკლია.“ რილკემ ლულუ საშობაო დღესასწაულზე მიიწვია თავისთან, თუმცა იმის მაგივრად რომ იქვე მიეღო, სადაც თითონ იდგა ბინად, სასტუმროში მოათავსა.

ბიზლირთეკა

ლულუს საშობაო სტუმრობა მიუხედავად ამისა, მოულოდნელად ბედნიერი აღმოჩნდა. რილკე აღფრთოვანებული იყო მის მიერ შექმნილი რეგინა ულმანის პორტრეტით; რილკემ ლულუ ხელგაშლილად დაასაჩუქრა დახვეწილი საჩუქრებით — მათ შორის ოქროთი მოვარაყებული, იისფერი და თეთრი ორქიდეებით გაწყობილი ლურჯი მინის ლარნაკით, ხოლო საშობაო ნაძვის ხის ქვეშ ოქროს საკეტიანი ტყავის ხელჩანთა ელოდა, ზედ ამოტვიფრული წარწერით „1914 წელი, შობა“. რილკეს მერყეობა მართლაც რომ გამოგნებელია. უკვე 29-ში, შობის ღამემ ჩაიარა თუ არა, ლულუ კვლავ ბრუნდება უკან მიუნხენში. 5 იანვარს რილკე მოულოდნელად ისევ მიუნხენს ჩამოდის და ერთი თვის შემდეგაც იქვე რჩება. 18 თებერვლის სიდიხადში მიწერილ წერილში მისი ამგვარი ქცევის ახსნა არც თუ დამაჯერებლად გამოიყურება: „იანვრის დასაწყისამდე ბერლინში ვიყავ, ვცდილობდი ცოტა წამემშაგა უნივერსიტეტში, მაგრამ დავაპირე თუ არა მუშაობის დაწყება, უამრავმა საქმემ კვლავ მიუნხენში მიხმო“. კატერინა კიპენბერგისადმი მიწერილ პასუხს, ამავე პერიოდს რომ განეკუთვნება, კითხვაზე, იყო თუ არა მიუნხენში ეს სპონტანური დაბრუნება გაქცევა, თუ მის ამ ქმედებას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ასეც უნდა გავიგოთ-ო?, მხოლოდ ოდნავი გარკვეულობა თუ შემოაქვს. ქალაქში ყოფნა ეპიზოდურად მართლაც შეიძლება ჩაითვალოსო, უთქვამს, თუმცა კი ვერ ვიტყვი რამდენად ამომწურავია ეს ეპიზოდიო“.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ საპირისპირო იმპულსი იჩენს თავს. 1915 წლის 24 თებერვალს მთავრინა თურნ უნდ ტაქსისის ცნობილ წერილში თავს „გამოუსწორებელს“ უწოდებს, რომელმაც ერთხელ კიდევ სცადა მარტოობას გაქცეოდა. იგი წერდა, რომ აუტანელ ტანჯვად მიიჩნევს „სხვისი ცხოვრების სიმძიმის ქვეშ ყოფნას, რომელიც ისევ სრულიად უცხოდ ავლენს თავს“. უცხო ცხოვრება? ლულუმ ეს გაუცხოება ადრევე შენიშნა. თავისი წიგნის ერთ-ერთ ცნობილ ადგილას იგონებს, რომ მათი ერთადყოფნის დროს ერთხელ სიზმარში წამოიკივლა. მას შემდეგ, რაც შემფოთებულმა რილკემ მიზეზი ჰკითხა, ქალმა უპასუხა: „რადგან... შენ სულიერი ავანტიურისტი ხარო“, მან კი მიუგო: „ო, შენ მართალი ხარ, ათასგზის მართალი, საუბედუროდ, მაგრამ — ალბათ — ეს ასეც უნდა იყოს“.

ეს დიალოგი ნათელს ჰფენს რილკეს ამ პერიოდის ლექსებში ლტოლვისა და განშორების მონაცვლეობას. მიუხედავად ყველა ცდისა, დაშორებოდა ლულუს, ეს უკანასკნელი მაინც რჩებოდა მის გვერდით, როგორც ხმადაბალი, ხან კი ხმამაღალი დამატებითი ხმა.

ამავე პერიოდში მათი დამოკიდებულების ორივე ასპექტი — სიყვარული და ომის თანამდევნი სიკვდილის აჩრდილი — განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა. კერძოდ კი იმ ლექციების მეოხებით, ნორბერტ ფონ ჰელინგრატი და ალფრედ შულერი რომ ატარებდნენ. რილკე, ლულუ და რეგინა ულმანი ერთად ესწრებოდნენ ჰელინგრატის ლექციებს და „აუწერლად შეძრული, ამალღებული და განცუფრებული“ იყვნენ. ნორბერტ ფონ ჰელინგრატი დროებით მიუნხენის ახლოს იყო დაბინავებული, 27 თებერვალს — მისი დედის ელზა ბრუკმანის (ამასთანავე რილკეს მფარველის) ხელშეწყობით ომის მსხვერპლთა დასახმარებლად გამართულ სხდომაზე წაიკითხა ლექცია თემაზე „ფრიდრის პოლდერლინი და გერმანელები“. მეორე ლექცია „პოლდერლინის სულიერი ავადმყოფობის შესახებ“ ერთი კვირის თავზე გაიმართა, რის შემდეგაც რილკე ახალგაზრდა მეცნიერს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ბრძოლის ველზე წასულიყო, მისი დედის სახლში, ზენდლინგში შეხვდა და საფუძვლიანად ესაუბრა. ლულუ ჰელინგრატის მიერ პოლდერლინის შესახებ წარმოთქმული დამატყვევებელი სიტყვებით როდი იყო მხოლოდ მოხიბლული, მას მისი გარეგნული მშვენიერებაც მოსწონდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში, ვიდრე მეცნიერს საბრძოლველად გაიწვევდნენ, ლულუს საშუალება მიეცა ჰელინგრატის „არაჩვეულებრივად მშვენიერი თავი“ დაეხატა. მომდევნო წელს კი ნორბერტ ფონ ჰელინგრატი დაიღუპა ვერდენთან. სიკვდილი — როგორც პოლდერლინის პოეზიის ძირითადი მოტივი, სიკვდილი — გადატანითი მნიშვნელობით, როგორც პოეტის შემლილობა, მოგვიანებით კი შუაგულ ომში მეცნიერის სიკვდილი, — მათი განწირული სიყვარულის ძირითად სტიქიად იქცა.

ალფრედ შულერის შემდგომმა ლექციებმა შეყვარებულებს კიდევ ერთხელ, ახალი წახნაგებით დაანახვა სიკვდილის ფენომენი. რილკე მის უკანასკნელ, მესამე ლექციას დაესწრო და ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ მოექცა. შულერი — ორმოცდაათი წლის არქეოლოგი და ისტორიკოსი, რომის ისტორიას სწავლობდა, იგი ჰელინგრატის მსგავსად შტეფან გეორგეს წრესთან იყო დაახლოებული, უფრო ზუსტად კი, გეორგესთან ახლოს მდგომ „პოეტური კოსმიკების მიუნხენელ წარმომადგენლებთან“.

შულერის ხილვებით აღფრთოვანებული რილკე, რამდენიმე დღის შემდეგ მთავრინას სწერდა: „წარმოიდგინეთ, რომ ერთმა ადამიანმა ძველი რომის იმპერიის წიაღში, ინტუიტიური წვდომის წყალობით სამყაროს იდუმალების ახსნა სცადა, გარდაცვლილები ყოფიერ არსებებად, ხოლო მკვდართა საუფლო ყოფიერების ერთადერთ გაუგონარ ფორმად გამოაცხადა, ჩვენი შემოსაზღვრული სიცოცხლის მოკლე ვადას კი ამ რეალობიდან გამონაკლისის ერთგვარ სახედ მიიჩნევდა...“ მისმა „განუზომელმა განათლებამ“, — განაგრძობდა რილკე, — და, გარდა ამისა, ურყევმა შინაგანმა რწმენამ, „უხსოვარი დროის მითებისადმი“ მისმა უტყუარმა ალლომ ეს „შერეკილი“ „დიდი დინების თავზე მოაქცია“. ამ დროიდან რილკეს თვალსაზრისი სიკვდილის შე-

სახეზე ამ ხილვების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. შულერისგანვე იღებს სათავეს „ლიაობის“ იდეა, — შვიდი წლის შემდეგ რილკეს მიერ შექმნილი „მერვე ელევგის“ ცენტრალური თემა.

1915 წლის ბოლომდე ლულუ რილკეს სამყაროს თანაზიარე იყო, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი ურთიერთობა არათანამიმდევრული და ურთივეს მხრიდან მზარდი მერყეობით მიმდინარეობდა. გაუთავებელი კონფლიქტებით გადაღლილმა პოეტმა ვერ იპოვა გამოსავალი და თავის ძველ მეგობარს ლუ ანდრეას სალომეს სთხოვა ჩამოსულიყო მათთან მიუნხენში, რათა ლულუსთან კონფლიქტების მოწესრიგებაში დახმარებოდა. ლუ მართლაც ჩამოვიდა მარტში და ორი თვე დარჩა მათთან (საერთო ბინის რაინერის ნახევარში), — რაც კატასტროფული შედეგით დასრულდა. იმ მითქმა-მოთქმის გავლენით, რილკეს სამეგობრო წრეში რომ ტრიალებდა, ლუ არასახარბიელო აზრებით დატვირთული ჩამოვიდა და ლულუს იგნორირებას ახდენდა, რომელიც ასე თუ ისე მისი მასპინძელი იყო. იგი დაძაბულ, ნერვულ ატმოსფეროს ქმნიდა და მხოლოდ გაჭიანურებული სტუმრობის ბოლოს ორივე ქალბატონმა ძლივს შესძლო ერთმანეთთან გულახდილი საუბარი. ითქვა, რომ რილკეს ცალკე, განმარტოებით ცხოვრება ესაჭიროებოდა და სხვა და სხვა ბინებს იმიტომ ეძებდა, განსაკუთრებით ისეთს, ჰერტა კიონიგის ბინა რომ იყო, რომელშიც პიკასოს ნახატი „მოსეტიალე ჯამბაზები“ ეკიდა, ლულუსაგან ამის გამო იგი ხომ მხოლოდ დროდადრო იყო დაცილებული. თუნდაც ზამთრის დასაწყისში, ფინკენშტრასეზე მცირე ხნით დაბრუნების შემდეგ (მაშინ, როცა ლულუ იქ არ იმყოფებოდა), ანდა დოქტორ ჰერბერტის სახლში რომ ცხოვრობდა კეფერშტრასეზე, ხომ ისევ და ისევ ბრუნდებოდა უკან. მაგრამ ამგვარმა საუბარმაც ვერა გააწყობა, დაძაბულობა კვლავ რჩებოდა. ფიქრი განუწყვეტლივ უტრიალებდა სიკვდილს.

დიდი ლექსი „მოსეს სიკვდილი“ ამ ბედისწერათა სიღრმიდან აღმოცენდა, როგორც ერთგვარი ქიმიური შენაერთი, ამაღვამა. ლექსს საფუძვლად მიუნხენელი მხატვრის კარლ კასპარის ფერწერული ტილო დაედო, რომელიც, როგორც რილკე მარიანე მიტფორდს ატყობინებდა 5 მარტს მიწერილ წერილში: — „ლოცვად მუხლმოყრილ დიად მოსეს ასახავს“. გარდა ამისა ხსენებული ლექსი ჰერდერის მიერ თარგმნილ თალმუდის ტექსტსაც ითვალისწინებდა, რის შესახებაც რილკე კლარასაც სწერდა. ანგელოსთაგან არც ერთს არ სურდა მოსე სიკვდილისათვის გაემეტებინა, მხოლოდ თავად ღმერთმა აღასრულა ის, რასაც მოსეს სული ითხოვდა:

დასასრულ მის სულს სააქაო ეკმარა ვრცელი  
 ... და მიუდრიკა ღმერთმა მსცოვანმა  
 აწ ხანდაზმულს სახიერება უხსოვარ დროის.  
 ეამბორა და ამოარიდა მისეულ ასაკს  
 სული მეტადრე ასაკოვანი. და შემომქმედი მარჯვენით იგი  
 მთას შიგან დაფლა, რომ მხოლოდ ერთი, ის კვლავშექმნილი  
 მიბარებოდა მიწის ქვეშ მთათა სასუფეველს,  
 ძეხორციელთა გონისათვის აწ მიუწვდომელს.

ეს მშვენიერი ლეგენდაა, რომელიც უფალს ადამიანურ თვისებებს მი-  
აწერს და მოგვითხრობს მის მიერ მოსეს სამარედ დაფლვას. მაგრამ აქ  
ბევრად მეტი რამ არის ნაგულისხმევი. შესაქმის თემა ამ ლექსში სიკ-  
ვდილის თემას ახალ განზომილებას ანიჭებს, რაც რილკეს თავის მხრივ  
ძლიერი ზეგავლენის ქვეშ აქცევს.

რილკემ ეს ფერწერული ტილო გაზაფხულზე იხილა. მისი მხრებ-  
ბერს კი ლულუს მამას, საიდუმლო მრჩეველ ლაზარდს სწერდა, რომ  
მიუნხენელი მხატვარი კარლ კასპარი და მისი მეუღლე, ასევე მხატვარი,  
მარია კასპარ-ფილზერი, ლულუს სახელოსნოში შეხვედრია და საკუ-  
თარი ხელით გადაწერილი ეს ლექსი გადაუცია. მხატვარი, ლულუც და  
ეს ლექსიც სიკვდილის ნიშნით იყვნენ დაღდასმულნი. რილკემ შეძლო  
საოცარი, სიკვდილის წინაშე ძრწოლის ამსახველი სურათების შექმნა,  
სიკვდილისა, რომელიც ჩვენს ირგვლივ, ყველგან და ყველაფერში სუ-  
ფევს. სიურრეალისტური, ბოსხისეული ძალით დამუხტული ლექსები,  
თუნდაც ისეთი, როგორიცაა „აქ სიკვდილი დგას, ვით მოლურჯო უც-  
ხო ნაყენი“, შემადრწუნებელი სიკვდილის მძაფრ ხილვებს იწვევენ.

რილკეს შიშები სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა 5 იანვრის  
დადგომასთან ერთად, როცა მას კიდევ ერთხელ უნდა გამოეცადა სა-  
კუთარი თავი. მაშინ, როცა ლულუს გაუთავებელი დარჩენა და მისვ-  
ლა-მოსვლა მის ცნობიერებაში უსაშველო სოლივით შეჭრილიყო.

მაგრამ იმედგაცრუებული სიყვარულიც თავის წილ ყურადღებას ითხო-  
ვდა. ამავე პერიოდს განეკუთვნება მოახლოებული შეხვედრის ზეგავ-  
ლენითა და ისევ და ისევ „უკან მობრუნებული მუზის“ ზეწოლით შე-  
ქმნილი საყოველთაოდ ცნობილი შვიდი ფალოცენტრული ლექსი. ეს  
ლექსები პოეტის ნანატრი მარტოობის უამს, ალბერტი-ჰაუზის სიმყუ-  
დროვეში, პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში დაიწერა. ამ  
ლექსებში სიკვდილ-სიცოცხლე აღმდგარ ფალოსს უკავშირდება, მაშინ  
როცა ვაგინა სამარესთანაა გაიგივებული, როგორც „ღრმა ზესკნელში  
აღზევების ალაგი“.

... მიხვდი ოლონდაც,  
ეს სხეულია, აღზევებული ნაწილი ჩემი.  
მიაგე შველა, რომ მაგ მხურვალე, ღრმა სამარიდან  
იმ ზესკნელს მისწვდეს, რასაც ვფლობ შენში ამიერიდან...

\* \* \*

ფიქრობდა კია რილკე თავის „ბნელ მუზაზე“, როცა ამ სტრიქონებს  
წერდა? — ჩვენ ეს არ ვიცით, ეს მეტისმეტად ინტიმური ლექსები ლუ-  
ლუს თვალითაც არ უნახავს. რილკესათვის კი ეს თემა კარგა ხნის მან-  
ძილზე ლუ ანდრეას-სალომესთან დიალოგის საკვანძო საკითხს წარ-  
მოადგენდა. იდეა კი, რადგან „ჟამნის“ მესამე ნაწილიდან იღებს სა-  
თავეს, დასაშვებია, რომ მიუნხენიდან პირველი განშორების შემდეგ  
პოეტს „მისი მუზა“ სექსუალურ პარტნიორად უკვე აღარც ესახებოდა.



როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ რილკემ საშობაო დღესასწაულზე იგი არაჩვეულებრივი სიტბოთი და სიყვარულით მიიღო, ლულუ მაინც სასტუმროში ათევდა ღამეს...

5.



ქართული  
ზიგლიოთეკა

მეოთხე ელევია, რომელიც ფალოსური ლექსების შემდეგ, ერთ კვირაში შეიქმნა, არა მარტო აგრძელებს იმავე განწყობილებას, არამედ თავიდან ბოლომდე მის ძირითად თემას წარმოადგენს. აქ ამ ელევიის განხილვა მთლიანად ალბათ უადგილო იქნებოდა, მე მხოლოდ დასაწყისსა და ბოლო ტაეპზე გავამახვილებ ყურადღებას, რათა ჩვენმა თემამ მეტი სიცხადე შეიძინოს:

### სიცოცხლის ხენო, ჰოი როდის დაგიზამთრდებათ?

ეს ცნობილი სხარტი სტრიქონი გაშიშვლებულია. მომდევნო კითხვაც „როდის?“ უძღურების დაუფარავ, შიშველ სახეს წარმოადგენს. „ფალოსური ხეები“ თუ იგულისხმება აქ და ამიტომ ცოტა ხნით ადრე შექმნილ „ფალოსურ ლექსებს“ ენათესავენ, თუმცა საქმე იმ გარემოებას ეხება, რომ ჩვენ, ადამიანები, მძლევარ ფრინველთაგან განსხვავებით, ბუნებასთან ვერ ვართ თანხმიერნი. „ყვავილობა და მჭკნარობაც“ — სიცოცხლე და სიკვდილი ვუწყით მხოლოდ და ჩვენს უძღურებას ვგრძნობთ.

შემდგომი აბზაცის პირველი სტრიქონები ყოფნა-არყოფნის პარადოქსს სახავენ, რაშიაც უშუალოდ მეტრფესა და სატრფოს შორის არსებული დამოკიდებულება მოიაზრება.

**ჩვენ კი, როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთელი არსებით იგრძნობა, წამსვე რალაც სხვა რომ აგველობება. მტრობაა ჩვენთვის ახლობელი ყველაზე მეტად.**

რილკეს კრიტიკოსთა ინტერპრეტაციების მოუხმობლად მინდა ვცადო, ეს სტრიქონები რილკესა და ლულუ ალბერტ-ლაზარდის ეჭვქვეშ დაყენებული სიყვარულისა თუ არსიყვარულის ჭრილში წავიკითხო. მე-სა და შენ-ს შორის ფილოსოფიური დიალექტიკა, როგორც ამას ენგელი და ფიულებორნი აღწერენ, აქ დრამატულ სახეს იღებს და რამდენადმე პირადულ ჟღერადობასაც იძენს.

**განა მეტრფენიც ერთმანეთში ბოლოს ნაპირთ არ აწყდებიან, თუმც კპირდებოდნენ ერთურთს სივრცეებს, სამშობლოსა და სანადირო ასპარეზობას.**

ამ ზღვარზე, სანამ სიცოცხლისა და სიკვდილის კოსმიურ ურთიერთდაპირისპირებას მიმართავდეს, რილკე მის გაორებულ სიყვარულს ჯერ ისევ ფალოსური ლექსების სივრცეში მოიაზრებს, შემდეგ კი თვალსაწიერს თანდათანობით აფართოებს.

და აი, წამის ჩანახატისთვის რა რუდუნებით  
მზადდება ფონი საპირისპირო:  
რომ სახილველად იოლი გახდეს.



შეიძლება ზედმეტად თამამი იყოს ამგვარი მოსაზრება, რომ „ჩვენ“ ლულუს გვასხენებს, მაგრამ რადგანაც შინაგანი მტრულეჭყობა მათი ერთად ან ცალკე-ცალკე ყოფნასთან დაკავშირებული, ზუსტად ამ პერიოდს ემთხვევა, საბედისწერო 5 იანვრიდან არც თუ დიდი ხნითაა დაშორებული და თანდათან უფრო მატულობს, როგორც ჩანს, იმ დროს შეყვარებულების ერთად ყოფნა ჯერ კიდევ აქტუალური, მე-სა და შენ-ს შორის დამოკიდებულება კი გარკვეული რეზონანსის მატარებელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ გრძნობადობის კონტურისა არა ვიცით რა,  
მხოლოდ ის ვიცით, რაც მის სახეს ძერწავს გარედან.

ამის შემდეგ იშლება „სიკვდილ-სიცოცხლის“ ლანდშაფტი უკიდევანო თვალსაწიერით. ლექსის დასასრულს რილკე ისევ სიკვდილზე საუბრობს, ამჯერად უცოდველის სიკვდილზე. უკვე რამდენიმე დღით ადრე დაწერილ „პატარა ბიჭის სიკვდილზე დაწერილ რექვიემში“ რილკე გლოვობს მისი მეგობრის რვა წლის ასაკში გარდაცვლილ ბიჭს. მსხვერპლის უცოდველობის გამო ელევია რამდენადმე ხისტი მონახაზითაა შესრულებული:

ადვილია გაუგო მკვლელებს.  
ეს კი სიკვდილი. მთელი სიკვდილი  
დაბადებამდე ასე სათუთად ატარო და  
არ გაბოროტდე, არის მართლაც აუწერელი.

რამდენიმე კვირის შემდეგ კი რილკემ ბინა გამოიცვალა და რაინერისა და ლულუს მიუნხენური დრამა დასრულდა.

6.

„ერთსა და იმავე დროს ყოფნაც და არყოფნაც!“ —

ამ სიტყვებით აღწერა ოცდაათი წლის მხატვარმა ქალმა თავის სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მომწყვდეული მდგომარეობა. მათი საერთო ტანჯვა, საერთო სიმწარეში რომ გადაიზარდა, უკვე დასასრულის დასაწყისი იყო. ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს ბრძოლა, რომელიც რილკეს სულსაც აფორიაქებდა, რადგან 1914 წლის სექტემბრიდან 1916 წლის აგვისტომდე ლულუ მას გამუდმებით სჭირდებოდა და იმავდროულად მაინც ტვირთად მიაჩნდა.

ორივეს ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ლულუს უჭყუადნეა ხმარს, მიუხედავად ამისა იგი მაინც ავადმყოფობდა და ბოლმა ახრჩობდა. ზო-

გიერთები 1917 წლის ბოლოს, ლულუს ავადმყოფობის ხანს, ყოველ-  
ნაირად ცდილობდნენ დაეყოლიებინათ რაინერი, კიდევ ერთხელ გამოე-  
ჩინა მისდამი ყურადღება. მათ შორის განსაკუთრებით შტეტან ცვაიგი  
და კატარინა კიპენბერგი (ორივეს ერთგული მეგობარი) გამოირჩეოდ-  
ნენ. რილკე ცდილობდა სიმტკიცე შეენარჩუნებინა, რა თქმაობაში მე-  
რყეობა აეცილებინა თავიდან, ამდენად ხანგრძლივ მწერლობაში უკუ-  
კი გამორიცხული იყო. ლულუ კი იგონებს, რომ მასთან საბოლოო დამ-  
შვიდობებამ რილკეს მერყეობა მაინც გამოიწვია.

ლულუ ალბერტ-ლაზარდის მიერ დახატული რაინერ მარია რილკეს  
ცნობილი პორტრეტი პოეტის მცირე ხნით სამხედრო სამსახურში მო-  
ღვაწეობის დროსაა შექმნილი. ლულუ ვენის მახლობლად, როდაუნში  
რილკეს მოწვევით ჩავიდა და ისინი ჰუგო ფონ პოფმანსთალის მეზობ-  
ლად ცხოვრობდნენ, რომელმაც რილკეს ლულუსთან განშორება ბო-  
ლომდე ვერ აპატია. სიერში 1923 წლის გვიან შემოდგომაზე მათ შე-  
ხვედრას თუ არ ჩავთვლით, ლულუს და რაინერს აღარასოდეს უნახავთ  
ერთმანეთი.

სწულების მიუხედავად, ლულუმ რილკეს შემდეგ კარგა ხანს იცოცხლა  
(1969 წლამდე), 1926 წელს კი, მას შემდეგ, რაც რუდოლფ კასნერის-  
გან რაინერის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, ჭირისუფალთა პატარა  
გუნდთან ერთად რარონის ფრიალო მთას აუყვა, სადაც რილკემ უკა-  
ნასკნელი განსასვენებელი ჰპოვა...

ლულუ ალბერტ-ლაზარდი რილკეს ცხოვრებაში ის ფიგურა გახლდათ,  
რომელმაც ავად თუ კარგად მის შემოქმედებას გარკვეული კვალი დაა-  
მჩნია. მე კი ამ სტატიით მინდოდა თვალნათლივ მეჩვენებინა, როგორ  
ეხმარება დიდ პოეტს ძლიერი სიყვარული, თუნდაც განშორებით დაღ-  
დასმულიც კი, რომ ისევ და ისევ ახალი ცხოვრების სტიმული მის-  
ცეს — მიუხედავად სასიკვდილო საფრთხისა და სიკვდილმოსილი ზმა-  
ნებებისა.

ასე დაეუფლა ლულუ ალბერტ-ლაზარდი საოცარ ხელოვნებას, არ ყო-  
ფილიყო და იმავდროულად ყოფილიყო კიდევც.



ელფრიდე იელინეკი



თუკი პიროვნულად ვინმეს შეიძლება მივაწეროთ მარტინ ჰაიდეგერის ცნობილი გამოთქმა, სწორედ ელფრიდე იელინეკზე უნდა ითქვას, რომ ენა მისი „ყოფიერების სახლია“, რადგან მისთვის ენა ნამდვილად მისი ყოფიერების, სულიერი ცხოვრებისა და, უბრალოდ, ფიზიკური არსებობის ადგილსამყოფელს წარმოადგენს. სწორედ ამ ენის „წყალობით“ გადაიქცა მისი შემოქმედება ამდენი დასტურისა და უარყოფის მიზეზად, ამ ენის გამო მოიხსენიებს მას კრიტიკა ლიტერატურულ მაზოხისტად, ლიტერატურულ პორნოვარსკვლავად და უხამსობის აპოლოგეტად. მაგრამ, ბუნებრივია, მხოლოდ ამგვარი ეპითეტების გამო ვერ მიიქცევდა იგი მსოფლიო ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღებას და მისი ნაწარმოებები არ ითარგმნებოდა დანიურ, ინგლისურ, ფრანგულ, ებრაულ, ლიტვურ, ნიდერლანდურ, რუსულ, ნორვეგიულ, პოლონურ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუმინულ, შვედურ, სლოვენურ, ესპანურ ენებზე.

ელფრიდე იელინეკი დაიბადა 1946 წლის 20 ოქტომბერს, ავსტრიაში, მიურცცუშლაგში; სწავლობდა ხელოვნებისა და თეატრის ისტორიას ვენაში. ვენის კონსერვატორიაში ეუფლებოდა ორღანზე და ფლეიტაზე დაკვრას. ერთხანს, ფსიქიური მდგომარეობის გამო, სწავლას თავი დაანება და გარეთ გამოუსვლელად მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობაც. ელფრიდე იელინეკი მედიალური ფენომენია. მედიას ხიბლავს მისი სოციალისტურ-კომუნისტური იმიჯი, ბურჟუაზიული სოციალიზაცია და ცხოვრების წესი, ფემინისტური სულისკვეთება, დიზაინითა და მოდით გატაცება, თანაგრძნობის დეფიციტი და ესთეტიკური ელიტარიზმი.

ქალთა ლიტერატურამ ავსტრიაში ახალი პრობლემები წამოჭრა. ავსტრიელმა მწერალმა ქალებმა საკუთარი იდენტურობის დამკვიდრების მცდელობით ავსტრიული ლიტერატურის ლეგალიზაცია მოახდინეს. იელინეკის შემოქმედებაც ამ პროცესებთან არის დაკავშირებული. 1967 წელს იგი პირველად შედის ინსბრუკის ლიტერატურულ საზოგადოებაში და ამ დროიდან იწყება მისი აქტიური სამწერლო საქმიანობა, რაც მას საშუალებას აძლევს, თავიდანვე წინა პლანზე წამოსწიოს ქალთა პრობლემები. 1969 წლიდან მოყოლებული, მას აჯილდოებენ ლიტერატურული პრემიებით, ხოლო 1983 წელს დაკანონდა მისი საერთაშორისო ფორმატი რომანის „პიანისტი ქალის“ გამოქვეყნების შემდეგ. მკითხველმა და კრიტიკამ რომანი აღიქვა როგორც ავტობიოგრაფიული ნაწარმოები. ამ რომანის შემდეგ დაიწყო იელინეკის ინტენსიური

საინტერვიუო საქმიანობა; მისი ინტერვიუების რიცხვი შეადგენს 270-ს, მაგრამ მწერალი ამჟამად უარს ამბობს ინტერვიუების მიცემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ იელინეკმა შექმნა ტექსტის საკუთარი პარადიგმა. მართალია, იგი მთელი ცხოვრების მანძილზე წერს ტექსტებს, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რეჟისორთა და იმავე ტექსტს წერს. მისი ტექსტი წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მიმდინარეობს მნიშვნელობათა შექმნის, ე. ი. გამნიშვნელობის პროცესი. იელინეკი ცდილობს რეალობის არაერთმნიშვნელოვნად წარმოდგენას, მისი ტექსტები მნიშვნელობათა შრეებს ქმნის და სწორედ ამ გზით უსვამს იგი კითხვებს სინამდვილეს, და, არა პირდაპირ. იელინეკი თავის თავს აიგივებს სიტყვასთან და მისთვის ენა იქცევა იმ კატეგორიად, რომელსაც საბამ „მარაგით-ზრახვა“ უწოდა. და ასე განმარტა: „მარაგით-ზრახვა არს სიტყვა, ესე რამე სთქვა, ადვილ-საცნაური არ იყოს, ვითარცა ემოსოს რამე, ანუ ორ-სამ რიგად განისაზღვრებოდეს“. აღნიშნული კატეგორია განსაკუთრებით იჩენს თავს იელინეკის ტექსტების თარგმნის პროცესში. თავად მწერალსაც მიაჩნია, რომ სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნება, სიტყვათა თამაში და კულტურულად სპეციფიკური ავსტრიული კონოტაციები ხშირად გადაიქცევა ხოლმე პრობლემად მისი ნაწარმოებების თარგმნის პროცესში. იელინეკი ამბობს: „ამ დილემის გადაჭრა მე არ შემიძლია. კუნდერამ ეს იმით მოახერხა, რომ თავად დაწერა მთარგმნელისთვის ტექსტი გერმანულად... მე ამის გაკეთება არ შემიძლია, რადგან ენობრივ კომპოზიციებს ვქმნი, ე. ი. ენის ელერადობაზე ვმუშაობ. და მიხარია, რომ შემიძლია, ლოკალურ ფენომენად დავრჩე“.

როგორც ვხედავთ, იელინეკის „ნატვრას“ ლოკალურ ფენომენად დარჩენის თაობაზე აღსრულება არ ეწერა. 2004 წელს მას ნობელის ლიტერატურული პრემია მიენიჭა.

ნანა გოგოლაშვილი

შვედეთის აკადემიის მუდმივი მდივნის, ნობელის  
კომიტეტის წევრის, პროფესორ პ. ენგლანის  
მიერ წარმოთქმული სიტყვა

2004 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა ავსტრიელ მწერალს ელფრიდე იელინეკს.

„ხმებისა და უკუსმების მუსიკალური ნაკადისათვის იმ რომანებსა და პიესებში, რომელნიც, უჩვეულო ლინგვისტური სიზუსტით, სოციალური კლიშეებისა და მათი დამმონებელი ძალაუფლების აბსურდულობას გვიჩვენებენ“.

შვედეთის აკადემია

თქვენო უდიდებულესობავ, თქვენო სამეფო უმაღლესობავ, ქალბატონებო და ბატონებო,

ის, რაც მაშინვე გაგაოცებთ ელფრიდე იელინეკის ნაწარმოებთა კითხვისას, უცნაური, ნარევი ხმაა, მისი სტრიქონებიდან რომ გველდება რაკება. ავტორი არის ყველგან და არსად: დაბეჯითებით არასდროს იმუქა იძლება იმის თქმა, რომ იგი საკუთარი სიტყვების უკან დგას, არც იმისა, რომ მწერალი თავისი ლიტერატურული ფიგურების წინაშე დათმობაზე მიდის, რათა მკითხველს არ შეექმნას ილუზია, თითქოს ეს ფიგურები ვერ იარსებებდნენ მისი ენის მიღმა. ის, რაც ამ შეგრძნებას გვიქმნის, სხვა არაფერია, თუ არა ნაკადი გაჯერებული, როგორც ჩანს, მაღალ წნევაზე შედუღებული წინადადებებისა, რომელნიც განტვირთვისათვის ადგილს არ ტოვებენ.

ელფრიდე იელინეკი მოფიქრებულად, განზრახ უღებს საკუთარი შემოქმედების კარებს იმ კლიშეებს, რომელთაც წალეკეს მედიასიასლენი და ფართოდ რეკლამირებული პოპ-კულტურა — ჩვენი დროის კოლექტიური ქვეცნობიერი. იგი მოხერხებულად იყენებს იაფფასიანი ლიტერატურის, კომიქსების, „საპნის ოპერების“, პორნოგრაფიისა და ფოლკლორისტული რომანების კოდებს — ისე, რომ ნიშანდობლივი უგუნურობა ამ ვითომდა უვნებელი სამომხმარებლო ფენომენისა მთლიანად აშკარავდება. მწერალი ახდენს იმ ცრურწმენათა პაროდირებას, რომელთაც ჩვენ არასდროს ვაღიარებდით, და საღი აზრის მიღმა დაფარულ, საძაგელ ჩურჩულს იჭერს — იმ ჩურჩულს, რომელსაც არ გააჩნია არც საწყისი და არც ხუსტი ადგილი: მასების ხმას. იელინეკმა თქვა, მე ენას ვუკაკუნებ, რათა მისი დაფარული იდეოლოგიების ხმა გავიგო. სწორედ ასე უსმენს ექიმიც პაციენტის გულმკერდს. ჩვენ შეძრწუნებულნი აღმოვაჩინეთ, როგორ აირეკლება ყოველდღიურ საუბარში კლასობრივი ჩაგვრა, სექსიზმი, შოვინიზმი და ისტორიის დამახინჯება. სპორტი იმთავითვე საეჭვო საქმიანობად იქცევა თავისი სამხედრო წვრთნებით, უნიფორმებით, ძლიერისა და გამარჯვებულის კულტით. ბუნება პოლიტიკურ მახედ გვევლინება. ავსტრიის ალპური ლანდშაფტი იელინეკისთვის სრულყოფილი ფონი აღმოჩნდა იდილიის დასამსხვრევად.

როცა ჩვენი ჩვეულებრივი ოცნებები და იდეალები უღმობელი სიტყვათა თამაშის, საზარელი მეტაფორებისა და კლასიკოსთა ჯოჯოხეთურად სახეცვლილი ციტატების იელინეკისეული აპარატურით გარდაიქმნებიან, ამ ოცნება-იდეალებს აღარასოდეს ექნებათ იგივე სახე. მისი შემპარავი ტონი, ინფრაწითელი სხივებივით, ნათელს ჰფენს ცივილიზაციის დაფარულ ხელწერას. იქ, სადაც ნორმალური საზოგადოება გვეგულებოდა, ჩვენ ვხედავთ ჩაკეტილ სისტემას — მამაკაცი/ქალი, რომელიც ძალადობასა და მორჩილებაზე, მონადირისა და მსხვერპლის ურთიერთობაზეა აგებული. მართლაც, ჩვენ იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ მონადირის ენა უფრო მოგვწონს და გვიზიდავს, ვიდრე მსხვერპლისა. ელფრიდე იელინეკის სოციალური კრიტიკა არა ზეცოდნის უსაფრთხო მანძილიდან, არამედ აშკარა დასენიანების სიღრმეებზეა

აგებული. მის ნაწარმოებებში მიცვალებულები სიმშვიდის წიაღში კი არ განისვენებენ, არამედ მოწმეებად გამოდიან. მოჩვენებები არიან ყველგან, ისევე როგორც ცოცხლები, და მათ შორის მკვეთრ განსხვავებას ვერ დაინახავეთ. ქალის არსებობა ვამპირისას ჰგავს, ის ერთდროულად ცოცხალიცაა და მკვდარიც, რადგან მისი სრულყოფილი გამოხატვა აკრძალულია. ელფრიდე იელინეკის ზოგიერთი გმირი ქალი ჩიტქოსდა გამოეყო XX საუკუნის განმავლობაში მამაკაცთა წარმოდგენას სისხლისმწოველ ურჩხულ ქალებზე. როგორც ენობრივმა მემკვიდრემ ავსტრიელი მწერლების გრძელი რიგისა, — იოჰან ნებომუკ ნესტროიდან ინგებორგ ბახმანამდე და თომას ბერნჰარდამდე, — იელინეკმა ის მნიშვნელობაც იცის, რაც უბედურების შემარბილებელ პათოსს ახლავს ხოლმე. ზღაპრებიდან გადმოსული თუ რეალური ცხოვრებიდან აღებული უიღბლო პრინციპების პარადი მწერლის დრამათა სერიაში „გოგონა და სიკვდილი“ (Der Tod und das Mädchen) კონდენსირდება მერილინ მონროს ქერა თმის სურათით — თმისა, რომელიც დასაფლავების დღეს, დახურული კუბოს სახურავიდან ტალღებად იღვრება. ამას მაშინვე მოსდევს უარყოფითი, ერთგვარი გაკიცხვის შემცველი შედარება: თმა იღვრებოდა, „როგორც ქაფი, რომელიც ცეცხლსაქრობიდან მოედინება“.

ლიტერატურული ჟანრები იელინეკის ხელში გაქრობისაკენ ისწრაფვიან. მისი პიესები — ეს არაა თეატრი; ეს უფრო დრამატული როლების ტირანიისაგან განთავისუფლებული „სალაპარაკო ტექსტებია“. გაოცებული რეჟისორები აღიარებენ, რომ იელინეკის წყალობით, მათ ხელში აღმოჩნდა მასალა თეატრში უდიდესი გარდატეხის მოსახდენად.

მისი რომანები — ცხოვრებასთან ჭიდილში დამარცხებული მომხიბვლელი გოგონები რომანში „საყვარლები“ (Die Liebhaberinnen) ახალგაზრდული ამბოხის მომაკვდინებელი ლოგიკა ნაწარმოებში „გარყულნი“ (Die Ausgespernten) თვითდასახიჩრების ესთეტიკა რომანში „პიანისტი ქალი“ (Die Klavierspielerin), კოიტუსის უბრალო ფაქტის დაუსრულებელი განმეორება რომანში „ავხორცობა“ (Lust), ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის საფუძვლები ნაწარმოებში „სიხარბე“ (Gier) — გაბედულად ამსხვრევენ კლასიკური თხრობის ხელოვნების კანონებს. ავტორი ზუსტ ორიენტაციას ინარჩუნებს და თავის გმირებს ისე აკვირდება, როგორც ჭიქაში მომწყვდულ მწერებს. იელინეკის კონსტრუქციები თავად მოქმედებაა. ხმებისა და უკუხმების მუსიკალური მონაცვლეობით, მწერლის ცხოველყოფილი მძვინვარებით შუქმოფენილი სამყარო ყოფიერების ნაწილი ხდება.

რას წარმოადგენს გმირი ლიტერატურულ ნაწარმოებში? თუკი დანარჩენ განსხვავებებს გვერდზე გადავდებთ, ესაა ვიღაც, ვინაც მართალია მაშინ, როცა მთელი სამყარო ტყუის. მამაკაცურ მოდერნიზმში, ეს ხშირად თავად ავტორი გახლდათ, განდევნილი ეგო-ს მარტოსული ხმით შენიღბული. სწორედ ეს იწვევს მკითხველის ნაწარმოებში შელ-

წევასა და იდენტიფიკაციას, რაც ლიტერატურის მარადიულ „კარაოკეს ეფექტს“ ქმნის ანუ როცა მკითხველი ქოროს ერწყმის. ელფრიდე იელინეკის ნაწარმოებთა წაკითხვის სირთულე იმითაა განპირობებული, რომ მათში არ ჩანს თანამგრძობი მთხრობელი, რომელსაც მკითხველი შეიძლება ენდოს და ვისთანაც შეიძლება გააიგივოს საკუთარ თავში. ეს კითხვის ნარცისიზმისაგან ერთგვარი გამოღვიძებაა.

იელინეკის ნაწარმოებები შეიძლება ცხოვრების შავბნელ სურათს გვიხატავდნენ, მაგრამ ის პესიმიზტი არაა, ვინაიდან პესიმიზმში, როგორც წესი, თვითსიბრაღის ქროლა და ჩუმი მუდარა იგრძნობა ხოლმე. მის წყევლა-კრულვაში კი, უფრო მეტად, სკანდალური, უიმედო თანახმობა გამოსჭვივის, ვით შავი მზიდან მომავალი სხივები.

ღრმად პატივცემულო ელფრიდე იელინეკ!

ჰეგელის სიტყვებით, ქალი საზოგადოების ირონიაა. თქვენი შემოქმედებით, თქვენ ახალი მიმართულება მიეცით ლიტერატურაში ქალთა ერეტიკულ ტრადიციას და განავითარეთ ლიტერატურული ხელოვნება. თქვენ არ გიცდიათ მორგებოდით საზოგადოებასა და თქვენი დროის ჩარჩოებს, არც საკუთარი ნაწარმოებების მკითხველთა გემოვნებისათვის მისადაგება ყოფილა ოდესმე თქვენი მიზანი. თუკი ლიტერატურა თავისი დეფინიციით ის ძალაა, რომელიც არაფერს ებუება და თავს არაფერს უხრის, ჩვენს დროში თქვენ ამის ერთ-ერთი ყველაზე ჭეშმარიტი მაგალითი ბრძანდებით.

ინგლისურიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

### გზის გადაღმა

ნობელის ლიტერატურული პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით (2004 წლის 7 დეკემბერი) შვედეთის აკადემიაში ელფრიდე იელინეკის წაკითხული ლექცია

ნუთუ წერის ნიჭი სინამდვილისადმი მორჩილება და მისდამრ ერთგულებაა მხოლოდ? კაცი სიამოვნებით უერთგულებდა ამ სინამდვილეს, მაგრამ მე რა მეშველება მაშინ? რა ეშველება იმას, ვინც სინამდვილეში სულაც არ იცნობს სინამდვილეს? ის ხომ ერთი აბურღული რამ არის! მას ვერანაირი სავარცხლით ვერ დავარცხნი და ვერ დააღაგებ. მწერლები დაუვლიან ამ სინამდვილეს, სასოწარკვეთით ცდილობენ მისი თმის ბულულების შეკვრას ერთ ვარცხნილობად, მერე ეს სინამდვილე გადმოდის ამ ვარცხნილობიდან და ჯიქურ მიუხტება ხოლმე მათ ღამღამობით; თუმცა დღესდღეობით ძნელადლა საცნობია იგი. ვარცხნილობის ოცნებათა კოშკიდან შევიძლია კვლავაც გარეთ გამოუხმო



ლაშაზად აზიდულ თმას, რომელიც ისედაც არა და არ გემორჩილება. შესაძლოა, ერთად აკრეფილი თმის ბუღულები ჩამოიშალოს და პირბადესავით დაგეფინოს სახეზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შესძლებ ამ თმის მოთვინიერებას. ის კი არა, შესაძლოა, შეძრწუნებული თმა თავისდაუნებურად ყალყზედაც დადგეს, ასეთი რამ ქრომეზუდამ ხდება! ამ თმას ხშირად კბილებჩამტვრეულ სავარცხელსაც ვადაუხსენებენ ხოლმე, მას კი არა და არ სურს დამორჩილება. აი, ახლა კი სულ უფრო და უფრო გაუგებარი რამ ხდება. დაწერილი სტრიქონები, მომხდარ ამბავს რომ ეხება, დროსავით გეცლება ხელიდან, და, ეს მხოლოდ იმ დროს არ ეხება, რომელიც წერას მოანდომე, დროს, როდესაც ვერ გრძნობ, რომ ცოცხალი ხარ. არავის არაფერი დაუკარგავს იმის გამო, რომ თავი ცოცხლად არ უგრძვნია, იქნება ეს ცოცხალი ადამიანი თუ მოკლული დრო; მიცვალებულზე ხომ ამას, მით უფრო, ვერ იტყვი და ვერა. ის დრო, როდესაც ვერ კიდევ წერდი, სხვა მწერლების ნაწარმოებებში იჭრებოდა, და, რაკილა მას დრო ჰქვია, ერთბაშად ბევრი რამის გაკეთება შეუძლია: იგი ერთდროულად შენს საკუთარ ნაწერშიც შეიჭრება და სხვებისაშიც; ის იმ სხვების აჩეჩილ ვარცხნილობებს მაცოცხლებელი, თუმცა კი ავბედითი ქარივით დაუვლის, რომელიც უეცრად და მოულოდნელად ამოვარდება სინამდვილის წიაღიდან. მაგრამ, თუკი რაიმე ერთხელ აბობოქრდა, ის ალბათ ისე სწრაფად ველარ დაცხრება. მშფოთვარე ქარი კი დაჰქრის და თან მიერეკება ყველაფერს, სულერთია საით, მაგრამ იგი აღარასოდეს მიუბრუნდება იმ სინამდვილეს, რომელსაც ასახვა სჭირდება. დიახ, ეს ქარი ყველა მიმართულებით იქროლებს, ოღონდ იქით, სინამდვილისკენ — არა. სინამდვილე არის ის, რაც თმებსა და ტანსაცმელს ქვემოდან დაუვლის, ადგილიდან მოგლეჯს, მერე კი რაღაც სხვაში შეიჭრება. როგორ შეიძლება მწერალი იცნობდეს სინამდვილეს, როდესაც სწორედ ეს სინამდვილე შეიჭრება მასში, მერე კი მას ადგილიდან მოგლეჯს და სადღაც გვერდზე გააქროლებს? იქიდან მწერალი, ერთის მხრივ, ყველაფერს უკეთესად ხედავს, მაგრამ, მეორეს მხრივ, თავად ველარ დარჩება სინამდვილის ამ გზაზე. იქ მწერლის ადგილი არ არის. მისი ადგილი ყოველთვის სადღაც, ამ გზის გადაღმაა, და, რასაც იგი გამოლმობიდან ჩასწვდება და იტყვის, მხოლოდ იმის აღქმა შეიძლება, სწორედ იმიტომ, რომ იგი ორაზროვნად ამბობს რაღაცას. და, აი, აქ, ჩვენს წინაშე ამოტივტივდება ის ორი საჭირო და ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რომლებიც შეგვახსენებენ, რომ არაფერიც არ ხდება; ისინი სხვადასხვა სვლა-გეზზე მიგვანიშნებენ და ხელისცეცებით ჩაუყვებიან ფსკერგამოცლილ ნიადაგს, კბილებჩამტვრეულ სავარცხელს რომ მოგვაგონებს. ან ასე უნდა ხდებოდეს, ან ისე. ეს სინამდვილე ან ნამდვილი უნდა იყოს, ან ყალბი. ეს, ადრე თუ გვიან, ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ფსკერგამოცლილი ნიადაგი სამშენებლოდ არ გამოდგებოდა. განა შეიძლებოდა ამ ლარტაფში კიდევ რამის აშენება? მაგრამ ის ფსკერგამოცლილი ნიადაგი, რომელიც მწერლების თვალსაწიერშიც მოექცევა ხოლმე, მაინც საკმარისია იმის შესაქმნელად, რის შექმნაზე მათ შეეძლოთ ხელიც აეღოთ. დიახ, მათ შეეძლოთ ეს ფსკერგამოცლილი ნიადაგი ხელუხლებლად დაეტოვებინათ; აკი სტოვებენ კიდევ და არ ეძალებიან მას. მწერლები ამ ფსკერგამოცლილ ნიადაგს მხოლოდ თავიანთი დაბინდული თვალებით აკვირდებიან, მაგრამ ეს დაბინდული მზერა

მას უფრო სასურველს ვერ ხდის. ეს მწერა ზუსტად ხვდება მიზანს; პოდა, ის, რასაც ეს მწერა მიზანში ხვდება, მუსლმოკვეთილი კიდევ რა-ღაცის თქმას ლამობს, თუმცა ის, რაც მიზანში მოხვდა, ჯერაც არავის უხილავს, მას ჯერაც არ მოხვედრია საზოგადოების მახვილი მწერა.

მიზანში ამოღებული არასოდეს ამბობს, რომ ყველაფერი შეიძლება ბოდა სხვაგვარად ყოფილიყო, ვიდრე იგი ამ აღწერას მსხველქმედებებში ეწირებოდა. ის ზუსტად იმას ამბობს, რაც სჯობდა, უთქმელი დარჩენილიყო (ნუთუ იმიტომ, რომ ამის თქმა უკეთ შეიძლებოდა?), რადგან რასაც ის ამბობს, ყოველთვის გაურკვეველი და ნიადაგამოცლილია. ძალიან ბევრი ვინმე უკვე წელამდე ჩაეფლო ამაში. ეს ის მფრინავი ქვიშაა, რომელიც არაფერს ატოკებს. იგი ნიადაგამოცლილია, თუმცა ფსკერი კი აქვს. ეს ქვიშა სასიამოვნოა, მაგრამ არ კი უყვართ ხოლმე.

განზე დგომა ცხოვრებას ემსახურება, ცხოვრებას, რომელიც ზუსტად ამ ადგილას არ მიედინება; ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ყველანი ხომ მის შუაგულში აღმოვჩნდებოდით და ვერ შევიგრძნობდით ამ სრულყოფილი, სისხლსავსე ადამიანური ცხოვრების გემოს. ცხოვრებაზე დაკვირვება მოითხოვს, რათა მუდმივად თვალყური ვადევნოთ იმას, რაც სხვაგან ხდება, იქ, სადაც შენ არა ხარ. რა საჭიროა ვინმეს ლანძღვა-გინება იმის გამო, რომ იგი ამქვეყნად ხეტიალისა თუ ცხოვრებისეული მოგზაურობის გზაზე უკან დაბრუნებას ველარ ახერხებს? თუკი ადამიანი ამ მოგზაურობამ სადღაც წაიყვანა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ვინმე სხვასთან მიიყვანა ან შემდგომშიც მის სადღაც წაყვანას ლამობს; არა, ცხოვრებამ ეს ადამიანი უბრალოდ იმ მტვერით ატარა, ფეხსაცმელს რომ დაედება ხოლმე ზემოდან და დიასახლისისთვის აგრერიგად საძულველია, თუმცა ისეთი საძულველი მაინც არ არის, როგორც ადგილობრივ მკვიდრთათვის შორიდან მოსული გადამთიელი. ნეტავ რა მტვერია ეს, რადიოაქტიურია იგი თუ მხოლოდ აქტიური? ამ კითხვას უბრალოდ იმიტომ ვსვამ, რომ ეს მტვერი უჩვეულოდ ნათელ კვალს სტოვებს გზაზე. იქნებ ეს ის გზაა, რომელიც პარალელურად მიემართება და აღარასოდეს შეხვდება იმას, ვინც წერს? ან იქნებ, ვინც წერს, სწორედ ის ადამიანია, ვინც გზის გადაღმა გარბის? მას მთლად მკვდარი ჯერ არ ეთქმის, მოკვეთილი კი მაინც არის. ამ თავისი განმარტობიდან აკვირდება იგი იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მრავალსახეობით მისგანაც განსხვავდებიან და ერთმანეთისგანაც, აკვირდება, რათა ისინი მთლიანობაში წარმოაჩინოს და ფორმა მისცეს, რადგან ფორმა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. ვინც წერს, ამ ფორმას იქიდან უკეთ ხედავს. თუმცა ნაწერს ხშირად ცარცის შტრიხ-კორექტორსაც გადაუსვამენ ხოლმე. მაგრამ ისე ხომ არ გამოდის, რომ წერის გზა ცარცის შტრიხების ნაკვალევითაა აღბეჭდილი და არა ფოსფორისებრი მარკერებით? ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი მარკირება, ერთსა და იმავე დროს, რაღაცასაც აღნიშნავს და თან კვლავაც მაღავს, ხოლო იმ კვალს, რომელიც თავად გაავლო, შემდგომ ამისა, ისევ გულმოდგინედ წაშლის. შენ იქ საერთოდ არ ყოფილხარ, მაგრამ მაინც იცი, რა ხდება. იქ მომხდარ ამბებზე ეკრანიდან ჩამოგძახიან ტკივილისგან დაღრეჯილი, სისხლით მოთხვრილი თუ დამაკიაყებული, მოცინარე სახეები, პომადის წასასმელად საგულდაგულოდ წინგამოშვერილი ტუჩები;

აქ ნახავთ იმათაც, ვინც ვიქტორინის რომელიმე კითხვას სწორად უპასუხა, ანდა ნამდვილ ყბედებს, იმ ქალებს, რომლებსაც აქ არაფერი ესაქმებათ, ახლა კი ფეხზე წამომდგარან, უაკეთი გაუხდიათ და კამერის წინ გამოუფენიათ თავიანთი სულ ახლახან გამკვრივებული, ადრე კი აგრერივად ნაწრობი, მამაკაცებისთვის განკუთვნილი მკერდები. ამას მიუმატეთ უამრავი ხახა, საიდანაც სიმღერის ხმები პეროდინს მუსიკული მყრალი სუნით იფრქვევა, ოღონდ უფრო ხმამალლა. ამ გზაზე რომ მდგარიყავი, იქიდან დაინახავდი ყველაფერს; და, აი, შენ ამ გზას ჩამოეცლები გზიდან. შესაძლოა, როდესაც მარტო რჩები, ამ გზას შორიდან სიამოვნებითაც გასცქერი, რადგან ამ გზის დანახვა გინდა, ამ გზით სიარული კი — არა. ნეტავ ამ ბილიკმა ახლა რაღაც ხმაური ხომ არ გამოსცა? იქნებ მას მხოლოდ ნათებით კი არა, ხმაურითაც სურს მიიბყროს მყვირალა ადამიანების, მყვირალა ნათების ყურადღება? იქნებ იმ გზას, რომელზედაც ადამიანი ვერ ივლის, ეშინია, რომ სულაც უვალი იქნება? ეს ხომ ის გზაა, რომელიც ამდენ ცოდვას მალავს, სადაც გამუდმებით ხდება წამება, დანაშაული, ქურდობა, საშინელი ძალადობები, სადაც აუცილებლად სირთულე ახლავს ამქვეყნად ყოველგვარი მნიშვნელოვანი ბედისწერის გამზადებას? გზა ამას აინუნში არ აგდებს და ყველაფერს მედგრად, თუმც კი უნიადაგოდ იღებს თავის თავზე, ამ ფსკერგამოცლილ მიწაზე. როგორც იტყვიან ხოლმე, თმა ყალყზე მიდგება, და კაციშვილი არ მეგულება, ვინც მას მტკიცე ხელით აიძულებდა, დაშოშმინებულიყო. ჩემშიც არ არის არავითარი სიმტკიცე. დიახ, ჩემში, არც გარეთ და არც შიგნით. როდესაც განზე დგახარ, ყოველთვის მზად უნდა იყო, გვერდზე, სიცარიელეში, პატარ-პატარა მანძილზე, იმ ადგილას გადასახტომად, რომელიც იქვე განზე განდგომის გვერდითაა. განზე — განდგომასაც იქვე გამზადებული აქვს თავისი განზეგანდგომის ხაფანგი, რომელსაც ნებისმიერ ღროს პირი აქვს დაღებული, რომ შიგნით ღრმად შეგითრიოს. ღრმად შეტყუება კი გამოტყუებას ნიშნავს. იცით, ახლა აღარ მინდა, თვალს მიეფაროს ეს გზა, რომელზედაც არ ვდგავარ?! მე ხომ პატიოსნად, უპირველეს ყოვლისა კი, სწორად და ზუსტად მინდა მისი აღწერა! ამ გზას რომ გავყურებ, ესეც უკვე რაღაცას ნიშნავს, მაგრამ ამ გზას არაფრით არ შეუძლია ჩემი ხსნა; იგი არც არაფერს დამიტოვებს. მაშ, სხვა რაღა დამრჩენია? დიახ, ამ გზაზე სიარულს ვერ შევძლებ, ის ჩემთვის ჩაიკეტა და გზას როგორღა გავაგრძელებ? ჰოდა, მეც თითქოს მივდივარ და თან ვერც მივდივარ. იქაც მინდა, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით დაცვა მყავდეს. დაცვა მჭირდება იმ ფსკერგამოცლილი ნიადაგის საფრთხისგანაც, რომელზედაც ვდგავარ. ჩემი ენა ჩემივე უსაფრთხოების მიზნით მომყვება გვერდით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ არა, რომ დამიცვას. იგი იმასაც ამოწმებს, სწორად ვაკეთებ რაღაცას თუ არა, ყალბად აღვწერ სინამდვილეს თუ ყალბი სიმართლით, რადგან ეს სინამდვილე მუდამ ყალბად უნდა იქნას აღწერილი, მას სხვაგვარად არ შეუძლია. მაგრამ ეს ისე ყალბად უნდა ხდებოდეს, რომ ვინც არ უნდა წაიკითხოს ან მოისმინოს იგი, ეს სიყალბე უმალ უნდა შეამჩნიოს. ენა ხომ ტყუის! ენა ის ნაგაზია, რომელსაც ჩემი დაცვა ევალება; განა ამისთვის არ მყავს იგი! და, ახლა, სწორედ ეს ნაგაზი, ეს ჩემი და-

ცვა მეცემა ხოლმე და ჩემი დაკბენა სურს! ერთადერთი დაცვა იმისაგან, რასაც აღწერ, ენაა. იგი ჩემს გვერდითაა იმის გამო, რომ, პირიქით, ისეთი რამ აღწეროს, რაც მე არ მგულისხმობს (განა ამის აღწერად არ ვხარჯავ ამდენ ქალაქს?!). ჰოდა, ეს ჩემი ერთადერთი დაცვა ჩემსავე წინააღმდეგ შემობრუნდება ხოლმე. ალბათ ეს ენა სკერფოდ მხოლოდ იმიტომ არსებობს ჩემთვის, რომ ჯერ თავი მოიკაფუნოს, ყველაზე მიცავს, მერე კი დასაკბენად მეცეს. და, რაკი წერის დროს დაცვას ვეძებდი, ჩემი ეს მზადყოფნა, რომელსაც ენა ჰქვია და, რომელიც მოძრაობისა და ლაპარაკის დროს თითქოსდა საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა, ახლა ჩემს წინააღმდეგ შემობრუნდება ხოლმე. არც გასაკვირია! მე ხომ მას მაშინვე უნდობლობა გამოვუცხადე! ნეტავ რა შეიძლება უწოდოს კაცმა ისეთ შენიღბვას, როდესაც, ნაცვლად იმისა, რომ უჩინარი გახდე, სულ უფრო და უფრო ხილული ხდები? ენა ხომ ზოგჯერ შეცდომით აღმოჩნდება ხოლმე ამ გზაზე, მაგრამ იქიდან გადახვევა აღარ სჩვევია?! ეს პროცესი, რომელსაც ენით საუბარი ჰქვია, სულაც არ არის წინასწარ დადგენილი; ეს უნებურად თვითნებური პროცესია, გინდა შენ ეს თუ არა. ენამ კი იცის, რა უნდა. მისთვის კარგია, რომ მე ეს ზუსტად არ ვიცი და, არც ის ვიცი, რა სახელი ჰქვია ამას.

ეს სიტყვები, ეს საუბარი ახლა სადღაც, გადამა გახშიანდება; ეს თითქოს ლაპარაკია, რომელსაც არც თავი უჩანს და არც ბოლო, მაგრამ ეს არ არის ლაპარაკი. ჰოდა, ეს ლაპარაკი გაისმის იქ, გადაღმა, სადაც ყოველთვის სხვები არიან, მაგრამ იქ ყოფნა არ სურს, რადგან ძალიან ბევრი საქმე აქვთ. დიახ, იქ, გადაღმა, მხოლოდ ისინი არიან, მე კი — არა. და, მხოლოდ ენა, რომელიც დრო და დრო მშორდება ხოლმე, კინოკამერასავით მიუყვება იმ დანარჩენების კი არა, არამედ იქ, გადაღმა, კარგად აღწერილ გზაზე მდგომი, ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანების თითოეულ მოძრაობას (ნეტავ ამ გზაზე კიდევ თუ დაიკარგება ვინმე?), რათა ენამ ის მაინც შეიტყოს, როგორია ცხოვრება და რას წარმოადგენს იგი, რადგან მას სწორედ ამ დროს არ ეთქმის ცხოვრება; შემდგომ ამისა კი ეს ყველაფერი აღწერილი უნდა იქნას ისეთი სახით, როგორიც იგი ნამდვილად არ არის. ეთქვათ, იმაზე ვსაუბრობთ, რომ წინასწარ გამოკვლევასზე უნდა წავიდეთ. მაგრამ უეცრად, იმ ადამიანივით ვიწყებთ ლაპარაკს, რომელსაც არჩევანი აქვს და შეუძლია, არც ილაპარაკოს. ყოველთვის კი ისე ხდება, რომ ენა ჩემგან მიდის, მე კი — განზე ვრჩები. ენა მიდის, მე კი ვრჩები, მაგრამ გზაზე კი არა, — განზე. და, ენა ჩემს მიღმა რჩება.

არა, ენა ჯერაც აქ არის. ნუთუ იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ იყო და იმაზე ფიქრობდა, ვიზე მოიპოვებდა უპირატესობას? აი, ამ ენამ ახლალა შემამჩნია და მაშინვე დამიტატანა.

დიახ, იგი ბედავს თავდაჯერებული იყოს და მბრძანებლობდეს ჩემზე; იგი ხელს აღმართავს ჩემზე; მე არ ვუყვარვარ ამ ენას. იგი სიამოვნებით შეიყვარებდა იქ, იმ გზაზე მყოფ სათნო ადამიანებს, რომელთა გვერდითაც ძალღვივით გარბის და თავს იკატუნებს, თითქოს ასეთი მორჩილი იყოს. სინამდვილეში იგი მარტო მე კი არა, ყველას ეურჩება. ენა თავისთვის არსებობს. ლამდამობით ყვირის, რადგან ამ გზის გასწვრივ იმ ლამპიონების ანთება დავიწყებით, რომელთაც საკ-

ვებ წყაროდ მხოლოდ მზე აქვთ და სულაც არ სჭირდებათ ჩვეულებრივი დენის წყარო საიმისოდ, რომ ამ ბილიკს საკადრისი სახელი შეარქვან. თუმცა ამ ბილიკს ისედაც იმდენი სახელი აქვს შერქმეული, რომც მონდომით, ყველას ჩამოთვლას მაინც ვერ აუხვალთ. აი, ასე უღალად დარჩენილი, ყვირილით ვესმიანები გაღმა მხარეს და თან მძვინვარებულთა საფლაგებზე დავაბიჯებ; ჰოდა, რაკი ამ გზას გვერდის ჩაყვრის ვეღარ ვამჩნევ, რაზე ვაბიჯებ და ვის ვთელავ. მხოლოდ ის მინდა, როგორმე იქით გავიქცე, სადაც ჩემი ენა უკვე ჰგებებს და კბილებდაკრეჭილი დამცინავად შემომცქერის. მან ხომ იცის, რომ, თუკი ერთხელაც იქნება, სიცოცხლეს ჩავეჭიდები, იგი უმალ ჯერ ცხვირში ამომცხებს, მერე კი ზედ მარილსაც მომაყრის. დაე, ასე იყოს. ამრიგად, თუკი სხვების გზასაც მოვაყრი მარილს, მე ამ გზას მიმართულებას შევუცვლი; მის გადაღმა კი ხრემ მარილს დავყრი, რათა იმ სხვების ყინულიც გადნეს და ენას საყრდენი გამოეცალოს. მაგრამ მას ხომ ეს საყრდენი დიდი ხანია გამოცლილი აქვს?! და ესეც, მისი საყრდენგამოცლილი თავხედობაა! თუ მე მყარ ნიადაგზე არ ვიდგები, ამის უფლება ჩემს ენასაც არ უნდა ჰქონდეს! ახია მაგაზე! რატომ არ დარჩა ჩემთან, რატომ განმიდგა განზე და დამშორდა? რაო, იქნება ჩემზე მეტის დანახვა სურდა?

იქნება მეტის დანახვა სურდა იქ, გადაღმა, მთავარ გზაზე, სადაც უფრო მეტი ხალხია, უპირველეს ყოვლისა კი, იქ უფრო სასიამოვნო ადამიანები არიან, რომლებიც ერთმანეთში ტკბილად საუბრობენ? იქნება სურდა, ჩემზე მეტი სცოდნოდა? მან ხომ თავიდანვე ჩემზე მეტი იცოდა? მაგრამ, არა! მას სურს სულ უფრო და უფრო მეტი იცოდეს. ალბათ საკუთარ თავსაც ამოიჭამს და გაანადგურებს ეს ჩემი ენა. იგი ალბათ ფაშვს ამოივსებს და გასკდება ამ სინამდვილით. ახიც იქნება მაგაზე! მე იგი ამოვარწყვიე, თავად ეს ენა კი არაფერს არ ამოარწყვიე, რადგან მშვენიერად იცის საკვების ფასი. ჩემი ენა აქეთ, განზე გამომიხმობს, დიახ, იგი სიამოვნებით გამომიხმობს განზე, რადგან აქ აღარ მოუხდება ჩემი ზუსტად ამოღება მიზანში, ეს არც დასჭირდება, რადგან ის ხომ პირდაპირ მიზანში ურტყამს, ისე რომ ხმა-კრინტს არ ძრავს, და, როგორც ჰაიდვეგერი ამბობს თრაკლზე, მხოლოდ „განწირული კაცის პირქუშობით“ ლაპარაკობს. ენა თავისთან მიხმობს. დღეს-დღეობით ეს შეუძლია ყველას, ვინც თავის ენას მუდმივად თან დაატარებს პატარა ხელსაწყოთი, რათა ლაპარაკი შეეძლოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, რა საჭირო იქნებოდა ლაპარაკის სწავლა? ამრიგად, მე ეს ენა იქითკენ მიხმობს, სადაც ხაფანგში ვებმები, ვყვირი და ვფართხალებ; თუმცა არა, ასე არ არის! ჩემი ენა სწორედაც რომ არ მიხმობს; ის ხომ წავიდა ჩემგან და მერე აღარ დამბრუნებია! ეს ენა იძულებულია, გაღმიდან შემეხმიანოს, ყურში ჩამყვიროს, სულერთია, რომელი ხელსაწყოთი, იქნება ეს ავტომობილსა, მობილური თუ ფიჭური ტელეფონი. ენა იქიდან ისე ჩამბლავის ყურში, რომ აზრი არა აქვს რამის თქმას, ამას იგი თავადაც ახერხებს; მე კი უბრალოდ უნდა წარმოვთქვა ის, რასაც ჩემი ენა მიკარნახებს. მით უფრო ნაკლებად ექნებოდა აზრი საკუთარი აზრის გაზიარებას საყვარელი ადამიანისათვის, რომელიც წაიქცა, და, რომელსაც ენდობი; მაგრამ, რაკი წაიქცა, იგი ისე

სწრაფად ველარ წამოდგება, რათა თან გამოგყვეს და ცოტ-ცოტა დაი-  
ლაპარაკოს კიდევ. ამას აზრი არა აქვს.

ჩემი ენით თქმული, იქ, გადაღმა, სასურველ გზაზე (ვინც, იმ  
გზით სიარული უფრო სასურველია, რომელსაც, კაცმა რომ თქვას,  
სულაც არ ეთქმის გზა, მაგრამ მე ამის დანახვა ზუსტად ვერ შეძელი,  
თუმცა კი ვიცი, რომ იქაც სიამოვნებით დავყოფდი), ამიტომ ჩემს ენით  
თქმული, როცა ეს ენა განმიდგა, მყისვე ჩემი აზრის გამომხატველად  
იქცა. არა, ეს არ არის აზრის გამოთქმა ვინმესთვის. აზრის გამოთქმის  
დროს ჩემი ენა საკუთარ თავს უგდებს ყურს, ამოწმებს მას, რადგან გა-  
მოთქმული აზრის გამოსწორება მუდამ და ყოველ დროს შეიძლება; დი-  
ახ, ენას ყოველთვის შეუძლია აზრის გამოსწორება; ბოლოს და ბოლოს,  
განა ენა მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, რომ გამოსწორდეს და შე-  
მდეგ ახალ წესებს დაემორჩილოს?! ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ  
ეს წესები უმაღლეს კვლავ დაარღვიოს. მერე კი ეს ახალი წინააღმდეგობის  
დაძლევის გზად გადაიქცევა ხოლმე. რა თქმა უნდა, მე აქ სიძნელის  
გადალახვას ვგულისხმობ. ესაა სწორედ ამ გამოცანის გასაღები. ძვირ-  
ფასო ენავ! ნუთუ არ გინდა, მანამდე ერთხელ მაინც მომიხმინო?  
ამას იმიტომ გთხოვ, რომ რაღაც ისწავლო, რომ ბოლოს და ბო-  
ლოს ისწავლო აზრის გამოთქმის წესები! რატომ ყვირი და ილანძლები  
მანდ, გადაღმა? ენავ, იქნებ ასე იმიტომ იქცევი, რომ კვლავაც შეგი-  
ნდო და მიგილო? მე კი მეგონა, სულაც არ გინდოდა ჩემთან დაბრუ-  
ნება! შენ ხომ არც კი გინიშნებია ჩემთვის, რომ უკან დაბრუნება გი-  
ნდოდა! თუმცა ამას აზრი მაინც არ ექნებოდა, მე მაინც ვერ მივხვდე-  
ბოდი, რას მანიშნებდი. ნუთუ გგონია, ენად მხოლოდ ის გაქცევდა,  
ჩემგან თუ წახვიდოდი და ამით საიმედოდ დაიცავდი ჩემს წასვლას?  
მაგრამ იქ საიმედოდ ვერაფერს ვერ დაიცავ, და, შენ რომ გიცნობ, ეს  
ხომ მით უფრო არ მოხერხდება და არა! სულაც ვერ გიცნობ! ნუთუ  
შენი ნებით გინდა ჩემთან დაბრუნება? მე აღარ მიგიღებ!

ამაზე რაღას იტყვი? წასვლა წასვლაა. წასვლა გზაზე დგომას  
არ ნიშნავს. ამრიგად, ჩემი მარტოსულობა, ჩემი დღენიადაგ განზე გან-  
დგომა საკუთარი ენის უკან დაბრუნების მიზნით, იმ მიზნით, რომ ჩემს  
კალთას საიმედოდ თავშეფარებული ენა ბოლოს და ბოლოს მშობლიურ  
სახლში, მისი წიაღიდან აღმომხდარი მშვენიერი ბგერების სახით მო-  
მევილინებოდა, განა მხოლოდ იმისთვის არ იყო გამიზნული, რომ ენას  
სირენის მსგავსი გამჭოლი, გამკივანი ხმით, კიდევ უფრო მეტად, დი-  
ახ, სულ უფრო და უფრო მეტად გავუქანებინე გზის გადაღმა სივრცეში  
(ნუთუ ეს იყო ჩემი მიზანი? ნუთუ იმიტომ შევქმენი იგი, რომ მაშინვე  
გაქცეულიყო ჩემგან, რაკილა თვითონ ვერ მოვახერხე, გავქცეოდი სა-  
კუთარ თავს?). ჩემი ენა კი უკვე განცხრომით კოტრილობს თავის სა-  
ფლობში, გზის პირას მდებარე, პატარა, დროებით სამარეში. ამ სამა-  
რიდან შეპყურებს სივრცეს ეს მოთვინიერებული ცხოველი, რომელიც  
ნებისმიერი ენის მსგავსად, ცდილობს ადამიანებს თავი მოაწონოს. იგი  
კოტრილობს და ფეხებს ფარჩხავს, ალბათ იმიტომ, რომ ვინმეს თავი  
მოაფერებინოს; მაშ აბა სხვა რისთვის სჭირდება ეს ყველაფერი? ის  
ხომ ჭკუას კარგავს მოფერებაზე?! ეს კი ხელს უშლის იმაში, რომ მიც-  
ვალბულებს თვალყური ადევნოს; სამაგიეროდ, მე უნდა მეჭიროს მა-

თზე თვალი; ბუნებრივია, ახლა ეს საქმე მე მაქვს მონდობილი. აქედან გამომდინარე, დიასაც, რომ არ მქონდა დრო, კლიტე დამედო ჩემი ენისთვის, ახლა ასე უსირცხვილოდ რომ კოტრიალობს შიარშიყეტა ხელებში. უბრალოდ, არსებობს ძალიან ბევრი მიცვალებული, რომლებზედაც, ავსტრიულ გამოთქმას თუ ვიხმართ, თვალი უნდა შეჭირვოს, რაც ნიშნავს, რომ მათზე უნდა ვიზრუნო და კარგად უნდა მოვუპოვო; ჩვენ ხომ სწორედ იმით გავითქვით სახელი, რომ ყველას კარგად ვექცევით! ახლა უკვე მთელი მსოფლიო ზრუნავს ჩვენზე, მაგრამ დარდი ნუ გაქვთ! ეს თავად ჩვენი საზრუნავი არ არის. ერთი კია, რაც უფრო მკაფიოდ ხშიანობს ჩემში იმის მოთხოვნა, რომ მიცვალებულებზე ზრუნვაა საჭირო, მით უფრო ნაკლებად ვახერხებ, ყურადღება მივაპყრო ჩემს სიტყვებს. ჩემი ვალია, თვალი მეჭიროს მიცვალებულებზე, რომლებსაც გამვლელ-გამომვლელები ეფერებიან და ელაციციებიან; ეს კი მიცვალებულებს საფლავებიდან ვერ წამოაყენებს! ამაში ბრალს ვერავის დასდებ! ჰოდა, მეც, ჩემს თმასავით აბურდული, დამნაშავე არა ვარ იმაში, რომ მიცვალებულები მიცვალებულებად რჩებიან. მინდა, რომ იქ, გადაღმა, უცხო ხელებში გამომწყვდეულმა ენამ მონობას დააღწიოს თავი, თუნდაც ეს ხელები სიამოვნებას ანიჭებდნენ მას; დიას, მინდა, რომ ის მოთხოვნებს კი არ აყენებდეს, არამედ თავად გადაიქცეს იმის მოთხოვნად, რომ ბოლოს და ბოლოს ალერსის მონა კი არ უნდა იყოს, არამედ ჩემთან დაბრუნების მოთხოვნას უნდა დაემორჩილოს. ენას ყოველთვის მართებს მორჩილება; მას კი ეს ხშირად ავიწყდება და ყურსაც არ მათხოვებს. დიას, ენას მორჩილება მართებს, რადგან არიან ადამიანები, მისი, ასე ვთქვათ, შვილად აყვანა რომ უნდათ, და, ისიც ხომ სიყვარულს არ იშურებს, თუკი მას საპასუხო სიყვარულს მიაგებენ?! მაგრამ ადამიანები მორჩილებაზე ყოველთვის უარს აცხადებენ, ისინი მხოლოდ განკარგულებებს გასცემენ, მორჩილებით კი არავის არ ემორჩილებიან; ის კი არაა, გულისხმიერი ურთიერთობის თაობაზე ენის მიერ გაცემული ბრძანება ბევრმა მათგანმა უმალ დაგლიჯა, დაწვა და მოსპო და მასთან ერთად მისი კვამლიც ქარს გაატანა. დიას, ასეა ეს. ამრიგად, რაც უფრო მეტი ადამიანი დაჰყვება ჩემი ენის მოთხოვნას, გუნდრუკი უკმეოთ მას, ოდნავ აბურდონ იგი და მისი ნდობა სიამოვნებით აღიარონ, მით უფრო მეტმის ენა, ვგრძნობ, რომ ეს ენა საბოლოოდ მსხვერპლად შეეწირა იმათ, ვინც მას უკეთურად ეპყრობა.

მე კი თითქოს ჰაერში დავფრინავ, არ ვიცი, ვერ გამიგია, სად არის ის გზა, საასპარეზოდ რომ მჭირდება? საით მივდივარ, როგორ დარისთვის? როგორ მივიდე იმ ადგილამდე, სადაც ჩემი იარაღის დაძრობას, სინამდვილეში კი მის დაყრას შევძლებ? იქ, გადაღმა, ტოტებს შორის რაღაც ციმციმებს. იქნებ ეს ის ადგილია, სადაც ჩემი ენა თავდაპირველად სხვებს ემლიქვნელება და არწმუნებს მათ, რომ საფრთხე არ ემუქრებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავად მშვიდად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი? იქნებ იგი ისევ კბილებს ილესავს და საკბენად ემზადება? დიას, მას კბენა უნდა, იმ სხვებმა კი ჯერ არ იციან ეს; სამაგიეროდ, მე კარგად ვიციან ამ ენას; იგი ხომ დიდხანს იყო ჩემ გვერდით! ჯერ არის და, ადამიანები წინასწარ ელოლიავეებიან და ანებივრებენ ამ თითქოსდა თვინიერ ცხოველს, რომელიც თითოეულ მათგანს ისედაც

მოშინაურებული ჰყავს; ჰოდა, მაშინ რატომღა უნდა შეუშვან საკუთარ სახლში მათთვის უცხო ცხოველი? რატომ უნდა განსხვავდებოდეს ეს ენა იმ ენისაგან, რომელიც მათ უკვე იციან? და, თუკი ეს ენა ასეთი განსხვავებულია, მაშინ მისი მასპინძლობა არც თუ ისე უხიფათო უნდა იყოს. იგი ალბათ ვერ იგუებდა იმ ენას, რომელსაც ამ ადამიანებმა უკვე უმასპინძლეს. არსებობენ ამქვეყნად უცხო და თავაზიანნი მასპინძლები, რომლებმაც იციან ამ ცხოვრების ყადრი, მაგრამ სწორედ ამის გამო საკუთარი ცხოვრებისა ჯერაც ვერა გაუგიათ რა, რადგან ისინი მხოლოდ ალერსსა და მოფერებას ელტვიან. დიახ, მათ მიზანს მუდმივად რალაცისკენ ლტოლვა შეადგენს. ჰოდა, რაც უფრო მეტია ასეთი ადამიანი, მით უფრო აღარ ძალუძს ჩემს მზერას, განჭვრიტოს ენისკენ დასაბრუნებელი გზა. **Miles and more\***. ვის ძალუძს განჭვრიტოს რამე, თუ არა თავად ჭვრეტას? ნუთუ ენას უნდა ჭვრეტის ვალდებულებაც საკუთარ თავზე აიღოს? ნუთუ ენას მანამდე სურს ალაპარაკდეს, ვიდრე რამეს განჭვრეტს? ენა გორავს და კოტრიალობს სადღაც, მას ხელებს უცაცუნებენ და ელაციციებიან; ქარები აბობოქრებენ, გრიგალები ანებივრებენ. ვიდრე ამ ხმების მოსმენით შეურაცხყოფილი, საერთოდ არ მიანებებს თავს ყურისგდებას. კეთილი, მაშინ ყველამ აქეთ დაუგდოს მას ყური! ვისაც მოსმენა არ სურს, მან ილაპარაკოს, მაგრამ ისე, რომ მისი გაგონება არ შეიძლებოდეს. მოსმენით თითქმის არავის უსმენენ, თუმცა ლაპარაკით ყველა ლაპარაკობს. მე კი მისმენენ, მაგრამ ჩემი ენა მე აღარ მეკუთვნის და მისი დანახვა არ ძალმიძს. მის კვალდაკვალ ბევრ რამეს იმეორებენ; თავად მან კი ბევრი არ უნდა ილაპარაკოს, თუნდაც კარგად. ყურს უგდებენ და ესმით, რა აუჩქარებლად ლაპარაკობს ეს ენა; ამ დროს კი ვიღაც, სადღაც თითს აჭერს წითელ დილაკს და საშინელი აფეთქების ხმა გაისმის. ახლა მას ისლა დარჩენია, „მამაო ჩვენო, რომელი ხარ“ წარმოთქვას. ამ დროს არ შეიძლება ენა მე მგულისხმობდეს, თუმცა, ბოლოს და ბოლოს განა მე არა ვარ მამა ჩემი ენისა, და, მაშასადამე, დედაც. დიახ, მე მამა ვარ ჩემი დედაენისა. დედაენა დასაბამიდანვე არსებობდა, იგი ჩემში იყო, მაგრამ არსად ჩანდა მამა, რომელიც მას მამობას გაუწევდა. ჩემი ენა ხშირად უხამსი იყო, ამას აშკარად მაგრძნობინებდნენ ხოლმე, მაგრამ ამის გაგება არ მინდოდა. ჩემი ბრალია. მამამ დედაენასთან ერთად მიატოვა ეს პატარა ოჯახი, და, სწორადაც მოიქცა. მის ადგილას მეც არ დავრჩებოდი იქ. ახლა მამას ჩემი დედაენაც მიჰყვა; ისიც წავიდა, და, როგორც ამბობენ, ამჟამად იქ, გზის გადაღმა იმყოფება. ის ყურს უგდებს ამ გზაზე მოსიარულე ადამიანებს; ეს მამაჩემის გზაა, რომელიც ძალიან ადრე წავიდა. ახლა ამ ენამ იცის ისეთი რამ, რაც შენ არ იცი და არც მამაჩემმა არ იცოდა. მაგრამ, რაც უფრო მეტი იცის ამ ენამ, მით უფრო არაფრისმთქმელი ხდება იგი. რა თქმა უნდა, ეს ენა ერთთავად რალაცას ამბობს, მაგრამ იგი არაფრისმთქმელია. და, აი, განმარტოება დამშვიდობებას იწყებს. იგი აღარავის სჭირდება. კაციშვილი ვერ ამჩნევს, რომ მე ჯერაც შიგნით, ამ განმარტოებაში ვარ გამომწყვდეულია დიახ, მე არავინ მიწყევს ანგარიშს. პატივს ალბათ მაინც მცემენ, მაგრამ ანგარიშს არ

\* ბევრი და უფრო მეტი (ინგლ.).



მიწევნ. როგორ მივალწიო იმას, რომ ჩემმა სიტყვებმა რაღაც ისეთი თქვან, რაც ჩვენთვის რაღაცის თქმას მოახერხებდა? არა, იმ დროს არა, როდესაც ვლაპარაკობ. მე ხომ სულ ველარ ვლაპარაკობ; ჩემი ენა, ამჟამად, სამწუხაროდ, თავს შინაურულად ვერ გრძნობს. იქ, გადაღმა, ისეთ რამეს იტყვის ხოლმე, რაც მისთვის არ დამივალს, მაგრამ მისთვის ვაცემულ ბრძანებას უმაღლ ივიწყებს. ჩემი ენა არასდროს შეუბნება, თუმცა მე მეკუთვნის იგი. პოდა, თუკი ჩემი ენა არაფერს მეუბნება, სხვებს როგორღა ეტყვის რამეს?! მაგრამ იმაში კი უნდა დამეთანხმოთ, რომ იგი არც თუ ისე არაფრისმთქმელია. დიახ, ეს ენა მით უფრო მეტს ამბობს, რაც უფრო შორს არის ჩემგან. იგი მხოლოდ მაშინ ბედავს იმის თქმას, რისი თქმაც თავად ნებავს; აი, მაშინ ყოფნის გამბედაობა, არ დამემორჩილოს და წინააღმდეგობა გამიწიოს. როდესაც რაიმე საგანს ჭვრეტ, ეს საგანი მით უფრო გშორდება, რაც უფრო დიდხანს აკვირდები მას. როდესაც ლაპარაკობ, კვლავ ახერხებ მის მოხელთებას, მაგრამ მისი შენარჩუნება არ შეგიძლია. საგანი ხელიდან გისხლტება და საკუთარი სახელის კვალდაკვალ მიეშურება. დიახ, იგი იმ უამრავ სიტყვას მიჰყვება კვალში, მე რომ შევქმენი და მევე რომ დავკარგე. სიტყვები საკმაოდ ცვალებადია, ვაცვლითი კურსი კი — საშინლად დაბალი აქვთ. მერე კი ამ კურსზე მხოლოდ ეს შეიძლება ითქვას: იგი საშინელია. ჩემს სათქმელს ვამბობ და ეს სათქმელი მყისვე დავიწყებას ეძლევა. ენაც ხომ სწორედ ამისკენ მიისწრაფვოდა; ის ხომ ჩემგან წასვლას ლამობდა; ის, რისი თქმაც არ შეიძლება, ყოველდღე ითქმის, მაგრამ მე რასაც ვამბობ, იმის თქმის უფლება რატომღაც არა მაქვს. ეს ნათქვამის მხრიდან დიდი სიმდაბლეა, დიახ, ენითუთქმელი სიმდაბლე. ჩემს ნათქვამს არც კი სურს, მე მეკუთვნოდეს. მას სურს, რომ იგი სიტყვებით შექმნან, მერე კი თქვან: სიტყვა სიტყვააო. მე იმასაც ვიკმარებდი, თუკი ჩემი ენა უარს იტყოდა, ჩემი საკუთრება ყოფილიყო, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩემს ნაწილს მაინც უნდა შეადგენდეს იგი. რა ვიღონო, რომ ენამ ოდნავ მაინც გული მოიბრუნოს ჩემზე? და, რაკი სხვებს არაფერი აქვთ ხელჩასაჭიდი, ამიტომაც ვთავაზობ მას საკუთარ თავს. დამიბრუნდი! გთხოვთ, დამიბრუნდით! მაგრამ არა! ჩემი ენა იქ, ბილიკზე, ისეთ საიდუმლოებებს ისმენს, რომელთა ცოდნაც მე არ მეგების. მერე ამ საიდუმლოებებს იგი იმ სხვებს უმხელს, ვისაც მათი მოსმენა არ სურს. მე მაქვს ამის სურვილი, ეს უპრიანიც იქნებოდა ჩემთვის, და, გეთანხმებით, სასიკეთოდაც წამადგებოდა, მაგრამ ჩემი ენა არ მიჩერდება და ლაპარაკითაც არ მელაპარაკება. იგი სიცარიელეში იმყოფება, ეს სიცარიელე კი სწორედ იმით გამოირჩევა და ჩემგან იმით განსხვავდება, რომ იქ ძალიან ბევრნი არიან. სიცარიელე გზაა. მე კი თვით ამ სიცარიელის გადაღმა ვიმყოფები. ეს გზა უკვე მივატოვე. ყოველთვის ვიღაცის კვალდაკვალ ვიმეორებდი რაღაცას, სხვებიც იმეორებდნენ ჩემს კვალდაკვალ რაღაცას, მაგრამ თითქმის არაფერზე არ ითქმის, სწორიაო. მე ყველაფერს მხოლოდ საკუთარი თავის კვალდაკვალ ვიმეორებდი და გარწმუნებთ: ახლა სწორედ ამას ჰქვია ნამდვილად ენით გამოთქმული, და, როგორც იტყვიან, უბრალოდ ენით გამოთქმული რამ არის! ამდენი რამ კარგა ხანია აღარ თქმულა. მოს-

მენას საერთოდ აღარაფრად დაგიდევინ, თუმცა კაცს მოსმენა უნდა შეეძლოს, რომ რაღაცას მიეწიოს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რაც სინამდვილეში თვალის არიდებას ნიშნავს, და, მეც, ჩემდათავად, ამას თვალის არიდებას დავარქმევდი, ჩემს კვალდაკვალ ვერაფერს გამეორებენ. იქ სათქმელი არაფერი აქვთ, და, ეს ვერც ვერაფერს ვუყვებ. მე ამ ცხოვრებას მუდამ მხოლოდ თვალს ვადევნებ, ისევე როგორც ზურგს იმის გამო შემაქცევს ხოლმე, რომ მუცელზე უსირცხვილოდ განერთხას უცხო ადამიანების წინაშე და მათ თავი მოაფერებინოს. დიას, თუკი ჩემი ენა საერთოდ რამეს დამანახებს, ეს მისი ზურგია. ძალიან ხშირად ის არაფერს არ მანიშნებს და არც არაფერს მეუბნება ხოლმე. ხანდახან კი მას, იქ, გადაღმა, საერთოდაც ვეღარ ვხედავ. ახლა იმასაც ვეღარ ვამბობ: „როგორც მჩვეოდა თქმა-მეთქი“. მართალია, ასე ხშირად ვამბობდი, მაგრამ ამის თქმა ახლა აღარ შემიძლია, რადგან საამისოდ სიტყვები აღარ მყოფნის. ხანდახან ამ სიტყვების ზურგს ან ფეხისგულებს შევავლებ ხოლმე თვალს. ამ ფეხებზე შემდგარი სიტყვები მთლად გამართულად ვერ დადიან, მაგრამ ჩემზე სწრაფად მაინც შეუძლიათ სიარული. ამის უნარი დიდი ხანია აღარ შემწევს. რისი მაქნისი ვარ იქ? ნუთუ ჩემი საყვარელი ენა ამიტომ მოყუჩდა ჩემგან მოშორებით? რა თქმა უნდა, იგი ყოველთვის ჩემზე მარდი იქნება, უფრო სწრაფად წამოხტება და მოკურცხლავს, თუ გზის გადაღმა გადავალ მის წამოსაყვანად.

არ მესმის, რატომ უნდა გადმოვიყვანო აქეთ ჩემი ენა. იქნებ იმიტომ, რომ თავად არ გადამიყვანოს იქით? იქნებ ეს იცის ენამ, რომელიც გამექცა და მე აღარ მომყვება? ახლა ხომ იგი სხვების დანახულსა და ნათქვამს იმეორებს და მათ მარაქაში ნამდვილად ვერ გამრევს. ის სხვები სხვანაირები არიან, რადგან სხვები არიან. აქ სხვა მიზეზი არ არსებობს. ჩემი ენისთვის ეს საკმარისია.

მთავარი კი ის არის, რომ მე ამას ვერ ვიზამ: ვერ ვილაპარაკებ. სხვები, მუდამ ის სხვები არსებობენ, ოღონდ მე არ ვიყო ის, ვისი კუთვნილებაც იქნებოდა ჩემი ძვირფასი ენა. მისი ხელში ჩაგდება რომ მომეხერხებინა, განა მეც ისე სიამოვნებით არ მივეფერებოდი, როგორც იქ, გადაღმა ეფერებიან? მაგრამ ჩემი ენა იქ, გადაღმა, სწორედ იმიტომ არ არის, რომ მისი ხელში ჩაგდება ვერ შევძლო?! ნეტავ ოდესმე ჩუმად თუ გაიძურწება ჩემი ენა? ნეტავ ოდესმე თუ მოიმოქმედებს რამეს, რათა სიმშვიდემ დაისადგუროს? რაც უფრო ჩუმად ცდილობს ეს ენა გადაღმა მხარეს გაპარვას, მით უფრო ხმამაღლა ჩაესმის იგი კაცს ყურში. მერე კი ჩემი ენა ყველას პირზე აკერია და მხოლოდ ჩემი პირით აღარ საუბრობს იგი. უძლური არ მეთქმის, თუმცა ბნელით კი ვარ მოცული. დიას, უძილო ღამეებით გასავათებული, ჩემს ენას ისე გავცქერი, როგორც შუქურას ზღვაში, რომელმაც ვილაცას გზა უნდა გაუნათოს და, ამიტომ თავადაც განათებულია. შუქურა ბრუნავს და სიბნელეში ერთთავად გამოარჩევს ხოლმე ისეთ რამეს, რაც ისედაც იმყოფება იმ ადგილას, გაანათებენ მას თუ არა; ეს ის შუქურაა, რომელიც დახმარებით არავის არ ეხმარება, მაშინაც კი, თუ ვინმეს ძალიან სჭირდება მისი დახმარება, რომ წყლის ტალღებში არ შთაინთქას. რაც უფრო ვცდილობ ამ ენის ცეცხლის განელებას, მით

უფრო ჯიუტად არ ქრება იგი. ახლა ვცდილობ, ეს ცეცხლი ხელოვნურად გავანელო; მაგრამ, რაც უფრო მეტად მინდა ამ ცეცხლს ზევიდან გადავეფარო და იმ გრძელ ჟღუნად ვიქცე, რომლითაც ჩემს ბავშვობაში ეკლესიაში სანთლებს აქრობდნენ, ასე მგონია, ალი უფრო მეტად ღვივდება-მეთქი. დიახ, ჩემი ენა სულ უფრო და უფრო ხმაყვილის და კოტრიალ-კოტრიალით გამოივლის უამრავი ადამიანის სხეულში, რაც მე, სამწუხაროდ, არასოდეს მიცდია; მე ხომ თავადაც არ ვიცი, რა მომიტანდა სიკეთეს?! ჩემი ენა იმიტომ გაჰყვირის ახლა, რომ, რაც შეიძლება, შორს იყოს ჩემგან. ის გაჰყვირის იმ სხვეების გასაგონად, რათა მათ მოძახილი უთხრან, ბუკი და ნალარა დაჰკრან და უფრო მეტი ხმაური ატყდეს. ენა გაჰყვირის, არ მომეკაროთ; და, გამოდის, რომ საერთოდ არავინ არავის არ უნდა გაეკაროს. უკვე ნათქვამი სიტყვა ოდნავადაც კი არ უნდა უახლოვდებოდეს იმას, რისი თქმაც კაცს სურს. საკუთარ ენასთან ახლოს არ უნდა მიხვიდე; ეს შეურაცხყოფად ითვლება. ენა სრულიად მზად არის იმისთვის, რომ საკუთარი თავის კვალდაკვალ რაღაც თქვას; მაგრამ ამას ენა გამკივანი ხმით ამბობს, რათა კაციშვილი ვერ მიხვდეს, რომ, რასაც ის ამბობს, წინასწარ ჰქონდა შეწყერილი. ენა რაღაც-რაღაც დაპირებებსაც მაძლევს, ოღონდაც გზიდან ჩამოვეცალო. დიახ, რაღას არ მპირდება, ოღონდ ახლოს არ გავეკარო. არადა, მილიონობით ადამიანს აქვს მასთან ახლოს მისვლის უფლება, მხოლოდ მე-არა! ამ დროს იგი ჩემი კუთვნილებაა! აბა, რას იტყვი ამასზე? მე, ჩემდათავად, არ ვიცი, რა ვითხრათ! ამ ენას ნამდვილად დაავიწყდა, სად იღებს სათავეს. სხვაგვარად ვერ ამიხსნია ეს ყველაფერი. ერთხელაც იგი ცარიელ ადგილზე გაჩნდა. არადა, მერე რა სიმალეებს მიაღწია, ამას ენა ვერ იტყვის! ახლა მას ველარ ვცნობ. ამ ენას ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როდესაც სუ...ლ პაწაწინა იყო. რა სიმშვიდე სუფევდა იმხანად, როდესაც ენა ჯერ კიდევ ჩემს შვილად მიმაჩნდა! ახლა იგი ბუმბერაზად ქცეულა, მაგრამ ეს აღარ არის ჩემი შვილი. ბავშვი არ დაკაცებულა, სამაგიეროდ, როგორ გაიზარდა?! მან არ იცის, რომ ჯერაც კალთაზე მყავს გამობმული, თუმცა თავი ფხიზლად უჭირავს და ისეა შემართული, რომ მისი გამკივანი ხმა საკუთარ თავსაც გადაფარავს და ნებისმიერ სხვასაც, ვინც მასზე ხმამაღლა კივის. მერე ეს ხმა თვალშეუდგამ სიმალლეზე აიჭრება. მერწმუნეთ, ამის მოსმენა ნამდვილად არ მოგიხდებათ. გთხოვთ, ისიც დამიჯეროთ, რომ ამ ბავშვით ნამდვილად არ ვამაყობ! მინდა კვლავაც მის სათავეებს დავუბრუნდე და ვისურვო, რომ ეს ბავშვი ისეთივე უტყვი ყოფილიყოს, როგორც მაშინ, ვიდრე ენას ამოიდგამდა. ჰოდა, არც ახლა მინდა, რომ ამ ბავშვმა ყველაფერს ქარიშხალივთ გადაუაროს თავზე, ადამიანები აიძულოს, უფრო ხმამაღლა იღრიალონ, მკლავები ზევით შემართონ და ხელში ჩაგდება ჩემს ენას აღარ ძალუძს. დიახ, ისიც ჩემი ბრალია, რომ ეს ენა ასეთი არასპორტული გამოდგა. მას დაჭერა აღარ ძალუძს; საგნების სროლა კი შეუძლია, მაგრამ დაჭერა — აღარ! მე მის ტყვეობაში ვრჩები, მაშინაც კი, როდესაც ის წასულია. მე ჩემი ენის ტყვე ვარ, ის კი — ჩემი ზედამხედველი. უცნაურია, მაგრამ ის სულაც არ მაქცევს ყურადღებას, იქნებ იმიტომ, რომ ასე სჯერა ჩემი? იქნებ იმიტომ, რომ იცის, გამქცევი არსად არა ვარ, რაკი თავად ფიქრობს ჩემ-

გან გაქცევას? და, აი, ამ დროს მოდის მავანი მიცვალებული და საუბარს გამიბამს, თუმცა ეს მისთვის არავის დაუვალებია. მას აქვს ამის უფლება. ახლა უკვე უამრავი მიცვალებული ალაპარაკდება მოგუდული ხმით; მათ ახლა უკვე ყოფნით ამის გამბედაობა, რადგან საკუთარი ენა არაფრად მაგდებს. მან იცის, რომ ეს არ სჭირდება; იცის, რომ გაიქცეს, მაინც არ დამკარგავს. მე მის ხელში ვარ, ის კი ხელიდან გამომეცალა. სამაგიეროდ, მე მასთან ვრჩები. მაგრამ ამქვეყნად რა უნდა დარჩეს, ამას მწერლები არ აწესებენ. ამქვეყნად არსებული ყველაფერი ქრება. მაღალი ფრენის პილოტაჟი გამოირიცხა. ზეციდან მიწაზე არაფერი და არავინ ჩამოვარდნილა; და, მაინც, საღი განსჯის საპირისპიროდ, თუკი არსებობს რაიმე, რაც არსაიდან არ მოსულა და ამქვეყნად არსებობა მაინც უწერია, ეს არის ყველაზე წარმავალი რამ, — ენა, რომელიც უჩინარია. ახლა მან ახალ სამუშაო ადგილზე გააკეთა განაცხადი; რაც ამქვეყნად არსებობს, ყველაფერი წარმავალია; ყოველ შემთხვევაში ადგილზე არ ჰგებებს. მაშ, ადამიანს რა დარჩენია?!

## ელფრიდე იელინკი პასუხობს მარსელ პრუსტის ანკეტას

### რას ნიშნავს სრული ბედნიერება?

როცა საკუთარ თავს მარტო დარჩენის უფლებას ვაძლევ და მშვიდად, წყნარად ვარ.

### დილით ადგომას რა გაიძულებთ?

ის აზრი, რომ სამუშაოს უნდა ჩავუჯდე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალიან მინდა მუშაობა. ჩემთვის სწორედ ესაა დიდი სიამოვნება. მიყვარს დეტექტიური რომანების კითხვაც ან უხეირო ტელესერიალების ყურება, თუმცა კარგი სერიאלები მიყვარს.

### ბოლოს როდის აგიტყდათ სიცილი?

აი ეგ ძალიან კარგად მახსოვს: ჩვენს იუსტიციის ახალ მინისტრს — ისიც ავსტრიის მემარჯვენე პარტიის (FPO) წევრია — ეკითხებოდნენ: დგას თუ არა ავსტრია, როგორც ეს იორგ ჰაიდერმა დაამტკიცა, მეტერნიხის სტილის პოლიციურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზეო. „დღეს ჯერ ამის თქმა არ შემიძლია“, — იყო ქ-ნ მინისტრის პასუხი. გიჟივით ხარხარი ამიტყდა და, მახსოვს, ფეხების ბაკუნიც კი დავიწყე.

### ბოლოს როდის იტირეთ?

გუშინ, როცა გაზეთში Süddeutsche Zeitung ერთი წერილი წავიკითხე. ჩემზე ეწერა, უფრო ადრე რომ დაბადებულიყო, საკონცენტრაციო ბანაკში სხვა ტყვეების ზედამხედველ ტყვედ მოგვევლინებოდაო.

რა არის თქვენი ხასიათის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი?  
ძალზე ლოიალური ვარ.

თქვენი მთავარი ნაკლი?

მოუთმენლობა. ხშირად მჩვევია აჩქარებული განსჯა და მოქმედება.



რომელ ისტორიულ ფიგურასთან აიგივებთ საკუთარ თავს?

ათენა პალასთან (თუმცა ის, რა თქმა უნდა, ისტორიული ფიგურა არ გახლავთ).

ვინ არიან დღეს თქვენი გმირები?

ყველა, ვინც სიამოვნებით უვლის ავადმყოფებსა და მოხუცებს.

ფიქტიურ გმირებს შორის?

მთხრობელი ქალი სილვია პლატის რომანში „უბედობის ზარი“.

მოგზაურობა, რომელიც ყველაზე დიდ სიამოვნებას განიჭებთ?

სამწუხაროდ, იშვიათად ვმოგზაურობ, თუმცა პარიზი ყოველთვის იყო ჩემი საყვარელი ქალაქი.

რომელ თვისებას აფასებთ მამაკაცში?

სიმშვიდეს.

ქალში?

პრაქტიკულობას ოჯახურ გარემოში.

თქვენი საყვარელი მწერლები?

რობერტ ვალზერი, ფრანც კაფკა, ჯუნა ბარნსი, უოლტერ სერნერი.

თქვენი საყვარელი კომპოზიტორები?

ფრანც შუბერტი, ალბან ბერგი, ლუიჯი ნონო, ოლგა ნოივირტი.

თქვენი საყვარელი მხატვრები?

ვერმეერი, პოლოკი და პლასტიკოსები — მაიკ კელი და პოლ მაკკარტი.

თქვენი საყვარელი სიმღერა?

შუბერტის მთელ შემოქმედებაში გამორჩეულად მიყვარს მისი Winterreise (ზამთრის მოგზაურობა — მთარგმნ.).

თქვენი საკულტო წიგნი?

რობერტ ვალზერის „იაკობ ფონ გუნტენი“.

თქვენი საყვარელი ფერი?

მწვანე.

თქვენი საყვარელი სასმელი?

სოდიან წყალში გაზავებული ყოლოს წვენი.

**რა მიგაჩნიათ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად?**  
 ის, რომ სიკვდილამდე (97 წლის ასაკამდე) ვუვლიდი მოხუც დედას, რომელსაც პარკნოიის მძიმე შეტევები ჰქონდა.



**ყველაზე მეტად რას ნანობთ?**  
 ვნანობ იმას, რომ კარგად ვერ მოვუარე მამაჩემს, რომელიც სხვა-სხვა სულით დაავადდა.

**ყველაზე მეტად რა გძულთ?**  
 ადამიანთა სიამაყე და ქედმაღლობა.

**ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?**  
 ფანატიკოსების.

**თქვენი საყვარელი დევიზი?**  
 მე უფრო მეშინია სხვების, ვიდრე სხვებს — ჩემი.

**როგორ გინდათ მოკვდეთ?**  
 უცებ, მოულოდნელად.

**ეპიტაფიად რას აირჩევდით?**  
 „თუ ნაჯახი სახლში მოიპოვება, დურგალს შეუძლია ძალ-ღონე დაზოგოს“ (შილერი).

**ღმერთს რომ შეხვედროდით, რას ეტყოდით?**  
 სალამი! ვწუხვარ, რომ უფრო ადრე ვერ გაგიცანი.

ჟურნალი *Lira*, ნოემბერი, 2004 წელი.

ფრანგულიდან თარგმნა ილია გასპიანმა



# ნობელის პრემიის ლაურეატები

სერ ვილიამ პრაიზმანსა და ნაიპოლი



ნობელის პრემია

2001 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა ტრინიდადზე დაბადებულ ბრიტანელ მწერალს ვ. ს. ნაიპოლს.

„პერსექუციული თხრობისა და უტყუარი დაკვირვების ნაზავისათვის იმ ნაწარმოებებში, რომელნიც გვაიძულებენ მიჩქმალული ისტორია დავინახოთ“.

ვ. ს. ნაიპოლი, დედამიწის გარშემო მოგზაური მწერალი, საკუთარ თავს თავისუფლად მხოლოდ შინაგან სამყაროში, თავისი უზადლო ენის წიაღში გრძნობს. ლიტერატურული მოდისა და ნიმუშების მიმართ გულგრილმა, რაც თავისთავად იშვიათი მოვლენაა, მან არსებული ჟანრები ერთ ორიგინალურ სტილად გადაადნო, რომელშიც წაშლილია ტრადიციული ზღვარი რომანსა და დოკუმენტს შორის.

ნაიპოლის საწყისი ლიტერატურული ველი თანდათან გაფართოვდა და უკან მოიტოვა პირველი თემა — ტრინიდადი, ანტილის ერთ-ერთი კუნძული, რათა მოეცვა ინდოეთი, აფრიკა, სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკა, აზიის ისლამური ქვეყნები და, რა თქმა უნდა, ინგლისი. ნაიპოლი ჯოზეფ კონრადის მემკვიდრედ გვევლინება, რადგან მწერალი დაცემის პირას მყოფ იმპერიებს აღწერს ადამიანთა ცნობიერებაზე მათი ზემოქმედების მორალისტურ ჭრილში. მისი, როგორც მთხრობელის, სახელი ემყარება იმას, რაც სხვებმა მიივიწყეს — წაგებულთა ისტორიას.

თავისი პირველი რომანის, *The Mystic Masseur* (იდუმალი მასაჟისტი, 1957) ბურლესკული თავგადასავლებითა და ნოველების კრებულით *Miguel Street* (მიგელ სტრიტი, 1959), — რომელთაც, ერთგვარად, ჩეხოვის ენისა და კალიფოს\* სილამაზე აღუბეჭდავთ, — ნაიპოლი იუმორისტისა და ყოველდღიური ყოფის მხატვრის სახელს იხვეჭს. ამის შემდეგ იგი უზარმაზარ ნაბიჯს დგამს და წერს რომანს *A House for Mr. Biswas* (სახლი ბატონი ბისვასისთვის, 1961). ეს გახლავთ ერთ-ერთი იმ იშვიათ რომანთაგანი, რომელიც მართლაც რომ მთლიან სამყაროს ქმნის: კერძოდ, ესაა მინიატურული ინდოეთი ბრიტანეთის იმპერიის კიდეზე. ყველაფრის მორჩილად ამტანი მამის ცხოვრების სურათი.\*\* დიდი ლიტერატურის ტაძარში გარიყულთა შემოყვანით ნაიპოლი პირუკუ ატრიალებს ჩვეულ პერსპექტივას და დამცავი დისტან-

\* ერთგვარი ცეკვა (მთარგმნ.).

\*\* ნობელის კომიტეტის წევრის, დოქტორ პ. ენგდალის თქმით, მთავარმა გმირმა, ბატონმა მოჰუნ ბისვასმა, რომელშიც შეიძლება ნაიპოლის მამა ამოვიცნოთ, კუთვნილი ადგილი დაიკავა უკვდავ ტრაგიკომიკურ გმირთა ინგლისურ ლიტერატურულ გალერეაში (მთარგმნ.).

ციის ცენტრალურ პოზიციაში მყოფ მკითხველს, ასე ვთქვათ, ფეხქვეშ ნიადაგს აცლის. ამ პრინციპს ავტორი შემდგომში მიუსადაგებს რომანების მთელ სერიას, რომელნიც სულ უფრო მეტად უახლოვდებიან რეპორტაჟს, თუმცა ამით მისი პერსონაჟები არ ზარალდებიან ნაიპოლის შემოქმედებაში ფიქცია, ავტობიოგრაფია და დოკუმენტური პროზის ისე ერწყმის ერთმანეთს, რომ ზოგჯერ ძნელია დომინანტური კომპონენტის ამოცნობა.

შედევრში *The Enigma of Arrival* (ჩამოსვლის გამოცანა, 1987) ნაიპოლი ინგლისურ რეალობას ისე იკვლევს, როგორც ანთროპოლოგი ჯუნგლებში აღმოჩენილ ადგილობრივ, აქამდე სრულიად უცნობ ტომს. ერთი შეხედვით ვიწრო და სათუო დაკვირვებების საშუალებით მწერალი ძველი, გაბატონებული კოლონიური კულტურისა და ევროპული საზოგადოების გარდაუვალი დაცემის უღმობელ სურათს ხატავს.

ნაიპოლმა ყურადღება რომანის, როგორც უნივერსალური ლიტერატურული ფორმის, არასრულყოფილებაზე გაამახვილა. ეს ფორმა ვულნერაბლობს ადამიანთა ხელუხლებელ სამყაროს — ისეთსავე ხელუხლებელს, როგორც დამონებული ხალხების ძველი, ჯერ კიდევ დაუპყრობელი სამყარო იყო. ავტორის მიერ ფიქციის შეზღუდული შესაძლებლობის აღმოჩენა უკავშირდება ნაწარმოებს *The Loss of El Dorado* (ელდორადოს დაკარგვა, 1969). ამ წიგნში მწერალი, არქივებში წარმოებული მნიშვნელოვანი კვლევა-ძიების შემდეგ, ტრინიდადის საზარელ კოლონიურ ისტორიას მოგვითხრობს. ნაიპოლს მიაჩნია, რომ ყველაზე მთავარი — დეტალებისა და ადამიანთა მოწმობის აუთენტურობაა: იგი უკუაგდება წმინდა სახის გამოჩენას, იმავდროულად კი ისტორიულ მასალაზე მუშაობს და მას ლიტერატურულ სახეს აძლევს. მოგზაურობის აღწერებში მწერალი თითოეულ მოწმეს საშუალებას აძლევს, ყოველ საკუთარ ქმედებაზე თვითონ ილაპარაკოს. ასეა ნაიპოლის ნაწარმოებში *Beyond Belief* (რწმენის მეორე მხარეს, 1998) — მუსულმანური სამყაროს აღმოსავლური ქვეყნების ამსახველ ბრწყინვალე ვრცელ ფრესკაში. მწერლის თანაგრძნობა ადამიანებისადმი მის უტყუარ ხედვაში გამოსჭვივის.

ნაიპოლი ჩვენი დროის მწერალი-ფილოსოფოსია და კიდევ უფრო განამტკიცებს იმ ტრადიციას, რომელიც სპარსული წერილებიდან და კანდიდიდან\*\*\* იწყება. ნათელი, მკაფიო ენით, რომელმაც სრულიად სამართლიანად დაიმსახურა მკითხველთა აღტაცება, მწერალი ზუსტად გამოხატავს მრისხანებას, ხოლო მოვლენებს მათი შინაგანი ირონიით აღწერს.

შვედეთის აკადემია

თარგმნა ილია გასპიანმა

\*\*\* მწვავე ირონია ნაიპოლისა, რომელსაც XX საუკუნის ვოლტერს უწოდებენ, უკვე ლეგენდადია ქცეული, ისევე როგორც მისი უნარი ზუსტი სიტყვისა და ტონის მიგნებისა (მთარგმნ.).



## ორი სამყარო

ნობელის პრემიის გადაცემასთან  
დაკავშირებით წაკითხული ლექცია  
ეროვნული

მე ახლა უჩვეულო სიტუაციაში ვიმყოფები. ლექცია, რომელიც ასეთი, არასოდეს წამიკითხავს, ტექსტის უბრალო წაკითხვას თუ არ ჩავთვლით. მუდამ ასე ვპასუხობ იმ ადამიანებს, რომლებიც ლექციის წაკითხვას მთხოვენ, და ეს სრული სიმართლე გახლავთ. შეიძლება უცნაურობად მოგეჩვენოთ, რომ ადამიანს, რომელსაც დაახლოებით ორმოცდაათი წელია, საკუთარ ხელობად სიტყვების, ემოციებისა და აზრების მართვა გაუხდია, მსგავს ვითარებაში გარკვეულწილად არაფერი აქვს სათქმელი. თუმცა, ყველაფერი ღირებული, რაც შემიძლია საერთოდ ვთქვა, ჩემს წიგნებშია თავმოყრილი, ან ჯერ კიდევ მთლიანად არ ჩამოყალიბებულა. სხვათა შორის, ამას ძლივს ვაცნობიერებ. ის მომავალ წიგნს ელოდება და, ბედმაც თუ გამიღიმა, წერისას მეწვევა — მოულოდნელად. სწორედ მოულოდნელობის ელემენტს ვეძებ, როდესაც ვწერ. იგი საშუალებას მაძლევს შევაფასო საკუთარი შრომა, რაც მუდამ დელიკატურ ამოცანას წარმოადგენს.

ესეში **სენტ-ბევის წინააღმდეგ**\* პრუსტი, დიდი ოსტატისთვის ჩვეული დაკვირვებით ლაპარაკობს მწერალსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის არსებულ ურთიერთგანსხვავებაზე. XIX საუკუნის ფრანგ კრიტიკოსს სენტ-ბევს მიაჩნდა, რომ ამა თუ იმ ავტორის გასაგებად საჭიროა მეტი ვიცოდეთ ამ ადამიანის ხასიათზე, საზოგადოებაში მის ადგილსა თუ ცხოვრების დეტალებზე. ავტორის მეშვეობით ნაწარმოებისათვის ნათლის მოფენა მაცდუნებელი ნაბიჯია, რომელიც შეიძლება უკამათოდ კი ჩანდეს, მაგრამ პრუსტი ამ მოსაზრებას ძალზე დამაჯერებლად ანადგურებს. სენტ-ბევის „ეს მეთოდი, — ამბობს იგი, — გამორიცხავს იმას, რასაც ჩვენივე თავის შეცნობა გვასწავლის: წიგნი არის ჩვენი მეორე მე-ს, და არა იმ ადამიანის პროდუქტი, რადაც ვჩანვართ ხოლმე საზოგადოებაში, ჩვენი ხასიათით, ჩვევებითა თუ ნაკლოვანებებით. ამ მე-ს — თუკი გვსურს მისი გაგება ვცადოთ — მხოლოდ საკუთარ თავში ჩაღრმავებით, ჩვენში მისი ხელახლა შექმნის ცდით შეგვიძლია ჩავწვდეთ“.

პრუსტის ეს სიტყვები უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, როცა ვკითხულობთ მწერლის ან თუნდაც რომელიმე ადამიანის ბიოგრაფიას, რომელიც მთავონებაზეა დამოკიდებული. ამას იქნება კონკრეტული პიროვნების ცხოვრების ყველა დეტალის, მისი უცნაურობებისა თუ მეგობართა წრის გათვალისწინება, რადგან წერის იდუმალებას ბოლომდე

\*მარსელ პრუსტის აღნიშნული ესე მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელს გამოქვეყნდა. მასში პრუსტი ილაშქრებს ლიტერატურული ნაწარმოების ავტორისავე ცხოვრების ჭრილში ახსნის წინააღმდეგ (მთარგმნ.).

მაინც ვერ ჩავწვდებით. ინფორმაციის არანაირ მოცულობას, რა საინტერესოც არ უნდა იყოს ის, არ ძალუძს ამ იღუმალეზამდე მიგვიყვანოს. მწერლის ბიოგრაფიას და თვით ავტობიოგრაფიასაც ეს სარკვეზი მუდამ ექნება.



პრუსტი წარმატებული განვრცობის დიდოსტატია და მუყუყუყულ კიდევ სიამოვნებით ძალიან მოკლედ დავუბრუნდები მის ესეს სენტ-ბევის წინააღმდეგ. „სინამდვილეში, — განაგრძობს პრუსტი, — მწერალი საზოგადოებას იმას აწვდის, რაც მარტოობაში, საკუთარი თავისთვის იწერება; სწორედ ესაა ჩვენი მე-ს ნაწარმოები. ხოლო ის, რასაც ადამიანთა ვიწრო წრეს ვთავაზობთ, ე. ი. საუბრისთვის ვქმნით [...], — და ასევე, საგანგებოდ ვიწრო წრისთვის განკუთვნილი, ე. ი. საგანგებოდ რამდენიმე ადამიანის გემოვნებაზე შექმნილი პროდუქცია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქაღალდზე გადატანილი საუბრები, — ბევრად უფრო გარეგანი მე-ს, და არა ჩვენი ღრმად დაფარული მე-ს ნაყოფია. ამ უკანასკნელს კი მხოლოდ მაშინ ვუბრუნდებით, როდესაც გამოვრიცხავთ სხვებს და მათთან ერთად იმ მე-საც, სხვებს რომ იცნობს [...].“

როცა ამ სიტყვებს წერდა, პრუსტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაპოვნის სიუჟეტი, რომელსაც მწერალი დიდი ლიტერატურული შრომის დამაგვირგვინებელ ბედნიერებამდე უნდა მიეყვანა. ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ პრუსტი იყო ადამიანი, რომელიც საკუთარ ინტუიციას ენდობოდა და იღბლიან მომენტს ელოდა. ეს ციტატები სხვა ვითარებაშიაც მომიყვანია, რადგან ისინი მოქმედების ჩემ წესს განსაზღვრავენ. მე ინტუიციას ვენდობი: ასე ვიქცეოდი ჩემი ლიტერატურული კარიერის დასაწყისში და დღესაც ასე ვიქცევი. წარმოდგენა არა მაქვს, რა სახეს მიიღებენ საგნები, სად მიმიყვანს წერის პროცესი. როცა სიუჟეტს ვეძებ, მე ინტუიციას ვენდობი, და ინტუიციით ვწერ. ჯერ, რა თქმა უნდა, იდეა მეზადება, მერე ფორმაზე ვფიქრობ და, ბოლოს, წერას ვიწყებ, მაგრამ წლები მჭირდება ხოლმე საიმისოდ, რათა სრულად გავაცნობიერო, რაც დავწერე.

ეს-ესაა მოგახსენეთ, რაც კი რამ ჩემში ღირებულება, ყველაფერი ჩემს წიგნებშია თავმოყრილი-მეთქი. მეტსაც ვეტყვით: მე ჩემი წიგნების ჯამი ვარ. ყოველი მათგანი — ინტუიციით ნაგრძნობი და, ფიქციის შემთხვევაში, ინტუიციით შემუშავებული — წინა წიგნებს აგვირგვინებს და მათგან მომდინარეობს. მე მგონი, ჩემი ლიტერატურული კარიერის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ბოლო ნაწარმოები მოიცავდა ყველა დანარჩენს.

ეს აიხსნება უკიდურესად მარტივი და, იმავე დროს, უკიდურესად რთული გარემოებებით, რომელშიაც გავიზარდე. დავიზადე ტრინიდადზე — პატარა კუნძულზე, რომელიც ვენესუელის უზარმაზარი მდინარის, ორინოკოს შესართავთან მდებარეობს. ამგვარად, კაცმა რომ თქვას,

ტრინიდადი არც სამხრეთ ამერიკას ეკუთვნის და არც ანტილის კუნძულებს. 1932 წელს, როცა დაეიზაბელ, ახალი სამყაროს ამ საპლანტაციო კოლონიის მოსახლეობის რაოდენობა სულ რაღაც 400 000 მცხოვრებს შეადგენდა. აქედან დაახლოებით 150 000 — ინდოელები (ინდუსები და მუსულმანი ინდოელები) იყვნენ, წარმოშობით ინდოეთის ყველაზე დაბალი გლეხები. მათი უდიდესი ნაწილი ვანგის დაბლობში იყო მოსული.

ასეთი იყო ჩემი პატარა მშობლიური ვარემო. იმიგრაცია ინდოეთიდან ძირითადად 1880 წლის მერე დაიწყო: ხალხი ხუთი წლით, პლანტაციებში სამუშაოდ ჩამოდიოდა და ამ დროის გასვლის შემდეგ შეედლო მიეღო მიწის ნაკვეთი (დაახლოებით ორი ჰექტარი) ანდა ბილეთი უკან, ინდოეთში დასაბრუნებლად. 1917 წელს განდისა და სხვათა აგიტაციის შედეგად კონტრაქტის ეს სისტემა გაუქმდა. ალბათ ამ ან სხვა მიზეზის გამო ბოლოს ჩამოსულთა დიდმა ნაწილმა ვერც მიწა მიიღო და ვერც დაბრუნებული რეპატრიაცია. ეს ადამიანები სრულიად ცარიელ-ტარიელნი დარჩნენ. ჩემს ბავშვობაში მინახავს, როგორ ეძინათ დედაქალაქის, პორტ-ოვ-სპეინის ქუჩებში. მე მგონი, მაშინ ვერ ვხვდებოდი, სილატაკეში რომ ცხოვრობდნენ — ეგ ბევრად უფრო გვიან გავიგე; თუმცა განსაკუთრებული შთაბეჭდილება არც მათ დაუტოვებიათ ჩემზე. ეს ყველაფერი საპლანტაციო კოლონიის სისასტიკის შემადგენელი ნაწილი გახლდათ.

მე დაეიზაბელე ჩაგუანასში, პარიის ყურიდან ოთხი თუ ხუთი კილომეტრით დაშორებულ პატარა დაბაში. ჩაგუანასი უცნაური სახელი იყო როგორც ორთოგრაფიულად, ასევე წარმოსათქმელადაც, ამიტომ ბევრი ინდოელი, რომლებიც იმ რეგიონში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ერთ-ერთ ინდურ კასტურ სახელს, ჩაუპანს ამჯობინებდა.

ოცდაათოთხმეტი წლის ვიყავი, როცა ჩემი დაბადების ადგილის სახელის წარმომავლობა გავარკვეე. უკვე თექვსმეტი წელი იყო, ინგლისში, ლონდონში ვცხოვრობდი. იმ ხანებში ჩემს მეცხრე წიგნს ვწერდი — ეს იყო წიგნი ტრინიდადზე, რომელშიც ვცდილობდი გამეცოცხლებინა ადამიანები და მათი ისტორიები. დიდ დროს ვატარებდი „ბრიტანულ მუზეუმში“, სადაც ჩემს მშობლიურ რეგიონზე არსებულ ესპანურ დოკუმენტებს ვეცნობოდი. ეს დოკუმენტები ბრიტანეთის მთავრობისათვის ესპანური არქივიდან გადაწერეს 1890-იან წლებში, ვენესუელასთან მწვავე სასაზღვრო კონფლიქტის დროს. ქრონოლოგიურად დოკუმენტები 1530 წელს იწყება და ესპანეთის იმპერიის დაცემით მთავრდება.

მე ვეცნობოდი დოკუმენტებს ქიმერულ ელდორადოზე, მის აბსურდულ ძებნასა და ინგლისელი გმირის, სერ უოლტერ რალის დამღუპველ შემოჭრაზე. 1595 წელს რალი თავს დაეცა ტრინიდადს, ამოუღიტა ესპანელები, — ყველა, ვისაც კი მისწვდა, — რის შემდეგაც გზა გააგრძელა და ელდორადოს ძებნაში ორინოკოს აღმა აუყვა. მან ვერაფე-

რი იპოვა, თუმცა ინგლისში დაბრუნებულმა საპირისპიროს მტკიცება დაიწყო რალის ხელთ ჰქონდა ოქროს მოზრდილი ნატეხი და ცოტაოდენი ქვიშა. იგი დაჟინებით იმეორებდა, ეს ოქრო ორინოკოს ნაპირზე აღმართულ კლდეს ჩამოვატეხეო. სამეფო ზარაფხანამ განაცხადა, რომ ქვიშას, რომლის შემოწმებასაც რალი ითხოვდა, არანაირი დასტურებულება არ ჰქონდა. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, თითქმის — რალსაც ოქრო მანადე ჩრდილოეთ აფრიკაში ეყიდა. პოდა მაშინ, საკუთარი ნათქვამი რომ დაემტკიცებინა, მან დაწერა წიგნი და აი, აგერ უკვე ოთხი საუკუნეა გვგონია, რომ რალიმ მართლა იპოვა რალაც. წიგნის მაგია — წიგნისა, რომელიც მართლაც რომ ძნელი წასაკითხია — მისსავე ძალზე გრძელ სათაურშია: ამბავი გვიანის დიდი, მდიდარი და მშვენიერი იმპერიის აღმოჩენისა, რომელიც მოიცავს ოქროს დიდი ქალაქის, მანოას (რომელსაც ესპანელები ელ დორადოს უწოდებენ), ემერიას, არომაიას, ამაპაიას პროვინციებისა და სხვა მხარეების, ასევე მომიჯნავე მდინარეების აღწერას. რა დამაჯერებლად ჟღერს ეს ყველაფერი! თანაც მაშინ, როცა რალიმ ორინოკოზე გაცურვაც კი დიდი ვაი-ვაგლახით შეძლო.

შემდეგ, როგორც ეს ზოგჯერ თაღლითებს მოსდით ხოლმე, რალი თავისივე წარმოსახვის ნაყოფმა იმსხვერპლა. ოცდაერთი წლის შემდეგ, უკვე მოხუცებული და ავადმყოფი რალი ლონდონის ციხიდან გამოუშვეს, რათა გვიანაში გაეგზავნათ ოქროს საბადოების მოსაძებნად, რომლის აღმოჩენასაც ასე დაჟინებით ამტკიცებდა. მისი შვილი ამ თაღლითურ ისტორიას შეეწირა: ტყუილი რომ არ გამოაშკარავებულიყო და როგორმე თავისი სახელი ეხსნა, მამამ საკუთარ ვაჟს სასიკვდილო დავალების შესრულება დააკისრა. ექსპედიცია კრახით დასრულდა, რის შემდეგაც მწუხარებითა და სინანულით დათრგუნული რალი, რომლის ცხოვრებასაც უკვე არანაირი აზრი არ ჰქონდა, ლონდონში დაბრუნდა, სადაც სიკვდილით დასჯა ელოდა.

ამბავი შეიძლებოდა აქ დამთავრებულიყო, მაგრამ... ესპანელებს კარგი მეხსიერება ჰქონდათ — ამ ხალხის გონებაში ყველაფერი საგულდაგულოდ აღინუსხებოდა, უთუოდ იმიტომ, რომ მათმა საიმპერიო ფოსტამ გზაში გაჯანჯლებაც იცოდა: ზოგჯერ ორი წელი იყო საჭირო, რათა ტრინიდადიდან გაგზავნილ წერილს ესპანეთამდე ჩაეღწია. რვა წელი იყო გასული, ტრინიდადისა და გვიანის ესპანელებს კი პარიის ყურის ინდიელებთან ანგარიშსწორება ჯერაც არ დაემთავრებინათ, რასაც ადასტურებს ესპანეთის მეფის მიერ ტრინიდადის გუბერნატორისადმი გაგზავნილი, 1625 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელიც მე „ბრიტანულ მუზეუმში“ წავიკითხე.

„მე გთხოვეთ, — სწერდა მეფე, — ჩემთვის ცნობები მოგეწოდებინათ ინდიელთა ერთ-ერთ ტომზე, რომელნიც ჩაგუანებად იწოდებიან. როგორც თქვენ ამბობთ, მათი რიცხვი ათასს აღემატება და ჩვენს მიმართ იმდენად ცუდად არიან განწყობილნი, რომ სწორედ ისინი წამოუძღვნენ წინ ინგლისელებს ქალაქის ასაღებად. მათი დანაშაული არ

დასჯილა, ვინაიდან მაშინ საკმარისი ძალები საამისოდ არ გაგვაჩნდა; თანაც, მოგეხსენებათ, რომ ინდიელები საკუთარი ნების გარდა სხვა ბატონს არ სცნობენ. რაკი მათი დასჯა გადაგიწყვეტათ, იმ წესებით იმოქმედეთ, მე რომ მიგიითეთ, და შედეგზე დაუყოვნებლივ მომას-  
 ერივნენ  
 ბიზლითა

ჩემთვის უცნობია, რა ზომები მიიღო ამის შემდეგ გუბერნატორმა. მუზეუმის საქალაქდებზე ჩაგუანებზე არსებულ სხვა ცნობებს ვერსად მივაკვლიე. სევილიის არქივის უთვალავ ქალაქში ჩაგუანებზე ალბათ სხვა დოკუმენტებიც არსებობდა, რომელიც ბრიტანეთის მთავრობის მიერ წარგზავნილ სწავლულებს შესაძლოა, უბრალოდ, გამორჩათ ან გადაწერის ღირსად არ ჩათვალეს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ინდიელთა პატარა, ათასზე ცოტა მეტკაცვიანი ტომი, რომელსაც პარიის ყურის ორივე ნაპირზე უნდა ეცხოვრა, ისე ალიგავა მიწის პირისაგან, რომ ქალაქ ჩაგუანასში, ანდა ჩაუპანში, მათი ასავალ-დასავალი კაციშვილმა არ იცოდა. იმ დღეს „ბრიტანულ მუზეუმში“ ჩემს თავს ვუთხარი: 1625 წლის შემდეგ პირველი ადამიანი ხარ, ვისთვისაც ესპანეთის მეფის ეს წერილი ნამდვილად რალაცას ნიშნავს-მეთქი. და ისიც არქივში მხოლოდ 1896 თუ 1897 წელს იქნა მიკვლეული. ჩაგუანები ჯერ უკვალოდ გაქრნენ, შემდეგ კი ამას სიჩუმით მოცული საუკუნეები მოჰყვა.

ჩვენ ჩაგუანების მიწაზე ვცხოვრობდით. სასწავლო წლის ყოველი სემესტრის დღე — ის-ის იყო სკოლაში შევედი — ჩემთვის ასე იწყებოდა: ბებიის სახლიდან გამოვდიოდი და ჩაგუანასის მთავარ ქუჩას მივუყვებოდი, რომელზეც განლაგებული იყო ორი თუ სამი მაღაზია, ჩინური ბუფეტი, „თეატრი იუბილე“ და პატარა პორტუგალიური ქარხანა; ამ ქარხნიდან, სადაც იაფფასიან ლურჯსა და ყვითელ საპონს ზმზადებდნენ, მუდამ მძაფრი სუნი გამოდიოდა. იქვე ნახავდით საპნის გრძელ ნაჭრებს, გასაშრობად და გასამაგრებლად დილიდანვე რომ გამოეტანათ ქუჩაში. მთავარი ქუჩის გავლა ყოველდღე მისდებოდა, ჩაგუანასის საჯარო სკოლაში რომ მივსულიყავი, თან გზადაგზა შევცქეროდი ხოლმე ყველაფერს, ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში მარადიულობით რომ იყო შემოსილი. სკოლის იქით შაქრის ლერწმის პლანტაციები პარიის ყურემდე გადაჭიმულიყო. იმ ინდიელებს, რომელთაც საკუთარ მიწაზე ცხოვრების უფლება წაართვეს, ვფიქრობ, თავიანთი სოფლის მეურნეობა, საკუთარი კალენდარი, კოდექსები და წმინდა ადგილები უნდა ჰქონოდათ და ხუთი თითივით უნდა სცოდნოდათ ორინოკოს დელტის დაქსაქსული ტოტები პარიის ყურეში. მაგრამ მთელი მათი ცოდნა და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მათ ეხებოდა, უკვალოდ გაქრა.

სამყარო მუდმივ მოძრაობაშია. ადამიანები, ამა თუ იმ მომენტში, ყველგან იჩაგრებიან და იძარცვებიან. 1967 წელს ჩემი მშობლიური ქალაქის შესახებ ამ ცნობების აღმოჩენამ სულთ ხორცამდე შემძრა, რადგან მანამდე მე მასზე სრულიად არაფერი ვიცოდი. თუმცა, ჩვენი

უმეტესობა სწორედ ასე — ბრძად ცხოვრობდა ამ სასოფლო-სამეურ-  
ნო კოლონიაში. არა, ეს არ იყო ხელისუფალთა რაღაც ბოროტი გან-  
ზრახვა — სიბნელესა და უმეცრებაში ვყოლოდით; მე მგონი ეს, უბრა-  
ლოდ, ინფორმაციის, ცოდნის ნაკლებობის შედეგი იყო. ამ სახის ინფო-  
რმაციას ჩაგუანებზე არავინ ჩათვლიდა მნიშვნელოვნად და ჩვენს გა-  
ხლდათ ადვილი გამოსამზეურებელი. ჩაგუანები პატარა ტომს შეესტე-  
ნდნენ და ამორიგენები იყვნენ. ყურმოკვრით ვიცოდით, რომ კონტი-  
ნენტზე — იმ არეალში, რომელსაც ადრე B. G.-ს (British Guiana) ანუ  
ბრიტანეთის გვიანას უწოდებდნენ — მათნაირი ინდიელები ცხოვრობ-  
დნენ, ეს უკანასკნელნი კი ოხუნჯობის საგნად იყვნენ ქცეულნი. მე  
მგონი ყველა წრისა თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ტრინი-  
დადზე, აყალმაყალის მოყვარულ არასასურველ ტიპზე იტყოდა, ნამდ-  
ვილი ვარაჰონიო (*warrahoon*). ეს განგებ, კელურობის გამოსახატა-  
ვად მოგონილი სიტყვა მეგონა. ვენესუელაში რომ ვიმოგზაურე, — იმ-  
ჟამად უკვე ორმოცს ვიყავი გადაცილებული, — მხოლოდ მაშინ გავი-  
გე, რომ ვარაჰონები (*Warrahoons*) ადგილობრივი, საკმაოდ მნიშვნე-  
ლოვანი ტომის ინდიელები ყოფილან.

ჩემს ბავშვობაში ბუნდოვანებით მოცულ ერთ ამბავს პყვებოდნენ  
და ახლა, როცა უკვე ამდენი წელი გავიდა, ამ ამბის გახსენებისას უჩ-  
ვეულო ძღველვარება მიპყრობს: ამბობდნენ, რომ ზოგჯერ კონტინენ-  
ტის მკვიდრი ინდიელები კუნძულზე ნავეებით გადმოდიოდნენ, კუნძუ-  
ლის სამხრეთით მდებარე ტყის სიღრმეში შედიოდნენ და ერთ ადგილას  
რაღაც ნაყოფს კრეფდნენ, ანდა — ეს დანამდვილებით არავინ იცოდა —  
რაღაც მსხვერპლშეწირვის რიტუალს ატარებდნენ, მერე ისევ გადაჭრი-  
დნენ პარიის ყურეს, რათა ორინოკოს გადარეცხილ, ფართო შესართა-  
ვამდე მიეღწიათ. ამ რიტუალს მათთვის უდავოდ უზარმაზარი მნიშვნე-  
ლობა უნდა ჰქონოდა, რახან ოთხსაუკუნოვან ძვრებსა და ტრინიდა-  
დის ადგილობრივ მცხოვრებთა ამოწყვეტას გადაურჩა. ვინ იცის, იქ-  
ნებ ის ინდიელები მხოლოდ ნაყოფის მოსაკრეფად მოდიოდნენ, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ ვენესუელაშიც და ტრინიდადზეც ერთი ფლორაა.  
ეგ ჩემთვის უცნობია. როგორც მახსოვს, ამაზე დიდად არც არავინ წუ-  
ხდა. ახლა უკვე ეს ამბავი დავიწყებას მიეცა და წმინდა ადგილიც, რო-  
მელსაც ინდიელები ეთაყვანებოდნენ, — თუკი იგი არსებობდა, — უკვე  
უშენ ადგილად იქცა.

ასეა თუ ისე, წარსული უკვე წარსული იყო. ვფიქრობ, ეს საერ-  
თო პოზიცია გახლდათ. ჩვენ, ინდოეთიდან ჩამოსულ ინდოელებსაც  
იგივე პოზიცია გვეჭირა კუნძულის მიმართ. როგორც წესი, წინასწარ  
დაგეგმილი, ერთფეროვანი ცხოვრებით ვცხოვრობდით და ჯერ კიდევ  
არ ვიყავით მზად თვითშეფასებისთვის, რომელიც აუცილებელია, ადა-  
მიანმა რაღაცა რომ ისწავლოს. ნახევარზე მეტი ინდოელი, ვინც ჩაგუ-  
ანების მიწაზე ვცხოვრობდით, ამტკიცებდა, — ანდა, შესაძლოა, კი არ  
ამტკიცებდა, უბრალოდ, შინაგანად გრძნობდა, თუმცა ამაზე არასდროს  
საუბრობდა, — რომ ჩვენ თან წამოვიდეთ ჩვენი ერთგვარი ინდოეთი,  
რომელიც შეგვეძლო მინდორზე, ასე ვთქვათ, ხალიჩასავით გაგვეშალა.

ბეზიაჩევის სახლი ჩავუანასში ორ ნაწილად იყოფოდა. წინა ნაწილი, აგურით ნაგები და ბათქაშით შელესილი, თეთრად იყო შეღებილი. ეს თავისებური ინდური სახლი გახლდათ პირველ სართულზე ბალუსტრადიანი დიდი ტერასით, ხოლო მეორე ლოცვისა თუ სხვადასხვა რელიგიური რიტუალებისათვის განკუთვნილი პატარა ეკლესიის გარე მორთულობის ამბიციურობა მაშინვე თვალში გეცხმის. მისი კაპიტელებზე ამოკვეთილი ლოტოსის ყვავილები და ინდური პანთეონის ღვთაებათა ქანდაკებები მართლაც შთამბეჭდავი იყო. მთელი ეს სამუშაო იმ ადამიანთა მიერ იყო შესრულებული, ვისთვისაც ინდოეთი უკვე შორეულ მოგონებადღა ქცეულიყო. ჩავუანასში — და მთელ ტრინიდადზეც — ეს სახლი არქიტექტურულ უცნაურობას წარმოადგენდა. მის უკან აღმართული იყო ანტილის კუნძულების ფრანგული სტილის ხის შენობა, რომელიც პირველ სახლს ზედა გალერეით უერთდებოდა. შესასვლელი გვერდზე, ამ ორ სახლს შორის მოექციათ. ხის ბოძებიანი, გოფირებული რკინის მალაღი, პირქუში ჭიშკარი მაშინვე მიგანიშნებდათ, რომ უცხო ადამიანს აქ არ შეესვლებოდა.

ამგვარად, ჯერ კიდევ ბავშვს მქონდა ორ სამყაროში ცხოვრების შეგრძნება: ერთი მხრივ იყო გოფირებული რკინის მალაღ ჭიშკარს მიღმა არსებული სამყარო, მეორე მხრივ კი — ჩემი სამყარო, ან, უფრო სწორად, ბეზიაჩევის სახლი და იქაური სამყარო. ეს ჩვენი კასტური ცნობიერების გადმონაშთი იყო, რომელიც გაიძულვდათ ერთგვარ იზოლაციაში გეცხოვრათ.\* ტრინიდადზე, სადაც ახალმოსულებს ყველანაირი უპირატესობა გვექონდა წართმეული, ამგვარი თვითიზოლაცია ერთგვარი დაცვა იყო, რომელიც უფლებას გვაძლევდა — თუმცა, მხოლოდ გარკვეული დროით — ჩვენებურად, ჩვენი საკუთარი წესებით გვეცხოვრა ჩვენსავე ინდოეთში, რომელიც ხელ-ნელა ხუნდებოდა და მალე სულაც უნდა წარხოცილიყო. აქედან მოდიოდა ჩვენი უჩვეულო ეგოცენტრიზმი. ჩვენ მხოლოდ შიგნით ვიყურებოდით, დღეებს მიგყვებოდით; გარესამყარო ბუნდოვანებაშია თუ არსებობდა, ხოლო ჩვენ რაიმეში გარკვევას მაინცდამაინც არ ვცდილობდით.

ჩვენი სახლის გვერდით ერთი მუსულმანური ფარდული იდგა. ბეზიაჩევის მალაჩის პატარა ლოჯია სწორედ მის ყრუ კედელს ებჯინებოდა. იმ მუსულმან კაცს მიაჩნო ერქვა — სულ ეს იყო, რაც მასზე და მის ოჯახზე ვიცოდით. ალბათ ვხედავდით კიდევ ერთმანეთს, თუმცა გონებაში იმ კაცის არანაირი სურათ-ხატი არ შემომჩნია. მუსულმანებზე საერთოდ არაფერი ვიცოდით. გარეშე ადამიანს და, საერთოდ, ყველაფერ უცხოს ჩვენთან შეხება არ უნდა მქონოდა — ეს წესი სხვა ინდუსებზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, ჩვენ დღისით ბრინჯს ვჭამდით, საღამოს კი — ხორბალს. ჰოდა, ისეთი ძალზე უცნაური ადამიანებიც არსებობდნენ, რომლებიც ამ ბუნებრივ წესს ცვლიდნენ და ბრინჯს საღამოობით ჭამდნენ. ჩემთვის ეს ადამიანები უცხოები იყვნენ. ამ დროს

\* ვ. ს. ნაიპოლი წარმოშობით უმაღლეს — ბრაჰმანთა კასტას მიეკუთვნებოდა (მთარგმნ.).

შვიდი წლისაც არ ვიქნებოდი — ამას იმიტომ ვამბობ, რომ შვიდის ვიყავი, როცა ეს ცხოვრება ბებიაჩემის სახლში, ჩაგუანასში, ჩემთვის სამუდამოდ დასრულდა. ჩვენ საცხოვრებლად ჯერ დედაქალაქში ვცხოვროვდით, შემდეგ კი მის ჩრდილო-დასავლეთით, ერთ-ერთ გორაზე დავსახლდით.

ეროვნული  
გზაუბრი

მაგრამ ჩაკეტილი არსებობის მიერ ჩანერგილი მენტალური ჩვევები კიდევ დიდხანს გამყვანდა. რომ არა ნოველები, რომელსაც მამაჩემი წერდა, მე პრაქტიკულად არაფერი მეცოდინებოდა ტრინიდადის ინდოელთა ცხოვრებაზე. ამ ისტორიებმა ცოდნაზე მეტი რამ მომცეს: მათი წყალობით ფეხქვეშ ერთგვარი სიმყარე ვიგრძენი, საყრდენი წერტილი ვიპოვე ამ სამყაროში. რომ არა ისინი, მართლა გამიჭირდებოდა თქმა, როგორი იქნებოდა ჩემი მენტალური სამყარო.

გარესამყარო კვლავაც ბინდში განაგრძობდა არსებობას, ჩვენ რაიმეში გარკვევას კვლავაც არ ვცდილობდით და დროის დინებას მიჰყვებოდით. წამოვიზარდე და სწორედ იმ ასაკში ვიყავი, როცა შემეძლო ცოტათი მაინც გავცნობოდი ინდურ ეპოპეებს. ყველაზე მეტად რამაიანამ დამაინტერესა. იმ ბავშვებს, რომელნიც სულ რაღაც სუთი წლის შემდეგ შემოემატნენ ჩვენს გაფართოებულ ოჯახს, მსგავსი ბედნიერება არ ღირსებიათ. ჩვენ არავინ გვასწავლიდა ჰინდის. ზოგჯერ ვინმე ჩამოგვიწერდა ხოლმე ანბანს, ეს იყო და ეს — იგულისხმებოდა, რომ დანარჩენი თვითონ უნდა გვესწავლა. ამიტომ, რაკი ინგლისური სულ უფრო და უფრო შემოდოდა, ნელ-ნელა საკუთარ ენას ვკარგავდით. ბებიაჩემის სახლის ატმოსფერო რელიგიით იყო გაჟღენთილი; მუდამ რაღაც ცერემონიალები და რიტუალური ლოცვის კითხვა მიმდინარეობდა, ზოგჯერ მთელი დღეების მანძილზეც კი. მაგრამ ჩვენ უკვე აღარ გვესმოდა მშობლიური ენა და არავინ არც გვიხსნიდა რამეს, არც გვითარგმნიდა. ასე რომ, წინაპრების რწმენა ნელ-ნელა დაიკარგა, იდუმალებით შეიმოსა და უკვე არანაირ გამოძახილს არ ჰპოვებდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაინცდამაინც თავს არ ვიწუხებდით იმაზე ფიქრით, რაიმე შეგვეტყო ინდოეთზე ან იქ დარჩენილ ოჯახებსა და ნათესავებზე. როცა ჩვენი აზროვნების ყაიდა შეიცვალა და რაღაცის გაგება მოვიწყადინეთ, გვიანი იყო. მე არაფერი ვიცი ჩემს წინაპრებზე მამის მხრიდან იმის მეტი, რომ ზოგიერთი მათგანი წარმოშობით ნეპალიდან იყო. ორი წლის წინ ერთმა კეთილმა ნეპალელმა, რომელსაც ჩემი გვარი მოსწონდა, 1872 წელს ინდოეთზე შედგენილი ინგლისური გეოგრაფიული ცნობარის — ბენარესში მცხოვრებ ინდუსთა კასტები და ტომები — რამდენიმე გვერდის ასლი გამომიგზავნა. უამრავი სხვა გვარის გარდა აქ ჩამოთვლილი იყვნენ ის ნეპალელები, რომლებიც წმინდა ქალაქ ბენარესში ცხოვრობდნენ და გვარად ნაიპალები იყვნენ. აი, სულ ესაა, რაც ვიცი.



ბეზიანების სახლიდან, სადაც დღისით ბრინჯს ვჭამდით, სალამოს კი — სორბალს, და იქაური სამყაროდან, შორს, პორიზონტისკენ, შეუცნობელი ვრცელი მხარე გადაშლილიყო და ეგ — იმ კუნძულზე, რომლის მოსახლეობაც სულ რაღაც 400.000 კაცი იყო. ამ იყვნენ სუფთა აფრიკელები და აფრიკელთა შთამომავლები, რომლებმაც მუხატელობის უმრავლესობას შეადგენდნენ. სწორედ ისინი იყვნენ მუხატელები და მასწავლებლები — მაგალითად, ჩემი პირველი მასწავლებელი ქალი ჩაგუანასის საჯარო სკოლაში, რომელსაც ახლაც მოწიწებით ვიგონებ ხოლმე. იყო დედაქალაქი, სადაც ძალიან მალე მოგვიწევდა წასვლა, რათა გვესწავლა და სამუშაო გვეშოვა, და სადაც უცხოთა შორის საბოლოოდ დავმკვიდრდებოდით კიდევ. იყვნენ თეთრკანიანები, ძირითადად ინგლისელები, თუმცა ყველა თეთრკანიანი ინგლისელი როდი იყო; იყვნენ პორტუგალიელები და ჩინელები, ოდესღაც ჩვენსავით რომ ჩამოსახლებულიყვნენ ამ კუნძულზე. იყვნენ ყველაზე მეტი იდუმალებით მოცული ადამიანებიც — ჩვენ მათ ესპანელებს, *pagnols*-ს ვეძახდით. ეს იყო შავგვრემანი, ჯიშნარევი ხალხი, ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ, ესპანეთის ძლიერების ხანაში რომ ჩამოსულიყვნენ — მანამ, სანამ კუნძული გამოეყოფოდა ვენესუელასა და ესპანეთის იმპერიას. ეს ისტორიის ის სახე გახლდათ, რომელიც ჩემს ბავშვურ გაგებას სავსებით სცილდებოდა.

ჩემს ფესვებზე თქვენთვის წარმოდგენა რომ შემექმნა, მე მივმართე იმ ცოდნას, რომელიც მოგვიანებით შევიძინე, და აზრებს, მოგვიანებით რომ მოვიდნენ ჩემთან — ეს კი, უპირველეს ყოვლისა, წერის საშუალებით მოხდა. ბავშვმა თითქმის არაფერი ვიცოდი, სრულიად არაფერი იმის მეტი, რაც ბეზიანის სახლში ვისწავლე. მგონი, სხვა ბავშვებიც ასე იბადებიან — მათ არ იციან, ვინ არიან. თუმცა პატარა ფრანგს, მაგალითად, ეს ცოდნა უკვე ელოდება, იგი მას დაბადებიდანვე გარს აკრავს, არაპირდაპირი გზით, უფროსების საუბრიდან ან სულაც გაზეთებიდან და რადიოდან იღებს, სკოლაში კი სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის გამარტივებული მეცნიერთა მთელი თაობების შრომები უქმნიან გარკვეულ წარმოდგენას საფრანგეთსა და ფრანგებზე.

ტრინიდადზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე მოწაფედ ვითვლებოდი, ირგვლივ ბუნდოვანი ზონები მერტყა. მქონდა კითხვები — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სკოლას არ შეეძლო. მოყირჭებული მქონდა ფაქტები, წესები და ფორმულები. ამგვარი სწავლება მეტისმეტად აბსტრაქტული იყო, რადგან ყველაფერი ზეპირად უნდა გვესწავლა. კვლავ გავიმეორებ: არ მინდა ვიფიქრო, თითქოს ჩვენს წინააღმდეგ რაღაც გეგმა მზადდებოდა, თითქოს შეთქმულება ეწყობოდა იმისათვის, რომ ყველა გაკვეთლი ერთნაირი ყოფილიყო. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სტანდარტულ სასკოლო განათლებას ვიღებდით. სხვა გარემოში რომ ვყოფილიყავი, ამგვარ განათლებას რაღაც აზრი ექნებოდა და მაშინ წარუმატებლობის გარკვეული ნაწილის მიზეზი თავად ვიქნებოდი. იმის გამო, რომ საზოგადოებისაგან იზოლირებულად ვიზრდებოდი,

მიჭირდა წარმოსახვით გადავსულიყავი ახლო თუ შორეულ საზოგადოებებში. ვეთაყვანებოდი წიგნებს, მაგრამ კითხვა მიძნელდებოდა. ყველაზე ლაღად თავს ანდერსენისა და ესოპეს სამყაროში ვგრძნობდი — დროისა და სივრცის მიღმა; ხოლო როცა კოლეჯის ბოლო კლასში, როგორც იქნა, შემიყვარდა ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები: მოლიერისა ან სირანო დე ბერჟერაკის ნაწარმოებები, — ამ ნაწარმოებებში ავტორებზე მგონი იმიტომ შევაჩერე, რომ მათში რაღაც ჯადოსნური ზღაპრების მაგვარი აღმოვაჩინე.

როცა მწერალი გავხდი, ის ბუნდოვანი ზონები, ბავშვობაში რომ მერტყა ვარს, ჩემს სიუჟეტებად იქცა: ტრინიდადი, აბორიგენები, ახალი სამყარო, კოლონია, ისტორია, ინდოეთი, მუსულმანური სამყარო, — რომელთანაც ასევე რაღაც მაკავშირებდა, — აფრიკა, შემდეგ ინგლისი, სადაც ჩემს წიგნებს ვწერდი. სწორედ ეს ვიგულისხმებ, როცა ვთქვი, ჩემი წიგნები ერთიმეორეზეა აგებული და მე ჩემი წიგნების ჯამი ვარ-მეთქი; როცა გითხარით, ჩემს წარმომავლობას, — ჩემი შემოქმედების წყაროსა და სტიმულს, — ერთსა და იმავე დროს, უკიდურესად მარტივი და უკიდურესად რთული ისტორია აქვს-მეთქი. თქვენ ნახეთ, რა მარტივად იყო ყველაფერი პატარა ქალაქ ჩაგუანასში. მგონი გამიგებთ, თუ ვიტყვი — რაოდენ რთული იყო ეს ყველაფერი მწერლისთვის, განსაკუთრებით დასაწყისში, რადგან ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურული მოდელები — ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს მოდელები მომაწოდა იმან, რასაც მხოლოდ ჩემს მოჩვენებით ცოდნას თუ ვუწოდებ — სრულიად განსხვავებულ საზოგადოებებს აღწერდა. თქვენ ალბათ იფიქრებთ, მასალა იმდენად მდიდარი იყო, მწერალს დაწყების ან გაგრძელების არანაირ სიძნელეს არ უქმნიდაო. მაგრამ ყველაფერი, რაც ჩემს წარმომავლობაზე მოგახსენეთ, სწორედ იმ ცოდნიდან მოდის, წერამ რომ შემძინა. მერწმუნეთ, საკუთარი შემოქმედების სტრუქტურა სულ რაღაც ორი თუ სამი თვეა, რაც ნათლად წარმომიდგა. ამასწინათ ჩემი პირველი წიგნებიდან ნაწყვეტები წამიკითხეს და, როგორც იქნა, მათ შორის არსებული კავშირები დავინახე. აქამდე კი ჩემთვის ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა სხვებისთვის საკუთარი შრომის ან ამა თუ იმ ნაწარმოების აღწერა, იმის ახსნა, თუ რა გავაკეთე.

მე ვთქვი, ინტუიციას მინდობილი მწერალი ვარ-მეთქი. მუდამ ასე იყო და ასეა დღესაც — როცა უკვე ახლოს ვარ დასასრულთან. გეგმა წინასწარ არასდროს შემიდგენია, არც არანაირ სისტემას მივყოლივარ. ჩემი საყრდენი მხოლოდ და მხოლოდ ინტუიცია იყო. მიზანი ყოველ ჯერზე გახლდათ, უბრალოდ, წიგნის დაწერა, რამე ადვილისა და საინტერესოს შექმნა. ყოველ ეტაპზე ჩემი ცოდნის, მგრძნობელობის, ნიჭისა და მსოფლალქმის საზღვრებში მიხდებოდა მუშაობა. ეს ყველაფერი ნელ-ნელა, წიგნიდან წიგნამდე ვითარდებოდა. უნდა ვთქვა, რომ მათი დაწერა ერთადერთმა გარემოებამ მაიძულა: ამ სიუჟეტებზე არ არსებობდა წიგნი, რომელიც იმას მომცემდა, რაც თავად მჭირდებოდა.

მე უნდა გამომეკვლია ჩემი სამყარო და მისთვის ნათელი უნდა მომეფინა — მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი საჭიროების გამო.

კოლონიის ისტორია ზუსტად რომ აღმექვა, დოკუმენტების გასაცნობად „ბრიტანულ მუზეუმსა“ და ბევრ სხვა ადგილას მსურს. მუშაობა დამჭირდა. ჩავედი ინდოეთშიც, რადგან ისეთი ვერაფერი ვნახე, ვისაც ზუსტად ეცოდინებოდა — როგორი იყო ინდოეთი დიდი ხნის წინ, როცა ბაბუაჩემი და ბებიაჩემი იქიდან წამოვიდნენ. რა თქმა უნდა, არსებობდა ნერუსა და განდის ტექსტები. უცნაურია, მაგრამ ყველაზე მეტი სწორედ განდის და მისმა სამხრეთაფრიკულმა გამოცდილებამ შემძინა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. იყო კიპლინგი; იყვნენ სხვა ანგლო-ინდოელი ავტორები, მაგალითად, ჯონ მასტერსი (1950-იან წლებში ამ ერთობ მოდურმა მწერალმა განაცხადა, ბრიტანეთის ინდოეთზე ოცდათხუთმეტრომანიანი ფრესკის შექმნას ვაპირებო, მაგრამ, ვგონებ, ეს გეგმა შემდგომში ვერ განხორციელდა). იყვნენ მწერალი ქალებიც. თითო-ორთა ინდოელი ავტორი კი, ვინც იმხანად სახელის მოხვეჭა მოახერხა, საშუალო ფენის წარმომადგენლები, ქალაქელები იყვნენ; ისინი არ იცნობდნენ იმ ინდოეთს, საიდანაც ჩვენ წამოვედით.

როცა ჩემი ეს ინდური მოთხოვნილება დაკმაყოფილდა, გაჩნდა სხვა მოთხოვნილებები: აფრიკა, სამხრეთი ამერიკა, მუსულმანური სამყარო. ყოველთვის მიზნად მქონდა დასახული, საკუთარი სამყაროსეული სურათ-ხატი შემექმნა, ნელ-ნელა გამეფართოებინა, შინაარსით გამემდიდრებინა. მიზეზი ჩემი ბავშვობიდან იღებს სათავეს — მინდოდა თავი უფრო მშვიდად, თავისუფლად მეგრძნო. ზოგჯერ მწერენ და მოხოვენ, ჩავიდუ, მაგალითად, გერმანიაში ან ჩინეთში, და იქაურობაზე წიგნი დავწერო. მაგრამ ამ ქვეყნებზე ბევრი კარგი რამ დაიწერა და მეც სავსებით კმაყოფილი ვარ უკვე არსებული ლიტერატურით. ამასთან, ეს სხვა ადამიანთა სიუჟეტებია და არა ჩემი: ეს ის ბნელი ზონები არაა, რომელსაც ბავშვობაში ჩემ გარშემო ვგრძნობდი. მაშასადამე, ჩემს შემოქმედებაში არის განვითარებაც — თხრობის ტექნიკის, ცოდნისა და აღქმის განვითარება — და ერთიანობაც, ანუ ერთგვარი ფოკუსიც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მკითხველს შეიძლება ეგონოს, თითქოს სხვადასხვა მიმართულებით მივდივარ.

წერა რომ დავიწყე, წარმოდგენა არ მქონდა, საით უნდა წავსულიყავი. მხოლოდ ის მინდოდა, როგორმე წიგნი დამეწერა. ვცადე, წერა ინგლისშიც გამეგრძელებინა, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად დავრჩი, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, რომ ჩემი გამოცდილება ძალზე მწირი იყო და წიგნს ნამდვილად ვერ გასწავდებოდა. ვერცერთ წიგნში ვერ ვიპოვე ის, რაც ახლოს მივიდოდა ჩემი ბავშვობის გარემოში განცდილ გრძნობებთან. ჩემ ადგილას ახალგაზრდა ფრანგი ან ინგლისელი რომ ყოფილიყო, სწორ გზაზე დასადგომად უამრავ მოდელს იპოვიდა. მე კი არანაირი მოდელი არ მქონდა.

მამაჩემის ისტორიები ტრინიდადის ინდოელთა ცხოვრებაზე აღარ გამომადგებოდა: ჩემი სამყარო — უფრო ურბანული და მრავალფეროვანი — ძლიერ განსხვავდებოდა მისი სამყაროსაგან, რომელიც უკვე წარსულში დარჩენილიყო. ჩვენი გაფართოებული ოჯახის ქაოსური ცხოვრების ფიზიკური დეტალები — საძინებელი ოთახები, სასაძინებლად მოწყობილი ადგილები, ჭამის საათები, თვის სადგომების კარგად მოწყობა — ძნელი სამართავი ჩანდა. მეტისმეტად ბევრი რამ უნდა შეთქვა ჩემს ოჯახურ ცხოვრებაზე და, იმავე დროს, გარესამყაროზეც. ამასთან, ბევრ რამეზე, — მაგალითად, ჩვენს ისტორიასა და წინაპრებზე — საერთოდ არაფერი ვიცოდით.

და აი, ერთ დღეს, აზრად მომივიდა პორტ-ოვ-სპეინის იმ ქუჩით დამეწყო, რომელზეც ჩაგუანასიდან გადასვლის მერე დავსახლდით. აქ არ იყო გოფირიებული რკინის დიდი ჭიშკარი, რომელიც თავს გარესამყაროდან მოკვეთილად გაგრძნობინებდათ. ქუჩის ცხოვრება ამჯერად იქვე, ჩემს თვალწინ დულდა; უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი, როცა მას ვერანდიდან ვაკვირდებოდი. ჰოდა, სწორედ ამ ქუჩის ცხოვრების თხრობა დავიწყე. მინდოდა ჩქარა მეწერა, მეტისმეტი ინტროსპექცია თავიდან რომ ამეცილებინა; ამიტომაც ყველაფერი გავამარტივე: ახალგაზრდა მთხრობელის პირადი ისტორია გამოვრიცხე, ქუჩის რთულ რასობრივ და სოციალურ მხარეს გვერდი ავუარე, ახსნა-განმარტებებს არ შევდგომივარ, ასე ვთქვათ, მიწაზე დავრჩი. ადამიანებს მხოლოდ ისე წარმოვადგენდი, როგორებიც ქუჩაში ჩანდნენ. დღეში თითო ნოველას ვწერდი. პირველი ხუთი ძალიან მოკლე გამოვივიდა და უკვე თავს ვეკითხებოდი, მასალა თუ მეყოფა-მეთქი. მაშინ წერის მაგია ამოქმედდა და მასალა ყოველი მხრიდან მომაწყდა; ისტორიები უფრო გაიზარდა და შეუძლებელი შეიქნა ჩემი ნოველა ერთ დღეში დამეწერა. მაგრამ ბოლოს შთაგონება, რომელიც მეგონა, რაკი თავის ტალღებზე გამიტაცა, ნებისმიერ დროს მეწვეოდა, ნელ-ნელა დაიწრიტა. თუმცა მთავარი ის იყო, რომ წიგნი უკვე დაწერილი მქონდა; ასე რომ, მე — ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თვალში მაინც — მწერალი გავხდი.

შემდგომ ორ წიგნში მწერალსა და მასალას შორის მანძილი გაჩნდა, თვალთახედვაც უფრო გაფართოვდა. ამის მერე ინტუიციამ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაზე სქელტანიანი წიგნის დაწერის იდეა მიკარნახა. ჩემი მწერლური ამბიცია დღითიდღე იზრდებოდა. მაგრამ, როცა ეს წიგნიც დავწერე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ჩემი კუნძულიდან უკვე ყველაფერი ამოვქაჩე, რისი ამოქაჩვაც კი საერთოდ შეუძლებოდა. ამოდ ვფიქრობდი — სხვა ისტორია თავში არა და არ მომდიოდა.

გამოსავალი სრულიად შემთხვევით ვიპოვე. მე მოგზაური გავხდი. ვიმოგზაურე ანტილის კუნძულებზე და ბევრად უკეთ ჩავწვდი კოლონიური მექანიზმის არსს, რომლის შემადგენელი ნაწილიც ოდესღაც ვი-

ყავი. ერთი წლით ჩაყვდი ინდოეთში, ჩემი წინაპრების სამშობლოში. ამ მოგზაურობამ ჩემი ცხოვრება ორად გახლიჩა. წიგნებმა, რომლებიც ამ ორ მოგზაურობაზე დავწერე, ემოციის ახალი სამფლობელოები აღმომაჩენინა, სამყაროს სხვაგვარი, მანამდე ჩემთვის სრულიად უცნობი ხედვა და ახალი ტექნიკური ხერხები მასწავლა. რომანსკოვის დაწერის იდეაც ამის შემდეგ მომივიდა, საშუალება მომცა, შექმნილი ინგლისიდან ანტილის კუნძულებზეც გადამეტანა. რომ იცოდეთ, რა ძნელი იყო ეს! ამ წიგნში მე — პირველად — მოვახერხე კუნძულის ყველა რასობრივი ჯგუფის გაერთიანებაც, რაც მანამდე არაერთხელ მიცდია.

ეს ახალი რომანი ეხებოდა კოლონიურ სირცხვილსა და ილუზიებს: უფრო ზუსტად, ეს იყო წიგნი სუსტებზე, რომელნიც ტყუიან და, იმავე დროს, თავსაც იტყუებენ, რადგან ეგ მათი ერთადერთი რესურსია. ჩემი წიგნი, სახელად *The Mimic Men* (მიმბაძველნი), ეხებოდა კოლონიის მცხოვრებთ, რომელნიც ძლიერებს, ყოფილ ბატონებს ბაძავენ — ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებმაც, ბოლოს და ბოლოს, გარემომცველი რეალობისადმი რწმენა დაკარგეს. ამასწინათ ზემოაღნიშნული წიგნიდან რამდენიმე გვერდი წამიკითხეს — ოცდაათ წელიწადზე მეტი იყო, არ გადამეშალა — და, უცებ, მივხვდი, რომ თურმე კოლონიურ მიზოფრენიაზე დამიწერია; მაგრამ ეს გაუცნობიერებლად მოხდა. ჩემი თუნდაც ერთი რომელიმე ლიტერატურული გეგმის აღსაწერად აბსტრაქტული სიტყვები არასოდეს გამომიყენებია, სხვაგვარად ამ წიგნს ვერც ვერასდროს დავწერდი. იგი ინტუიციით დაიწერა — მხოლოდ და მხოლოდ ძალზე დაწვრილებითი დაკვირვებიდან დაიბადა.

ეს მოკლე აღწერა ჩემი ლიტერატურული კარიერის დასაწყისისა იმისთვის დამჭირდა, რათა თქვენთვის მეჩვენებინა, რა ეტაპებად მიმდინარეობდა — ეს კი ზუსტად ათ წელიწადში მოხდა — ჩემი დაბადების ადგილის ტრანსფორმაცია ან განვითარება წერის საშუალებით: ქუჩის ცხოვრების კომედია ერთგვარი საერთო-საყოველთაო მიზოფრენიის შესწავლაში გადაიზარდა. ის, რაც მარტივი იყო, რთულად იქცა.

სწორედ ფიქციამ და მოგზაურობის აღწერამ შემძინა საკუთარი თვალთახედვა და თქვენ, ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუკი ვიტყვი, რომ ჩემთვის ყველა ლიტერატურული ფორმა თანაბარი ღირებულებისაა. როცა ინდოეთზე მესამე წიგნს ვიწყებდი, — ინდოეთზე დაწერილი პირველი წიგნის გამოქვეყნებიდან უკვე ოცდაექვსი წელი იყო გასული, — ბევრ რამეს მივხვდი; მივხვდი, მაგალითად, იმას, რომ მოგზაურობის აღწერაში ყველაზე მთავარი ის ადამიანები არიან, რომელთა შორისაც იმყოფება მწერალი: აქ ადამიანი საკუთარ თავს თვითონ უნდა განსაზღვრავდეს, ავტორის ჩარევის გარეშე. ყველაფერი თითქოს ძალზე მარტივია, მაგრამ ეს ჩემგან წიგნის ახალ ფორმას, მოგზაურობის ახალ ყაიდას ითხოვდა. ამის გათვალისწინება ძალიან დამეხმარა. სწორედ ამ მეთოდით ვიხელმძღვანელებ შემდგომში, როცა მუსულმანურ სამყაროში მეორედ შევაბიჯე.

მე მხოლოდ ინტუიცია მამოძრავებს. ჩემთვის უცხოა ყველანაირი სისტემა და ჩარჩო — პოლიტიკური იქნება ეს თუ ლიტერატურული. უცხოა ასევე რაიმე წარმმართველი პოლიტიკური პრინციპიც, რაც უდავოდ ჩემი წარმოშობის ბრალია. ინდოელი მწერლისთვის, რ. გ. ნარაიანისთვის,\* რომელიც წელს გარდაიცვალა, უცხო იყო პოლიტიკური იდეები. მამაჩემზეც, რომელიც თავის ნოველებს შავბნელ ხანაში წერდა, თანაც ისე, რომ მის შრომას სათანადოდ არავინ აფასებდა, იგივე შემძლია ვთქვა. ყველაფრის მიზეზი კი ალბათ ის გახლავთ, რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენ ხელისუფლებიდან შორს ვიყავით, რის გამოც განსაკუთრებული თვალთახედვა ჩამოგვიყალიბდა. საერთოდ, ჩვენ, მგონი, უფრო იუმორი და თანაგრძნობა გვანასიათებს.

დაახლოებით ოცდაათი წლის წინ არგენტინაში ჩავედი. ჩემი ჩასვლა პარტიზანული ომის ხანას დაემთხვა. ხალხი ძველი დიქტატორის — პერონის დაბრუნებას ელოდა. მთელ ქვეყანაში სიძულვილი მძვინვარებდა. პერონისტებს ერთი სული ჰქონდათ, ძველ ანგარიშებს როდის გაასწორებდნენ. ერთ-ერთმა პერონისტმა მითხრა, არსებობს კარგი და ცუდი წამებაო. როგორც თვითონ ამიხსნა, თურმე წამება მაშინ იყო კარგი, როცა ისინი „ხალხის მტრებს“ აწამებდნენ, ცუდი კი — იმ შემთხვევაში, როცა „ხალხის მტრებს“ თავად ისინი უნდა ეწამებინათ. მეორე ბანაკში მყოფი ადამიანებიც იგივეს ამბობდნენ. აქ არ იყო არანაირი აზრიანი კამათი რაიმე საკითხზე, იყო მხოლოდ ვნებები და ევროპიდან გადმოღებული პოლიტიკური ჟარგონის ორომტრიალი. „სადაც ჟარგონი არსებულ მწვავე პრობლემებს აბსტრაქციად აქცევს და ერთი ჯგუფის ჟარგონი მეორისას ეჯიბრება, — ვწერდი იმხანად, — იქ ადამიანებს არც საყრდენი აქვთ და არც მიზანი: მათ მხოლოდ მტრები ჰყავთ“. ვნებები ახლაც თავისუფლად ბობოქრობენ არგენტინაში, ჯაბნიან საღ აზრს და ანადგურებენ ადამიანთა სიცოცხლეს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი გამოსავალი არ ჩანს.

ახლა, ამდენი შრომის შემდეგ და უკვე თითქმის გზის დასასრულს, ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში გავაკეთე სწორედ ის, რაც გავაკეთე, ანუ თავი მწერლობას მივუძღვენი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შემოქმედებით ვეცადე მაქსიმუმი გამეკეთებინა. წერის ჩემი, ინტუიციური მანერისა და მასალის რთული, დამაბნეველი ხასიათის წყალობით ყოველი ჩემი წიგნი ერთგვარ კურთხევად მომეწვლინა. ყოველმა წიგნმა გამოგნა; სანამ დავწერდი, ვერასდროს ვაცნობიერებდი, რომ წიგნი თუ-

\* რასიპურამ კრიშნასვამი ნარაიანი (*Rasipuram Krishnaswamy Narayan*) (1907-2001) — ინდოელი მწერალი, ავტორი რომანებისა მეგზური, ფინანსური ექსპერტი და სხვ. წერდა ინგლისურ ენაზე. ინგლისურად თარგმნა რამაიანა და მაჰაბჰარატა (მთარგმნ.).

რამე სულ ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე ყოფილა. მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული ჩემთვის მაინც დაწყება იყო. ძველი მღვდლმადრი კვლავაც ცოცხლობს და ხანდახან მგონია, წიგნის დაწყებამდეც კი ადვილად შეიძლებოდა მთელი ჩემი ძალისხმევა ამოვ გამოვდგარიყო და, შამასა-დამე, წიგნის დაწერაზე ხელი ამელო.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დავამთავრებ იმით, რითიც დავიწყე — პრუსტის გასაოცარი ესეთი სენტ-ბევის წინააღმდეგ: „ის მშვენიერი ნაწარმოებები, რომელსაც დავწერთ, თუკი ნიჭიც ხელს შეგვიწყობს, ჩვენშია — ბუნდოვანად, როგორც რომელიღაც შორეული, დიდი ხნის წინ მოსმენილი მელოდია, რომელიც, მართალია, გვხიზლავს, მაგრამ მისი მკრთალი მოხაზულობა ვერა და ვერ მოგვიხელთებია [...]. ამ მარად უცნობ ჭეშმარიტებათა ბუნდოვანი მოგონება სწორედ იმით არ აძლევს მოსვენებას, ვინც ბუნებას ნიჭით დაუჯილდოვებია [...]. ნიჭი ერთგვარი მეხსიერებაა, რომელიც ამ ადამიანებს საშუალებას მისცემს, ბოლოს და ბოლოს, მოიახლოვონ ეს ბუნდოვანი მუსიკა, გარკვევით მოისმინონ იგი, ქალაქზე გადაიტანონ [...].“

მთავარი ნიჭიაო, ამბობს პრუსტი. მე კი ვიტყვოდი, ნიჭთან ერთად, იღბალი და ბევრი შრომა.

თარგმნა ილია გავსიანმა



გაბრიელ გარსია მარკესი



ეს პანურიდან

თარგმნა ნინო მანუჩერიშვილმა

ლათინური ამერიკის მართობა

სიტყვა წარმოთქმულია 1982 წელს სტოკჰოლმში, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე

ფლორენციელმა ზღვაოსანმა — ანტონიო პიგაფეტამ, რომელიც მაგელანს მსოფლიოს გარშემო პირველი მოგზაურობისას ახლდა, ჩვენებური, სამხრეთ ამერიკის პირქუში ქრონიკა ასახა, რომელიც შეთხზულ თავგადასავალს უფრო ჰგავდა. გვიამბო, თუ როგორ იხილა ღორი ზურგზე ჭიპლარით, უფრო ფრინველნი მამრის ზურგზე ბარტყებს რომ ჩეკდნენ და ის უენო, პელიკანის მსგავსნიც, ნისკარტი ჩამჩას რომ მიუგავდათ. ის გადაშენებული ცხოველიც აღწერა, ცხენით რომ ჭიხვინებდა და ჯორის თავი და ყურები, აქლემის სხეული და ირმის ფეხები ჰქონდა. არც იმ პირველი ადგილობრივი მკვიდრის აღწერა დავიწყებია, პატაგონიაში რომ შემოსვდათ და, სარკეში საკუთარი გამოსახულების დანახვით შეშინებულმა ვიგანტმა, გონება დაკარგა.

ეს პატარა, მაგრამ მომაჯადოებელი წიგნი, რომელშიც უკვე ბუნდოვნად აისახა დღევანდელი რომანის სათავეები, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი რეალობის გასაოცარი დადასტურებაა. ინდიელმა ქრონიკოსებმა კიდევ უთვალავი რამ გვი-

ანდერძეს: ელდორადო, ასე ნანატრი და აუხდენელი ოცნების ქვეყანა, დიდი ხნის მანძილზე კარტოგრაფების ფანტაზიისამებრ მრავალრიცხოვან რუქებზე ფორმასა და ადგილს რომ იცვლიდა; მარადიული ახალგაზრდობის წყაროს ძიებაში მითიური ალვარ ნუნიეს კაბესა დე ვაკა, ჩრდილოეთ მექსიკას რვა წლის მანძილზე რომ იკვლევდა. ეს უგუნური ექსპედიცია იყო, რომლის წევრებმაც ერთმანეთი შეჭამეს და ექვსასიდან მხოლოდ ხუთიღა გადარჩა; ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ საიდუმლოდ იმ თერთმეტი ათასი ჯორის ისტორია რჩება, კუსკოდან რომ დაიძრა და თითოეულის ტვირთი ას ფუნტ ოქროს შეადგენდა. მიზნად ატაუალპას\* გამოსასყიდის გადახდა დაესახათ, თუმცა დანიშნულების ადგილამდე არასდროს მიულწევიათ; მოგვიანებით, კოლონიის პერიოდში, კარტახენაში მიწაყრილებზე გაზრდილ ქათმებს ჰყიდდნენ, რომელთა ჩი-

\* ატაუალპა — ინკების მმართველი (1532-33 წწ).



ჩახვშიც ოქროს კენჭებს პოულობდნენ. ჩვენი დამფუძნებლების ოქროს ციებ-ცხელებამ დღემდე მოსვენება დაგვიკარგა. როგორც იქნა, გასულ საუკუნეში გერმანულმა მისიამ, რომელმაც პანამის არხის ოკეანეთშორისი რკინიგზის კონსტრუქციის შესწავლა იტვირთა, დაასკვნა, რომ პროექტი განხორციელებადი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რელსებს არა რკინის (რომლის ნაკლებობაც იგრძნობოდა იმხანად რეგიონში), არამედ ოქროსგან დაამზადებდნენ.

ესპანური ბატონობის დამოუკიდებლობამ შეშლილობის საფრთხე მაინც ვერ აგვარიდა: გენერალი ანტონიო ლოპეს დე სანტანა, რომელიც სამჯერ მოგვევლინა მექსიკის დიქტატორად, დიდი ზარზუიმით დაკრძალავს ომში („*Cuerra de los Pasteles*“) დაკარგულ მარჯვენა ფეხს; გენერალი გაბრიელ გარსია მორენა, აბსოლუტური მონარქის სტატუსით, ეკვადორს თექვსმეტ წელს მართავდა. საზეიმო ფორმასა და აბჯარში გამოწყობილ მის ცხედარს საპრეზიდენტო სკამზე დაწვავენ; საღვადორის დესპოტმა გენერალმა — მაქსიმილიანო ერნანდეს მარტინესმა კი 30 ათასი გლეხი ბარბაროსულად ამოელიტა, შემდგომ ქანქარა გამოიგონა, რათა გამოეკვლია მოწამლული იყო თუ არა საკვები, და ქუნთრუშის ეპიდემიასთან საბრძოლველად გარე განათება წითელი ქალღმერთი შეამკო; გენერალ ფრანცისკო მორანის პატივსაცემად ტეგუსიგალპას ზთავარ მოედანზე აღმართული ძე-

გლი სინამდვილეში მარშალ ნეის ქანდაკებაა, რომელიც პარიზში, გამოუსადეგარი სკულპტურების საწყობში იქნა შეძენილი.

თერთმეტი წლის წინ ჩვენი დროის ერთ-ერთმა გამომჩენილმა, პოეტმა — პაბლო ნერუდამ ამ გარემოებას ახსნა საკუთარი სიტყვებით მოუძებნა: მას შემდეგ, რაც ევროპამ თავისი კეთილგონიერებით და ზოგჯერ უგუნურადაც კი ლათინური ამერიკის შესახებ ფანტასტიკური ცნობები უფრო მეტი იმპულსით გააღვივა, ამ ისტორიული ქალებითა და პალუცინაციური მამაკაცებით დასახლებულმა უზარმაზარმა სამშობლომ ასახვა ლეგენდაში ჰპოვა. ერთი წუთითაც კი არ გვექონდა მოსვენება. აღმოდებულ სასახლეში გამაგრებული, პრომეთესეული პრეზიდენტი მხოლოდ მთლიანი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში იღუპება, ხოლო ორმა საეჭვო და გაუხსნელმა ავია კატასტროფამ მეორე, უფრო კეთილშობილი პრეზიდენტისა და იმ დემოკრატი სამხედროს სიცოცხლე შეიწირა, რომელმაც ხალხის ღირსება აღადგინა. ხუთი ომისა და ჩვიდმეტი სახელმწიფოებრივი გადატრიალების შედეგად ლუციფერისეული დიქტატორი გამოჩნდა, რომელიც ღვთის სახელით, ჩვენი დროის ლათინური ამერიკის ეთნოციდს დაასრულებს. ამასობაში, ოცი მილიონი ლათინო-ამერიკელი ბავშვი ორი წლის ასაკსაც ვერ აღწევს და იღუპება. დაღუპულთა ეს რიცხვი 1970 წლიდან ევროპაში დაბადებულთა რაოდენობას აღემატებოდა. თითქმის 120 ათასი ადამიანი რეპრესიის საბაბითაა გაუჩინარებული. ეს იგივეა, რაც თითქოს უცნობი იყოს, სად გაქრნენ ქალაქ უფსალას მცხოვრებნი. დაპატიმრებულ ორსულ ქალთა უმრავლესობამ ბავშვები არგენ-

\* „*Cuerra de los Pasteles*“ — 1838-1839 წწ. საფრანგეთსა და მექსიკას შორის გაჩაღებული ომი, რომელსაც საფუძვლად საფრანგეთის მთავრობის პროტესტი დაედო.

ტინის ციხეებში გააჩინა, რომლებიც მოგვიანებით ფარულად გააშვილეს, ან სამხედრო ხელისუფლების მიერ ობოლთა თავშესაფარში იქნენ მიბარებულნი. ამ გარემოების აღკვეთას კონტინენტის 200 ათასი ქალი და მამაკაცი და ცენტრალური ამერიკის სამი პატარა და თავნება ქვეყნის — ნიკარაგუას, სალვადორისა და გვატემალას 100 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა. მსგავსი რამ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ მომხდარიყო, ოთხწელიწადში ძალადობრივი სიკვდილით დაღუპულთა პროპორციული ციფრი 600 მილიონს მიაღწევდა.

ჩილედან, რომელიც სტუმართმოყვარეობის ტრადიციითაა განთქმული, მილიონი ადამიანი გაიქცა, რაც მოსახლეობის 12%-ს შეადგენდა. ურუგვაიმ, კონტინენტის ყველაზე ცივილიზებულმა, 2,5 მილიონიანმა ქვეყანამ, გადასახლების დროს ყოველი ხუთი მოქალაქიდან ერთი დაკარგა. 1979 წლიდან, სალვადორის სამოქალაქო ომის დროს, ყოველი ოცი წუთის განმავლობაში თითო ემიგრანტს ითვლიდნენ. ეს ის ქვეყანაა, რომელსაც ნორვეგიაზე გაცილებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ყოლა შეეძლო ლათინური ამერიკის იძულებით გადასახლებულებისა და ემიგრანტებისაგან.

გავბედავ ვიფიქრო, რომ ეს შემზარავი რეალობაა და არა მხოლოდ მისი ლიტერატურული გამოხატვა, რამაც წელს შვედეთის აკადემიის ყურადღება მიიპყრო. რეალობა, რომელიც ფურცლებიდან კი არ მეტყველებს, არამედ ჩვენს გვერდით ცხოვრობს და ყოველდღიურად ჩვენს ურიცხვ გარდაცვლილთა ბატონპატრონია. რეალობა, უძღებ ქმნილებათა უბედურებითა და მშვენიერებით სავსე წყაროს რომ ასაზრ-

დობს, რომლის მკაფიოდ გამოკვეთილი სიმბოლოც ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ეს ნაღვლიანი, მოხეტიალე კოლუმბიელია. პოეტებსა და მათხროვნებს, მუსიკოსებსა და წინასწარმეტყველებს, მეომრებსა და თაღლითებს, ამ უსამართლო რეალობის ქმნილებებს, ფანტაზიისათვის ნაკლებად მიუმართავთ, რადგან ჩვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა საარსებო საშუალებების პირობითობა იყო, რაც სარწმუნოს ხდიდა ჩვენს ცხოვრებას, სწორედ ეს არის, მეგობრებო, ჩვენი მარტოსულობის კვანძი.

ამდენად, თუ ეს სიძნელენი თავად ჩვენვე გვასუსტებს, რაც გარდაუვალია, რთული აღარაა მიხვდე, რომ მსოფლიოს ამ კუთხის საკუთარი კულტურით აღტაცებული ნიჭიერი ადამიანები რატომ დარჩნენ თვითგამოხატვის უნარის გარეშე. გასაგებია, რომ დაჟინებით ცდილობენ საკუთარი საზომით გაგვზომონ მიუხედავად იმისა, რომ მიყენებულ ზარალს ყველა არაერთგვარად განიცდის, საკუთარი თავის ძიება კი ჩვენთვის ისეთივე რთული და სისწლიანი იყო, როგორც მათთვის. უცხო თვალთ აღქმულმა ჩვენმა რეალობამ უფრო გაგვაუცხოვა, უფრო შეგვბოჭა, უფრო განგვაპარტოვა. შესაძლოა, პატივცემული ევროპა ამ ყველაფერს უფრო გავებით მოჰკიდებოდა, ჩვენი თავი საკუთარ წარსულში რომ დაენახა; თუ გაიხსენებდა, რომ ლონდონს სამასი წელი დასჭირდა პირველი კედელი რომ აღეშენებოდა და კიდევ ამდენივე, ეპისკოპოსი რომ ჰყოლოდა; რომი ოცი საუკუნის მანძილზე უმეცრად იბრძოდა, სანამ ეტრუსკმა მეფემ ისტორიაში არ შეიყვანა; ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში დღევანდელი მშვიდობისმოყვარე შვეი-

ცარიელები, რომლებიც უზარმა-  
ზარი ყველთა და შეუპოვარი სა-  
ათებით გვატკბობენ, როგორც მო-  
ხალისე ჯარისკაცები, ევროპას  
სისხლით შეღებავენ; თუმცა რენე-  
სანსის მიწურულს, 12 ათასი ლან-  
დსკნესტი\* საიმპერატორო ჯარების  
ხარჯით, გაძარცვავენ და დაარბევს  
რომს, 8 ათას მოსახლეს კი გაჟ-  
ლეტს.

არ მივიღტვი ხორცი შევასხა  
ტონიო კროგერის ილუზიებს, უბ-  
იწო ჩრდილოეთისა და ვნებიანი  
სამხრეთის გაერთიანების ნატვრას,  
რამაც 53 წლის წინ ამ ადვილას  
ჩემს ნაცვლად მდგარი თომას მანი  
ალაფრთოვანა. მაგრამ მჯერა, რომ  
ნათელი სულის ევროპელები, ის-  
ინი, ვინც აქაც უფრო ჰუმანური და  
სამართლიანი სამშობლოსათვის იბ-  
რძვიან, შეძლებენ უკეთ დაგვეხმა-  
რონ, თუკი საფუძვლიანად მოახე-  
რნებენ ჩვენს აღქმას. მხოლოდ ჩვენს  
ოცნებებთან სოლიდარობა ამ მარ-  
ტობის გრძნობას ვერ გააქარვებს,  
თუ ხალხი კანონიერ მხარდაჭერას  
არ იგრძნობს. ის ხალხი, ილუზიით  
რომ ცხოვრობს და საკუთარი თავი  
მსოფლიოში დამკვიდრებულად მია-  
ჩნია.

ლათინურ ამერიკას არ სურს და  
არც საბაბი გააჩნია ქიმიურული, ანი-  
რებული წინასწარმეტყველების სა-  
განი იყოს, ხოლო მისი დამოუკი-  
დებლობის განზრახვა დასავლეთის  
მისწრაფებად იქცეს. მიუხედავად  
იმისა, რომ ნაოსნობის მიღწევების  
წყალობით ასე შემოკლდა მანძილი

\* ლანდსკნესტი — გერმანელთა  
დაქირავებული ქვეითი ჯარი XV-  
XVII სს. მათი სამშობლოა შვაბია  
(სამხრ. გერმანია). XVI ს-დან მათ  
ქირაობდნენ ევროპის სახელმწი-  
ფოების (საფრანგეთი, ავსტრია,  
ესპანეთი და სსვ.) არმიებშიც.

ლათინურ ამერიკასა და ევროპას  
შორის, ჩვენი კულტურული დის-  
ტანცია უფრო გაიზარდა. რატომ  
ხდება, რომ ის ჭეშმარიტება, რომ-  
ლის წყალობითაც ჩვენს ლიტერა-  
ტურაში დამკვიდრების საშუალე-  
ბა გვეძლევა, თავადვე უარგვეყოფს,  
რაკი უნდობლობით უყურებს ჩვენს  
ასეთ დაუცხრომელ მცდელობას სა-  
ზოგადოებრივი ცვლილების საკი-  
თში? რატომ ფიქრობენ, რომ  
საზოგადოებრივი მართლმსაჯულე-  
ბა, რომელიც ავანგარდ ევროპელ-  
თა ნაწილის მცდელობით იწერება,  
არ შეიძლება თავისი განსხვავებუ-  
ლი პირობებითა და მეთოდებით ლა-  
თინო-ამერიკელთა ობიექტივიც იყ-  
ოს? არა: ჩვენი ისტორიის უზომო  
ძალადობა და ტკივილი აურაცხელი  
საუკუნეობრივი უსამართლობისა  
და სიმწარის შედეგია და არა ჩვენი  
სახლიდან სამი ათას ლიგაზე ჩა-  
ფიქრებული შეთქმულება. უამრა-  
ვმა ევროპელმა მოაზროვნემ და  
მმართველმა, მსგავსად იმ ბებია-  
ბაბუების ინფანტილურობისა, სა-  
კუთარი ახალგაზრდობის თავქარი-  
ანობას რომ დაივიწყებენ, ირწმუ-  
ნა, თითქოს ჩვენი ცხოვრება მხო-  
ლოდ სამყაროს ორი დიდი ბატონის  
ნება-სურვილზე ყოფილიყო დამო-  
კიდებული. ამაშია, მეგობრებო,  
ჩვენი მარტობის სიდიდე.

მიუხედავად ამისა, ჩავვრას, ძა-  
რცვასა და უმწეობას სიცოცხლით  
ვპასუხობთ. ვერც წყალდიდობებმა,  
ვერც ჭირმა, ვერც შიმშილმა, ვერც  
კატაკლიზმებმა და ვერც საუკუნე-  
ების მანძილზე მიმდინარე ომებმა  
ვერ შეძლეს სიკვდილზე სიცოცხ-  
ლის შეუპოვარი უპირატესობა შე-  
ეზღუდათ. უპირატესობა, რომე-  
ლიც ჩქარობს და იზრდება: ყოველ-  
წლიურად 74 მილიონით მეტი ახ-  
ალშობილია, ვიდრე გარდაცვლილი.  
ახალშობილთა რაოდენობა ნიუ-

იორკის ყოველწლიურად შვიდჯერ გაზრდილ მოსახლეობას უდრის. მათი უმრავლესობა სწორედ იმ ქვეყნებში იბადება, სადაც საარსებო საშუალებები ნაკლებადაა, მათ შორისაა, რა თქმა უნდა, ლათინური ამერიკის ქვეყნებიც. სანაცვლოდ, აყვავებულ ქვეყნებში დაღუპულთა უზარმაზარი ნაკადი დაგროვდა, რაც უდრის არა მხოლოდ იმ ადამიანთა ასჯერ განადგურებას, ვისაც დღემდე უცხოვრია, არამედ საერთო ჯამს იმ ადამიანებისა, ვისაც კი ამ უიღბლო პლანეტაზე ფეხი დაუდგამს.

ერთ დღეს ჩემმა მასწავლებელმა — უილიამ ფოლკნერმა ამ ადგილიდან წარმოსთქვა: „უარს ვაცხადებ კაცობრიობის დასასრული დავუშვა“. უღირსი ვიქნებოდი, ეს ადგილი დამეკავებინა, გაცნობიერებული რომ არ მქონოდა კაცობ-

რიობის წარმოშობის დროიდან გაჩენილი ის კოლოსალური კატასტროფა, რომელსაც 32 წლის წინ თომას მანი უარყოფდა და რომელიც დღესდღეობით სხვა ~~არაფერა~~ თუ არა მარტივი მეცნიერული შესაძლებლობა. ამ რეალობის წინაშე, კაცობრიობის მანძილზე უტოპიად რომ ითვლებოდა და ფარდა ავხადეთ, ჩვენ, შემოქმედნი თავს მოვალედ ვთვლით, ვირწმუნოთ, ჯერ კიდევ გვიანი არაა საპირისპირო უტოპიის შექმნა წამოვიწყოთ. იმ უტოპიის, სადაც ვერავინ ვერავის ნაცვლად ვერაფერს გადაწყვეტს, სიკვდილსაც კი, სადაც სიყვარული ჭეშმარიტი იქნება, შესაძლებელი იქნება ბედნიერება და სადაც ასი წლის მარტოობისათვის განწირულ მოდემას საბოლოოდ და სამუდამოდ ამქვეყნად მოსვლის მეორე შესაძლებლობა მიეცემა.





## კამილო სოსე სელას „ტრემენდიზმი“ და „აღამიანური ნატურის ნაიარავი“ სამოქალაქო ომის შემდგომ ლიტერატურაში

ესპანეთში, როგორც ცნობილია, სისხლისმღვრელი და დამანგრეველი სამოქალაქო ომის (1936-39 წ.წ.) შედეგად, 1939 წელს ფაშისტური დიქტატურა დამყარდა. ქვეყანა ევროპისაგან მოწყვეტილი, რკინის ფარდის მიღმა აღმოჩნდა. პირენეის ნახევარკუნძული კი შორეულ, მიუწვდომელ კუნძულად გადაიქცა. საინტერესოა, რას ფიქრობდნენ და გრძნობდნენ ის ესპანელები, რომლებიც სამშობლოში დარჩნენ, მაშინ როცა დევნილთა უკანასკნელი ჯგუფები საზღვარს ტოვებდნენ, როდესაც ასეთი სახის ლოზუნგები ჩნდებოდა: „წინ ღმერთის იმპერიისაკენ!“ „დიდება ფრანკოს!“.

პოი, ბაროხას, მიგელ დე უნამუნოს, სოსე ორტეგა ი გასეტის, ბლასკო იბანიესის წიგნები მოედანზე იწვის, კომუნიკაციები გაწყვეტილია და ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ინფორმაციის მიღება წითელი ჯვრის მეშვეობითაა შესაძლებელი. რადიო აცხადებს, რომ ფრანკისტული ამბოხის გამარჯვება გარდაუვალია, მადრიდში კი აღარ არსებობს ხელისუფლება. ქვეყანაში გაიცა ბრძანება ჰიმნოგრაფიული, მარქსისტული, ათეისტური წიგნების კონფისკაციის შესახებ, დაწესდა წიგნის, თეატრის, კი-

ნოს, რადიოს, პრესის ცენზურა, აიკრძალა ასოციაციებისა და კავშირების თავისუფლება. სიმკაცრე ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი გახდა. უკანასკნელ „გმირობად“ ალბათ, ცეცხლში გახვეული პრადოს მუზეუმი უნდა ჩაითვალოს. თითოეულ მოქალაქეს კი გულში ომში დაღუპულთა სია დარჩა.

არსებულ რეჟიმს ეკლესია მხარს უჭერდა, ამიტომაც ხალხთა ზიზლი, პირველ რიგში, მღვდლებისა და ბერების წინააღმდეგ მიიმართა. კლასობრივი ბრძოლების დროს არაერთხელ იწვოდა ეკლესია-მონასტერი. ბევრი ესპანელი ინტელიგენტი ასეთ რევოლუციურ მოძრაობაში, პირველ ყოვლისა, სტიქიურ-დამანგრეველ ელემენტს ხედავდა. „მასათა ამბოხების“ შიშმა 20-30-იანი წლების ესპანეთის ინტელიგენციის ნაწილი მოიცვა. ამის ნათელ მაგალითს XX საუკუნის ესპანელი ფილოსოფოსის სოსე ორტეგა ი. გასეტის ცნობილი ნაშრომი „მასების ამბოხი“ (1929) წარმოადგენს. ერთადერთი, რაც იმ წლებში ახალგაზრდების გონებაში ოფიციალურ იდეოლოგიას ებრძოდა, სოსე ორტეგა ი. გასეტის ეგზისტენციალური ფილოსოფია იყო. ემიგრაციიდან დაბრუნებულმა გასეტმა ერთ-ერთ ლექციაზე თქვა, რომ შეუძ-

ლებლად მიაჩნია — „გაარჩიოს კარგი და ცუდი პოლიტიკა“, ანუ თავს იკავებდა ახალ რეჟიმს (იგულისხმება ფრანკისტული რეჟიმი) მისალმებოდა. ფალანგისტურმა გაზეთმა კი ღია წერილი გამოაქვეყნა და ფილოსოფოსს მუქარით შეახსენა, რომ „შთაგონება იმისა, სად არის კარგი და ცუდი პოლიტიკა, ესპანეთში მილიონობით მსხვერპლის საფასურად ჯდება“.

ფრანკისტული რეჟიმის ესპანეთში ძალზედ დიდი იყო XX საუკუნის დაუცხრომელი მოაზროვნისა და მწერლის მიგელ დე უნამუნოს გავლენაც. სალამანკის უნივერსიტეტის მსცოვანმა რექტორმა ახალ ხელისუფლებას განუცხადა: „თქვენ გაიმარჯვებთ, რადგან უხეშ ძალას ფლობთ, მაგრამ თქვენ ვერ დაგვარწმუნებთ, რომ დაგვარწმუნოთ, უნდა დაამტკიცოთ, იმისათვის კი, რომ დაამტკიცოთ, საჭიროა ის, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ — აზრი და უფლება ბრძოლისათვის. უსარგებლოდ მიმაჩნია გთხოვოთ ესპანეთზე იფიქროთ. მე ყველაფერი ვთქვი“. მიგელ დე უნამუნო თანამედრობიდან მაშინვე გაათავისუფლეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ნათლად ჩანს, რომ ფაშისტურმა დიქტატურამ დამლუპველი გავლენა იქონია კულტურის განვითარებაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესპანურ ლიტერატურაში დუმილი ჩამოწვა, რადგან ეროვნული ლიტერატურული ტრადიცია შეწყდა. ფრანკისტულმა რეჟიმმა ბევრი შემოქმედი აიძულა ქვეყანა დაეტოვებინა, ნაწილმა დუმილი ამჯობინა. ეს სიჩუმე სამოქალაქო ომის შემდეგ ესპანურ ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა, პოეტმა, ლინგვისტმა და

დრამატურგმა კამილო ხოსე სელამ დაარღვია. სწორედ მან გამოაღვიძა ესპანური ლიტერატურა ახალი მიმართულებით — ტრემენდიზმით, რომლის სახელწოდებაც ესპანური სიტყვა „tremendo“ — „შემადინარეობს და „საშინელს“ ნიშნავს.

გულგრილი დამოკიდებულება ხვალისდელი დღისადმი, ოჯახური კავშირების ნგრევა, საერთო მართობა, ძალადობისაკენ მიდრეკილება, აუტანელი ცხოვრება, დასახინრებული ადამიანები, მიმშილი — აი, ყველაფერი, რაც ტრემენდიზმის წარმოშობის საბაზად იქცა. ასე გამოიყურებოდა 40-50-იანი წლების ფრანკისტული რეჟიმის ქვეშ მყოფი ესპანეთი.

ტრემენდიზმის საინტერესო დახასიათებას თავად კ. ხ. სელა გვაძლევს. მისი აზრით, ომისშემდგომი ლიტერატურის ტონუსი ძალადობაა, რაშიც საზოგადოებას მიუძღვის ბრალი. ასეთი საზოგადოების ფონზე მწერალი ნაღველითა და უძლურებით ბრძავედება. ბრალი ცენზურასაც მიუძღვის, რომელიც დუმილს ამჯობინებს, ვიდრე რაიმეს გამოსწორებას. მწერალი კი დამნაშავეა როდესაც ცენზურის წესებით იწყებს თამაშს, იმის მაგივრად, რომ ებრძოლოს მას ან სულაც მისი იგნორირება მოახდინოს.

კ. ხ. სელამ არაერთხელ უარყო ის ფაქტი, რომ იგი ტრემენდიზმის ფუძემდებელია. „საშინელებები ისეთივე ძველია ესპანურ სიტყვიერებაში, როგორც თავად ეს უკანასკნელი“, — წერდა კ. ხ. სელა და ამავე დროს ამტკიცებდა, რომ „საშინელებათა ჟანრის ლიტერატურა არსებობს იმიტომ, რომ თავად ცხოვრებაა საშინელი“.

ტრემენდისტების (კ. ხ. სელა, კ. ლაფორეტი და სხვ.) მსოფლმხედველობა ღრმად ტრაგიკული იყო. ისინი ადამიანური ყოფის აბსურდულობას ამტკიცებდნენ და მის ერთადერთ საფუძვლად ძალადობა და სიკვდილი მიაჩნდათ. თუმცა ტრემენდისტული ჟანრის ნაწარმოებებში პერსონაჟთა ანარქიული ბუნტი საბოლოოდ მაინც იმ სოციალური მდგომარეობისკენაა მიმართული, რაც იმდროინდელ ესპანეთში იყო გაბატონებული.

რა თქმა უნდა, ტრემენდისტებს სურდათ უკმაყოფილება გამოეთქვათ არსებული რეჟიმის გამო, რადგან ისინი კრიტიკულ პოზიციას გამოხატავდნენ ომისშემდგომი საზოგადოების მიმართ, მაგრამ ამავე დროს საჭიროა გაანალიზდეს პრინციპული განსხვავება ტრემენდისტულ ესთეტიკასა და კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკას შორის. ერთ-ერთი კრიტიკოსი ხ. მალიო ამ სხვაობას ასეთ ფორმულირებას აძლევდა: „XIX საუკუნის რეალისტური რომანი ესწრაფვოდა ცხოვრება სხვადასხვა კუთხით აღეწერა, ხოლო ტრემენდიზმი განსაკუთრებით ავადმყოფურ, ჩვენი დროის ესპანელთა დარდისა და ტანჯვის გამომწვევ მხარეს ირჩევს“.

ტრემენდისტთა დამოკიდებულება ადამიანის ხასიათთან ორგვაროვანია. ერთი მხრივ, ტრემენდისტთა წიგნებში ადამიანი უმწეო, პასიურია. ცხოვრებაში მას რაღაც უხილავი ძალა უბიძგებს, იგი ვერ გეზობულობს რა და რატომ ხდება მის თავს. ტრემენდისტთა ნაწარმოებები გვამახსოვრდება არა იმდენად სიუჟეტური პერიპეტეებით, არამედ იმედგაცრუებული, შიშისა და ზიზღის ატმოსფეროთი. მეორე მხრივ, ტრემენდისტული ნაწარმოების ცე-

ნტრში ყოველთვის მარტოხელა ადამიანი დგას. სამყარო ნაჩვენებია არა სოციალური კავშირების გადაჯაჭვით, არა საზოგადოების პანორამიდან, არამედ ადამიანის ცხოვრებიდან. სოციალური გადატანილია ამ ადამიანის შინაგან სამყაროში და იქ შუქდება. ადამიანი ტრემენდიზმში თითქოს სავსე ფილაა, რომელსაც ცხოვრება იმედგაცრუებული, ბოროტი, უხეში პროტესტით ავსებს.

ამდენად, ესპანური ლიტერატურის ახალგაზრდა თაობა ისწრაფვოდა რეალურ სამყაროში დარჩენილიყო და ეჩვენებინა იგი ისეთად, როგორც სინამდვილეში იყო. ახალი ლიტერატურული მიმართულების მნიშვნელოვან თავისებურებას ამ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ხუან გოიტისოლო ასე აყალიბებს: „საზოგადოებაში, სადაც ადამიანური ურთიერთობები ასეთი არაბუნებრივია, რეალიზმი — აუცილებელია... ჩვენთვის, ესპანელი მწერლებისთვის, მხოლოდ ერთი — რეალობაში გაქცევა არსებობს“.

ფრანკისტული რეჟიმის დადანაშაულება არა პირდაპირი ფორმით, არამედ ობიექტური ჩანახატების, რეალური ცხოვრებისეული მოვლენების გზითაა ნაჩვენები ნაწარმოებში და აღიქმება, როგორც ეპოქის ზუსტი დოკუმენტი. თხრობის ასეთი ფორმა არ არის შემთხვევითი და ხშირად ამას ცენზურის სიმკაცრით ხსნიან. ეს აზრი საფუძველს არაა მოკლებული, რადგან ობიექტური, მოვლენათა ემპირიული ასახვა, ეჭვგარეშეა, უფრო ადვილად დაუსხლტებოდა ცენზურას, ვიდრე ავტორის კრიტიკული შეფასებებით შედგენილი ტექსტი, მკითხველს კი საშუალება ეძლეოდა თავად გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები.

„ხშირად იმის გაკეთება უფრო შე-  
ძელი, რაც მინდოდა, ვიდრე რის  
ნებასაც მრთავდნენ, ამოცანა კი  
ის არის, ჩაეჭიდო იდეას და არც ერ-  
თით არ დაიხიო მტკიცე მიზნისა-  
გან“, — თქვა ერთხელ კამილო ხო-  
სე სელამ, რომელიც ცდილობს სა-  
სტიკო ცენზურის პირობებშიც მო-  
ხმოს უამრავი პერსონაჟი და მათ  
საკუთარი სათქმელი ათქმევინოს.  
კ.ხ.სელა ხომ იმ თაობას მიეკუთვ-  
ნებოდა, ვინც დიქტატურის წლებ-  
ში ყალიბდებოდა, სიცრუისა და ძა-  
ლადობის ატმოსფეროში იზრდე-  
ბოდა. „თაობა მემკვიდრეების გა-  
რეშე“, — ასე უწოდებდნენ მაშინ  
საკუთარ თავს ახალგაზრდა ესპა-  
ნელი ლიტერატორები.

„მე დავიბადე დიდი ხნის — ოც-  
დათვრამეტი წლის წინათ ირია —  
ფლავიაში, რომელიც ოდესღაც ძვე-  
ლი რომაელების ფორპოსტი იყო  
კელტური დასავლეთის მეშვიდე  
ქვეყანაში... არც ერთი ხე არ დამი-  
რგავს და არც ერთი სტრიქონი არ  
დამიწერია მომჭირნეობის სარგე-  
ბლიანობაზე. ჩემი წიგნების სახე-  
ლწოდებებს გამოვტოვებ, თავისთა-  
ვად იგულისხმება, რომ ყოველმა  
ასე თუ ისე განათლებულმა კაცმა  
უწყის მათი სახელები, ცოდვა გამ-  
ხელილი სჯობია — რა დასანანიც  
არ უნდა იყოს, სახალხო კუთვნი-  
ლებად ვიქეცი... ხშირად ვიცვლიდი  
საქმიანობას, ალბათ იმიტომ, რომ  
არც ერთი არ მომწონდა. სიტყვის  
წარმოთქმა არ მიყვარს და არც  
ევროპის ერთიანობის მწამს რაი-  
მე... ჩემი წიგნები — რას იზამ! —  
ყველა ენაზეა თარგმნილი და ჩემს  
სიცოცხლეში პრემია არ მიმიღია...  
თავი ესპანეთის საუკეთესო მწერ-

ლად მიმაჩნია 98-წლის თაობის\*  
შემდეგ და თვითონვე მიკვირს, რა  
ადვილად მივალწიე ამას, — წერდა  
კ.ხ.სელა 1954 წელს საკუთარ ავ-  
ტობიოგრაფიაში.

1942 წელს, 26 წლის იკსელა  
ნობელის პრემიაზე ოცნებობდა. მან  
თავის მეგობარს, სეზარ გონსალეს  
რუანოსაც უთხრა: „მე ნობელის სა-  
ფასურს გადავიხდიდი, რათა მქო-  
ნოდა ნობელი“. მოგვიანებით კი  
იტყვის: „ყველაზე დიდი ჯილდო  
არის ის, როცა შეგიძლია ილაპარა-  
კო. ჩემი საქმე არ არის ჯილდოების  
მიღება, არამედ წერა“. კ.ხ.სელა  
რიგით მეხუთე ესპანელი იყო, რო-  
მელმაც 1989 წლის 10 დეკემბერს,  
73 წლის ასაკში უმნიშვნელოვანესი  
ლიტერატურული ჯილდო, ნობელ-  
ის პრემია მიიღო. შვედეთის აკა-  
დემიის მიერ იგი დასაჩუქრებულ იქ-  
ნა იმ „ძლიერი და მდიდარი პრო-  
ზისათვის, რომელიც ზომიერი თა-  
ნაგრძნობით აყალიბებს დაუცვე-  
ლი ადამიანის პროვოკაციულ თვალ-  
თახედვას“. თავად სელამ აღნიშნა,  
რომ არსებობდნენ სხვა ესპანელები  
და ლათინოამერიკელები, რომლე-  
ბიც ამ ჯილდოს იმსახურებდნენ.  
ამიტომაც სწამდა, რომ მისი სახით  
მთელი ესპანური ლიტერატურა და-  
ჯილდოვდა.

\* 98-წლის თაობა — იგულისხ-  
მება ფართო კულტურული მოძრა-  
ობა, რომელსაც საფუძვლად 1898  
წლის 21 აპრილის მოვლენა დაედო.  
როგორც ცნობილია, აშშ-ბმე ულ-  
ტიმატუმი წაუყენა ესპანეთს, რათა  
კოლონიებიდან თავისი ჯარები გა-  
ეყვანა, რაზედაც ესპანეთმა უარი  
განაცხადა. ამით მან დაკარგა კო-  
ლონიები: კუბა, ფილიპინები და  
სხვ. ამ თაობას მიეკუთვნებოდა:  
პიო ბაროხა, მიგელ დე უნამუნო,  
ანტონიო მაჩადო და სხვ.



კ.ხ.სელას ლიტერატურული დებიუტი 1942 წელს შედგა რომანით „პასკუალ დუარტეს ოჯახი“, რომლის გამოქვეყნებითაც მან ესპანურ ლიტერატურაში გადატრიალება მოახდინა. სწორედ ამ ნაწარმოების მეშვეობით სელამ შემოსვენებულ ლიტერატურულ მიმდინარეობას — ტრემენდიზმს ჩაუყარა საფუძველი.

„პასკუალ დუარტეს ოჯახი“ „დონ კისოტის“ შემდეგ მეორე რომანია, რომელიც მრავალჯერ გამოიცა და რომელმაც ფრანკისტული რეჟიმის დროს ყველაზე მეტად განიცადა ცენზურის გავლენა. გარდა ამისა, იგი მე-20 საუკუნისათ საუკეთესო ესპანურენოვან რომანს შორის მესამე ადგილს იკავებს. ეს რომანი, ფაქტობრივად, იყო გამოქვეყნებული იმ არაკეთილდღეობისა, რომელიც სუფევდა ქვეყანაში, სადაც თითქოს წესრიგი და მშვიდობიანობა იყო გამეფებული.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ კ.ხ.სელას პიო ბაროხასთვის\* უთხოვია ამ რომანის წინასიტყვაობის დაწერა. ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ პ. ბაროხამ უარი უთხრა სელას და უპასუხა, რომ არანაირი სურვილი არა ჰქონდა ციხეში ჩამჯდარიყო. თუმცა 1943 წლის 2 იანვარს ლიტერატურულ გაზეთში განაცხადა, რომ „პასკუალ დუარტეს ოჯახი“ არაჩვეულებრივი რომანია.

ნაწარმოები პირველად ბურგოსში გამოსცეს, ხოლო 1943 წლის ნოემბერში აკრძალეს (როგორც გ.გ. მარკესის „მარტოობის ასი წე-

\* პიო ბაროხა — XX ს-ის რომანისტი, 98-წლის თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ლიწადი“). ამის მიზეზი ის ფაქტი იყო, რომ სელას რომანში ბევრი დანაშაული იყრის თავს, ცენზურამ კი სწორედ ეს ვერ აიტანა.

რომანი ცხრამეტი თვესაგან შედგება და თავისი უთხრის ბადახოსის ციხეში მჯდომ პასკუალ დუარტეს ერთგვარ აღსარებას წარმოადგენს. სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში მყოფი პასკუალეს მოგონებანი, რომლებიც მას ფურცლებზე გადმოაქვს, საკმაოდ მძიმე და ტრაგიკულიც კი არის.

პასკუალ დუარტე ბადახოსის პროვინციის ერთი მივარდნილი სოფლის მკვიდრია, რომელიც ალმენდრალესოდან ორ ლიგაზე მდებარეობს და რომლის მოედანზეც საათი გაჩერებულია. პასკუალეს სოფლიდან მოშორებით მდგარ სახლში კი ცარიელი თავლაა და მკვდარი საქონლის სუნი დგას. ჭაც ამოქოლილია და ღელეც ნახევრად დამშრალი, ჭყუჭყიანი და მყრალია. გაჩერებული საათი აქ სიმბოლურ დატვირთვას იძენს და მიგვანიშნებს, რომ სოფელში უძრაობის ხანაა, დროა გაჩერებული, არავის სცალია საქონელს უპატრონოს, ჭაც იმიტომ ამოქოლეს, რომ უვარგისი წყალი ჩამდგარა, ღელეც, რომელიც კალაპოტსავსე არასოდეს უნახავთ, დამშრალია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაფერი სიცოცხლესაა მოკლებული, თითქოს სოფლის მოედანზე საათი მხოლოდ სილამაზისთვის და არა დროის საჩვენებლად დაედგათ.

სამაგიეროდ დიდებული არისტოკრატის, ტორემეხიას გრაფის დონ ხესუს გონსალეს დე ლა რიკას ორსართულიანი სახლი, მიუხედავად შეუღებავი ფასადისა, მაინც პატრონის შეძლებულობაზე მეტყველებდა. მოგვიანებით გრაფი პა-

სკუალეს მსხვერპლთა სიაში აღმო-  
ჩნდება. როგორც შემდგომ ირკვე-  
ვა, პასკუალე არა კანონის, არამედ  
სოციალური უთანასწორობის მსხვე-  
რპლია და ამიტომაც გრაფის მკვლე-  
ლობით პასკუალემ კონკრეტულ პი-  
როვნებაზე კი არა, არამედ საერ-  
თოდ სოციალურად დაპირისპირე-  
ბულ კლასზე ამოიყარა ჯავრი. თა-  
ვის აღსარებაში პასკუალე გრაფს  
ადანაშაულებს. ალბათ ამას თავად  
გრაფიც გრძნობდა და ამიტომაც  
გაუღიმა პასკუალეს სიკვდილის  
წინ. ამ ღიმილით გრაფმა მთელი  
არისტოკრატიული კლასის დანაშა-  
ული აღიარა.

საინტერესოა პასკუალეს პირო-  
ვნება დამნაშავედ ჩამოყალიბებამ-  
დე. რომანის დასაწყისში მკითხვე-  
ლის წინაშეა სავსებით უბოროტო  
ადამიანი, პასკუალე, რომელიც ამ-  
ბობს: „სენიორ, ბოროტი კაცი არ  
გახლავართ, თუმცა, მიზეზი კი  
მქონდა გავბოროტებულიყავი. ყვე-  
ლა მოკვდავი ერთ ტყავში ვიბადე-  
ბით, მაგრამ სანამ გავიზრდებოდეთ,  
ბედისწერა თავისდა გასართობად  
ისეთნაირად და იმდენნაირად გვცვ-  
ლის, თითქოს ცვილისა ვიყოთ და  
მერე სხვადასხვა გზით გვაგზავნის  
ერთი დასასრულისაკენ — სიკვდი-  
ლისაკენ: ზოგს უბრძანებს, ია-ვარ-  
დით მოფენილ გზებზე იარეო, ზოგ-  
საც ეკალ-ბარდებში უკრავს თავს —  
გზა შენით გაიკაფეო. პირველნი  
უზრუნველად იყურებიან და ჩვილი  
ბავშვებივით შეჰღიმიან თავიანთ  
ბედნიერებას, მეორენი კი ტრიალ  
მინდორში მცხუნვარე მზეზე იტან-  
ჯებიან და ოდნავ ხელის მიკარება-  
ზეც კი კურდღელივით ფრთხებიან.  
განა ერთი და იგივეა, სხეულს სუ-  
ნამოთი და ფერუმარლით იზელ თუ  
მოუშორებელი სვირინგებით იჭ-

რელებ!“ მოგვიანებით აღმოვაჩენთ,  
რომ პასკუალეს ცხოვრება, მართ-  
ლაც, არ ყოფილა ია-ვარდით მოფე-  
ნილი.

და მაინც, ვინ გააბოროტებდასკუ-  
ალე. იქნებ იმ საზოგადოებაში და  
გარემოში, რომელშიც ის ცხოვ-  
რობს, ან იქნებ საკუთარმა დედამ,  
რომლის ავი და ბრაზიანი ხასიათი  
და ამასთან წაბილწული ენა მას  
თავიდანვე ზიზღს აღუძრავდა? წე-  
რა-კითხვის უცოდინარმა დედამ  
პასკუალეც განათლების გარეშე და-  
ტოვა. მისი აზრით, სიღარიბეში  
ცხოვრებას სწავლა არ სჭირდებო-  
და. ერთ დროს კონტრაბანდისტვის  
დაჭერილი, ესტებან დუარტე დი-  
ნისი, ეროვნებით პორტუგალიელი,  
პასკუალეს მამა გახლდათ. დედის-  
გან განსხვავებით, მამას უცოდინ-  
რობას ნამდვილად ვერ დასწამებ-  
დით. მიუხედავად ამისა, პასკუალე  
მშობლების სიამტკბილური ურთი-  
ერთობებით ვერ დაიკვებნიდა: გა-  
უთავებელი კამათი და ჩხუბი, ალ-  
ბათ, ის ნაპერწკალი იყო, რომელიც  
პასკუალეს არსებაში თანდათანო-  
ბით გაღვივდა. მოგვიანებით სელა  
იტყვის, რომ „დამნაშავე არა პას-  
კუალე, არამედ ის საზოგადოებაა,  
რომელიც ამზადებს ასეთ დამნაშა-  
ვეს. პასკუალეს საქციელი უნდა გა-  
ვიგოთ როგორც პროტესტი გაბა-  
ტონებული უსამართლობის წინაა-  
ღმდეგ“. სელა ხომ კონკრეტული  
ოჯახის მაგალითზე ცდილობს და-  
გვანახოს, თუ რა დიდი როლი მი-  
უძღვის საზოგადოებას ინდივიდის  
ჩამოყალიბებაში. სავსებით უბო-  
როტო პასკუალე ბავშვობიდანვე  
მსხვერპლი ხდება იმ გაუკუღმარ-  
ებელი საზოგადოებისა, რომლის  
წიაღშიაც იზრდება და თანდათანო-  
ბით დამნაშავედ ყალიბდება. უცო-

დინარი პასკუალეს არსებაში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს პროტესტი არსებული რეალობის წინააღმდეგ.

მართალია, პასკუალეს პირველი მსხვერპლი მისი მეძებარი ძალის აღმოჩენება, მაგრამ ამ ცხოველის არსებაში მან დაინახა ადამიანი, რომელსაც მოძღვრის გამოხედვა ჰქონდა, კრიტიკული თვალთ უყურებდა მას, ადანაშაულებდა და ცდილობდა პატრონის არსებაში დაგროვილი ბოღმა აღმოეფხვრა, მაგრამ ამაოდ, პასკუალემ იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

აღბათ პასკუალე ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მისი და — როსარიოც გზას ასცდებოდა და თოთხმეტი წლის ასაკში მეძავობას დაიწყებდა. როსარიოს მეძავად გადაქცევა მშობლების უყურადღებობას უნდა მივაწეროთ. ისინი მხოლოდ სიკვდილის პირას მისული, დასნეულებული როსარიოს სახლში დაბრუნებისას გამოფხიზლდნენ. ყურადღებას რომ არ ყოფილიყო მოკლებული როსარიო, არც აღმენდრალესოში წავიდოდა და არც იმ კაცს გადაეყრებოდა, რომელიც პასკუალეს ცხოვრებასა და მის ხანმოკლე ბედნიერებასაც საბოლოოდ დაანგრევდა.

პაკო ლოპესი, წითური, ხმელხმელი, მეტსახელად კოხტა, როსარიოს, და მოგვიანებით კი პასკუალეს არყოფნის დროს მისი მეუღლის, ლოლას. შეურაცხმყოფელია. პასკუალეს კოხტა მუდამ ბრძოლაში იწვევს, მის ვაჟკაცურ ღირსებას აბუჩად იგდებს, ყოყლოჩინობს, ტრამახობს. სანაცვლოდ კი პასკუალეს ხელით სიკვდილს მიიღებს. კოხტა ქალების უზნეობის წყალობით ირჩენდა თავს. მას სხვა ხელობა არ

გააჩნდა და ამით ამაყობდა კიდევ, თუმცა სწორედ ამ მანკიერმა მხარემ დაღუპა. მისი მკვლელობით პასკუალეს სურდა ოჯახის ღირსება დაეცვა და საკუთარი სიბრძნის დაემშვიდებინა. მაგრამ ესაა წინააღმდეგობები მას მოსვენებას არ აძლევენ. მიუხედავად ამისა, პასკუალე ღირსეულად ცდილობს წინ აღუდგეს უსამართლობას და არავის პატიობს არც საკუთარი და არც ოჯახის ღირსების შელახვას. მაგრამ ის სავსებით მარტოა ამ უსწორმასწორო წუთისოფელთან ბრძოლაში, რომელიც საკრალური ცხვრის მსგავსად, ისევ საწყალი პასკუალესგან მოითხოვს მსხვერპლს. ასე თანდათანობით ვხდებით პასკუალეს დამნაშავედ ჩამოყალიბების მოწმენი, ზიზღისა და უსამართლობის ატმოსფეროში აღზრდილი პასკუალესგან ნელ-ნელა იძერწება ის დამნაშავე, რომელიც ისევ საზოგადოების წინააღმდეგ გაილაშქრებს.

ოჯახში, სადაც საშინელება საშინელებას მოსდევს, სადაც ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილ მამას ორი დღე დაამწყვდევენ და ასე, მარტოსული, კვდება იგი მოგვთა თავანისცემის დღეს, ახალდაბადებული მარიო ათ წლამდეც კი ვერ მიადწევს. ოთხი წლის ასაკში უყურადღებოდ მიტოვებულ ბავშვს ღორი ორივე ყურს მოაჭამს, ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობებს ერთი უბედურებაც ემატება. ზეთით სავსე ქოთანში დამხრჩვალი ბავშვი უდროოდ დატოვებს ქვეყნიერებას. ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ დედა არ დაიტირებს საკუთარ შვილს. დედის ასეთი საქციელით პასკუალე საბოლოოდ დაკარგავს

მისდამი პატივისცემას. პასკუალე ცდილობს აღიდგინოს მესსიერებაში ის მომენტი, როდესაც დედა სასტიკ მტრად ექცა. იგი ამბობს: „არ არსებობს უფრო ბოროტი სიძულვილი, ვიდრე საკუთარი სისხლის სიძულვილია“... ასე აღმოჩნდება დედა ის ადამიანი, რომელზედაც პასკუალე საბოლოოდ მთელ თავის ბოლმას გადმოანთხევს. რა დააშავა პასკუალემ, თუ მის დედას არ გააჩნდა მისაბაძი თვისებები? რომანში ეს ქალი თავიდანვე დახასიათებულია, როგორც ცუდი მეუღლე, ცივი და გულქვა დედა, მაჭანკალი, მოჩხუბარი, ბინძური და ლოთი. ქალი, რომელიც იოტისოდენ ყურადღებას და სითბოს არ იჩენდა შვილებისადმი. დედის მიმართ დაგროვილი სიძულვილი კი პასკუალეს გულმა ველარ დაიტია. შემთხვევითი არ არის, რომ რომანში კ.ხ.სელა არ გვიჩვენებს დედის არც სახელს და არც გვარს. ეს ქალი ნაწარმოებში განზოგადებული სახეა იმ გაუკუღმართებული საზოგადოებისა, რომელშიც პასკუალე აღიზარდა. აქედანაა მისი ზიზლი დედის, როგორც ამ საზარელი საზოგადოების წარმომადგენლის მიმართ. ზიზლის დანერგვა — ასე შეიძლება განისაზღვროს ტრემენდიზმის წამყვანი თემა. უსამართლობა, „ზიზლის დედა“ ადამიანის გულს გველის მხამივით ავსებს. ამიტომაც ჩვენ არა გვიჩვენებს ინდივიდუალური ნიშნები გვამახსოვრდება, არამედ საერთო ზიზლის შეგრძნება. სწორედ დედა ხდება ამ ოჯახის უბედურებათა თავი და თავი. ალბათ, არც ეს არის გასაკვირი იმ საშინელებათა ფონზე, რაც საზოგადოებაში ხდება. ტრემენდის-

ტული ჟანრის რომანისთვის კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

უცოდველი კრავი არც თავად პასკუალეა. მოგვიანებით იგი თავის ხელნაწერში ინანიებს ამ უბედურ საქციელს, რაც მარიოს მათგანვე იმართინა. ალბათ იმაზე ცუდი არაფერია, როდესაც რამდენიმე წუთის წინ დაკრძალული ძმის, მარიოს საფლავზე პასკუალე უნს მოიკლავს ლოლასთან ერთად, რომელიც მალე მისი მეუღლე გახდება. შესაძლოა ასეთი ქმედების გამო ისჯება იგი განგების მიერ. მას ორივე შვილი ეღუპება: პირველი მზის სინათლეს ვერც კი იხილავს, რადგან ცხენზე შემჯდარ ორსულ ლოლას მუცელი მოსწყდება. ამის გამო პასკუალე თავლაში შევა და კვიცს მოკლავს. მეორე შვილი კი, 11 თვის პასკუალე-კო ორპირი ქარისაგან იღუპება. ერთი შეხედვით, კვიცისა და ძაღლის მკვლელობა თითქოს პასკუალეს მექანიკური აგზნების შედეგია, მაგრამ ორივე შემთხვევაში ნაწარმოების გმირი შეგნებულად უხდის სამაგიეროს როგორც ძაღლს, ასევე კვიცს.

ბავშვების დაღუპვის შემდეგ ოჯახის კერა კიდევ უფრო მეტად ცივდება. პასკუალე აღმოჩნდება სამი ქალის გარემოცვაში, რომლებიც მას გამუდმებით გესლავდნენ და სიცოცხლეს უწამლავდნენ, ესენია: დედა, ლოლა და როსარიო. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ კაცს, რომელსაც ცოტაოდენი ალერსი და სითბოც ეყოფა დარდის შესამსუბუქებლად. პასკუალემ დაკარგა მათი თანაგრძნობის იმედი და ალბათ ამიტომაც ამბობს: „ქალი ჭილყავივით უმადური და ბოროტია“. ცოლის სიტყვებმა კი: წყალ-წყალა

სისხლი გაქვს, მიწაზე დაეცემა და მაშინვე შეიწოვსო, — კიდევ ერთხელ ჩასცა ლახვარი კაცს, რომელიც დედამ, მამამ, ცოლმა და საკუთარმა დამაც კი გასწირეს.

ასე თანდათანობით ამზადებს სულა პასკუალეს გაცილებით დიდი ტრაგედიისათვის. როგორც თავად გმირი ამბობს: „ყველაზე საშინელი ტრაგედია ადამიანს შეუმჩნევლად, მგლური ნაბიჯით მიეპარება ხოლმე და მორიელივით უეცრად, მალულად დაგესლავს“. ყველაფერი ნელ-ნელა მიმდინარეობს, ისე, როგორც ტრემენდისტულ სიუჟეტს სჩვევია. ჩვენ ფეხდაფეხ მივდევთ ამ სიუჟეტის განვითარებას და თითქოს გმირის დანაშაულთა მოწმენი, ან სულაც თვითმხილველნი, ვსდებით.

რამ შეიძლება იხსნას პასკუალე ამ გამოუვალი მდგომარეობიდან? გაქცევა ერთადერთი ხსნაა მისთვის. თხუთმეტი დღე მადრიდში და ორი წელი ლა-კორუნიასში — ის პერიოდი იყო, რომელიც ამშვიდებს პასკუალეს აფორიაქებულ სულს. ამ ადამიანში თითქოს კაციჭამია და ბოროტმოქმედია დაბუდებული. თუმცა მის არსებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს სითბოსა და მონატრების სურვილი. ადამიანი ზოგჯერ უძლურია შეინარჩუნოს მასში ჩადებული სიკეთე, თუმცა პასკუალე დუარტე, დანაშაულთა ჩადენის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს რაღაც სიწმინდეს. სწორედ ნოსტალგიამ სძლია მას და დააბრუნა საკუთარ სახლში. როგორც ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია. პასკუალეს გაქცევამ ყველაზე მწარე დაღი დაასვა მის ცხოვრებას: მისი მეუღლე კონტასაგან ბავშვს ელის, რასაც ლოლა აღიარებს და პასკუალეს

მკლავებში დალევს სულს. კონტას მკვლელობისთვის მას 28 წელს მიუსჯიან, მაგრამ მხოლოდ 3 წელს მოიხდის კარგი ყოფაქცევის გამო. დაპატიმრებულე პასკუალე მშვიდ, უცოდველ ცხოვრებაზე იცნებობს. სურს დაივიწყოს ყველაფერი, რაც მოხდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მას დედა და როსარიოც ენატრება. იქნებ ამ სამ წელიწადში მაინც მოუღბა გული დედას პასკუალეს, ამ ბოროტ ვარსკვლავზე გაჩენილი შვილის მიმართ. დრო კი ძალზე ნელა გადიოდა. ის მატარებელიც იგვიანებდა, რომელსაც პასკუალე სახლში უნდა დაებრუნებინა. მაგრამ „ადრე იქნება თუ გვიან, ცხოვრებაში ყველაფერი მოდის, გარდა დამცირებულთა პატიებისა“. მატარებლიდან ჩამოსულ პასკუალეს არავინ დახვდება, არავინ მიულოცავს გათავისუფლებას. შეიძლება იგი ვერც კი იცნეს, ან უბრალოდ, არავის გახარებია მისი ციხიდან გამოსვლა. პასკუალე დუარტე მარტოსული და მიტოვებული ადამიანია. მიტოვებული არა ღმერთისგან, არამედ საკუთარი ოჯახისგან. იგი საზოგადოებამ სამუდამოდ მიატოვა, გარიყა. განათლებას, მშობლების აღზრდასა და სითბოს მოკლებული პასკუალე ასეთ საზოგადოებაში დამნაშავედ ჩამოყალიბდა. ეს საზოგადოება იქცა მისი გაბოროტებისა და დანაშაულებების მიზეზად.

ერთადერთი, რაც უცვლელი დახვდა პასკუალეს, სასაფლაო იყო, რომელშიც მამის, მარიოს, კონტას, ლოლას და მისი ორი ვაჟიშვილის ცხედარი იხრწნებოდა. შინისაკენ მიმავალს მხოლოდ საკუთარი ჩრდილი მიუძღვება. იგი მზად არის ახალი ცხოვრება დაიწყოს. ციხემ თით-

ქოს დაუცხრო აფორიაქებული სუ-  
ლი. მაგრამ ამჯერადაც მისი იმე-  
დები ძალევე იმსხვრევა: სახლში  
დახვდება დედა, რომელსაც სრუ-  
ლიად არ განარებია შვილის დაბ-  
რუნება. ესეც საკმარისი აღმოჩნდა,  
რომ დედისადმი სიძულვილი პასკუ-  
ალეს არსებაში ახალი ძალით აფე-  
თქებულიყო. სახლიდან გაქცეული  
როსარიოს ამბავი და ესპერანსაზე  
მეორე უიღბლო ქორწინება სრუ-  
ლიად გამოაფხიზლებს პასკუალეს  
ტკბილი ძილიდან. დამნაშავე კვლა-  
ვაც დედაა, რომელიც შვილის ცხო-  
ვრებას აუტანელს კვლავ გახდის:  
„მიწა არ მყოფნიდა, ჩემს დანაშა-  
ულს დავმალვოდი. მიწა ისეთი  
ვრცელი არ არის, რომ საცხოვრე-  
ბელი ადგილი შეიცვალო და საკუ-  
თარი სინდისის ყვირილი ვერ გაი-  
გონო“, — იტყვის პასკუალე და  
ცდილობს გაექცეს ცოდვებით დამ-  
ძიმებულ საკუთარ სხეულს, სულს,  
აჩრდილს, ცხოვრებასაც კი, რად-  
გან „არაფერი ისე მძაფრად არ  
ყარს, როგორც უკეთური წარსულის  
კეთრით შეჭმული სინდისი, რო-  
გორც სინანულის წყლული, რაკი  
დროზე არ გავეცალეთ ბოროტებას  
და ვლპებით დაღუპულ, ჯერაც გა-  
უფურჩქვნელ იმედთა სანაგვეზე,  
რადაც კარგა ხანია იქცა ჩვენი სა-  
ცოდავი ცხოვრება“.

ყველაზე დიდი საშინელება პას-  
კუალეს სწორედ დედამ ჩაუნერგა.  
მას დანახვაც კი არ უნდა ქალისა,  
რომელმაც სიცოცხლე აჩუქა. თა-  
ვად პასკუალე იხსენებს: „დედაჩემი  
შეუნელებელი სიამოვნებით მით-  
ვალთვალეობდა და ჩემს არსებაში  
ბოროტება მძორის სუნზე თავმოყ-  
რილი ბუზებივით მრავლდებოდა“.

ნაწარმოების ფინალი ბოლო წე-  
რტილია ტრემენდისტული ფანრი-  
სთვის ჩვეული საშინელებათა ციკ-  
ლისა. საბედისწერო ნაბიჯი უნდა  
გადაიდგას. საამისოდ კი მხოლოდ  
გამბედაობა, ძალისხმევა და შესა-  
ფერისი დროა საჭირო.

1922 წლის 10 თებერვალი. დღე,  
როდესაც პასკუალეს მსხვერპლთა  
სიას კიდევ ერთი ადამიანი უნდა  
მიემატოს. ეს ადამიანი მისი მშო-  
ბელი დედაა — ერთადერთი ადა-  
მიანი, რომელიც შვილს გზაზე ეღ-  
ობება. მაგრამ არც ისე ადვილია  
ფართოდ გახელილი თვალებით დანა  
ჩაარტყა მძინარე დედას, ქალს,  
რომელმაც გშობა და მხოლოდ ამის-  
თვის უნდა პატიობდე ყველაფერს.  
მაგრამ პასკუალე სწორედ ამას ვერ  
პატიობდა დედას.

ამაზრზენია უკანასკნელი სცენა.  
გამოღვიძებული დედა გააფთრე-  
ბულ წინააღმდეგობას უწევს სა-  
კუთარ შვილს. „ნაზარეველის სამო-  
სივით გალურჯებული დედის სა-  
ხე“ დაინახა პასკუალემ იმ ლამპის  
შუქზე, კარის ზღურბლზე მდგომ  
გაფითრებულ ესპერანსას რომ ეჭი-  
რა.

დედის მოკვლის შემდეგ პასკუა-  
ლე შვებას გრძნობს, რადგან თა-  
ვისი უბედურების მიზეზს სწორედ  
ამ ქალში ხედავდა. თავად კ.ხ.სელა  
არაერთხელ ცდილობს გაამართლოს  
პასკუალე, რადგან, მისი აზრით,  
ადამიანური ცხოვრება უბედური  
შემთხვევების, უაზრო ქმედებების  
დაუსრულებელი ჯაჭვია და ადამია-  
ნი უძლური მსხვერპლია შემთხვე-  
ვითობის ფატალურობისა. შესაძ-  
ლოა, სელას განგებ შემოჰყავს მოქ-  
მედ პირად ერთი მიყრუებული სო-  
ფლის ღარიბი გლეხი — პასკუალე,

დაუცველი, ცივილიზაციას მოკლებული უბრალო ადამიანი, რომელმაც ლა-კორუნიაში პირველად იხილა ზღვა და ისეთი ვრცელი და ღრმა ეჩვენა, რომ დაითრგუნა კიდევ.

რა ბედი ეწია თავად პასკუალეს? ადამიანი, რომელმაც ტორემენიას გრაფის, კონტას, საყვარელი ძაღლის, კვიცის და მშობელი დედის სიცოცხლეც შეიწირა, თავადაც მსხვერპლი ხდება. დედის მკვლელობის შემდეგ იგი ჩინჩილიას ციხეში მოხვდა, სადაც 1935-36 წლამდე უნდა მოეხადა სასჯელი, ხოლო გრაფის მკვლელობისათვის ბადახოსის ციხეში ჩასვეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, პასკუალეს არა დედის, არამედ სწორედ გრაფის მკვლელობისთვის უსჯიან სიკვდილს. პასკუალეს ცხოვრების უკანასკნელ წუთს, ჟანდარმის გადმოცემით, ეშაფოტის დანახვაზე ცნობიერება წართმევია. გონს რომ მოსულა, გარშემო მყოფთათვის უთქვამს: „არ მინდა სიკვდილი და არავის არა აქვს უფლება მომკლას“. ჩანს, სიკვდილის წინაშე შიში გამოუმჟღავნებია, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, რას განიცდიდა პასკუალე. როგორც ტრემენდისტულ რომანს სჩვევია, მკითხველს თავად ეძლევა საშუალება შესაბამისი დასკვნები გააკეთოს. სელამაც ამ შემთხვევაში საქმე მკითხველს მიანდო.

საინტერესოა, როგორია სამღვდელოების როლი საზოგადოებაში, სადაც ასეთი საშინელებები ხდება. თუ გავიხსენებთ მღვდელ დონ მანუელს, რომელსაც პასკუალეზე უთ-

ქვამს: „სანეხვეზე ამოსული ვარდიაო“, გარდა ამისა, იმ ფაქტსაც, რომ ეკლესიაში წირვა მხოლოდ ტორემენიას გრაფის, დიასახლისისა და ორი-სამი მოხუცებული ქაღალისთვის სრულდებოდა, ნათქვამი ხდება, რომ ეკლესიას წვლილი არ შეაქვს საზოგადოების სულიერ განვითარებაში. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სელას გმირები ერთმანეთის სისხლსაც კი დალევენ საკუთარი ჟინის დასაცხრომად. სელასაც ცხოვრებისეული მანკიერებისა და საშინელებების ჩვენება უნდა მკითხველისათვის. მას სურს დაგვანახოს, რომ ცხოველის დონეზე დაშვებული, გაშმაგებული ადამიანი ნადირზეც უარესია. ასეთებად ეს ადამიანები სწორედ ცხოვრებამ აქცია. მანკიერი ცხოვრება — მანკიერ საზოგადოებას აყალიბებს, ასეთი საზოგადოება კი იმ დამნაშავეს ზრდის, რომლისთვისაც ყოველგვარი ფასეულობა გათელილია. მას დაკარგული აქვს იმედი და ნდობა და მზად არის საკუთარი მშობელიც გაწიროს, თუკი ამ მოქმედებით ოდნავ მაინც შეძრავს გახრწნილ საზოგადოებას.

რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ტრემენდისტული რომანის პრინციპით, ცენტრში დგას მარტოსელა ადამიანი. პასკუალე გახრწნილ, მანკიერ საზოგადოებაში ჩაკარგული ადამიანია. იგი სახლშიც, სოფელშიც და სამშობლოშიც მარტოა. მარტოსულობა პასკუალეს მუდმივი თანამგზავრია. მარტოსული ქვრივი, მარტოსული პატიმარი და ბოლოს, მარტოსული სიკვდილმისჯილი.

პასკუალე დუარტეს დანაშაულებები და მისი უბედურებები ძალა-

დომები და ადამიანური ყოფის ტრაგიკული მდგომარეობა კი არ არის, არც სერია პათოლოგიური ტემპერამენტის ცდებისა. ამ დანაშაულებებიდან ჩანს იმ ადამიანის სახე, რომელიც მართო იბრძვის გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ. უმხედრდება საკუთარი ოჯახის წევრებს და არისტოკრატიას, რომლის წარმომადგენელიც ტორემენიას გრაფი გახლავთ.

პასკუალეს შურისმაძიებლისა და მკვლელის როლი აქვს, მაგრამ ის თავად არის მსხვერპლიც. ის ცხოვრებისაგან გზააბნეული, დაშინებული „ცხვარია“. პასკუალეს სიტყვებია: „პატიმრის დანახვაზე ბავშვებში ბოროტი სიმკაცრე იღვიძებს. მას ისე უყურებენ, როგორც იშვიათ ცხოველს, თვალები აენტებათ და ტუჩებზე უზნეო ღიმილი დასთამაშებთ ხოლმე, ასე უყურებენ ცხვარს, რომელსაც სასაკლაოზე კლავენ“.

პასკუალ დუარტე ხშირად სულით ავადმყოფივით ან სულაც შეშლილივით იქცეოდა, მაგრამ მისი აღსარება ძველი მორალის ელემენტებს შეიცავს. ამ აღსარებით სურს მას სახალხოდ განმარტოს თავისი საქციელი, თუმცა რაც ჩაიდინა, შეწყალებას ვერ იმსახურებს.

პასკუალ დუარტეს უბედურებათა ჯაჭვი, რომელსაც ის თავს ვერ აღწევს, თავად არსებობაა, „ეგზისტენცია“, საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს, სიკვდილი.

პასკუალ დუარტეს ოჯახიც მხოლოდ ერთი კონკრეტული ოჯახი როდია, ამ ოჯახის მაგალითზე სულამ მთელი ესპანური საზოგადოება გვიჩვენა, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა, აღიზარდა და ბოლოს

გადაჯიშდა კიდევ ეს „საკრალური ცხვარი“ — პასკუალე.

„პასკუალ დუარტეს ოჯახი“ არ არის რომანი ომზე, თუმცა ანა მარია მატუტე წერდა: „ესეულია ჩვენს თაობაში ისეთი წიგნები, რომლებსაც მეტ-ნაკლებად არ ჩნდებოდეს ომის თემატიკა“.

ამ ტრემენდისტულმა რომანმა ნათლად გვიჩვენა, რომ სამოქალაქო ომმა ადამიანები სულიერად დააკნინა, სიმშვიდე და ბედნიერება წაართვა მათ. რომ შიმშილი, ძალადობა, იძულება და სულიერი გამოფიტვა — მუდმივი თანამგზავრი იყო ფრანკისტულ ესპანეთში მცხოვრები ადამიანისა.

სამოქალაქო ომმა მოწამლა ადამიანი. სწორედ მან განაპირობა წარსულის დავიწყება და მომავლის ზიზღი. მან გააღვივა შუღლი, განამტკიცა აზრი, რომ საზოგადოებაში ადამიანი ადამიანისთვის კვლავაც მგელია. სელას სიტყვებით, ადამიანები ძაფებიდან ჩამოწყვეტილ თოჯინებს გვანან, რომლებსაც სიცოცხლე წაართვეს. ომმა შედეგად სისხლი, სიკვდილი და დუმილი მოიტანა. ეს ის დუმილია, რომელიც ესპანეთში დიდი ხნის მანძილზე ჩამოვარდა და რომლის დარღვევაც კ.ხ.სელამ სცადა.

კ.ხ.სელას მიაჩნია, რომ ჟანრმა შელამაზების გარეშე უნდა აღბეჭდოს ყველაფერი, რაც ადამიანს ეხება. ამიტომ ტრემენდიზმი ცდილობს ადამიანების, საზოგადოების მანკიერი მხარე წინა პლანზე გადმოიტანოს და თქვას სიმართლე, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს იგი.

სამოქალაქო ომმა შვა პასკუალ დუარტე. მას გაცილებით დამახინ-



ჯებული თაობა მოჰყვა. ომის გაგონებაზე თითოეული ესპანელის გული უფრო სწრაფად ძგერს, რადგან ამ ომმა ჩამოაგდო სამოქალაქო განხეთქილება. „ეს სისხლიანი და უსიამოვნო წყევლა, რომელიც ესპანეთს ხვდა წილად, არწივივით ჩასაფრდა თითოეულ ესპანელში“... რამდენი წელია, რაც ეს არწივი გულს უღრღნის თითოეულ მათგანს. ფრონტზე ნაკლები დანაშაულია, იქ ნაკლები ზიზღი და სიბოროტეა, ხოლო საზოგადოებაში გაჩენილი შუღლი გაცილებით საშიშია და თუ ყველაფერი თავის ადგილას არ დადგა, ქვეყნიერების აღსასრულზეც შესაძლებელია საუბარი.

1983 წლით დათარიღებული რომანის „მაზურკა ორი მიცვალებულისათვის“ ერთ-ერთი პერსონაჟი რაიმუნდო ესპანეთის შესახებ ამბობს: — „ესპანეთი — გვამია... არ გვინდა ამის დაჯერება, მაგრამ ვშიშობ, რომ ასეა. უცნობია მხოლოდ ის, რამდენ ხანს გასტანს დაკრძალვა“.

ცენტრალური ადგილი სელას რომანებში სოფელია. იგი ცდილობს სოფლის, გლეხის ცხოვრება გვიჩვენოს, რადგან ომმა, ისედაც ცივილიზაციას მოკლებულ ადამიანებს, გაცილებით მძიმე დაღი დაასვა. ომმა ბავშვობა წაართვა ახალგაზრდებს და ისინი სიკვდილის, სისხლისა და ტანჯვის წინაშე დააყენა. სელას წიგნებში ძალზე ხშირად შევხვდებით მარტოსულ, ობოლ, ქვრივ, ფეხმოტეხილ, დასახინრებულ, სულელ, მეოცნებე გმირებს. ეს საოცარი ადამიანები თითქოს მოწყვეტილნი არიან სერიო-

ზულ, სრულფასოვან ცხოვრებას. მათში გათელილი, დამახინჯებული ადამიანური საწყისი ფეთქავს. ამ „სოფლის“ სამყაროში ადამიანური გრძნობები, მორალური და სულიერი ფასეულობანი — ცარიელატურის, ფარსის ჩარჩოშია ჩამჯდარი. მაგრამ ტრემენდიზმის გამდიდრება „ექსცენტრიული“ მანერით კიდევ ერთი საშუალება იყო, რათა სელას თავისი ღრმა ტკივილი დაეფარა. თუმცა ესპანური ისტორიის საშინელი წლების თანამედროვემ, ამკარად რომ გრძნობდა საკუთარი ქვეყნის სისხლით მორწყულ მიწაზე ბურუსით მოცული ღამის მოახლოებას, ვერ აიძულა საკუთარი თავი, ცხოვრების მხოლოდ სასიამოვნო მხარე აღეწერა.

ნაღვლიანი, სისხლისაგან დაცლილი, ცენზურისა და ტერორისაგან დაშინებული, გახლეჩილი, თავისუფლებას მოკლებული, მესსიერება და მეობა დაკარგული ესპანეთი, მისი ინტელექტუალები კი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ამ ეპიზოდების შენარჩუნების, გაცოცხლებისა და აღდგენის მისიას ასრულებენ. ასეთია ტრემენდიზმის თვალით დანახული ესპანეთი. კ.ხ.სელა სწორედ ის ინტელექტუალია, რომელიც მოვლენებს განუწყვეტლივ ადევნებს თვალს და მათ გაცოცხლებასაც არ აყოვნებს.

ამ ძალაგამოცლილ ქვეყანაში ცხოვრება თავისი დინებით მიდის, ერთი ეპოქა კვდება და მეორე იბადება. ზოგი იძულებული ხდება საკუთარი მიწა დატოვოს, ზოგი კი, ომის მიუხედავად, ქვეყანაში რჩება და თავისი მიწის ტრადიციებსაც ინარჩუნებს. დიახ, თამამი და ამაყი გალისიელი — კ.ხ.სელა სიცოცხ-


ლის ბოლო წუთამდე წერდა. მისმა წიგნებმა ესპანური ისტორიის ბნელ წლებში ძალზედ დიდი როლი ითამაშა იმ ხალხის აღზრდაში, რომელსაც არ უნდოდა ფრანკისტულ რეჟიმს შეგუებოდა.

1989 წელს, როდესაც შვედეთის აკადემიამ სელას ნობელის პრემია მიანიჭა, მისი შემოქმედების ძირითადი თემა ასე განსაზღვრა: „ადამიანური ნატურის ნაიარევი“. მართლაც, სელას რომანებში თითოეულ პერსონაჟს მოუშუშებელი ჭრილობა აქვს. ეს ის იარაა, რომელიც სამოქალაქო ომმა დაუტოვა მათ და, ვინ იცის, მოუშუშდება კი იგი ესპანელ ხალხს?

ერთ-ერთ სტატიაში სელა თავისი შემოქმედების არსსა და ამოცანას შემდეგნაირად აყალიბებს: „ცხოვ-

რება უნდა შთანთქა, რათა გამოზრდებოდ იგი საკუთარ გულში“. მართლაც, ცხოვრება-გამობრძნედილი სელა ხანდახან ნილაბს იხსნის და გამოაჩენს საკუთარ სახეს, იმ ადამიანის სახეს, რომელსაც მართლაც ენატრება ნამდვილი ცხოვრება.

2002 წლის 17 იანვარს სელას გარდაცვალებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელს ევროპაში. მისი სახით ესპანეთმა დაკარგა ცოცხალი კლასიკოსი, მაგრამ დარჩა შემოქმედება, რომელიც თანამედროვე ესპანური რეალობის სარკედ იქცა. მომავალ თაობებს კი ამ სარკეში ჩახედვით საკუთარი ქვეყნის წარსულის ამოკითხვის საშუალება ეძლევათ.





## რიშარდ კაპუშცინსკი — რევოლუციის მწიგნობარი

გამოჩენილი თანამედროვე პოლონელი მწერალი და პუბლიცისტი რიშარდ კაპუშცინსკი დაიბადა 1932 წელს უწინდელ პოლონურ პოლესიეში, ახლა ბელორუსის პატარა ქალაქ პინსკში. ერთხელ მწერალმა აღიარა, — იმიტომ მოსწონდა ღარიბ ქვეყნებში ცხოვრება და იქ რევოლუციების წერა, რომ სწორედ ასეთი იყო ოდესღაც პოლესიე.

რიშარდი შვიდი წლის იყო, ომი რომ დაიწყო. პირველივე სურათი მწერლის მეხსიერებაში ხატოვნად ჩაიბეჭდა: ხედავს, ზეცაში მიწის უზარმაზარი მასა აიჭრა. ამ სანახაობამ პატარა ბიჭსე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და მოუნდა ახლოდან ენახა, რა მოხდა. მაგრამ დედამ დაუშალა და უთხრა მიწაზე დაწოლილიყო.

ბავშვობის შემდეგდროინდელი ერთ-ერთი სურათი კი ასეთია: ხედავს დედას, რომელიც საათობით დგას ფანჯარასთან და ქუჩაში იცქირება. ბიჭს შია, სახლში კი საჭმელი არა აქვთ. ხოლო დედამისი, მსგავსად მეზობლებისა, დგას ფანჯარასთან და ცქერას განაგრძობს. — რატომ იდგნენ, რას უყურებდნენ? — იკითხავს წლების შემდეგ მწერალი. ბიჭები და მათთან ერთად პატარა რიშარდიც ხშირად დაესეტებიან უზოებში: რა იყო ეს, ახალი გატაცება, თუ იქ რაიმე საჭმლის ძიება? მაღაზიები დაკეტულია ან გაქურდული. ნკვდ-მ უკვე მიჰყო ხელი ხალხის დაჭერას. საჭმელი საბჭოთა ჯარისკაცებსაც არა აქვთ, ამიტომ ბიჭებისათვის მხოლოდ გაზეთის ქალაქში გახვეული თუთუნის მიცემა თუ შეუძლიათ.

რიშარდი რვა წლისა იწყებს პაპიროსის წევას. იგი მას საკვების მაგივრობას უწევს. კაპუშცინსკების სახლი ყოფილი ბოლოტნის ქუჩაზე იდგა. დღეს იგი უკვე ნანგრევებადაა ქცეული და იქ ძაღლებსა და კატებს დაუდევთ ბინა. 1997 წელს მოინახულა მწერალმა პინსკი.

მამამისი, იოსებ კაპუშცინსკი კატინისაკენ (კატინის ტყეში რამდენიმე ათასი პოლონელი ოფიცერი და ჯარისკაცი დახვრიტეს კაგებეზნიკებმა, მათ შორის რამდენიმე ქართველი ემიგრანტიც — ა. გ.) მიმავალ გზაზე დაუსხლტა მტარვალებს და შემდგომ არმია კრაიოვაში (პოლონეთის განმანთავისუფლებელი არმია — ა. გ.) იბრძოდა. დედა რიშარდთან და მის დასთან ერთად გაიქცა და თავი დააღწია საბჭოთა ტყვეობას. ამ გაქცევისათვის მან გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, დაიქირავა ფურმანკა (ცხენის ეტლი პოლონეთში — ა. გ.) და ვარშავისაკენ გაუყვნენ მამის კვალს. მათ ზედმა გაუღიმა და შემთხვევით მართლა იპოვეს იგი.

ოჯახი სიერაკოვოში დასახლდა. თუმცა მამამ სოფლის სკოლაში დაიწყო მუშაობა მასწავლებლად, მაგრამ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამიტომ პატარა რიშარდის უმთავრეს საქმიანობას ამ პერიოდში საჭმლის მოძიება წარმოადგენდა. სოფლის ახლოს, ტყეში, კონსპირაციული საველე ჰოსპიტალი იდგა, სადაც დაჭრილები მიჰყავდათ. იმ ჯარისკაცებს, რომელთა გადარჩენასაც ექიმები ვერ ახერხებდნენ, ერთ დიდ სამარეში ასვენებდნენ. ამ სამარესთან რიშარდი საათობით იდგა ქსენძთან (მღვდელი პოლონეთში — ა. გ.) ერთად, რომელიც წესს უგებდა განსვენებულთ.

რამდენიმე ინტერვიუში ჟურნალისტებმა ჰკითხეს მწერალს, გრძნობს თუ არა შიშს მსოფლიოს ცხელ წერტილებში რეპორტიორად მუშაობისას? მისი პასუხი ყოველთვის ერთი და იგივეა: ომი ჯერაც არ დასრულებულა, ომი მისთვის არც 1945 წელს და არც შემდეგ დამთავრებულა მსგავსად იმ ადამიანებისა, რომელთაც ომი გადაიტანეს. ამიტომ, როგორც ბავშვობაში, ახლაც დამალვა და თავის შეფარება მისთვის ძალზე ბუნებრივია.

ომის შემდგომ პირველ წლებში რიშარდი სტანისლავ სტაშიცის სახელობის (ცნობილი პოლონელი მეცნიერი, რომლის სახელსაც ამჟამად ატარებს პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია — ა. გ.) გიმნაზიაში სწავლობდა. სიყმაწვილეში გამოჩენილი სპორტსმენიც იყო და ჭაბუკთა შორის ვარშავის ჩემპიონობასაც მიაღწია. ახალგაზრდობაში პოეზიაშიც სცადა ბედი. პირველი ლექსი ჩვიდმეტი წლის ასაკში გამოაქვეყნა. თუმცა ბოლოს ამაყობდა, რომ თავს სძლია და ცალკე წიგნად არ გამოუცია.

ამ ლექსების წყალობით რიშარდი გაიცნეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში და შესაფერისი სამუშაოც მიუჩინეს. კერძოდ, კულტურის განყოფილებები მას გამოჩენილ მწერლებთან ინტერვიუებს აწერინებდნენ. ამგვარად გაიცნო კაპუშტინსკიმ მარია დომბროვსკა, ზოფია ნალკოვსკა, ლეოპოლდ სტაფი, იულიან ტუვიმი და სხვები.

გადის დრო და ტალანტით დაჯილდოებული ჟურნალისტი თავად იწყებს წერილების წერას.

1951 წელს კაპუშტინსკიმ სწავლა ვარშავის უნივერსიტეტის პოლონური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე განაგრძო. შემდეგ იხსენებდა, რომ მასთან ერთად მოსწავლე 150 სტუდენტს, რომლებიც გამოცდას ახალ ისტორიაში აბარებდნენ, მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო ჰქონდათ და ისიც... რუსულად.

1955 წელს ჟურნალმა „ახალი კულტურა“ მეტად მძაფრი ხასიათის ლირიკული ნაწარმოები — „პოემა მოზრდილთათვის“ დაბეჭდა. ნაწარმოებმა, რომელშიც მხატვრული ფორმით აღწერა ნოვა ხუტას (რუსთავის მსგავსი მეტალურგიული ქალაქი კრაკოვის სიახლოვეს — ა. გ.) მკვიდრთა ლატაკი და უიმედო ცხოვრება, საზოგადოებაში შოკი გამოიწვია. კომუნისტურმა პარტიამ იგი ანტიჰუმანურ, ანტისახალხოდ მიიჩნია და დაგმო. მთელი პრესა ჩაება ამ დისკუსიაში. ჟურნალმა „დროშამ“ თავის კორესპონდენტად ნოვა ხუტაში რიშარდ კაპუშტინსკი მიაწვლინა. ამავე წლის სექტემბერში დაიბეჭდა წერილი, რომელმაც და-

ადასტურა პოემაში აღწერილი ამბები და უშიშრად განაცხადა: ნოვა ხუტაში ხალხი ცხოვრობს შიმშილში, სიღატაკეში, ჭუჭყსა და მტვერში.

ამ რეპორტაჟისათვის, რომლითაც ძალზე განაწყენდა ხელისუფლება, კაპუშცინსკიმ პირველი ჯილდო მიიღო.

ახალგაზრდა ჟურნალისტი რომ აეძულებინათ, <sup>უკრინული</sup> ხელისუფლებისათვის არახელსაყრელი წერილების წერაზე, იგი საზღვარგარეთ მიავლინეს.

1956 წელს კაპუშცინსკი ინდოეთშია, შემდეგ მოინახულებს პაკისტანსა და ავღანეთს. იმის გამო, რომ მხოლოდ პოლონური იცის, თავს მარტოსულად გრძნობს. ამიტომ ყიდულობს ჰემინგუეის „ვის უხმობს ზარი“. ასევე ინგლისურ-პოლონურ ლექსიკონს და ამგვარად სწავლობს უცხო ენას.

მალე იგი იაპონიასა და ჩინეთს სტუმრობს.

როდესაც მწერალი 1957 წელს პეკინში ჩავიდა, პოლონეთს პოლიტიკური კრიზისი მოედო. იმ რედაქციის თანამშრომლებიც. სადაც კაპუშცინსკი მსახურობდა, ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო რედაქციის დატოვება, ხოლო მეორენი კაპუშცინსკის გადაწყვეტილებას ელოდნენ. ეს უკანასკნელი რედაქციის დატოვების მომხრე იყო. სწორედ ამიტომ მას თვითმფრინავის ბილეთისათვის უკან დასაბრუნებელი ფულიც კი არ გაუგზავნეს და იგი იძულებული გახდა მატარებლით გაჰყოლოდა ტრანსციმბირის მაგისტრალს. ამ პერიოდის შთაბეჭდილებებს ეკუთვნის მისი ჩანაწერები ციმბირზე — „იმპერიაში“.

საერთოდ, კაპუშცინსკი დიდი რისკის ფასად აკეთებს და წერს თავის რეპორტაჟებს. აი, ერთი მაგალითი:

60-იან წლებში კონგომ, მანამდე აფრიკის ამ თითქმის უცნობმა და შორეულმა ქვეყანამ, დამოუკიდებლობა მოიპოვა. დეკლარაციის გამოცხადებას არმიაში ბუნტი, ბელგიის ინტერვენცია, ანარქია და სამოქალაქო ომი მოჰყვა. სოციალისტური ქვეყნების ყველა ჟურნალისტი გამოყარეს იქიდან. კაპუშცინსკიმ არალეგალურად, ჯუნგლებზე გავლით შეაღწია ქვეყანაში და იქ მიმდინარე ამბები მსოფლიოს ამცნო.

1986 წელს კაპუშცინსკიმ ლექსების ტომი გამოსცა, რომელიც კრიტიკოსებმა აღფრთოვანებით მიიღეს.

1990 წელს იბეჭდება მისი „ლაპიდარიუმი“, მოკლე-მოკლე შთაბეჭდილებები მოგზაურობიდან. პირველ ტომს სხვები მოჰყვა, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან სიღრმითა და მასშტაბით. შემდგომ ტომებში უფრო მსოფლიო, ზოგადსაკაცობრიო პრობლემები იპყრობს ავტორის ყურადღებას.

კაპუშცინსკი განსაკუთრებით ბევრს წერს აფრიკის შესახებ. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ თავად ამ წიგნებში არაა იმდენი სიტყვები, რამდენიც მათ შესახებ დაწერილ რეცენზიებში.

კაპუშცინსკის მწერლურ და მოქალაქეობრივ გაბედულებაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: ანგოლას შესახებ წიგნის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ისიც იქცა, რომ არც ერთ ჟურნალისტს არ სურდა იქ წასვლა. ასევე იყო ირანშიც, სადაც წასვლა მისმა კოლეგამ გადაიფიქრა და მის მაგიერ კაპუშცინსკი გაემგზავრა.

1967 წელს კაპუშცინსკი შუა აზიის რესპუბლიკებსა და ამიერკავკასიაში გაემგზავრა. რამდენიმეთვიანი მოგზაურობების შედეგად შეიქმნა წიგნი „ყირგიზი ცხენიდან ჩამოდის“. მასში მწერალი აქაურ მკვიდრთა ხასიათის სიღრმეებს სწვდება და გადმოგვცემს: საქართველოში კაპუშცინსკი ჩასწვდა ქვეყნის მკვიდრთათვის დამახასიათებელ თვისებებს. აზერბაიჯანში მეცნიერთა კულტი ნახა, ხოლო თურქეთში საუკუნეობრივი ურთიერთობები შენიშნა ადამიანსა და უღაბნოს შორის.

1968 წელს, იგი უკვე ლათინურ ამერიკაშია, სადაც ხუთ წელზე მეტი დაჰყო. ცხოვრობდა ჩილეში, მექსიკაში, ბოლივიასა და ბრაზილიაში. აქაური შთაბეჭდილებები მწერალმა ორ წიგნში გააერთიანა. რეპორტიორად მუშაობის მანძილზე კაპუშცინსკი ოთხჯერ გადაურჩა დახვრეტას: ჯარისკაცებს, რომელთაც ხვდებოდა, ეგონათ, რომ იგი მათი მტრის სასარგებლოდ მუშაობდა. ერთხელ კი მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით დააღწია თავი სიკვდილს, რომ ჯარისკაცი, რომელსაც მისი თავიდან მოშორება დაავალეს, უგონოდ იყო მთვრალი და რევოლვერსაც კი ვერ იმორჩილებდა.

„ერთი კაპუშცინსკი სჯობს ათასობით ფანტაზიორ და მოწუწუნე კანცელარიის თავებს“, — ეს სიტყვები სალმან რუსდიმ 1987 წელს ლონდონში გამოსული კაპუშცინსკის წიგნის წინასიტყვაობაში დაწერა.

საერთოდ, კაპუშცინსკის ჩვევად აქვს, დასაწერად საგულდაგულოდ მოემზადოს. მას არ უყვარს რაიმეს ჰაიპარად გაკეთება. მაგალითად, როდესაც ირანში „შაჰინშაჰ“-ის დაწერა დაიწყო, ამ სამზადისს მისი კოლეგა ვოიცეს გელჟინსკი შეესწრო. იგი იგონებს: სასტუმროს ოთახში, სადაც კაპუშცინსკი ცხოვრობს, გაზეთები და წიგნები ისეა დახორავებული, პირამიდა გეგონებათ. ერთი გვერდის დასაწერადაც კი მწერალს უამრავი წიგნისა თუ გაზეთის წაკითხვა უხდება. იგი ეცნობა ბოლოდროინდელ ცნობებს, ითვალისწინებს პოლიტიკოსთა და იდეოლოგთა შეხედულებებს და ა. შ. კითხვაზე, როგორ ვწეროთ, კაპუშცინსკი პასუხობს: ამისათვის ჯერ კითხვა უნდა ვისწავლოთ.

აი, მისი სამუშაოსათვის მზადების კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი: როდესაც აფრიკაზე ესეს — „ჰებანის“ წერას შეუდგა, ამ კონტინენტის შესახებ 260-ზე მეტი წიგნი გადაიკითხა (კაპუშცინსკის აქვს ექვსი ბიბლიოთეკა. გარდა ვარშავისა, ლაგოსში, მექსიკაში, დაკარში, შეერთებულ შტატებსა და ინგლისში — ოქსფორდში).

1989 წლიდან იწყება მწერლის ხშირი მოგზაურობები საბჭოთა კავშირში. რამდენიმე წლის განმავლობაში მას გამუდმებით სდევდა შიში იმის გამო, რომ თვითმფრინავის რეისზე არ დაეგვიანა. ეს განსაკუთრებით ძნელი გადასატანი იქნებოდა პოლარული წრის იქით, სადაც ასეთ შემთხვევაში მომდევნო რეისამდე მინიმუმ ორი-სამი თვის მოლოდინი მოუხდებოდა. 2 ათასი რუბლი, რომელიც მწერალმა პონორარის სახით მიიღო, საშუალებას აძლევდა ემოგზაურა უზარმაზარ იმპერიაში. ამ წლებში მწერალმა 60 ათას კილომეტრზე მეტი დაფარა და 1500-ზე მეტი საუბარი ჩაიწერა. მხოლოდ მოსკოვს ერიდებოდა, რადგან აქ ჩაწერილი თითქმის ყველა ტექსტი საბოლოო ჯამში, პოლიტიკის ირგვლივ ტრიალებდა.

ამ საუბრების საფუძველზე დაწერილმა „იმპერიამ“ დასავლეთში ნამდვილი ფურორი მოახდინა, მისი ავტორი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად თარგმნილი და გამოცემული მწერალი გახდა. ეს წიგნი უკვე 25-ჯერაა გამოცემული.

„მშვენიერი ნაწარმოები, რომელიც იმსახურებს სწავლებას — სასწავლო მძღვანელოსათვის ისწავლებოდეს“, — ასეთი აზრი გამოთქვა „იმპერიის“ შესახებ ემიგრაციაში მოღვაწე მეორე დიდმა პოლონელმა მწერალმა გუსტავ ჰერლინგ-გრუძინსკიმ.

თუმცა წიგნის მისამართით საყვედურებიც ითქვა: იგი შეიცავს მხოლოდ შავ ტონებს, ცალმხრივია და ისე ჩანს, თითქოს საბჭოთა კავშირი ოდენ მწუხარების სამეფო იყოს. ავტორი ნაწილობრივ ეთანხმებოდა კრიტიკოსებს და ამბობდა, რომ წიგნი მხოლოდ მოგზაურობის სუბიექტური შთაბეჭდილებებია. „მთელი მხატვრული ლიტერატურა, ესაა ამა თუ იმ ავტორის ვერსია მოცემულ თემაზე. სხვა სახის ლიტერატურა უბრალოდ არ არსებობს“.

რიმარდ კაპუშცინსკი 2005 წელს ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი. მაშინ შვედეთის აკადემიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ მწერალი, ფილოსოფოსი და ლიტერატურის თეორიტიკოსი რ. კაპუშცინსკი ნამდვილად იმსახურებდა ამ ღირსეულ ჯილდოს.

კაპუშცინსკის გვერდით ნობელის პრემიაზე წარდგენილი იყვნენ აგრეთვე ამერიკელი მწერალი ფილიპ როტი, ალბანელი ისმაილ კადარი, ისრაელელი ამოს ოსი, შვედი პოეტი ტრანსტომერი და სხვები.

თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე არც გარკვეულ ცვლილებებს გამორიცხავდა ამ სიაში. ისინი მოელოდნენ, რომ შვედეთის აკადემია კიდევ სხვა კანდიდატს დაასახელებდა, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე. „თუმცა, ეს ალბათ ხელს არ შეუშლის კაპუშცინსკის ამ ჯილდოს მიღებაში“, — მიაჩნდა ევა ბონერს, შვედური გამომცემლობა ბონიერის ხელმძღვანელს. „ეფიქრობ, დადგა დრო ფაქტის ლიტერატურის დაჯილდოებისა“, — აღიარებს პორაციუს ენდაჰი, შვედეთის აკადემიის პრეზიდენტი.

როგორც ეს უკანასკნელნი, ისე მრავალი სხვაც, შეცდნენ პროგნოზში და აღნიშნული ჯილდო სხვა ადამიანს, ებრაული წარმოშობის 80 წლის დრამატურგს, ჰაროლდ პინტერს ერგო.

## რიმარდ კაპუშცინსკი

### ადამიანი ასფალტის გორაკზე

(ნაწყვეტი რომანიდან)

ოდესღაც თბილისი მხოლოდ ერთ ქუჩას — რუსთაველის პროსპექტს და მის გასწვრივ რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულ ქალაქს წარმოადგენდა. მზით გადატრუსულ მთებს შორის მდებარე თბილისი ტურისტების მიერ სიამოვნებით დასათვალიერებელი ადგილი იყო. მთელ იმპერიაში რიგში უნდა მდგარიყავი, რათა ერთი ბოთლი მინე-

რალური წყალი გეყიდა, აქ კი იგი განუსაზღვრელი ოდენობით, ამასთან, პირდაპირ წყაროდან, რომლებიც აქ უთვალავია, შეგეძლო დაგე-  
ლია.

დასავლეთით რუსთაველის პროსპექტი მთავრდებოდა პატარა და  
ლამაზ გორებზე გაშენებული სახლებით, რომელსაც სოლოლაკში უწე-  
ქვა. აქ მრავლად ნასავდით აუურულაივნებიან სახლებს, რომლებსაც წინ  
პატარა-პატარა ბაღა-ბაღები ამშვენებდა. დღესაც კი სოლოლაკში შე-  
მორჩენილია განვლილი ეპოქის სიმშვენეიერე.

სამაგიეროდ, რუსთაველის პროსპექტის აღმოსავლეთ მხარეს ჯერ  
კიდევ ბოლო დრომდე, ვიდრე აქ ახალი საცხოვრებელი სახლები წა-  
მოიჭიმებოდა, ქალაქს ტყეები და ველ-მინდვრები ესაზღვრებოდა.

ბოლო ხანებში თბილისი უაღრესად შეიცვალა. საქართველომ,  
მსგავსად იმპერიის სამხრეთი მხარეებისა, განვითარების მესამე სამყა-  
როს ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოდელი მიიღო. იგი დედაქა-  
ლაქის სწრაფ, არაბუნებრივ ზრდა-განაშენიანებას ემყარება. რაც სრუ-  
ლიად უგულვებელყოფს პროვინციების ინტერესებს, და მათი შემდგომი  
დაკნინების ხარჯზე ხდება. თვალშისაცემია დედაქალაქსა და ქვეყნის  
სხვა დანარჩენ კუთხეებს შორის უზარმაზარი დისპროპორცია.

საქართველოს მოსახლეობის ერთი მეოთხედი დღეს თბილისში ცხო-  
ვრობს, სომხეთის მოსახლეობის ერთი მესამედი — ერევანში. ეს პრო-  
პორციები რომ მივუსადაგოთ, მაშინ მივიღებთ, რომ ვაშინგტონში უნ-  
და ცხოვრობდეს 50 მილიონზე მეტი ადამიანი, ხოლო ვარშავაში —  
8-10 მილიონზე მეტი.

პროვინციაში ცხოვრება პრიმიტიული არსებობის, სიღატაკის,  
უიმედობის სიმბოლოა. აქედან გამომდინარეობს ადამიანის დაუძ-  
ლეველი მისწრაფება, იცხოვროს თანამედროვე მსხვილ ქალაქში, უწი-  
ნარეს ყოვლისა კი, დედაქალაქში. ესაა კომფორტის, უკეთესი ცხოვრე-  
ბის, კარიერის გაკეთების შანსი. ამის შედეგად, ძველი თბილისი, ბა-  
ქო და ერევანი გაიზარდნენ გიგანტური გარეუბნებით, სადაც ერთმანე-  
თზეა მიყრილი საცხოვრებელი ბლოკები, ყოველგვარი გემოვნებისა და  
დაპროექტების გარეშე, იაფად და ჰაი-ჰარად. თუმცა ისიც სათქმელია,  
რომ ამ დასახლებებს შორისაც დიდი განსხვავებაა. უკეთესად აშენებენ  
მოსკოვში, უარესად — სხვა დანარჩენ, იმპერიის ევროპულ ნაწილებში,  
ყველაზე დაბალი სტანდარტების მიხედვით სახლები შენდება საქართ-  
ველოში, უზბეკეთში, იაკუტიასა და ბურიატიაში.

თუ გახსოვთ სენტ-ეგზიუპერის „მიწა, ადამიანების პლანეტა“?  
1926 წელია. ავტორი, ანუ დამწეები პილოტი უნდა გაფრინდეს ტულუ-  
ზიდან, ესპანეთს გადაუფრინოს და ჩაფრინდეს დაკარაში. საფრენი ტე-  
ქნიკა თითქმის მწყობრიდანაა გამოსული, თვითმფრინავები ფუჭდება,  
ამიტომ მფრინავი ყოველ წუთს და ნებისმიერ ადგილას მიწაზე იძულე-  
ბით დასაშვებად უნდა იყოს მზად. სენტ-ეგზიუპერი ცდილობს რუკაზე  
შეისწავლოს თავისი საჰაერო მარშრუტი, მაგრამ რუკა მას არაფერს



ეუბნება, იგი მისთვის აბსტრაქტული და ძალზე ზოგადია. ეგზიუპერი გადაწყვეტს ყოველივე ამის შესახებ თავის უფროს კოლეგას, ჰენრი გუილამეტს, რომელმაც ეს ტრასა თითქმის ზეპირად იცის, პროფათბიროს. „ეს რა უცნაური გეოგრაფიის გაკვეთილი ჩამიტარა მაშინ გუილამეტმა, იგონებდა შემდეგ ავტორი, — მას არაფერს უნდა ვეძებო, კადიკსზე, სამაგიეროდ ვრცლად მელაპარაკა იმ სამ ფორთოხლის ხეზე, რომლებიც კადიკსის მინდვრის პირას დგანან: „კარგად დაიმასსოვრე ეს ხეები, მოინიშნე ისინი შენს რუკაზე“... და მართლაც ამ წუთიდან ეს სამი ფორთოხლის ხე უფრო დიდ ადგილს დაიკავეს ჩემს რუკაზე, ვიდრე თავად სიერა ნევადა“. გუილამეტი სენტ-ეგზიუპერის ყურადღებას მიაპყრობს ასევე იმ წყაროს, რომელიც საიდანღაც ჩამოდის იქ და თითქმის მთლიანად დაფარულია ბალახით. „ამ წყაროსაც მიაქციე ყურადღება, რომელიც თითქმის მთელ მინდორს ტბორავს. ისიც დაიტანე, შენს რუკაზე“, „მიიკლაკნებოდა რა ბალახებს შორის ამ კურთხეულ მიწაზე, სადაც მე შემეძლო თავის შეფარება, იგი ორი ათასი კილომეტრის სიშორიდან შემუქრებოდა და პირველივე შემთხვევისთანავე გადამაქცევდა ცეცხლის ალად...“

ვფიქრობ, ყოველი ქართველი, კავკასიის თითოეული მცხოვრები, მეხსიერებაში ინახავს ასეთ კოდირებულ რუკას. იგი მის თავისებურებას ბავშვობიდანვე სწავლობს — საკუთარ სახლში, თავის სოფელში, ქუჩაში. ეს არის რუკა-მემენტო, რუკა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, იმ განსხვავებით, რომ კავკასიის მცხოვრებთა რუკა მას აფრთხილებს არა ფორთოხლის ხეების, წყაროს, თუ ცხვრის ფარის შესახებ, არამედ სხვა ტომის, სხვა ეროვნების ხალხის თაობაზე. „ფრთხილად იყავი, ამ სახლში ოსი ცხოვრობს...“, „ეს სოფელი აფხაზებისაა, ეცადე იქ არავის გადაეყარო...“, „ამ ბილიკით ნუ დადიხარ, რადგან შენ ქართველი არა ხარ, ქართველი კი არაფერს გაპატიებს...“.

როდესაც ამ ხალხს ელაპარაკები, პირდაპირ გაოცებს, რომ თითოეულმა მათგანმა ზეპირად იცის ის ადგილები, სადაც დაბადებულია და გაზრდილა. ვინ სად ცხოვრობს, რომელ ეროვნებას მიეკუთვნება, რამდენია მათი რიცხოვნობა, როგორი იყო მათ შორის ურთიერთობა ოდესღაც, გუშინ და როგორია დღეს. ეს წარმოუდგენლად დაწვრილებითი ცოდნა სხვების შესახებ ეხება მხოლოდ უახლოეს დასახლებებს. თუ რა არის მის საზღვრებს გარეთ (ამასთან, ეს საზღვრებიც ძალზე ძნელი დასადგენია), ეს უკვე აღარავინ იცის და — რაც ყველაზე მთავარია, არც არავის აინტერესებს. კავკასიელის სამყარო ვიწრო და შეზღუდულია, იგი მხოლოდ მისი სოფლით, ვიწრო ხეობითაა შემოსაზღვრული. სამშობლოა ის, რასაც მისი მხედველობა მისწვდება, რისი გავლაც მაქსიმუმ ერთი დღის მანძილზე შეეძლება. კავკასია — ესაა უმდიდრესი ეთნიკური მოზაიკა, რომელიც მოხატულია ძალზე იშვიათი ერების (თუმცა, პრესტიჟისა და პატივისცემის თვალსაზრისით ტერმინი „ერი“ აქ იხმარება მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება უმცირეს საზოგადოებას), ტომების, კლანების, ხშირად მინიატურული ჯგუფების წვრილ-წვრილ ერთეულებით.

მეორე, რაც კავკასიაში ადამიანს თვალში ხვდება, არის აქ საუკუნეების მანძილზე გაბატონებული სამართალი, სტერეოტიპების ტიპიანი რომ გამოიხატება. ყველაფერი ეს დადგინდა, განისაზღვრა, განიმარტა ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, რომელიც საუკუნეთა სიღრმეებში იკარგება. არავის ხელეწიფება სწორი პასუხი გასცეს კითხვას, რომელი ეზიზღებათ ასე ძალიან ერთმანეთი სომხებსა და აზერბაიჯანელებს. ეზიზღებათ და მორჩა! ეს ყველამ იცის, თითოეულ ადამიანს ეს ბავშვობიდან, დედის რძესთან ერთად აქვს შეთვისებული. ასეთი სამართლის სიმყარე განაპირობა ხალხების ურთიერთ იზოლაციამაც (მთები!) და იმ ფაქტმაც, რომ კავკასიის მთელი რეგიონი ემეზობლებოდა ჩამორჩენილ ქვეყნებს — ირანს, თურქეთს და რუსეთს. დასავლეთის ლიბერალურ და დემოკრატიულ აზრთან კონტაქტები მისთვის თითქმის შეუძლებელი იყო, უშუალო მეზობლები კი მას აღმშენებლობით მაგალითებს არ აძლევდნენ, არავინ იყო ისეთი, ვისგანაც კავკასიას შეეძლო რაიმე სასარგებლო ესწავლა.

კავკასიის მკვიდრი ხალხისათვის დამახასიათებელია რაღაც მოულოდნელი და გაუგებარი ემოციური გამობტომები, გუნება-განწყობილების უეცარი ცვლილებები. საერთოდ, ადამიანისადმი არიან ძალზე კეთილგანწყობილნი და სტუმართმოყვარენი. ისინი სომ ერთმანეთის გვერდი-გვერდ საკმაოდ წყნარად, საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ. მაგრამ მოულოდნელად, უეცრად აქ რაღაც მოხდა. რაღაც რადიკალურად შეიცვალა. რა? ამ კითხვასაც კი არავინ სვამს, არც ერთმანეთს უსმენენ. მხოლოდ ხელს სტაცებენ ხმალ-ხანჯალს (ახლა ავტომატებს და ხელყუმბარებს) და ნერვიულობისაგან აკანკალებულნი, გააგებულნი მიიწევენ მტერზე და მანამდე არ მოისვენებენ, ვიდრე სისხლს არ დაღვრიან. არადა, თითოეული მათგანი, ცალ-ცალკე აღებული, უაღრესად წყნარი და წესიერი, კეთილი გულის პატრონია. ამის გამო ადამიანი იფიქრებს, რომ იქ სადმე ეშმაკი ტრიალებს და ამისაკენ უბიძგებსო. გადის მცირე ხანი და ყველაფერი ისევ მოულოდნელად, როგორც დაიწყო, წყნარდება, თავის საწყის მდგომარეობას უბრუნდება, ბრუნდება ყოველდღიური, რუტინული ცხოვრება, უბრალოდ, პროვინციული მოწყენილობა ისადგურებს.

1990 წლის ზაფხულში რუსთაველის პროსპექტის რამდენიმე ადგილას ჩამომსხდარიყვნენ ადამიანები, რომელთაც ხელში ტრანსპარანტები, პლაკატები, ფოტოები ეჭირათ, თანაც იმგვარად, რომ არ შეიძლებოდა გამვლელთა ყურადღება არ მიეპყროთ. ეს იყო ერთგვარი პროტესტის ფორმა — რათა ამ ხალხის მოთხოვნები საზოგადოებას გაეთავისებინა. პროტესტის ამ ფორმას მე ჯერ კიდევ ირანიდან და ლიბანიდან ვიცნობდი. ახლა ის საყოველთაოდ არის გავრცელებული და ინგლისური სიტყვით — „sit-in“-ით აღინიშნება.

ამგვარ „sit-in“-ში მონაწილეთა რიცხოვნობა შეიძლება განსხვავებული იყოს — ადამიანთა მცირე ჯგუფიდან — რამდენიმე ათასამდე. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ „sit-in“ არის ერთკაციანი, თუმცა პროტესტის ამგვარი ფორმა დაბალეფექტურია: სერიოზული/საპროტესტო მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ დიდ რაოდენობის ადამიანების მონაწილეობით შეიძლება.

უფრო ხშირად „sit-in“ აწყობენ სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლელებთან, მის კიბეებზე, რამეთუ ამგვარი ადგილები შედარებით უსაფრთხოა.

უბრალო ენით რომ ვთქვათ, „sit-in“ ემყარება იმას, რომ ზიხარ და საზოგადოების წინაშე გამოთქვამ საკუთარ მოთხოვნებს. ესაა და ეს. მეტი არაფერი. „sit-in“ მოქმედების ძალზე უწყინარი და რბილი ფორმაა. არავინ ყვირის, მუშტებს მკერდზე არავინ იბრახუნებს, არ ილანძლება. არიან ჩუმად, ჩაფიქრებულნი და არა თუ გამვლელს არ აქცევენ ყურადღებას. ერთმანეთსაც კი არა სცემენ ხმას. „sit-in“ არის პროტესტისა და მორჩილების, ბუნტისა და სიმშვიდის საოცარი შერწყმა. „sit-in“-ის მონაწილენი პრინციპში იწონებენ რეალურ ცხოვრებას, თუმცა დიდი სურვილი აქვთ გარკვეული კორექტივები შეიტანონ და ამავე დროს დააფიქსირონ მასში საკუთარი არსებობა. ისინი ცდილობენ შეგვახსენონ, რომ სამყარო ძალზე უსამართლოა და მხოლოდ ეს მეტისმეტი უსამართლობა იწვევს მათ პროტესტს. თუკი მსურველი იქნებოდა, ისინი სიამოვნებით ჩაებმებოდნენ კამათში. გულის სიღრმეში სწორედ ეს უნდათ — მათთვის საჭიროა გარკვეული საზოგადოებრივი ფსიქოანალიტიკოსი, თბილად რომ მოეპყრობოდა და გულისხმიერად ჩაიხედავდა მგრძნობიარე სულებში.

„sit-in“-ი პროტესტის ძალზე აღმოსავლური ფორმაა. მანიფესტანტები ევროპაშიც დიდი რაოდენობით იკრიბებიან, მაგრამ იქ მალე იშლებიან და ბრბოში ირევნიან. არგენტინაში მანიფესტანტები დადიან ჯგუფ-ჯგუფად, მაგრამ ამ მსვლელობამ ძნელია დიდხანს გასტანოს. სამაგიეროდ „sit-in“-ის ფორმას აქვს ორი ძლიერი მხარე. პირველი ის, რომ იგი წარმოადგენს პროტესტის გრძელვადიან ფორმას. მჯდომარე სახით შეიძლება პროტესტი გამოხატო კვირაობით და თვეობითაც კი. ამისათვის, ცხადია, საჭიროა სახელდობრ აღმოსავლეთის ადამიანები — მათი გასაოცარი მოთმინების უნარი, გასაკვირი გამძლეობა და სიჯიუტე. მეორე ისაა, რომ მჯდომარე ხალხის დაშლა უფრო ძნელია, ვიდრე დემონსტრანტების.

ამასთან, რა საჭიროა იმ ხალხის დარბევა, რომლებიც ქალაქის საკრებულოს კიბეებზე სხედან? ისინი ხომ არავის არაფერს უშავებენ. აქ ძირითადად არიან შავებში ჩაცმული ქალები, რომელთაც მეტი არაფერი სურთ, გარდა იმისა, რომ სხვას გაუზიარონ საკუთარი ჭირ-ვარამი: ერთს, მაგალითად, ქალიშვილი მოუკლეს მანიფესტაციის დროს, სხვისი ვაჟიშვილი საბჭოთა ჯარში სამსახურისას გარდაიცვალა და ა. შ. შემჩნეული მაქვს, რომ ძაძებში გამოწყობილ ქალებს, რომელთაც ჩარჩოში ჩასმული თავიანთი დაღუპული შვილების სურათები აქვთ ხელში, დიდად სწყურიათ, რომ გამვლელები შეჩერდნენ, შეხედონ მათ და

ამ დედების ღრმა მწუხარება გაიზიარონ. ჩვენთვის იქნებ ეს სიტუაცია ცოტა გაუგებარი და მიუღებელია, მაგრამ საქართველოში, სრულიადაც არაა ასე, აქ მწუხარების გამოხატვას ღია, გამჭვირვალე ფორმა აქვს, იგი საზოგადოებრივი აქტის სახეს იღებს.

ეროვნული  
ზიზღიერება

აფხაზეთის საქმე (და მისი თავისუფლებისაკენ მიმართული ამბიციები) ყველაზე უკეთ გვეუბნება, რატომ დადგა ყალყზე კავკასია (და არამხოლოდ იგი), რატომ დაინთო იქ ასეთი ხანძარი. იქ ორი ინტერესი დაეჯახა ერთმანეთს, რამაც მოულოდნელად ხანძარსაშიში მდგომარეობა წარმოქმნა. პირველი — კავკასიაში დიდი ფულის კეთების საშუალება გაჩნდა და ამ წლებში წარმოიქმნა აქ ბაზარი, სადაც იარაღის შექმნა ძალზე ადვილი შეიქმნა.

ისეთ სახელმწიფოში, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირი იყო, მხოლოდ ერთი მიზანი არსებობდა — ტოტალიტარული მმართველობის რაც შეიძლება გაძლიერება. ყველა სხვა მიზანი უსიტყვოდ მას უნდა დამორჩილებოდა, ყველა სხვა მიზანი რადიკალური მეთოდებით ნადგურდებოდა. და აი, ეს სახელმწიფო-მონოპოლისტი მოულოდნელად და უეცრად დაეცა. სამაგიეროდ სხვა ასობით, ათასობით ინტერესმა, დიდთა და მცირეთა, კერძო თუ ჯგუფურმა, ეროვნულმა ინტერესებმა წამოყვეს თავი, დამკვიდრება მოინდომეს, თავიანთი გეგმები განსაზღვრეს და მთელი ძალებით მათ მიღწევას შეეცადნენ.

დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც, ცხადია, აქვს ადვილი სხვადასხვა ინტერესთა შეჯახებას, მაგრამ მათ შორის განსხვავება და კონფლიქტები იქ შედარებით ადვილად დაიძლევა, ანდა მათ გადაჭრაში ადამიანებს უხმარება გამოცდილი და კვალიფიცირებული საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუტები. რაც შეეხება კავკასიას, აქ ასეთი ინსტიტუტები არ არსებობს (და ალბათ უახლოეს მომავალში არც იქნება!). მაშ როგორ უნდა გადაიჭრას აქ არსებული ინტერესთა ბუნებრივი წინააღმდეგობა, თუკი ამის გაკეთება არ შეიძლება მათრახისა და გადასახლებების მეთოდით?

და აი, იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს საშუაშავლო, მომრიგებელი დაწესებულებები, ჩნდება სრულიად უბრალო გზა, გზა უხეში ძალის გამოყენებისა. პრობლემების ასეთ გადაწყვეტას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ძველი სახელმწიფოს დაცემასა და არმიაში წესრიგის მოშლასთან ერთად შავ ბაზარზე ყველა სახის უამრავი საბრძოლო იარაღი გამოჩნდა, ტანკებიცა და ჯავშანტრანსპორტიორებიც კი. აქ, ვისაც კი ღონე ერჩის, ყველა იარაღდება და საბრძოლველად ემზადება. ამასთან ამ ქვეყანაში გაცილებით ადვილია პისტოლეტისა თუ ხელყუმბარის მოვნა, ვიდრე წინდისა თუ პერანგის. ამიტომ გზებზე ხვდებით არმიებსა თუ სხვა საბრძოლო წვრილ-წვრილ დანაყოფებს, და ამასთან მეტად ძნელია იმის გამოცნობა, თუ ვინ ვინ არის, ძნელია მათი იდენტიფიცირება, ვერ გაიგებ, ვის რა უნდა, რისთვის იბრძვის. კვლავ ცო-

ცხლდება თვითმარქვიების ინსტიტუტი, ასეა დამახასიათებელი ქაოსისა და შურისძიების პერიოდებისათვის. იბადებიან და კვდებიან გილაც-ვილაც ბელადები, ლიდერები, ცხოვრების განმაახლებლები, მესიები, მხსნელები.

ძალზე საინტერესოა ასეთი ქვეყნის კვლავ ნახვა ან არაქვეყნის ხნის შემდეგ. აქ ყოველი ჩასვლისას ახალ სახეებს ხედავ, გუნდებს ახალ სახელებში. რა დაემართათ ძველ ბელადებს, წინამძღოლებს? უცნობია. იქნებ იმალებიან? იქნებ კერძო ფირმაც კი გახსნეს და ბიზნესს მიჰყვეს ხელი? ან იქნებ უკეთესი ჟამის დადგომას უცდიან. შემთხვევითი როდია, რომ საბავშვო გასართობ მოედნებზე, რკინიგზას, რომელიც ელვის სისწრაფით ადის მალლა და შემდეგ ეშვება, „რუსული მთები“ ჰქვია. ეს ვაგონები ისეთი სისწრაფით დაჰქრიან, რომ შეუძლებელია აქ მჯდომ ადამიანთა სახეების სრულად გარჩევა, ყველანი ჯერ ჩნდებიან, შემდეგ სადღაც ქრებიან, ქრებიან. კავკასიურ პოლიტიკაშიც მსგავსი რამ ხდება. ვილაცას ირჩევენ, გაიხედავ და იგი უკვე შეცვლილია. ეს უკანასკნელიც დიდხანს ვერ ჩერდება, ნახავ და მისი წინამორბედი ბრუნდება და მის ადგილს იკავებს. ფოტოსურათებზე იმათ გვარდიას, ვინც დაბრუნდა, გამარჯვებულის პოზაში აქვს რევოლვერი ზევით აწეული. ამასობაში კი დამარცხებული თავის გვარდიასთან ერთად ტყეში გარბის და თავს აფარებს.

„თურქეთისა და მონღოლეთის ისტორიის მკვლევარი, რომელიც სამყაროს ამ ნაწილსაც იკვლევს, — წერს გამოჩენილი ბრიტანელი ისტორიკოსი სირ ოლაფ გაროე — აღმოჩნდება იმ ადამიანის სიტუაციაში, რომელიც აივანზე დგას და აკვირდება ბრბოს ქაოსურ და არაპროგნოზირებად ქცევას, რომელიც რაღაც დიდი შემთხვევის გამო შეკრებილია. ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთში ირევიან. ერთდებიან, შემდეგ სცილდებიან და ცალ-ცალკე გადიან. მაგრამ მალე გამოჩნდება რაღაც, რომელიც მათი დაინტერესების ობიექტად იქცევა და ყველა მისკენ მიეშურება მხოლოდ იმიტომ, რომ მცირე ხნის შემდეგ კვლავ ერთმანეთს დაშორდნენ. რომელიღაც ორატორი ახერხებს ხალხის ნაწილის შემოკრებას. აქა-იქ პოლიტიკური და პერსონალური კონფლიქტები ხდება არევ-დარევის საბაბი. ხოლო შემდეგ იწყება ერთმანეთის ხოცვა და განადგურება, თუმცა დრო და დრო წარმოიშვება ხოლმე ასევე გონიერი განსჯა და შემოქმედებითი ქმედებებიც“.

აფხაზეთის დედაქალაქი — სოხუმი, პალმებისა და ყვავილების ქალაქია. პირველად 1967 წელს ვიყავი იქ. აი, მაშინდელი ჩემი ჩანაწერი: „სოხუმში გურამმა წამიყვანა თევზის რესტორან „დიოსკურიაში“. უმშვენიერესი ადგილია. ნაგებობა შავ ზღვაში შეჭრილ კლდეზეა აშენებული. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ბერძნული კოლონია — დიოსკურიის საფუძველს, რომელიც აქ 25 საუკუნის წინ არსებობდა. მაგიდასთან ჯდომისას შეგიძლია ათვალღერო წყალში ჩაძირული ქალაქი, რომელიც ახლა შეცვლილია რაღაც მონსტრუალური აკვა-

რიუმით, რომლის ქუჩებშიც დაცურავენ დიდი, მსუქანი და ზარმაცი თევზების ქარაფნები“.

ისე კი საინტერესოა, კიდევ დგას დიოსკურია ზღვის ფსკერზე, თუ მან აქ ორსაუკუნუნახევარი გაძლო და შემდგომ, საბოლოოდ განადგურდა ქართულ-აფხაზური რაკეტების სროლის შედეგად.

ჩემს მასპინძელ გია სართანიასთან ერთად (იგი ახალგაზრდა მწერალი და მთარგმნელია) მივდივართ ქალაქში, რათა დავათვალიეროთ წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია სამთავროში. საქართველოში ქრისტიანობა უძველესი რელიგიაა, რამეთუ მან აქ ფესვები ჯერ კიდევ IV საუკუნეში გაიდგა. ეს ეკლესიაც დაახლოებით იმ პერიოდშია აგებული. შემდეგ ჩვენ მოვიხილეთ ორასი წლის მერე აგებული ჯვრის მონასტერი. ამასთან, მიუხედავად ორ საუკუნეში განსხვავებისა, ეს ორივე ნაგებობა ერთმანეთსა ჰგავს, ორივე ერთი და იგივე ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც, როგორც ჩანს, არ შეცვლილა საუკუნეთა განმავლობაში.

ახლა ამ ეკლესიებში შესვლა ნიშნავს დროში ათასი წლით უკან დაბრუნებას. საქმე ისაა, რომ ამ ტიპის ნაგებობები აქამდე ან საერთოდ გამოკეტილი იყო ან გადაკეთებული ათეიზმის მუხეუმად, ანდა სულაც ნავთისა თუ ხორბლის საწყობად. ამასთან მანამდე საგულდაგულოდ განიძარცვა და მხოლოდ შიშველი კედლებიღა დარჩა. აი, ასეთ მდგომარეობაში გადაეცა ისინი მორწმუნეებს. და ყველაფერი თითქოს დაუბრუნდა კატაკომბების საუკუნეებს. წარმოვიდგინოთ: ცარიელ, შიშველ კედლებს შორის თავს იყრიან თავდაპირველი ქრისტიანები.

„ამასობაში ჩამობნელდა, და რადგანაც მთვარე ჯერაც არ ამოსულიყო, ძალზე ძნელი იქნებოდა გზის გაგნება, მაგრამ როგორც ეს წინასწარ გაითვალისწინა კიდევ ხილომ, გზას მას თავად ქრისტიანები უჩვენებდნენ. ცოტა მარჯვნივ, ცოტა მარცხნივ, და მალე წინ გამოჩნდა შავი ფიგურა, რომელიც ფრთხილად მიდიოდა. ამ ხალხიდან ზოგიერთს თან ფანარი ჰქონდა, რომელსაც მათი პატრონები, რაც შეიძლება ფარავდნენ პლაშიებით, სხვები კი, უკეთ იცოდნენ რა გზა, სიბნელეში წინ მიიწევდნენ“.

ეს სენკევიჩის რომანის „ვიდრე ხვალ“-ის ფრაგმენტია. ახლა მე და გიაც მსგავსი მისტერიის მოწმენი გავხდით, რამეთუ ამ ცარიელ, ყინულივით ცივ და მცირე ჯვრის მონასტერში გარე სამყაროდან შემოტანილი მხოლოდ ერთი საგანია — ქვის შიშველ საკურთხეველზე აღმართული ლითონის ჯვარი. საკურთხეველის წინ დახრილა ბერი, თავზე ქუდით. ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენის ხმასაც გაიგონებთ, მხოლოდ მონასტრის კედლებიდან მწვეთავი წყლის წვეთების წკაპუნის ხმა არღვევს მყუდროებას, და კიდევ მონასტერში ანთებული სანთლებით ხელში კრძალვით შემოსული ქალების ფეხის ხმა. ამ მბჭუტავი სანთლების შუქი ოდნავ ანათებს მონასტერში გამეფებულ მწუხრს. შემოსულთაგან ერთ-ერთი ქალი ჩანთიდან იღებს ქადას და იქ მყოფთ გვინაწილებს. არის რაღაც ამაღელვებელი ნესტითა და მწუხრით სავსე ამ მონასტერსა, აქ ჩამოწოლილ სიწყნარესა, ქადის დანაწილებასა და ამ ზერის, რომელსაც ჩვენსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს, იდუმალებით სავსე ფუსფუსში.

აღიონზე მე უკვე თბილისი-ბაქოს ავტობუსში ვარ, თითქმის მთელი გზა მცირე და დიდი კავკასიის ქედებს შორის მიიკლავება. ამ ტრიფიალური, კომიკური ეპოპეის მთავარი გმირი რევაზ გვლუბია, ჩვენი ავტობუსის მძღოლი, ჩასხმული, მსუქანი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცია. არ ვიცი, ავტობუსის მძღოლობა მისთვის პატივი და ღირსებაა, თუ პირიქით, მისი დეგრადაციის შედეგი და ხელშემწყობი. მისგან მხოლოდ ის ვიცი, რომ წლების განმავლობაში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში TIR-ი დაჰყავდა, ანუ იგი, საკმაოდ გამოცდილი, საერთაშორისო კლასის მძღოლია. მთელი ამ 500 კილომეტრიანი გზის მანძილზე ავტობუსი სულ სავსე იყო, ამავე დროს, მგზავრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ. აქ სამგზავრო ბილეთი მხოლოდ სამ კაცს გვქონდა — ორ რუსს, რომლებიც კიროვაბადიდან მოდიოდნენ და მე. სხვა დანარჩენები რევაზს უხდიდნენ გზის საფასურს, მის მიერვე დადგენილი ნიხრის მიხედვით. იგიც იღებდა ფულს და იტენიდა სხვადასხვა ჯიბეში. რევაზი მთელი ამ მარაგზის მეფე იყო, მისი ნამდვილი გამგებელი.

დღე მოდრუბლული და წვიმიანი გამოვიდა. აქაური ადგილები, როგორც საერთოდ სამყაროს ამ კუთხეს შეეფერება, მჭიდროდ დასახლებულია. გზაზე ხშირად გვხვდებოდნენ გალუმპული და შეციებული ადამიანთა ჯგუფები. მათ თან თითქმის ყოველთვის რაღაც ტომრები ჰქონდათ აკიდებული, ცხვარი ან თხა მოჰყავდათ. ავტობუსის გამოჩენაზე მათხოვრებივით იწვდიდნენ ხელს, ოღონდ ფულისა თუ ერთი მუჭა ბრინჯის ნაცვლად რევაზს გულმოწყალება გამოეჩინა და ავტობუსში აეშვა. ისე ჩანდა, რომ ეს ადამიანები აქ იდგნენ მთელი დღეობით, რადგან ამ მიდამოებში ავტობუსები ძალზე იშვიათობაა, გზა მეტად საშიშია, აქვე ახლოს სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ბრძოლები გრძელდება, გზების გასწვრივ ათობით გადამწვარ მანქანას ნახავს კაცი, ასე რომ, გამბედავი რევაზი ამ გზაზე ნამდვილი მონოპოლისტია!

და ცხადია, სარგებლობს კიდევ სიტუაციით. რევაზი მთელი გზა საშინელ ლიციტაციას მიმართავს. კერძოდ, დაინახავს გზაზე მგზავრობის მოსურნე ადამიანებს, აჩერებს მანქანას და ეკითხება მათ, სადამდე მიდიან და რამდენის გადახდა შეუძლიათ. თუ ბევრს გადაიხდიან, და ამასთან, არც თუ ისე გრძელ მანძილზე მიდიან, რევაზი ავტობუსს ატოვებინებს იმ მგზავრებს, რომლებიც ცუდი გადამხდელები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარ სახლამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ დარჩენილი, და მათ ადგილას ახალ მგზავრებს სვამს. ამასთან, ყოფილ მგზავრებს თან ავტობუსიდან აგდებს და თან ფულს ართმევს!

რევაზი მე არ ჩამომავდებს, ვინაიდან, ერთადერთი ბილეთიანი მგზავრი (რუსები უკვე ჩავიდნენ) და ამასთან, უცხოელი ვარ, და კიდევ იმიტომ, რომ ორმოც გრადუსზე მაღალი სიცხე მაქვს და კინაღამ ვკვდები. რაც უფრო ვუახლოვდებით ბაქოს, რევაზი უფრო და უფრო

მკაცრი ხდება. მგზავრობის დასაწყისში რამდენიმე მისი თანამემამულე ქართველიც მოდიოდა ავტობუსით — მათი ხატრითა და რიდით რევანი რალაც გულმოწყალებას მაინც იჩენდა მგზავრებისადმი, არ უნდოდა გულქვა გამოჩენილიყო, მაგრამ ახლა ავტობუსში მხოლოდ აზერბაიჯანელები დარჩნენ — რალაც დამფრთხალნი, დაბეჩავებულნი. შესვრულსია მათი ყურება. როდესაც ერთმა მათგანმა, ნახა, რომ მექანიკურმაქანდა, ლიმონათი ამოიღო თავისი ფუთიდან და გამომიწოდა, ყელში რალაცა მომაწვა.

უკვე ბაქოს მივუახლოვდით. კომპარული პეიზაჟია: ვრცელი მინდვრები ნავთობით დატბორილი, ადგილ-ადგილ უწესრიგოდ მიმოფანტულია ბეტონის პლიტები. ირგვლივ მოედინება მძიმე კასპიის ნავთობი, რომელიც ქმნის აყროლებულ გუბეებს, თითქმის ტბებს. რაც შეეხება პლაჟებს — მე ხომ ჯერ კიდევ მახსოვს აქაური ყვითელი სილა! — შავი, მსუყე მჭვარტლითაა დაფარული.

კასპიის უბეში მდებარე ბაქომდე რომ მიალწიო, კიდევ დაკლაკნილი გზა უნდა გაიარო ქალაქის მიმდებარე გორაკზე. ერთ-ერთ ასეთ მოსახვევში მოხდა სცენა, რომელმაც სხვაგვარად შემახედა რევანისათვის და მისი გულის სითბო დამანახა. ამ ასფალტისფერი პეიზაჟის ფონზე დგას ბეტონის სვეტი, რომელზედაც ვილაცას ხეიბარი ადამიანი წამოუსვამს.

როგორც ჩანს, გავხდი რომელიღაც იდუმალი რიტუალის მოწმე, რომელსაც, ამასთან, ეტყობა, დიდი ხნის ტრადიციებიც აქვს, რადგან მიუახლოვდით თუ არა მას, რევანმა შეაჩერა ავტობუსი, მიესალმა ამ კაცს და ხალათის ჯიბეში სოლიდური ფულის ნიშანი ჩაუდო.

### პოლონურიდან თარგმნა ამბროსი ბრიშიკაშვილმა

**ინტერვიუ, რომელიც ჩიზარდ კაკუშცინსკის ცნობილმა ჟურნალისტმა ანჟეი სკოჟამ ჩამოართვა 2006 წლის დანაწყისში.**

**რამდენ მიწვევას იღებთ მოხსენების წაკითხვისა თუ შეხვედრის შესახებ ყოველდღიურად?**

დეკემბერში, მაგალითად, დღეში საშუალოდ ოცზე მეტი მიწვევა მივიღე. ასეთ მიწვევებზე რომ ვიარო, მომიწევდა მთელი დანარჩენი ცხოვრების მათთვის მიძღვნა, მსოფლიოს გარშემო სიარული და მათში მონაწილეობისათვის ფულის აღება.

**ფინანსურად ეს უფრო შემოსავლიანი ხომ არ იქნებოდა?**

მე ამას უკვე აღარ ვაქცევ ყურადღებას. ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც დრო ყველაზე ძვირფას ღირებულებად იქცევა. მაშინ ფულის ხარჯვის დროც აღარ გაქვს.



**ვინ იხდის ასეთი კონფერენციებისათვის? მონაწილეები?**

პირიქით, მონაწილეებს უხდიათ. სპონსორები ფარავენ მკვლევრობის, სასტუმროს, კვების ხარჯებს. დისკუსიები კი მსოფლიოში უსასრულოდ ბევრია.

**გყავთ აგენტი, რომელიც გირჩევთ, რომელი აირჩიოთ შემთავაზებულ წინადადებებს შორის?**

ბიზნისიშე

თავად ვირჩევ, უფრო სწორად, უარს ვამბობ. მხოლოდ კონფერენციაზე წასვლა ხომ არ კმარა, უნდა მოამზადო კიდევ სიტყვა. ეს კი ძალიან უშლის ხელს მწერლობას. ამიტომ მე მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვან შეხვედრებზე დავდივარ, მაგალითად, ისეთებზე, როგორც მოამზადა სალმან რუშდიმ, ამჟამად ამერიკის პენ-კლუბის თავმჯდომარემ და რომელზეც მთელი მსოფლიოს 120 მწერალი იღებდა მონაწილეობას. იქ ყოფნისას ცნობილი მწერლების გაცნობის იშვიათი შესაძლებლობა მომეცა. ბევრი თანამშრომელი, ფულია საჭირო, რათა შეძლო ყველა კონტინენტიდან ამდენი შემოქმედის მიწვევა.

თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ როდესაც საიდანღაც ხშირად მიწვევენ, იძულებული ვხდები ხათრის გამო ერთხელ მაინც წავიდე იქ.

**„ვცრუობ, ვიტყუები, ვაკეთებ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რათა შევძლო გავაკეთო და ბოლომდე მივიყვანო წამოწყებული საქმე“.** ბატონო რიშარდ, ასეთი წინადადება რამ გათქმევინათ?

მართალია, ეს ძალზე მკაცრად ნათქვამი სიტყვებია, მაგრამ — პარადოქსია — მხოლოდ იმის თქმა, რომ რაღაც გაქვს დასაწერი, არა სჭრის. როდესაც ვეუბნები, რომ არ შემიძლია მივიდე მათ „ძალზე მნიშვნელოვან“ კონფერენციაზე, რადგან ახალ წიგნზე ვმუშაობ, უშედეგოა, მეუბნებიან: „არა უშავს, შემდეგ დაწერო“.

ამიტომ იძულებული ვარ, ათასი რამ მოვიგონო: ავადმყოფობა, სადღაც პლანეტის მეორე ნაწილში წასვლა და ა. შ. მოკლედ, ათასი რამის შეთხზვა მიხდება შემოთავაზებისათვის თავის ასარიდებლად.

**პოზიციების დათმობაც ხომ არ გიწევთ?**

ძალზე იშვიათად და ამიტომაც მანებებენ თავს. თუმცა ძალზე კარგია, რომ ადამიანები ამდენს ფიქრობენ ჩვენი პლანეტის ბედზე. ეგაა ოღონდ, ამ ნაფიქრალის, კამათის შედეგების პრაქტიკაში განხორციელება ჭირს. მაგალითად, მსოფლიოში ასეთი დიდი მასშტაბების სილატაკის არსებობაზე თითქმის ყველაფერი ვიცით, მაგრამ მის პრაქტიკულ შეზღუდვას ვერ ვახერხებთ, ამას წინ უამრავი ბარიერი, ინტერესები ეღობება.

**როდესაც მოწვევას იღებთ, ალბათ ფიქრობთ: „რიშარდ, რატომ აკეთებ ამას, შენ სახლში უნდა იჯდე და წერდე“?**

ღიას, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა წერასა და მოგზაურობას შორის. წერა გონების კონცენტრირებას, სრულიად განსხვავებულ დაძაბვას, ერთ ადგილას ყოფნას მოითხოვს. მოგზაურობა კი ყურადღებას ფანტავს. ძალზე პარადოქსული სიტუაცია იქმნება, რამეთუ რეპორტიორი ბევრს უნდა მოგზაურობდეს, მაგრამ იმავდროულად ვალდებული არაა, რომ წერაც შეეძლოს. ძალიან მიყვარს მოგზაურობა,

ბევრიც ვიმოგზაურე, მაგრამ ცოტა წიგნი წარმოსდგა ამის შედეგად. ამიტომ ახლა უკვე შევზღუდე მოგზაურობა, თუმცა კვლავაც ბევრს დავდივარ. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

**კარგით, მოდით დავუბრუნდეთ ნი-იან წლებს. „...ვიტანჯებოდი, თავს ნაწყენად ვგრძნობდი“, — ასე იგონებთ იმ პერიოდს, როდესაც თქვენს პირველ წიგნებს არ ყიდულობდნენ. გწამდათ მაშინ, რომ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლებოდა?**

ეს ნამდვილად მჯეროდა. მწერლობას ბავშვობიდანვე, როგორც ძალზე მნიშვნელოვანს, ისე ვუყურებდი. ცოტას ვწერ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი ღირებულია მკითხველისთვის. ვთვლიდი, რომ შემდეგ მასთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რადგან კითხვა მკითხველსა და მწერალს შორის დიალოგია.

**თუმცა თავიდან იგი რალაც არ შედგა...**

ეს ჩემთვის მართლაც საწყენი იყო. კოლეგები მირჩევდნენ: „დაწერე რამე პოპულარული — სპორტზე, კრივზე“. არ დავყაბულებულვარ ასეთ წინადადებებზე. არ „მიხალტურია“, რადგან ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს ჟურნალისტის სიკვდილს მოასწავებდა.

**თავად რითი ხსნით იმას, რომ თითქმის შეუმჩნეველი დარჩა თქვენი პირველი წიგნები?**

მახსოვს მაშინდელი წიგნის მაღაზიები. ერთ-ერთი მოგზაურობიდან დაბრუნებულმა შევიხედე იქ და ვნახე ჩემი გაუყიდავი წიგნები, რომლებიც პოლონურ რეპორტაჟებს შეიცავდა, სათაურით — „ბუში პოლონურად“. ძალიან მეწყინა. დღეს ეს კარგი ნიშანია, როდესაც საკუთარ წიგნებს მაღაზიაში ხედავ, მაგრამ იმ დროისათვის ეს ფატალური იყო. გავიფიქრე, მოვიცდი, ვნახოთ, როგორ წავა საქმე-მეთქი. ჩემი შემდგომი პერიოდის წიგნებს უკვე უკეთ შეხვდნენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ავტორი წიგნის გვერდით უნდა იყოს, როდესაც იგი ბაზარზე გადის. მწერალი-დებიუტანტი უნდა ხვდებოდეს მკითხველს, აწყობდეს პრეზენტაციებს და ა. შ. იმ პირველ წიგნებს კი, სახელდობრ, ეს მოაკლდათ, რადგან მე მაშინ აფრიკაში ვმუშაობდი.

**შემდგომში თქვენ ამბობდით, რომ მკითხველი ადვილად აიგივებს მწერლის ნაწერებს მის სახელთან. თქვენ ხომ ამას ორ ათეულ წელზე მეტი ელოდით?**

ცხოვრება ფულის დაზოგვასავითაა. კეთილი საქმეები ნელ-ნელა გროვდება. სააგენტოებსა თუ გაზეთებში მრავალი გვარია. მკითხველს ვერ გაამტყუნებ იმაში, რომ ადვილად ვერ პოულობს თავისთვის საინტერესო მწერალს. მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე მისთვის მწერლის გვარი მეორდება. თუკი მას მოეწონება ესა თუ ის წერილი, მესამედ იგი უკვე სახელდობრ ამ მწერლის წერილს დაუწყებს ძებნას. ამასთან, ეს ძალზე ნელი პროცესია და საჭიროა მოთმინებით აღვიჭურვოთ.

**შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ თქვენი ნაწერები ვერც შემდგომ ოც წელიწადშიც შეეძინათ?**

თუ პუბლიცისტური ლიტერატურის ნიმუში ვერ გაიყიდება ოც წელიწადში, იგი ვერც შემდგომ ოც წელიწადში გაიყიდება. ჰანს ენს-ზენბერგს, მწერალს, პოეტს და ესეისტს, ჩემს ცნობილ გერმანელ გამომცემელს, აქვს თეორია, რომლის მიხედვითაც, თუ წიგნი გაძლებს ოც წელიწადს და კვლავაც მოიძებნება გამომცემელი, რომელიც მისთვის ვებდა მის დაბეჭდვას, იგი უკვე ისტორიას შემორჩება.

**თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ ჟურნალისტობას დასაწყისში არ შეუძლია დიდი ფულადი შემოსავლის მოტანა. მხოლოდ დასაწყისში?**

დღევანდელი ჟურნალისტი-ახალგაზრდობა სამ კატეგორიად იყოფა. მათ ერთი და იგივე პრინციპით ვერ მიუდგები. პირველ კატეგორიას შეადგენენ ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ ამ სფეროში. ისინი მოვიდნენ ჟურნალისტიკაში იმიტომ, რომ ვერ ჩაირიცხნენ იურიდიულზე. გახდნენ ჟურნალისტები იმიტომ, რომ ზუსტად იმ დროს რედაქციაში ვაკანსია იყო, მაგრამ შემდგომ გადადიან საბანკო სექტორში, ან რომელიმე კონცერნის პრეს-სამსახურში. მოკლედ, წარმოადგენენ შემთხვევით ადამიანებს ჟურნალისტიკაში, თუმცა სწავლობდნენ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

მეორე კატეგორიას შეადგენენ ჟურნალისტ-ხელოსნები, ე. წ. „Workers“. ხშირად ესენი არიან მეტად სიმპათიური ადამიანები, თავისი საქმის პროფესიონალები, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ თანამედროვე უზარმაზარი მასშედი.

და ბოლოს, ჟურნალისტთა მესამე კატეგორიას შეადგენს ელიტა: ესეისტები, პუბლიცისტები, ისინი, რომლებიც ხმას იმაღლებენ მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ, რეპორტიორები. ეს მათი წყალობითაა, რომ დღეს მედია დგას იმ სიმაღლეზე, რომელზედაც დგას. ყველა ისინი, რომლებიც ჟურნალისტიკაზე სწავლობენ, ვერასოდეს გახდებიან ჭეშმარიტი პროფესიონალები.

**რამდენადაც ვიცი, თქვენ, როგორც ჟურნალისტს, არასოდეს დაგისვამთ შეკითხვა პრეს-კონფერენციაზე?**

ეს მართლაც ასეა. ასეთ დროს ძალზე მორცხვი ვარ, მერიდება ხოლმე შეკითხვის დასმა. საბედნიეროდ, კონფერენციაზე უხვად არიან ჟურნალისტები, რომლებიც ძალზე აქტიურობენ. მათ ყოველთვის აქვთ კითხვები, მაშინ, როდესაც მოპასუხეს მხოლოდ მათ ნაწილზე მოეძეგება პასუხი. მაშ, რაღა საჭიროა ზედმეტი კითხვები?

**„უხეში, ქედმაღალი, ტრაბახა ადამიანი ვერასოდეს გახდება კარგი ჟურნალისტი“. თქვენი ეს გამონათქვამი უკვე გამორიცხავს მრავალი ახალგაზრდის ჟურნალისტობას...**

იქნებ მაშინ მთლად ზუსტი არ ვიყავი გამოთქმაში. მე მხოლოდ რეპორტიორებს ვგულისხმობდი. ისინი ხომ ადამიანების განსაკუთრებული სახეობაა, ხოლო რეპორტაჟი — ჟურნალისტიკის სპეციფიკური ფორმა, წერის ყველაზე კოლექტიური ფორმაა. იგი სხვა ადამიანებთან ურთიერთთანამშრომლობის გარეშე ვერ წარმოდგება, უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენს გმირებთან, ჩვენთან მოსაუბრეებთან ახლო ურთიერ-

თობას მოითხოვს. ჩემთვის ერთადერთ გამონაკლისს ამ კანონზომიერებიდან წარმოადგენს ცნობილი რეპორტიორი ფრანც გილი. მან წერა ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო და შემდეგაც აგრძელებდა. საოცარი ინტერვიუები იყო, გაუბრუნდა ადამიანებთან ურთიერთობას, თუმცა არა ყოყმანის თუ სიამაყის გამო, არამედ, უბრალოდ, უჩვეულებრივი მისთვის ადამიანებთან ურთიერთობა. მშვენიერ, უაღრესად ლამაზ რეპორტაჟებს წერდა. ისიც უნდა გითხრათ, რომ ნორმალური რეპორტაჟი თითქმის მთლიანად მეორე ადამიანზეა დამოკიდებული. ამასთან, რათა მოიპოვოს მომავალი გმირის ნდობა და გაუჩინოს მას საუბრის სურვილი, თავად რეპორტიორი მეტად უბრალო, ადამიანური უნდა იყოს. სწორედ ამიტომ ყოველგვარი სხვა სახე მასალის მოპოვებისა, რომელიც გასაგები და ბუნებრივია ჟურნალისტიკის სხვა ფორმებისათვის, რეპორტაჟის დროს ვერ გამოდგება.

**არ გაკვირვებთ, როდესაც პოლონელი ჟურნალისტი, რომელსაც ინტერვიუზე უარი უთხარით, ბოდიშობს და გტოვებთ, მაშინ, როცა დასავლეთში, თქვენთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად რას აღარ კადრულობენ: გელოდებიან სასტუმროს გასასვლელში თუ დერეფანში სასადილოსაკენ მიმავალს...**

რას იზამ, ისინი იძულებული არიან რედაქციაში აუცილებლად მასალით დაბრუნდნენ. ამგვარი საქციელი იმდენად მათი ადამიანური ხასიათიდან არ გამომდინარეობს, რამდენადაც იქაური მასმედიის ბუნებიდან. მათ მასალა უნდა ჰქონდეთ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, რაც დასავლეთის ბაზარზე უდიდესი კონკურენციის შედეგია.

**განა პოლონეთში არ არის კონკურენცია?**

არავითარი კონკურენცია ჩვენთან არაა. თუმცა მსოფლიო მასშტაბითაც უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ მასმედია თანდათან ნაკლებ კონკურენციულ პირობებში მუშაობს. მაგალითად, თუ ისრაელის პრემიერს ჯანმრთელობა გაუუარესდა, სულ ერთია, გაზეთს გავშლით თუ ტელევიზორს ჩავრთავთ, ჩვენთან თუ სხვა რომელიმე ქვეყანაში, — ყველგან ამ თემაზე ვნახავთ სიუჟეტებს. თემების უნიფიკაციის პროცესს უდიდესი და უძლიერესი მედიის ცენტრები გვკარნახობენ.

**ახდენს ეს პროცესები ჟურნალისტიკის დონეზე გავლენას პოლონეთში?**

ჩვენი ჟურნალისტიკის დონის პრობლემა გამომდინარეობს არა კონკურენციიდან, არამედ საშუალო თაობის არარსებობიდან, რომელმაც საზოგადოებრივი სისტემის ცვლილებასთან ერთად მიატოვა პროფესია. ჟურნალისტიკა კულტურის ფუნქციაა. ხოლო რადგან მოხდა საზოგადოების ცვლილება, ხარისხობრივად უნდა შეცვლილიყო ეს ჟანრიც. წლები უნდა გავიდეს, რომ საშუალო თაობის ჟურნალისტები გაიზარდონ და ამ პროფესიაში თაობათა ცვლის ნორმალური რიტმი დაბრუნდეს.

**პოლონელ ჟურნალისტებს დიდი უსიამოვნება მოუტანა ახალმა დრომ და ისტორიამ, საიდანაც შეიტყვეს, რომ თურმე ზოგიერთი მათი**

კოლეგა უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობდა. ნუთუ ასეთი რამ თავის დაღს ასვამს ჟურნალისტიკის დონეს?

არა, ლიტერატურის ისტორიიდან არც თუ ისე ცოტა მწერალს ვიცნობთ, რომლებიც საკმაოდ ახლოს თანამშრომლობდნენ სსენებულ სამსახურებთან.

როდესაც ვკითხულობ, როგორ ხდებოდა იძულებული ბავშვობისას თავად მოგეპოვებინათ ლუკმა-პურის ფული, და ამასთან, თითქმის გამუდმებით ვხედავ თქვენს სახეზე ღიმილს, ეს მე რაღაც უცნაურ გრძნობას მგვრის და განმაიარალებს, ისევე, როგორც იმ ჯარისკაცს, რომელიღაც აფრიკული სახელმწიფოს შესაზღვრეს, რომელსაც არ სურს თქვენი თავის ქვეყანაში შეშვება. ასეთი ღიმილი თქვენი იარაღია ჯარისკაცთა კარაბინის წინაშე?

უბრალოდ, ასეთი ვარ. და ეს მეხმარება, თუ ხელს მიშლის მუშაობაში, ეს გარემოებებზეა დამოკიდებული. ცხოვრება ძალიან ძნელია. მისი გავლა, მით უმეტეს, თუ ამასთან ასეთ რთულ პროფესიაში მუშაობ, კიდევ უფრო ძნელი. ამიტომ საჭიროა მივმართოთ ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას, რათა ასეთი მუშაობა შეგვაძლებინოს. ამასთან, ეს არ გამომდინარეობს რაიმე ანგარიშიდან. არამედ უფრო ინსტიქტიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და ინტუიციიდან.

„აფრიკაში ყოფნისას, რეპორტიორის ცნობისმოყვარეობამ წამძლია და გემო გავუსინჯე თითქმის ყველა შესაძლო ნარკოტიკს“. ნარკოტიკზე არაფერს გეკითხებით, მაგრამ თქვენი ქალებისადმი დამოკიდებულება მაინტერესებს.

ქალები ჩემს სარეპორტიორო საქმიანობაში ყოველთვის უაღრესად ძვირფასს წყაროს წარმოადგენდნენ. ისინი გაცილებით გამოცდილნი და რეალისტურები არიან, ვიდრე კაცები. ვთქვათ, სადმე არჩევნები მიმდინარეობს. ასეთ დროს ეს უკანასკნელნი უფრო პოლიტიკური ვნებით შეპყრობილნი არიან, გატაცებით ლაპარაკობენ თავიანთ კანდიდატზე და მოსალოდნელ შედეგებზე. ქალები კი ნაკლებ. სამაგიეროდ, როდესაც იტყვიან, რომ გაიმარჯვებს ესა და ეს, მათი პროგნოზი მართლდება კიდევ. ამიტომ ვაყენებ ქალებს მამაკაცებზე მაღლა. ისინი უფრო გრძნობენ ცხოვრებისეულ სიმართლეს.

რეპორტიორის მუშაობისას ქალი არ ხდება თქვენი დასვენების, შთაგონების წყარო?

ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ რა გაქვთ მხედველობაში. მოგზაურობისას რეალობა გაცილებით რთულია, ვიდრე ეს საყოველთაოდ მიაჩნიათ. ასეთ დროს რაიმე სიამოვნების მიღებაზე, რაიმე გართობაზე საუბარიც კი ზედმეტია. მოგზაურობისას ადამიანი უფრო იმაზე ფიქრობს, თუ სად მიდოს თავი და თვალი მოატყუოს, ვიდრე ქალებზე. მოგზაურის განწყობა სრულიადაც არა ჰგავს ადამიანის ცხოვრებას ნორმალურ სამყაროში, როდესაც მას თავისუფალი დრო ეძლევა. მოგზაური სულ დაკავებულია, შთანთქმულია სიახლეების აღქმით, რამეთუ

კარგად აქვს შეგნებული, რომ ამ ადგილას მეტად ველარ მოხვდება. ამასთან ხშირად არათუ დასაძინებელი ადგილი, საჭმელიც კი არა აქვს. ზოგჯერ ავადმყოფობს კიდევ. რეპორტიორის ცხოვრება ისეთი ყოვლისშთანმთქმელია, მას ისეთი დაკვირვება მოეთხოვება, თუკი მართლაც სურს თავისი საქმე სათანადოდ შეასრულოს, რომ <sup>დასწრებით</sup> პრობლემები ნამდვილად არ აწუხებს.

**თქვენ ზოგჯერ გითქვამთ, რომ რეპორტიორი თავადაა პასუხისმგებელი საკუთარ ტექსტზე. მაგრამ თუ შეეშლება რაღაც, ან სათანადოდ ვერ აღიქვამს ფაქტს?**

მე არაფერს ვიგონებ, არაფერს ვთხზავ. ამბების შეთხზვა და წერა რომ შემიძლოს, მაშინ აღარ დამჭირდებოდა რეპორტიორის რთული და ძნელი სამუშაოს შესრულება. ლიტერატორს შეუძლია იჯდეს სახლში და წეროს, იგი კომფორტულ მდგომარეობაშია. მე თავად არაფრის მოგონება შემიძლია. აუცილებლად უნდა ვიმოგზაურო. რეპორტიორის წიგნებს ზოგჯერ არასამართლიანად ახასიათებენ, როგორც ნოველას. ასეთი წიგნი კი, ვიდრე წარმოსდგება, ავტორისაგან მოითხოვს ძალისა და ენერჯიის უდიდეს დაძაბვას, რისკს, თავდადებას.

**და მაინც, თუ ტექსტში რაღაც შეცდომა გაიპარა, თხოვთ გამომცემელს მის შესწორებას?**

როდესაც ტექსტი გამოცემულია, მასში აღარაფერს ვასწორებ. შემდგომი გამოცემა ზუსტად მისი ანალოგიური იქნება. ამ მხრივ ჩემი ყველაზე ერთგული მოკავშირეები მთარგმნელები არიან. ისინი მეტისმეტად ზედმიწევნით სწავლობენ ტექსტს და ხშირად მწერენ კიდევ: „რიშარდ, ის ფრანგი მწერალი არ ყოფილა, ამერიკელი იყო, ის ზრძოლაც მოხდა არა იქ, არამედ აქა და აქ“ და ა. შ.

**მთარგმნელები უფრო ხშირად გისწორებენ ტექსტს თუ რედაქტორები?**

მთარგმნელები, რამეთუ ისინი უფრო ყურადღებით კითხულობენ. რედაქტორები განსაკუთრებით არ უღრმავდებიან ტექსტის შინაარსს. თუმცა არასოდეს მქონია რაიმე პრობლემა შეცდომების გამო, ხოლო თუ ყოფილა, უფრო მეორეხარისხოვან ამბებს, დეტალებს ეხებოდა, ვიდრე არსებითს.

**იქნებ სახელდობრ ეს დეტალები ხდება იმის საბაბი, რომ ზოგჯერ კითხულობენ, უფრო მწერალი ხართ თუ ჟურნალისტი?**

დღეს ასეთი შეკითხვები, ვფიქრობ, უკვე ანაქრონიზმია. დიდი ხანია, რაც დამტკიცებულია, რომ შერეული ფორმების ეპოქაში ვცხოვრობთ. როდესაც მეკითხებიან, რას წარმოადგენს ჩემი ნაწერი, ვპასუხობ, რომ ვწერ ტექსტებს. პრობლემა ჩვენი რომანტიკული წარსულიდან გამომდინარეობს, რომლის დროსაც ლიტერატურის წყარო შთაგონება იყო. და ეს იმ დროს, როდესაც ლათინური ამერიკის ქვეყნებში თითქმის ყოველი მწერალი იმავდროულად ჟურნალისტიცაა. თუნდაც გაბრიელ მარკესი. რომელი პოპულარული ლათინურამერიკული გაზეთიც არ უნდა გადაშალოთ, ყველგან ნახავთ ცნობილი მწერლების წერილებსაც, რომლებიც მშვენიერ რომანებსაც წერენ.

1973 წლის ისრაელ-ეგვიპტის ომისას თქვენ წერდით, რომ მხოლოდ ინფორმირებულ რეპორტიორს შეუძლია კარგად აღწეროს ის, რაც ხდება კონფლიქტის დროს. დღეს ამგვარი რამ თითქმის წარმოუდგენელია, რეპორტიორს არ ძალუძს ობიექტურად აღწეროს თანამედროვე ომი.

მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ შევძლოთ აღწეროთ მიმდინარე ამბები, თუმცა, გეთანხმებით, რომ მთელი სისრულით ამას ვერ შევძლებთ.

მაგრამ როგორ უნდა აღწეროს ამერიკელმა ჟურნალისტმა მიმდინარე მოვლენები, რომელიც აშშ-ის არმიის რომელიღაც განაყოფზეა მიწერილი და სამხედრო ცენზურა მეთვალყურეობს?

მხოლოდ ადგილზე დამოუკიდებელი საქმიანობაა პირობა კარგი რეპორტაჟისა. უფრო მეტიც: მიმაჩნია, რომ რეპორტიორი მართო უნდა იყოს და არა ჯგუფში, რამეთუ ორნიც რომ იყვნეთ, მეორე ადამიანს შეუძლია შენზე გავლენის მოხდენა და შენ მიერ მოვლენების აღქმის შეცვლა.

**შესაძლებელია თუ არა ტერორიზმთან ბრძოლის აღწერა:**

ეს თითქმის წარმოუდგენელია. შეუძლებელია ამ სტრუქტურის შესწავლა. უნდა შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ მრავალი რამ არსებობს ამ ქვეყნად, რომლის აღწერაც არ ძალუძის.

**ზოგჯერ რეპორტიორი ყრუ კედელს ეჯახება?**

არსებობს გარკვეული საზღვარი, რომლის გადალახვაც შეუძლებელია. სწორედ ისაა ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი სამყაროს არსი, რომ იგი შეიცავს სფეროებს, სადამდეც ადამიანს ჯერ არ შეუღწევია. უფრო მეტიც მის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს.

თქვენს შრომას მე აღვიქვამ, როგორც უფრო მოწმობის გაცემას სამყაროზე, ვიდრე მისი შეცვლის მცდელობას.

მე ჩემს საქმიანობას მივიჩნევ, როგორც ერთი კულტურის მეორე კულტურის ენაზე გადათარგმნას. ჩემთვის ყოველთვის გამაოგნებელი იყო ერთი კულტურის მიერ მეორე კულტურის გაუგებრობა.

თუ უშვებთ სამყაროს მომავლის რაიმე პესიმისტურ ვერსიას? ხომ არ ფიქრობთ იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველანი ერთმანეთს დავხოცავთ?

არა, არა. ადამიანში არის თავდაცვის უჩვეულოდ ძლიერი ინსტიქტი. აბა, შეხედეთ, მსოფლიოში ამჟამად ცხოვრობს ექვსნახევარი მილიარდი ადამიანი. ამასთან არ არსებობს რაიმე ცენტრალური მთავრობა, საერთო ელიტა, საერთო ენა. საერთო ინტერესებიც კი. რაც ადამიანებს აერთიანებთ, ესაა სიცოცხლის უდიდესი წყურვილი. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ყველაზე მწვავე კონფლიქტის დროსაც კი ხერხდება მისი დარეგულირება. მეტად დამახასიათებელია, რომ რომელიმე ქალაქში დილით მწვავე შეტაკებებია, ხოლო დღის მეორე ნახევარში ხალხი გამოდის ქუჩაში და ჰგვის, ასფალტზე დაღვრილ სისხლს რეცხავს, სახლებისა თუ მაღაზიების მინებს წმენდს. ადამიანებს ახასიათებთ წესრიგის, დადგენილი ნორმებისაკენ დაბრუნების სწრაფვა.

ჩვენი სამყარო არაერთხელ დამდგარა უდიდესი განსაცდელის წინაშე, მაგრამ ყოველთვის აღმართულა ზღვარი, რომლის გადაკვეთის უფლებაც მას თავისი თავისათვის არ მიუცია. II მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენს პლანეტაზე მასშტაბური კონფლიქტი აღარ ყოფილა, მას შემდეგ ყველა ომს ლოკალური, სამოქალაქო ბრძოლები უწოდებენ. როდესაც სადმე იფეთქებდა ხოლმე კონფლიქტი, შანსი იყო, რომ კანებზე თუ ახლო აღმოსავლეთში, ყოველთვის იღვიძებდნენ ძალები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის ჩასაცხრობად, რათა მას უფრო დიდი მასშტაბები არ მიეღო. კაცობრიობას გამომუშავებული აქვს ანტისხეული, რომელიც ახერხებს კონფლიქტის იზოლაციას, მისი წარმოშობის ადგილზე ლოკალიზებას.

თუმცა 60 წლის წინ კაცობრიობა დაავადდა და ეს ავადმყოფობა თითქმის მთელ სამყაროს გადასწვდა. არ გეშინიათ, რომ მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს.

გარკვეული თვალსაზრისით ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ II მსოფლიო ომის დროსაც კი სამყაროს უდიდეს ნაწილზე ადამიანები მეტ-ნაკლებად ნორმალურად ცხოვრობდნენ. ეს პრეცედენტი კი დიდი იმედის მომცემია. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ გამორიცხული არ არის კვლავაც განმეორდეს გარკვეული მეტ-ნაკლები მასშტაბის კონფლიქტები, მაგრამ მთლიანობაში სამყარო სიმშვიდეს შეინარჩუნებს. მის ნებისმიერ ადგილზე ადამიანი თავისი ყოველდღიური ცხოვრებისეული საქმეებითაა დაკავებული.

როგორც თქვენ ამბობთ, კიდევ რამდენიმე წიგნი გაქვთ დასაწერი, მალაზიების დახლები კი იმტვრევა წიგნების სიმძიმისაგან. ამავე დროულად აფრიკაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც შიმშილისაგან, უწყლობისაგან იხოცებიან, მათი შველა არ შეგვიძლია. ასეთ სიტუაციაში რა გაძლევათ იმედს?

იმის რწმენა, რომ აუცილებელია ჩვენი უღელი ბოლომდე გავწიოთ, თუნდაც დარწმუნებული ვიყოთ, რომ რადიკალურად ჩვენ რაიმის შემცვლელი არა ვართ. უღელი უნდა გავწიოთ, თუნდაც რომ მთლად ტალახში იფლობოდეს. ცივილიზებული და ჩამორჩენილი ქვეყნების გზები თანდათან უფრო და უფრო იყრება, ერთმანეთს შორდება, მაგრამ ჩვენ მეტი გზა არა გვაქვს. უკან დაბრუნება შეუძლებელია. მთელი ცივილიზაციები არსებობს, რომელთა განვითარებაც შეფერხდა და აღარ ძალუძთ დაეწიონ ღიდერებს, რამეთუ სამყარო დიდი სისწრაფით მიექანება წინ. და მეორე საბაბი: ისინი, რომლებიც ცდილობენ გვერდზე გადგნენ ანდა არ იჩენენ დიდ ძალისხმევას წინსვლისათვის, ნამდვილად წააგებენ. ჩვენი სამყარო მშვენიერია, მაგრამ ამავე დროს გულგრილიცაა გარკვეული მოვლენების მიმართ. იქნებ მშვენიერებისა და გულგრილობის ამგვარი შერწყმაც არის მისი უმთავრესი არსი?!

ასეთ დროს რა არის რეპორტიორის მოვალეობა?

არ უნდა აჰყვეს ასეთ განწყობას. ეს მას მუშაობაში ხელს შეუშლის, თუკი იგი თავის საქმეს ვნებითა და სიყვარულით აკეთებს. სა-



ჭიროა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნოს ერთგულება თავისი მისი-  
ისადმი.

კი მაგრამ, რაში მდგომარეობს ეს მისია XXI საუკუნის დასაწყისში?

რეპორტიორობა არატიპიური პროფესიაა. იგი მხოლოდ უფლისკეთებაზე როდია მიმართული. იგი ოდითგანვე შეიცვალა — მსგავსებაში სწავლა-აღმზრდელობითა და მთარგმნელობით მისიას. როდესაც შიდა ან საერთაშორისო კონფლიქტებს ვიკვლევთ, აღმოჩნდება ხოლმე, რომ მას ყოველთვის ენის შეცვლა აძლევს ბიძგს. ასეთ სიტუაციაში ნორმალური ინფორმაციის ენა იწყებს მტრული, აგრესიული სიტყვების ხმარებას. იწყება სტერეოტიპების გამოყენება. მაგალითად, ბალკანებზე კონფლიქტის შესასწავლად და გასაანალიზებლად სრულიადაც არაა საჭირო რეგიონის მთელი ისტორიის ცოდნა. საკმარისია თვალი გადავაავლოთ იმდროინდელ იუგოსლავურ პრესას, თავდაპირველად სახელმძღვანელოებიდან იღებენ რომელიმე მწერლის გვარს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყო სერბი ან ხორვატი. შემდეგ წარმოიშვება ტყუილები და აგრესიული სიტყვების ხმარება. ნამდვილი ომი შემდეგ იწყება.

პუბლიკაცია მოამზადა და თარგმნა ანბროსი ბრიშიკაშვილმა

